# მაღალი რისკის პენიტენციური დაწესებულების მართვა

ანტონ ქელბაქიანი
ნატალია ცაგარელი
დავით ჭყოიძე

**შესავალი**..................4
**პირველი თავი** - დინამიური და სტატიკური უსაფრთხოება..................7
**მეორე თავი** - პატიმრის მიღება და განთავსება..................18
საერთაშორისო სტანდარტები და პრაქტიკა..................19
ადგილობრივი კანონმდებლობა..................27
**მესამე თავი** - შემოწმება..................31
საერთაშორისო სტანდარტები და პრაქტიკა..................32
ადგილობრივი კანონმდებლობა..................38
**მეოთხე თავი** - დაწესებულების ტერიტორიაზე გადაადგილება..................46
საერთაშორისო სტანდარტები და პრაქტიკა..................47
ადგილობრივი კანონმდებლობა..................51
**მეხუთე თავი** - პატიმრის ბადრაგირება..................53
საერთაშორისო სტანდარტები და პრაქტიკა..................54
ადგილობრივი კანონმდებლობა..................60
**მეექვსე თავი** - კრიმინალური სუბკულტურა..................64
**მეშვიდე თავი** - პატიმრებს შორის ძალადობა..................85
**მერვე თავი** - ძალის მინიმალური გამოყენება..................91
საერთაშორისო სტანდარტები და პრაქტიკა..................92
ადგილობრივი კანონმდებლობა..................101
**მეცხრე თავი** - დისციპლინური პასუხისმგებლობა..................106
საერთაშორისო სტანდარტები და პრაქტიკა..................107
ადგილობრივი კანონმდებლობა..................116
**მეათე თავი** - შიმშილობა..................119
საერთაშორისო სტანდარტები და პრაქტიკა..................120
ადგილობრივი კანონმდებლობა..................128
**მეთერთმეტე თავი** - თვითდაზიანების და სუიციდის პრევენცია..................130
საერთაშორისო სტანდარტები და პრაქტიკა..................131
ადგილობრივი კანონმდებლობა..................135
**მეთორმეტე თავი** - დაწესებულების ფუნქციონირების მოშლა (საგანგებო სიტუაციები)..................137
საერთაშორისო სტანდარტები და პრაქტიკა..................138
**შესავალი**..................138
მასობრივი არეულობის, ბუნტის, გაქცევის და სხვა გართულებების ძირითადი გამომწვევი მიზეზები ..142
მძევლად აყვანა - რეკომენდაციები..................147
გაქცევა - რეკომენდაციები..................149
**მაგალითი N1** - ლუკასვილის ციხის ბუნტი..................152
**მაგალითი N2** -მორეის განყოფილებაში მომხდარი ინციდენტი მძევლად აყვანასთან დაკავშირებით161
კრიზისულ სიტუაციებზე რეაგირების ჯგუფები..................181
სტიქიური უბედურებებისგან გამოწვეული ზიანის შემცირება..................186
**მაგალითი N3** - ხანძარი ახალ დაწესებულებაში - ტენესის საოლქო სამსახური..................192
ადგილობრივი კანონმდებლობა..................195
**მეცამეტე თავი** - კრიზისული სიტუაციების პრევენცია/ანალიზი..................198
**ბოლოსიტყვაობა**..................202
**გამოყენებული ლიტერატურა**..................207

გამოცემულია „საქართველოში ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს“ ფინანსური მხარდაჭერით. ავტორის/ავტორთა მიერ სახელმძღვანელოში გამოთქმული მოსაზრება შესაძლოა არ გამოხატავდეს საელჩოს პოზიციას. შესაბამისად, საელჩო არ არის პასუხიმგებელი მასალის შინაარსზე.

ანტონ ქელბაქიანი - საერთაშორისო სტანდარტები და პრაქტიკა - შესავალი, პირველი თავი(ნაწილობრივ), მეორე თავი (ნაწილობრივ), მესამე თავი, მეექვსე თავი, მერვე თავი, მეათე თავი, მეთერთმეტე თავი, მეთორმეტე თავი, მეცამეტე თავი. ბოლოსტყვაობა (ნაწილობრივ).

ნატალია ცაგარელი - საერთაშორისო სტანდარტები და პრაქტიკა - პირველი თავი (ნაწილობრივ),მეორე თავი (ნაწილობრივ), მეოთხე თავი, მეხუთე თავი, მეშვიდე თავი, მეცხრე თავი, ბოლოსიტყვაობა (ნაწილობრივ).

დავით ჭყოიძე - ადგილობრივი სტანდარტები.

განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრს თანამშრომლობისთვის. ასევე ექსპერტებს სახელმძღვანელოს შემუშავებაში გაწეული დახმარებისთვის - ფრანს დაუს, გიორგი ხოჯევანიშვილს, ბაქარ მეტრეველს და კარლო ნიკოლაიშვილს.

## შესავალი

საზოგადოებასა და პოლიტიკის განმსაზღვრელ თანამდებობის პირებს ხშირ შემთხვევაში არაერთგვაროვანი და გადამეტებული მოლოდინი აქვთ პენიტენციური სისტემისგან. სპეციალისტთა და პრაქტიკოსთა მცირე ჯგუფის გარდა, ცოტას თუ ესმის მკაფიოდ, თუ როგორ „მუშაობს“ პენიტენციური სისტემა.

ზოგადად ყველა პენიტენციურ დაწესებულებაში იძულებითი/დახურული გარემოა, მაგრამ ისინი ერთმანეთისგან განსხვავდება ძალაუფლების გადანაწილებით. ასეთ სახესხვაობებს მივყავართ განსხვავებული მორალური და ემოციური კლიმატისკენ და იწვევს განსხვავებული სოციალური წესრიგის ჩამოყალიბებას სისტემის შიგნით. როგორც წესი, პენიტენციურ სისტემაში არსებულ სოციალურ წესრიგს აყალიბებს სხვადასხვა ფაქტორები, კერძოდ, სისტემის მართვის ისტორიული გამოცდილება, ინსტიტუციური კულტურა, კრიმინალური სუბკულტურა, არსებული ინფრასტრუქტურა, პერსონალის კვალიფიკაცია და ა.შ.

ხშირად პენიტენციური სისტემის შიგნით არსებულ პრობლემებზე საუბრისას მიუთითებენ სისტემაში არსებულ სუბკულტურაზე, მის გავლენაზე და მისგან მომდინარე საფრთხეებზე. ბუნებრივია, ისინი წარმოადგენენ სპეციფიურ თემებს, რომელთა ფორმას განაპირობებს სოციალური და პოლიტიკური იდეები დანაშაულის, სასჯელის, სოციალური წესრიგისა და ადამიანის ბუნების შესახებ. საერთაშორისო კვლევების თანახმად, თითქმის ყველა პენიტენციურ სისტემაში მოქმედებს ე.წ „პატიმართა კოდექსი“, რასაც გარკვეული გავლენა აქვს პატიმრის[1] ქცევასა და ზოგადად დაწესებულების ფუნქციონირებაზე[2]. პენიტენციური დაწესებულებების მართვის პროცესში ამ ფაქტორების გათვალისწინება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

პატიმრებისთვის მეტისმეტი ძალაუფლების გადაცემამ, შესაძლოა, დაამყაროს არალეგიტიმური ძალაუფლება, რომელსაც ისინი მათ წიაღში არსებული სუბკულტურის მეშვეობით საკმაოდ ეფექტიანად იყენებენ. ადმინისტრაციის მიერ ლეგიტიმური ზომების არასაკმარისად გამოყენება, შეიძლება, ისეთივე სახიფათო იყოს, როგორც უფლებამოსილების გადამეტება, თუკი ეს მიგვიყვანს ისეთ რეჟიმამდე, სადაც არასაკმარისი ზედამხედველობა და უწესრიგობაა. გადამეტებულ ძალასა და სამართლებრივ წესრიგს შორის სწორი ბალანსის მოძებნა პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაციის მთავარი ამოცანაა[3].

როდესაც პატიმრებს აძლევენ გადაჭარბებულ ძალაუფლებას, ან ადმინისტრაცია არასაკმარისად მეთვალყურეობს პენიტენციური დაწესებულების სხვადასხვა ტერიტორიას, პატიმრები დგანან „ექსპლუატაციის, აგრესიული პატივმოყვარეობისა და სხვადასხვა სახის ძალადობის“ საფრთხეების წინაშე[4]. წამების ევროპული კომიტეტი განმარტავს, რომ „პატიმრებს შორის ძალადობის ფენომენთან ბრძოლა მოითხოვს ციხის პერსონალის სათანადო სიმაღლეზე ყოფნას, მათ შორის, კვალიფიკაციის დონეზე, რათა საკუთარი ძალაუფლება და საზედამხედველო ამოცანები სათანადოდ განახორციელონ. ციხის პერსონალი მზადყოფნაში უნდა იყოს პრობლემების ნიშნებზე რეაგირებისთვის, ასევე სათანადოდ იყოს მომზადებული, საჭიროების შემთხვევაში, ჩარევისა და მათი გადაჭრისთვის“[5].

ეს ყველაფერი მორალური, მენეჯერული და პიროვნული გამოწვევაა მათთვის, ვინც პენიტენციურ დაწესებულებებს მართავს, რადგან მათ სწორი ბალანსი უნდა იპოვონ დაწესებულებებში წესრიგის დამყარებასა და პატიმრებისადმი პატივისცემით და ლეგიტიმურად მოპყრობას შორის.

სამხრეთ აფრიკის პენიტენციური დეპარტამენტის თანამშრომელთა გადამზადებისა და ადამიანის უფლებათა პროექტის დაწყებასთან დაკავშირებით წარმოთქმულ სიტყვაში, სამხრეთ აფრიკის ყოფილმა პრეზიდენტმა, ნელსონ მანდელამ ხაზი გაუსვა როგორც უსაფრთხოების, ასევე სამართლიანობის მნიშვნელობას პენიტენციური დაწესებულებების ადმინისტრირებისას:

„უსაფრთხო ციხეები აუცილებელია, იმისათვის, რომ ჩვენი მართლმსაჯულების სისტემა გახდეს დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტური იარაღი. როდესაც პატიმრები (იქნებიან მსჯილნი თუ მიუსჯელნი) ექვემდებარებიან ზრუნვას თქვენი მხრიდან, მათ და საზოგადოებამ უნდა იცოდნენ რომ ისინი დარჩებიან იქ მანამ, სანამ მოხდება მათი გათავისუფლება კანონის შესაბამისად ... თანამონაწილეობა, რაც ჩვენ ციხეებს შეუძლიათ განახორციელონ ქვეყანაში დანაშაულის მაჩვენებლის პერმანენტული

1 ამ ცნების ქვეშ იგულისხმება პენიტენციურ სისტემაში განთავსებული ბრალდებული ან მსჯავრდებული პირი.
2 Clemmer 1940/1968; McCorkle, Korn 1954; Sykes 1958.
3 Sparks და სხვები, 1996 წ.
4 McDermott და King 1988: 34
5 ევროსაბჭოს წამების ევროპული კომიტეტის ანგარიში N3, გვ. 27.

შემცირების საქმეში, უკავშირდება პატიმრებთან მოპყრობის ფორმას. ჩვენ განსაკუთრებით უნდა გავუსვათ ხაზი პროფესიონალიზმისა და ადამიანის უფლებების პატივისცემის მნიშვნელობას“[6].

პატიმრების, თანამშრომლებისა და ვიზიტორების[7] უსაფრთხოება წარმოადგენს ნებისმიერი დაწესებულების ხელმძღვანელის უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტს, თუმცა მას ამავდროულად უნდა ახსოვდეს, რომ კონტროლისა და დისციპლინის უზრუნველსაყოფად მან უნდა გამოიყენოს მხოლოდ შესაბამისი ღონისძიებები ან შესაბამისი ხარისხის პროპორციული ძალა. უსაფრთხოების ღონისძიებები წარმოადგენს ქმედებებს, რომლებსაც მიმართავენ პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლები, რათა შეინარჩუნონ დაწესებულებაში კონტროლი და წესრიგი, თავიდან აიცილონ რეჟიმის დარღვევა და დაიცვან მოწყვლადი პატიმრები. უსაფრთხოების ღონისძიებები უნდა ეფუძნებოდეს სამართლიან დისციპლინურ სისტემას.

ამბობენ, რომ ის თუ როგორ ეპყრობა საზოგადოება პატიმრებს, ასახავს მის სიღრმისეულ ღირებულებებს. აღნიშნული პრინციპი განსაკუთრებით რელევანტურია მაღალი რისკის პატიმრებთან მოპყრობის დროს.[8]

პენიტენციურ სისტემაში არიან პატიმრები, რომელთაც სჭირდებათ განსაკუთრებით მაღალი უსაფრთხოების პირობებში განთავსება. ამგვარი პატიმრების მართვა წარმოადგენს დაწესებულების თანამდებობის პირთა მნიშვნელოვან გამოწვევას, რა დროსაც დაცული უნდა იქნას ბალანსი შემდეგ ფაქტორებს შორის: საფრთხე, რომელსაც შესაძლოა ისინი წარმოადგენდნენ საზოგადოებისთვის დაწესებულებიდან გაქცევის შემდეგ, საფრთხე, რაც შესაძლოა მათ შეუქმნან პენიტენციურ დაწესებულებაში არსებულ წესრიგს და ვალდებულება, რომლის შესაბამისად სახელმწიფო ყველა პატიმარს უნდა მოექცეს ღირსეულად და ჰუმანურად.

ზუსტად ამ მიზნით, რისკების შეფასების საფუძველზე პატიმართა სწორი კლასიფიკაცია არის უმთავრესი ნაბიჯი, რომელიც უნდა გადადგას პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაციამ დაწესებულებაში უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. უსაფრთხოების ღონისძიებები, რომლებიც გამოიყენება პატიმართა მიმართ უნდა წარმოადგენდეს იმ ღონისძიებათა მინიმუმს, რაც საჭიროა უსაფრთხო პატიმრობის მიზნის მისაღწევად. ეს საშუალებას მისცემს თანამშრომლებს უფრო ეფექტიანად განახორციელონ იმ შედარებით მცირე რაოდენობის პატიმართა ზედამხედველობა, რომლებიც რეალურ საფრთხეს უქმნიან სხვებს. ეს ასევე უზრუნველყოფს, რომ დაწესებულებაში არსებული გარემო იყოს მაქსიმალურად ჰუმანური, დაწესებულების მატერიალური რესურსები არ დაიხარჯოს იმ დიდი რაოდენობის პატიმრების მაქსიმალური უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის, რომლებსაც რეალურად უსაფრთხოების აღნიშნული დონე არ ესაჭიროებათ.[9]

ყველა კარგად ორგანიზებულ საზოგადოებას, მათ შორის პატიმრებსაც ესაჭიროებათ გარკვეული წესებითა და რეგულაციებით მოქმედება, რომლებიც კონკრეტული საზოგადოების/თემის მხრიდან აღიქმება როგორც სამართლიანი. პენიტენციურ დაწესებულებებში ამგვარი რეგულაციები იქმნება თითოეული ინდივიდის, როგორც დაწესებულების პერსონალის, ასევე პატიმრის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. თითოეულ ჯგუფს ეკისრება რეგულაციების შესრულების ვალდებულება.

“პატიმრებმა უნდა იცოდნენ, რომ მათ ყოველთვის მოეთხოვებათ რეგულაციების დაცვა. პენიტენციურ დაწესებულებას უნდა ჰქონდეს დისციპლინური დარღვევის განხილვის შესაბამისი პროცედურა, რის საფუძველზეც შესაბამისი სანქციების გამოყენება ხდება სამართლიანად და მიუკერძოებლად”[10].

დაწესებულებაში ჩამოყალიბებული უნდა იყოს რეგულაციები, რათა შესაძლებელი გახდეს კანონიერი უფლებების განხორციელება და პენიტენციური დაწესებულების ფუნქციონირების რეგულირება კანონის შესაბამისად. რეგულაციები უნდა გამომდინარეობდეს ეროვნული კანონმდებლობიდან და შეესაბამებოდეს საერთაშორისო სტანდარტებსა და ნორმებს. ხშირ შემთხვევაში, პრაქტიკაში, პენიტენციურ სისტემაში მოქმედი წესები, ყოველთვის სრულ შესაბამისობაში არ არის სამართლებრივ ნორმებთან (იქნება ეს ეროვნული, თუ საერთაშორისო), ხშირად ისინი არ არის კარგად ჩამოყალიბებული, განმარტებული ან გამოყენებული. არც ისე რთულია ისეთი დაწესებულების პოვნა, სადაც არსებული რეგულაციები და წესები არ არის საკმარისი ყოველდღიური საქმიანობის წარმართვისთვის. ხშირად ნორმები ცუდად არგუმენტირებული და ურთიერთსაწინააღმდეგოა. ზოგიერთ პენიტენციურ

6 *Kroonstad, 25 June 1998.*

7 *პაემანზე მოსული პირები; გამომძიებლები, პროკურორები, რომლებიც შედიან პენიტენციურ დაწესებულებაში და სხვა ნებისმიერი პირი, რომლებიც ადგილობრივი კანონმდებლობით დადგენილი წესით შედის პენიტენციურ დაწესებულებაში.*

8 ციხის მენეჯმენტის განხილვა ადამიანის უფლებების კუთხით, ციხის თანამშრომელთა სახელმძღვანელო, მეორე გამოცემა, გვ 71, ენდრიუ კოილი, 2009.

9 ციხის ლიდერების სახელმძღვანელო, მსაერთაშორისო ნორმებსა და სტანდარტებზე დაფუძნებული ძირითადი სახელმძღვანელო და კურიკულუმი მენეჯერებისთვის, სისხლის სამართლის იუსტიციის სახელმძღვანეოების სერია, გვ. 99, UNODC, 2010.

10 ციხის მენეჯმენტის განხილვა ადამიანის უფლებების კუთხით, ციხის თანამშრომელთა სახელმძღვანელო, გვ. *61,* ენდრიუ კოილი, *2009.*

დაწესებულებაში არ მომხდარა რეგულაციების სტანდარტიზება, ისინი ვითარდებოდა სხვადასხვა მიმართულებით, ცალკეული გადაწყვეტილების მიმღებ პირთა ნების შესაბამისად. აღნიშნული ნორმების შესრულების მონიტორინგი ყოველთვის ისე არ ხდება, როგორც უნდა ხდებოდეს[11]. ეს შეიძლება განვმარტოთ, როგორც პროცედურული უსაფრთხოება, რომლის გარეშეც შეუძლებელია სისტემის ეფექტიანად მართვა. პროცედურული უსაფრთხოება ეხება იმ მეთოდებსა და პროცედურებს, რომლებიც ჩამოყალიბებულია პენიტენციური დაწესებულების უსაფრთხოებისათვის. საუბარია გაქცევის თავიდან აცილებისა, წესრიგის დამყარებისათვის აუცილებელ არსებულ წესებზე და ა.შ. პროცედურებში/ნორმებში არსებული ხარვეზების პირობებში, დაუცველი არიან არა მარტო პატიმრები, არამედ დაწესებულების პერსონალიც.

ბუნებრივია სასჯელის უმთავრესი მიზანი მსჯავრდებულთა რეაბილიტაცია და რესოციალიზაციაა, თუმცა ამ მიზნის მიღწევა უსაფრთხოების დახვეწილი სისტემის არსებობის გარეშე შეუძლებელია. პენიტენციურ დაწესებულებებში უსაფრთხოების სისტემა უნდა ქმნიდეს ისეთ კლიმატს, რომლის წიაღშიც შესაძლებელი იქნება საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო პროცესის ეფექტიანად ორგანიზება.

პენიტენციური დაწესებულებების მართვა უნდა ხორციელდებოდეს სტატიკური და დინამიური უსაფრთხოების სისტემის ეფექტურად ორგანიზებით (გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ასევე პროცედურული უსაფრთხოება, რაზეც უკვე ვისაუბრეთ).

სტატიკური უსაფრთხოების სისტემის ქვეშ იგულისხმება არსებული ინფრასტრუქტურა, ვიდეო კონტროლის სისტემა, ელექტრონული მოწყობილებები. ზოგადად უსაფრთხოების სისტემის ის ელემენტები, რომლებიც უცვლელია.

დინამიური უსაფრთხოების სისტემა გულისხმობს დაწესებულებაში არსებული რისკების მართვას ყოველდღიურ რეჟიმში, სხვადასხვა სამსახურების კოორდინირებული მუშაობით და სხვადასხვაგვარი ინსტრუმენტების გამოყენებით. დინამიური უსაფრთხოების სისტემა აგებული უნდა იყოს თითოეული სამსახურის მკაცრად ფორმულირებულ ფუნქციონალურ უფლება-მოვალეობებზე, მოვალეობების მკაფიოდ განაწილებასა და ამ პროცესში სხვადასხვა სამსახურების კოორდინირებულ საქმიანობაზე (ამ კუთხით შემდგომ თავში დინამიურ და პროცედურულ უსაფრთხოებას ერთ კონტექსტში განვიხილავთ).

შეჯამების სახით უნდა აღვნიშნოთ რომ, პენიტენციურ დაწესებულებებში უსაფრთხოების სისტემის უზრუნველყოფის საჭიროება არსებობს პატიმრის მიღებისას, საკანში მისი განთავსებისას, დაწესებულების ტერიტორიაზე გადაადგილებისას, დაწესებულების ტერიტორიის გარეთ გაყვანისას და ა.შ. ასევე მნიშვნელოვანია, რომ თითეული დაწესებულების მოსამსახურესთვის არსებობდეს კრიზისულ სიტუაციებში მოქმედებების ზუსტი ინსტრუქციები.

ამ სახელმძღვანელოს მიზანს წარმოადგენს, მკითხველს მივაწოდოთ ინფორმაცია მაღალი რისკის პენიტენციურ დაწესებულებებში უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით არსებული საერთაშორისო სტანდარტებისა და განვითარებული ქვეყნების საუკეთესო გამოცდილების შესახებ. ასევე, საქართველოს კანონმდებლობაში არსებული რეგულაციებისა და დღეს მოქმედი პრაქტიკის შესახებ. განვიხილოთ როგორ უნდა ხდებოდეს ამ პროცესში დინამიური და სტატიკური უსაფრთხოების სისტემის ელემენტების ეფექტიანი გამოყენება. თუმცა, ეს სახელმძღვანელო მოიცავს უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ ისეთ ელემენტებსაც, რომლებიც საერთოა არა მარტო მაღალი რისკის პენიტენციური დაწესებულებისთვის, არამედ სხვა ტიპის პენიტენციური დაწესებულებებისთვისაც.

11 ციხის ლიდერების სახელმძღვანელო, საერთაშორისო ნორმებსა და სტანდარტებზე დაფუძნებული ძირითადი სახელმძღვანელო და კურიკულუმი მენეჯერებისთვის, სისხლის სამართლის იუსტიციის სახელმძღვანელოების სერია.

თავი: I

# დინამიური და სტატიკური უსაფრთხოება

*პირველი თავი*

## სტატიკური და დინამიური უსაფრთხოება

### ზოგადი პრინციპები

ძირითადად, როდესაც ადამიანები ფიქრობენ და საუბრობენ პენიტენციური დაწესებულებების შესახებ, ისინი როგორც წესი გულისხმობენ ფიზიკურ ასპექტებს: კედლებს, ღობეებს, შენობას დაკეტილი კარით და გისოსებიანი ფანჯრებით. თუმცა, პენიტენციური დაწესებულებების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტი არის ადამიანური რესურსები, რადგან დაწესებულების ფუნქციონირება უპირველეს ყოვლისა გულისხმობს ადამიანებთან დამოკიდებულებას. დაწესებულებაში არსებულ ორ მთავარ ჯგუფს წარმოადგენენ დაწესებულებაში მყოფი პატიმრები და თანამშრომლები, რომლებიც ახორციელებენ პატიმრებზე ზედამხედველობას. „დაწესებულების კარგი მართვის გასაღები არის სწორედ ამ ორ ჯგუფს შორის არსებული ურთიერთობის ხასიათი."[12]

შესავალ ნაწილში უკვე აღვნიშნეთ, რომ ფიზიკური უსაფრთხოება გულისხმობს დაწესებულების შენობას, კედლების სიძლიერეს, გისოსებს, ცალკეული განყოფილებების კარებს, პერიმეტრის კედლებს, ღობის სპეციფიკას და ა.შ. ისინი ასევე მოიაზრებს ფიზიკური დახმარების საშუალებებს, როგორიცაა საკეტები, ვიდეოკამერები, განგაშის სიტემა, რადიოგადამცემი და ა.შ. უსაფრთხოების ფიზიკურ ასპექტებზე საუბრისას, მნიშვნელოვანია მოიძებნოს ბალანსი საჭირო უსაფრთხოების ხარისხის უზრუნველყოფასა და ინდივიდის ღირსებას შორის. მაგალითად, შესაძლოა მოიძებნოს ისეთი არქიტექტურული დიზაინი, რომელიც უზრუნველყოფს საკნის, მისი ფანჯრების უსაფრთხოებას, რაც იმავდროულად უზრუნველყოფს ბუნებრივ განათებასა და სუფთა ჰაერს. ფიზიკური საშუალებები, როგორებიცაა ვიდეოკამერა, მონიტორინგისა და განგაშის სისტემა, თავიანთი შინაარსით ხელყოფს პერსონალურ სივრცეს, პიროვნების პრივატულობას. აქედან გამომდინარე, მათი განთავსების ადგილის შერჩევისას, გათვალისწინებული უნდა იქნას ბალანსი ლეგიტიმურ უსაფრთხოების მოთხოვნებსა და ინდივიდის პრივატულობის პატივისცემას შორის. „არ უნდა დაგვავიწყდეს, ცალკეული პატიმრის უსაფრთხოებაც. ზოგიერთი დაწესებულება იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ პატიმარი დარჩეს უმეთვალყურეოდ, ეს საფრთხეს წარმოადგენს არა მხოლოდ დაწესებულებისთვის, არამედ პატიმრისთვისაც. დაწესებულების ადმინისტრაციამ უნდა მიიღოს ზომები, რათა მოახდინოს ამგვარი სივრცეების იდენტიფიცირება და მართვა."[13]

მართალია სტატიკური და პროცედურული უსაფრთხოების საკითხები უმნიშვნელოვანესია დაწესებულების ყოველდღიურობისთვის, მაგრამ თავისთავად საკმარისი არ არის. უსაფრთხოება ასევე დამოკიდებულია ფხიზლად მყოფ თანამშრომლებზე, რომლებიც უშუალოდ ურთიერთობენ პატიმრებთან, აქვთ ინფორმაცია იმის შესახებ თუ რა ხდება დაწესებულებაში და უზრუნველოფენ, რომ პატიმრები იყვნენ აქტიურები, ამ სიტყვის პოზიტიური გაგებით. ხშირად ასეთ ურთიერთობას განმარტავენ, როგორც დინამიურ უსაფრთხოებას. უსაფრთხოების ამგვარი ფორმა ბევრად უფრო ხარისხიანია, ვიდრე მხოლოდ სტატიკური უსაფრთხოება. იქ, სადაც პატიმრებთან აქტიური ურთიერთობა არსებობს, ყურადღებიან თანამშრომელს შეუძლია ადეკვატური რეაგირება მოახდინოს სიტუაციებზე, რომლებიც სცდება დადგენილ ნორმებს და შესაძლოა საფრთხე შეუქმნას დაწესებულების ნორმალურ ფუნქციონირებას. მაგ: პატიმრებთან ამგვარ კომუნიკაციაში მყოფ თანამშრომლებს შეუძლიათ უფრო ეფექტიანად აიცილონ თავიდან გაქცევა, პატიმრებს შორის ძალადობა, რადგან ეცოდინებათ რა ხდება დაწესებულებაში მანამდე, სანამ ინციდენტი რეალურად განხორციელდება. *„დინამიური უსაფრთხოების უპირატესობა მდგომარეობს შემდეგში: იგი გულისხმობს ისეთი სახის პროაქტიურობას, რაც უკავშირდება უსაფრთხოების ხელყოფის რისკების ძალიან ადრეულ იდენტიფიცირებას. ამგვარი პრინციპი საუკეთესო შედეგებს იძლევა იმ დაწესებულებებში, სადაც გამოცდილი და კარგად მომზადებული თანამშრომლები არიან."[14] „უშიშროება, რომელიც დაცულია ფიზიკური ბარიერებით და სხვა ტექნიკური საშუალებებით, განმტკიცებული უნდა იყოს დინამიური უსაფრთხოების მეშვეობით, რომელსაც უზრუნველყოფს პერსონალი, ვინც კარგად იცნობს მათი კონტროლის ქვეშ მყოფ პატიმრებს."*[15]

მაღალი რისკის დაწესებულებებში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს უსაფრთხოების ფიზიკურ ასპექტებს. ხშირად, ამ ტიპის დაწესებულებებში გარე საზღვრები, რომლებიც ითვლება პატიმართა შემაკავებლად, განსაკუთრებულად არის გაძლიერებული, ძირითადად ორმაგი/სამმაგი ბარიერებით, როგორიცაა ღობეები და კედლები. დაწესებულების შიგნით უზრუნველყოფილია უსაფრთხო ბარიერები ან ჭიშკრები დაწესებულების სხვადასხვა ნაწილებს შორის. საკნის კარი, ფანჯრები და კედლები არის

---

[12] ციხის მენეჯმენტის განხილვა ადამიანის უფლებების კუთხით, ციხის თანამშრომელთა სახელმძღვანელო, ენდიუ კოილი , 2009.

[13] ციხის მენეჯმენტის განხილვა ადამიანის უფლებების კუთხით, ციხის თანამშრომელთა სახელმძღვანელო, ენდიუ კოილი, 2009.

[14] ციხის მენეჯმენტის განხილვა ადამიანის უფლებების კუთხით, ციხის თანამშრომელთა სახელმძღვანელო, ენდიუ კოილი, 2009

[15] მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec(2006)2 წევრი სახელმწიფოებისადმი ევროპული ციხის წესებთან დაკავშირებით;

განსაკუთრებული სიძლიერის. შესაძლოა არსებობდეს უსაფრთხოების ელექტრონული ზომებიც.[16] ამავდროულად, მაღალი რისკის დაწესებულებისთვის დინამიური უსართხოების პრინციპებიც, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. მსგავს დაწესებულებებში, თანამშრომლები ძირითადად პატიმრებს ყოველთვის თან დაჰყვებიან, როდესაც ისინი ტოვებენ საცხოვრებელ საკანს. ამგვარი სუპერვიზია ბევრად უფრო მეტი დატვირთვის მატარებელია, ვიდრე უბრალოდ გაცილება. თანამშრომელს უნდა ჰქონდეს პოზიტიური კონტაქტი პატიმართან, იმდენად, რამდენადაც ეს შესაძლებელია.[17]

**როგორც ვხედავთ, დინამიური** უსაფრთხოება გულისხმობს დაწესებულების თანამშრომლებს, რომლებიც აქტიურად და ხშირად ურთიერთობენ პატიმრებთან, რათა უკეთ გაიცნონ ისინი და შეაფასონ ის რისკები, რომლის მატარებელნიც არიან ცალკეული პატიმრები.

**სტატიკური უსაფრთხოება** გულისხმობს უსაფრთხოების უზრუნველმყოფელ ინფრასტრუქტურას, კერძოდ, კედლებს, წინაღობებს, განათებას, ელექტრონული მეთვალყურეობის სისტემას, სასიგნალიზაციო სისტემას, საკეტებს, საჭიროებისამებრ პატიმართა დამორჩილების აღჭურვილობას და ა.შ."[18]

<u>დინამიური უსაფრთხოების</u> ელემენტებია: თანამშრომელთა ურთიერთობა პატიმრებთან, ინტერაქცია, დაკვირვება, ინფორმაციის მოგროვება, ცალკეული პატიმრის შესწავლა, კონფლიქტის მენეჯმენტი, შემოწმება, პატიმართა დათვლა, პატრულირება, დაკვირვება და სუპერვიზია, გადადგილების კონტროლი, ვიზიტორები.[19] დინამიური უსაფრთხოება გულისხმობს ქმედებებს, რაც ავითარებს პოზიტიურ ურთიერთობას დაწესებულების თანამშრომლებსა და პატიმრებს შორის, ეს არის უსაფრთხოებისადმი სპეციფიური მიდგომა, რაც ეფუძნება პენიტენციური დაწესებულების პოპულაციის ცოდნას და იმ ურთიერთობების გააზრებას, რაც არსებობს პატიმრებსა და თანამშრომლებს, აგრეთვე პატიმრებს შორის. თუ პატიმრებსა და თანამშრომლებს შორის შექმნილია პატივისცემაზე დაფუძნებული დამოკიდებულება, უზრუნველყოფილია, რომ თანამშრომელთა ძალაუფლება არ იყოს აღქმული როგორც პროვოკაცია ან დასჯა. ეს კი მათ აძლევს შესაძლებლობას უკეთ დაუპირისპირდნენ დაწესებულებაში არსებულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ პრობლემებსა და რისკებს. დინამიურ უსაფრთხოებას ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავს პენიტენციური დაწესებულების ყოველდღიურ ცხოვრებაში, თუმცა სხვადასხვა სისტემებში იგი განსხვავებულად არის აღწერილი და მისი მნიშვნელობა ყოველთვის სწორად არ არის გაგებული.

ისეთი ყოველდღიური საქმიანობა, როგორიცაა პატიმართა დათვლა, შემოწმება, გადაადგილების უზრუნველყოფა, პატიმართა კლასიფიცირება და განცალკევება არის საქმიანობა, რომლებიც ხელს უწყობს დაწესებულებაში წესრიგის (რეჟიმის) დაცვას და ამავდროულად ხელს უწყობს პატიმრებთან აუცილებელი კონტაქტის დამყარებას. თანამშრომლებს უნდა ესმოდეთ, რომ პატიმრებთან ჰუმანურ და სამართლიან მოპყრობას შეუძლია ხელი შეუწყოს დაწესებულების უსაფრთხოებასა და მასში წესრიგის უზრუნველყოფას. მაშინ როდესაც დინამიური უსაფრთხოება გულისხმობს პატიმრებსა და თანამშრომლებს შორის პოზიტიურ კომუნიკაციას, ინფორმაციის გაცვლასა და ყოველდღიურ რუტინას, სტატიკური უსაფრთხოება მოიაზრებს ფიზიკურ ინფრასტრუქტურასა და აღჭურვილობას. ორივე ელემენტი აუცილებელია უსაფრთხო, ჰუმანური გარემოს შესაქმნელად. მინიმალური უსაფრთხოების ინფრასტრუქტურის გარეშე, თანამშრომელთა მხრიდან მცირდება პატიმართა ეფექტიანი კონტროლის შესაძლებლობა, განსაკუთრებით იმ დაწესებულებებში, სადაც აქტუალურია გადატვირთულობის პრობლემა. ამავდროულად უსაფრთხოების ინფრასტრუქტურა ნაკლებად ღირებულია იქ, სადაც თანამშრომელთა შესაძლებლობები და კომპეტენცია არ არის ადეკვატური. ხშირად ამბობენ, რომ გაქცევის პრევენციას ახდენენ არა გისოსები და საკეტები, არამედ ყურადღებიანი თანამშრომლები.

საერთაშორისო გამოცდილების ანალიზისას, აღნიშნულია, რომ ბევრ ქვეყანაში, პენიტენციურ დაწესებულებებს არ აქვთ აუცილებელი სტატიკური უსაფრთხოების ელემენტები, აქედან გამომდინარე, თანამშრომლები ამის კომპენსირებას ახდენენ პატიმართა ჩაკეტვით, მათი გადაადგილების შეზღუდვით. ეფექტიანი დინამიური უსაფრთხოების ელემენტების შემოღებას, როგორიცაა პატიმრებსა და თანამშრომლებს შორის კონტაქტის გაზრდა, შეუძლია გარკვეულწილად მოახდინოს სტატიკური უსაფრთხოების ელემენტების ნაკლებობის კომპენსირება. მაგალითად რისკების შეფასებას შეუძლია ხელი შეუწყოს თანამშრომელთა უკეთ გადანაწილებას, იმგვარად, რომ მათი მეტი ნაწილი განთავსდეს იქ, სადაც საჭიროა მაღალი რისკის პატიმართა ზედამხედველობა, ხოლო უფრო მცირე ნაწილი ნაკლები რისკის მქონე პატიმრებთან. თუმცა „იმისათვის, რომ დინამიური უსაფრთხოება იყოს ეფექტიანი, საჭიროა ის გაგებული და მიღებული იყოს დაწესებულების მენეჯმენტის მიერ და მოხდეს მისი ინტეგრირება დაწესებულების მართვასთან დაკავშირებულ ყველა აქტივობაში." [20]

---

16 ციხის მენეჯმენტის განხილვა ადამიანის უფლებების კუთხით, ციხის თანამშრომელთა სახელმძღვანელო, ენდიუ კოილი, 2009, გვ.74.

17 ციხის მენეჯმენტის განხილვა ადამიანის უფლებების კუთხით, ციხის თანამშრომელთა სახელმძღვანელო, ენდიუ კოილი, 2009, გვ. 75.

18 *"ინციდენტების მართვა პენიტენციურ დაწესებულებაში" , UN 2013, გვ-10.*

19 "ინციდენტების მართვა პენიტენციურ დაწესებულებაში" , UN 2013, გვ-15.

20 "ინციდენტების მართვა პენიტენციურ დაწესებულებაში"" , UN 2013, გვ-21-22.

სტატიკური და დინამიური უსაფრთხოების სისტემის უზრუნველყოფა უნდა ხორციელდებოდეს დაწესებულების მიერ განსაზღვრული ცალკეული პროცედურებისა და რეგულაციების არსებობით (პროცედურული უსაფრთხოება). უსაფრთხოების ინსპექტირება, რომლის დროსაც მოწმდება ინფრასტრუქტურა, აღიქმება როგორც სტატიკური უსაფრთხოების ზომა. ინსპექტირების შედეგად მიღებული ინფორმაცია უნდა იწვევდეს ცალკეული დინამიური უსაფრთხოების ზომების გატარებას. ისეთი ღონისძიებების ჩათვლით, როგორიცაა წინაღობების მოხსნა, ყოველდღიური რეჟიმის შეცვლა, შემდგომი გამოკვლევა და ა.შ. ეს არის მაღალი რისკის დაწესებულების ინფრასტრუქტურის კომპონენტები.[21] ზოგიერთ ქვეყნებში ხშირად მცირე მნიშვნელობა ენიჭება უსაფრთხოების სისტემების რეგულარულ ინსპექტირებას. ამ პირობებში დინამიური უსაფრთხოების გამოყენებას შეუძლია გაანეიტრალოს, დააბალანსოს სუსტი ინფრასტრუქტურით გამოწვეული შედეგები.

ზემოთ მითითებული ფაქტორების გათვალისწინებით, პატიმრებსა და თანამშრომლებს შორის პოზიტიური კომუნიკაციის არსებობა შესაძლოა განხილულ იქნას პენიტენციური სისტემის უმთავრეს საფუძვლად. ცალკეული პატიმრებით, მათი კეთილდღეობით დაინტერესება, არის პატივისცემაზე დაფუძნებული ურთიერთობის საფუძველი, სადაც დაცულია ბალანსი ძალაუფლებას, კონტროლსა და სამართლიანობას შორის. ამგვარი ურთიერთობები წარმოადგენს, აგრეთვე ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობის პატივისცემის მნიშვნელოვან პლატფორმას. მიზანშეწონილია „თანამშრომლების გადამზადება ისეთ საკითხებში, როგორიცაა კომუნიკაციის უნარები, კონფლიქტების გადაწყვეტა და პრობლემების გადაჭრა.“[22]

**როგორც უკვე აღვნიშნეთ, სტატიკური უსაფრთხოების ელემენტებს წარმოადგენს ფიზიკური უსაფრთხოების ფაქტორები, რომლის მართვაც ხორციელდება დინამიური და პროცედურული უსაფრთხოების ელემენტების გამოყენებით. მნიშვნელოვანია სტატიკური უსაფრთხოების სტანდარტებთან დაკავშირებით არსებული საერთაშორისო სტანდარტების უფრო დეტალური მიმოხილვა. აქ წარმოდგენილი არის სტატიკური უსაფრთხოების სხვადასხვა ელემენტები, რომლებიც მნიშვნელოვანია გათვალისწინებულ იქნეს პენიტენციური დაწესებულების ფუნქციონირებისას, თუმცა სტატიკური უსაფრთხოების კონკრეტული ელემენტების გამოყენება დამოკიდებულია თითოეული დაწესებულების სპეციფიკაზე და ზოგადად არსებულ რესურსებზე.**

## პერიმეტრის უსაფრთხოება

უსაფრთხო პერიმეტრი საზოგადოებას უქმნის განცდას, რომ პატიმრები მოთავსებულნი იქნებიან პენიტენციურ დაწესებულებაში და არ მიეცემათ საზოგადოებისთვის ზიანის მიყენების შესაძლებლობა. უსაფრთხო პერიმეტრი ასევე მიანიშნებს პატიმრებს, რომ პატიმრობიდან გაქცევის ნებისმიერი მცდელობა იქნება წარუმატებელი.

„პენიტენციური დაწესებულების უსაფრთხოების დონე უნდა შეესაბამებოდეს მასში განთავსებული პატიმრების უსაფრთხოების რისკებს. რაც უფრო მაღალია რისკი, როგორც წესი, მით მეტია ფიზიკური წინაღობების დონე, საზღვრები, რამაც ხელი უნდა შეუშალოს პატიმართა გაქცევას და დაწესებულებაში კონტროლის ადეკვატური ზომების შენარჩუნებას. დაწესებულებაში განთავსებული პატიმრების, მათ შორის მათგან მომდინარე რისკების შესწავლა წარმოადგენს პენიტენციური სისტემის უსაფრთხოებისკენ გადადგმულ მნიშვნელოვან ნაბიჯს.

### 1 დონე

პირველი დონის უსაფრთხოების დაწესებულებებს ახასიათებს პატიმართა გაქცევისაგან დაცვის ყველაზე ბევრი დონე. ეს წინაღობები ფაქტიურად წარმოადგენს პენიტენციურ დაწესებულებებს თვითონ დაწესებულების შიგნით, პატიმართაგან თავისუფალი ზონისა და უსაფრთხოების სხვა ზომების უზრუნველყოფით.

### 2 დონე

ამ ტიპის პენიტენციურ დაწესებულებებს არ აქვთ პატიმრებისაგან თავისუფალი ცენტრალური ზონა, თუმცა არის პერიმეტრის ღობე, რაც ახდენს პატიმართა პერიმეტრის ღობეზე წვდომის პრევენციას. პატიმართა გადაადგილების კონტროლისა და გაქცევის აღკვეთის მიზნით, შესაძლოა არსებობდეს სხვა ზონური ზომებიც.

---

21 “ინციდენტების მართვა პენიტენციურ დაწესებულებაში”, UN 2013, გვ-47.

22 *““ინციდენტების მართვა პენიტენციურ დაწესებულებაში”, UN 2013, გვ-47.*

### 3 დონე

ამ ტიპის დაწესებულებებში პატიმართა მიმართ არსებობს მეტი ნდობა, თუმცა უზრუნველყოფილია პატიმართა უსაფრთხო საცხოვრებელი ზონები და პერიმეტრის კედელი, რაც ხელს უშლის პატიმართა გაქცევის მცდელობებს. შესაძლოა, აგრეთვე არსებობდეს სპეციფიური ზონები სენსიტიურ ტერიტორიებზე, როგორიც არის აფთიაქი, უსაფრთხოების განყოფილება.

### 4 დონე

ამ ტიპის დაწესებულებაში განთავსებულნი არიან გაქცევის ყველაზე დაბალი რისკის მქონე პატიმრები. ხშირად ამ ტიპის დაწესებულებებს ღია ტიპის დაწესებულებებს უწოდებენ. ისინი მოიცავს მცირე ზომის საძინებლებს, რომლებიც ღამე იკეტება. პერიმეტრის ღობე უფრო მეტად არსებობს დაწესებულების ქონების საზღვრების დასადგენად, ვიდრე გაქცევის პრევენციისთვის. მოშორებით მდებარე დაწესებულებებში, ან იქ სადაც ამ ტიპის დაწესებულებების საკუთრებაშია გარშემო მდებარე მიწები, შესაძლოა საერთოდ არ ჰქონდეთ სასაზღვრო ღობეები“. [23]




ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ იმ დაწესებულებებში სადაც განთავსებული არიან მაღალი რისკის პატიმრები, პერიმეტრი ძირითადად შეესაბამება პირველ დონეს, როგორც ზემოთ არის აღნიშნული.

[23] ციხის დაგეგმვის ტექნიკური სახელმძღვანელო, *გვ. 32-33, UNOPS, 2016.*

თუმცა ბევრ ქვეყანაში არის ასევე პრაქტიკა, რომ სხვადასხვა ტიპის დაწესებულებებთან მიმართებაში ყოველთვის გამოიყენება პერიმეტრის უსაფრთხოების ყველაზე მაღალი დონე, რაც შეუსაბამოდ დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული.

### პატიმართა განთავსების ადგილი

პატიმართა განთავსების ყველა ტერიტორია უნდა იყოს უსაფრთხო და შეესაბამებოდეს საერთაშორისო სტანდარტებს. ეს ტერიტორიები შესაძლოა მოიცავდეს საკონტროლო პუნქტებს, საიდანაც თანამშრომლებს შეუძლიათ დააკვირდნენ პატიმრებს. პატიმართა განთავსების ადგილები უმჯობესია აგებული იყოს აგურის ან ბეტონის ბლოკის კონსტრუქციით, ბეტონის იატაკითა და უსაფრთხო სახურავით, ფანჯრებითა და კარებით. თავიდან უნდა იქნას აცილებული საკნის ისეთი კარის დამონტაჟება, რომელიც არ იძლევა თანამშრომელთა მხრიდან ვიზუალური დაკვირვების ან ჰაერის ცირკულირების შესაძლებლობას.

ხშირ შემთხვევაში, პენიტენციური დაწესებულებების ნაწილში, პატიმრებს ხელი მიუწვდებათ საკნის საკეტ მექანიზმებზე და წინაღობებზე, რაც ქმნის სერიოზულ უსაფრთხოების რისკებს. ეს შეიძლება თავიდან იქნეს არიდებული ახალი საკნის კარების დამონტაჟებით ან ძველის შეკეთებით. სადაც ეს არ არის შესაძლებელი, პატიმრებს უნდა მიეცეთ მითითება დაიხიონ კარიდან უკან ყველა ჯერზე, როდესაც თანამშრომლები აღებენ ან კეტავენ საკნის კარს.

თავიდან უნდა იქნას აცილებული ღია ანჯამებიანი საკნის კარის გამოყენება, რომლის ამოღებაც ადვილად არის შესაძლებელი. თავიდან უნდა იქნას ასევე აცილებული ფაიფურის ტუალეტისა და ხელსაბანი ნიჟარის დამონტაჟება, ვინადიან მათი გატეხვა ადვილია და შესაძლებელია ნამსხვრევების იარაღად გამოყენება. საწოლები უნდა იყოს ფოლადის კონსტრუქციის და მიმაგრებული უნდა იყოს იატაკზე ისე, რომ ვერ მოხდეს პატირების მიერ მათი გამოყენება ინციდენტების დროს.

### პატიმართა სასეირნო ტერიტორია

ეს არის პერიმეტრის შიგნით მდებარე ტერიტორია ღია ცის ქვეშ, რომელიც პატიმრებს შეუძლიათ გამოიყენონ რეკრეაციისთვის თანამშრომელთა მეთვალყურეობის ქვეშ. ერთდროულად აღნიშნულ ზონებში მყოფი პატიმრების რიცხვი არ უნდა აღემატებოდეს პატიმართა იმ რაოდენობას, რომელმაც შესაძლოა გაართულოს რეაგირება გაუთვალისწინებელი პრობლემის წარმოშობის შემთხვევაში. სასეირნო ტერიტორია უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად უნდა შემოწმდეს, როგორც გასეირნების დაწყების წინ, ასევე მის შემდეგ.

### პაემნის/შეხვედრების ტერიტორია24

პაემნის/შეხვედრის ადგილები ისე უნდა იქნას მოწყობილი, რომ წარმოადგენდეს უსაფრთხო ტერიტორიას როგორც ვიზიტორების, ასევე პატიმრებისთვის და იძლეოდეს როგორც კონტაქტური, ასევე უკონტაქტო ვიზიტების შესაძლებლობას. უნდა ხორციელდებოდეს აღნიშნული ტერიტორიის მეთვალყურეობა, რათა უზრუნველყოფილი იქნას მხოლოდ ნებადართული კონტაქტი და თავიდან იქნას აცილებული აკრძალული ნივთების გადაცემა პატიმრებისთვის. ვიზიტის განხორციელებამდე და მის შემდეგ უნდა მოხდეს აღნიშნული ტერიტორიის შემოწმება.

### პენიტენციური დაწესებულების სხვა შენობები

აღნიშნული ტერიტორიები აგებული უნდა იყოს დადგენილი სტანდარტებით, გააჩნდეს გისოსები ფანჯრებზე და უსაფრთხო კარები. ისინი არ უნდა იყოს განლაგებული პატიმართა საცხოვრებელთან ახლოს.

<u>ადმინისტრაცია</u>

როგორც წესი, ადმინისტრაცია აერთიანებს რამდენიმე სპეციალიზებულ ტერიტორიას, როგორიცაა პირადი საქმეების განთავსების ადგილი, პატიმართა პირადი ნივთების შესანახი ოთახი და ა.შ. თანამშრომლებსა და სხვა თანამდებობის პირებს უნდა შეეძლოთ აღნიშნულ ტერიტორიაზე შესვლა პენიტენციური დაწესებულების დაცულ ტერიტორიაზე გავლის გარეშე.

24 *იგულისხმება შეხვედრების ოთახი გამომძიებლებთან, ადვოკატებთან, სასულიერო პირებთან. ასევე, ნებისმიერი ტიპის პაემანი - ხანმოკლე, საოჯახო და ა.შ.*

სამზარეულო/სასადილო
უნდა არსებობდეს საკვების შესანახი უსაფრთხო ადგილი, საკვების მომზადებისა და სამზარეულო აღჭურვილობის, მათ შორის დანების ან სხვა ბასრი საგნების უსაფრთხოდ გამოყენების ზედამხედველობის შესაძლებლობა. პატიმრებს არ უნდა ჰქონდეთ სხვა პატიმრებისთვის მისაწოდებელი საკვების რაოდენობის კონტროლის, აგრეთვე საკვების შენახვის ადგილზე და სამზარეულო ინვენტარზე უკონტროლო წვდომის შესაძლებლობა.

სარდაფი/საწყობი
აღნიშნულ ტერიტორიაზე ხელმისაწვდომობა მკაცრად უნდა გაკონტროლდეს. იგი არ უნდა ესაზღვრებოდეს პატიმართა საცხოვრებელ ადგილებს.

სამედიცინო პუნქტი
ეს არის ტერიტორია, სადაც პატიმრებს შესაძლოა ჰქონდეთ ხელმისაწვდომობა წამლებზე, სამედიცინო აღჭურვილობაზე და სამედიცინო პირად ჩანაწერებზე. ეს ტერიტორია უნდა აკმაყოფილებდეს იგივე სტანდარტებს, რასაც პატიმართა საცხოვრებელი ზონა. მედიკამენტები და პაციენტთა სამედიცინო დოკუმენტები სათანადოდ უნდა იქნას დაცული. პატიმრების ხელმისაწვდომობა აღნიშნული ტერიტორიების მიმართ მკაცრად უნდა გაკონტროლდეს.

## განსაკუთრებით დაცული, უსაფრთხო ზონები

პენიტენციური დაწესებულების ტერიტორიაზე არსებობს კონკრეტული წერტილები, რომლებიც უნდა იყოს განსაკუთრებული კონტროლის ქვეშ და უზრუნველყოფილი უნდა იყოს დაცვის მაღალი სტანდარტით. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დაწესებულების ფუნქციონირების ნაწილობრივი ან სრული მოშლის შემთხვევაში, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს სხვადასხვა ფაქტორებით. ამ წერტილებზე ხელმისაწვდომობა შეზღუდული უნდა ჰქონდეთ, როგორც პატიმრებს, ასევე დაწესებულების პერსონალს, ვისაც აღნიშნულ ლოკაციებზე წვდომის სამსახურებრივი საჭიროება არ აქვს.

ელექტრო კომუნიკაციის და კონტროლის ცენტრი
შესაძლოა არსებობდეს ერთი ან რამდენიმე ტერიტორია, საიდანაც დაწესებულების თანამშრომლები აკვირდებიან ტერიტორიას, იყენებენ და ინახავენ ჩამწერ მოწყობილობას, ააქტიურებენ და პასუხობენ განგაშის სიგნალს. ეს არის დაცული ზონა/მაღალი უსაფრთხოების ტერიტორია დაწესებულების შიგნით. აღნიშნული ოთახი ხშირად ხდება საკონტროლო წერტილი ინციდენტების დროს და წარმოადგენს ცენტრალურ წერტილს კომუნიკაციებისა და თანამშრომელთათვის შეტყობინებების გადაცემისთვის.

რიგ პენიტენციურ დაწესებულებებში შენობები დანომრილია და თვალსაჩინოდ არის იდენტიფიცირებადი როგორც გარედან, ასევე შიგნიდან. ასეთი პრაქტიკა ეხმარება გარე ინსტიტუციებს, რომლებიც დახმარებას უწევენ პენიტენციურ დაწესებულებას ცალკეული ინციდენტების დროს.

ელექტრონული მეთვალყურეობის სისტემა შესაძლოა მოსახერხებელი იყოს პატიმრებისა და თანამშრომლების ზედამხედველობისთვის, იმის უზრუნველსაყოფად, რომ დაწესებულების მართვა დადგენილი წესით ხორციელდება. ელექტრონული მეთვალყურეობის სისტემა შესაძლოა, ასევე მიზნად ისახავდეს ცალკეული ინციდენტების ჩაწერას, მათი მტკიცებულებად გამოყენების მიზნით. ვიდეოკამერები შესაძლოა იყოს სტატიკური და მიმართული იყოს კონკრეტული ტერიტორიისკენ, ან იყოს მოძრავი და შესაძლებელს ხდიდეს მთელი ოთახის დანახვას, იძლეოდეს კადრის მიახლოების შესაძლებლობას, მაგალითად ვიზიტების ოთახში არსებული მაგიდების მიმართულებით, რათა გამოირიცხოს უკანონო ნივთების შესაძლო გადაცემის ფაქტები. ვიდეოკამერა შესაძლოა მიმართული იყოს პატიმრებისგან თავისუფალ ტერიტორიაზე, კონკრეტული მოძრაობის, უსაფრთხოების ხელყოფის ფაქტების დასაფიქსირებლად. ტექნოლოგიური შესაძლებლობების დონის გათვალისწინებით, ინფრაწითელი კამერები სასარგებლოა ღამის პერიოდში ვიდეოჩაწერის განხორციელებისათვის. ისევე როგორც პენიტენციურ დაწესებულებაში გამოყენებული სხვა მასალები, ვიდეოკამერებიც უნდა უძლებდეს ზემოქმედების გარკვეულ მცდელობებს[25].

განგაშის სისტემა
განვითარებულ ქვეყნებში, პენიტენციურ დაწესებულებებს აქვთ განგაშის სისტემა, რომელიც თანამშრომლებს აწვდის ინფორმაციას ხანძრის ან სხვა ინციდენტის შესახებ. ისევე როგორც

---
25 *ციხის დაგეგმვის ტექნიკური სახელმძღვანელო, გვ. 37, UNOPS, 2016.*

სხვა ელექტრონული სისტემების შემთხვევაში, ყურადღება უნდა მიექცეს აღნიშნული სისტემის გამართულობის უზრუნველყოფას. არ უნდა მოხდეს ისეთი სისტემების დამონტაჟება, რომლის ფუნქციონირების უზრუნველყოფაც ვერ მოხერხდება. სისტემებისთვის, რომელთა ფუნქციონირებაც დამოკიდებულია ელექტროენერგიაზე გათვალისწინებული უნდა იქნას ელექტროენერგიის ხარისხი და მისი უსაფრთხოება, ან ალტერნატიული საშუალებების გამოყენება, როგორიცაა სათადარიგო გენერატორი, რაც შესაძლოა დამატებით ხარჯებს იწვევდეს.

განგაშის სისტემის ზოგიერთი საშუალება შესაძლოა მოიცავდეს ღილაკებს, რომლებიც განლაგებულია დაწესებულების სტრატეგიულ წერტილებში; საგანგებო სატელეფონო სისტემას, რომელიც ძირითადი ხაზისგან დამოუკიდებლად არსებობს; რადიო სისტემას რადიო მიმღებებზე განგაშის ღილაკებით. სირენებსა და ზარებს, რომლებიც დაკავშირებულია განგაშის ძირითად სისტემასთან. შეგვიძლია განვიხილოთ განგაშის სხვადასხვა სახის საშუალებები:

- **დასაჭერი განგაშის სისტემები** განლაგებულია დაწესებულების სტრატეგიულ წერტილებში, რათა თანამშრომლებმა მოახერხონ განგაშის ღილაკის დაჭერა ინციდენტის წარმოქმნის შემთხვევებში. ღილაკები დაკავშირებულია კონტროლის ოთახთან, რომელიც ახდენს იდენტიფიცირებას სად მოხდა განგაშის ღილაკის გააქტიურება. კონტროლის ოთახიდან შესაძლებელია ინფორმაციის მიწოდება თანამშრომლებისთვის რადიოგადამცემის, საგანგებო სიტუაციების ტელეფონის ან განგაშის ზარების საშუალებით;

- **საგანგებო სიტუაციების სატელეფონო სისტემა** არსებობს ძირითადი სატელეფონო სისტემისგან დამოუკიდებლად. ის აკავშირებს კონტროლის ოთახს ყველა ძირითად პუნქტთან (საცხოვრებელი ზონები, სამუშაო ზონები, სამზარეულო, ჯანმრთელობის დაცვის პუნქტები). აღნიშნული ტელეფონები სხვა ტელეფონებისაგან შესაძლოა განსხვავდებოდეს ფერით, ან ზარით. უნდა არსებობდეს საკონტროლო ოთახთან დასაკავშირებელი ადვილად დასამახსოვრებელი სატელეფონო ნომერი;

- **დაწესებულების რადიოკავშირი** იძლევა განგაშის რადიო სისტემით გადაცემის შესაძლებლობას. ზოგიერთ რადიოს შეუძლია რადიოს ლოკაციის იდენტიფიცირება, რათა კონტროლის ოთახს დაეხმაროს ინციდენტის ადგილის დადგენაში. რადიო სისტემა შესაძლოა აღჭურვილი იყოს განგაშის დაბალი სიხშირის ბგერითი სიგნალით, თანამშრომლებისთვის გადასაცემი სასწრაფო ინფორმაციის აღსანიშნავად. შესაძლოა საკონტროლო ოთახშიც იყოს საგანგებო სიტუაციების გარე სამსახურებთან შემაერთებელი რადიო სისტემის არსებობის საჭიროება;

- **სირენები (საყვირები) და ზარები** შესაძლოა მიერთებული იყოს ძირითად განგაშის სისტემასთან, რათა უზრუნველყოს თანამშრომელთა ყურადღების მიპყრობა ინციდენტის მიმართ;

- **გასაღებების განგაშის სიტემა** შესაძლოა დამონტაჟდეს, რათა მისცეს განგაშის სიგნალი მთავარი შესასვლელი კარის (საკონტორლო-გამშვები პუნქტის) მცველებს[26], თუ თანამშრომელი ტოვებს შენობას და თან აქვს დაწესებულების გასაღებები[27].

<u>პერსონალური მონაცემების დაცვა</u>

დაწესებულებებში, როგორც წესი მუშავდება და ინახება მონაცემები, როგორც პატიმრის, ასევე პერსონალის შესახებ (პირადი საქმეები, სხვადასხვა სახის ჩანაწერები და ა.შ.). ასეთი სახის მონაცემები შესაძლოა მუშავდებოდეს ავტომატური (ელექტრონული) და არაავტომატური გზით. ასეთი სახის მონაცემები (როგორც სერვერები, ასევე კონკრეტული მასალები) უნდა ინახებოდეს განსაკუთრებით დაცულ ადგილას და მასზე ხელმისაწვდომობა არ უნდა ჰქონდეთ გარეშე პირებს. მისი დაცულობა განსაკუთრებით უნდა იყოს უზრუნველყოფილი კრიზისული სიტუაციების დროს. სასურველია არსებობდეს ინფორმაციის პარალელურად ორ წერტილზე შენახვის პრაქტიკა (ე.წ "Backup") .

<u>კომუნალური მოწყობილობები</u>

დაწესებულება უნდა ეცადოს ჰქონდეს ალტერნატიული ელექტროენერგიის წყარო (დიზელ გენერატორი, მზის ენერგია და ა.შ). უნდა არსებობდეს, აგრეთვე დამოუკიდებელი და სანდო წყლის მიღების წყარო. მიზანშეწონილია, რომ ამ მოწყობილობების მართვის ცენტრი ლოკალიზებული იყოს უსაფრთხო, განსაკუთრებულად დაცულ ადგილას.

<u>კარის ჩამკეტი მექანიზმები</u>

[26] *ქართული კანონმდებლობით გარე დაცვის სამსახურის გუშაგი, უსაფრთხოების სამსახურის ოფიცერი ან/და რეჟიმის ინსპექტორი.*
[27] *ციხის დაგეგმვის ტექნიკური სახელმძღვანელო, გვ. 36, UNOPS, 2016.*

პენიტენციური დაწესებულება უზრუნველყოფილი უნდა იყოს ჩამკეტი სისტემებით, რომლებიც ასახავს უსაფრთხოების საჭირო ზომას, წესრიგისა და პატიმართა გადაადგილებაზე კონტროლის უზრუნველსაყოფად. შესაძლოა გამოყენებული იქნას როგორც მექანიკური, ისე ელექტრონული სისტემები. ბევრ პენიტენციურ დაწესებულებაში იყენებენ შერეულ სისტემას, რათა უზრუნველყონ უსაფრთხოების აუცილებელი დონე.

ელექტრო ჩამკეტ სისტემას შეუძლია პატიმართა გადაადგილების ეფექტიანი კონტროლის შემოთავაზება. პიკის საათებში ისინი ასევე საჭიროებენ ნაკლებ თანამშრომელს დაკეტვისა და გაღებისთვის (მაგ: დილით კარის გაღება და საღამოს ჩაკეტვა). ელექტრო კარები შესაძლოა განსაკუთრებით მოსახერხებელი იყოს ძირითად შემოსასვლელში მანქანებისა და ფეხით შემსვლელებისათვის. თუმცა ელექტრო ჩამკეტები შესაძლოა გამოყენებული იყოს მხოლოდ მაშინ, თუ ხელმისაწვდომია ელექტროენერგია, სისტემა სანდოა, და მოქმედებს შეკეთებისა და ფუნქციონირების უზრუნველყოფის ღონისძიებები.

ხელით ჩასაკეტი (მექანიკური) სისტემები განსხვავდება ქვეყნების მიხედვით. ზოგიერთი სისტემა კვლავ იყენებს ბოქლომებს, მაშინ როდესაც სხვაგან არის უფრო რთული ჩამკეტები და გასაღების სისტემები. ბოქლომები განსაკუთრებით ადვილი დასაზიანებელია, ამიტომ თანამედროვე პენიტენციურ დაწესებულებებში უპირატესობა უნდა მიენიჭოს შესაბამის საკეტებსა და გასაღებების სისტემას. ასეთი სისტემები შესაძლოა ძვირი იყოს, თუმცა ისინი უფრო მდგრადია ზეწოლის მიმართ და უფრო გამძლეა. ქვემოთ განხილულია მათი რამდენიმე სახეობა.

<u>1 სახეობა</u>

აღნიშნული ტიპის გასაღებები უზრუნველყოფენ უსაფრთხოების უმაღლეს ხარისხს. ისინი ძირითადად განთავსებულია განყოფილებების (სექტორების, კორპუსების) შესასვლელში, შიდა პერიმეტრის კართან, ცალკეული ზონების კართან, რომლებიც იცავს მაღალი უსაფრთხოებისა და მოწყვლადობის ზონებს. ორმაგი საკეტები გამოიყენება, როდესაც დაწესებულებაში არის ღამის დრო და თანამშრომელთა რიცხვი დაწესებულებაში საგრძნობლად შემცირებულია. მათი გამოყენება შესაძლებელია აგრეთვე გაქცევის მყისიერი საფრთხის არსებობის დროს. ორმაგი ჩაკეტვის სისტემა განსაკუთრებით სასარგებლოა, როდესაც ადგილი აქვს გასაღების დაკარგვას ან პატიმრებმა მოახერხეს ძირითადი გასაღების დუბლიკატის დამზადება.

<u>2 სახეობა</u>

გასაღებების ეს ტიპი არის პირველი ტიპის მსგავსი, თუმცა მისგან განსხვავებით არ აქვს ორმაგი ჩაკეტვის სისტემა. ეს სისტემა ძირითადად გამოიყენება დიდი ხის კარის ჩასაკეტად, რომლებიც იცავს პირველი ტიპის საკეტი სისტემით უზრუნველყოფილ ჭიშკარს. ეს სისტემა წარმოადგენს დაცვის დამატებით ფენას და შესაძლოა დამონტაჟებული იყოს სექტორებს (კორპუსებს) შორის არსებულ კარებზე, მაგალითად საცხოვრებელი და სამუშაო ზონის შიგნით, ისევე როგორც დაწესებულების გარშემო ძირითადი ზონების განსაზღვრისთვის. კარგ ამინდში, აღნიშნული კარი შესაძლოა იყოს ღია, თუმცა უნდა მოქმედებდეს შესაბამისი მოწყობილობები, რომლებიც უზრუნველყოფს კარის ღია მდგომარეობაში დაფიქსირებას.

<u>3 სახეობა</u>

მესამე ტიპის საკეტები გამოიყენება ოთახების კარებისთვის, ნივთების შესანახი ოთახების კარების დასაკეტად, სადაც ინახება დაბალი რისკის მქონე მასალები, თანამშრომელთა საპირფარეშოების, საკლასო ოთახების ჩასაკეტად. შესაძლებელია პენიტენციურ დაწესებულებაში რამდენიმე ამ ტიპის გასაღების არსებობა, რათა ლიმიტირებული იყოს ცალკეულ ტერიტორიებზე მხოლოდ უფლებამოსილი პირების წვდომა.

<u>4 სახეობა</u>

მეოთხე ტიპის საკეტები გამოიყენება საკნებისთვის. მათ შესაძლოა ჰქონდეთ ხრახნიანი სატრიალებელი, რაც ცხადად მიუთითებს, რომ გარშემო მოთავსებულია ჭანჭიკი, რომელიც ჩამაგრებულია კარის ჩარჩოში. საკეტს ასევე შესაძლოა ჰქონდეს ღილაკი, რაც შესაძლებლობას მისცემს თანამშრომლებს ჭანჭიკები დააფიქსირონ ღია მდგომარეობაში, კარის ჩარჩოს გარეთ, რომ თანამშრომლებმა შეძლონ საკანში შესვლა ისე, რომ არ ეშინოდეთ შიგნით ჩაკეტვის. იმისათვის, რომ დაწესებულებაში, სადაც იყენებენ ხელის (მექანიკურ) საკეტებს, უზრუნველყოფილი იყოს უსაფრთხოება, თანამშრომლებს ხელი უნდა მიუწვდებოდეთ მხოლოდ იმ გასაღებებზე, რომლებიც მათ საკუთარი მოვალეობების შესრულებისთვის ესაჭიროებათ. მაგალითად რეჟიმზე პასუხისმგებელ თანამშრომელს შესაძლოა ხელი მიუწვდებოდეს საკნის გასაღებზე, მაშინ როდესაც ფსიქოლოგს შესაძლოა ასეთი გასაღები საერთოდ არ ესაჭიროებოდეს. დაწესებულებაში უნდა არსებობდეს

საგანგებო სიტუაციების ზომები, რათა საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფილი იქნას უსაფრთხო ევაკუაცია სტიქიური უბედურებების ან ხანძრის დროს. ეს ზომები უნდა ეხებოდეს აგრეთვე გასაღებების ადგილმდებარეობის შესახებ ინფორმირებულობას[28].




გასაღებების კონტროლი, ასევე გულისხმობს პროცედურებსა და პრაქტიკას, რომელიც უზრუნველყოფს, რომ გასაღებები (განსაკუთრებით უსაფრთხოების სისტემის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული) ექვემდებარებოდეს კონტროლს და ინახებოდეს დაცულ ადგილას. პროცედურები და პრაქტიკა უნდა არეგულირებდეს გასაღებების შენახვას, აღრიცხვას, დამზადებას, მიღებასა და გამოყენებას.

გარდა ამისა, პენიტენციური დაწესებულების გასაღებები და საკეტები უსაფრთხოების თვალსაზრისით შესაძლოა დაიყოს შემდეგ კატეგორიებად:

1. ძალიან მაღალი უსაფრთხოების - დაპატენტებული გასაღები ან საკეტი მრავალი უსაფრთხოების დეტალით, რომლის მოპოვება შესაძლებელია მხოლოდ მწარმოებლისგან და რომლის ასლის გაკეთებაც შეუძლია მხოლოდ მწარმოებელს შესაბამისი ნებართვის მიღების შემდეგ;

2. მაღალი უსაფრთხოების – დაპატენტებული გასაღები ან საკეტი შედარებით ნაკლები უსაფრთხოების დეტალით და გასაღებით, რომლის ასლის გაკეთება შეუძლია მხოლოდ მწარმოებელს;

3.საშუალო უსაფრთხოების – გასაღები და საკეტი შესაძლოა შეძენილი იქნას სპეცილისტ მიმწოდებლისგან და მისი დუბლიკატის გაკეთება საჭიროებს სპეციალურ აღჭურვილობას;

4. დაბალი უსაფრთხოების – სტანდარტული, დაბალი ხარისხის გასაღებები და საკეტები, რომელთა შეძენა შესაძლებელია ნებისმიერი საცალო გამყიდველისგან და რომლის ასლიც ადვილად მზადდება.

საკეტებისა და გასაღებების კატეგორია უნდა განისაზღვროს დაწესებულების უსაფრთხოების მოთხოვნებისა და ხელმისაწვდომი რესურსების შესაბამისად.

გასაღებების სათადარიგო ასლები უნდა ინახებოდეს უსაფრთხო ადგილას და უნდა გამოიყენებოდეს დაკარგული ან დაზიანებული გასაღებების ჩასანაცვლებლად, ასევე დამატებითი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ინციდენტის მართვის დროს.

საიარაღო

ეს არის დაცული ტერიტორია სადაც ინახება ცეცხლსასროლი იარაღი და სპეციალური საშუალებები (იმ შემთხვევაში, თუკი დაწესებულებაში არის ასეთი სახის საიარაღო). ეს ტერიტორია საჭიროებს უსაფრთხოების ძალიან მაღალ დონეს, ლიმიტირებული ხელმისაწვდომობის, დამატებითი წინაღობებისა და საკეტების დამონტაჟების ჩათვლით. აღნიშნული ტერიტორია არ უნდა იყოს განლაგებული ადგილზე, რომელიც ხელმისაწვდომია პატიმრებისთვის. იგი უნდა იყოს განთავსებული განსაკუთრებით დაცულ ადგილას.

[28] *ციხის დაგეგმვის ტექნიკური სახელმძღვანელო,გვ. 34-35, UNOPS, 2016.*

**დაწესებულებების სპეციფიკის გათვალისწინებით, შეიძლება განისაზღვროს სხვა წერტილებიც, რომლებიც შესაძლოა მოექცეს განსაკუთრებული დაცვისა და მეთვალყურეობის ქვეშ.**

## სტატიკური უსაფრთხოების სხვა კომპონენტები

<u>საფეხურიანი მიწისქვეშა სივრცეები საგანგებო სიტუაციებისთვის</u>
პენიტენციური დაწესებულების შენობები, სადაც განთავსებულნი მაღალი რისკის პატიმრები, შესაძლოა საჭიროებდნენ საფეხურიანი მიწისქვეშა სივრცეების არსებობას, რათა თანამშრომლებმა მოახერხონ შენობაში შეღწევა საგანგებო მდგომარეობების, მაგ: ბუნტის დროს. აღნიშნულ სივრცეს უნდა ჰქონდეს კარი, რომელიც შიგნით იღება, რათა არ მოხდეს მათზე ბარიკადის ორგანიზება პატიმრების მხრიდან.

<u>პატიმრებისაგან თავისუფალი ზონები</u>
მიწის ვიბრაციის განმსაზღვრელი მოწყობილობები, მოძრაობის შემნიშვნელი მსუბუქი გამოსხივების სენსორები და ინფრაწითელი მოწყობილობები შესაძლოა განთავსდეს პატიმრებისგან თავისუფალ ზონებში, რათა მოახდინოს პატიმრების გამოაშკარავება გაქცევის მცდელობის დროს, განსაკუთრებით ღამით.

<u>სადრენაჟე მილები</u>
პატიმართა სახურავზე მოხვედრის თავიდან ასაცილებლად, შესაძლოა მილის გარშემო  მოთავსდეს შვერილები. ასევე შესაძლებელია დამონტაჟდეს სამაგრები, რომლებიც ადგილზე დააფიქსირებს მილს, თუმცა ვერ გაუძლებს ადამიანის წონას.

<u>კაბელები</u>
კედლებისა და შენობის გვერდზე არსებობისას, კაბელები ისე მჭიდროდ უნდა იყოს დამონტაჟებული კედელთან, რომ პატიმრებს არ მიეცეთ მათი გამოყენების შესაძლებლობა.

<u>კიბის შესანახი ადგილი</u>
ციხეში ყოველთვის უნდა მიექცეს ყურადღება კიბეების შენახვას. კიბეების შესანახად შესაძლოა გამოყენებული იქნას უსაფრთხო ტერიტორიაზე მოთავსებულ შესანახი სივრცე.

<u>ორმაგი ჭიშკრები და კარები: იატაკის ჭანჭიკები</u>
ორმაგი ჭიშკრები და კარები ისე უნდა იქნას დაპროექტებული, რომ პატიმრებმა ვერ მოახერხონ გაქცევის მიზნით, იატაკზე მდებარე ორივე ჭანჭიკის ერთდროულად ამოძრობა და შემდეგ მიწოლით შესასვლელის გათავისუფლება[29].

[29] ციხის დაგეგმვის ტექნიკური სახელმძღვანელო, გვ. 37, UNOPS, 2016.

## თავი: 2

# პატიმრის მიღება და განთავსება

*მეორე თავი*

# პატიმრის მიღება და განთავსება

## საერთაშორისო სტანდარტები და პრაქტიკა

პენიტენციურ სისტემაში არსებობენ პატიმრები, რომლებიც საჭიროებენ მაღალი უსაფრთხოების პირობებში მოთავსებას. ამ პატიმრების მართვა მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს დაწესებულებების ადმინისტრაციისთვის, რომლებმაც უნდა მიაღწიონ ბალანსს შემდეგ ფაქტორებს შორის: საფრთხე, რომლებსაც პატიმრები ქმნიან საზოგადოებისთვის დაწესებულებიდან თავის დაღწევის შემთხვევაში, საფრთხე, რომელსაც ისინი წარმოადგენენ დაწესებულების შიგნით არსებული წესრიგისთვის (რეჟიმისათვის) და სახელმწიფოს ვალდებულება, რომ ყველა პატიმარს მოეპყროს ღირსეულად და ჰუმანურად (რაც უკვე განხილულ იქნა შესავალ ნაწილში).

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ხშირ შემთხვევაში ზოგიერთი პატიმარი, რომელიც იმყოფება მაღალი უსაფრთხოების პირობებში, მთელი რიგი მიზეზებიდან გამომდინარე, რეალურად მოთავსებული უნდა იყოს უფრო დაბალი უსაფრთხოების პირობებში. მაღალი რისკის პატიმრები გამუდმებით უნდა იყვნენ უშუალო მეთვალყურეობის ქვეშ და მათი გადაადგილების თავისუფლება, ისევე როგორც სხვა ადამიანებთან კონტაქტი უნდა განხორციელდეს თანამშრომელთა უშუალო მეთვალყურეობით. სწორი განხორციელების შემთხვევაში, მაღალი უსაფრთხოების პირობების უზრუნველყოფა მოითხოვს დიდ ფინანსურ, ტექნიკურ და ადამიანურ რესურსებს.

დაწესებულების ადმინისტრაციის შესაძლებლობა პატიმრებს მოექცეს როგორც ინდივიდებს ან ინდივიდთა ჯგუფებს, და არა როგორც ერთ ჰომოგენურ ჯგუფს, ეფექტური კლასიფიკაციისა და განცალკევების პროცესის გამოყენებით, ხელს უწყობს დაწესებულებაში წესრიგის შენარჩუნებას და პატიმართა რეაბილიტაციის პროცესს. თუმცა სხვადასხვა კატეგორიის პატიმართა ფიზიკურად განცალკევების შესაძლებლობა დამოკიდებულია დაწესებულების ინფრასტრუქტურასა და გადატვირთულობის დონეზე. სამწუხაროდ, ბევრი პენიტენციური დაწესებულება ეფექტურ ფიზიკურ განცალკევებას ვერ ახერხებს.[30]

რისკების შეფასებამ შესაძლოა დაწესებულების ადმინისტრაციას მისცეს დაწესებულების მართვის ყველაზე მისაღები ფორმის არჩევის შესაძლებლობა, მათ შორის ისეთი საკითხების გადაწყვეტის საშუალება როგორიცაა პატიმართა განთავსება დაწესებულების შიგნით და საჭირო ზედამხედველობის დონე. პატიმრების კლასიფიცირება უნდა მოხდეს მათი მიღებისას და შემდეგ რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენის დადგომისას, რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს პატიმრის მართვაზე.

ეფექტური კლასიფიკაციის პროცესი ეფუძნება ინდივიდის საჭიროებებს და უპირისპირდება ტრადიციულ, ყველა პატიმრის მიმართ მსგავსი მოპყრობის მიდგომას. ყველა პატიმრის მიმართ იმგვარად მოპყრობა, თითქოს ისინი წარმოადგენენ თანაბარ რისკს არის უსამართლო და წარმოადგენს რესურსების არაეფექტიან გამოყენებას.

საჭიროა არსებობდეს ნათელი, კარგად განსაზღვრული სისტემა იმის იდენტიფიცირებისთვის, თუ რომელი პატიმარი უნდა განთავსდეს მაღალი უსაფრთხოების დაწესებულებაში. რისკის დონე, რომელსაც წარმოადგენს პატიმარი უნდა შეფასდეს ინდივიდუალურად განგრძობად და რეგულარულ საფუძველზე.

ბევრ ქვეყანაში არსებობს უსაფრთხოების სხვადასხვა დონეები, რომლებიც პირობითად შესაძლოა სამ კატეგორიად დაიყოს (თუმცა შესაძლებელი უფრო მეტად დიფერენცირებაც):

- **უსაფრთხოების მინიმალური დონე**. გამოყენებული უნდა იქნას იმ პატიმრების მიმართ, რომლებიც მცირედ საფრთხეს წარმოადგენენ, ან არ წარმოადგენენ საფრთხეს საზოგადოებისთვის, რომელთა გაქცევის რისკიც არ არსებობს. ამ პირობებში, ფიზიკური უსაფრთხოების დონე არის დაბალი. უმეტეს შემთხვევაში არ არსებობს პერიმეტრის უსაფრთხოება. შიდა უსაფრთხოება შემოიფარგლება მხოლოდ საცხოვრებელი ოთახების კარის დაკეტვით ღამის საათებში. ასეთ პირობებში შესაძლოა მოხდეს არაძალადობრივი დანაშაულისთვის მსჯავრდებულ პირთა, აგრეთვე იმ პატიმართა განთავსება, რომლებიც დიდი ხნის მანძილზე იხდიდნენ სასჯელს და უახლოვდებიან გათავისუფლების თარიღს.

---

[30] "ციხის ინციდენტების მართვა", UN 2013.

- **უსაფრთხოების საშუალო დონე**. ამგვარი პირობები შეესაბამება პატიმრების უმრავლესობის საჭიროებებს, რომლებსაც შესაძლოა არ აქვთ გადაწყვეტილი გაქცევა, არ არღვევენ წესრიგს (რეჟიმს), თუმცა მათ მიმართ არ არსებობს საკმარისი ნდობა მინიმალური უსაფრთხოების დაწესებულებაში განთავსებისთვის. ეს პირობები, როგორც წესი გულისხმობს უსაფრთხო პერიმეტრს, როგორიც არის ღობე. ყველა შიდა კარი ჩვეულებრივ დაკეტილია, თუმცა პატიმრებს შეუძლიათ დაწესებულების ტერიტორიაზე გადაადგილება უშუალო ზედამხედველობის გარეშე.

- **უსაფრთხოების მაქსიმალური დონე**. ეს პირობები გულისხმობს, რომ გაქცევა ფაქტიურად შეუძლებელია და შესაძლოა გამოყენებული იქნას განსაკუთრებით საშიში პატიმრების მიმართ. ამ ტიპის დაწესებულებებში არსებობს ფიზიკური უსაფრთხოების მაღალი სტანდარტი, როგორც პერიმეტრის მიმდებარე ტერიტორიაზე, ასევე დაწესებულების შიგნით. პატიმართა გადაადგილება დაწესებულებაში ხდება თანამშრომლების თანხლებითა და უშუალო მეთვალყურეობით, საჭიროების შემთხვევაში სათითაოდ. ნებისმიერი სისტემის პირობებში, პატიმრების მხოლოდ მცირე ნაწილი საჭიროებს ამგვარ პირობებში განთავსებას.

რისკების სხვადასხვა დონე შესაბამისად მოითხოვს უსაფრთხოების სხვადასხვა დონეს. ყველა დაწესებულებაში შემსვლელი პატიმრის რისკისა და უსაფრთხოების დონის შემოწმება უზრუნველყოფს, რომ დაწესებულებას ჰქონდეს მისთვის საჭირო ინფორმაცია ნებისმიერ ინდივიდზე, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს, რომ ნებისმიერი წესრიგის (რეჟიმის) დარღვევა იქნება აღკვეთილი და დაწესებულების ხელმძღვანელობას ექნება შესაძლებლობა თანამშრომლები სწრაფად გადააჯგუფოს იმ ტერიტორიაზე, რომელიც მეტ ყურადღებას საჭიროებს. არსებობს რისკების სხვადასხვა სახეები (მაგ: გაქცევის რისკი, სხვა პატიმრებს შორის ძალადობის რისკი, საკუთარი თავის ან დაწესებულების თანამშრომელთა დაზიანების რისკი და ა.შ.). პატიმართა განცალკევება, გამოიყენება, როგორც დაწესებულების ეფექტური მართვის საშუალება. ზოგჯერ დაბალი რისკის პატიმარი შესაძლოა მოგვიანებით გახდეს მაღალი რისკის მატარებელი და საჭირო გახდეს მისი სხვა დაწესებულებაში გადაყვანა. მნიშვნელოვანია, რომ მუდმივად ხდებოდეს პატიმრების რისკის შეფასება, ამის ეფექტურ გზას კი წარმოადგენს პატიმრებსა და თანამშრომლებს შორის არსებული ურთიერთობა. რისკების შეფასებისას, ასევე მხედველობაში უნდა მივიღოთ ის ფაქტი, რომ პატიმართა გარკვეული ჯგუფი შესაძლოა იყოს სხვა პატიმრებისგან დაზიანების რისკის ქვეშ[31], რომელსაც სისტემის შიგნით არსებული სუბკულტურა განაპირობებს.

რისკის შეფასება იძლევა შესაძლებლობას მოხდეს იმ პატიმართა იდენტიფიცირება, რომლებიც საფრთხეს უქმნიან თავიანთ თავს, თანამშრომლებს, სხვა პატიმრებს ან უფრო ფართოდ, საზოგადოებას. ბევრ ქვეყანაში შექმნილია კრიტერიუმები, რომელთა მიხედვით ხორციელდება რისკების შეფასება. არის რიგი საკითხებისა, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნას რისკების შეფასების დროს[32]:

- **რისკი, რომელიც შეიძლება შეექმნას საზოგადოებას პატიმრის გაქცევის შემთხვევაში**

ზოგიერთი ინდივიდი, რომელიც იმყოფება პენიტენციურ დაწესებულებაში წარმოადგენს საფრთხეს სახელმწიფოს, ადამიანთა გარკვეული ჯგუფის ან ცალკეული ინდივიდებისთვის. ამ მიზეზით, უნდა გადაიდგას ყველა შესაძლო ნაბიჯი, რათა უზრუნველყოფილი იყოს მათი მხრიდან ლეგიტიმური პატიმრობიდან თავის დაღწევის აღკვეთა. აღნიშნულ პატიმრებთან დაკავშირებით ხდება იმ საფრთხის ხასიათის შეფასება, რომელსაც ისინი, როგორც ინდივიდები შექმნიან დაწესებულებიდან გაქცევის შემთხვევაში. უნდა გაანალიზდეს რამდენად არის მათთვის ხელმისაწვდომი რესურსები, როგორც დაწესებულების შიგნით, აგრეთვე მის გარეთ, რომლებიც შესაძლოა მათ გაქცევაში დაეხმაროს.

- **რისკი, რომელიც ექმნება დაწესებულებაში არსებულ წესრიგს**

პატიმართა მცირე ნაწილმა შესაძლოა არ აღიაროს დაწესებულებაში არსებული კონტროლის საჭიროება და არსებული წესები/პროცედურები და ინდივიდუალურად ან ჯგუფურად გააკეთოს ყველაფერი, რათა ხელყოს დაწესებულების ნორმალური ფუნქციონირება. შესაძლოა აღნიშნული პატიმრების სამართავად საჭირო გახდეს სპეციალური ღონისძიებების მიღება. დროდადრო შესაძლოა რომელიმე პატიმრის ქცევა პრობლემას წარმოადგენდეს დაწესებულებისთვის. ეს საკითხი შესაძლოა მოგვარდეს ჩვეულებრივი დისციპლინური ღონისძიებების გამოყენებით, დადგენილი ფორმით მოხდეს პატიმართა მოტივირება რომ დაემორჩილონ არსებულ წესებსა და რეგულაციებს,

[31] Handbook for Prison Leaders, UN on Drugs and Crime.
[32] ციხის მენეჯმენტის განხილვა ადამიანის უფლებების კუთხით, ციხის თანამშრომელთა სახელმძღვანელო, მეორე გამოცემა, გვ. 61, ენდრიუ კოილი, 2009.

მაღალი უსაფრთხოების პირობების გამოყენების გარეშე. თუმცა შესაძლოა, არც ერთი ასეთი სახის ჩარევა ეფექტიანი არ იყოს და პირი მკაცრი კონტროლის და ზედამხედველობის ქვეშ მოექცეს.

- **რისკის განსაზღვრა დანაშაულის ხასიათის მიხედვით**

ზოგჯერ არის ტენდენცია, რომ პატიმრები მაღალი რისკის დაწესებულებაში თავსდებიან ავტომატურად, მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმიდან გამომდინარე. მაგალითად, შესაძლოა ეს პრინციპი გამოიყენებოდეს ყველა იმ პირის მიმართ, რომლებიც მსჯავრდებულნი არიან მკვლელობისთვის. ზოგჯერ შესაძლოა, მაღალი რისკის დაწესებულებაში მოთავსება იყოს სასჯელის ნაწილი (მაგალითად უვადო თავისუფლების აღკვეთა), პირობა, რომლის განსაზღვრასაც ახდენს სასამართლო.

საერთაშორისო ინსტრუმენტები ნათლად აღნიშნავენ, რომ ყველა აკრძალვა/შეზღუდვა ლიმიტირებული უნდა იქნას აუცილებელი მინიმუმით. მათი განსაზღვრა უნდა მოხდეს არა ავტომატურად, არამედ ინდივიდუალური შეფასების საფუძველზე. ბოლო წლებში, არაერთმა ქვეყანამ, პენიტენციურ დაწესებულებებში ააშენა მაღალი უსაფრთხოების განყოფილებები იმ მოლოდინით, რომ მოხდებოდა მათი გამოყენება. მათი აშენება და ფუნქციონირების უზრუნველყოფა საკმაოდ ძვირია. აქედან გამომდინარე, მათ მიმართ ხორციელდება ზეწოლა, რომ მოხდეს მათი ათვისება პატიმართა განსათავსებლად. აღნიშნული განყოფილებები არ უნდა იქნას გამოყენებული საფუძვლიანი მიზეზის გარეშე[33].

პატიმრის მიერ სერიოზული დანაშაულის ჩადენა ან ამგვარი დანაშაულის ჩადენაში ბრალდება შესაძლოა იყოს ერთ-ერთი ფაქტორი, რაც განაპირობებს მის მაღალი უსაფრთხოების დაწესებულებაში მოთავსებას. თუმცა ეს არ შეიძლება უცვლელად წარმოადგენდეს გადამწყვეტ ფაქტორს.

**ყველაზე საშიში პატიმრები**

ზოგიერთი პატიმარი შესაძლოა იმდენად საშიში იყოს, ან იმდენად არღვევდეს წესრიგს (რეჟიმს), რომ არსებობდეს მათი დაწესებულების პოპულაციისგან განცალკევებით მოთავსების საჭიროება მაღალი უსაფრთხოების დაწესებულების შიგნითაც კი. აღნიშნული დაწესებულების მართვის სტრუქტურირება ფრთხილად უნდა განხორციელდეს, იმგვარად, რომ გათვალისწინებული იქნას პენიტენციური დაწესებულების კარგი მენეჯმენტის ძირითადი პრინციპები, რომლებიც აღწერილია აღნიშნულ სახელმძღვანელოში. იზოლაცია გამოყენებული უნდა იქნას, როგორც უკიდურესი ღონისძიება მხოლოდ მოკლე პერიოდის მანძილზე[34].

**პატიმრების მართვა სპეციალურ მაღალი უსაფრთხოების პირობებში**

უკვე აღინიშნა, რომ იზოლაცია არ არის კარგი პრაქტიკა - როგორც წესი არსებობს ორი მოდელი, რომლის საშუალებითაც ხდება პატიმრების მართვა მაქსიმალური უსაფრთხოების პირობებში.

- **პირველი** გულისხმობს მათ იზოლაციაში მოთავსებას განმარტოებით, ან ერთ ან ორ სხვა პატიმართან ერთად. მსგავს პირობებში, პატიმრები მთელ დღესა და ღამეს ატარებენ თავიანთ საცხოვრებელ საკანში. ამგვარი დაწესებულებებიდან პატიმრებს ხელი არ მიუწვდებათ რაიმე სახის აქტივობაზე, საკნის გარეთ გასვლაზე და არიან სრულიად უსაქმოდ. მათ შესაძლოა მიეცეთ შენობის გარეთ არსებულ შემოსაზღვრულ სივრცეში განმარტოებით, ერთი საათით გასვლის უფლება. საკნის დატოვების ყველა შემთხვევაში ხდება მათი შემოწმება და მათთვის ბორკილების დადება. ზოგიერთი იურისდიქციის ფარგლებში, შესაძლოა პატიმრები წლობით იმყოფებოდნენ მსგავს რეჟიმში. პატიმრებთან მოპყრობის ამგვარი მეთოდი არ წარმოადგენს დადებით პრაქტიკას და უმეტესად გამოწვეულია შესაბამისი მართვის ტექნიკების არარსებობით.

- **მცირე ჯგუფებად დაყოფა**. ბევრად უკეთეს პრაქტიკას წარმოადგენს ამგვარი პატიმრების განთავსება მცირე ზომის ჯგუფებად, დაახლოებით ათ პატიმრამდე, იმის გათვალისწინებით, რომ შესაძლებელი იქნება მაქსიმალური უსაფრთხოების პოზიტიური რეჟიმის უზრუნველყოფა სხვა პატიმრებისაგან განცალკევებულ მცირე ჯგუფებად მოთავსებით, პატიმართა განმარტოებით მოთავსების გარეშე. აღნიშნული განყოფილებები მოქმედებს იმ პრინციპის საფუძველზე, რომ კარგად გადამზადებული თანამშრომლებისთვის შესაძლებელი უნდა იყოს დაამყარონ პოზიტიური

[33] ციხის მენეჯმენტის განხილვა ადამიანის უფლებების კუთხით, ციხის თანამშრომელთა სახელმძღვანელო, გვ. 72-73, ენდრიუ კოილი, 2009.
[34] ციხის მენეჯმენტის განხილვა ადამიანის უფლებების კუთხით, ციხის თანამშრომელთა სახელმძღვანელო, გვ. 71, ენდიუ კოილი, 2009.

და აქტიური რეჟიმი ყველაზე საშიში პატიმრებისთვისაც კი. მიზანი არის, რომ უსაფრთხო პერიმეტრის ფარგლებში, პატიმრებს უნდა შეეძლოთ თავისუფლად გადაადგილება განყოფილებებს შორის და ჩვეულებრივ ყოველდღიურ აქტივობებში მონაწილეობა. ასეთ პირობებში პატიმრების იზოლირება ხდება მხოლოდ მაშინ, თუ სხვა არანაირი მეთოდი არ მუშაობს და მხოლოდ მცირე პერიოდის განმავლობაში.[35]

**მაღალი უსაფრთხოების მინიმალური გამოყენება**

როგორც უკვე აღინიშნა, პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაციის პასუხისმგებლობას წარმოადგენს ყველა პატიმრისთვის ღირსეული და ჰუმანური პირობების შექმნა, მიუხედავად მათ მიერ ჩადენილი დანაშაულისა, ან იმ დანაშაულისა რომლის ჩადენაშიც ედებათ ბრალი. ეს ვალდებულება აქტუალურია მაღალი უსაფრთხოების პირობებში მყოფი პატიმრების შემთხვევაშიც. შეზღუდვები, რომლებიც გამოიყენება მათ მიმართ არ უნდა იყოს იმაზე მეტი, ვიდრე ეს საჭიროა მათი უსაფრთხო პატიმრობის უზრუნველსაყოფად.

ცალკეული პატიმრების უსაფრთხოების დონე უნდა გადაიხედოს რეგულარული ინტერვალებით სასჯელის მოხდის პერიოდში. როგორც წესი, სასჯელის გარკვეული ნაწილის გასვლასთან ერთად, პატიმრები ნაკლები რისკის მატარებელნი ხდებიან. უფრო დაბალი უსაფრთხოების პირობებში გადაყვანის პერსპექტივა ასევე შესაძლოა გახდეს კარგი ქცევის მოტივატორი[36].

„პენიტენციური დაწესებულებების მოვალეობაა აღასრულონ სასამართლოს მიერ შეფარდებული სასჯელი თავისუფლების აღკვეთის სახით. მათ მოვალეობას არ წარმოადგენს დამატებითი შეზღუდვების შემოღებით სასჯელის დამძიმება. პირიქით, მათ უნდა მიიღონ ყველა შესაძლო ზომა, იმისათვის, რომ ცხოვრება დაწესებულებაში და თავისუფლების პირობებში იყოს მაქსიმალურად მსგავსი. ამის ერთ-ერთ მიზეზს წარმოადგენს სასჯელის მოხდის შემდეგ საზოგადოებაში რეინტეგრაციის, კანონმორჩილ მოქალაქედ დაბრუნების შესაძლებლობის გაზრდა. დაწესებულების თანამშრომლებს უნდა ესმოდეთ, რომ მართვის ეს მეთოდი ხელს უწყობს უსაფრთხოებისა და წესრიგის შენარჩუნებას"[37].

ხშირად არის საუბარი, რომ არსებობს პატიმრების გარკვეული კატეგორია, რომელიც იმდენად საშიშია და იმხელა საფრთხის მატარებელია, რომ საჭიროებს ხანგრძლივი დროით სპეციალურ, მაქსიმალური უსაფრთხოების პირობებში მოთავსებას, ზოგჯერ მთელი სიცოცხლის მანძილზეც კი. ეს არის ძალიან სახიფათო შეხედულება. მსოფლიოში, ბევრ სისტემას ჰქონია ხანგრძლივი დროის მანძილზე შეხება პატიმრებთან, რომლებიც რეალურ საფრთხეს წარმოადგენენ სახელმწიფოსთვის. მათ ყოველთვის მოეთხოვებოდათ მოქცეულიყვნენ საერთაშორისო და ადგილობრივი სტანდარტების პარამეტრებით. ამ პატიმრების ღირსეულად და ჰუმანურად მართვა წარმოადგენს პროფესიონალური პენიტენციური სისტემის უდიდეს ტესტს. ეს კვლავ აქტუალურ საკითხად რჩება. ამ პრინციპის დაუცველობა სრულიად მცდარი გადაწყვეტილებაა, მათ შორის პენიტენციური სისტემის მართვის პერსპექტივიდან.

პენიტენციური დაწესებულებები, სადაც მხოლოდ პატიმრების მცირე რაოდენობაა განთავსებული მაღალი უსაფრთხოების პირობებში, უფრო უსაფრთხოა როგორც პატიმრებისთვის, აგრეთვე თანამშრომლებისთვის. პატიმრების მცირე რაოდენობის პირობებში, თანამშრომლებს შეუძლიათ იმ პატიმრების იდენტიფიცირება, რომლებიც უნდა იყვნენ მოთავსებულნი მაღალი უსაფრთხოების პირობებში შესაბამისი ზედამხედველობის ქვეშ. იქ, სადაც მაღალი უსაფრთხოების პირობებში ბევრი პატიმარია მოთავსებული, თანამშრომლები ვეღარ ახერხებენ უშუალო, ახლო სუპერვიზიას და იმ პატიმრების იდენტიფიცირებას, რომლებიც უფრო მეტად არიან მიდრეკილნი გაქცევის მცდელობებისა და წესრიგის დარღვევისკენ.

შეიძლება ჩამოვაყალიბოთ ძირითადი პრინციპები, რაზე დაყრდნობითაც უნდა მიიღებოდეს მაღალი რისკის დაწესებულებაში პატიმართა განთავსება:

„ზოგადი პრინციპი - საერთაშორისო და რეგიონული ინსტრუმენტები ნათლად აცხადებენ, რომ შეზღუდვები უნდა შემოიფარგლოს მინიმალური საჭირო დოზით.

გამონაკლისი და არა ნორმა - განსაკუთრებული მაქსიმალური უსაფრთხოების პირობებში პატიმრების მოთავსება უნდა წარმოადგენდეს გამონაკლისს და არ უნდა იქნას აღქმული როგორც არსებული

35 ციხის მენეჯმენტის განხილვა ადამიანის უფლებების კუთხით, ციხის თანამშრომელთა სახელმძღვანელო, გვ. 76, ენდრიუ კოილი, 2009.
36 ციხის მენეჯმენტის განხილვა ადამიანის უფლებების კუთხით, ციხის თანამშრომელთა სახელმძღავენლო,, გვ. 62, ენდიუ კოილი, 2009.
37 ციხის მენეჯმენტის განხილვა ადამიანის უფლებების კუთხით, ციხის თანამშრომელთა, გვ. 68, ენდრიუ კოილი, 2009.

წესი. პატიმართა ის მცირე ჯგუფი, რომელიც საჭიროებს ამ პირობებში მოთავსებას არ უნდა იყოს გაიგივებული ყველა უვადო და ხანგრძლივად თავისუფლება აღკვეთილ პატიმრებთან.

საუკეთესო პრაქტიკა - პატიმრები, რომლებიც მოთავსებულნი არიან განსაკუთრებულ მაქსიმალური უსაფრთხოების პირობებში, უნდა იყვნენ ისინი, რომლებიც გაქცევის შემთხვევაში დაუყოვნებელ და რეალურ საფრთხეს წარმოადგენენ საზოგადოებრივი უშიშროებისთვის ან ხელყოფენ დაწესებულების წესრიგს. ამგვარ პირობებში პატიმრების მოთავსება ძვირია, როგორც ფინანსური, ასევე ადამიანური რესურსების თვალსაზრისით. თუ ამგვარი პატიმრების რიცხვი გაიზრდება, თანამშრომლებს გაუჭირდებათ მათი უშუალო მეთვალყურეობის უზრუნველყოფა. ხოლო თუ პატიმრების რაოდენობა იქნება მცირე, სირთულეს არ შექმნის პოტენციური საფრთხეების იდენტიფიცირება“.[38]

ხშირ შემთხვევაში ისმის კითხვა, თუ ვინ უნდა იღებდეს გადაწყვეტილებას პატიმრის განთავსების შესახებ. ზოგიერთ ქვეყანაში, სასჯელის შემფარდებელი მოსამართლე განსაზღვრავს რეჟიმს, რომელშიც უნდა მოთავსდეს პატიმარი. სხვა ქვეყნებში, ისინი ვისაც შეფარდებული აქვს უვადო თავისუფლების აღკვეთა ან მსჯავრდებულნი არიან კონკრეტული მუხლით, ავტომატურად თავსდებიან მაღალი უსაფრთხოების პირობებში, პერსონალური რისკების შეფასების გარეშე. ეს არ არის უსაფრთხოების დონის განსაზღვრის საუკეთესო გზა. სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენელმა უნდა განსაზღვროს სასჯელის ხანგრძლივობა, რაც შეეხება უსაფრთხოების საჭიროებების შეფასებას, უმჯობესია ეს განსაზღვროს პენიტენციური დაწესებულების ხელმძღვანელობამ პროფესიონალურად შეთანხმებული კრიტერიუმების მიხედვით[39].

**საინტერესოა ამ საკითხზე წამების წინააღმდეგ ბრძოლის ევროპული კომიტეტის ანგარიში ჩეხეთში განხორციელებული ვიზიტის დროს:**

*“წამების საწინააღმდეგო კომიტეტს მიაწოდეს ინფორმაცია, რომ გაძლიერებული უსაფრთხოების საკნები მოწყობილი იქნა 5 პენიტენციურ დაწესებულებაში და თავდაპირველად გამიზნული იყო ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფებების გავლენის შესამცირებლად. ამ პირობებში მოთავსების საფუძველს წარმოადგენდა პატიმრისთვის (IV) კატეგორიის მინიჭება იუსტიციის სამინისტროს 41 ინსტრუქციის შესაბამისად. ამასთან პატიმარი შესაძლოა აღნიშნულ დაწესებულებებში გაგზავნილიყო, თუ ის ქმნიდა პრობლემებს ან ჩაგრავდა სხვებს. აღნიშნულ საკნებში მოთავსების პროცედურა არ იყო გამჭვირვალე ... ხშირად აღნიშნული ზომის გამოყენება ხდებოდა პრევენციულად და პატიმარს არ ეძლეოდა საკანში მოთავსების გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობა, არ იყო ხელმისაწვდომი კრიტერიუმები, რომლის მიხედვითაც პატიმრებს შეეძლოთ ემართათ საკუთარი ქცევა.*

*წამების პრევენციის კომიტეტი რეკომენდაციით მიმართავს ჩეხ თანამდებობის პირებს განსაზღვრონ გამჭვირვალე პროცედურები მაღალი ტექნიკური უსაფრთხოების საკნებში მოთავსებისთვის, ამასთან უზრუნველყონ ამგვარი გადაწყვეტილების გასაჩივრებისა და გადაწყვეტილების რეგულარული გადახედვის შესაძლებლობა”[40].*

**ასევე საგულისხმოა ევროსასამართლოს გადაწყვეტილება ამ თემასთან დაკავშირებით**

*“სასამართლოს სურს აღნიშნოს, რომ სამარტოო საკანი, შედარებითი იზოლაციის შემთხვევაშიც კი, არ შეიძლება შეეფარდოთ პატიმრებს განუსაზღვრელი ვადით. უფრო მეტიც, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ არსებობდეს დამოუკიდებელი სასამართლო თანამდებობის პირი, სადაც პატიმარს შეეძლება გაასაჩივროს სამარტოო საკანში ხანგრძლივი მოთავსება. მნიშვნელოვანია ასევე, სამარტოო საკნების ალტერნატიულ გადაწყვეტაზე ფიქრი იმ პირებისათვის, რომლებისთვისაც ჩვეულებრივ დაწესებულებაში და ჩვეულებრივ რეჟიმში მოთავსება მიზანშეუწონლად იქნა მიჩნეული”41.*

[38] ციხის მენეჯმენტის განხილვა ადამიანის უფლებების კუთხით, ციხის თანამშრომელთა სახელმძღვანელო, გვ. 75, ენდრიუ კოილი, 2009.
[39] ციხის მენეჯმენტის განხილვა ადამიანის უფლებების კუთხით, ციხის თანამშრომელთა სახელმძღვაენლო, გვ. 62, ენდრიუ კოილი, 2009.
[40] წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის ვიზიტი ჩეხეთში, 2006 წ.
[41] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, სანჩესი საფრანგეთის წინააღმდეგ, 2005.

**საინტერესოა გავეცნოთ საქართველოსთან დაკავშირებით წამების წინააღმდეგ ბრძოლის ევროპული კომიტეტის ანგარიშს:**

*„70. გარკვეული პერიოდის წინ პატიმრობის კოდექსში განხორციელებული ცვლილებების VII თავის შესაბამისად, პატიმართა განთავსება უნდა ეფუძნებოდეს ინდივიდუალური რისკების შეფასებას ("პატიმრის ინდივიდუალური სპეციფიკაციების გათვალისწინებით, მათ შორის დანაშაულის მოტივის, პირადი თვისებების, დაწესებულებაში მისი ქცევისა და სხვა პირადი მახასიათებლების გათვალისწინებით"), რომელსაც ახორციელებს „მულტი-დისციპლინური გუნდი". დეტალური ნორმები უნდა გაიწეროს მინისტრის შესაბამისი ბრძანებით. დელეგაციას შესაძლებლობა ჰქონდა გაცნობოდა ამ ახალი პრინციპების გამოყენების პირველ მცდელობას გლდანის პენიტენციური დაწესებულების „მიმღებ განყოფილებაში".*

*76. ახლად მიღებული პატიმარი შეფასდა დაწესებულებაში მყოფი სხვადასხვა პროფესიონალის (უსაფრთხოების ოფიცრები, ფსიქოლოგი, სოციალური მუშაკი, სამედიცინო პერსონალი) მიერ, მიღებიდან დაახლოებით ერთი კვირის განმავლობაში, რათა მიეღოთ ინფორმირებული გადაწყვეტილება პატიმართა დაწესებულებაში განთავსების შესახებ. დელეგაცია დაარწმუნეს, რომ ფსიქოლოგის, სოციალური მუშაკისა და სამედიცინო პერსონალის შეხედულებებს ექნებოდა წამყვანი მნიშვნელობა გადაწყვეტილების მიღების დროს. თუმცა ცხადი იყო, რომ ეს იყო იმპროვიზებული ქმედება, რადგან შესაბამისი მინისტრის ბრძანება ჯერ არ არსებობდა.*

*წპკ მიესალმება ახალ წესებს და გლდანის დაწესებულების ძალისხმევას დაამკვიდროს ახალი სტილის მიღების პროცედურა; აღსანიშნავია, რომ იგეგმება მსგავსი ტიპის ჯგუფების შექმნა სხვა პენიტენციურ დაწესებულებებშიც.*

*71. ამავე საკითხთან დაკავშირებით, #7 დაწესებულებაში დელეგაციას განუცხადეს, რომ პატიმართა გარკვეული რაოდენობისთვის, განსაკუთრებით „კანონიერი ქურდებისთვის" რეჟიმის და განთავსების ადგილის განსაზღვრა წარმოადგენდა არა პენიტენციური სისტემის, არამედ სასჯელის განმსაზღვრელი სასამართლოს კომპეტენციას. მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაში 1 წლის მოხდის შემდეგ, პატიმრებს შეეძლოთ მიემართათ პენიტენციური დეპარტამენტის თავმჯდომარისთვის უფრო ღია რეჟიმის დაწესებულებაში გადაყვანის თაობაზე, თუმცა აღნიშნულ გადაწყვეტილებასაც ესაჭიროებოდა სასამართლოს მიერ დამტკიცება.*

*წპკ-ს სურს ხაზი გაუსვას, რომ სადაც სასამართლოს ენიჭება წამყვანი როლი პატიმრობის პირობების განსაზღვრასთან მიმართებაში, ეს აყენებს პენიტენციურ სამსახურს მხოლოდ აღმასრულებელ (პასიურ) როლში, ართმევს მას კონკრეტული შემთხვევების შეფასების, სასჯელის გეგმების ინდივიდუალიზების ფუნქციას, რაც წარმოადგენს თანამედროვე პენიტენციური სისტემის უმთავრეს როლს. ეს ამცირებს ციხის თანამშრომელთა როლს მხოლოდ უსაფრთხოებისა და წესრიგის შენარჩუნებამდე და შესაძლოა შეამციროს თანამშრომელთა პროფესიონალიზმი. ამასთანავე, ამგვარი მიდგომა განსაზღვრავს პატიმრის მიმართ მოპყრობას მის მიერ ჩადენილი ქმედებიდან, აგრეთვე დანაშაულის ჩადენის დროს არსებული „სურათიდან" გამომდინარე. დამატებით, ხელს უწყობს, რომ თავისუფლების აღკვეთის შეფარდება არ იქნას განხილული თავისთავად არსებულ სანქციად და პატიმრობის სპეციფიური პირობების განსაზღვრით რიგ შემთხვევაში ხდება დამატებითი სასჯელის დადგენა, რიგ შემთხვევებში კი არა.*

*შესაბამისად, წპკ თვლის, რომ რეჟიმის ტიპის განსაზღვრა უნდა წარმოადგენდეს პენიტენციური სისტემის ადმინისტრაციის პასუხისმგებლობას და არა სასამართლოს მიერ შესაფარდებელი სისხლისსამართლებრივი სანქციების კატალოგის ნაწილს. ერთი რეჟიმის მეორეთი შეცვლა (ერთი ტიპის დაწესებულებიდან მეორეში გადაყვანა) დაფუძნებული უნდა იყოს პატიმრის მიდგომებზე, ქცევაზე, აქტივობებში ჩართულობაზე (განათლება, პროფესიული სწავლება, სამუშაო) და სასჯელის მოხდის გეგმაში წინასწარ მითითებული მიზნების შესრულებაზე. ამ მიზნით, უნდა განხორციელდეს ინდივიდულური შემთხვევების სისტემატური გადასინჯვა.*

**წპკ გასცემს რეკომენდაციას, რომ მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მოხდეს რელევანტური კანონდებლობის შეცვლა[42]".**

42 წამების, სასტიკი და არაადამიანური მოპყრობისა და სასჯელის პრევენციის ევროპული კომიტეტის ანგარიში საქართველოს მთავრობის მიმართ(CPT) 1-დან 11 დეკემბრამდე 2014. გვ .42-43.

## რას გვეუბნება საერთაშორისო სტანდარტები

### ციხის ევროპული წესები

51.3 მიღებიდან შეძლებისდაგვარად მალე პატიმართა შეფასება უნდა მოხდეს რათა განისაზღვროს:

ა. რისკი, რომელსაც ისინი წარმოადგენენ საზოგადოებისათვის გაქცევის შემთხვევაში;

ბ. რისკი, იმისა, რომ ისინი შეეცდებიან გაქცევას ან დამოუკიდებლად ან გარეშე დახმარებით.

51.4 ამის შედეგად ყოველი პატიმარი უნდა იმყოფებოდეს იმგვარი უშიშროების პირობებში, რომელიც შეესაბამება სათანადო რისკის დონეს.

51.5 საჭირო უშიშროების დონე უნდა გადაისინჯოს რეგულარული ინტერვალებით პირის პატიმრობის მთელი ვადის განმავლობაში.

**უსაფრთხოება**

52.1 მიღებიდან შეძლებისდაგვარად მალე, პატიმრების შეფასება უნდა მოხდეს რათა განისაზღვროს უქმნიან თუ არა საფრთხეს სხვა პატიმართა, ასევე ციხის პერსონალის ან ამ დაწესებულებაში მომუშავე ან ვიზიტად მყოფი პირების უსაფრთხოებას, ან რამდენადაა მოსალოდნელი მიიყენონ თვითდაზიანება.

52.2 უნდა არსებობდეს და მოქმედებდეს პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფს პატიმართა, ციხის პერსონალის და ყველა ვიზიტორის უსაფრთხოებას და მინიმუმამდე შეამციროს ძალადობის რისკი ან უსაფრთხოების ხელმყოფი სხვა ინციდენტები.

## ადგილობრივი სტანდარტები

### *მსჯავრდებულის საშიშროების რისკის შეფასება*

ქართული კანონმდებლობის თანახმად, მსჯავრდებულის (პატიმრის) საშიშროების რისკების შეფასებას და პერიოდულ გადაფასებას უზრუნველყოფს რისკების შეფასების გუნდი, რომელიც შედგება 5 ძირითადი და 5 სათადარიგო წევრისაგან. გუნდის შემადგენლობაში შედიან საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციური დეპარტამენტის სოციალური უზრუნველყოფის სამმართველოს, უსაფრთხოების მთავარი სამმართველოს სამართლებრივი რეჟიმის სამმართველოს, უსაფრთხოების მთავარი სამმართველოს ოპერატიული სამმართველოს, სპეციალური აღრიცხვის სამმართველოს წარმომადგენლები და ფსიქოლოგი. გუნდი უფლებამოსილია, საკითხის განხილვისას, სხდომაზე სათათბირო ხმის უფლებით მოიწვიოს ექიმი, სპეციალური ცოდნის მქონე სხვა პირი ან პირი, რომელსაც შეუძლია გუნდს მიაწოდოს მნიშვნელოვანი ინფორმაცია განსახილველ საკითხებზე. რისკების შეფასების გუნდს მსჯავრდებულის შესახებ ინფორმაცია მიეწოდება შესაბამისი პენიტენციური დაწესებულების სამართლებრივი რეჟიმის, სპეციალური აღრიცხვის და სოციალური განყოფილების არანაკლებ თითო წარმომადგენლისაგან პენიტენციური დაწესებულების დირექტორის ბრძანებით შექმნილი მონაცემთა პირველადი დამუშავების ჯგუფის მიერ, რომელიც უზრუნველყოფს მსჯავრდებულის შესახებ მონაცემების დამუშავებას. იმ მსჯავრდებულთა სია, რომელთა შესახებ დამუშავებული ინფორმაცია ჯგუფის მიერ გადაეგზავნება რისკების შეფასების გუნდს, ეგზავნება პენიტენციური დეპარტამენტის უსაფრთხოების მთავარ სამმართველოს, რომელიც თავის მხრივ, დადგენილი ფორმის შესაბამისად, მსჯავრდებულების შესახებ ინფორმაციას აწვდის რისკების შეფასების გუნდს.[43]

მსჯავრდებულის საშიშროების რისკის განსაზღვრისას გუნდი ითვალისწინებს პენიტენციური დაწესებულების, გარშემომყოფთა, საზოგადოების, სახელმწიფოს ან/და სამართალდამცველი ორგანოების უსაფრთხოებისათვის მსჯავრდებულისგან მომდინარე საშიშროებას, რომელიც განისაზღვრება მისი პიროვნული თვისებების, დანაშაულის ჩადენის მოტივის, დამდგარი მართლსაწინააღმდეგო შედეგის, დაწესებულებაში გამოვლენილი ქცევის, დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და სხვა მსჯავრდებულებთან დამოკიდებულების, დაწესებულების დებულებისა და დღის განრიგის მოთხოვნების შესრულების, ალკოჰოლის, ნარკოტიკული და ფსიქოტროპული ნივთიერებების მიმართ დამოკიდებულების, მის მიერ წარსულში დანაშაულის ჩადენის ფაქტების, ჩადენილი დანაშაულის კატეგორიის, დარჩენილი სასჯელის ხანგრძლივობის, დაწესებულებიდან გაქცევის ან გაქცევის მცდელობის ფაქტების, წარსულში დაწესებულებაში სასჯელის მოხდის შემთხვევების, მსჯავრდებულის ასაკის, ქურდულ სამყაროსთან/ტერორიზმთან დამოკიდებულების, დაწესებულებაში არსებულ სარეაბილიტაციო/რესოციალიზაციის პროგრამებში ჩართულობის, თვითდაზიანების მიყენების/მცდელობის ფაქტების, რომლითაც საფრთხე ექმნება ან შეიძლება შეექმნას დაწესებულების ნორმალურ ფუნქციონირებას, აგრეთვე წახალისების/დისციპლინური სახდელის/ადმინისტრაციული პატიმრობის გამოყენების კრიტერიუმების შეფასების საფუძველზე.[44]

საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულია საშიშროების რისკის 4 სახე: **დაბალი, საშუალო, მომეტებული, მაღალი.**

**განსაკუთრებული რისკის** თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში თავსდება საშიშროების მაღალი რისკის მქონე მსჯავრდებული, კერძოდ, მსჯავრდებული, რომლისგან მომდინარე საფრთხე დაწესებულებისთვის ან გარშემომყოფთათვის, აგრეთვე საზოგადოებისათვის, სახელმწიფოსა ან/და სამართალდამცველი ორგანოებისათვის, ზემოთ მითითებული კრიტერიუმების გათვალისწინებით, არის მაღალი.[45]

აღსანიშნავია, რომ მსჯავრდებულთა რისკების შეფასების მექანიზმი ნოვაციაა საქართველოს პენიტენციურ სისტემაში და შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობაში. გამომდინარე აქედან, საჭიროა, დადგენილი წესით, პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსებული ყველა მსჯავრდებულის საშიშროების რისკის შეფასება და მათი შესაბამისი ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში გადანაწილება.

[43] საქართველოს კანონი „პატიმრობის კოდექსი", 46-ე მუხლის მე-4 ნაწილი; „მსჯავრდებულის რისკის სახეების, რისკის შეფასების კრიტერიუმების, რისკის შეფასებისა და გადაფასების წესის, მსჯავრდებულის იმავე ან სხვა ტიპის თავისუფლების ღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 9 ივლისის №70 ბრძანებით დამტკიცებული წესი, მე-8 მუხლი, მე-6 მუხლი, მე-7 მუხლის მე-6 პუნქტი, მე-11 მუხლი.

[44] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 9 ივლისის №70 ბრძანებით დამტკიცებული წესი, მე-4 მუხლი.

[45] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 9 ივლისის №70 ბრძანებით დამტკიცებული წესი, მე-5 მუხლი.

ამასთან, აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ პატიმრობის კოდექსის 61-ე მუხლის („ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება“) პირველი ნაწილითა და 64-ე მუხლის („დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება“) პირველი ნაწილით განსაზღვრულია ნახევრად ღია და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში მსჯავრდებულთა განთავსების (პირველადი განთავსება) სამართლებრივი საფუძვლები. აღნიშნული საკმარისია მსჯავრდებულის ნახევრად ღია თუ დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში განსათავსებლად და ამ შემთხვევაში, საჭირო არ არის რისკების შეფასების მულტიდისციპლინური გუნდის გადაწყვეტილება.

პატიმრობის კოდექსში ზემოთ მითითებული მუხლების არსებობა განპირობებულია იმ მიზეზით, რომ საქართველოს პენიტენციურ სისტემაში პატიმართა რისკების შეფასების მექანიზმი ჩამოყალიბების პროცესშია, ამეტა პზეარარის სრულყოფილი და ჯერ-ჯერობით ვერ შეესაბამება ევროპის განვითარებულ ქვეყნებსა თუ ა.შ.შ-ში არსებულ პატიმართა რისკების შეფასების მექანიზმებს. გამომდინარე აქედან, იგი ვერ უზრუნველყოფს, როგორც მსჯავრდებულთა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში პირველადი განთავსების, ისე კანონმდებლობით გათვალისწინებული მსჯავრდებულთა პირველადი შეფასების პროცესის ერთიანად და ეფექტიანად წარმართვას. შესაბამისად, მსჯავრდებულის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში პირველადი განთავსებისას, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ტიპის განსაზღვრა, ძირითადად, ხორციელდება პატიმრობის კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 64-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე და მსჯავრდებულები ნაწილდებიან ნახევრად ღია და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში, ხოლო შემდეგ, ხდება მათი მონაცემების პირველადი დამუშავება და საშიშროების რისკის განსაზღვრა.

**პენიტენციურ დაწესებულებაში მსჯავრდებულის მიღების პროცედურები**

პენიტენციურ დაწესებულებაში მსჯავრდებულის მიღება[46] შესაძლებელია დღე-ღამის ნებისმიერ დროს, რომელსაც ახორციელებს დაწესებულების ოპერატიული მორიგე ან მისი თანაშემწე, უსაფრთხოების და სამართლებრივი რეჟიმის განყოფილებების მოსამსახურეებთან ერთად.

მსჯავრდებულის პენიტენციურ დაწესებულებაში მიყვანის შესახებ დაწესებულების შესაბამის უფლებამოსილ პირებს, კერძოდ, ოპერატიულ მორიგეს, ექიმს, სამართლებრივი რეჟიმისა და უსაფრთხოების განყოფილების შესაბამის მოსამსახურეებს ატყობინებს გარე დაცვის სამსახური და ოპერატიული მორიგის ნებართვით უზრუნველყოფს საბადრაგო სატრანსპორტო საშუალების შეშვებას დაწესებულებაში სატრანსპორტო საშუალებების შემოწმებისათვის გამოყოფილ კარიბჭეთაშორის სივრცეში. ოპერატიული მორიგე, თავის მხრივ, მსჯავრდებულის მოყვანის ფაქტს აცნობებს პენიტენციური დაწესებულების დირექტორს.

მსჯავრდებულის იდენტიფიცირებას ახორციელებს დაწესებულების სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების უფლებამოსილი მოსამსახურე, ოპერატიულ მორიგესთან ან მის თანაშემწესთან ერთად.

მსჯავრდებულის იდენტიფიცირების პროცესის დასრულების შემდეგ, მსჯავრდებული გონივრული ვადით თავსდება მოსაცდელ საკანში. მსჯავრდებულის მოსაცდელ საკანში შეყვანისა და გამოყვანის ზუსტი დრო აღინიშნება საკნის ბარათში.[47] მსჯავრდებულები მოსაცდელ საკანში თავსდებიან კუთვნილი ნივთების გარეშე, საიდანაც ხდება სათითაოდ გამოყვანა მათი სრული და კუთვნილი ნივთების შემოწმების[48] მიზნით.

მსჯავრდებულის და მისი ნივთების შემოწმებას ორგანიზებას უწევს ოპერატიული მორიგე ან მისი თანაშემწე, ხოლო უშუალოდ ახორციელებენ სამორიგეო ცვლებში ამ მიზნით გამოყოფილი სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების უფლებამოსილი მოსამსახურეები. შემოწმება აგრეთვე შეიძლება განხორციელდეს დაწესებულებაში შექმნილი სარეზერვო ჯგუფის მოსამსახურეების მიერ.

ნივთები, ნაკეთობები, ნივთიერებები, დოკუმენტები და საკვები პროდუქტები, რომელთა ყიდვა და გამოყენება მსჯავრდებულისათვის არ არის ნებადართული, მსჯავრდებულს ჩამოერთმევა დადგენილი წესით და შესანახად გადაეცემა დაწესებულებას ან მსჯავრდებულის ნებართვით პატიმრობის კოდექსის მე-17 მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრულ პირებს.[49] აღნიშნულის თაობაზე დგება შესაბამისი აქტი,

[46] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს №108 ბრძანებით დამტკიცებული დებულება, მე-16 მუხლი.

[47] საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2011 წლის 10 მაისის №82 ბრძანებით დამტკიცებული წესის დანართი №6.

[48] დეტალურად იხ. ქვევით: „მსჯავრდებულის, მისი ნივთების და მოთავსების ადგილის შემოწმება“.

[49] შვილი, მეუღლე, პირი, რომელთანაც საერთო შვილი ჰყავს, მშობელი (მშვილებელი), დედინაცვალი, მამინაცვალი, მეუღლის მშობელი, გერი, ნაშვილები და მისი შთამომავალი, შვილიშვილი, და, ძმა, დისწული, ძმისწული და მათი შვილები, ბებია, პაპა, ბებიის დედ-მამა, პაპის

რომელსაც ეცნობა მსჯავრდებული და ადასტურებს ხელმოწერით.

მსჯავრდებულისა და მისი კუთვნილი ნივთების შემოწმების შემდეგ, დაწესებულების სამედიცინო პერსონალის მიერ ტარდება მსჯავრდებულის სამედიცინო შემოწმება, რომლის დროს, ხდება მისი გარეგნული დათვალიერება და ამბულატორიული პაციენტის სამედიცინო ბარათის შევსება. გარეგნული დათვალიერების შესახებ დგება შესაბამისი ცნობა, რომლის ასლი ინახება პირად საქმეში. მსჯავრდებულის სხეულზე დაზიანების, დეფორმაციების, ნაწიბურების და ნანემსრების შემთხვევაში ხდება მათი აღწერა. ამასთან, მსჯავრდებულის სხეულზე დაზიანების/დაზიანებების აღმოჩენის შესახებ სამედიცინო პერსონალი შემოწმების დასრულებისთანავე ატყობინებს პენიტენციური დაწესებულების დირექტორს, რომელიც ვალდებულია ინფორმაცია დაუყოვნებლივ მიაწოდოს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტს.

თუ მსჯავრდებულს ესაჭიროება სასწრაფო ან გადაუდებელი სამედიცინო მომსახურება, მას დაუყოვნებლივ გაეწევა სამედიცინო მომსახურება დაწესებულებაში ხელმისაწვდომ საექიმო-სამედიცინო პუნქტში, ხოლო თუ მსჯავრდებულს ექიმის დასკვნით ესაჭიროება სასწრაფო ან გადაუდებელი სტაციონარული მკურნალობა და აღნიშნულის უზრუნველყოფა შეუძლებელია დაწესებულების საექიმო სამედიცინო პუნქტში, იგი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დაუყოვნებლივ გადამისამართდება შესაბამის სამედიცინო მომსახურებაზე.

პენიტენციური დაწესებულების საექიმო-სამედიცინო პუნქტებში, შესაბამისი ინფრასტრუქტურის არსებობისას, განცალკევებით ათავსებენ არამართვადი ინფექციური სენით დაავადებულებს, ხოლო ჰაერწვეთოვანი ან კონტაქტური გზით გადამდები საშიში ინფექციით ინფიცირებული პირის დაწესებულებიდან გადაყვანა ხდება, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ეპიდზედამხედველობის ქვეშ, იზოლირებულად.

**მსჯავრდებულის საკანში განთავსება**

სამედიცინო შემოწმების დასრულების შემდეგ, მსჯავრდებული, რომელსაც არ აღენიშნება ჯანმრთელობის პრობლემები და არ ესაჭიროება შესაბამისი სამედიცინო მომსახურება, დაკვირვების, შესწავლის და შესაბამის საკანში განაწილების მიზნით, თავსდება შიდა კლასიფიკაციის საკანში არაუმეტეს 3 კალენდარული დღისა. შიდა კლასიფიკაციის საკანში მოთავსებამდე ხდება მსჯავრდებულის დაბანა/გასუფთავება და აგრეთვე, საკნის მომზადება/დათვალიერება დაწესებულების სამართლებრივი რეჟიმის ან/და უსაფრთხოების განყოფილების უფლებამოსილი მოსამსახურეების მიერ.

შიდა კლასიფიკაციის საკანში მოთავსებისას პენიტენციური დაწესებულების სოციალური განყოფილების მოსამსახურე, ხოლო მისი არ ყოფნის შემთხვევაში დაწესებულების სხვა მოსამსახურე მსჯავრდებულს წერილობით (ოქმით) გააცნობს სასჯელის მოხდის პირობებს, მის უფლებებს და მსჯავრდებულისადმი დაწესებულების მოსამსახურეების მოპყრობის, ინფორმაციის მიღებისა და საჩივრის შეტანის წესებს, დისციპლინურ და სხვა სახის მოთხოვნებს, აგრეთვე, მსჯავრდებული გაფრთხილდება პენიტენციური დაწესებულების დებულების დარღვევის გამო პასუხისმგებლობის თაობაზე.

შიდა კლასიფიკაციის საკანში მსჯავრდებულზე დაკვირვებისა და შესწავლის 3 დღიანი ვადის გასვლის შემდეგ, შესაბამის საკანში მსჯავრდებულის მოთავსების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს პენიტენციური დაწესებულების დირექტორი, დაწესებულების სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების და უსაფრთხოების განყოფილების უფლებამოსილი მოსამსახურეების მიერ მსჯავრდებულთა თავსებადობის საკითხის შესწავლის შედეგებზე დაყრდნობით.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მსჯავრდებულთა თავსებადობის საკითხის შესწავლის მიზნით, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს №16 პენიტენციური დაწესებულებაში (დაბალი რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება) მსჯავრდებულების განსათავსებლად არსებობს ცალკე გამოყოფილი შიდა კლასიფიკაციის კორპუსი, სადაც მსჯავრდებულები თავსდებიან შესაბამის საცხოვრებელ სექტორში (კორპუსში) განაწილებამდე. ამასთან, დაწესებულების დირექტორის ბრძანებით, მსჯავრდებულთა შიდა კლასიფიკაციის განსაზღვრის, საცხოვრებელ სექტორებში გადანაწილებისა და შესაბამის საკნებში განთავსების მიზნით, დაწესებულების შესაბამისი

---

დედ-მამა (როგორც დედის, ისე მამის მხრიდან), ბიძა (დედის ძმა, მამის ძმა), დეიდა, მამიდა, ბიძაშვილი, დეიდაშვილი, მამიდაშვილი, აგრეთვე პირი, რომელთანაც ცხოვრობდა და საერთო მეურნეობას ეწეოდა პენიტენციურ დაწესებულებაში მოხვედრამდე ბოლო 1 წლის განმავლობაში.

უფლებამოსილი მოსამსახურეების შემადგენლობით იქმნება მულტიდისციპლინური გუნდი.[50] რაც შეეხება სხვა პენიტენციურ დაწესებულებებს, მათ შორის, განსაკუთრებული რისკის პენიტენციურ დაწესებულებას, მითითებული საკითხის გუნდურ გადაწყვეტას კანონმდებლობა არ ითვალისწინებს. ამასთან, განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებების ინფრასტრუქტურული მოწყობა, დღეის მდგომარეობით, განსხვავდება №16 პენიტენციური დაწესებულებაში არსებული ინფრასტრუქტურისაგან. ბუნებრივია, მსჯავრდებულთა თავსებადობის (შიდა კლასიფიკაციის) საკითხის მულტიდისციპლინური, გუნდური პრინციპით გადაწყვეტა და აგრეთვე, იზოლირებული სივრცის გამოყოფა შესწავლაში მყოფ მსჯავრდებულთა განსათავსებლად, უფრო ეფექტიანი და საიმედოა უსაფრთხოების თვალსაზრისით და მიზანშეწონილია მსგავსი მექანიზმი ამუშავდეს განსაკუთრებული რისკის პენიტენციურ დაწესებულებაშიც.

მსჯავრდებული, როგორც წესი, თავსდება ერთ ან ორ ადგილიან საკანში, ხოლო პენიტენციური დაწესებულების გადატვირთულობის ან სხვა განსაკუთრებული გარემოების არსებობისას, შესაძლებელია არაუმეტეს ოთხი მსჯავრდებულის ერთად განთავსება პენიტენციური დეპარტამენტის დირექტორის თანხმობით, თუ მსჯავრდებულთა ერთ საკანში მოთავსება საფრთხეს არ შეუქმნის მათ სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, დაწესებულების სამართლებრივ რეჟიმსა და უსაფრთხოებას. მსჯავრდებულზე ხორციელდება ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობა და კონტროლი.[51]

[50] „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს №16 პენიტენციური დაწესებულების დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 15 ივლისის №71 ბრძანებით დამტკიცებული დებულება, მე-12 მუხლი.

[51] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს №108 ბრძანებით დამტკიცებული დებულება, მე-14 მუხლი, მე-15 მუხლი.

თავი: 3

# შემოწმება

*მესამე თავი*

# შემოწმება

## საერთაშორისო სტანდარტები და პრაქტიკა

პენიტენციური დაწესებულების უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, აუცილებელია რეგულარულად ტარდებოდეს სხვადასხვა სახის შემოწმებები. აღნიშნული პროცედურები უნდა მოიცავდეს დაწესებულების ფარგლებში მდებარე ტერიტორიას, პატიმრებს, პატიმართა საკუთრებას, მნახველებს, დაწესებულებაში შემსვლელ ტრანსპორტს, თანამშრომლებსა და სხვა პირებს, რომლებიც შესაძლოა სხვადასხვა მიზნით შედიოდნენ დაწესებულების ტერიტორიაზე (გამომძიებლები, პროკურორები, სასულიერო პირები და ა.შ.).

შემოწმების პროცედურა უნდა შეესაბამებოდეს ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში არსებულ სხვა საერთაშორისო დოკუმენტებით განსაზღვრულ პრინციპებს. პირადი შემოწმებისას შესაბამისი ყურადღება უნდა მიექცეს შესამოწმებელი პირის სქესს, რელიგიურ და კულტურულ თავისებურებებს. ხშირად, როგორც პატიმრებს, ასევე თანამშრომლებს შემოწმება მიაჩნიათ ღირსების შემლახავ, შემაწუხებელ და შეუსაბამო ქმედებად.

ზოგადად ადამიანის შემოწმება არის პრივატულობის ხელმყოფი (შეხებითი) პროცესი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც შემოწმება ხორციელდება ხელის ან სადგომი სკანერის მეშვეობით. აქედან გამომდინარე, არსებული საერთაშორისო სტანდარტების დაცვას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.
საერთაშორისო გამოცდილება იცნობს **პერსონალური შემოწმების** რამდენიმე ფორმას:

**სწრაფი შემოწმება ხელის შეხებით**
პირადი შემოწმება შესაძლოა გულისხმობდეს გარედან ხელის შეხებით შემოწმებას, რომლის დროსაც არ ხდება გაშიშვლება და თანამშრომელი ტანსაცმელზე ხელის შეხებით ამოწმებს პირს.

**გაშიშვლებით შემოწმება**
შემოწმების ეს ფორმა გულისხმობს შემოწმებას გაშიშვლებით, როდესაც შესამოწმებელმა პირმა უნდა გაიხადოს ტანსაცმელი და დაექვემდებაროს სხეულის დეტალურ ვიზუალურ ინსპექტირებას. აღნიშნული პროცედურა უნდა განხორციელდეს პრივატულობის სრული დაცვით, სხვების მხედველობის არის მიღმა, შესამოწმებელი პირის სქესის არანაკლებ ორი თანამშრომლის მიერ. ამ დროს ადგილი არ აქვს შესამოწმებელ პირთან ფიზიკურ შეხებას.

**სხეულის ღრუების შემოწმება (ე.წ. აგრესიული/ინვაზიური შემოწმება)**
არსებობს შემოწმების ისეთი ფორმა, როგორიცაა სხეულის ღრუების შემოწმება, ეს გულისხმობს სხეულის სიღრმისეულ შინაგან შემოწმებას. შემოწმების ეს ფორმა განსაკუთრებით ხელყოფს ადამიანის პრივატულობას, აქედან გამომდინარე, უნდა ჩატარდეს მხოლოდ სპეციალურად გადამზადებული სამედიცინო პერსონალის მიერ. მის ჩატარებამდე, შესამოწმებელ პირს უნდა ეცნობოს ჩატარების მიზეზი, განემარტოს უსაფრთხოების რისკები რამაც ეს გამოიწვია, ასევე ის შედეგები რაც მოყვება აკრძალული ნივთების შესაძლო აღმოჩენას.

### შემოწმების პროცედურები

უნდა არსებობდეს დეტალური პროცედურები, რაც უნდა დაიცვან თანამშრომლებმა პერსონალური შემოწმების ჩატარების დროს:

- უნდა განისაზღვროს გარემოებები, რომლის დროსაც ნებადართულია ამგვარი შემოწმების ჩატარება;
- უზრუნველყოფილი უნდა იყოს, რომ შემოწმების პროცესი არ ახდენს პატიმართა/ან სხვა პირთა დამცირებას, მაგალითად მათი ერთდროულად სრულად გაშიშვლებით;
- უზრუნველყოფილი უნდა იყოს, რომ შემოწმება მოახდინონ იმავე სქესის თანამშრომლებმა;
- უსაფრთხოების თანამშრომლებს უნდა აეკრძალოთ სხეულის შიდა შემოწმება[52].

[52] ციხის მენეჯმენტის განხილვა ადამიანის უფლებების კუთხით, ციხის თანამშრომელთა სახელმძღვანელო, მეორე გამოცემა, გვ. 63, ენდრიუ კოილი, 2009.

**პატიმართა შემოწმება**

პენიტენციურ სისტემაში განთავსებული პატიმრები (განსაკუთრებით რომლებიც იმყოფებიან მაღალი რისკის დაწესებულებაში), როგორც წესი, ექვემდებარებიან რეგულარულ პერსონალურ შემოწმებას, რათა თანამშრომლები დარწმუნდნენ, რომ ისინი არ ფლობენ ისეთ ნივთებს რაც შესაძლოა გამოყენებული იქნას გაქცევის მცდელობებისთვის, სხვებზე თავდასხმისთვის, თვითდაზიანებისთვის, ან ისეთი ნივთები, რომლებიც არ არის ნებადართული, მაგალითად არალეგალური მედიკამენტები. შემოწმების ინტენსივობა უნდა გამომდინარეობდეს სხვადასხვა გარემოებებიდან. მაგალითად, როდესაც პატიმართა დიდი ჯგუფი გადაადგილდება დაწესებულებაში არსებული ერთი ტერიტორიიდან მეორეს მიმართულებით, დაწესებულებიდან გასვლისას და შემოსვლისას. თუ არსებობს საფუძველი ვარაუდისთვის, რომ კონკრეტულ პატიმარს დამალული აქვს გარკვეული ნივთი ან პატიმარი ფასდება როგორც მაღალი რისკის მატარებელი, შესაძლებელია გაშიშვლებით შემოწმების ჩატარება, ასევე სხეულის ღრუების შემოწმება, რათა შემოწმების ჩამტარებელი დარწმუნდეს, რომ პატიმარი არაფერს მალავს სხეულზე. თუმცა ეს არ უნდა განხორციელდეს ღირსების შემლახავი ფორმით და გათვალისწინებული უნდა იყოს არსებული საერთაშორისო სტანდარტები.

**ვიზიტორების შემოწმება**

როგორც საერთაშორისო სტანდარტები, ასევე ზოგადად არსებული საუკეთესო პრაქტიკა, მნიშვნელოვნად მიიჩნევს პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფ პატიმართა სოციალური კავშირების შენარჩუნებას, რასაც მაქსიმალურად უნდა შეეწყოს ხელი. პატიმრების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს უფლებას წარმოადგენს, აგრეთვე მათი დაუბრკოლებელი შეხვედრა დამცველთან/ადვოკატთთან, სახალხო დამცველთან ან მის წარმომადგენელთან, კანონმდებლობით შესაძლებელია პენიტენციურ დაწესებულებაში სასულიერო პირების, დიპლომატიური ან საკონსულო სამსახურების წარმომადგენლების შესვლა. გარდა ზოგადი ნორმებისა ამ პირთა დაწესებულებაში შესვლის შესაძლებლობის შესახებ, დაწესებულების ყოველდღიური, გამართული და უსაფრთხო ფუნქციონირებისთვის საჭიროა მაქსიმალურად დეტალურად იქნას გაწერილი პენიტენციური დაწესებულების ტერიტორიაზე ავტომანქანების, აგრეთვე პატიმართა ოჯახის წევრების, ადვოკატების, სასულიერო პირების, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში დიპლომატიური წარმომადგენლებისა და სხვა უფლებამოსილ პირთა შესვლის წესი და პროცედურები.

ზემოთ ჩამოთვლილ პირთა პენიტენციურ დაწესებულებაში შესვლისას, მათი მიღებისა და შემოწმების პროცედურები განხილულია არაერთ საერთაშორისო დოკუმენტსა და სახელმძღვანელოში. პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესების თანახმად, პატიმრებს უნდა ჰქონდეთ ოჯახის წევრებთან და შეუბღალავი რეპუტაციის მეგობრებთან შეხვედრის უფლება, მათ უნდა შეეძლოთ დაკავების შესახებ დაუყოვნებლივ აცნობონ ოჯახის წევრებს, თუმცა ამავე დოკუმენტის თანახმად, აღნიშნული უფლება შესაძლოა შეიზღუდოს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს არის საჭირო დაწესებულებაში წესრიგისა და უსაფრთხოების შესანარჩუნებლად.

მართალია საერთაშორისო სტანდარტები იძლევა გარკვეული შეზღუდვების დაწესების შესაძლებლობას, თუმცა ამავდროულად გარკვევით უსვამს ხაზს, რომ სოციალური კავშირების შენარჩუნება სასარგებლო და მნიშვნელოვანია არა მხოლოდ პატიმრისთვის, არამედ დაწესებულების ადმინისტრაციისთვისაც. აქედან გამომდინარე, შეზღუდვების შემთხვევაშიც უნდა იქნეს უზრუნველყოფილი ოჯახთან მინიმალური კონტაქტის შესაძლებლობა.

„სხვადასხვა პროფესიონალების დაწესებულებაში შესვლის წესი, როგორებიც არიან დამცველები/ადვოკატები, სოციალური მუშაკები და ექიმები, შეთანხმებული უნდა იყოს შესაბამის სტრუქტურასთან, იმისათვის, რომ დაცული იქნას ბალანსი დაწესებულების უსაფრთხოებასა და კონფიდენციალურ პროფესიულ ხელმისაწვდომობას შორის.“ [53]

**„ყველა პატიმარს აქვს ადვოკატთან კონფიდენციურად შეხვედრის უფლება, დაწესებულების თანამშრომელთა მხრიდან მიყურადების გარეშე“.[54]**

საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, უცხოეთის მოქალაქეებს, ლტოლვილებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა კომუნიკაცია იქონიონ მათი ქვეყნის (ან ეროვნულ ან საერთაშორისო თანამდებობის პირთან, რომელსაც ეკისრება მათი უფლებების დაცვა) დიპლომატიურ და საკონსულო წარმომადგენელთან. ექიმის შესვლა უნდა შეთანხმდეს შესაბამის პროფესიულ დაწესებულებასთან, რათა უზრუნველყოფილი იქნას ბალანსის დაცვა უსაფრთხოებასა და კონფიდენციალურობასა და პროფესიულ ვალდებულებებს შორის.

---

53 ” ციხის მენეჯმენტის განხილვა ადამიანის უფლებების კუთხით, ციხის თანამშრომელთა სახელმძღვანელო, ენდიუ კოილი, მეორე გამოცემა გვ-64.

54 ” ციხის მენეჯმენტის განხილვა ადამიანის უფლებების კუთხით, ციხის თანამშრომელთა სახელმძღვანელო, ენდრიუ კოილი, მეორე გამოცემა, გვ-67.

როგორც უკვე აღინიშნა, უსაფრთხოების თვალსაზრისით, დაწესებულებაში შემსვლელთა კონტროლის განხილვისას, ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს მათი პერსონალური შემოწმება. დაწესებულებამ უნდა მიიღოს ზომები, რათა დარწმუნდეს, რომ მნახველებს არ მიეცემათ შესაძლებლობა დაარღვიონ დაწესებულებაში არსებული წესები და რეგულაციები. ამ მიმართულებით, უსაფრთხოების ერთ-ერთ გარანტიას წარმოადგენს დაწესებულებაში შემსვლელ პირთა პერსონალური შემოწმება. ზემოთ მითითებულ პირთა შემოწმების დროს გათვალისწინებული უნდა იქნას, რომ მნახველები არ არიან პატიმრები და დაწესებულების უსაფრთხოების დაცვის ვალდებულება ყოველთვის დაბალანსებული უნდა იყოს და უნდა შეესაბამებოდეს მნახველთა პრივატულობის უფლებას. „შემოწმების პროცედურები განსაკუთრებით სენსიტიურად უნდა ჩატარდეს ბავშვების, ქალებისა და მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენლების მიმართ“.[55]

**აღნიშნულთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია განვიხილოთ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ერთ-ერთი გადაწყვეტილება:**

*„1997 წლის იანვარში ინგლისის ქალაქ ლიდსში, დედამ, რომელიც მივიდა პატიმარი შვილის მოსანახულებლად, თან წაიყვანა მეორე ვაჟი, რომელიც დაავადებული იყო ცერებრალური დამბლით, ამავდროულად ჰქონდა სხვა მენტალური პრობლემები. დაწესებულებაში, შემოწმებისას ორივე მნახველი გააშიშვლეს. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, ჩათვალა, რომ შემოწმების ის ფორმა, რა ფორმითაც იგი განხორციელდა, არ შეიძლება ჩათვლილიყო შემოწმების მიზნის პროპორციულად, ამგვარი შემოწმება არ შეიძლება მიჩნეული ყოფილიყო აუცილებლად დემოკრატიულ საზოგადოებაში“.[56]*

### შეხვედრის/პაემნის ოთახები

როგორც სტატიკურ უსაფრთხოებაზე მსჯელობისას აღინიშნა, შეხვედრის/პაემნის ოთახის მოწყობის დროს მნიშვნელოვანია გათვალისწინებული იქნას, რომ ოთახი იყოს უსაფრთხო როგორც პატიმრის, აგრეთვე პაემანზე/შეხვედრაზე მოსული პირისათვის და დაწესებულების შინაგანაწესის (დებულების) შესაბამისად, უზრუნველყოფილი იყოს უშუალო კონტაქტი პატიმარსა და მნახველს შორის, ან პირიქით მოწყობილი იყოს იმგვარად, რომ ინფრასტრუქტურა არ იძლეოდეს უშუალო კონტაქტის შესაძლებლობას. პაემნის ოთახის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად აუცილებელია მონიტორინგის არსებობა, რათა შემცირდეს პატიმრისთვის აკრძალული ნივთის გადაცემის ან კონტაქტის აკრძალული ფორმის გამოყენების რისკი. შეხვედრის/პაემნის ოთახი უნდა შემოწმდეს, როგორც შეხვედრის/პაემნის დაწყებამდე, აგრეთვე მისი დასრულების შემდეგ. [57]

კიდევ ერთხელ უნდა გავუსვათ ხაზი, რომ დაწესებულების თანამშრომლები მნახველებს უნდა მოექცნენ პატივისცემით. ოთახები უსაფრთხოების ნორმების მოთხოვნების პარალელურად ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ ხელს უწყობდეს პატიმრებსა და შეხვედრაზე/პაემანზე მოსულ პირებს შეხვედრა განახორციელონ ღირსეულ გარემოში, რაც ამავდროულად შეესაბამება დაწესებულების გამართული ფუნქციონირების მოთხოვნებს.

### დაწესებულების პერსონალის შემოწმება

მნიშვნელოვანია გავაცნობიეროთ, რომ აკრძალული, უკანონო ნივთების შეტანის თვალსაზრისით შესაძლოა დაწესებულების თანამშრომლებიც წარმოადგენდნენ გარკვეულ საფრთხეს. ისინიც უნდა დაექვემდებარონ შემოწმების პროცედურას. ეს ერთგვარად ქმნის იმის გარანტიასაც, რომ პატიმრები ან სხვა პირები არ განახორციელებენ მათზე ზეწოლას პენიტენციურ დაწესებულებაში აკრძალული ნივთების შეტანის მიზნით.[58] შესაძლოა დაწესებულების თანამშრომლები რაიმე სახის დაინტერესების გამო, ფარულად ახდენდენ დაწესებულებაში აკრძალული ან უკანონო ნივთების შეტანას.[59] აქედან გამომდინარე, დაწესებულებაში შესვლისას მნიშვნელოვანია, აგრეთვე თანამშრომელთა შემოწმებაც. შესაბამისი პასუხისმგებლობის მქონე დაწესებულების თანამშრომელმა შესაძლოა სხვა თანამშრომლის დაწესებულებაში შესვლის ან გასვლის დროს ჩაატაროს მისი ყოველდღიური სწრაფი ან სკანერით შემოწმება, ისე რომ არ მოუწიოს შემოწმებისთვის ინდივიდუალური ეჭვის საფუძვლის მითითება.

---

55 ” ციხის მენეჯმენტის განხილვა ადამიანის უფლებების კუთხით, ციხის თანამშრომელთა სახელმძღვანელო, ენდრიუ კოილი, მეორე გამოცემა, გვ-64.

56 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე Wainwright ბრიტანეთის წინააღმდეგ, 2006.

57 ციხის ინციდენტების მართვა, UN 2003, P-52.

58 პენიტენციური სისტემის სტანდარტული სახელმძღვანელო, ავსტრალია, 2012, გვ- 32.

59 ციხის მენეჯმენტის განხილვა ადამიანის უფლებების კუთხით, ციხის თანამშრომელთა სახელმძღვანელო, მეორე გამოცემა, გვ. 64, ენდიუ კოილი, 2009.

იმ შემთხვევაში, როდესაც დაწესებულების ადმინისტრაციას აქვს საფუძვლიანი ეჭვი იფიქროს, რომ თანამშრომელს დაწესებულებაში შეაქვს აკრძალული ან უკანონო ნივთი, დაწესებულების დირექტორმა შესაძლოა მოითხოვოს მისი შემოწმება. თუ თანამშრომელი არ განაცხადებს თანხმობას შემოწმებაზე, პირი შესაძლოა დარჩეს დაკვირვების ქვეშ და შემდგომი ნაბიჯების თაობაზე კონსულტაცია უნდა გაიმართოს დაწესებულების დირექტორთან (ან სხვა შესაბამის სამსახურებთან). დირექტორმა უნდა გადაწყვიტოს რა ქმედება განხორციელდეს, სხვა სამსახურებისათვის მიმართვის ღონისძიების ჩათვლით.

**თანამშრომელთა პატრულირება**

თანამშრომლებმა უნდა განახორციელონ დაწესებულების შიგნით არსებული ტერიტორიის რეგულარული პატრულირება, როგორც შიდა, ასევე გარე პერიმეტრის ჩათვლით (დაწესებულების კედლები, ღობეები და ა.შ). ეს ხორციელდება იმისათვის, რომ:

- თანამშრომელთა ხშირი პატრულირების შედეგად აღიკვეთოს პოტენციური ინციდენტები;
- მოხდეს უკანონო მოძრაობისა და საქმიანობის იდენტიფიცირება;
- აღიკვეთოს უსაფრთხოების ნორმების დარღვევა, უსაფრთხოების ინფრასტრუქტურის ხელყოფა;
- შემოწმდეს სტატიკური უსაფრთხოების ელემენტების ერთიანობა და დაუზიანებლობა (საკეტები, წინაღობები, ღობეები, კედლები, სადენები, სახანძრო უსაფრთხოების აღჭურვილობა, ელექტრონული მოწყობილობები და ა.შ);
- განხორციელდეს აკრძალული ნივთების აღმოჩენა, მათ შორის ისეთი ნივთების, რომლებიც შესაძლოა გამოყენებული იქნას გაქცევისთვის (კიბე, თოკი, სადენი და ა.შ), ან გამოყენებული იქნას როგორც იარაღი;
- მოხდეს საფრთხის შემცველი სამუშაო პირობების იდენტიფიცირება.

მიზანშეწონილია პატრულირების შედეგების გათვალისწინებით, რისკების შეფასდეს შემდეგი გარემოებების საფუძველზე:

- მიღებული ინფორმაციის დეტალურობის ხარისხი;
- რისკის ხასიათი/შინაარსი;
- შედეგებისა და უსაფრთხოების საკითხებთან მათი კავშირის შესაძლებლობა;
- მსგავსი შემთხვევების სიხშირე;

დაწესებულების მხრიდან შესაბამისი საპასუხო ზომების გატარების მიზანშეწონილობა [60].

**ტერიტორიის შემოწმება**

ტერიტორიის ყოველდღიური შემოწმება ტარდება პატიმრებთან შეხების გარეშე და მის მიზანს წარმოადგენს აკრძალული ნივთების აღმოჩენა, რომლებიც შესაძლოა იყოს დაწესებულების ტერიტორიაზე, ავტომობილებში, რომლებიც შემოდის დაწესებულების ტერიტორიაზე, პატიმრების კუთვნილ ნივთებს შორის და ა.შ, რასაც შეუძლია საფრთხე შეუქმნას დაწესებულებაში არსებულ წესრიგს.

**ტერიტორიის შემოწმების გეგმა უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:**

- ტერიტორია, რომლის შემოწმებაც უნდა განხორციელდეს;
- შემოწმების ფორმა და შემოწმებისთვის საჭირო აღჭურვილობა;
- შემოწმების ჩატარების დრო და რიცხვი;
- შემოწმების სიხშირე და არაგეგმიურობა;
- შემოწმების ჩატარების საფუძველი;
- ნივთები, რომელთა ძებნაც ხორციელდება;
- თანამშრომლები, რომლებმაც უნდა ჩაატარონ შემოწმება.

**ღონისძიებები, რომლებიც უნდა იქნას გათვალისწინებული ეფექტური შემოწმების გეგმის შესადგენად:**

- ყველა შემოწმებისთვის სისტემური პროცედურის შემუშავება - რაც უფრო მეთოდურია შემოწმება, მით ნაკლებია რაიმეს გამორჩენის რისკი;
- შემოწმების ტემპი და საფუძვლიანობა - პატიმრებს არ აქვთ დრო იპოვონ ნივთების დამალვის შემოქმედებითი/კრეატიული გზები;
- შემოწმებისთვის საჭირო აღჭურვილობა (ხელთათმანები, სარკეები, ფანრები და ა.შ), მათი გამოყენების უზრუნველყოფა თანამშრომელთა დაზიანების გარეშე;
- იმ ადგილების ზედმიწევნით შემოწმება, რომელთა მკაფიოდ დანახვაც შეუძლებელია.

[60] ციხის ინციდენტების მართვა, გვ. 28-31, UN 2013.

განსაკუთრებულ შემთხვევებში, დაწესებულების გარეთ არსებული უწყებები (პოლიცია, სამხედროები და ა.შ, თუ არსებობს მსგავსი ტიპის შეთანხმება ან პროცედურა) ან შიდა უწყებრივად არსებული სხვა სტრუქტურული ერთეულები (მაგ. სპეციალური დანიშნულების ძალები) კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში, შესაძლოა გამოყენებულნი იქნენ შემოწმების ჩატარებაში დაწესებულების დასახმარებლად, მათ შესაძლოა გამოიყენონ ისეთი ინვენტარი, რომელიც დაწესებულებას არ გააჩნია.

### რას გვეუბნება საერთაშორისო სტანდარტები

**ციხის ევროპულის წესები**
**ჩხრეკა და კონტროლი**

54.1 ეროვნული კანონმდებლობა დეტალურად უნდა განსაზღვრავდეს პროცედურებს, რომელიც უნდა გამოიყენონ დაწესებულების თანამშრომელებმა შემდეგ ადგილებში ჩხრეკის ჩატარების დროს:

ა. პატიმარის საცხოვრებელი ყველა ადგილი, სამუშაო და შეხვედრის ადგილები;

ბ. პატიმრების სხეული;

გ. მსჯავრდებულის ახლობლები და მათი საკუთრება და:

დ. დაწესებულების თანამშრომლები.

54.2 სიტუაცია, რომელშიც ასეთი ჩხრეკის ჩატარება აუცილებელია, აგრეთვე ასეთი ღონისძიების ხასიათი უნდა განისაზღვროს ეროვნული კანონმდებლობით.

54.3 დაწესებულების თანამშრომელებმა უნდა აითვისონ ჩხრეკის ჩატარების ის სპეციფიკა, რომელიც უზრუნველყოფს გაქცევის ნებისმიერი მცდელობის პრევენციას ან კონტრაბანდის დამალვას, ამავდროულად დაცული უნდა იყოს იმ ადამიანების ღირსების პატივისცემა, რომლებსაც უტარდებათ ჩხრეკა.

54.4 პირები, რომელთაც უტარდებათ ჩხრეკა არ შეიძლება მოცემულ პროცესში იყვნენ შეურაცხყოფილნი.

54.5 პირებს შეიძლება ჩხრეკა ჩაუტარდეთ მხოლოდ დაწესებულების იმავე სქესის თანამშრომლის მიერ.

54.6 არ შეიძლება პატიმრების შიდა სხეულის ჩხრეკა ჩატარებული იქნას დაწესებულების თანამშრომლის მიერ.

54.7 სხეულის ჩხრეკა შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ პრაქტიკოსი ექიმის მიერ.

54.8 პატიმრები უნდა ესწრებოდნენ მათი პირადი ნივთების ჩრხეკის პროცესს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დაწესებულების ადმინისტრაცია კრძალავს ამას საგამოძიებო ტექნიკის მიზეზებით ან პოტენციური საფრთხის არსებობის გამო.

54.9 უსაფრთხოებისა და უშიშროების დაცვის ვალდებულება არ შეიძლება არღვევდეს ვიზიტორების პირად ხელშეუხებლობას.

54.10 პროფესიული ვიზიტების კონტროლთან დაკავშირებით, ისეთი როგორიცაა, დამცველის, სოციალური მუშაკის, ექიმის და ა.შ. გადაწყვეტილება უნდა იქნას მიღებული მათი პროფესიულ ორგანიზაციებთან კონსულტაციის შემდეგ, რათა დაბალანსებულ იქნას უსაფრთხოება და უშიშროება კონფიდენციალურ პროფესიულ ხელისაწვდომობასთან.

## ადგილობრივი კანონმდებლობა

მსჯავრდებულის, მისი ნივთების და მოთავსების ადგილის შემოწმება
პენიტენციურ დაწესებულებაში, სამართლებრივი რეჟიმისა და უსაფრთხოების დაცვის მიზნით, დასაშვებია მსჯავრდებულის პირადი შემოწმება, აგრეთვე მისი მოთავსების ადგილისა და მისი ნივთების შემოწმება.[61]

მსჯავრდებულის, მისი მოთავსების ადგილისა და მისი ნივთების შემოწმება ტარდება ისეთი ნივთების, ნივთიერებების ან საკვები პროდუქტების აღმოჩენისა და ამოღების მიზნით, რომელიც შენახვისა და გამოყენებისათვის აკრძალულია ან/და არ ეკუთვნის მსჯავრდებულს.

გამოყენებისათვის და შენახვისათვის აკრძალულს განეკუთვნება ის ნივთები, ნივთიერებები და საკვები **პროდუქტები, რომლებიც:**

- წარმოადგენენ საფრთხეს სიცოცხლისათვის ან/და ჯანმრთელობისათვის;
- შეიძლება გამოყენებულ იქნენ დანაშაულის ჩადენის იარაღად ან სასჯელის მოხდის მიზნის საწინააღმდეგოდ;
- არ არის გათვალისწინებული კანონმდებლობით დადგენილ იმ პირველადი მოხმარების საგნების, ჰიგიენური საშუალებების, სხვა ნივთებისა და საგნების ჩამონათვალში[62], რომელთა ამანათის სახით (აგრეთვე ფოსტის მეშვეობით) მიღების, შენახვის, კანონიერად გამოყენების ან მაღაზიაში შეძენის უფლება მსჯავრდებულს გააჩნია;
- აჭარბებს საკვები პროდუქტების, პირველადი მოხმარების საგნების, ფეხსაცმლის, ტანსაცმლისა და სხვა სამრეწველო პროდუქტების დადგენილ ოდენობას.

**მსჯავრდებულის პირადი შემოწმება შეიძლება იყოს არასრული და სრული.**

მსჯავრდებულის პირადი შემოწმება ხორციელდება პენიტენციური დაწესებულების სამართლებრივი რეჟიმის ან/და უსაფრთხოების განყოფილების უფლებამოსილი მოსამსახურეების მიერ. ამასთან, მსჯავრდებულის შემოწმება შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ იმავე სქესის პირთა მონაწილეობით. შემოწმების პროცესზე სხვა სქესის პირთა დასწრება დაუშვებელია.

მსჯავრდებულის პირადი არასრული შემოწმებისას ხდება მისი ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის შემოწმება და დათვალიერება, მისი გახდის გარეშე.

მსჯავრდებულის პირადი არასრული შემოწმება ტარდება:

- ფოტოდაქტილოსკოპთან, ექიმთან, გამომძიებელთან წარდგენამდე და წარდგენის შემდეგ;
- ახლო ნათესავებთან ან სხვა პირებთან (მათ შორის, რელიგიურ პირებთან) შეხვედრამდე და მის შემდეგ;
- სხვა საკანში გადაყვანისას;
- სხვა შემთხვევებში დაწესებულების დირექტორის ან მის მიერ საამისოდ უფლებამოსილი პირის გადაწყვეტილების საფუძველზე.

მსჯავრდებულის პირადი სრული შემოწმება ტარდება:

- პენიტენციურ დაწესებულებაში მიღებისას;
- პენიტენციური დაწესებულებიდან გაგზავნისას;
- განსაკუთრებულ, პირად გარემოებებთან დაკავშირებით (ახლო ნათესავის გარდაცვალების შემთხვევაში) პენიტენციური დაწესებულების დროებით დატოვებისას/დაბრუნებისას;
- სხვა შემთხვევებში, პენიტენციური დაწესებულების დირექტორისა ან მის მიერ უფლებამოსილი პირის გადაწყვეტილებით.

სრული პირადი შემოწმებისას ხდება მსჯავრდებულის სხეულის, ტანსაცმლის, ფეხსაცმლისა და პროთეზის (მისი არსებობის შემთხვევაში) დათვალიერება, რომლის დროსაც მსჯავრდებული

[61] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს №108 ბრძანებით დამტკიცებული დებულება, 21-ე მუხლი.

[62] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს №108 ბრძანებით დამტკიცებული დებულების №2, №3 და №4 დანართები.

ვალდებულია უფლებამოსილი პირის მითითების შემდეგ, მთლიანად გაიხადოს ან გაიშიშვლოს სხეულის შესაბამისი ნაწილები. პლასტირი, თაბაშირის და სხვა ნახვევები მოწმდება საექიმო-სამედიცინო პუნქტის სამედიცინო მუშაკთან ერთად. ტანსაცმელში ჩაკერებული ნივთების აღმოჩენისას ქსოვილი იჭრება, ხოლო ფეხსაცმლიდან ამოიღება სუპინატორები და მეტალის დეტალები. მსჯავრდებულის პირადი სრული შემოწმებისას შინაგან შემოწმებას ატარებს სამედიცინო მუშაკი.

სრული შემოწმებისას, აგრეთვე მოწმდება ფეხისა და ხელის თითებს შორის ადგილები, ტერფის გულები, ხელის მტევანი ორივე მხრიდან, კანის საფარი, ყურის ნიჟარები, იღლიები, პირის ღრუ, ცხვირის ნესტოები და სხვა ადგილები, ივარცხნება თმები თავზე. ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის შემოწმებისას საეჭვო ადგილები იჩხვლიტება სადგისით. ჯიბეები, ტანსაცმლის სახელოები, შარვლები, საცვლები, წინდები უკუღმა ბრუნდება. ფეხსაცმლის დათვალიერება ხორციელდება შიდა და გარე მხრიდან. დეტალურად უნდა იქნეს დათვალიერებული მსჯავრდებულის თამბაქოს ნაწარმი, მუშტუკი და სხვა საგნები.

პირადი შემოწმების შემდეგ, მსჯავრდებულს დარჩება მხოლოდ ის ნივთები, ნივთიერებები და საკვები პროდუქტები, რომელთა გამოყენებისა და შენახვის უფლებაც მას საქართველოს კანონმდებლობით გააჩნია. მსჯავრდებულისათვის დატოვებული პირადი ნივთები აღირიცხება მსჯავრდებულის საკნის ბარათში.

მსჯავრდებულის ნივთების შემოწმება ხორციელდება შემდეგ შემთხვევებში:

- პენიტენციურ დაწესებულებაში მიღებისას;
- პენიტენციური დაწესებულებიდან გაგზავნისას;
- სხვა საკანში გადაყვანისას;
- სამედიცინო სტაციონარში გადაყვანისას;
- განსაკუთრებულ შემთხვევებში, პენიტენციური დაწესებულების დირექტორის ან მის მიერ უფლებამოსილი პირის გადაწყვეტილებით.

მსჯავრდებულის ნივთების შემოწმება ხდება მისი თანდასწრებით, ხოლო განსაკუთრებულ შემთხვევებში, პენიტენციური დაწესებულების დირექტორის ან მის მიერ უფლებამოსილი პირის გადაწყვეტილებით, მსჯავრდებულის ნივთების შემოწმება შეიძლება მოხდეს მისი დასწრების გარეშეც.

მსჯავრდებულის მოთავსების ადგილის შემოწმება ტარდება პენიტენციური დაწესებულების დირექტორის ან მის მიერ საამისოდ უფლებამოსილი პირის გადაწყვეტილებით.

პირადი შემოწმების, მოთავსების ადგილის ან ნივთების შემოწმების თაობაზე დგება ოქმი, ხოლო იმ შემთხვევაში თუ სხვადასხვა სახის შემოწმება ერთდროულად ხორციელდება დგება ერთი ოქმი. შემოწმების ოქმში აისახება ინფორმაცია როგორც ამოღებული ნივთების, ნივთიერებებისა და საკვები პროდუქტების თაობაზე, ისე იმ გარემოების შესახებ, რომლის საფუძველზე ტარდება შემოწმება. ოქმს ხელს აწერენ შემოწმების პროცესში მონაწილე მოსამსახურეები და მსჯავრდებული თუ იგი ესწრება შემოწმებას. მსჯავრდებულის მიერ ოქმში ხელმოწერაზე უარის თქმის შემთხვევაში, ოქმში შენიშვნის სახით კეთდება შესაბამისი ჩანაწერი და აგრეთვე, აისახება მსჯავრდებულის ყველა პრეტენზია. ოქმი დაერთვის მსჯავრდებულის პირად საქმეს.

სრული პირადი შემოწმების, მოთავსების ადგილის ან/და ნივთების შემოწმების თაობაზე კეთდება აღნიშვნა მსჯავრდებულის საკნის ბარათში, შემოწმების ჩატარების თარიღის, შემოწმების ჩამტარებელი პირის/პირების ვინაობისა და თანამდებობის მითითებით. შემოწმების ჩატარებისას შეიძლება გამოყენებულ იქნეს ტექნიკური საშუალებები, მათ შორის, რენტგენის აპარატურა, რომლის გამოყენება დასაშვებია მხოლოდ ტანსაცმლისა და ნივთიერების შემოწმებისას. შემოწმება არ შეიძლება განხორციელდეს მსჯავრდებულის დამამცირებელი და ღირსების შემლახავი ფორმით.

**დილის და საღამოს შემოწმება სამორიგეო ცვლის მიერ**

პენიტენციურ დაწესებულებაში ყოველდღიურად, სამორიგეო ცვლის[63] მიერ ტარდება დილისა და საღამოს შემოწმებები, რა დროსაც ხდება მსჯავრდებულების რაოდენობრივი გადათვლა, საკნებში არ მყოფი მსჯავრდებულების შესახებ ინფორმაციის გადამოწმება, მსჯავრდებულთა გამოკითხვა მათი საჭიროებებისა და პრობლემების გაცნობის მიზნით, საკნების და დაწესებულებების სხვა სივრცეების შემოწმება/დათვალიერება და ა. შ. სამორიგეო ცვლის შემადგენლობაში შედიან პენიტენციური

[63] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს №108 ბრძანებით დამტკიცებული დებულება, 91-ე მუხლი.

დაწესებულების სამართლებრივი რეჟიმისა და უსაფრთხოების განყოფილების მოსამსახურეები, ხოლო სამორიგეო ცვლას ხელმძღვანელობს დაწესებულების ოპერატიული მორიგე.

დილის შემოწმების დაწყებამდე, პენიტენციური დაწესებულების ტერიტორიაზე არსებულ საგუშაგოებზე სამორიგეო ცვლის მოსამსახურეთა განაწილების მიზნით, ტარდება სამორიგეო ცვლის წარმომადგენელთა შეკრება დაწესებულების ახალი ცვლის ოპერატიული მორიგის ხელმძღვანელობით, რომელიც ეცნობა დაწესებულებაში არსებულ ვითარებას, ამოწმებს სამორიგეო ცვლის მოსამსახურეთა პენიტენციური დაწესებულების დირექტორის მიერ დამტკიცებული სამორიგეო გრაფიკის მიხედვით სამსახურში გამოცხადებას, უტარებს მათ ინსტრუქტაჟს, აძლევს მითითებებს/დავალებებს და ანაწილებს შესაბამის საგუშაგოებზე. საგუშაგოებზე განაწილების დასრულების შემდეგ სამორიგეო ჯგუფი გადადის შესაბამის საგუშაგოზე და დღის განრიგით გათვალისწინებული დროის შესაბამისად იწყებს დილის შემოწმებას და საგუშაგოს მიღება-გადაბარებას[64] წინა სამორიგეო ცვლასთან (გრაფიკის მიხედვით) ერთად. საგუშაგოების მიღება-ჩაბარების დროს და მის დაწყებამდე 30 წუთით ადრე, წყდება პატიმართა ყოველგვარი გადაადგილება, გარდა განსაკუთრებული აუცილებლობით გამოწვეული შემთხვევებისა.

საგუშაგოს მიღება-გადაბარება ხორციელდება შემდეგნაირად:

- მოწმდება ეზოს ინვენტარი, ფანჩატურები, გრძელი სკამები, ტელეფონები მსჯავრდებულთა კომუნიკაციისათვის, კორპუსის კედელზე გამავალი ხილული კომუნიკაციები, ეზოში სანიაღვრეები და ჭები, ეზოს კარები, ეზოს გამწვანება, ეზოს სარწყავი სისტემები, შადრევნები, სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა;
- მოწმდება კორპუსის ჰოლები, დერეფნები, განათება, ტელეფონები, საკომუნიკაციო შახტები, დერეფნისა და სახანძრო კიბეზე გამავალი კარები, კიბეების უჯრედების ცხაურები, ჰოლისა და დერეფნის ფანჯრები და ფანჯრის ცხაურები;
- გასახდელსა და საშხაპეებში მოწმდება სველი წერტილების გამართულობა, ფანჯრები, ფანჯრის ცხაურები, განათება და სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობა;
- სამრეცხაოსა და საშრობში მოწმდება დანადგარების ტექნიკურ მდგომარეობა, ფანჯრები, ფანჯრის ცხაურები, განათება, ვიზუალური კონტროლის საშუალებები, ჭერი, იატაკი, სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობა;
- მოწმდება საგუშაგოს შეუმოწმებელი ტერიტორიები.

წინა და ახალი სამორიგეო ცვლის საგუშაგო ჯგუფის წევრები ერთობლივად ახორციელებენ საკნებისა და მსჯავრდებულების შემოწმება/გადაბარებას, კერძოდ: საკნის კარების გაღებამდე წინა ცვლის საგუშაგოს ჯგუფის მთავარი ინსპექტორი მოუწოდებს მსჯავრდებულს მოემზადოს შემოწმებისთვის და ხელბორკილის დასადებად პირისახით კედლისკენ შეტრიალდეს.

წინა ცვლის საგუშაგო ჯგუფის წევრი აღებს საკნის კარებს, საკანში შედიან წინა და ახალი ცვლის საგუშაგოს ჯგუფის მთავარი ინსპექტორები და ახალი ცვლის საგუშაგოს ჯგუფის წევრები. ჯგუფის ერთ-ერთი წევრი მსჯავრდებულს ადებს ხელბორკილს, ხოლო ჯგუფის დანარჩენი წევრები:

- ამოწმებენ მსჯავრდებულებს, მათ ვიზუალურ მდგომარეობას, კომპეტენციის ფარგლებში გამოკითხავენ მათ ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ და ეცნობიან მათ პრობლემებს. საჭიროების შემთხვევაში, მსჯავრდებულის და მისი ნივთების იდენტიფიცირებისათვის იყენებენ მსჯავრდებულის საკნის ბარათს ან/და კარტოთეკას;
- ამოწმებენ სველი წერტილების მდგომარეობას, განათებას, კედლებს, ფანჯრებს და ფანჯრის გარე ცხაურებს, მაგიდას, სკამებს, საწოლებს, ტუმბოებს, იატაკს, ჭერს, განათებას, ელქტროტექნიკას (არსებობის შემთხვევაში), სანიტარიულ-ჰიგიენურ მდგომარეობას;
- საკნიდან გამოსვლის შემდეგ წინა ცვლის ჯგუფის წევრი კეტავს მსჯავრდებულებს საკანში.

საღამოს, მსჯავრდებულის, საკნის და სხვა სივრცეების შემოწმება ხორციელდება დილის შემოწმების ანალოგიურად, სამორიგეო ჯგუფის მიერ. მსჯავრდებული ვალდებულია, პენიტენციური დაწესებულების დღის განრიგის შესაბამისად, საღამოს შემოწმებისას იმყოფებოდეს საკანში. სამორიგეო ჯგუფის წევრი ათვალიერებს საკანს ვიზუალურად, მოუწოდებს მსჯავრდებულს, დაწესებულების დღის განრიგით განსაზღვრული დროის გათვალისწინებით, მოემზადოს დასაძინებლად და კეტავს საკანში, რის შემდეგაც, სამორიგეო ცვლა იწყებს დარჩენილი ტერიტორიების შემოწმებას. საღამოს შემოწმების დასრულებისას სამორიგეო ცვლა შემოწმების შედეგებს აცნობებს სამორიგეო ცვლის ხელმძღვანელს.

[64] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს №108 ბრძანებით დამტკიცებული დებულება, 92-ე მუხლი.

## საკნების დათვალიერება [65]

საკნების ტექნიკური დათვალიერება ხორციელდება პენიტენციური დაწესებულების სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების მოსამსახურეებისგან შემდგარი ჯგუფის მიერ, რომელსაც ხელმძღვანელობს ჯგუფის უფროსი. საკნების ტექნიკური დათვალიერება ხორციელდება დღეში არანაკლებ ერთხელ, როდესაც იქ მსჯავრდებულები არ იმყოფებიან, ხოლო ცალკეულ შემთხვევებში, პენიტენციური დაწესებულების დირექტორის დავალებით, სამართლებრივი რეჟიმისა და უსაფრთხოების განყოფილების მოსამსახურეების მიერ, შესაძლებელია განხორციელდეს საკნების რიგგარეშე დათვალიერება. საკნების ტექნიკური დათვალიერებისას უნდა შემოწმდეს ფანჯრები, ჭერი, იატაკი, კედლები, საწოლი ადგილები, მაგიდები, სკამები, პირსაბანები, აგრეთვე სანიტარიულ-ტექნიკური მოწყობილობები და წყალსადენი მილები.

ამასთან, სამორიგეო ცვლის მოსამსახურეების მიერ, არანაკლებ კვირაში ერთხელ, დადგენილი გრაფიკის მიხედვით, ტარდება საკნების საკონტროლო-ტექნიკური შემოწმება-დათვალიერება, რა მიზნითაც, სამორიგეო ცვლის შემადგენლობის დასახმარებლად გამოიყოფა დაწესებულების სარეზერვო ჯგუფის მოსამსახურეთა შემადგენლობა.

გარდა ზემოაღნიშნულისა, არანაკლებ თვეში ორჯერ, პენიტენციური დაწესებულების დირექტორის მიერ დადგენილი გრაფიკის მიხედვით, ტარდება საკნების დათვალიერება აკრძალული ნივთების და საგნების აღმოჩენის მიზნით.

საკნების დათვალიერების განხორციელებისას, შესაბამისი ჯგუფის უფროსი ვალდებულია გააკონტროლოს დასათვალიერებელ ობიექტებზე განაწილებულ სამორიგეო ცვლის მოსამსახურეთა საქმიანობა. დათვალიერებისას, შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს სარკე, ხის ჩაქუჩი და სხვა ტექნიკური საშუალებები.

დათვალიერების განმახორციელებელი ჯგუფის წევრები პატივისცემით და სიფრთხილით უნდა მოექცნენ მსჯავრდებულთა განთავსების ადგილებში არსებულ ნივთებს, განსაკუთრებით რელიგიურ ნივთებს. ჩატარებულ დათვალიერებაზე უნდა შედგეს ოქმი.

მსჯავრდებულთა საკნების არაგეგმიური და გეგმიური დათვალიერება ტარდება პენიტენციური დაწესებულების დირექტორის გადაწყვეტილებით. დათვალიერების შედეგები აისახება ოქმში და მოხსენდება დაწესებულების სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების უფროსს, რომელიც თავის მხრივ ჩატარებული ღონისძიებების შედეგებს აცნობებს დაწესებულების ხელმძღვანელობას. საკნების დათვალიერებისას რაიმე ხარვეზის ან დაზიანების აღმოჩენის შემთხვევაში, დაწესებულების სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების უფროსი და სამორიგეო ცვლის ხელმძღვანელი ერთად იღებენ ზომებს მათ აღმოსაფხვრელად.

## პენიტენციური დაწესებულების ტერიტორიისა და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების დათვალიერება [66]

პენიტენციური დაწესებულების ტერიტორიისა და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების დათვალიერება ხორციელდება თვეში არანაკლებ ორჯერ, ხოლო არაგეგმიურად, დაწესებულების დირექტორის დავალებით, არსებული ვითარებიდან გამომდინარე. დათვალიერება ხორციელდება დაწესებულების სამართლებრივი რეჟიმისა და უსაფრთხოების განყოფილებათა ერთობლივად შემუშავებული გეგმის მიხედვით, რომელშიც გათვალისწინებული უნდა იქნეს:

- დათვალიერების მიზანი;
- დათვალიერების ჩატარების დღე და საათები;
- დაწესებულების ტერიტორიისა და შენობა-ნაგებობების დაყოფა სექტორების მიხედვით;
- მოსამსახურეთა რაოდენობა, მათი დაყოფა ჯგუფების მიხედვით;
- ტექნიკური საშუალებების სახეობა და რაოდენობა;
- დათვალიერების ჯგუფების მიერ დათვალიერების ჩატარების წესი და მისი ჩატარების ადგილი.

პენიტენციური დაწესებულების ტერიტორიისა და შენობა-ნაგებობების დათვალიერების ჩატარება უნდა იყოს მოულოდნელი და მისი მზადება უნდა მიმდინარეობდეს ფარულად. დათვალიერებაში

[65] „პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში სამართლებრივი რეჟიმის განხორციელების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ" საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2013 წლის 1 აგვისტოს №200 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია, თავი VIII.

[66] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2013 წლის 1 აგვისტოს №200 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია, თავი XI.

ჩართული უნდა იქნეს სამორიგეო ცვლის შემადგენლობა.

პენიტენციური დაწესებულების ტერიტორიისა და შენობა-ნაგებობების დათვალიერებისას მსჯავრდებულთა დაწესებულების ტერიტორიაზე გადაადგილება დაუშვებელია. დათვალიერების დროს, შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს სხვადასხვა ტექნიკური საშუალებები.

**მსჯავრდებულის შეხვედრები (ზოგადი წესები)**

მსჯავრდებულს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, უფლება აქვს ისარგებლოს ახლო ნათესავებთან შეხვედრით (პაემნით), შეხვდეს ადვოკატს და სასულიერო პირებს. უცხო ქვეყნის მოქალაქე მსჯავრდებულებს აგრეთვე, შეუძლიათ ისარგებლონ დიპლომატიური წარმომადგენლობის, საკონსულო დაწესებულების და სხვა დიპლომატიურ წარმომადგენლებთან შეხვედრის უფლებით.[67]

**მსჯავრდებულის ხანმოკლე პაემანი[68]**

ახლო ნათესავებთან შეხვედრები (პაემნები), სხვა პენიტენციურ დაწესებულებებთან შედარებით, შეზღუდულია განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში. კერძოდ, აღნიშნული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში განთავსებულ მსჯავრდებულს უფლება აქვს ერთი თვის განმავლობაში ჰქონდეს ერთი ხანმოკლე პაემანი, წახალისების ფორმით – თვეში ერთი დამატებითი ხანმოკლე პაემანი, ხოლო ხანგრძლივი პაემანი საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, არ ეძლევა.[69]

ხანმოკლე პაემანი ხორციელდება სპეციალურ ოთახებში მინის გამყოფი ბარიერის მეშვეობით, ერთიდან ორ საათამდე ხანგრძლივობით, რომელიც შეიძლება შემცირდეს შეხვედრაზე მყოფი პირების მოთხოვნით. პაემანი მიმდინარეობს პენიტენციური დაწესებულების უფლებამოსილი წარმომადგენლის მხოლოდ ვიზუალური კონტროლით, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.[70] მსჯავრდებულისა და პაემანზე მისული პირის ურთიერთობის კონტროლი ხორციელდება მათი პატივისა და ღირსების შეულახავად.

ხანმოკლე პაემანზე მსჯავრდებული შეიძლება ერთდროულად შეხვდეს არაუმეტეს ორ სრულწლოვან პირს ან ერთ სრულწლოვან პირს, რომელსაც შეიძლება ახლდეს ხანმოკლე პაემნის უფლების მქონე ორი არასრულწლოვანი. ხანმოკლე პაემანზე მიმსვლელ პირთა ზღვრულ ოდენობას, არსებული პირობების გათვალისწინებით, განსაზღვრავს პენიტენციური დაწესებულება, მსჯავრდებულის უსაფრთხოების, დაწესებულების სამართლებრივი რეჟიმისა და უსაფრთხოების დაცვის მიზნებიდან გამომდინარე. ხანმოკლე პაემანზე მსჯავრდებული უნდა გამოცხადდეს მოწესრიგებული, ვალდებულია დაიცვას სამართლებრივი რეჟიმის მოთხოვნები და შეასრულოს დაწესებულების წარმომადგენლის კანონიერი მითითებები.

დაწესებულებაში აკრძალული და არანებადართული ნივთების, ნივთიერებების მოხვედრის თავიდან ასაცილებლად, მსჯავრდებული ხანმოკლე პაემნის დაწყებამდე და დასრულების შემდეგ გადის შესაბამის შემოწმებას.[71] შეხვედრაზე მოსულ პირებს დაწესებულების უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ განემარტება ხანმოკლე პაემნის ჩატარების წესი, აღნიშნული პირები დაწესებულებაში აკრძალულ და არანებადართულ ნივთებს, ნივთიერებებს შესანახად ხელწერილით აბარებენ დაწესებულების წარმომადგენელს.

**მსჯავრდებულის დამცველთან/ადვოკატთან შეხვედრა**

მსჯავრდებულს უფლება აქვს ყოველგვარი შეზღუდვისა და ჩარევის გარეშე შეხვდეს თავის დამცველს/ადვოკატს[72], რომელიც ახორციელებს კანონით გათვალისწინებულ საადვოკატო საქმიანობას. შესაბამისად, დამცველი/ადვოკატი მსჯავრდებულთან შესახვედრად დაიშვება საადვოკატო საქმიანობის განხორციელების დამადასტურებელი მოქმედი დოკუმენტისა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მსჯავრდებულის უფლების დასაცავად გაცემული შესაბამისი

[67] საქართველოს კანონი „პატიმრობის კოდექსი“, მე-14 მუხლის პირველი ნაწილის „ა.გ“ ქვეპუნქტი, მე-3 ნაწილი.

[68] საქართველოს კანონი „პატიმრობის კოდექსი“ მე-17 მუხლი, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს №108 ბრძანებით დამტკიცებული დებულება, 44-ე - 47-ე მუხლები.

[69] საქართველოს კანონი „პატიმრობის კოდექსი“, 663 მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი, 172 მუხლის მე-6 ნაწილი.

[70] მაგალითად, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის XVI1 თავით გათვალისწინებული ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას.

[71] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს №108 ბრძანებით დამტკიცებული დებულება, 21-ე მუხლის მე-6 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი, მე-7 პუნქტი.

[72] საქართველოს კანონი „პატიმრობის კოდექსი“ მე-18 მუხლი, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს №108 ბრძანებით დამტკიცებული დებულება, 52-ე მუხლი, „ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა დამცველთან/ადვოკატთან შეხვედრის უფლების განხორციელების შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 2 ნოემბრის №157 ბრძანება.

ორდერის ან მინდობილობის (რწმუნებულების) წარმოდგენის შემთხვევაში.
პენიტენციური დაწესებულების თანამშრომელს შეუძლია მსჯავრდებულის დამცველთან შეხვედრას დააკვირდეს ვიზუალურად, ტექნიკური საშუალებით დისტანციური დაკვირვებისა და ჩაწერის პირობებში, მაგრამ მოსმენის გარეშე.

შეხვედრაზე მოსული დამცველი/ადვოკატი დაწესებულებაში აკრძალულ და არანებადართულ ნივთებს, ნივთიერებებს შესანახად, ხელწერილით აბარებს დაწესებულების უფლებამოსილ მოსამსახურეს.

მსჯავრდებული შეხვედრაზე უნდა გამოცხადდეს მოწესრიგებული, ვალდებულია დაიცვას სამართლებრივი რეჟიმის მოთხოვნები და შეასრულოს შესაბამისი უფლებამოსილი მოსამსახურის კანონიერი მითითებები. დაწესებულებაში აკრძალული და არანებადართული ნივთების, ნივთიერებების ფარული მოხვედრის თავიდან ასაცილებლად, მსჯავრდებული შეხვედრის დაწყებამდე და დასრულების შემდეგ გადის შესაბამის შემოწმებას.

**დიპლომატიური წარმომადგენლობის ან საკონსულო დაწესებულების წარმომადგენელთან შეხვედრა**
მსჯავრდებულს, რომელიც უცხო ქვეყნის მოქალაქეა, უფლება აქვს, შეუზღუდავად შეხვდეს თავისი ქვეყნის დიპლომატიური წარმომადგენლობის ან საკონსულო დაწესებულების წარმომადგენელს ან იმ ქვეყნის უფლებამოსილ დიპლომატიურ წარმომადგენელს, რომელიც საქართველოში ითავსებს მისი ქვეყნის ინტერესების დაცვას. უცხო ქვეყნის მოქალაქე და მოქალაქეობის არმქონე ბრალდებულებს/მსჯავრდებულებს უფლება აქვთ, ჰქონდეთ ურთიერთობები თავიანთი ქვეყნების დიპლომატიურ წარმომადგენლობებთან და საკონსულო დაწესებულებებთან. იმ სახელმწიფოთა მოქალაქეებს, რომლებსაც საქართველოში დიპლომატიური წარმომადგენლობები და საკონსულო დაწესებულებები არ აქვთ, უფლება აქვთ, ჰქონდეთ ურთიერთობები იმ სახელმწიფოთა დიპლომატიურ წარმომადგენლობებთან და საკონსულო დაწესებულებებთან, რომლებმაც საკუთარ თავზე აიღეს მათი ინტერესების დაცვა, ან სახელმწიფოთაშორის ორგანოებთან, რომლებიც ამ პირთა ინტერესებს იცავენ.[73]

მსჯავრდებულის დიპლომატიური წარმომადგენლობის ან საკონსულო დაწესებულების წარმომადგენელთან შეხვედრა მიმდინარეობს დაწესებულების უფლებამოსილი მოსამსახურის მხოლოდ ვიზუალური კონტროლით, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა. კონტროლი უნდა განხორციელდეს მსჯავრდებულის პატივისა და ღირსების შეულახავად. შეხვედრა ხორციელდება სპეციალურ ოთახებში.

პენიტენციური დაწესებულების უფლებამოსილი მოსამსახურე შეხვედრაზე მოსულ პირს განუმარტავს შეხვედრის ჩატარების წესს. იგი ფულს, ასევე საგნებსა და ფასეულობებს, რომელთა გამოყენება დაწესებულებაში აკრძალულია, შესანახად, ხელწერილით აბარებს დაწესებულების უფლებამოსილ მოსამსახურეს.

მსჯავრდებული შეხვედრაზე უნდა გამოცხადდეს მოწესრიგებული. იგი ვალდებულია დაიცვას სამართლებრივი რეჟიმის მოთხოვნები და შეასრულოს დაწესებულების უფლებამოსილი მოსამსახურის წარმომადგენლის კანონიერი მითითებები. დაწესებულებაში აკრძალული და არანებადართული ნივთების, ნივთიერებების მოხვედრის თავიდან ასაცილებლად, მსჯავრდებული შეხვედრის დაწყებამდე და დასრულების შემდეგ გაივლის შესაბამის შემოწმებას.

შეხვედრის უფლება შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ გარკვეული დროით, თუ არსებობს შეხვედრის უზრუნველყოფისათვის დამაბრკოლებელი ობიექტური გარემოებები, რაც დაკავშირებულია თავად საკონსულოს ან სხვა დიპლომატური წარმომადგენლის უსაფრთხოებასთან. შეხვედრა შედგება ასეთი გარემოებების აღმოფხვრისთანავე.

**სასულიერო პირებთან შეხვედრა**
მსჯავრდებულს უფლება აქვს შეხვდეს სასულიერო პირებს.[74] მას შეუძლია შეხვდეს საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის, აგრეთვე, რეგისტრირებული რელიგიური ორგანიზაციის ან/და ტრადიციული კონფესიების წარმომადგენელს, რომელიც პენიტენციურ დაწესებულებაში დაიშვება მხოლოდ შესაბამისი რელიგიური ორგანიზაციის მიერ

[73] საქართველოს კანონი „პატიმრობის კოდექსი“, მე-17 მუხლის მე-13 ნაწილი, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს №108 ბრძანებით დამტკიცებული დებულება, 53-ე მუხლი.
[74] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს №108 ბრძანებით დამტკიცებული დებულება, 50-ე მუხლი; „ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა რელიგიურ რიტუალებში მონაწილეობისა და სასულიერო პირებთან შეხვედრის უფლების განხორციელების შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების მინისტრის 2010 წლის 30 დეკემბრის №187 ბრძანება.

დაწესებულებასთან წინასწარი შეთანხმებით.
პენიტენციური დაწესებულების მიერ სასულიერო პირთან შეხვედრის თაობაზე თანხმობა გაიცემა შესაბამისი რელიგიური ორგანიზაციის წერილობითი მიმართვის საფუძველზე, სადაც მითითებული უნდა იყოს ორგანიზაციის დასახელება, წარმომადგენლის ვინაობა, ვიზიტის მიზანი და სავარაუდო ხანგრძლივობა. პენიტენციური დაწესებულება ვალდებულია მსჯავრდებულის სასულიერო პირებთან შეხვედრის მიზნით გამოყოს ოთახი. მსჯავრდებული შეხვედრის დაწყებამდე და დასრულების შემდეგ გაივლის შესაბამის შემოწმებას.

მსჯავრდებული რელიგიურ რიტუალებს ასრულებს საკანში, ხოლო შესაძლებლობის არსებობისას, ამ მიზნით მოწყობილ შენობებში, იმ რელიგიური კონფესიების ტრადიციების შესაბამისად, რომლებსაც ისინი მიეკუთვნებიან. კანონმდებლობის თანახმად, არ დაიშვება ისეთი რელიგიური რიტუალის შესრულება, რომელიც არღვევს სხვა მსჯავრდებულის უფლებებს. მსჯავრდებულისათვის ნებადართულია თან იქონიოს და ისარგებლოს რელიგიური ლიტერატურით, ინდივიდუალური რელიგიური კულტის საგნებით, გარდა მჩხვლეტავი, ბასრი, ძვირფასი ლითონების და ქვის ნაკეთობებისა ან იმ საგნისა, რომელიც წარმოადგენს კულტურულ და ისტორიულ ფასეულობას.

**პენიტენციურ დაწესებულებაში შესვლის წესი**

უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პენიტენციური დაწესებულების ტერიტორიაზე შესვლის კონტროლი და საიმედო პროცედურების არსებობა, რათა პენიტენციური დაწესებულების ტერიტორიაზე არაუფლებამოსილი პირების შესვლისა თუ აკრძალული ნივთების მოხვედრის ალბათობა მინიმუმამდე იქნას დაყვანილი. საქართველოს კანონმდებლობა შეიცავს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებულ რეგულაციებს[75], თუმცა პენიტენციურ დაწესებულებაში აკრძალული ნივთების შეღწევისა თუ დამზადების, დადგენილი წესის გვერდის ავლით დაწესებულებაში მოხვედრის პრობლემები, სამწუხაროდ, პრაქტიკაში ძალზედ ხშირია.

პენიტენციურ დაწესებულებაში შემსვლელი ყველა პირი ექვემდებარება შემოწმება/დათვალიერებას, ხოლო აღნიშნულზე უარის თქმის შემთხვევაში, დაწესებულება უფლებამოსილია პირი არ შეუშვას დაწესებულებაში. ამასთან, დაუშვებელია დაწესებულების ტერიტორიაზე აუდიო, ვიდეო ტექნიკისა და ფიქსაციის სხვა სახის ტექნიკის შეტანა სპეციალური ნებართვის გარეშე, რომელსაც გასცემს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრი ან პენიტენციური დეპარტამენტის დირექტორი. მსჯავრდებულის ფოტო, კინო, ვიდეოგადაღება ან მასთან ინტერვიუს ჩაწერა შეიძლება მხოლოდ მსჯავრდებულის წერილობითი თანხმობით. აღნიშნული მოთხოვნები არ ვრცელდება ვიზუალურ და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობაზე და აგრეთვე, პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაციის მიერ განხორციელებულ გადაღებაზე. გადაღების თაობაზე მსჯავრდებული წინასწარ უნდა იქნეს გაფრთხილებული.[76]

აქვე აღსანიშნავია, რომ 2016 წლის 1 სექტემბრიდან, საქართველოს სახალხო დამცველი, აგრეთვე, საქართველოს სახალხო დამცველის წინასწარი წერილობითი თანხმობით სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრი, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, უფლებამოსილია პენიტენციური დაწესებულების ტერიტორიაზე განახორციელოს ფოტოგადაღება[77].

**პენიტენციური დაწესებულების ტერიტორიაზე შესვლის პროცედურები**

პენიტენციური დაწესებულების საკონტროლო-გამშვებ პუნქტზე ხორციელდება დაწესებულებაში შემსვლელ პირთა, მათი ნივთებისა და ტანსაცმლის შემოწმება-დათვალიერება, ამისთვის სპეციალურად გამოყოფილ ოთახებში. ქალები და მამაკაცები მოწმდებიან ცალ-ცალკე, იმავე სქესის წარმომადგენელთა მიერ, პატივისა და ღირსების შეულახავად. შემოწმება ხორციელდება მეტალო-დეტექტორის მეშვეობით, ტანსაცმლის გაუხდელად, თუმცა ფეხსაცმლის გახდით და მისი საფუძვლიანი დათვალიერებით.

შემოწმების ჩამტარებელი პირი გამოკითხავს პირს აქვს თუ არა მას იარაღი. თუ პირს იარაღი გააჩნია, შემოწმების ჩამტარებელი პირი მოახსენებს გუშაგს, რომელიც ამის შესახებ ატყობინებს უშუალო უფროსს და მისი ბრძანებით ინახავს იარაღს შესაბამის დაცულ ადგილას, სანაცვლოდ კი პირს აძლევს შესაბამის ნომერს. შემოწმების ჩამტარებელი პირი სთავზობს შესამოწმებელ პირს, დატოვოს სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე ჩანთა, პორტფელი, ფული, მობილური ტელეფონი, და სხვა

75 საქართველოს კანონი „პატიმრობის კოდექსი“ მე-60 მუხლი, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს №108 ბრძანებით დამტკიცებული დებულება, VII თავი.
76 საქართველოს კანონი „პატიმრობის კოდექსი“ მე-60 მუხლი, მე-3 - მე-6 ნაწილები.
77 საქართველოს კანონი „პატიმრობის კოდექსი“ მე-60 მუხლი, მე-7 და მე-8 ნაწილები.

ნივთები. აკრძალული ნივთებისა და ნივთიერებების[78] აღმოჩენის შემთხვევაში ეცნობება შესაბამის საგამოძიებო ორგანოს და დგება ოქმი.

საკონტროლო-გამშვებ პუნქტზე შემოწმება-დათვალიერების შემდეგ დაწესებულებაში შემსვლელი პირი შედის საკონტროლო-გამშვებ დერეფანში, სადაც პირების გაშვებისას გუშაგი იცავს შემდეგ თანმიმდევრობას:

- აღებს პირველ შემსვლელ კარს, შეუშვებს საკონტროლო-გამშვებ დერეფანში პირს და დაკეტავს კარს;
- ამოწმებს საშვს და პირადობის დამადასტურებელ საბუთს, დარწმუნდება მათ სისწორესა და კუთვნილებაში წარმდგენი პირის მიმართ;
- უკან უბრუნებს საშვს, ხოლო პირადობის დამადასტურებელ საბუთს იტოვებს;
- გააღებს მეორე შემსვლელ კარს, გაატარებს მოსულ პირს და დაკეტავს კარს (იმ შემთხვევაში, თუ გაშვების სისწორეში ეჭვი შეეპარება, საშვის (დოკუმენტის) დაბრუნების გარეშე მოახსენებს უშუალო უფროსს და შემდეგ იმოქმედებს მისი მითითებით);
- არ დაუშვებს საკონტროლო-გამშვებ დერეფანში 3 პირზე მეტის ყოფნას, დაწესებულებიდან გამომსვლელი და დაწესებულებაში შემსვლელი პირების ერთად ყოფნას, აგრეთვე მსჯავრდებულთა და სხვა პირების ერთდროულ გაშვებას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მსჯავრდებულს ახლავს დაწესებულების წარმომადგენელი;
- პირს, რომელმაც დაწესებულებიდან გამოსვლის დროს გადაამეტა, გუშაგი შეაჩერებს დროის გადამეტების მიზეზის გამორკვევამდე. საკონტროლო-გამშვებ პუნქტზე პირის შეჩერების შესახებ ყარაულის უფროსი აკეთებს ჩანაწერს პუნქტის ჟურნალში და მიუთითებს როდის, ვინ და რა მიზეზით იქნა შეჩერებული შესამოწმებლად, ვინ ატარებს შემოწმებას და შემოწმების შედეგებს.

დაწესებულებაში ქალები (სტუმრები) შეიშვებიან მხოლოდ დაწესებულების სამართლებრივი რეჟიმის მოსამსახურეთა (კაცების) თანხლებით.

[78] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს №108 ბრძანებით დამტკიცებული დებულების დანართი N5.

## თავი: 4

# დაწესებულების ტერიტორიაზე პატიმრის გადაადგილების წესი

*მეოთხე თავი*

## დაწესებულების ტერიტორიაზე პატიმრის გადაადგილების წესი

### საერთაშორისო სტანდარტები და პრაქტიკა

მნიშვნელოვანია, რომ ყველა პენიტენციური დაწესებულების მენეჯერს ესმოდეს უსაფრთხოებას, კონტროლსა და სამართლიანობას შორის ბალანსის დამყარებისა და შენარჩუნების აუცილებლობა. მცდარია მოსაზრება, რომ პატიმრების მიმართ ჰუმანური და სამართლიანი მოპყრობა იწვევს უსაფრთხოებისა და კონტროლის შემცირებას. პირიქით, გაქცევის პრევენცია და წესრიგის შენარჩუნება უფრო ადვილი მისაღწევია კარგად ორგანიზებულ გარემოში, სადაც თანამშრომლებიც და პატიმრებიც თავს უსაფრთხოდ გრძნობენ, სადაც ყველა პატიმარი ხედავს, რომ მას ექცევიან სამართლიანად, პატიმრებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ ცალკეულ აქტივობებში და საკუთარი თავი მოამზადონ გათავისუფლებისთვის, პროფესიონალი პენიტენციური დაწესებულების მმართველი უნდა ცდილობდეს შეინარჩუნოს ზემოთ აღნიშნული ბალანსი.[79]

თავისი შინაარსით, პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსება გულისხმობს თავისუფლების აღკვეთას, შესაბამისად გადაადგილების შეზღუდვას. დაწესებულების ხელმძღვანელობას ეკისრება ვალდებულება გამოიყენოს უსაფრთხოების შეზღუდვები, რომლებიც აუცილებელია გაქცევის აღსაკვეთად, ასევე იმის უზრუნველსაყოფად, რომ დაწესებულება იყოს უსაფრთხო ადგილი, სადაც ყველას შეუძლია აკეთოს თავისი საქმე, ისე რომ არ ღელავდეს საკუთარ უსაფრთხოებაზე. პატიმრების ყოველდღიური კონტროლის დონე არ უნდა იყოს იმაზე მეტი, ვიდრე ეს საჭიროა ამ მოთხოვნების მისაღწევად. პენიტენიცური დაწესებულების ამოცანაა სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება თავისუფლების აღკვეთის შესახებ, მათ ფუნქციას არ წარმოადგენს პატიმრებისთვის დამატებითი შეზღუდვების დაწესება, პირიქით მათ უნდა გააკეთონ ყველაფერი იმისთვის, რომ დაწესებულების გარეთ და შიგნით ცხოვრება იყოს მაქსიმალურად მსგავსი. ამის ერთ-ერთ მიზეზს წარმოადგენს სასჯელის მოხდის შემდეგ საზოგადოებაში რეინტეგრაციის, კანონმორჩილ მოქალაქედ დაბრუნების შესაძლებლობის გაზრდა. დაწესებულების თანამშრომლებს უნდა ესმოდეთ, რომ მართვის ეს მეთოდი ხელს უწყობს უსაფრთხოებისა და წესრიგის (რეჟიმის) შენარჩუნებას. [80]

მართალია თითქმის ყველა ქვეყანაში არიან პატიმრები, რომლებიც საჭიროებენ მაღალი უსაფრთხოების პირობებში მოთავსებას, თუმცა მათი სრული იზოლაცია და დაწესებულების ტერიტორიაზე გადაადგილების სრულად აკრძალვა დაუშვებელია. აუცილებელია დაცული იქნას ბალანსი მაღალი რისკის დაწესებულების უსაფრთხოების უზრუნველყოფასა და პატიმრების გასეირნების, რეკრეაციის, დაწესებულების ტერიტორიაზე ცალკეულ აქტივობებში ჩართვის უფლებას შორის. „ციხის სისტემის პასუხისგებლობას წარმოადგენს  უზრუნველყოს პატიმრების მოთავსება ღირსეულ და ჰუმანურ პირობებში, მიუხედავად მათ მიერ ჩადენილი დანაშაულისა, ან იმ დანაშაულისა, რომლის ჩადენაშიც ედებათ მათ ბრალი. ეს ვალდებულება ვრცელდება მაღალი რისკის პატიმრებზეც, შეზღუდვები, რომლებიც მათ უნდა დაეკისროთ არ უნდა იყოს უფრო მეტი, ვიდრე ეს საჭიროა უსაფრთხო პატიმრობის უზრუნველსაყოფად“.[81]

პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესების შესაბამისად - „ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის შენარჩუნების მიზნით, ყველა დაწესებულებაში პატიმრები უზრუნველყოფილნი უნდა იყვნენ დასვენებისა და კულტურული საქმიანობის შესაძლებლობით.“[82] იგივე დოკუმენტი ადგენს, რომ „სათანადო ფიზიკურ მდგომარეობაში მყოფი არასრულწლოვანი და სხვა პატიმრები უზრუნველყოფილნი უნდა იყვნენ ფიზიკური ვარჯიშის დროს – თამაშის შესაძლებლობით. ამისათვის საჭიროა სათანადო მოედნების, დანადგარებისა და ინვენტარის არსებობა.“[83]

პატიმრების ვარჯიშისა და დასვენების უფლება ხაზგასმულია ციხის ევროპულ წესებშიც -  „ყოველ პატიმარს უნდა მიეცეს შესაძლებლობა ყოველდღიურად მინიმუმ ერთი საათი მაინც ივარჯიშოს სუფთა ჰაერზე, თუ ამინდი იძლევა ამის საშუალებას .... სათანადოდ ორგანიზებული ღონისძიებები, რომლებიც ხელს უწყობს სიჯანსაღეს და უზრუნველყოფს ფიზიკურ ვარჯიშსა და დასვენებას, უნდა წარმოადგენდეს რეჟიმის განუყოფელ ნაწილს.“

---

79 “ციხის მენეჯმენტის განხილვა ადამიანის უფლებების კუთხით, ციხის თანამშრომელთა სახელმძღავენელო, მეორე გამოცემა, Andrew Coyle.

80 “ციხის მენეჯმენტის განხილვა ადამიანის უფლებების კუთხით, ციხის თანამშრომელთა სახელმძღვანელო, მეორე გამოცემა, Andrew Coyle, გვ-67-68.

81 ციხის მენეჯმენტის განხილვა ადამიანის უფლებების კუთხით, ციხის თანამშრომელთა სახელმძღავენლო, მეორე გამოცემა, ენდიუ კოილი, გვ-71.

82 გაეროს პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარული წესები (მანდელას წესები).

83 პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები (მანდელას წესები).

საინტერესოა დაწესებულების შიდა გადაადგილებასა და შიდა აქტივობების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით, **წამების პრევენციის კომიტეტის 2012 და 2015 წლის ანგარიშები საქართველოსთან დაკავშირებით:**

*„წპკ მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, რომ განიხილოს სავარჯიშო ადგილების პროექტის საკითხი კიდევ ერთხელ ყველა ახლად აშენებული (ან განახლებული) საპატიმრო დაწესებულებისთვის. რამდენადაც ეს შესაძლებელია, შენობის გარეთ სავარჯიშო მოწყობილობა მოთავსებული უნდა იყოს მიწის ზედაპირის დონეზე და იყოს საკმარისად ფართო იმისთვის, რომ პატიმრებს მიეცეთ შესაძლებლობა, ფიზიკურად დატვირთონ საკუთარი თავი (შემოღობილ სივრცეში სეირნობისგან განსხვავებით). დაუყოვნებლივ უნდა იქნას გადადგმული ნაბიჯები იმისთვის, რომ ყველა სავარჯიშო ეზო რაიმე ფორმით იყოს დაცული ცუდი ამინდისგან. გარდა ამისა, ყველა ახლადაშენებული (ან განახლებული) ციხე უნდა აღიჭურვოს სპორტული მოწყობილობებით“.*[84]

2015 წლის ანგარიშში აღნიშნულია: *„წპკ-ს წინა ვიზიტის შემდგომ პოზიტიურ ფაქტორს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ყველა პატიმარს ეძლევა გასეირნების უფლება დღეში მინიმუმ ერთი საათით, უქმე დღეების ჩათვლით. თუმცა აღნიშნული წესებიდან მაინც არსებობს მცირე გამონაკლისები: გასეირნების უფლებით ვერ სარგებლობენ ე.წ. კარანტინში მყოფი პირები (მათ შორის გლდანის მიმღებ პუნქტში მყოფი პირები), ასევე კარცერში მყოფი პირები. წპკ მოუწოდებს ქართულ მხარეს, უზრუნველყოს ყველა პატიმრის უფლება დღეში ერთი საათი მაინც იმყოფებოდეს სუფთა ჰაერზე.“*[85]

**უსაფრთხოების ელემენტები დაწესებულების შიდა ტეროტორიაზე გადაადგილებისას**

ბევრ ქვეყანაში, შესაძლოა პენიტენციური სისტემის უსაფრთხოების ყველა ელემენტი სრულად არ მოქმედებდეს. თუმცა ისინი უნდა აკმაყოფილებდენ დაწესებულების უსაფრთხოებისა და უკეთესი მართვის საბაზისო მოთხოვნებს. ქვემოთ ჩამოთვლილია ფაქტორები, რომლებიც უკავშირდება პატიმრების ზედამხედველობასა და გადაადგილების კონტროლს, თუმცა ჩამონათვალი არ არის ამომწურავი და რიგითობა არ არის განპირობებული რომელიმე საკითხის მეტი მნიშვნელობით სხვებთან შედარებით. ყველა ქვემოთ მითითებული კომპონენტი ხელს უწყობს დაწესებულებაში წესრიგისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფას. დაწესებულებაში პატიმართა გადაადგილების ეფექტიანი მართვა გულისხმობს:

- თანამშრომელთა რაოდენობას, რომელიც უნდა იყოს პატიმრების რაოდენობის პროპორციული;
- თანამშრომელთა უნარებისა და კომპეტენციის დონეს;
- პენიტენციური დაწესებულების კონფიგურაციას/განლაგებას;
- სტატიკური ინფრასტრუქტურის ეფექტურობას;
- პატიმართა კატეგორიების ეფექტური კლასიფიკაციისა და განცალკევების შესაძლებლობას.

უნდა შეიქმნას სპეციალური პროცედურები, რომლებიც აღწერს დაწესებულებაში სხვადასხვა ტიპის პატიმრების გადაადგილების მართვის საკითხებს, როგორც კარგად დაცულ, აგრეთვე ნაკლებად დაცულ და დაუცველ ლოკაციებზე გადაადგილების დროს.

აქედან გამომდინარე, უსაფრთხოების პროცედურები უნდა არეგულირებდეს შემდეგ საკითხებს: დრო, როდესაც დაშვებულია დაწესებულების შიგნით გადაადგილება, გადაადგილების მიზეზი და გადაადგილების პროცედურა.

ხშირად, იქ სადაც რესურსები შეზღუდულია, დაწესებულების ადმინისტრაცია იძულებულია საკნიდან გამოსვლისას გადაადგილების კონტროლი განახორციელოს დამორჩილების (შეზღუდვის) საშუალებების გამოყენებით, როგორიც არის ხელის ბორკილები, განსაკუთრებით ამ პროცედურას ადგილი აქვს მაღალი რისკის პატიმრებთან მიმართებაში, უფრო მეტად იმ დაწესებულებებში, სადაც პენიტენციური დაწესებულების ფიზიკური ინფრასტრუქტურა (სტატიკური უსაფრთხოების კომპონენტები) მიჩნეულია არაადეკვატურად ეფექტური უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის.

84 წამების პრევენციის კომიტეტის 2012 წლის ანგარიში საქართველოს შესახებ.
85 წამების პრევენციის კომიტეტის 2015 წლის ანგარიში საქართველოს შესახებ.

<u>მიუხედავად ზოგიერთ ქვეყანაში არსებული ამგვარი პრაქტიკისა, საუკეთესო გამოცდილება გულისხმობს, რომ შეზღუდვის საშუალებები არ უნდა იქნას გამოყენებული რუტინულად, მათი გამოყენება უნდა ხდებოდეს მხოლოდ რისკების ინდივიდუალური შეფასების საფუძველზე. აქედან გამომდინარე, დაწესებულების ფარგლებში პატიმართა საკნის გარეთ ყოველი გადაადგილებისას მათთვის ხელბორკილების დადება არ შეიძლება გამართლებული იქნას უსაფრთხოების მიზნებით.</u>

მაშინაც კი, როდესაც შეზღუდვის საშუალებების გამოყენება აუცილებელი და პროპორციულია, შესაძლოა მათი გამოყენების ფორმამაც იძლეოდეს შეშფოთების საფუძველს, მაგალითად თუ ისინი გამიზნულად ისე მჭიდროდ მაგრდება, რომ იწვევს ფიზიკურ ტკივილს.

მალდივის კუნძულებზე ვიზიტთან დაკავშირებით გაეროს წამების პრევენციის ქვეკომიტეტის ერთ-ერთ ანგარიშში აღნიშნულია: „დელეგაციისთვის ცნობილი გახდა ხელბორკილების განსაკუთრებით დამამცირებელი ფორმითა და მტკივნეულად გამოყენების შემთხვევები, დასჯისა და კონტროლის მიზნით. დელეგაცია, ასევე შეშფოთებულია ინციდენტების საპასუხოდ, უსაფრთხოების ღონისძიების სახით, შეზღუდვის საშუალებების სავარაუდო გამოყენების ფაქტებით. ქვეკომიტეტი ხაზს უსვამს, რომ დისციპლინა და წესრიგი შენარჩუნებული უნდა იყოს მხოლოდ იმ შეზღუდვების გამოყენებით, რომლებიც აუცილებელია უსაფრთხო პატიმრობისა და დაწესებულებაში წესრიგის უზრუნველყოფისათვის. შეზღუდვის საშუალებები, როგორიც არის ხელბორკილები, არასოდეს უნდა იქნას გამოყენებული სასჯელის სახით. ქვეკომიტეტი გასცემს რეკომენდაციას, ხელბორკილის, როგორც სასჯელის გამოყენების პრაქტიკის დაუყოვნებლივ აღმოფხვრის შესახებ“[86].

[86] წამების პრევენციის ქვეკომიტეტის (SPT) ანგარიში მალდივს კუნძულებზე ვიზიტთან დაკავშირებით CAT/OP/MDV/1, 26 February 2009, para. 207.

## ადგილობრივი კანონმდებლობა

**პენიტენციური დაწესებულების ტერიტორიაზე მსჯავრდებულის გადაადგილების ზოგადი წესები**
განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ტერიტორიაზე მსჯავრდებულის გადაადგილების მარეგულირებელი ნორმების[87] მიხედვით, განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, დღის განმავლობაში, დღის განრიგის[88] შესაბამისად, მსჯავრდებულის საკნიდან გამოყვანა და დაწესებულებაში გადაადგილება დანიშნულების ადგილზე მიყვანამდე, დასაშვებია მხოლოდ ხელბორკილის გამოყენებით. ღამის საათებში, მსჯავრდებულის გადაადგილება თავისი საკნის ფარგლებს გარეთ აკრძალულია, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა (მათ შორის, სამედიცინო დახმარების გაწევის აუცილებლობის შემთხვევაში) დაწესებულების სამართლებრივი რეჟიმის ან/და უსაფრთხოების განყოფილების უფლებამოსილი მოსამსახურეების თანხლებით.

მსჯავრდებულის საკნიდან გამოყვანა და დაწესებულების ტერიტორიაზე გადაადგილება დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ მასთან ერთად იმყოფება სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების ან/და უსაფრთხოების განყოფილების არანაკლებ ორი უფლებამოსილი მოსამსახურე. მსჯავრდებულის საკნიდან გამოყვანისას, მას აცნობენ გამოყვანის მიზეზს.

დაწესებულების ტერიტორიაზე დღის განრიგით დადგენილი ვალდებულებების შესრულების მიზნით, მსჯავრდებულთა გადაადგილება ისე უნდა იქნეს ორგანიზებული, რომ თავიდან იქნეს აცილებული მისი უშუალო კონტაქტი სხვა მსჯავრდებულთან, გარდა თანამესაკნისა (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

მსჯავრდებულთა სხვა საკანში გადაყვანის შემთხვევაში, გადაადგილების ხასიათიდან გამომდინარე, მსჯავრდებულები საკნიდან გამოყავთ თითო-თითო, ჯგუფურად დაყოფილი ან მთლიანი შემადგენლობით, გადაადგილების სიის საფუძველზე, შესაბამისი დანაყოფის ინსპექტორის თანდასწრებით.

საკნიდან გაყვანისას (გასეირნება, პაემანი/შეხვედრა და ა. შ.) სამორიგეო ცვლის ინსპექტორ-კონტროლიორი მსჯავრდებულებს გამცილებელს აბარებს რაოდენობითა და სახელობით და ასევე იღებს რაოდენობითა და სახელობით.

პენიტენციური დაწესებულების ტერიტორიაზე აუცილებელია შეწყდეს მსჯავრდებულთა ყოველგვარი გადაადგილება საგუშაგოების მიღება-ჩაბარების დროს და მის დაწყებამდე 30 წუთით ადრე, გარდა განსაკუთრებული აუცილებლობით გამოწვეული შემთხვევებისა. პენიტენციური დაწესებულების ტერიტორიაზე მსჯავრდებულთა მოძრაობა აგრეთვე უნდა შეწყდეს განგაშის გამოცხადებისას. მსჯავრდებულები რჩებიან იმ ადგილებში, სადაც მათ მოუსწრო განგაშის სიგნალმა. მათი გადაადგილება განახლდება მხოლოდ მაშინ, როდესაც პენიტენციური დაწესებულების დირექტორი გასცემს შესაბამის ბრძანებას.

**პაემანზე/შეხვედრაზე და საექიმო-სამედიცინო პუნქტში გაყვანა**
მსჯავრდებულის პაემანზე/შეხვედრაზე, გასასეირნებლად და სანიტარიულ-ჰიგიენურ დამუშავებაზე გაყვანას[89] ახორციელებენ პენიტენციური დაწესებულების სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების შესაბამისი პასუხისმგებელი მოსამსახურეები, რომლებიც ვალდებულები არიან დაიცვან უსაფრთხოების წესები. პაემანის/შეხვედრის უზრუნველყოფის მიზნით, ხორციელდება მსჯავრდებულის გაყვანა პაემნის/შეხვედრის ოთახში.

პენიტენციური დაწესებულების საექიმო-სამედიცინო პუნქტში, სამედიცინო დახმარების მიზნით, მსჯავრდებულის გადაყვანას ან მსჯავრდებულთან სამედიცინო პერსონალის გამოძახებას ორგანიზებას უწევს სამორიგეო ცვლის ხელმძღვანელი (ოპერატიული მორიგე), რომელსაც იმ მსჯავრდებულთა შესახებ, რომელთაც ესაჭიროებათ სამედიცინო დახმარება, აცნობებს სარეზერვო ჯგუფის უფროსი. ამასთან, სარეზერვო ჯგუფის უფროსი აღნიშნული მსჯავრდებულების შესახებ ინფორმაციას აწვდის დაწესებულების საექიმო-სამედიცინო პუნქტს, სადაც დაწესებულების ექიმთან მიღებაზე მსჯავრდებულის გაყვანა ხორციელდება სარეზერვო ჯგუფის ინსპექტორ-კონტროლიორების მიერ.[90]

[87] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს №108 ბრძანებით დამტკიცებული დებულება, მე-19 მუხლი, 92-ე მუხლის მე-9 პუნქტი; საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2013 წლის 1 აგვისტოს №200 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის, 38-ე, 48-ე, 50-ე და 152-ე მუხლები.
[88] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს №108 ბრძანებით დამტკიცებული დებულება, მე-17 მუხლი.
[89] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2013 წლის 1 აგვისტოს №200 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია, 85-ე, 87-ე და 88-ე მუხლები.
[90] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2013 წლის 1 აგვისტოს №200 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია,

**მსჯავრდებულის სასეირნოდ გაყვანა**[91]
მსჯავრდებულთა გასეირნება ხორციელდება პენიტენციური დაწესებულების დირექტორის მიერ დამტკიცებული გრაფიკის შესაბამისად. გასასეირნებლად გამოყვანის წინ, გასასეირნებელ ადგილზე მოწმდება გამყოფი ზღუდის მთლიანობა, აკრძალული ნივთების არსებობა, სხვადასხვა მიმანიშნებელი წარწერები და ა.შ.

მსჯავრდებულის გასასეირნებელ ადგილზე გაყვანა და უკან დაბრუნება ხორციელდება სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების თანამშრომლების მკაცრი ზედამხედველობის ქვეშ. მოსამსახურეთა ერთი ნაწილი ან ერთ-ერთი მოსამსახურე სპეციალურად გამოყოფილი ადგილიდან აწარმოებს სასეირნო ადგილზე მყოფ მსჯავრდებულთა განუწყვეტელ მეთვალყურეობას, ხოლო მოსამსახურეთა მეორე ნაწილი ახორციელებს მსჯავრდებულთა საკნიდან გასასეირნებელ ადგილზე გამოყვანას და გასეირნების დამთავრების შემდეგ საკნებში დაბრუნებას.

დაწესებულების სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების მოსამსახურეები ვალდებულები არიან:
- უზრუნველყონ მსჯავრდებულთა მიერ დაწესებულების ტერიტორიაზე გადაადგილების წესების დაცვა და არ დატოვონ მსჯავრდებულები ზედამხედველის გარეშე;
- სეირნობის დროს მსჯავრდებულს უფლება არ მისცენ იხმაურონ და გააკეთონ წარწერები სასეირნო ტერიტორიის კედლებზე;
- გასასეირნებლად გაყვანის/დაბრუნების დროს მსჯავრდებულს არ მისცენ სხვა პირებთან ურთიერთობის ან მათთვის რაიმე ნივთის გადაცემის/მიღების საშუალება;
- გასეირნების დასრულების შემდეგ ჩაატარონ გასასეირნებელი ეზოების შემოწმება, დათვალიერება და აღმოჩენილი ხარვეზების შესახებ დაუყოვნებლივ აცნობონ უშუალო ხელმძღვანელს.

**სამეურნეო სამუშაოებზე გაყვანა**
სამეურნეო სამუშაოებში დასაქმებულ მსჯავრდებულთა დაწესებულების ტერიტორიაზე გადაადგილება ხორციელდება მხოლოდ სამეურნეო სამუშაოებში დასაქმებული მსჯავრდებულის სპეციალური განმასხვავებელი ნიშნის მეშვეობით, რომლის მოხსნა მსჯავრდებულს ეკრძალება სამუშაოს დასრულებამდე. მსჯავრდებული ვალდებულია სამუშაოს დასრულების შემდგომ სპეციალური განმასხვავებელი ნიშანი ჩააბაროს დაწესებულების სამართლებრივი რეჟიმის განყოფილებას, რომელიც აწარმოებს სამეურნეო სამუშაოებში დასაქმებულ მსჯავრდებულთათვის სპეციალური განმასხვავებელი ნიშნების გაცემისა და ჩაბარების აღრიცხვას. სამართლებრივი რეჟიმის განყოფილება ვალდებულია მოსთხოვოს სამეურნეო სამუშაოებში დასაქმებულ მსჯავრდებულს სამუშაოს დასრულების შემდგომ სპეციალური განმასხვავებელი ნიშნის ჩაბარება.[92]

სამეურნეო სამუშაოებზე გაყვანილი მსჯავრდებულები, დაწესებულების ტერიტორიაზე იმყოფებიან ზედამხედველობის ქვეშ, რომელიც ხორციელდება შემდეგი წესების[93] მიხედვით - ერთ ადგილზე კომპაქტურად მომუშავე მსჯავრდებულთა არსებობისას, კონტროლი ხორციელდება სამუშაო ობიექტებთან ახლოს არსებულ საგუშაგოზე მყოფი სამორიგეო ცვლის მოსამსახურეების მიერ, დაწესებულების ტერიტორიაზე სხვადასხვა ადგილებზე მომუშავე მსჯავრდებულთა არსებობისას კი - სამორიგეო ცვლის მოსამსახურეების პატრულირების გზით.

მსჯავრდებულთა მიერ სამუშაოს შესრულების დროს სამორიგეო ცვლის მოსამსახურეები ვალდებულები არიან დაუშვან მსჯავრდებულთა თვითნებური ქმედებები და სხვა პირებთან კავშირების დამყარების მცდელობები, ხოლო მსჯავრდებულთა მიერ დაწესებულების დებულების ან დღის განრიგის დარღვევების შესახებ მოახსენონ უშუალო უფროსს.

სამუშაოზე გამოყვანისას მსჯავრდებულებს, სამუშაოს მწარმოებლის თანდასწრებით გადაეცემათ ხელსაწყოები, რომლებიც სამუშაოების დამთავრების შემდეგ ბარდება სამუშაოთა მწარმოებელს და ინახება სპეციალურად გამოყოფილ და გასაღებით ჩაკეტილ ოთახში. სამუშაოს დასრულების შემდეგ ტარდება მსჯავრდებულთა შემოწმება.

---

მე-20 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტი, 31-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტი, 49-ე მუხლი.

[91] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2013 წლის 1 აგვისტოს №200 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია, 86-ე მუხლი.

[92] „მსჯავრდებულის მიერ სამეურნეო სამუშაოების შესრულების და მისთვის ანაზღაურების მიცემის წესის დამტკიცების შესახებ“ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2014 წლის 22 დეკემბრის №157 ბრძანებით დამტკიცებული წესი, მე-4 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები.

[93] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2013 წლის 1 აგვისტოს №200 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია, თავი IX.

# თავი: 5

# პატიმრის ბადრაგირება

*მეხუთე თავი*
## პატიმრის ბადრაგირება
### საერთაშორისო სტანდარტები და პრაქტიკა

უნდა აღინიშნოს, რომ პენიტენციურ დაწესებულებაში ყოფნის პერიოდში, ადგილი აქვს გარემოებებს, როდესაც საჭირო ხდება პატიმრის გაყვანა დაწესებულების ტერიტორიის ფარგლებს გარეთ და მისი ტრანსპორტირება სხვა დანიშნულების ადგილამდე (მაგ: სამუშაოდ, სამედიცინო დაწესებულებაში, სასამართლოში, ახლო ნათესავის დაკრძალვაზე, საპროცესო მოქმედების ჩასატარებლად, რაიმე ღონისძიებაზე დასწრების მიზნით და ა.შ). ამ დროს, მართალია პატიმარი არ იმყოფება დაწესებულებაში, მაგრამ მის გადაადგილებაზე და ზოგადად უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი არის კვლავ პენიტენიცური სისტემა. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია მკაფიოდ განსაზღვრული, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პროცედურების არსებობა პატიმართა ბადრაგირების შესახებ.

პატიმრის დაწესებულების ტერიტორიის გარეთ გასვლის დროს, პასუხისმგებლობას პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის აღსრულებაზე იღებს დაწესებულების ხელმძღვანელობა ან სხვა თანამდებობის პირი, მაგალითად როდესაც ადგილი აქვს მის სხვა დაწესებულებაში, სასამართლოში ან სამოქალაქო საავადმყოფოში გადაყვანას. იმ შემთხვევაში, თუ პატიმარი ბადრაგირებისთვის უნდა გადაეცეს სხვა უწყებას/სააგენტოს, პენიტენციურ დაწესებულებასა და აღნიშნულ უწყებას შორის უნდა არსებობდეს შეთანხმებული წესი, რომელიც განსაზღვრავს გადაცემის პროცედურებს. პროცედურები, ასევე უნდა განსაზღვრავდეს ავტომობილის უსაფრთხოების სტანდარტებს, რომლითაც ხდება პატიმრის გადაყვანა, ასევე პატიმართან მოპყრობის საკითხებს ბადრაგირების დროს.

ბადრაგირების ზოგადი პროცედურები არ უნდა შეიცვალოს გარემოებების ან პატიმრის უსაფრთხოების რისკებისგან დამოუკიდებლად. ტრანსპორტირების გეგმა უნდა მოიცავდეს აღწერას, როგორ მოხდება პატიმრის ბადრაგირება, მათ შორის ისეთ საკითხებს, როგორიც არის:

- ბადრაგირებაში ჩართულ თანამშრომელთა რაოდენობა;
- ბადრაგირების მიზეზი და დანიშნულების ადგილი;
- თანამშრომელთა ქცევის წესი დანიშნულების ადგილას (საავადმყოფო, სასამართლო და ა.შ);
- პატიმრისა და ავტომანქანის შემოწმების წესი;
- შეზღუდვის, დამორჩილების საშუალებების გამოყენება და მისი ფუნქციონირების შემოწმების სიხშირე;
- კომუნიკაციისა და ანგარიშგების სიხშირე ბადრაგირების დროს;
- ტრანსპორტის ტიპი და მგზავრობის მარშრუტი;
- დოკუმენტაცია, რომელიც თანმხლებმა პირებმა თან უნდა იქონიონ, მათ შორის ფოტოები;
- თანამშრომლებისა და პატიმრების ტანსაცმელი;
- ბადრაგირების შეწყვეტის კრიტერიუმები;
- ბადრაგირების დეტალების კონფიდენციალობა.

პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლები უნდა დაეხმარონ დაწესებულების მენეჯმენტს უზრუნველყოს რისკების შეფასება ყველა უსაფრთხოების მაღალი რისკის მქონე პატიმრის ბადრაგირების დროს. ეს უნდა წარმოადგენდეს ბადრაგირების პრაქტიკის მუდმივი გადახედვის პროცედურის ნაწილს, განსაკუთრებით მაღალი რისკის პატიმრებთან მიმართებაში.

პატიმრების თანხმლებმა პირებმა, აგრეთვე უნდა მოახდინონ სიტუაციის შეფასება და განსაზღვრონ როდის არის საჭირო დამატებითი ძალები სიტუაციის შეცვლის დროს, მაგალითად, როდესაც პატიმარს უწევს ხალხმრავალ ადგილას გავლა, საბადრაგო მანქანა დაზიანდა, უამინდობის გამო და ა.შ. მათ უნდა მოახერხონ რეაგირება სწრაფად და გააზრებულად. შემუშავებული უნდა იყოს დეტალური პროცედურები, რომელიც მოაწესრიგებს შემდეგ ურთიერთობებს:

- ბადრაგირების პროცესში თანამშრომელთა და პატიმართა თანაფარდობა;
- პატიმართა იდენტიფიცირება და მათი ბადრაგირებისთვის საჭირო ტრანსპორტის განსაზღვრა;
- თანამშრომელთა შესაბამის პროცედურებში გადამზადება.

ბადრაგირების დასაწყისში, მიმდინარეობისას და ბოლოს, ბადრაგირებაზე პასუხისმგებელი

მოსამსახურეები (ოფიცრები) კავშირზე უნდა იყვნენ თავიანთ ზედამხედველთან (დაწესებულების დირექტორის ან/და ბადრაგირების ცენტრალური სამსახური) რადგან შესაძლოა საჭირო გახდეს პერიოდულად ანგარიშის გადაცემა. [94]

**პატიმართა საავადმყოფოში ბადრაგირების თავისებურებები**

გარდა ზოგადი სტანდარტებისა, სამედიცინო მიზნით ბადრაგირების დროს, გადაყვანის განმახორციელებელმა თანამშრომლებმა უნდა უზრუნველყონ, რომ სამედიცინო ოთახი (მიმღები, პალატა, საპროცედურო და ა.შ.) და გარშემო მდებარე ტერიტორია იყოს უსაფრთხო, სანამ იქ მოხვდება პატიმარი. როდესაც ხდება პატიმრის მიღება საავადმყოფოში, საბადრაგო სამსახურმა სამედიცინო პერსონალს უნდა მიაწოდოს შემდეგი ინფორმაცია: პატიმრის სახელი, თანმხლებ პირთა რაოდენობა, დამორჩილების საშუალებები რომლების გამოყენებაც ხდება. თუ პატიმარი გადაყავთ საოპერაციო ოთახში, საბადრაგო სამსახურმა უნდა მოხსნას მას დამორჩილების საშუალებები, თუ ამას მოითხოვს სამედიცინო პერსონალი, გააცილოს პატიმარი საოპერაციო ოთახში, შეამოწმოს საოპერაციო, რათა იქიდან არ იყოს შესაძლებელი გაქცევა (კარი, ფანჯრები), დაელოდოს ოპერაციის დასრულებას მაქსიმალურად ახლოს საოპერაციო ოთახთან, სამედიცინო პერსონალის ნებართვით კვლავ გამოიყენოს შეზღუდვის საშუალებები.

თუ სამედიცინო პერსონალი მოითხოვს დამორჩილების საშუალებების მოხსნას, მაგრამ, თანამშრომლის შეხედულებით ამან შესაძლოა საფრთხე შეუქმნას სხვებს, საბადრაგო სამსახურმა სამედიცინო პერსონალს უნდა განუმარტოს ამგვარი ქმედების რისკები და შეზღუდვის საშუალებების მოხსნამდე შესაბამისი კონსულტაცია უნდა გაიაროს დაწესებულების დირექტორთან. ყველა შემთხვევაში გადაწყვეტილების მიღებისას, პირველ რიგში უნდა იყოს გათვალისწინებული პატიმრის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის ინტერესი.

მართალია სპეციალური უსაფრთხოების ზომები უნდა იქნას მიღებული, როდესაც პატიმარი საჭიროებს სტაციონარულ მკურნალობას ქალაქის საავადმყოფოში, თუმცა მიუხედავად ნებისმიერი გარემოებისა, უსაფრთხოების ღონისძიებებმა ხელი არ უნდა შეუშალოს მკურნალობას (სამედიცინო პროცედურებს). ამ დროს ფიზიკური უსაფრთხოების ზომები შესაძლოა განსხვავდებოდეს პატიმრის ინდივიდუალური რისკებიდან გამომდინარე, თუმცა ზოგადი პრინციპი გულისხმობს, რომ გამოყენებული უნდა იქნას უსაფრთხო პატიმრობის უზრუნველსაყოფად საჭირო მინიმალური უსაფრთხოების ღონისძიებები. ყველაზე ხშირად გამოყენებული დამორჩილების (შეზღუდვის) საშუალება ამ დროს არის ხელბორკილი. [95]

**პატიმართა ტრანსპორტი ბადრაგირებისას**

პატიმართა ბადრაგირებისთვის გამოყენებული ტრანსპორტი უნდა იყოს მოწყობილი უსაფრთხოებისა და ჰუმანურობის პრინციპების დაცვით, გადასაყვანი პირის ღირსების გათვალისწინებით. ტრანსპორტი უნდა იყოს ორგანიზებული პატიმრის ინდივიდუალური საჭიროებების მიხედვით, მათ შორის, აღნიშნულის გავალისწინებით უნდა მოხდეს სატრანსპორტო საშუალების შერჩევა. თანმხლები პირები უნდა დარწმუნდნენ, რომ პირისთვის, რომლის ტრანსპორტირებაც ხორციელდება გამოყენებული ავტომობილი წარმოადგენს შესაფერის სატრანსპორტო საშუალებას. ყველა შესაბამისი ინფორმაცია უნდა მიეწოდოთ: ტრანსპორტირების დამაორგანიზებელ პირებს, რათა მათ უზრუნველყონ უსაფრთხო და ჰუმანური ტრანსპორტი შერჩევა და იმ დაწესებულებას, სადაც ხდება პატიმართა გადაყვანა.

ტრანსპორტირება უნდა გულისხმობდეს პატიმართა გაჩერებას სატრანსპორტო საშუალებაში მხოლოდ იმ დროით რაც აუცილებელია დანიშნულების ადგილზე მისასვლელად. ტრანსპორტი, რომელიც მოიცავს მექანიკური დამორჩილების საშუალებებს უნდა აკმაყოფილებდეს შესაბამისი კანონის მოთხოვნებს, ეფუძნებოდეს პატიმრის საფრთხის შეფასებას და გამოიყენებოდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც საჭიროა შესაბამისი რისკის მართვა. ტრანსპორტირების დროს გადასაყვანი პირები, მათი უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის შემოწმების მიზნით, პერიოდული ინტერვალებით უნდა ექვემდებარებოდნენ მონიტორინგს. პატიმრებს ტრანსპორტირების დროს ხელი უნდა მიუწვდებოდეთ ადეკვატურ საკვებსა და წყალზე, რაც საჭიროა მათი ჯანრთელობისთვის. პატიმრებისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს მათთვის საჭირო მედიკამენტები. პატიმართა ტრანსპორტი უნდა იძლეოდეს დასვენების საშუალებას რეგულარული ინტერვალებით. პატიმართა ხანგრძლივი გადაყვანისთვის განკუთნილი ტრანსპორტი აღჭურვილი უნდა იყოს დამატებითი მოწყობილობებით, რაც მოსახერხებელს გახდის ტრანსპორტში ყოფნას ხანგრძლივი დროით. თანმხლებ თანამშრომლებს (ბადრაგს) უნდა ჰქონდეთ გაუთვალისწინებელი შემთხვევებისა და სხვადასხვა სიტუაციების მართვის

[94] "ციხის ინციდენტების მართვა" , UN 2013, გვ- 94-95.
[95] ციხის მენეჯმენტის განხილვა ადამიანის უფლებების კუთხით, ციხის თანამშრომელთა სახელმძღვანელო, მეორე გამოცემა, ენდრიუ კოილი, გვ- 65.

გეგმა. პატიმრის თანმხლებ პირებს უნდა შეეძლოთ პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა და გაუთვალისწინებელ შემთხვევაში განსაზღვრული გეგმის შესაბამისად მოქმედება.

სადაც შესაძლებელია ტრანსპორტი უნდა უზრუნველყოფდეს ბუნებრივ განათებას და პრივატულობის გარკვეულ დონეს. ტრანსპორტი უნდა მოიცავდეს საკმარის ფართს, რომ პატიმრის გადაყვანისას შესაძლებელი იყოს მის საკუთრებაში არსებული ნივთების გადატანაც.

პატიმრების გადასაყვანად გამოყენებული ნებისმიერი ტრანსპორტი უნდა იყოს აღჭურვილი:
- უსაფრთხოების ღვედებით;
- წინ და უკან მდებარე სავარძლებით;
- შესაბამისი კომუნიკაციის საშუალებით, რაც იძლევა თანმხლებ პირებსა და გადასაყვან პირს შორის კომუნიკაციის შესაძლებლობას;
- შესაბამისი კლიმატის კონტროლის აღჭურვილობით იმ ნაწილისთვის, სადაც მოთავსებულია პატიმარი;
- შესაძლებელი უნდა იყოს მონიტორინგისა და კონდიცირების სისტემის ორგანიზება;
- უზრუნველყოფილი უნდა იყოს აღჭურვილობით, რაც საჭიროა გაუთვალისწინებელი, სასწრაფო რეაგირებისა და კრიზისის შემთხვევებში. [96]

საუკეთესო პრაქტიკაზე საუბრის დროს, ანალოგიის მიზნით, მნიშვნელოვანია გავეცნოთ აშშ-ს პოლიციისთვის შექმნილ ინსტრუქციას დაკავებული პირების დანიშნულების ადგილზე გადაყვანის შესახებ. ვინაიდან ტრანსპორტირების უსაფრთხოების მოთხოვნები, რისკები და სტანდარტები ამ ორი სისტემის ფარგლებში ძალიან მსგავსია. ამ დირექტივის მიზანია დაკავებულ პირთა ტრანსპორტირების, შეზღუდვისა და შემოწმების წესების დადგენა. მნიშვნელოვანია დიდი ყურადღება დაეთმოს უსაფრთხოების მაღალი ხარისხის დაცვას დაკავებული პირის ბადრაგირებისას, რათა უზრუნველყოფილი იქნას დაკავებულის, თანამშრომლისა და საზოგადოების უსაფრთხოება. თანამშრომლები პასუხისმგებელნი არიან გადასაყვან პირზე, მათი ტრანსპორტირების დროს. ისინი უნდა დარწმუნდნენ, რომ გადასაყვანი პირები შემოწმებულნი არიან, მათ მიმართ გამოიყენება დამორჩილების შესაბამისი საშუალება და ტრანსპორტირება ხდება აღნიშნული წესების შესაბამისად.

ტრანსპორტირებისთვის განკუთვნილი ავტომანქანაში:
- პატიმართა გადასაყვანად გამოყენებული ტრანსპორტის შიდა უკანა კარის სახელურები და ფანჯრის ასაწევი სახელურები (არსებობის შემთხვევაში) არ უნდა მოქმედებდეს. ფანჯრების ელექტროასაწევები უნდა იყოს დაბლოკილ მდგომარეობაში. კარის ჩასაკეტი საშუალებები უკან უნდა ჩაიკეტოს და ისე უნდა იქნას დატოვებული;
- წინა და უკანა მხარეს შორის უნდა არსებობდეს ბარიერი, რომელიც იძლევა მუდმივი ვიზუალურ კონტაქტის შესაძლებლობას პატიმარსა და თანმხლებ თანამშრომელს შორის.

**ტრანსპორტის ინსპექტირება და შემოწმება**

ტრანსპორტის შემოწმება უნდა მოხდეს ტრანსპორტირების დაწყებამდე, რათა უზრუნველყოფილი იქნას, საჭირო აღჭურვილობის ხელმისაწვდომობა და გამართული მუშაობა. დაკავებულის გადაყვანაზე უფლებამოსილი სამსახურის პასუხისმგებლობას განეკუთვნება, რომ დაკავებული პირის გადაყვანისთვის განკუთვნილი ტრანსპორტი იყოს უსაფრთხო და აღჭურვილი საჭირო საშუალებებით.

უნდა შემოწმდეს ავტომობილის ტექნიკური გამართულობა, საწვავის დონე. ბადრაგირებაზე პასუხისგებელმა პირებმა უნდა დაათვალიერონ მთელი ავტომობილი, სკამების უკან და ქვეშ მდებარე ტერიტორია, იატაკის დასაფენების ქვემოთ არსებული ტერიტორია, სკამის საზურგესა და დასაჯდომს შორის არსებული ტერიტორია, უკანა ფანჯრების გარშემო არსებული ადგილები. ყველა ადგილი, სადაც პატიმარს მიუწვდება ხელი უნდა დათვალიერდეს. თანამშრომელმა არასოდეს უნდა ჩათვალოს, რომ წინა ჯგუფმა ვინც გამოიყენა ავტომობილი უკვე ჩაატარა ინსპექტირება. ავტომანქანის შემოწმებისას თანმშრომელი უნდა იყოს ძალიან ყურადღებით, დაკავებული პირები მანქანაში ხშირად მალავენ ისეთ საშუალებებს, რამაც შეიძლება გამოიწვიოს დაზიანება, მაგალითად სამართებელი, ნემსი, დანა და ა.შ. რაც შეიძლება მალე, დაკავებულის გადმოყვანის შემდეგ, ავტომობილი უნდა შემოწმდეს. ეს არა მხოლოდ იძლევა საშუალებას დასარწმუნებლად, რომ მას ავტომობილში არაფერი დაუმალავს, არამედ თუ რაიმე აღმოჩნდა უფრო მარტივია მათი დაკავშირება კონკრეტულ პირთან. სპეციალური ყურადღება უნდა დაეთმოს იმ ტერიტორიას, სადაც მოთავსებულია დაკავებული. თანამშრომელმა უნდა აღმოაჩინოს ნებისმიერი მტკიცებულება ან აკრძალული ნივთი, რომლის დამალვაც შესაძლოა

[96] "პენიტენციური დაწესებულების სტანდარტული სახელმძღვანელო, ავსტრალია", 2012, გვ-23.

სცადა დაკავებულმა პირმა.

**გადასაყვან პირთა შემოწმება**

ყველა დაკავებული უნდა შემოწმდეს სატრანსპორტო საშუალებაში მოთავსებამდე. გადაყვანაზე პასუხისმგებელმა პირმა უნდა ჩაატაროს შემოწმება, გარედან ხელების საშუალებოთ, აგრეთვე ფეხსაცმელების, როგორც გარედან, ასევე შიგნიდან. საბადრაგო სამსახურმა არ უნდა ჩათვალოს და არ უნდა დაკმაყოფილეს იმით, რომ სხვა თანამშრომელმა უკვე შეამოწმა პატიმარი. ამგვარი შემოწმება ტარდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე იმავე სქესის სამედიცინო პეროსნალის მიერ (პერსონალური შემოწმების ზოგადი სტანდარტები. იხ შემოწმების თავში).

**ტრანსპორტირების პროცედურა**

უნდა იქნას თუ არა გამოყენებეული დამორჩილების  საშუალებები ტრანსპორტირების დროს (ხელბორკილები, შებოჭვის სხვა საშუალებები) უნდა გადაწყვიტოს შესაბამისმა მოსამსახურემ. დაკავებულის მუცელზე დაწოლილ მდგომარეობაში მოთავსებამ, შესაძლოა გამოიწვიოს პოზიციური ასფიქსია და შესაძლოა მოულოდნელი გარდაცვალების  გამომწვევი გახდეს. ყველა პატიმარს ტრანსპორტირების დროს უნდა ეკეთოს უსაფრთხოების ღვედი. თუ ტრასნსპორტირება ხანგრძლივდება, დამორჩილების საშუალებები ისე უნდა იქნას გამოყენებული, რომ უზრუნველყოს პატიმრის მაქსიმალური შესაძლო კომფორტი უსაფრთხოების ზომების შეუსუსტებლად. არც ერთ შემთხვევაში არ შეიძლება პატიმრის მიბმა ტრანსპორტირების განმახორციელებელ ავტომობილზე.

თუ ხდება ისეთი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პატიმრის ტრანსპორტირება, რომლის გაქცევის ან მის მიერ სხვისი დაზიანების რისკი მინიმალურია, დამორჩილების საშუალებების გამოყენება მიზანშეწონილი არ არის.  იმ შემთხვევში, თუ გადასაყვან დაკავებულ პირებს არ ესაჭიროებათ დაუყოვნებელი სამედიცინო მეთვალყურეობა, მათი გადაყვანა ხორციელდება ჩვეულებრივი წესით.

**გაქცევა ბადრაგირების დროს**

თუ პატიმარი გაიქცა ბადრაგირების დროს, პასუხისმგებელმა პირმა დაუყონებლივ უნდა მიიღოს შემდეგი ზომები: დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს შესაბამის სამსახურებს გაქცევის შესახებ (პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაციას, ადგილობრივ პოლიციას); მიიღოს ყველა ზომა პატიმრის დაკავებისთვის; შეხვდეს შესაბამის თანამდებობის პირებს და მოუყვეს სიტუაციის შესახებ; წარადგინოს ანგარიში ინციდენტის შესახებ, გარემოებების დეტალური აღწერით.

ანგარიში უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას: გაქცევის დრო; მოვლენები, რომლებიც განვითარდა ტრანსპორტირების დაწყებიდან გაქცევამდე; პატიმრის მიერ გაკეთებული კომენტარები; გაქცევის მეთოდები; გაქცევის მიმართულება; პატიმრის დაკავებისთვის მიღებული ზომები.[97]

**რას გვეუბნება საერთაშორისო სტანდარტები**

**პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები (მანდელას წესები)**

**პატიმართა გადაადგილება**

წესი 73

(1) როდესაც პატიმრები მიჰყავთ მათი პატიმრობის ადგილში ან გადაჰყავთ პატიმრობის ერთი ადგილიდან მეორეში, ისინი მაქსიმალურად უნდა მოარიდონ უცხო თვალს და მიღებულ უნდა იქნას ყველა ზომა იმისათვის, რომ პატიმრები დაცულნი იყვნენ შეურაცხყოფისაგან, ცნობისმოყვარეებისაგან და ნებისმიერი ფორმით გახმაურებისგან.

(2) აკრძალულია პატიმრების გადაადგილება არასაკმარისი ვენტილაციის ან განათების, ან სხვა ნებისმიერ ძალზე რთულ პირობებში.

(3) პატიმრების გადაყვანა ხდება ადმინისტრაციის ხარჯზე, ხოლო მათი ტრანსპორტირება უნდა ხორციელდებოდეს ყველასათვის ერთნაირ პირობებში.

97 Linda J. Stump, ფლორიდას უნივერსიტეტი.

**ციხის ევროპული წესები**

პატიმართა გადაყვანა
32.1 პატიმრების გადაყვანისას ციხეში და ციხიდან, ან სხვა ადგილას, როგორიცაა სასამართლო ან საავადმყოფო, ისინი რაც შეიძლება ნაკლებად უნდა ეჩვენონ საზოგადოებას და სათანადო დამცავი საშუალებები უნდა იქნეს უზრუნველყოფილი მათი ანონიმურობის დასაცავად.
32.2 პატიმართა ტრანსპორტირება საბადრაგო მანქანაში, რომელსაც არა აქვს ადეკვატური ვენტილაცია ან განათება, ან რომელიც მათ ზედმეტ ფიზიკურ დისკომფორტს ან უხერხულობას, უქმნის აკრძალული უნდა იქნას.
32.3 პატიმართა ბადრაგირება უნდა განხორციელდეს საჯარო ხელისუფლების ხარჯებით და მითითებით.

## ადგილობრივი კანონმდებლობა

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მსჯავრდებულთა პენიტენციური დაწესებულებიდან გაყვანა/გადაყვანის (ბადრაგირების) სხვადასხვა შემთხვევები არსებობს. ბადრაგირებას ახორციელებს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციური დეპარტამენტის გარე დაცვისა და ბადრაგირების მთავარი სამმართველო შემდეგ შემთხვევებში:

- მსჯავრდებულთა სხვა პენიტენციურ დაწესებულებაში გადაყვანისას;
- მსჯავრდებულთა სასამართლო პროცესებზე, აგრეთვე, საგამოძიებო ან სხვა საპროცესო მოქმედებაში მონაწილეობის მისაღებად გაყვანისას;
- მსჯავრდებულთა ექსტრადიციისას;
- მსჯავრდებულის მიერ პენიტენციური დაწესებულების დროებით დატოვებისას განსაკუთრებულ, პირად გარემოებებთან დაკავშირებით;
- მსჯავრდებულთა გადაყვანისას საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სამკურნალო დაწესებულებაში ან საერთო პროფილის საავადმყოფოში, აგრეთვე, საექსპერტო დაწესებულებაში გადაყვანისას სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩასატარებლად;
- მსჯავრდებულთა გაყვანისას დამოუკიდებელი სამედიცინო ექსპერტიზის ჩასატარებლად;
- სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლებასთან და სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლასთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი საბჭოს[98] ზეპირ სხდომაზე მონაწილეობის მისაღებად მსჯავრდებულის გაყვანისას;
- მსჯავრდებულის თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებაში გადაყვანისას;
- მსჯავრდებულთა პენიტენციური დაწესებულების გარეთ სამუშაოდ გაყვანისას;
- საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.[99]

ბადრაგირების განსახორციელებლად ინიშნება საბადრაგო ჯგუფი (ბადრაგი) არანაკლებ 3 წევრის შემადგენლობით და განისაზღვრება უფროსი. საბადრაგო ჯგუფის შემადგენლობა და რაოდენობა განისაზღვრება შესასრულებელი ამოცანის ხასიათიდან გამომდინარე. ამასთან, განსაკუთრებულ შემთხვევაში, უსაფრთხოების დაცვის მიზნით, შესაძლებელია საბადრაგო ჯგუფის გაძლიერება სპეციალური დანიშნულების სამსახურის (სპეცრაზმი), კერძოდ, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციური დეპარტამენტის სპეციალური დანიშნულების ძალების მთავარი სამმართველოს მოსამსახურეებით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.[100]

ბადრაგირების გეგმური მარშრუტების დადგენისას გათვალისწინებულ უნდა იქნას შემდეგი მაჩვენებლები:

- ამოცანათა შესრულება რეისების მინიმალური რაოდენობით;
- ბადრაგირების უზრუნველყოფა უმოკლესი მიმართულებით, უსაფრთხოების გათვალისწინებით;
- ძალებისა და საშუალებების ეკონომიური გამოყენება.[101]

ბადრაგირების დაწყებამდე, საბადრაგო ჯგუფის უფროსის ორგანიზებით, ხორციელდება ჯგუფის მიერ იარაღის, საბრძოლო მასალებისა და სპეციალური საშუალებების მიღება, აგრეთვე, მოწმდება სპეციალური საბადრაგო სატრანსპორტო საშუალების ტექნიკური მდგომარეობა. იმ შემთხვევაში, თუ სატრანსპორტო საშუალება გაუმართავია და ვერ უზრუნველყოფს მსჯავრდებულთა დადგენილი წესების დაცვით ბადრაგირებას, საბადრაგო ჯგუფის უფროსი, მოახსენებს უშუალო უფროსს სატრანსპორტო საშუალების შეცვლის აუცილებლობის შესახებ. რაც შეეხება სპეციალურ სატრანსპორტო საშუალებაში მსჯავრდებულთა ჩასხდომის ზღვრული ნორმას, აღნიშნული დგინდება ავტომანქანის კონსტრუქციის მიხედვით, მაგრამ არ შეიძლება აღემატებოდეს 25 პირს, ხოლო სპეციალურ ავტობუსებში - 60 პირს.

ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ უსაფრთხოების მოთხოვნებიდან გამომდინარე, სპეციალურ სატრანსპორტო საშუალებაში სხვადასხვა კატეგორიის პატიმრები უნდა მოთავსდნენ განცალკევებით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. კერძოდ, ბადრაგირებისას განცალკევებით თავსდებიან:

- ქალები;
- არასრულწლოვნები;

---

[98] საქართველოს კანონი „პატიმრობის კოდექსი“, 41-ე მუხლი.

[99] „ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა გაყვანა/გადაყვანისას ბადრაგირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 19 ოქტომბრის №149 ბრძანებით დამტკიცებული წესი, მე-4 მუხლი.

[100] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 19 ოქტომბრის №149 ბრძანებით დამტკიცებული წესი, მე-9 მუხლი, მე-8 მუხლის მე-5, მე-7 პუნქტები.

[101] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 19 ოქტომბრის №149 ბრძანებით დამტკიცებული წესი, მე-13 მუხლი.

- უვადო თავისუფლებააღკვეთილები;
- პირები, რომელთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას შეიძლება საფრთხე შეექმნას წარსული სამსახურებრივი საქმიანობიდან გამომდინარე;
- ტრეფიკინგის დანაშაულის შედეგად დაზარალებულად ცნობილი პირები;
- განსაკუთრებით საშიში პირები, რომელთა პიროვნული თვისებები, კრიმინალური ავტორიტეტი, დანაშაულის ჩადენის მოტივი, დამდგარი მართლსაწინააღმდეგო შედეგი ან დაწესებულებაში გამოვლენილი ქცევა მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის დაწესებულებისა და მათ გარშემომყოფთა უსაფრთხოებას;
- არამართვადი ინფექციური სენით დაავადებული პირები;
- ერთი და იმავე სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდებული პირები[102].

ბადრაგირების განხორციელებამდე, აუცილებელია მსჯავრდებულთა შემოწმება, რომელსაც ახორციელებენ საბადრაგო ჯგუფისა და პენიტენციური დაწესებულების წარმომადგენლები ერთობლივად. ამასთან, საბადრაგო ჯგუფის წევრები მსჯავრდებულთა შემოწმებისა და მიღების პროცედურების[103] დაწყებამდე, ვალდებულნი არიან, პენიტენციურ დაწესებულებაში შემოსვლისას იარაღი და საბრძოლო მასალები დატოვონ დაწესებულების სამორიგეო ნაწილში.

ბადრაგირებისათვის მიღებას არ ექვემდებარება მსჯავრდებული:
- არასწორად გაფორმებული დოკუმენტებით;
- სრული შემოწმების გარეშე;
- ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო (ექიმის დასკვნით);
- რომელიც არ არის ჩაცმული სეზონის მიხედვით.

იმ შემთხვევაში, თუ მსჯავრდებული უარს განაცხადებს სრულ შემოწმებაზე, საბადრაგო ჯგუფისა და პენიტენციური დაწესებულების წარმომადგენლები უფლებამოსილნი არიან განახორციელონ მსჯავრდებულის იძულებითი სრული შემოწმება.

აქვე აღსანიშნავია, რომ დაუშვებელია პატიმრის ბადრაგირება თანმხლები სამედიცინო მუშაკის გარეშე, თუ ექიმის დასკვნის შესაბამისად, სატრანსპორტო საშუალებით გადაადგილება სამედიცინო მომსახურების გარეშე, საფრთხის შემცველია მსჯავრდებულის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის.

ზემოაღნიშნული პროცედურების დასრულების შემდეგ, ხორციელდება მსჯავრდებულთა ჩასხდომა[104] სპეციალურ სატრანსპორტო საშუალებაში, სადაც მსჯავრდებულები მიჰყავთ 2-3 კაციან კოლონად. საბადრაგო ჯგუფის უფროსი ხმამაღლა აწარმოებს მსჯავრდებულთა გადათვლას შესაბამისი დოკუმენტაციის მიხედვით, ხოლო ბადრაგი განათავსებს მსჯავრდებულებს სატრანსპორტო საშუალებაში, კეტავს კარებებს და გადასცემს გასაღებს ჯგუფის უფროსს. ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, ჩასხდომის დამთავრების შემდეგ, ამოწმებს მსჯავრდებულთა რაოდენობასა და კარების დაკეტვის სიმტკიცეს, იარაღსა და საბრძოლო მასალებს გადასცემს საბადრაგო ჯგუფის წევრებს და ამოწმებს მათ მზადყოფნას.

პენიტენციური დაწესებულების ტერიტორიის გარეთ სპეციალურ სატრანსპორტო საშუალებაში მსჯავრდებულთა ჩასხდომისას, სატრანსპორტო საშუალება დგება გამომავალ კარებთან, ხოლო ბადრაგს ეძლევა იარაღი მსჯავრდებულთა ჩასხდომის დაწყებამდე. იმ საბადრაგო ჯგუფის წევრის იარაღი, რომელიც ჩასხდომის პერიოდში იმყოფება სატრანსპორტო საშუალებაში, გადაეცემა ჯგუფის უფროსს ან სხვა პირს ჯგუფის უფროსის მითითებით.

სატრანსპორტო საშუალების მოძრაობა ხორციელდება დადგენილი წესის[105] შესაბამისად, ბადრაგირების მარშრუტის მიხედვით. მარშრუტზე ორი ან მეტი სატრანსპორტო საშუალების მოძრაობის დროს, ბადრაგირების პროცესს წარმართავს კოლონის უფროსი, რომელიც განისაზღვრება წინასწარ, მოძრაობის დაწყებამდე, პენიტენციური დეპარტამენტის საბადრაგო სამსახურის უფროსის მიერ. თითოეული სატრანსპორტო საშუალების ჯგუფის უფროსი ექვემდებარება კოლონის უფროსს.

102 საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 19 ოქტომბრის №149 ბრძანებით დამტკიცებული წესი, 23-ე და 25-ე მუხლები.

103 საქართველოს სასჯელააღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 19 ოქტომბრის №149 ბრძანებით დამტკიცებული წესი, 27-ე - 37-ე მუხლები.

104 საქართველოს სასჯელააღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 19 ოქტომბრის №149 ბრძანებით დამტკიცებული წესი, 38-ე - მე-40 მუხლები.

105 საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 19 ოქტომბრის №149 ბრძანებით დამტკიცებული წესი, მე-41 - 45-ე, 76-ე-78-ე მუხლები.

სატრანსპორტო საშუალებაში მსჯავრდებულთა საკნებთან მოთავსდება არანაკლებ ორი, ხოლო ავტომობილის წინა ნაწილში - არანაკლებ ერთი (მძღოლი) საბადრაგო ჯგუფის წევრი. მარშუტზე მოძრაობის დროს, ჯგუფის უფროსი იმყოფება სატრანსპორტო საშუალებაში მძღოლის გვერდით და ხელმძღვანელობს სატრანსპორტო საშუალების გადაადგილებას მარშრუტის შესაბამისად.

ბადრაგირება ხორციელდება საგზაო მოძრაობის წესების დაცვით, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული განსაკუთრებული შემთხვევებისა. ამასთან, საჭიროებიდან გამომდინარე, მოძრაობისას შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს სახმისი, სპეციალური ციმციმა და ხმოვანი სიგნალი. კოლონა გადაადგილდება ანთებული მაშუქებით და ციმციმებით.

ბადრაგირებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს მსჯავრდებულთა ბუნებრივი მოთხოვნილებები, რა მიზნითაც, გეგმური მარშრუტით არაუმეტეს 3 საათის შემდეგ, კეთდება გაჩერება მარშრუტზე მდებარე დაწესებულებაში, რომელიც ბადრაგირების გეგმით წინასწარ უნდა იქნეს განსაზღვრული. იძულებითი გაჩერების შემთხვევაში, ჯგუფის უფროსი მოახსენებს ზემდგომ ხელმძღვანელს. მსჯავრდებულთა საპირფარეშოში გაყვანა წარმოებს მათი თხოვნით, სათითაოდ. საპირფარეშოში მსჯავრდებულის გაყვანის წინ მოწმდება საპირფარეშო და მსჯავრდებულს განემარტება გაყვანის წესი. საპირფარეშოსაკენ მსვლელობისას და უკან დაბრუნებისას წინ მიდის საბადრაგო ჯგუფის წევრი, ხოლო შემდეგ მსჯავრდებული, უკან – ჯგუფის უფროსი ან მის მიერ განსაზღვრული საბადრაგო ჯგუფის წევრი.

მსჯავრდებულთა ჩასხდომა-გადმოსხდომისას, ასევე გაჩერების დროს ბადრაგი იმყოფება სატრანსპორტო საშუალების უკანა მარჯვენა მხარეს და უზრუნველყოფს საიმედო დაცვას, რათა არ დაუშვას უცხო პირთა შეგროვება და მოძრაობა სატრანსპორტო საშუალების უშუალო სიახლოვეს. საბადრაგო ჯგუფი უზრუნველყოფს მსჯავრდებულთა იზოლაციას უცხო პირებისაგან, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, მსჯავრდებულთა, საბადრაგო ჯგუფის წევრების და სატრანსპორტო საშუალების დაცვის მიზნით, უფლებამოსილია შეტყობინება გაუგზავნოს პოლიციის შესაბამის განყოფილებას.

თუ პენიტენციურ დაწესებულებებს შორის მანძილი არ აღემატება 150 მეტრს, ერთი დაწესებულებიდან მეორე დაწესებულებაში ბადრაგირება ხორციელდება პენიტენციური დეპარტამენტის დირექტორის ბრძანებით, გარე დაცვის სამსახურის ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებულ მოსამსახურეებისაგან შექმნილი ჯგუფის მიერ. ქვეითი წესით ბადრაგირებისას საბადრაგო ჯგუფის წევრები განლაგდებიან ორ ხაზზე მსჯავრდებულთაგან არაუმეტეს ორი მეტრის დაშორებით.[106]

ბადრაგირებისას თავდასხმის, მსჯავრდებულთა გაქცევისას ან მსგავსი ქმედებების მცდელობის შემთხვევებში, საბადრაგო ჯგუფის წევრები უფლებამოსილნი არიან გამოიყენონ სპეციალური საშუალებები და საჭიროების შემთხვევაში, ცეცხლსასროლი იარაღი კანონმდებლობით დადგენილი წესით.[107]

მსჯავრდებულის სამოქალაქო სამედიცინო დაწესებულებაში გაყვანის შემთხვევაში, მსჯავრდებულთა მუდმივი დაცვისა და მეთვალყურეობის უზრუნველყოფის მიზნით, საბადრაგო ჯგუფის არანაკლებ 3 წევრის შემადგენლობით მიმოებ საავადმყოფოში ეწყობა დროებითი საგუშაგო, რომელიც, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია გაძლიერდეს პენიტენციური დეპარტამენტის სპეციალური ძალების მთავარი სამმართველოს (სპეცრაზმი) მოსამსახურეებით. ქალი მსჯავრდებულის სამოქალაქო სამედიცინო დაწესებულებაში გაყვანის შემთხვევაში, საბადრაგო ჯგუფის წევრთაგან ერთი მაინც უნდა იყოს ქალი.[108]

მსჯავრდებულთა სასამართლო პროცესზე მონაწილეობის მიღების მიზნით გაყვანისას, საბადრაგო ჯგუფი მსჯავრდებულებს ათავსებს საერთო სასამართლოების შენობებში არსებულ სპეციალურ საკნებში (ინფრასტრუქტურის არსებობის შემთვევაში), რა დროსაც დაცული უნდა იყოს ზემოთ მითითებული განცალკევების კანონმდებლობით დადგენილი წესი. მსჯავრდებულთა სპეციალურ საკნებში მოთავსებიდან სასამართლო სხდომის დარბაზამდე მიყვანა/გამოყვანა ხდება თითოეულ მსჯავრდებულზე პასუხისმგებელი საბადრაგო ჯგუფის წევრის მიერ. აღნიშნული პროცედურების განხორციელებისას, აგრეთვე სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას, საბადრაგო ჯგუფის

---

[106] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 19 ოქტომბრის №149 ბრძანებით დამტკიცებული წესი, მე-10 და 46-ე მუხლები.

[107] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 19 ოქტომბრის №149 ბრძანებით დამტკიცებული წესი, 47-ე-52-ე მუხლები, 67-ე მუხლის მე-5 პუნქტი.

[108] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 19 ოქტომბრის №149 ბრძანებით დამტკიცებული წესი, 53-ე და 54-ე მუხლები.

წევრები ვალდებულნი არიან დაიცვან მსჯავრდებულთა უსაფრთხოება.[109]

მსჯავრდებულთა პენიტენციურ დაწესებულებაში მიყვანისას, საბადრაგო ჯგუფის უფროსი ატყობინებს დაწესებულებას პატიმართა რაოდენობის შესახებ, ამასთან, დაწესებულებას წარედგინება სამგზავრო სია, ცნობა მსჯავრდებულის შესახებ, შესაბამისად დალუქული მსჯავრდებულის პირადი საქმე და სხვა შესაბამისი დოკუმენტაცია. საბადრაგო ჯგუფს ეკრძალება მსჯავრდებულის პირადი საქმის გახსნა.[110]

საქართველოს კანონმდებლობა აგრეთვე ითვალისწინებს ბადრაგირებისას გაუთვალისწინებელ და ფორსმაჟორულ სიტუაციებში მოქმედების წესებს.[111]

ბადრაგირებისას პატიმრის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების შემთხვევაში, საბადრაგო ჯგუფის მიერ შეტყობინება უნდა გაეგზავნოს პენიტენციურ დეპარტამენტსა და სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურს, ხოლო საბადრაგო ჯგუფის წევრები ვალდებულნი არიან იმოქმედონ პენიტენციური დეპარტამენტისა და შესაბამისი სამედიცინო სამსახურის მითითებების შესაბამისად.

თუ ბადრაგირების დროს მსჯავრდებული გარდაიცვალა, სპეციალური სატრანსპორტო საშუალება უნდა გაჩერდეს, ხოლო აღნიშნულის თაობაზე, საბადრაგო ჯგუფის უფროსმა უნდა შეატყობინოს პენიტენციურ დეპარტამენტს, პოლიციას და სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურს.

საგანგებო, საომარი ან/და სხვა ფორსმაჟორული თუ ნებისმიერი გაუთვალისწინებელი სიტუაციის (გაქცევა, თავდასხმა, მძევლების აყვანა, სტიქიური უბედურება, ხანძარი, ავტოსაგზაო შემთხვევა, სატრანსპორტო საშუალების დაზიანება და ა.შ.) შემთხვევაში, საბადრაგო ჯგუფის უფროსი ვალდებულია დაუკავშირდეს პენიტენციურ დეპარტამენტს და იმოქმედოს მიღებული მითითებისა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, ხოლო თუ ვერ მოხერხდა დეპარტამენტთან დაკავშირება საბადრაგო ჯგუფი უკავშირდება პოლიციას ან თავდაცვის სამინისტროს უახლოეს ობიექტს.

ზემოთ მითითებულ ორგანოებთან დაკავშირების შეუძლებლობის შემთხვევაში, საბადრაგო ჯგუფი მიემართება უახლოეს პენიტენციურ დაწესებულებაში, უახლოეს პოლიციის ორგანოში ან გადაადგილდება სხვა უსაფრთხო ადგილზე.

---

[109] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 19 ოქტომბრის №149 ბრძანებით დამტკიცებული წესი, 67-ე მუხლი.

[110] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 19 ოქტომბრის №149 ბრძანებით დამტკიცებული წესი, 34-ე მუხლი, VI თავი.

[111] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 19 ოქტომბრის №149 ბრძანებით დამტკიცებული წესი, 87-ე-89-ე მუხლები.

თავი: 6

# კრიმინალური სუბკულტურა საქართველოს პენიტენციურ სისტემაში

*მეექვსე თავი*

## კრიმინალური სუბკულტურა საქართველოს პენიტენციურ სისტემაში

როგორც ამ სახელმძღვანელოს შესავალშივე აღინიშნა, საერთაშორისო კვლევების თანახმად, თითქმის ყველა პენიტენციური დაწესებულებაში მოქმედებს ე.წ „პატიმართა კოდექსი", რასაც გარკვეული გავლენა აქვს პატიმრის ქცევაზე და ზოგადად დაწესებულების ფუნქციონირებაზე[112]. არც ქართული პენიტენციური სისტემა არის ამ კუთხით გამონაკლისი და აქ არსებულ სუბკულტურას აქვს თავისებური მახასიათებლები.

დღეს არსებული სუბკულტურა, რომელიც გვხვდება პენიტენციურ სისტემაში, ჩამოყალიბდა დაახლოებით საუკუნის წინ. მისი პირველადი ნორმები და წესები, პენიტენციური სისტემის შიგნით ჩამოყალიბდა და გავლენა მოახდინა შემდგომში საზოგადოებაში ღირებულებათა სისტემის ფორმირებაზეც. სუბკულტურა მისი განვითარების სხვადასხვა ეტაპზე განიცდიდა ევოლუციას, ცვლიდა მის წიაღში აღმოცენებულ წესებს და ნორმებს. იგი ყველა ეტაპზე ახდენდა ადაპტაციას პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის შესაბამისად. აღნიშნული ფენომენის აღმოცენებისა და განვითარების სტადიების ანალიზი გვაძლევს საფუძველს დავასკვნათ, რომ მას გააჩნია მუტაციის უნიკალური უნარი.

ჩვენ შეგვეძლო პირდაპირ გვესაუბრა კრიმინალურ სუბკულტურაში დღეს არსებულ წესებზე, თუმცა, დღეს არსებული კრიმინალური სუბკულტურის გააზრება, შეუძლებელია მისი აღმოცენებისა და განვითარების სტადიების მიმოხილვის გარეშე. ჩამოყალიბებისა და განვითარების სხვადასხვა ეტაპების ანალიზი მოგვცემს შესაძლებლობას დავინახოთ, როგორ ცვლიდა ორგანიზებული დანაშაულის ეს ფორმა თავის წესებს და ნორმებს თვითგადარჩენის მიზნით. აღნიშნული პროცესის ანალიზი მოგვცემს ასევე შესაძლებლობას იმის გასააზრებლად, რომ დღევანდელ სუბკულტურაში არსებული ნორმები, ორგანოები და მათ მიერ გადაწყვეტილების მიღების წესი არ არის სტატიკური და ნებისმიერი გამოწვევისას იცვლის ფორმას. თუმცა ასევე შევეხებით იმ ნორმებს, რომლებიც მრავალი ცვლილებების მიუხედავად პირველადი სახით არის შენარჩუნებული.

„კანონიერი ქურდების" ფენომენი და მასთან დაკავშირებული სუბკულტურის აღმოცენებისა და განვითარების სტადიები რამდენიმე ეტაპად შეიძლება დავყოთ[113]:

1. **ეტაპი - (20-50-იანი წლები) - მიეკუთვნება სტალინის მმართველობის პერიოდს, როდესაც შეიქმნა ე.წ „გულაგის[114]" სისტემა და ჩამოყალიბდა „კანონიერი ქურდების" კასტა პირველადი ფორმით**[115].

ამ ეტაპის დანაშაულებრივ სამყაროში, საწყის პერიოდში გამოიყოფოდა 2 ძირითადი მიმართულება: პირველი - დამნაშავეები რევოლუციამდელი სტაჟით, მეორე - პირები, რომლებიც დანაშაულის გზას დაადგნენ საბჭოთა ხელისუფლების ზეწოლის შედეგად (1917 წლის ოქტომბრის ბოლშევიკური რევოლუციის შემდეგ). ამ უკანასკნელებს „ჟიგანები" ეწოდათ. „ჟიგანებმა" ძველი კრიმინალური სამყაროს ტრადიციები ახალ პირობებს მიუსადაგეს[116]. „ჟიგანებმა" ჩამოაყალიბეს თავიანთი წესები და „კანონები", რომლებიც იმ პერიოდისთვის ოპოზიციური იდეოლოგიით იყო გამყარებული, კერძოდ:

- საზოგადოებისთვის სასარგებლო რაიმე სამუშაოს შესრულების აკრძალვა;
- ოფიციალური ოჯახის შექმნის აკრძალვა;
- იარაღით ხელში სახელმწიფოს დაცვაში მონაწილეობის აკრძალვა;
- ოფიციალურ ხელისუფლებასთან თანამშრომლობის აკრძალვა;
- საერთო სალაროში ფულის შეტანის ვალდებულება.

არსებითად, ეს წესები იქცა პირველ ნაბიჯად ახალი ტრადიციების და ადათ-წესების ფორმირებისკენ, რომლებმაც ტრადიციულ ატრიბუტებთან (ჟარგონი, ჟესტი) და ემოციურ ელემენტებთან (სიმღერა, პროზა, თხრობა) ერთად პროფესიული დამნაშავის არსი განსაზღვრა[117]. ეს არის ის პირველადი წესები, რომლებიც შეიქმნა მაშინდელ კრიმინალურ სამყაროში და რომელსაც დაეფუძნა შემდგომში „კანონიერი ქურდებისთვის" დამახასიათებელი ნორმები. შემდგომში ამ საკითხების მიმოხილვისას გამოჩნდება, რომ „ჟიგანების" მიერ შექმნილი წესები დიდად არ განსახვავდება ე.წ. „კანონიერი ქურდების" მიერ დადგენილი წესებისგან.

---

112 Clemmer 1940/1968; McCorkle, Korn 1954; Sykes 1958.
113 გ.ლობჟანიძე, გ.ღლონტი, კანონიერი ქურდები საქართველოში, თბილისი, 2004წ. გვ.41.
114 ტერმინი რუსულ ენაზე განიმარტება როგორც: Гла́вное управле́ние лагере́й и мест заключе́ния – ГУЛАГ.
115 გ.ლობჟანიძე, გ.ღლონტი, კანონიერი ქურდები საქართველოში, თბილისი, 2004წ. გვ.42-53.
116 ბ.ვოდალაზკი, ი.ბაკუტინი, დანაშაულებრივი დაჯგუფებები, მათი წესები, ტრადიციები და „კანონები", ომსკი, 1979.
117 გ.ლობჟანიძე, ორგანიზებული დანაშაულობა და ხელისუფლება, ქუთაისი, 2010, გვ. 34.

1929 წლიდან, როდესაც სსრ კავშირში რეპრესიების ახალი ტალღა დაიწყო, დაპატიმრებულთა რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა. ჩამოყალიბდა ე.წ.“გულაგების“ სისტემა. დაწესებულებებში ხალხის დიდი მასების კონტროლის მიზნით, ხელისუფლება ცდილობდა შიდა კონტროლის მექანიზმის შექმნას, რის გამოც გადმოიბირეს მაშინდელ კრიმინალურ სამყაროში იერარქიის ქვედა საფეხურზე მდგარი კრიმინალები, რომლებსაც „ურკიგანები“, „ურკები“ ეწოდებოდათ. დაწესებულების ადმინისტრაციებმა დაიწყო მათი გადმობირება, დაუპირისპირეს „ჟიგანებს“ და გარკვეული პრივილეგიები მიანიჭეს[118]. მათ დაევალათ დაწესებულებებში წესრიგის დამყარება. ამის გამო მათ ჰქონდათ დაწესებულების ტერიტორიაზე თავისუფალი გადაადგილების შესაძლებლობა, იყვნენ შედარებით მსუბუქ რეჟიმში. ასეთ პირებს ზედმეტსახელად „ბლატნოე“ ანუ „ბლატიანები“ შეარქვეს[119].

„ურკებმა“ სახელმწიფოს ხელშეწყობით გაიმარჯვეს „ჟიგანებთან“ დაპირისპირებაში. პატიმართა ამ კატეგორიას შემდგომში „კანონიერი ქურდები“ უწოდეს.

„კანონიერი ქურდების“ ტერმინის წარმოშობის თაობაზე სხვადასხვა ვერსიები არსებობს. ეს სახელი სავარაუდოდ აგენტებმა თავის თავს უწოდეს, რაც ნიშნავდა იმ ავტორიტეტის აღიარებას, რასაც დაწესებულების ადმინისტრაცია ხელს უწყობდა და „აკანონებდა“[120]. თუმცა აღნიშნული ტერმინის წარმოშობის შესახებ ლიტერატურაში არის ასევე სხვა მოსაზრებებიც. ერთ-ერთი მოსაზრების მიხედვით, აღნიშნული ტერმინით მაშინდელი საბჭოთა მილიცია მოიხსენიებდა დანაშაულებრივ სამყაროში გამორჩეულ ლიდერებს, სხვა ვერსიით ტერმინი წარმოიშვა თვითონ დანაშაულებრივ წრეებში დაუწერელი „ქურდული კანონების“ შექმნის შემდეგ, ვინაიდან ამ „კანონის“ დამცველები თავიანთ თავს „კანონიერ ქურდებს“ უწოდებდნენ. არის მოსაზრება, რომ დამნაშავე სამყაროს წარმომადგენლები თავიანთ თავს „სამართლიან ქურდებს“, „კანონიერი ქურდებს“ უწოდებდნენ, რაც აღნიშნავდა დამნაშავე პირს, რომელიც კრიმინალური სამყაროს ტრადიციებით ცხოვრობდა[121]. არის ასევე ვერსია, რომ „კანონიერი ქურდების“ ფენომენი შექმნილია KGB-ს მიერ და ისინი „კანონიერი ქურდების“ მეშვეობით ცდილობდნენ დამნაშავეთა სამყაროს კონტროლს[122].

თუმცა ფაქტია, რომ აღნიშნული ტერმინის წარმოშობა უკავშირდება პირველ რიგში ე.წ „გულაგის“ სისტემის ჩამოყალიბებას[123]. „კანონიერ ქურდების“ მიერ აღიარებული წესები დაეფუძნა „ჟიგანების“ მიერ ჩამოყალიბებულ პირველად წესებს.

40-50-იან წლებში განხორციელდა ქურდული გაერთიანებების გარკვეული ტრანსფორმაცია. ფაშისტურ გერმანიასთან ომში, საჯარიმო ბატალიონებში, სასჯელის შემსუბუქების მიზნით, მონაწილეობა მიიღო ქურდების ნაწილმა, ხოლო მეორე ნაწილმა მონაწილეობაზე კატეგორიული უარი განაცხადა. ბევრი ქურდი დაიღუპა ფრონტზე, გადარჩენილთაგან ნაწილი კვლავ აღმოჩნდა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში და დანაშაულებრივ სფეროში ინტეგრირება დაიწყო. ამას წინ აღუდგა ქურდების ის ნაწილი, რომელმაც არ უღალატა „რწმენას“ (იარაღით ხელში სახელმწიფოს დაცვაში მონაწილეობის აკრძალვა). დაბრუნებულ ქურდებს ისინი „გამყიდველ ძუკნებს“, „ფრონტავიკებს“, „ავტომატჩიკებს“ უწოდებდნენ. ამ ჯგუფებს შორის წარმოიშვა დაპირისპირება, რომელიც „ძუკნების ომის“ („სუჩაია ვაინა“[124]) სახელით არის ცნობილი.

ფრონტიდან დაბრუნებული ქურდები ცდილობდნენ გარკვეული ცვლილებების შეტანას ქურდულ „კანონებში“ და ეს ძირითადად სახელმწიფოსთან საჭიროების შემთხვევაში თანამშრომლობას გულისხმობდა. ეს დაპირისპირება ეფექტურად გამოიყენეს პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაციებმა, მათ წააქეზეს დაპირისპირებული მხარეები, რითაც მნიშვნელოვნად დაასუსტეს კრიმინალური სამყარო. საბოლოოდ ჯამში ორთოდოქსული ქურდები ნაწილობრივ დათმობებზე წავიდნენ და ადმინისტრაციასთან თანამშრომლობა გარკვეულ პირობებში მისაღებ წესად იქნა მიჩნეული. **ეს იყო ერთ-ერთი პირველი შემთხვევა, როდესაც საკუთარ წესებში „კანონიერმა ქურდებმა“ ცვლილებები შეიტანეს. შემდეგ ეტაპებზე კიდევ განხორციელდა ცვლილებები სხვადასხვა შინაგანი თუ გარეგანი ფაქტორების ზემოქმედების შედეგად.**

ომის შემდგომ პერიოდში წინააღმდეგობები კიდევ უფრო გაღრმავდა. ამ პერიოდში კრიმინალური საზოგადოების ზრდის გამო, ქურდების სალარო, ე.წ. „ობშიაკი“ ვეღარ აკმაყოფილებდა ქურდების მოთხოვნებს, რის გამოც იძულებული გახდნენ პატიმრებისთვის გამომუშავებული თანხის ნაწილი ჩამოერთმიათ (პირველ ეტაპზე ე.წ „ობშიაკში“ თანხა ძირითადად ქურდებს შეჰქონდათ. ქვემოთ ამ

[118] გ.პოდლესკიხი, ა.ტერეშენოკოვი, კანონიერი ქურდები: ნახტომი ხელისუფლებისკენ, ქუთაისი, 1995წ. გვ. 119.
[119] გ.პოდლესკიხი, ა.ტერეშენოკოვი, კანონიერი ქურდები: ნახტომი ხელისუფლებისკენ, ქუთაისი, 1995წ. გვ. 121.
[120] , გ.პოდლესკიხი, ა.ტერეშენოკოვი, კანონიერი ქურდები: ნახტომი ხელისუფლებისკენ, ქუთაისი, 1995წ.გვ. 119.
[121] მ.შალიკაშვილი, კრიმინოლოგია, მეორე გამოცემა, თბილისი, 2011, გვ. 96.
[122] იქვე, გვ. 96.
[123] გ.ნაჭყებია, გ.გორაშვილი, გ.მამულაშვილი, ნ.თოდუა, რ.გოგშელიძე, დ.სულაქველიძე, ი.დვალიძე, ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში, თბილისი, 2012წ, გვ. 509-510.
[124] მ.შალიკაშვილი, კრიმინოლოგია, მეორე გამოცემა, თბილისი, 2011, გვ. 92-93.

საკითხს დეტალურად შევეხებით). ამან ძირითადი მასის („მუჟიკები“) უკმაყოფილება და მათთან დაპირისპირება გამოიწვია.

ამ პერიოდში გამოჩნდა ასევე სხვადასხვა სახის კრიმინალური დაჯგუფებები, რომლებიც სხვადასხვა მძიმე დანაშაულებისთვის იხდიდნენ სასჯელს. ამ კატეგორიის პატიმრებს „განდგომილები“ ან „პოლონელი ქურდები“ უწოდეს. ისინი შეეცადნენ ქურდული კანონები გამოეყენებინათ ასევე სხვა პატიმრებზე კონტროლისთვის (ძირითადად „ობშიაკის“ დაუფლებისთვის) და დაუპირისპირდნენ „კანონიერ ქურდებს“.

ამ დაპირისპირებამ ასევე შეასუსტა ორთოდოქსული ქურდების კასტა. ამას დაემატა ასევე მაშინდელი ხელისუფლების (განსაკუთრებით სტალინის სიკვდილის, 1953 წლის შემდეგ). მიერ გადადგმული ნაბიჯები. 1950 წლების ბოლოს პირველად ჩამოყალიბდა სხვადასხვა ტიპის დაწესებულებები, სადაც პატიმრების განთავსება კატეგორიების მიხედვით ხდებოდა. სპეციალური ნორმატიული აქტის საფუძველზე[125] ჩამოყალიბდა: საერთო, გაძლიერებული, მკაცრი და განსაკუთრებული რეჟიმის კოლონიები. მკაცრად კონტროლდებოდა სხვადასხვა კოლონიებს შორის პატიმართა კონტაქტი. ეს იყო ასეთი სახით პატიმართა რისკების მიხედვით გადანაწილების პირველი მცდელობა, რამაც იმ პერიოდისთვის გარკვეული შედეგები გამოიღო. თუმცა როგორც შემდგომში აღმოჩნდა, მხოლოდ ეს არ იყო საკმარისი საბოლოო მიზნის მისაღწევად. თუმცა დაწესებულებების ეფექტურად მართვის მიზნით, პატიმართა გადანაწილებას რისკების მიხედვით ალტერნატივა არ აქვს.

ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის გააქტიურების მიზეზი იყო ის რომ, 40-50-იან წლებში „კანონიერი ქურდების“ ორგანიზაცია დიდი ტემპებით ვითარდებოდა და მათმა რაოდენობამ ათასს გადააჭარბა. საბჭოთა ხელისუფლებისთვის ამ „ელიტის“ ესოდენ სწრაფი ზრდა საფრთხის შემცველი იყო და მათი გამოყენების პრაგმატული ელემენტი ფაქტობრივად აღარ არსებობდა[126]. ამის გამო საბჭოთა ხელისუფლების მიერ იყო მიღებული გადაწყვეტილება, რომ „კანონიერი ქურდების“ გავლენა შეესუსტებინათ.

1956 წელს, ქ.სოლიკამსკში დაარსდა სპეციალური, განსაკუთრებული რეჟიმის კოლონია N6, სადაც „კანონიერი ქურდების“ უდიდესი ნაწილი მოათავსეს. ამ კოლონიას ხალხში „თეთრ გედს“ უწოდებდნენ. ამ იზოლაციით შეეცადნენ „კანონიერი ქურდების“ გავლენა სხვა დაწესებულებებზე მნიშვნელოვნად შეემცირებინათ. ამ კოლონიაში იყო საკმაოდ მძიმე რეჟიმი, რის გამოც ამ პირობებს „კანონიერი ქურდების“ უდიდესმა ნაწილმა ვერ გაუძლო და უარი თქვა თავის წოდებაზე. ეს ნაბიჯი ძალიან გავს უკვე 2000-იან წლებში, საქართველოში „კანონიერი ქურდების“ წინააღმდეგ ბრძოლის იმ ეტაპს, რა დროსაც, მათი უდიდესი ნაწილი მოათავსეს ქ.თბილისის N7 დაწესებულებაში (ამჟამადაც ამ დაწესებულებაში არიან განთავსებული), რითაც მოხდა სხვა დაწესებულებებიდან მათი მოცილება (ამ საკითხს ქვემოთ უფრო დეტალურად შევეხებით).

**50-იანი წლების ბოლოს, საბჭოთა ხელისუფლების შეფასებით, მთელი რიგი წარმატებული ოპერაციების ჩატარების შემდეგ, საბჭოთა კავშირის სამართალდამცავმა ორგანოებმა ცენტრალურ კომიტეტს „კანონიერი ქურდების“ დანაშაულებრივი ორგანიზაციის საბოლოო განადგურების შესახებ უპატაკეს. ამ გადაწყვეტილებას მოყვა სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან კრიმინალურ სამყაროზე გავლენის შესუსტება, რაც ალბათ ყველაზე დიდი შეცდომა იყო. ზუსტად ამ ეტაპზე იჩენს თავს ამ ფენომენის საოცარი მუტაციის უნარი. მიუხედავად ყველაზე მკაცრი და „დრაკონული“ ღონისძიებებისა, რომელიც სახელმწიფომ გაატარა, „კანონიერი ქურდების“ ძირითადმა მასამ არა მხოლოდ გადარჩენა მოახერხა, არამედ შესანიშნავად შეეგუა ახალ პოლიტიკურ და ეკონომიკურ პირობებს.**

2. **ეტაპი - (60-70-იანი წლები) - ე.წ. პოსტსტალინისტური პერიოდი, როდესაც პირველად გამოჩნდა მაფიოზური ტიპის პირველი ორგანიზებული დანაშაულის ფორმირებები, თანამედროვე ორგანიზებული დანაშაულის წინა სახე.**

„კანონიერი ქურდის“ ინსტიტუტის აღორძინებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ამ პერიოდში სამართალდამცავი ორგანოების ილუზორულმა დამოკიდებულებამ და რწმენამ - საბჭოთა კავშირში დანაშაულობის სრული აღმოფხვრის შესაძლებლობის შესახებ[127].

ამდამოკიდებულებასმოყვაშესაბამისიორგანოებისაქტივობისდაქვეითება.საუწყებოდოკუმენტებიდან ამოიღეს ისეთი ცნებები, როგორიცაა „კანონიერი ქურდი“. ასეთი სახის რეფორმებმა მნიშვნელოვნად დაასუსტა სამართალდამცავი ორგანოების მუშაობის ეფექტურობა. შედეგად აღმოცენდა „კანონიერი

[125] საქართველოს უმაღლესი საბჭოს უწყებები. 1971. N12.

[126] გ.ნაჭყებია, გ.გორაშვილი, გ.მამულაშვილი, ნ.თოდუა, რ.გოგშელიძე, დ.სულაქველიძე, ი.დვალიძე, ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში, თბილისი, 2012წ, გვ. 511.

[127] გ.ლობჟანიძე, გ.ღლონტი, კანონიერი ქურდები საქართველოში, თბილისი, 2004წ. გვ. 55.

ქურდების“ მოდიფიცირებული ტალღა, რომელიც მოერგო ახალ პოლიტიკურ და ეკონომიკურ რეალიებს[128]. განსაკუთრებით საშიში ლიდერების არასათანადო შეფასებამ, სახელმწიფოს მხრიდან „კანონიერი ქურდების“ წინააღმდეგ ბრძოლის შესუსტებამ, მათ ერთგვარი შესვენების საშუალება მისცა, რამაც „კრიმინალურ-ნეგატიური“ იდეოლოგიის ფართოდ გავრცელებამდე და ქურდული მოძრაობის ზრდის სტიმულირებამდე მიიყვანა საზოგადოება[129].

„კანონიერმა ქურდებმა“ გარკვეული ცვლილებები შეიტანეს თავიანთ წესებში. პირველ რიგში მათ დასაშვებად მიიჩნიეს ხელისუფლებასთან თანამშრომლობა და ძირითადად ეკონომიკურ საქმიანობაში თანამონაწილეობა. გაჩნდა მაფიოზური ტიპის ორგანიზებული დანაშაულის ნიშნები. ამას ხელი შუწყო საბჭოთა კავშირში 60-70-იან წლებში ჩრდილოვანი ეკონომიკის და კრიმინალური მეწარმეობის გაჩენამ, სადაც კრიმინალური ელიტა ამ საქმიანობის მფარველად მოგვევლინა. დანაშაულებრივ საქმიანობაში ჩართული აღმოჩნდნენ ჩინოვნიკები მინისტრების ჩათვლით. ზოგადად ჩრდილოვანი ეკონომიკის ჩამოყალიბებას ხელი შეუწყო პირველადი მოხმარების საქონელზე, სამრეწველო საქონელზე, ტექნიკაზე და სხვა პროდუქციაზე დეფიციტის არსებობამ.

ამ პროცესებმა განსაკუთრებით თავი საქართველოში იჩინა, სადაც ჩრდილოვანი ეკონომიკა, სპეკულაცია, არნახული კორუფცია ყვაოდა და სახელისუფლებო სტრუქტურების ხრწნა მიმდინარეობდა[130].

„კანონიერი ქურდების“ სოციალურ სტატუსსა და საქმიანობაში ცვლილებები ქურდულ „კანონებში“ ცვლილებებს მოითხოვდა. ესეთი სახის გადაწყვეტილებები სპეციალურ შეკრებებზე წყდებოდა (ე.წ.“სხოდკებზე“). სხვადასხვა წყაროები ადასტურებენ, რომ ასეთი სახის შეკრება, რომელსაც ესწრებოდნენ „კანონიერი ქურდები“ და იატაქქვეშა ბიზნესის წარმომადგენლები, შედგა 1979 წელს, ქ.კისლოვოდსკში. ამ შეხვედრაზე გადაწყდა, რომ „კანონიერ ქურდებს“ ბიზნესმენების შემოსავლიდან ათი პროცენტი მიეღოთ[131]. ასევე წყაროებში არის ცნობილი „კანონიერი ქურდების“ შეკრება თბილისში -1982 წელს. როგორც ცნობილია ამ შეხვედრაზე გადაწყდა ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში „კანონიერი ქურდების“ მონაწილეობის საკითხი[132]. ამ შეკრებაზე გადამწყვეტი იყო ქართველი „კანონიერი ქურდების“ პოზიცია[133]. როგორც შემდგომ აღმოჩნდა, 1990 წლების დასაწყისში კრიმინალური სამყაროს წარმომადგენლებმა, სამწუხაროდ, მართლაც დიდი როლი ითამაშეს საქართველოს უახლესი ისტორიის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

### 3. ეტაპი - (80-იანი წლები) როდესაც მოხდა ორგანიზებული დანაშაულის საბოლოო ფორმირება საბჭოთა კავშირში.

80-იანი წლებიდან საბჭოთა კავშირში იწყება პოლიტიკური რეჟიმის სრული დეგრადაციის პროცესი. ეს პერიოდი „ოქროს ხანად“ შეიძლება ჩაითვალოს ორგანიზებული დანაშაულისთვის, განსაკუთრებით „კანონიერი ქურდებისთვის“. კრიმინალური სამყაროს ორგანიზებული ჯგუფები საჭირო აღმოჩნდნენ საწარმოო სიმძლავრეების მიტაცებისა და მართვის, პერსონალის ექსპლუატაციისა და დანაშაულებრივი გზით ნაშოვნი ფულის გათეთრებისთვის[134].

80-იანი წლების ბოლოს, არსებული მონაცემებით, დანაშაულებრივი ჯგუფების სათავეში მდგომი პიროვნებების 80% ეკონომიკის სფეროში მოქმედი წარმოება-დაწესებულებების ხელმძღვანელები იყვნენ. მათ მფარველობას და დახმარებას დანაშაულებრივი ჯგუფები (ძირითადად „კანონიერი ქურდები“) უწევდნენ. არსებობდა ასევე ფაქტები დამნაშავე ელემენტების სასამართლო ორგანოებთან ურთიერთობების შესახებ[135].

„კანონიერი ქურდების“ ინსტიტუტის როლის გაზრდისთვის განსაკუთრებულ იმპულსად მოგვევლინა „კოოპერატივების შესახებ“ კანონის მიღება. ამ პერიოდში იწყება ჩრდილოვანი ეკონომიკის ლიდერების ზედა ფენაზე ამოსვლა. კრიმინალურმა სამყარომ ძირშივე მოახდინა კოოპერატიული მოძრაობის დისკრედიტაცია დაარაკეთილსინდისიერი კონკურენციის პირობებში ხელში ჩაიგდო თითქმის მთლიანი ბაზარი[136]. სახელმწიფო ფუნქციონირებებსა და პროფესიულ დამნაშავეებს შორის მჭიდრო კავშირი დამყარდა. ამ პროცესებს შედეგად სახელმწიფოს კანონზომიერი რყევა მოჰყვა.

[128] იქვე, გვ. 113.
[129] ვ.რაზინკინი, ა.ტატბარინი, კრიმინალური სამყაროს ელიტა, მოსკოვი, 1997წ.
[130] გ.ლობჟანიძე, გ.ღლონტი, კანონიერი ქურდები საქართველოში, თბილისი, 2004წ. გვ. 57.
[131] ი.კოსტიუკოვსკი, რუსული ორგანიზებული დანაშაულის ისტორია. www.narcom.ru/cabinet/online12.html.
[132] გ.ლობჟანიძე, გ.ღლონტი, კანონიერი ქურდები საქართველოში, თბილისი, 2004წ. გვ. 67-68.
[133] მ.შალიკაშვილი, კრიმინოლოგია, მეორე გამოცემა, თბილისი, 2011, გვ. 93.
[134] გ.ლობჟანიძე, გ.ღლონტი, კანონიერი ქურდები საქართველოში, თბილისი, 2004წ. გვ. 114-115.
[135] გ.პოდლესკიხი, ა.ტერეშონოკი, კანონირი ქურდები: ნახტომი ხელისუფლებისკენ, ქუთაისი, 1995წ, გვ.166-167 - სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის შიფოგრამა N22.07.88. ნეგატიურ პროცესებზე თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში.
[136] გ.ლობჟანიძე, გ.ღლონტი, კანონიერი ქურდები საქართველოში, თბილისი, 2004წ. გვ. 72-73.

4. **ეტაპი (90-იანი წლები) - საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს ჩამოყალიბება და დანაშაულებრივი კლანების როლის ზრდა ეთნო-კონფლიქტებში. „კანონიერი ქურდების" ინსტიტუტის ტრანსფორმირების პროცესი დასავლური ტიპის განგსტერულ-მაფიოზურ დაჯგუფებების მსგავს კრიმინალურ ორგანიზაციებად.**

ეს არის საბჭოთა კავშირის რღვევის და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩამოყალიბების პერიოდი, საქართველოს დამოუკიდებლობის პირველი წლები. ამ პერიოდში საკმაოდ მძლავრი იყო ნაციონალურ-პატრიოტული მოძრაობა, რის გამოც ხელისუფლებაში (საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ) საეჭვო კვალიფიკაციისა და რეპუტაციის ხალხი მოვიდა. საკმაოდ სუსტი და ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესში იყო სახელმწიფო სახელისუფლებო აპარატი. ეს აღმოჩნდა საკმაოდ ხელსაყრელი პერიოდი კრიმინალური სამყაროსთვის. „კანონიერმა ქურდებმა" და სხვა სახის კრიმინალურმა ელემენტებმა, ამ პერიოდში ჩამოაყალიბეს დანაშაულებრივი დაჯგუფებები. ეს დაჯგუფებები პოლიტიკური პარტიების, საზოგადოებების, საძმოების და სხვა სახით მოგვევლინენ.

ქართული კრიმინალური დაჯგუფებები იმდენად გავლენიანნი გახდნენ, რომ უმეტესი სახელისუფლებო სტრუქტურები ჩაანაცვლეს. უფრო მეტიც, 1991-92 წლებში სახელმწიფო გადატრიალების შედეგად, ძალაუფლების სათავეში აღმოჩნდა ტრიუმვირატი (თ.სიგუა, თ.კიტოვანი და ჯ.იოსელიანი), რომლის ერთ-ერთი წევრი წარსულში ცნობილი და გავლენიანი „კანონიერი ქურდი" ჯაბა იოსელიანი იყო. ეს პერიოდი შეიძლება შეფასდეს, როგორც სახელმწიფოს სრული დეზორგანიზების პერიოდი, რომელიც ხასიათდებოდა ძალადობრივი დანაშაულებით და სხვადასხვა კრიმინალური დაჯგუფებების მკვეთრი ზრდით[137]. სიტუაცია შედარებით შეიცვალა 90-იანი წლების ბოლოს 2000-იანი წლების დასაწყისში, რაც შედარებით პოლიტიკურ სტაბილურობაში და კრიმინოგენური მდგომარეობის გაუმჯობესებაში გამოიხატებოდა. თუმცა ქვეყანაში ჯერ კიდევ საკმაოდ მჭიდრო კავშირი არსებობდა ჩინოვნიკებსა და ორგანიზებული დანაშაულის წარმომადგენლებს შორის და კორუფციასაც არნახული მასშტაბები ჰქონდა.

5. **ეტაპი (2003-2012 წლები) - 2003 წლის „ვარდების რევოლუციის" შემდეგ ჩატარებული პოლიტიკური, სტრუქტურული და სამართლებრივი რეფორმები, ახალი საკანონმდებლო ბაზა.**

„ვარდების რევოლუციის" შემდეგ არსებითად შეიცვალა საქართველოში სახელმწიფოს დამოკიდებულება ორგანიზებული დანაშაულის მიმართ. სახელმწიფოს მიერ გადაიდგა მთელი რიგი რადიკალური ნაბიჯები. ეს პოლიტიკა ზოგადად ცნობილია დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის „ნულოვანი ტოლერანტობის" სახელით[138]. ალბათ ნაადრევია ამ ეტაპზე სახელმწიფო პოლიტიკის შედეგების ერთიანად შეფასება, ვინაიდან მას შემდეგ საკმაოდ მცირე პერიოდია გასული და შემდგომში აუცილებელი იქნება უფრო სიღრმისეული ანალიზი, თუმცა აუცილებლად უნდა შევეხოთ მთელ რიგ საკითხებს, რამაც არსებითი გავლენა მოახდინა ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაზე, განსაკუთრებით პენიტენციურ სისტემაში.

ამ ეტაპზე უკვე შეგვიძლია შევაფასოთ, რომ საკმაოდ ეფექტური იყო სახელმწიფოს მიერ გადადგმული ნაბიჯები, განსაკუთრებით კორუფციასთან ბრძოლის კუთხით[139]. კორუმპირებული სახელმწიფო აპარატი არის ორგანიზებული დანაშაულის ერთ-ერთი ძირითადი მასაზრდოებელი, რის გამოც კორუფციის წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯის შედეგად მნიშვნელოვნად შესუსტდა საქართველოში „კანონიერი ქურდების" მფარველები და ფინანსური წყარო.

მარტო პენიტენციურ დაწესებულებაში წესრიგის დამყარებისა და პოლიციის მიერ კრიმინალთან ბრძოლის გააქტიურებით, შეუძლებელი იქნებოდა ორგანიზებული დანაშაულების ლიდერების გისოსებს მიღმა მოხვედრა, რადგან, როგორც წესი, მათ მიერ ხდებოდა კრიმინალური აქტების დაგეგმვა და არა აღსრულება. შესაბამისად, 2005 წლის 20 დეკემბერს მიღებულ იქნა საქართველოს კანონი „ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ". კანონით მოხდა „კანონიერი ქურდის", „ქურდული სამყაროსა" და „რეკეტიორის" განმარტება და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში იმავე თარიღით შეტანილი ცვლილებებით განისაზღვრა შესაბამისი სანქციები. . სამოქალაქო საპროცესო კოდექსში შევიდა დამატებები, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი გახდა ორგანიზებული დანაშაულების წარმომადგენელთათვის უკანონო გზით შეძენილი ქონების ჩამორთმევა. მითითებული საკანონმდებლო ცვლილება-დამატებებით ორგანიზებული დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლა და მისი პრევენცია, სრულიად ახალ საფეხურზე გადავიდა.

---

137 გ.ლობჟანიძე, გ.ღლონტი, კანონიერი ქურდები საქართველოში, თბილისი, 2004წ. გვ. 75.

138 საქართველოს პრეზიდენტის გამოსვლა პარლამენტში 2006 წლის 14 თებერვალს. http://www.civil.ge/geo/article.php?id=11761.

139 საერთაშორისო გამჭირვალობა: 2012 წლის კორუფციის აღქმის ინდექსი საქართველოში. http://transparency.ge/post/corruption-perception-index-cpi/2012-tslis-koruptsiis-aghkmis-indeqsi.

საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო ის რეფორმები, რომლებიც განხორციელდა პენიტენციურ სისტემაში „კანონიერი ქურდების" გავლენის შემცირების მიზნით. ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი იყო ყველა „კანონიერი ქურდის" ერთ დაწესებულებაში განთავსება, კერძოდ, თბილისის N7 დაწესებულებაში. როგორც უკვე ავღნიშნეთ, ხელისუფლების მიერ გადადგმული ეს ნაბიჯი წააგავს 50-იანი წლების ბოლოს საბჭოთა ხელისუფლების მიერ N6 კოლონიის დაარსებას (ე.წ „თეთრი გედი") და იქ ყველა „კანონიერი ქურდების" მოთავსებას.

აღნიშნულმა ღონისძიებამ მნიშვნელოვნად შეამცირა „კანონიერი ქურდების" გავლენა სხვა დაწესებულებებზე. ამის პარალელურად მთლიანად ქვეყანაში ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის ერთიანმა პოლიტიკამ მინიმუმამდე დაიყვანა „კანონიერი ქურდების" გავლენა ქვეყანაში.

თუმცა, ასევე შეიძლება უკვე ითქვას, რომ „ნულოვანი ტოლერანტობის" პოლიტიკამ შექმნა საკმაოდ დიდი პრობლემები, ზოგადად სისხლის სამართლის პოლიტიკის განხორციელებისთვის. ამ პოლიტიკის შედეგი იყო პენიტენციური დაწესებულებების არანორმალური გადატვირთვა, რაც დაწესებულებებში სიტუაციის კონტროლს შეუძლებელს ხდიდა. ამ და სხვა ფაქტორებმა (დაუსჯელობის სინდრომი) ხელი შეუწყო არასათანადო მოპყრობის ფაქტებს პატიმრების წინააღმდეგ[140], რამაც საბოლოოდ გამოიწვია „სისტემური მარცხი", რომელიც საჯაროდ იქნა გაცხადებული 2012 წლის ბოლოს[141].

შეუძლებელია ამ ეტაპისთვის აღნიშნულ პერიოდში გადადგმული ყველა ნაბიჯი ერთმნიშვნელოვნად დადებითად ან უარყოფითად შეფასდეს. აუცილებელია სახელმწიფოს მიერ გადადგმული ნაბიჯების შეფასება და ანალიზი. პირველ რიგში, რომ არ მოხდეს „კანონიერი ქურდის" ინსტიტუტის, ზოგადად ორგანიზებული დანაშაულობის შეუფასებლობა. ამ ფენომენს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გააჩნია მუტაციის უნარი, რაც არაერთხელ დაამტკიცა მისი არსებობის სხვადასხვა ეტაპზე. იგი ცდილობს და აქვს უნარი აუღოს ალღო ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ მდგომარეობას, აიღოს პაუზა საჭიროების შემთხვევაში, შეცვალოს შიდა წესები, ნორმები და მოძებნოს ალტერნატიული გზები გადარჩენისთვის, შემდგომი გაძლიერებისთვის. ამის ნათელი მაგალითია თუნდაც 60-იანი წლები, როცა ხელისუფლებამ „კანონიერი ქურდები" ფაქტობრივად დამარცხებულად გამოაცხადა, შეასუსტა ბრძოლა მათ წინააღმდეგ, რითაც დაუშვა უდიდესი შეცდომა, რაც შემდგომში ნათლად გამოჩნდა.

„კანონიერი ქურდების" ინსტიტუტის ჩამოყალიბებისა და მისი არსებობის ეტაპების განხილვა მნიშვნელოვანია ზოგადად ამ ფენომენის გასააზრებლად. როგორც უკვე აღვნიშნეთ, შეუძლებელია ამ ფენომენის საფუძველზე აღმოცენებული სუბკულტურა შევისწავლოთ, თუ არ ვიცით მისი წარმოშობის ისტორია, როგორ მიმდინარეობდა მისი ევოლუცია, სად პოულობდა ყველაზე მეტ საყრდენს და რა ფაქტობრივი გარემოებები უწყობდა ხელს მას არსებობის შენარჩუნებაში. ზუსტად ამ მიზნით არის წარმოდგენილი ეს მოკლე ისტორიული მიმოხლვა. ეს ინფორმაცია ხელს შეგვიწყობს საქართველოში კრიმინალურ სუბკულტურასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხები უფრო დეტალურად განვიხილოთ.

### „ქურდული კანონები"

ე.წ."ქურდული კანონები" პირველადი ფორმით ჩამოაყალიბეს „ჟიგანებმა" 20-იან წლებში და ეს ძირითადად ოპოზიციურ განწყობებს გამოხატავდა. 30-იან წლებში „ურკებისა" და „ჟიგანების" დაპირისპირების შედეგად, როდესაც დაწესებულებების ადმინისტრაციის ხელშეწყობით გავლენისთვის ბრძოლაში წარმატებას „ურკებმა" მიაღწიეს, მათ ჩამოაყალიბეს ე.წ. „ქურდული კანონები". სავარაუდოდ უკვე ამის შემდეგ იწოდება ეს ჯგუფი „კანონიერ ქურდებად". პირველად ჩამოყალიბებული „ქურდული კანონები" შემდეგი დებულებებისგან შედგებოდა[142]:

1. ქურდული იდეის ერთგულება;
2. სამართალდამცავ ორგანოებთან კონტაქტის დაუშვებლობა;
3. უარი ნებისმიერი ფორმით სახელმწიფო სტრუქტურებთან თანამშრომლობაზე;
4. სხვა ქურდების პატივისცემა და თანადგომა;
5. ახალი წევრების, განსაკუთრებით ახალგაზრდების ჩართვის ვალდებულება;
6. პოლიტიკური მოღვაწეობის აკრძალვა;
7. კონტროლი დაწესებულებებში, კონფლიქტების გარჩევა, ადგილებზე ქურდების ძალაუფლების დამყარება;
8. უარი ჩვენების მიცემაზე, დანაშაულის აღიარებაზე;

140 საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში 2011 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ. http://ombudsman.ge/uploads/other/0/85.pdf .

141 საქართველოს პრეზიდენტის განცხადება, 19.09.2012წ. http://www.ambebi.ge/politika/61187-mikheil-saakashvili-realurad-mokhda-sistemuri-marckhi.html.

142 გ.ლობჟანიძე, გ.ღლონტი, კანონიერი ქურდები საქართველოში, თბილისი, 2004წ. გვ. 116-117.

9. საკუთრების და დანაზოგის არქონა;
10. ოჯახის არყოლა;
11. პერიოდული პატიმრობა;
12. უარი იარაღზე;
13. ნებისმიერ პირობებში მუშაობაზე უარი;
14. „ჟარგონის“ ცოდნა;
15. ქურდული სალაროს შევსება;
16. ჩაწერის (რეგისტრაციის) არქონა.

„კანონიერ ქურდებს“ საწყისი ეტაპიდანვე ახასიათებდათ ასევე გარკვეული თავისებურებები[143]:

1. „კანონიერი ქურდი“ ყველაფერს თავისი ხელით უნდა აკეთებდეს;
2. შემგუებლობის უნარი (ტაქტიკის სწრაფად ცვლა გარემოებების შესაბამისად);
3. სიმკაცრე და ანგარიშსწორება განდგომილებისადმი;
4. „კანონიერი ქურდების“ გმირული სახე ხალხში.

შესაძლებელია ასევე გარკვეულწილად გავმიჯნოთ ქურდული და ციხის კანონები. ქურდული კანონები არის სავალდებულოდ შესასრულებელი ქურდების მიერ, თუმცა უმეტესი დებულებების შესრულება ევალებათ ასევე სხვა პატიმრებს. ამიტომ შესაძლებელია ვისაუბროთ ცალკე „ციხის კანონებზე“[144], რომლებიც ყველა პატიმარზე ვრცელდებოდა:

1. „საერთო სალაროში“ წილის შეტანის ვალდებულება;
2. კრძალავს ძალადობის გამოყენებას „კანონიერი ქურდების“ მიმართ;
3. მშობლების, უფროსების პატივისცემა;
4. შეურიგებელია დაბეზღებისადმი;
5. კრძალავს უსაფუძვლოდ რაიმეს წართმევას;
6. კრძალავს ვინმეს მიმართ მტკიცებულებების გარეშე ბრალდების (პრეტენზიის) წაყენებას;
7. კრძალავს შეურაცხოფას, უცენზურო გინებას;
8. კრძალავს თავისიანების გაქურდვას;
9. კრძალავს ოფიციალურ ორგანოებთან თანამშრომლობას.

„ციხის კანონების“ დაცვა სავალდებულო იყო, როგორც „კანონიერი ქურდებისთვის“, ასევე სხვა პატიმრებისთვის, ხოლო ზემოთ აღნიშნული ზოგიერთი დებულების დაცვა მხოლოდ „კანონიერი ქურდებისთვის“ იყო სავალდებულო. კრიმინალური ავტორიტეტები ცდილობენ ე.წ. „ციხის კანონებით“, კრიმინალური სუბკულტურის თავისებურებების გამოყენებით, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში მიაღწიონ სრულ გავლენას პატიმართა ყველა კატეგორიაზე.

თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, კრიმინალური სუბკულტურის არსებობის სხვადასხვა ეტაპზე, „კანონიერი ქურდები“ ქვეყანაში არსებული პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობის შესაბამისად ცვლიდნენ პირველად წესებსა და ნორმებს.

პირველი წესი რომლის შეცვლაც მოხდა იყო 40-50-იან წლებში და შეეხებოდა სახელმწიფო სტრუქტურებთან თანამშრომლობას. ეს ცვლილება გამოიწვია მეორე მსოფლიო ომში „კანონიერი ქურდების“ ნაწილის მონაწილეობამ.

დაახლოებით უკვე 60-იანი წლებიდან „კანონიერი ქურდებისთვის“ არ წარმოადგენდა აუცილებელ მოთხოვნას, რომ მას ოჯახი არ უნდა ყოლოდა და არ უნდა ჰქონოდა პირადი საკუთრება.

შემდეგი წესი, რომელიც უკვე 60-70 იან წლებში შეიცვალა არის, ეკონომიკური სარგებლის მიღების მიზნით სახელმწიფო ჩინოვნიკებთან კორუფციულ გარიგებებში შესვლა და შეთანხმება, რომ მათგან შემოსავლის 10% მიეღოთ. ეს შემოსავალი არამარტო ე.წ. ქურდულ სალაროში შედიოდა, არამედ ისინი ამ თანხებს პირადი კომფორტისთვის და ფუფუნებისთვის მოიხმარდნენ. შეიძლება ითქვას, რომ უკვე ამ პერიოდიდან ქურდული ცხოვრების წესი „კანონიერი ქურდების“ მხრიდან გადაიქცა ანგარების შენიღბვის განსაკუთრებულ ხერხად[145].

143 გ.პოდლესკიხი, ა.ტერეშონოკი, კანონირი ქურდები: ნახტომი ხელისუფლებისკენ, ქუთაისი, 1995წ, გვ.166-167 .
144 Ю. К. александров, очерки криминальной субкултури, 2001. – 37с.
145 გ.ნაჭყებია, გ.გორაშვილი, გ.მამულაშვილი, ნ.თოდუა, რ.გოგშელიძე, დ.სულაქველიძე, ი.დვალიძე, ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში, თბილისი, 2012წ, გვ. 493.

„კანონიერ ქურდად“ გახდომისთვის სავალდებულო მოთხოვნას უკვე აღარ წარმოადგენდა , პირის პატიმრობაში ყოფნა (შემდგომში დეტალურად შევეხებით „კანონიერ ქურდად“ კურთხევის პროცედურებს).

გარდა ამისა, 70-80 წლებში „კანონიერი ქურდების“ მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, ძალაუფლების გამყარების მიზნით, პოლიტიკურ საქმიანობაში ჩართულიყვნენ. ეს ყველაფერი შემდგომში ნათლად გამოჩნდა 90-იანი წლების დასაწყისში.

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილება, „ქურდულ კანონებში“ განხორციელდა უკვე 2003 წლის შემდეგ, როცა ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ სახელმწიფოს მხრიდან საკმაოდ გაბედული და ეფექტური ნაბიჯები იქნა გადადგმული. „კანონიერმა ქურდებმა“ შეცვალეს წესი, რომელიც გულისხმობდა ჩვენების მიცემაზე უარის თქმას სამართალდამცავი ორგანოებისთვის. ამ წესში ცვლილება ძირითადად გამოიყენეს იმ მიზნით, რომ მათთვის არასასურველი ოფიციალური თანამდებობის პირები მოეშორებინათ. საკმაოდ ხშირი იყო კოლექტიური განცხადებები და საჩივრები პატიმრების მხრიდან ამა თუ იმ ჩინოვნიკის წინააღმდეგ, სადაც მათ სხვადასხვა საკითხებში სდებდნენ ბრალს. ხშირ შემთხვევაში ასეთი სახის განცხადებები და საჩივრები უსაფუძვლო იყო.

განსაკუთრებით საინტერესოა კონკრეტული მაგალითი, თუ როგორ მოიშორეს ქ.რუსთავში ერთ-ერთი დაწესებულების დირექტორი:

„2012 წლის ციხის სკანდალური ფაქტების გახმაურების შემდეგ, ქვეყანაში მოხდა ხელისუფლების ცვლილება. მთლიანად შეიცვალა მაშინდელი პენიტენციური სისტემის ხელმძღვანელობა. ეს პერიოდი გამოირჩეოდა პატიმრების მხრიდან ხშირი საპროტესტო აქციებით ). ამ პერიოდში უკვე გამოიკვეთა მცდელობა კრიმინალური ავტორიტეტების მხრიდან, აღედგინათ ძველი გავლენა დაწესებულებებში. ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური სიტუაცია და საზოგადოებაში არსებული განწყობები, კრიმინალურმა ავტორიტეტებმა საწყის ეტაპზე ეფექტურად გამოიყენეს და დაწესებულებების უმრავლესობაში თავიანთი გავლენის დამყარება შეძლეს. რუსთავის ერთ-ერთი დაწესებულების ახლად დანიშნულმა დირექტორმა უარი განაცხადა რაიმე სახის გარიგებაში შესულიყო კრიმინალურ ავტორიტეტებთან და შეეცადა დაწესებულებაში დაემყარებინა წესრიგი. მისი დანიშვნიდან დაახლოებით 1 კვირის მერე იწყება ამ დაწესებულებაში პატიმართა მასობრივი პროტესტი პენიტენციური დაწესებულების ხელმძღვანელის მიმართ. მას ბრალი დასდეს პატიმრების მიმართ არასათანადო მოპყრობაში და მუქარაში. პატიმრების მხრიდან დაიწერა კოლექტიური საჩივრები ამ პიროვნების მიმართ. პენიტენციური ადმინისტრაციის მაშინდელმა ხელმძღვანელობამ საჩივრებში დაფიქსირებული ფაქტების დადგენამდე დროებით შეუჩერა დირექტორს უფლებამოსილება (რაც ალბათ შეცდომა იყო). დირექტორმა შემდგომში დატოვა თანამდებობა, ხოლო საჩივრებში აღნიშნული ფაქტები არ დადასტურებულა. ამ პატარა წარმატების შემდეგ, ამ დაწესებულებაში, შემდგომში უკვე ახალი ადმინისტრაციის კონტროლი მინიმუმამდე იყო დაყვანილი. დაწესებულებაში ყველაფერს აკონტროლებდნენ კრიმინალური ავტორიტეტები, ე.წ. „მაყურებლები“. მოგვიანებით სიტუაცია იმდენად დამძიმდა , რომ 2013 წლის დასაწყისში, აღნიშნული დაწესებულება დროებით, საერთოდ დახურეს და პატიმრები სხვა დაწესებულებებში გადაანაწილეს. სხვა ნაბიჯები ფაქტობრივად არაეფექტური გამოდგა“.

„კანონიერი ქურდების“ ინსტიტუტი პირველადი ფორმიდან, ეტაპობრივად გარდაიქმნა კლასიკურ კრიმინალურ-მაფიოზურ დაჯგუფებად. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი ნორმები, რომლებიც თავდაპირველ ეტაპზე ჩამოყალიბდა, დღესაც იმავე ფორმით არსებობს. კერძოდ:

1. ზოგადად ქურდული იდეების ერთგულება;
2. სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის დაუშვებლობა. (თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ უამრავი წყარო ადასტურებს იმ ფაქტს, რომ „კანონიერი ქურდების“ უმრავლესობა სამართალდამცავ ორგანოებთან აქტიურად თანამშრომლობდა;)
3. თავიანთ წრეებში ახალი წევრების, განსაკუთრებით ახალგაზრდების ჩართვის ვალდებულება. ეს ფაქტი აიხსნება ძირითადად იმით, რომ აუცილებელია „მომავალი თაობის“ აღზრდაზე ზრუნვა;
4. უარი ჩადენილი დანაშაულის აღიარებაზე;
5. ნებისმიერ პირობებში მუშაობაზე უარის თქმა;
6. ქურდული სალაროს (ე.წ. „ობშიაკის“) შევსება.

თუ მივაქცევთ ყურადღებას ძირითადი ცვლილებები, რაც ამ წესებში განხორციელდა, უმეტეს შემთხვევაში შეეხება პირადად „კანონიერ ქურდებს“. ეს ცვლილებები ნაკლებად აისახა ე.წ. „ციხის კანონებზე“, რომლებიც ყველა პატიმრისთვის არის სავალდებულო შესასრულებელი. ამის მიზეზი უპირველეს ყოვლისა არის კონტროლისა და გავლენის შენარჩუნების მცდელობა პატიმრებზე. თუ გარკვეული ცვლილებები შეეხო ზოგადად პატიმრებსაც, მხოლოდ ე.წ. „ქურდულ კანონებში“

ცვლილების შეტანის გამო (მაგ. ჩვენების მიცემა) და იმ მიზნით, რომ ძალაუფლება შეენარჩუნებინათ.

**„ქურდული სანქციები“**

როგორც ყველა კანონის დარღვევისთვის, ასევე „ქურდული კანონების“ დარღვევისთვის თავიდანვე ჩამოყალიებებული იყო გარკვეული სანქციები. ეს წესები, სხვა წესების მსგავსად, დროთა განმავლობაში სახეცვლილებას განიცდიდა. სანქციებიდან შეიძლება გამოვყოთ უშუალოდ როგორი სახის სანქციები გამოიყენება „კანონიერი ქურდის“ წინააღმდეგ და ზოგადად სხვა პატიმრების მიმართ, რომლებიც ამ რანგს არ განეკუთვნებიან. „კანონიერი ქურდების“ მიმართ გამოიყენება[146]:

1. სახალხოდ სილის გაწვნა - ეს შეიძლება მხოლოდ ქურდმა გააკეთოს, ძირითადად უსაფუძვლო შეურაცხყოფისთვის;
2. „ყურებში ჩარტყმა“, „გაჩერება“ - ამ დროს გადაყავთ უფრო დაბალ კატეგორიაში, ე.წ. „არაქურდული საქციელის“ გამო, „არაქურდად“ აცხადებენ;
3. სიკვდილი - მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში, საერთო კრებაზე „სხოდკაზე“ „კანონიერი ქურდების“ მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე.

„კანონიერი ქურდის“ სტატუსის შეჩერების თაობაზე დოკუმენტური ფაქტის მოძიება შესაძლებელია ინტერნეტ სივრცეში. ვიდეოჩანაწერები ეხება სხვადასხვა „კანონიერი ქურდის“, ე.წ. „გაჩერებას“, არაქურდად გამოცხადებას, რომელიც ქ.თბილისის N7 დაწესებულებაში არის გადაღებული. [147]. „კანონიერი ქურდის“ გაჩერება შეუძლია მხოლოდ „კანონიერ ქურდებს“ „სხოდკაზე“ და აუცილებელია ამის დეტალურად დასაბუთება.

სხვა დანარჩენი დამნაშავეების მიმართ არსებობს სხვადასხვა სახის სანქციები, რომლებიც გამოიყენებოდა საწყის ეტაპზე:

1. ცემა;
2. მამათმავლობის ძალადობრივი აქტი - ყველაზე დამამცირებელ ჯგუფში გადაყვანა (ე.წ. „ქათმებში“);
3. დაკავებული სტატუსის ჩამორთმევა, (ყურებში ჩარტყმა) - უფრო დაბალ კატეგორიაში გადაყვანა;
4. პარაფინი, მამათმავლობის სიმბოლური აქტი;
5. ხელების (ფეხების) დამტვრევა;
6. ე.წ. „ფუფლიჟნიკად“ გამოცხადება - გამოიყენება იმ პირთა მიმართ, ვინც წააგო აზარტული თამაშის დროს და ვერ გადაიხადა დროულად;
7. სიკვდილი - საკმაოდ იშვიათად გამოიყენებოდა და ისიც საკმაოდ უხეში დარღვევისთვის თუმცა ამისთვის „კანონიერი ქურდის“ თანხმობა იყო საჭირო.

უნდა აღინიშნოს, რომ დღესდღეობით ზოგიერთი სანქციები აღარ არის მიჩნეული ბოლომდე მისაღებად. ეს ეხება მამათმავლობის ძალადობრივ და სიმბოლურ აქტებს. თუმცა არც თუ იშვიათად პრაქტიკაში მსგავსი ფაქტები ისევ ფიქსირდება. მაგალითად:

„2011 წელს ერთ-ერთ პენიტენციურ დაწესებულებაში პატიმარ X-ს, ვისი „გაფუჭებაც“ უნდოდათ, ძილის დროს პატიმარმა Y-მა ტუჩებზე დაადო „სასქესო ორგანო“. ამ ფაქტის საფუძველზე პატიმარ X-ს შეეცვალა სტატუსი და დაქვეითდა „ქათმების“ კატეგორიაში. პატიმარ Y-ს შემდგომში სხვა უფრო ავტორიტეტულმა პატიმრებმა პასუხი მოთხოვეს და ისიც „ქათმების“ კატეგორიაში დააქვეითეს. თუმცა ამან ვერ შეცვალა პატიმარ X-ს სტატუსი“.

დღესდღეობით პრაქტიკაში საკმაოდ ხშირად გამოიყენება სანქციის სახე, ე.წ. „დაყენება“. ეს შეიძლება გარკვეულწილად იყოს „ყურებში ჩარტყმის“ ანალოგი. ამ სანქციის გამოყენება ხდება სხვადასხვა სახის არასწორი საქციელის გამო. დამსჯელი შეიძლება იყოს მხოლოდ კრიმინალური ავტორიტეტი ე.წ. „მაყურებელი“ ან „მაყურებლები“. ამ დროს დამნაშავეს არ აქვს წინააღმდეგობის გაწევის უფლება. „დაყენების“ დროს „მაყურებელი“ მხოლოდ რამოდენიმეჯერ ურტყავს ხელს დამნაშავეს. ამ დროს არ ხდება ცემა კლასიკური გაგებით. არ შეიძლება „მაყურებელმა“ გამოიყენოს ამ დროს დარტყმისთვის რაიმე ნივთი, უფრო მეტიც დარტყმის დროს ხშირ შემთხვევაში ბეჭედსაც კი იხსნიან, რომ მხოლოდ სუფთა ხელის გარტყმა მოხდეს. „დაყენების“ დროს ხშირ შემთხვევაში ხდება მხოლოდ დამნაშავის დასჯა და ამას მის სტატუსში რაიმე ცვილებები არ მოსდევს. თუმცა შესაძლებელია სტატუსშიც განხორციელდეს ცვლილება.

სუფთა ხელით დარტყმა უნდა მოხდეს აუციებლად „კაი ბიჭის“ მიერ, ხოლო თუ ისჯება იერარქიის

[146] გ.ლობჟანიძე, გ.ღლონტი, კანონიერი ქურდები საქართველოში, თბილისი, 2004წ. გვ. 119.

[147] http://www.youtube.com/watch?v=PxxJhhjzxB0. http://www.youtube.com/watch?v=WdOq7XJWl0Q. http://www.youtube.com/watch?v=TpXxBRT3FMQ.

ქვედა საფეხურზე მყოფი პირი, მაგალითად ე.წ. „ქათამი“ (ქვემოთ განვიხილავთ), როგორც წესი, მას პირიქით, სუფთა ხელით არ ეხებიან და ფეხით ან რაიმე ნივთის გამოყენებით სჯიან. მაგალითად - „ერთ-ერთ პენიტენციურ დაწესებულებაში მაყურებელი დასჯის მიზნით ქათმებს ცემდა ხის ძირიანი ჩუსტებით და ე.წ. „დრინით“ [148].

დღესდღეობით საკმაოდ ხშირად გამოიყენება ასევე ცემა და ე.წ. „დალეწვა“, იგივე ხელების (ფეხების) დამტვრევა სხვადასხვა დარღვევებისთვის. ამ სასჯელის აღსრულებაში შეიძლება მონაწილეობა მიიღოს „მაყურებლის“ გარდა სხვა კატეგორიის პატიმრებმაც. უნდა აღინიშნოს, რომ გადაწყვეტილებას სანქციების გამოყენების თაობაზე, დღესდღეობით უმეტეს შემთხვევებში იღებენ კრიმინალური ავტორიტეტები - „მაყურებლები“. ამის ძირითადი მიზეზი არის ის, რომ „კანონიერი ქურდები“ აღარ არიან დაწესებულებებში და ამ კუთხით ეს ფუნქცია „მაყურებლებმა“ შეითავსეს.

**„კანონიერ ქურდად“ კურთხევა, „ნათლობა“**

„კანონიერ ქურდად“ ჩამოყალიბებისთვის დროთა განმავლობაში ჩამოყალიბდა ქურდული სამყაროს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რიტუალი, „კანონიერ ქურდად“ კურთხევა[149]. ძნელია იმის თქმა, თუ როდის ჩამოყალიბდა ზუსტად ეს ტრადიცია, თუმცა ზოგიერთი ავტორიტეტული „კანონიერი ქურდი“ საქართველოში, მაგალითად ჯაბა იოსელიანი საერთოდ უარყოფდა იმ ფაქტს, რომ საწყის ეტაპზე რაიმე სახის რიტუალები სრულდებოდა[150]. თუმცა ამის საპირისპიროდ მეტყველებს უამრავი ფაქტი, რომლებიც სხვადასხვა წყაროებშია მითითებული.

„კანონიერ ქურდად“ კურთხევის რიტუალში, ქურდად გახდომამადე, კანდიდატს უწოდებენ ე.წ. “პალაჟენეცს“, „მაყურებელს“, „მომავალს“. „მაყურებელი“, „პალაჟენეცი“, როგორც წესი, ქურდად გახდომამდე განსაზღვრულ ტერიტორიას (დაწესებულებას) აკონტროლებს „კანონიერი ქურდის“ მფარველობის ქვეშ. მათ ზოგ შემთხვევაში „თავადებს“, „თამადას“ უწოდებენ ქართულ სინამდვილეში. რაც შეეხება ტერმინს „მომავალი“, ამ ტერმინის ქვეშ ზოგადად მომავალი „კანონიერი ქურდი“ იგულისხმება. არის ასევე შემთხვევები, როდესაც „კანონიერ ქურდებს“ მოიხსენიებენ, როგორც „მამაო-ს“, რაც საქართველოში არსებული ქრისტიანული, განსაკუთრებით მართლმადიდებლური კულტურის არსებობით უნდა იყოს გამოწვეული.

„კანონიერ ქურდად“ კურთხევისთვის, როგორც წესი, საჭიროა პირს გავლილი ჰქონდეს 3 წლიანი გამოსაცდელი ვადა და საჭიროა 2 ან 3 კანონიერი ქურდის რეკომენდაცია. რეკომენდატორი გარკვეულწილად პასუხს აგებს თავის კანდიდატზე. „კანონიერ ქურდად“ კურთხევა ხდება ქურდების საერთო შეკრებებზე, ე.წ. „სხოდკებზე“.

რეკომენდაციის გაწევის წესი გამოიყენება დღესდღეობით უკვე „მაყურებლების“ მიმართაც. როგორც უკვე აღვნიშნეთ სახელმწიფოს მიერ გატარებული რეფორმების შედეგად „კანონიერი ქურდები“ ფაქტობრივად აღარ არიან დაწესებულებებში და მათ ფუნქციას ითავსებენ „მაყურებლები“. იმ შემთხვევაში თუ „მაყურებელი“ თავისუფლდება თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებიდან ან გადადის სხვა დაწესებულებაში, იგი ვალდებულია დატოვოს მემკვიდრე, ვინც იგივე ფუნქციას შეასრულებს. მანამდე ეს კანდიდატი „მაყურებელმა“ უნდა დაუხასიათოს და შეუთანხმოს „კანონიერ ქურდს“ და აიღოს მასზე პასუხისმგებლობა. „კანონიერი ქურდისთვის“ კანდიდატის შეთანხმებას „მაყურებლები“ დღესდღეობით ძირითადად სატელეფონო საუბრებით ახერხენებ. ამჟამად „კანონიერი ქურდების“ ძირითადი ნაწილი საქართველოს ფარგლებს გარეთ იმყოფება.

არის კატეგორია პატიმრებისა, რომლებიც „კანონიერი ქურდები“ ვერასოდეს გახდებიან („ქათმები“, „ფუფლიჟნიკები“, „ბეზპრედელშიკები“, „გაქცეულები“, „გადაკეტილები“, ყოფილი ჩინოვნიკები, ძალოვანი სტრუქტურის წარმომადგენლები), მაშინ როდესაც არსებობს იერარქიაში ქვედა ფენა (მაგ. „პატიოსნები“) რომლებსაც „კარიერული წინსვლის შესაძლებლობა აქვთ“.

უკანასკნელ პერიოდში, განსაკუთრებით 90-იანი წლებიდან „კანონიერ ქურდად“ კურთხევის რიტუალმა დისკრედიტაცია განიცადა. დაფიქსირდა შემთხვევები, როცა ზოგიერთმა ქართველმა „კანონიერმა ქურდმა“ ეს ტიტული მოსყიდვით მიიღო. ხშირია შემთხვევები, როდესაც „კანონიერ ქურდად“ აკურთხეს ისეთი ადამიანები, რომელთაც ციხე საერთოდ არ უნახავთ[151] (მანამდე პატიმრობა ერთ-ერთი მთავარი პირობა იყო „კანონიერ ქურდად“ გახდომისთვის). საინტერესოა ასევე ქართველი „კანონიერი ქურდების“ თავისებურება ქურდული დინასტიების, ქურდული ოჯახების შექმნის კუთხით.

148 დრინი - სხვადასხვა ნივთისგან დამზადებული ხელკეტი.

149 გ.ლობჟანიძე, გ.ღლონტი, კანონიერი ქურდები საქართველოში, თბილისი, 2004წ. გვ. 122-127.

150 ჟურნალ „რეიტინგის“ სტატია, თბილისი, 10.03. 2003წ. http://www.reitingi.ge/aqtualuri-sakhe/1511-ratom-gakhda-jaba-ioseliani-qurdi-disertacia-thurme-chemma-dam-damitsera.html?lang=ka-GE.

151 გ.ნაჭყებია, გ.გორაშვილი, გ.მამულაშვილი, ნ.თოდუა, რ.გოგშელიძე, დ.სულაქველიძე, ი.დვალიძე, ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაცისა და სამართალშეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში, თბილისი, 2012წ, გვ. 486.

მაგ. გარდაცვლილ კანონიერ ქურდ ჯემალ (არსენა) მიქელაძის ორივე ვაჟი - მამუკა და ჯემალი ქურდები გახდნენ[152]; „კანონიერი ქურდები" არიან ძმები კახა და ლაშა შუშანაშვილები და ა.შ.

გარდა ამისა, ძირითადად ადრე მიჩნეული იყო, რომ „კურთხევის" რიტუალი არ შეიძლება შესრულდეს მიმოწერით ან კომუნიკაციის სხვა საშუალებით. თუმცა დღესდღეობით ფიქსირდება სხვადასხვა ფაქტები, განსაკუთრებით ბოლო პერიოდში, „კანონიერი ქურდის" skype-ით „მონათვლის" შესახებ[153], რაც არ უნდა იყოს ძალიან გასაკვირი ამ ფენომენის ადაპტაციის უნარიდან გამომდინარე.

**იერარქია**

კრიმინალურ სუბკულტურაში არსებობს იერარქია, რომელიც ფუნქციურად ანაწილებს როლებს მის წევრებს შორის. რასაკვირველია „კანონიერ ქურდებს" დანაშაულებრივი იერარქიის ყველაზე მაღალი საფეხური უკავიათ. ეს იერარქია ყველაზე კარგად ჩანს პენიტენციურ სისტემაში, სადაც ფუნქციების გადანაწილება ამ წევრებს შორის სამთავრობო დაწესებულებების სტრუქტურას მოგვაგონებს. თუმცა ამ იერარქიამ, კრიმინალური სუბკულტურის ჩამოყალიბების შემდეგ გარკვეული ცვლილებები განიცადა, განსაკუთრებით უკვე 2000-იან წლებში ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ სახელმწიფოს მიერ გატარებული პოლიტიკის შემდეგ, რის შემდეგაც „კანონიერი ქურდები" პენიტენციურ დაწესებულებებში (გარდა იშვიათი გამონაკლისისა) აღარ იმყოფებიან. თუმცა საინტერესო იქნება განვიხილოთ, რა სახის იყო ეს იერარქია საწყის ეტაპზე, რა შეიცვალა, რამ განიცადა ტრანსფორმაცია და დღეს რა ფორმით არის ჩამოყალიბებული. ციხის იერარქია შეიძლება შემდეგი სახით ჩამოვაყალიბოთ[154].

**„კანონიერი ქურდები"**

როგორც უკვე აღვნიშნეთ ქურდები წარმოადგენენ იერარქიის უმაღლეს საფეხურზე მყოფ პირებს. მიუხედავად იმისა, რომ დღესდღეობით პენიტენციურ სისტემაში დაწესებულებებში აღარ იმყოფებიან ქურდები, ისინი მაინც ახერხებენ მითითებების მიცემას იერარქიის ქვედა რგოლში მყოფი პირებისთვის სხვადასხვა კომუნიკაციის საშუალებებით და ძირითადად საქართველოს ფარგლებს გარედან.

**„ბლატნოები[155]", „კაი ბიჭები".**

მათ ადრე ასევე ეძახდნენ „ფახანები", „ბუგრები", „შერსტი". დღესდღეობით საქართველოში ეს ტერმინები ნაკლებად გამოიყენება. ეს არის დანაშაულებრივი სამყაროს ერთგვარი „მინი ელიტა" დაწესებულებებში. დღესდღეობით ამ კატეგორიას საქართველოში ძირითადად ეძახიან „ბლატნოებს" და „კაი ბიჭებს". აღსანიშნავია, რომ „კაი ბიჭის" ინსტიტუტი შეიძლება ვთქვათ ისეთივე დოზით არის გავრცელებული ციხის გარეთაც, თუმცა ციხეში მათ იერარქიულად სულ სხვა ფუნქცია გააჩნიათ. ეს არის ის კატეგორია, რომელთა უმრავლესობას აქვს იმის პრეტენზია, რომ გახდნენ „კანონიერი ქურდები". იმ პირებს, რომლებიც აშკარად აფიქსირებენ „კანონიერი ქურდობის" სურვილს, როგორც უკვე აღვნიშნეთ „მომავალსაც" უწოდებენ. „ბლატნოე" „კანონიერ ქურდად" კურთხევის შემდეგაც „ბლატნოედ" რჩება[156].

**„პალაჟენეცები", „მაყურებლები"**

ეს არის „ბლატნოების", „კაი ბიჭების" კატეგორია, რომლებსაც დაწესებულებებში მთლიანი ან გარკვეული ნაწილების ზედამხედველები არიან. დღესდღეობით ტერმინი „პალაჟენეციც" გამოიყენება, თუმცა დღესდღეობით ამ კატეგორიის მიმართ ძირითადად ტერმინი „მაყურებელი" გამოიყენება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ „მაყურებლების" როლი მნიშვნელოვნად გაიზარდა „კანონიერი ქურდების" იზოლირების შემდეგ. თითქმის ყველა დაწესებულებაში არის „მაყურებელი", რომლებიც ერთგვარად „კანონიერი ქურდების" ფუნქციას ასრულებენ. ისინი მუდმივად ცდილობენ შეინარჩუნონ კავშირი გარეთ „კანონიერ ქურდებთან" და სხვადასხვა საკითხებზე პერიოდულად გაიარონ კონსულტაციები და მიიღონ მითითებები.

„მაყურებლებს", როგორც წესი, ყავთ ერთი ან ორი თანაშემწე. ასევე ისინი ცდილობენ დაწესებულებებში ყველა სექტორში დაამყარონ კონტროლი. ისინი ე.წ. „კაი ბიჭებს" იყენებენ მხოლოდ ამ ფუნქციების შესასრულებლად, მათაც ხშირ შემთხვევაში „მაყურებლებს" ეძახიან, რომლებიც რაღაც სექტორს აკონტროლებენ. ასეთი სახის „მაყურებლები" განაწილებულნი არიან საცხოვრებელი კორპუსების მიხედვით, საკნებში, სასადილოში, სამედიცინო პუნქტში, საწარმოო ზონაში და საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო პროგრამებში (ამის არსებობის შემთხვევაში). უფრო მეტიც არის პატიმართა კატეგორია, რომლებიც აკონტროლებენ დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენელთა გადაადგილებას, მორიგეობენ ღამე. მათ დეტალურად აქვთ შესწავლილი თანამშრომელთა

152 გ.ლობჟანიძე, გ.ღლონტი, კანონიერი ქურდები საქართველოში, თბილისი, 2004წ. გვ. 146.
153 http://www.internet.ge/?l=GE&m=6&sm=0&ID=12138.
154 გ.ლობჟანიძე, გ.ღლონტი, კანონიერი ქურდები საქართველოში, თბილისი, 2004წ. გვ. 148-153.
155 მ.შალიკაშვილი, კრიმინოლოგია, მეორე გამოცემა, თბილისი, 2011, გვ. 97.
156 მ.შალიკაშვილი, კრიმინოლოგია, მეორე გამოცემა, თბილისი, 2011,, გვ. 97.

მორიგეობის ყველა ცვლა, იციან რომელი თანამშრომლები არიან უფრო ყურადღებიანები, რომლები ნაკლებად. ისინი ასევე ცდილობენ თანამშრომლების ბიოგრაფიის შესწავლას და მათთან კონტაქტზე გასვლას სხვადასხვა გზებით, მათგან რაიმე ტიპის სარგებლის მიღების მიზნით. მაგალითად:

„პატიმართა გარკვეული კატეგორია ცდილობს დაწესებულების თანამშრომელთა ე.წ. „დამუშავებას". პირველ ეტაპზე განსაკუთრებით ახალ თანამშომლებთან ცდილობენ მეგობრული ურთიერთობის აწყობას. ეკითხებიან - რა უბნელი ხარ? სად ცხოვრობ? ამ ადამიანს იცნობ? დ ა.შ. ამით ცდილობენ საერთო ნაცნობის და საერთო შეხების წერტილის პოვნას, რომლის მეშვეობით შეეცდებიან შემდგომში ამ ადამიანზე გავლენის მოხდენას. გავლენის მოხდენის მიზანია აკრძალული ნივთის შემოტანა, ინფორმაციის გადაცემა/მიღება სხვა პირებზე და ა.შ."

„მაყურებლები" მუდმივად აკონტროლებენ, იმყოფება თუ არა დაწესებულების ხელმძღვანელობა დაწესებულებაში. მაგალითად:

„რომელიმე ნახევრად ღია (ზონის) ტიპის დაწესებულებაში შიდა პერიმეტრზე ადმინისტრაციის წარმომადგენლის შესვლისას, პატიმრთა გარკვეული რაოდენობა იწყებს სტვენას, რომელიც ყველა სექტორზე ვრცელდება. ამის მიზანია გააგებინონ პატიმართა უმავლესობას, რომ ადმინისტრაციის წარმომადგენლები შემოვიდნენ ტერიტორიაზე და ყურადღებით უნდა იყვნენ".

„მაყურებელებს განსაზღვრული ყავთ პატიმართა კატეგორია, ვინც თვალყური უნდა ადევნოს დაწესებულების ხელმძღვანელობის გადაადგილებას. ისინი განაწილებულნი არიან პოსტებზე. მაგალითად: საცხოვრებელი ტერიტორიის შემოსასვლელში, სადაც კარგად ჩანს დაწესებულებაში შემომსვლელ პირთა ვინაობა; რომელიმე საკანში, საიდანაც კარგად ჩანს დაწესებულების ტერიტორია და ა.შ."

ფუნქციების ასეთი სახის განაწილების მიზანია დაწესებულების ყველა სექტორში შეინარჩუნონ გავლენა და დაამყარონ თავისებური წესრიგი. დიდი მნიშვნელობა აქვს ამ დროს ადმინისტრაციის პოზიციას. თუ დაწესებულების ადმინისტრაცია ამ პროცესს ხელს არ უწყობს და ცდილობს ხელი შეუშალოს, „მაყურებლები" ვერ ახერხებენ ყველა სექტორზე გავლენის შენარჩუნებას. თუმცა ადმინისტრაციის ძალისხმევის მიუხედავად, ხშირ შემთხვევაში, რთულია დაწესებულების ზოგიერთ სექტორზე ფუნქციების ასეთი განაწილების აღკვეთა. მაგალითად:

„საკნის და კორპუსის მაყურებელი ადმინისტრაციის ხელშეწყობის გარეშეც იარსებებს, რთულია ამის კონტროლი".

„მაყურებლის" ფუნქციას წარმოადგენს დაწესებულებაში ახალი პატიმრის მიღებისას მისი იდენტიფიცირება, თუ რა კატეგორიას წარმოადგენს და შემდგომში მისი განაწილება ფუნქციურად და საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. მაგალითად:

„დაწესებულებაში პატიმრის მიღებისას მაყურებელი თანაშემწეებთან ერთად მას ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ესაუბრება. საუბარი მიმდინარეობს ერთგვარად ჯვარედინი დაკითხვის რეჟიმში, ცდილობენ ამ ადამიანის გატეხვას და მისგან ინფორმაციის მიღებას წარსული პერიოდის განმავლობაში რაიმე სახის არაქურდული საქციელი ხომ არ ჩაუდენია".

უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ „მაყურებლების" არსებობა და მათ მიერ დაწესებულების სხვადასხვა სექტორში კონტროლის დაწესება ძირითადად ადმინისტრაციის პირდაპირი ან ირიბი თანხმობით ხორციელდება. მაგალითად:

„დაწესებულების ადმინისტრაცია ფაქტობრივად ემორჩილება ციხეში არსებულ იერარქიას და ამ იერარქიის მიხედვით ახორციელებს პატიმართა გადანაწილებას საცხოვრებელი სადგომების მიხედვით. პატიმრის სტატუსს იერარქიაში, როგორც აღვნიშნეთ, განსაზღვრავს მაყურებელი. დაწესებულების ადმინისტრაცია თვითონვე ცდილობს პატიმრების კატეგორიების მიხედვით იდენტიფიცირებას მათივე უსაფრთხოების მიზნით, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილებას სტატუსის განსაზღვრის თაობაზე მაყურებლები იღებენ".

ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია, რაც მთავარ „მაყურებელს" აკისრია არის მედიატორის როლი პატიმრებსა და ადმინისტრაციას შორის. პატიმართა ძირითადი ნაწილის თხოვნა და მოთხოვნები ადმინისტრაციას „მაყურებლების" მეშვეობით მიეწოდება. თხოვნების საპასუხოდ „მაყურებელი" ადმინისტრაციას პირდება კონტროლს და წესრიგს დაწესებულებაში, რისი შესაძლებლობაც როგორც აღვნიშნეთ მას გააჩნია. მაგალითად:

„მაყურებლები ადმინისტრაციას პირდებიან, რომ დაწესებულების ადმინისტრაციისათვის ისეთი მნიშვნელოვანი ფუნქციები, როგორიც არის შემოწმება, ჩხრეკა უპრობლემოდ ჩატარდება, დაარეგულირებენ პატიმრებს შორის არსებულ კონფლიქტებს და ა.შ. ამის საფასურად „მაყურებლები"

ხშირ შემთხვევაში გარკვეულ პრივილეგიებს ითხოვენ. პრივილეგია პირველ რიგში გულისხმობს დაწესებულების ტერიტორიაზე თავისუფლად გადაადგილებას (ამას ძირითადად იმით ასაბუთებენ, რომ წესრიგის დასამყარებლად ჭირდებათ), აკრძალული პროდუქტის მიღებას, აკრძალული ნივთებით სარგებლობას და ა.შ".

პატიმართა იერარქია საკმაოდ კარგად აისახება ასევე საკნებში მათ განლაგებაზე. „მაყურებლის" საწოლი, როგორც წესი, არის ფანჯარასთან ახლოს, მაშინ როცა იერარქიაში ყველაზე დაბალი საფეხურზე მყოფი პირის საწოლი იქნება ტუალეტთან („პარაშასთან") ახლოს. უფრო მეტიც არსებობს „მაყურებლების" საკნები, რომლებიც, როგორც წესი, არის გამორჩეული ნივთებით, ავეჯით და მოწყობით (თუ ადმინისტრაცია ამის უფლებას აძლევს). ალბათ ბევრს ახსოვს ორთაჭალაში N5 საპყრობილეში ფაქტობრივად 2005 წლამდე „კანონიერი ქურდების" ცნობილი საკანი 4.9. (ეს იყო საკნის ნომერი). მის გაუქმებამდე ამ საკანში იყო დაგებული ლამინატი, გაკრული იყო შპალერი, პატიმრებს ედგათ მაცივარი და ჰქონდათ სხვადასხვა ნივთები. ეს საკანი შიგნიდან საკნის ასოციაციას ფაქტობრივად არ ტოვებდა.

თუ დავაკვირდებით „,მაყურებლის" ფუნქცია და როლი ემყარება თავის დროზე „ურკებისთვის", „ბლატნოებისთვის", (შემდგომში უკვე „კანონიერი ქურდები") ადმინისტრაციების მიერ ჯერ კიდევ 30-იან წლებში მინიჭებულ ფუნქციებს. მათ ენიჭებოდათ გარკვეული პრივილეგიები (მათ შორის დაწესებულების ტერიტორიაზე თავისუფალი გადაადგილება), დაწესებულებაში სხვადასხვა კატეგორიაზე კონტროლი და ზოგადად წესრიგის დაცვა დაწესებულებაში.

**„მუჟიკები"**[157], **„პატიოსნები"**

ეს არის ალბათ პატიმრების ერთ-ერთი ყველაზე დიდი ფენა ა , რომელიც დაწებულებაში იმყოფება. ეს კატეგორია საკმაოდ პატივისცემით სარგებლობს დაწესებულებაში და მათ ერთგვარი ავტორიტეტიც გააჩნიათ. ისინიარ განეკუთვნებიან ნ ე.წ. „ელიტას" („კაი ბიჭები", „ბლატნოე") და ამის გამო მათ არ აქვთ უფლება ჩაერიონ ქურდული საკითხების გადაწყვეტაში. უნდა აღინიშნოს, რომ „მუჟიკებს" თავის დროზე ეძახდნენ მათ, ვინც გამოსწორების გზაზე დგას, კეთილსინდისიერად მუშაობს და არ შედის დაწესებულების პერსონალთან კონფლიქტში. „მუჟიკები", იგივე „პატიოსნები", როგორც წესი, არ მონაწილეობენ ქურდული საკითხების გადაწყვეტაში, თუმცა ზოგ შემთხვევებში მათ შეიძლება მოუწიოთ „მაყურებლის" მითითების შესრულებაც. დღესდღეობით ამ კატეგორიას ძირითადად „პატიოსნებად" მოიხსენიებენ.

**„ხარები", „პეხოტა"**

ეს არის კატეგორია, რომლებიც შეიძლება ითქვას სანქციების პირდაპირი შემსრულებლები არიან. მათ ასევე ჯარისკაცებსაც უწოდებენ. ამ კატეგორიაში შეიძლება „კაი ბიჭებიც" იყვნენ და ასევე ქვედა ფენის წარმომადგენლებიც. ქვედა ფენას („კოზლები", „ბოზები", „ნაბოზვრები", „ქათმები") ხშირ შემთხვევაში შავი სამუშაოს შესასრულებლად იყენებენ. მაგალითად:

„პეხოტას შეიძლება მიეცეს მითითება ადმინისტრაციის წარმოადგენელს ფიზიკური ან სიტყვიერი შეურაცხოფა მიაყენონ, დააზიანონ რაღაც ნივთები, დაამზადონ აკრძალული ნივთები და ა.შ".

„პატიოსნების" გამოყენება ასეთი სახის სამუშაოს შესასრულებლად, როგორც წესი, რთულია, კონკრეტულ პიროვნებებზეა დამოკიდებული. თუმცა ხაზი უნდა გავუსვათ, რომ „ქურდული სანქციები" მხოლოდ „კაი ბიჭმა", „ბლატნოემ" შეიძლება აღასრულოს. ტერმინი „ხარები" ქართულ სინამდვილეში ფაქტობრივად აღარ გამოიყენება.

**„კოზლები"**[158], **„აპუშენი"**[159], **„ბოზები"**, **„ნაბოზვრები"**, **„გაქცეულები"**, **გადაკეტილები**"

ეს ტერმინები უმეტეს შემთხვევაში ერთმანეთის სინონიმებია. ეს არის ერთ-ერთი ყველაზე დაბალი ფენა პატიმრებისა. ეს არის კატეგორია, ვინც მხილებულია სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობაში, ვინც ვერ გადაიხადა წაგებული თანხა (ე.წ. „თავანი"), ყოფილი „კაი ბიჭები" და „პატიოსნები", რომლებმაც დაარღვიეს „ქურდული კანონები" და იერარქიის ქვედა საფეხურზე გადაინაცვლეს. ამ კატეგორიის ადამიანები ხშირ შემთხვევაში არიან იზოლირებული მათივე უსაფრთხოების მიზნით. მათ ე.წ. ქურდულ საკითხებში ჩარევის უფლება არ აქვთ, უფრო მეტიც, ისინი ვალდებულნი არიან შეასრულონ „მაყურებლის" მითითება (თუ იზოლირებული არ არიან და მაყურებლებს ხელი მიუწვდებათ), წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება მკაცრად დაისაჯონ. მაგალითად:

[157] მ.შალიკაშვილი, კრიმინოლოგია, მეორე გამოცემა, თბილისი, 2011, გვ. 97.
[158] მ.შალიკაშვილი, კრიმინოლოგია, მეორე გამოცემა, თბილისი, 2011, გვ. 97-98.
[159] იქვე, გვ. 98.

„2012 წელს ერთ-ერთ პენიტენციურ დაწესებულებაში პატიმრებმა გადაწყვიტეს გამოეხატათ პროტესტი დაწესებულების ადმინისტრაციის მიმართ. მიზეზი იყო, რომ ადმინისტრაცია არ ასრულებდა მათ გარკვეულ მოთხოვნებს. პროტესტის გამოხატვის მიზნით, მათ გამოიყენეს პატიმართა ზემოაღნიშნული კატეგორია. ამ პატიმრებმა სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს დაწესებულების თანამშრომლებს, არღვევდნენ სხვადასხვა ფორმით დაწესებულების რეჟიმს და არ ასრულებდნენ თანამშრომელთა კანონიერ მითითებებს. ამის პარალელურად „მაყურებლები" მშვიდად ადევნებდნენ თვალყურს მიმდინარე პროცესს და თვითონ ამ პროცესში არანაირ მონაწილეობას არ იღებდნენ".

ამ კატეგორიას „მაყურებლები" და „კაი ბიჭები" იყენებენ ე.წ. „შესტიორკებად"[160], „შნირებად" (ტერმინი, პატიმრების კატეგორიისა, როცა ზედა ფენის ყველა მითითებას ასრულებენ.) მათთეორიულად აქვთ შესაძლებლობა დაკარგული სტატუსი აღიდგინონ, ისევ გახდნენ „კაი ბიჭები", „პატიოსნები". მაგალითად:

„კაი ბიჭებს, პატიოსნებს უფლება აქვთ რომელიმე ავტორიტეტულ მაყურებელთან ან კანონიერ ქურდთან დააყენონ საკითხი, რომ მათი დაქვეითება არასწორი იყო. მათ ეს უნდა დაასაბუთონ. სტატუსის აღდგენის შემთხვევაში, ის პირები, ვინც მათ სტატუსი არასწორად განუსაზღვრა ისჯებიან ანალოგიური წესით, სტატუსში დაქვეითებით. თუმცა ე.წ. „ქათმებს" სტატუსის აღდგენის თეორიული შანსიც კი არ აქვთ".

ტერმინი „კოზლები" და „აპუშენი" დღევანდელ სინამდვილეში ხშირად აღარ გამოიყენება.

**მუშა პატიმრები, „აბსლუგა"**

ეს არის პატიმართა კატეგორია, რომლებიც მუშაობენ დაწესებულების სამეურნეო მომსახურეობაში.. მაგალითად, საჭმლის დარიგება, დაწესებულების დასუფთავება და ა.შ. მათ ამისთვის ადმინისტრაციის მხრიდან გარკვეული პრივილეგიები ენიჭებათ. დღესდღეობით ისინი მცირე ხელფასსაც იღებენ.. მუშა პატიმარი, როგორც წესი, არის ნებისმიერი კატეგორიის პირი, გარდა „მაყურებლების", „კაი ბიჭებისა". თუმცა ასევე არის სამუშაოს ფორმა, მაგალითად ტუალეტის დალაგება, რომელსაც, როგორც წესი, მხოლოდ იერარქიაში ქვედა საფეხურზე მყოფი პატიმრები ე.წ „ქათმები".ასრულებენ.

**„პიდარასტები", „ქათმები"**

ეს არის ციხის იერარქიაში ყველაზე დაბალი და უუფლებო ფენა. დღესდღეობით ამ კატეგორიას ძირითადად მოიხსენიებენ „ქათმებად". ამ კატეგორიში შეიძლება მოხვდეს:

1. თუ პირი არის ჰომოსექსუალი;
2. თუ პირის მიმართ განხორციელდა სექსუალური ძალადობის იძულებითი ან სიმბოლური აქტი. ეს მეთოდი ხშირად გამოიყენება პატიმართა ე.წ. „გასაფუჭებლად". მიუხედავად იმისა, რომ ეს პირის ნების საწინააღმდეგოდ ხდება და შეიძლება მოძალადეც დაისაჯოს, თუნდაც იმავე კატეგორიაში გადაყვანით, ასეთი აქტის შემდეგ პირი ასეთი სტატუსის მატარებელი ხდება ავტომატურად;
3. გაუპატიურებისთვის მსჯავრდებული პატიმრები. საინტერესოა რომ ამ მიმართულებით შიდა წესები ხშირად იცვლება. დღესდღეობით ფაქტობრივად სრულწლოვანი ქალის გაუპატიურება აღარ იწვევს ამ კატეგორიაში გადაყვანას. თუმცა არასრულწლოვანი გოგოს ან ბიჭის გაუპატიურება ისჯება ე.წ. „ქათმების" კატეგორიაში გადაყვანით.

ხშირი არის შემთხვევები, როცა „ქათმების" კატეგორიაში ხვდებიან სრულიად გაუგებარი და უაზრო მიზეზებით. მაგალითად: „შხაპის მიღების დროს შემთხვევით ხელი მოუხვდა სხვის პატიმრის სასქესო ორგანოზე" , „ან შეხედა სასქესო ორგანოს" და ა.შ.

პრაქტიკაში იყო შემთხვევა, როცა „მაყურებლები" ცდილობდნენ დაკავშირებოდნენ კრიმინალურ ავტორიტეტებს, „კანონიერ ქურდებს" და მიეღოთ უფრო კომპეტენტური პასუხი ისეთ საკითხზე, რომელიც სასაცილო და აბსურდულად შეიძლება მოგვეჩვენოს, თუმცა საინტერესო დასკვნის საშუალებას მოგვცემს:

*ერთ-ერთ პენიტენციურ დაწესებულებაში იყო პატარა აუზი რომელიც ორი ნაწილისგან შედგებოდა (პატარა შადრევანთან ერთად არსებობდა და არ იყო თავდაპირველად საბანაოდ განსაზღვრული). ერთ ნაწილში ბანაობდნენ „კაი ბიჭები" და „პატიოსნები", ზოგადად ზედა ფენა, ხოლო მეორე ნაწილში ე.წ. „ქათმები". ამ ბანაობის დროს ხანდახან აუზის ერთი ნაწილიდან მეორეში წვეთები ისხმებოდა. საკითხი, რომლის გარკვევასაც „მაყურებლები" ცდილობდნენ (თვითონ არ ჰქონდათ ამ კითხვაზე პასუხი) იყო შემდეგი: - იმ შემთხვევაში, თუ აუზის იმ ნაწილიდან, სადაც „ქათმები" ბანაობენ*

160 მ.შალიკაშვილი, კრიმინოლოგია, მეორე გამოცემა, თბილისი, 2011, გვ. 97.

*გადმოისხმება წვეთები აუზის მეორე ნაწილში, ეს ხომ არ შეიძლებოდა გამხდარიყო „კაი ბიჭების" ე.წ „გაქათმების" მიზეზი".*

ე.წ. „ქათმებს", როგორც წესი იყენებენ ე.წ. „შნირებად", ალაგებინებენ საკნებს, არეცხინებენ ჭურჭელს. ისინი აუცილებლად ცალკე საკანში ცხოვრობენ, რომელსაც „საქათმეს" უწოდებენ. სხვა კატეგორიის პატიმრებს, როგორც წესი, ამ საკანში შესვლა ეკრძალებათ. თუმცა ზოგიერთ დაწესებულებაში ფიქსირდება ფაქტები, რომ ამ საკანში მცირე ხნით შესვლა აღარ წარმოადგენს „ქურდული კანონის" დარღვევას, მაშინ როცა ადრე ასეთ საკანში ფეხის დადგმაც კი ავტომატურ „გაქათმებას" იწვევდა. მაგალითად:

*„არასრულწლოვანთა დაწესებულებაში ქათმების საკანში ჩვეულებრივ შედიან სხვა კატეგორიის პატიმრები. ერთადერთი პირობა ამ საკანში შესვლის არის, ის რომ დიდხანს ამ საკანში არ უნდა გაჩერდნენ და საკნის კარები არ უნდა ჩაკეტონ".*

სხვა კატეგორიის პატიმრებს ეკრძალებათ „ქათმებთან" ახლო კონტაქტი - ხელის ჩამორთმევა, მათთან ერთად ჭამა და თამაში. მაგალითად:

*„პენიტენციურ დაწესებულებებში არსებულ სასადილოებში სადილის დროს, უმეტეს შემთხვევაში „ქათმები" არ იმყოფებიან. ისინი, როგორც წესი, სადილობენ ამავე სასადილოში სხვა პერიოდში ან უშუალოდ საკნებში. არის დაწესებულებები, სადაც ქათმების ადგილი ცალკე არის გამოყოფილი სასადილოში, კუთხეში და იქ სადილობენ. თუმცა ეს არის იშვიათი გამონაკლისი".*

სამწუხაროდ დაწესებულებების პერსონალი ხშირ შემთხვევაში თვითონ უწყობს ხელს ე.წ „ქათმების" დისკრიმინაციას. მაგალითად:

*„უმეტეს შემთხვევაში, სხვა პატიმრების მსგავსად, დაწესებულების პერსონალი თვითონაც არ ართმევს ხელს ე.წ. „ქათმებს"და მათთან ახლო კონტაქტს ერიდება".*

„ქათმებს" „მაყურებლები" ასევე ხშირად იყენებენ აკრძალული ნივთების დასამზადებლად. მაგალითად:

*„2012 წელს ერთ-ერთ პენიტენციურ დაწესებულებში მოხდა პატიმრების ამბოხი, ე.წ. „ბუნტი". „ბუნტის" აღკვეთის შემდეგ დაწესებულების ადმინისტრაციამ ჩხრეკის შედეგად ამოიღო დიდი ოდენობით კუსტარულად დამზადებული ბასრი და მჭხვლეტავი ნივთები, ე.წ. „შტირები", რომლებიც როგორც შემდგომ აღმოჩნდა დამზადებული იყო ძირითადად „ქათმების" მიერ, „მაყურებლის" მითითებით".*

წარსულში ასევე არსებობდა პატიმართა კატეგორია, რომლებსაც „**მეხამრიდები**" ეწოდებოდათ. ისინი „კანონიერ ქურდებს", ავტორიტეტებს იურიდიული კუთხით იცავდნენ, დანაშაულის თავის თავზე აღებით. ესეთი ტერმინი ჩვენ ფაქტობრივად აღარ გვხვდება, თუმცა ფიქსირდება სხვადასხვა კატეგორიის პატიმრების მიერ დანაშაულის თავის თავზე აღების ფაქტები.

არსებობს ასევე უქონელი პატიმრების მიმართ ზრუნვის შემთხვევები, მათ აძლევენ ტანსაცმელს, ჰიგიენურ საშუალებებს და ა.შ. ასეთი კატეგორიის პატიმრებს „**ბედალაგებს**" ეძახიან. თუმცა ესეთი შემთხვევები არ არის ხშირი.

საერთო ჯამში პენიტენციურ სისტემაში დღესდღეობით მოქმედი იერარქია და ამ იერარქიაში არსებული ტერმინები შეიძლება შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ:

1. **კანონიერი ქურდები;**
2. **მაყურებლები;**
3. **კაი ბიჭები;**
4. **პატიოსნები;**
5. **მუშა პატიმრები;**
6. **ბოზები, ნაბოზვრები;**
7. **ქათმები.**

### საერთო კრება, „სხოდკა"

ქურდულ სამყაროში ერთგვარ მაორგანიზებელ და ხელმძღვანელ რგოლად ითვლება ქურდების შეკრება („სხოდკა")[161]. უნდა აღინიშნოს, რომ გადაწყვეტილებების მიღება ერთგვარად დემოკრატიულ

[161] გ.ლობჟანიძე, გ.ღლონტი, კანონიერი ქურდები საქართველოში, თბილისი, 2004წ. გვ. 130-136.

პრინციპებზე არის აგებული და ხორციელდება საერთო მსჯელობის და დისკუსიის შედეგად. ამ შეკრების მოწვევა შესაძლებელია, ნებისმიერი „კანონიერი ქურდის“ მოთხოვნით გაიმართოს. „სხოდკაზე“, როგორც წესი, განიხილება სხვადასხვა მნიშვნელოვანი საკითხები - ე.წ „ქურდული პოლიტიკის“ შემუშავება, „ქურდულ კანონებში“ ცვლილებები, „კანონიერ ქურდად“ ვინმეს კურთხევა, გავლენის სფეროების გადანაწილება, სადამსჯელო აქციების შესახებ გადაწყვეტილების მიღება, ვალების გადაუხდელობის შესახებ არსებული საკითხები (საწარმოებიდან, ბიზნეს სექტორიდან) და ა.შ. ეს არის ქურდულ სამყაროში ერთგვარად უმაღლესი ორგანო.

„საერთო კრების“ ჩატარების დრო და რეგულარულობა არის ყოველთვის მკაცრად კონფიდენციალური, თუმცა არსებობს უამრავი შემთხვევა, როდესაც მსგავსი ტიპის შეკრებები მონაწილეთა დაპატიმრებებით მთავრდება. მაგალითად:

*„1995 წელს სოჭში შსს-ს თანამშრომლებმა ჩაშალეს საერთაშორისო შეკრება, რომელიც ქალაქის სასაფლაოზე ტარდებოდა. ოპერაციის შედეგად დააკავეს დაახლოებით 500 ავტორიტეტი და „ბოევიკი“, აქედან დაახლეობით 60 „კანონიერი ქურდი“ იყო. ამ შეკრებაში მონაწილეობდნენ ქურდები აშშ-დან, საბერძნეთიდან და სხვა ქვეყნებიდან. დაკავებულთა შორის აღმოჩნდა ასევე, კრასნოდარის მხარის პროკურორის თანაშემწე, თავისუფლების აღკვეთის ადგილებში ზედამხედველობის დარგში“.*

*„80-90-იან წლებში, როცა ქურდულ სამყაროს მოქმედებისთვის ყველაზე ხელსაყრელი პერიოდი იყო, არსებული მონაცემებით[162], სხვადასხვა პერიოდში ჩატარდა დიდი რაოდენობის შეხვედრები, კერძოდ, 1989-92 წლებში - 26 შეკრება, 1993 წელს - დაახლოებით - 100, 1994 წელს - არანაკლებ 413“.*

პენიტენციურ სისტემაში „სხოდკის“ ჩატარება უფრო ბევრ სირთულეებთან არის დაკავშირებული. ამას ძირითადად განაპირობებს კონკრეტულ დაწესებულებაში არსებული რეჟიმი და ზედამხედველობის სისტემა. საქართველოში 2003 წლის შემდეგ სახელმწიფოს მიერ გატარებული პოლიტიკის შედეგად, პენიტენციურ სისტემაში „კანონიერი ქურდების“ მიერ „სხოდკის“ ჩატარების ფაქტები ფაქტობრივად აღარ დაფიქსირებულა. თუმცა გამონაკლისს წარმოადგენს ის დაწესებულება, სადაც დღესდღეობით „კანონიერი ქურდები“ არიან კომპაქტურად განთავსებულნი (თბილისის N7 დაწესებულება). შესაძლებელია მსგავსი ტიპის შეკრებები ტარდებოდეს, თუმცა აქ მიღებულ გადაწყვეტილებებს ვერ ექნებათ ისეთი ძალა, როგორც საერთაშორისო შეკრებების დროს მიღებულ გადაწყვეტილებებს. ასეთი სახის შეკრებებზე ძირითადად გადაწყვეტილება მიიღება პენიტენციურ სისტემის შიგნით მოქმედებასთან დაკავშირებულ საკითხებზე .

როგორც წესი, ყველა „სხოდკის“ მერე იწერება მიმართვა („ქსივა“, „მალიავა“[163]), რომელშიც იწერება მიღებული გადაწყვეტილებების შინაარსი და რეკომენდაციები პატიმრების სხვადასხვა კატეგორიის მიმართ. „ქსივის“ გავრცელებას დაწესებულებებში სხვადასხვა მეთოდებით ცდილობენ. შესაძლებელია ასევე „ქსივის“, „მალიავას“ მეშვეობით ან ზეპირი მითითებით ე.წ. „პრაგონის[164]“ გაშვება. მაგალითად:

*„2013 წელს პენიტენციური სისტემის მაყურებლების მიერ, „კანონიერ ქურდებთან“ შეთანხმების საფუძველზე, დაწესებულებებში გაშვებულ იქნა პრაგონი. ამ პრაგონის მიხედვით ნებისმიერი „კაი ბიჭი“, „ბლატნოე“ ვალდებული იყო მოეკლა ვინმე პატიმარი X. ამ პრაგონის მიზეზი, მათი განმარტებით იყო პატიმარ X-ს მიერ წლების განმალობაში არაქურდული საქციელი და „კაი ბიჭების“ და „ბლატნოების“ უპატივცემულობა“.*

როგორც უკვე აღვნიშნეთ, დღესდღეობით „კანონიერი ქურდები“ ძირითადად აღარ არიან პენიტენციურ დაწესებულებებში და მათ ფუნქციებს, გარკვეულწილად ადგილებზე „მაყურებლები“ ითავსებენ. ამიტომ დღესდღეობით ჩვენ გვხვდება შემთხვევები, როცა პატარა „სხოდკები“ ტარდება დაწესებულებებში „მაყურებლის“ ორგანიზებით. ამ „სხოდკებზე“ მიიღება გადაწყვეტილებები უშუალოდ დაწესებულებაში გასატარებელი „პოლიტიკის“ შესახებ. კერძოდ - ურთიერთობა ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, მათთან კორუფციულ გარიგებებში შესვლა; ადმინისტრაციაზე ზემოქმედების ღონისძიებები, რომ გარკვეულ დათმობებზე წაიყვანონ; ე.წ. „ობშიაკის“სხვადასხვა ფორმით ამოღების საკითხები (მოგვიანებით შევეხებით ამ საკითხს); პატიმრების მიმართ სხვადასხვა სანქციების გამოყენების და მათი სტატუსის შეცვლასთან დაკავშირებული საკითხები და ა.შ. შეგვიძლია მოვიყვანოთ ადმინისტრაციაზე ზეწოლის მაგალითი უახლესი პერიოდიდან:

*„2014 წლის დასაწყისში ცვლილება მოხდა ერთ-ერთი პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაციაში. ახალი ადმინისტრაცია შეეცადა გაეუქმებინა პატიმრებითვის ყველა ის უკანონო შეღავათი, რის უფლებასაც წინა ადმინისტრაცია აძლევდა (აკრძალულ ნივთებზე და პროდუქტებზე*

[162] იქვე, გვ. 131.
[163] ქსივა, მალიავა - ქაღალდზე ან რაიმე ნივთზე დაწერილი ინფორმაცია.
[164] პრაგონი - ინფორმაციის გავრცელება პატიმართა ძირითად მასაში, სადაც შესაძლებელია იყოს მითითება გარკვეული სახის მოქმედების მოწოდებისკენ.

*ხელმისაწვდომობა, გარკვეული შეღავათები ავტორიტეტების მიმართ და ა.შ.). დაწესებულებაში განთავსებულმა ავტორიტეტებმა გადაწყვიტეს ახალი ადმინისტრაციის ჩამოშორება და გარკვეული გეგმა შეიმუშავეს ადმინისტრაციის მიმართ - დაიგეგმა და განხორციელდა გარკვეული პროვოკაციები, ადმინისტრაციის წარმოამდგენლების წინააღმდეგ და შემდგომში მათ ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ძალადობაში დასდეს ბრალი; 1000-მდე პატიმარმა (უდაოდ მაყურებლების მითითებით და „სხოდკაზე" მიღებული გადაწყვეტილებით) დაიწყო შიმშილობა ადმინისტრაციის შეცვლის მოთხოვნით, მათი მხრიდან არასათანადო მოპყრობის მიზეზით; პატიმრების ნაწილი დაუკავშირდა საზოგადოებაში სხვადასხვა უფლებადამცველებს და მათ დაწესებულებაში არსებული ვითარების მათ მიერ შეთხზული ვერსია შესთავაზეს".*

მხოლოდ ეს ფაქტი გვაძლევს დასკვნის საფუძველს, თუ რა დონის ორგანიზებულობის უნარი გააჩნია დღეს არსებული კრიმინალური სუბკულტურის გამო, პატიმრების გარკვეულ ჯგუფს პენიტენციურ დაწესებულებებში , როგორ ცდილობენ ისინი გავლენა მოახდინონ საზოგადოებრივ აზრზე და რა მეთოდების გამოყენება შეუძლიათ. ადმინისტრაციაზე ზეწოლის მეთოდებს შორის ასევე გვხვდება ჯგუფური „თვითდაზიანებები" პატიმრების მხრიდან.

პატიმართა უმრავლესობა ვალდებულია „მაყურებლების" მიერ მიღებული გადაწყვეტილებები აღასრულოს. მათ უმეტეს შემთხვევაში არ აქვთ არჩევანი და იძულებულნი არიან, მსგავსი ნაბიჯები გადადგან. ამის მიზეზი არის ის, რომ ადმინისტრაცია ვერ უზრუნველყოფს პატიმრების უმეტესობის უსაფრთხოების დაცვას, თუ ისინი კრიმინალური ავტორიტეტების ნების საწინააღმდეგოდ წავლენ. პატიმრებს სამწუხაროდ არ აქვთ დაცულობის განცდა.

როგორც წესი, პენიტენციურ დაწესებულებებში, „სხოდკებს" ესწრებიან მხოლოდ „კაი ბიჭები", „ბლატნოები", ხოლო ხშირ შემთხვევაში, მხოლოდ მთავარ და სხვადასხვა სექტორებში განაწილებული „მაყურებლები". ამ „სხოდკებზე" ვერ მიიღება გადაწყვეტილებები საერთო „ქურდულ კანონებში" ცვლილებებთან დაკავშირებით, მათ არ აქვთ ამის უფლებამოსილება, მხოლოდ ადგილობრივი ხასიათის გადაწყვეტილებები.

საინტერესოა დეტალურად შევეხოთ „სხოდკის" ჩატარების დღეს არსებულ პროცედურებს პენიტენციურ სისტემაში - *„სხოდკის დაწყებამდე მაყურებელი თვითონ ან მისი თანაშემწეების მეშვეობით დაიძახებს - სხოდკაა!!!. ყველა პირი ვინც იცის, რომ უნდა მიიღოს მონაწილეობა დაუყონებლივ მიემართება იმ საკნისკენ ან კონკრეტული ადგილისკენ დაწესებულებაში, რომელიც, როგორც წესი, წინასწარ არის განსაზღვრული სხოდკის ჩასატარებლად. სხოდკის ჩატარების უსაფრთხოებაზე შემუშავებულია დაცვის სხვადასხვა დონიანი სისტემა. მაგალითად, თუ სხოდკა ტარდება საცხოვრებელი კორპუსის მეორე სართულზე ერთ-ერთ საკანში, დაცვა იქნება დაყენებული საცხოვრებელი კორპუსის შესასვლელში, მეორე სართულის შესასველელში და საკნის შესასვლელთან, სადაც სხოდკა იმართება. დამცველები ვალდებული არიან დაწესებულების ადმინისტრაციის გადაადგილება სხოდკის ჩატარების ადგილის მიმართულებით დაუყონებლივ გააგებინონ მაყურებელს. უფრო მეტიც, განსაკუთრებით ის პატიმრები, ვინც კონკრეტულად საკანს იცავენ, სადაც „სხოდკა" ტარდება, ვალდებული არიან არ შეუშვან საკანში დაწესებულების პერსონალი, სანამ ამის თაობაზე არ გააფრთხილებს მაყურებელს. საჭიროების შემთხვევაში ისინი გაუწევენ ფიზიკურ წინააღმდეგობასაც. დამცველებად შეიძლება გამოიყენონ ნებისმიერი კატეგორიის პატიმრები, ქათმების გარდა".*

**ქურდული საერთო, „ობშიაკი"**

„ქურდული კანონების" ჩამოყალიბების საწყის ეტაპზე საერთო სალაროს დაწესება კეთილშობილურ მიზანს ისახავდა - დახმარების გაწევა სხვა პატიმრებისთვის და მათი ოჯახებისთვის. თუმცა როგორც ყველა სხვა წესში ამ ნაწილშიც განხორცილდა ცვლილებები.

როგორც უკვე აღვნიშნეთ კრიმინალური სუბკულტურის ფორმირების საწყის ეტაპზე საერთო სალაროში თანხა შექონდათ მხოლოდ „კანონიერ ქურდებს". პირველად ცვლილება განხორციელდა 40-50-იან წლებში, როცა „ობშიაკი" ვეღარ აკმაყოფილებდა „კანონიერი ქურდების" მოთხოვნებს და დაიწყეს სხვა პატიმრებისგან თანხების ამოღება[165]. ეს შემდგომში ჩვეულებრივ ნორმად იქცა და დღესაც მოქმედებს.

ჩრდილოვანი ეკონომიკის ჩამოყალიბების შემდეგ, „კანონიერი ქურდები" შედიან გარიგებაში ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებთან და მათგან იღებენ საერთო შემოსავლის 10 %-ს[166], რომელიც ქურდული „ობშიაკის" შევსების ერთ-ერთი წყარო ხდება. შემდეგ ეტაპზე „კანონიერი ქურდები" იყენებენ რეკეტს, ძალადობას და სხვა სახის მეთოდებს თანხის ამოსაღებად, „ობშიაკის" შესავსებად.

სხვადასხვა წყაროებში არის მონაცემები, რომ არსებობს ერთიანი დიდი სალარო, რომელიც ასეულობით მილიონობით განისაზღვრება. მისი დანიშნულებაა[167]:

[165] გ.ლობჟანიძე, გ.ღლონტი, კანონიერი ქურდები საქართველოში, თბილისი, 2004წ. გვ. 48.
[166] იქვე, გვ. 67.
[167] იქვე, გვ. 139.

- ქურდების, ავტორიტეტების, მათი ოჯახების დახმარება;
- სხვა პატიმრების, მათი ოჯახების დახმარება;
- დანაშაულებრივი ბიზნესის შემდგომი გაფართოება;
- სამართალდამცავი ორგანოების და სახელმწიფო ჩინოვნიკების მოსყიდვა;
- დანაშაულებრივი ბიზნესის ლეგალიზაცია;
- პროპაგანდისტურ-ფსიქოლოგიური ფუნქციების შესრულება;
- პენიტენციური დაწესებულებების ადმინისტრაციებისთის წინააღმდეგობის გაწევა.

„ობშიაკი"თავდაპირველად იყო ორი სახის, საბანაკო და თავისუფალი[168].

თავისუფალი „ობშიაკი" არის იმ სახით, რა სახითაც საბოლოოდ ჩამოყალიბდა და ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი.

კონკრეტულად საბანაკო ანუ ზონის ობშიაკი ემსახურებოდა შემდეგ მიზანს: ადმინისტრაციის მოსყიდვა; კარცერის და იზოლატორის მხარდაჭერა; სიკვდილმისჯილების, შემდგომში უვადო, თავისუფლებააღკვეთილი პატიმრების მხარდაჭერა; სპირტიანი სასმელები და ნარკოტიკების შეძენა; თანხის დიდი ნაწილი ხმარდებოდა ასევე კრიმინალური ავტორიტეტების პირად ხარჯებს.

არსებობდა ადგილობრივი სალარო, ე.წ. „შნიფტი", სადაც გროვდებოდა სიგარეტი, ჩაი, პროდუქტი, ჰიგიენური საშუალებები და ა.შ.

საერთო სალარო ე.წ. "ქურდული გაგებით" წმინდა ადგილად ითვლება, რომელსაც ღირსეული ადამიანები იცავდნენ. მათ „მესაჭეებს" უწოდებდნენ. ამჟამად ამ ფუნქციას „მაყურებლები" ასრულებენ. „მესაჭეები" საერთო სალაროში შემდეგნაირად იყვნენ განაწილებულნი[169]:

1. საერთო სალაროს თავი;
2. პასუხიმგებელი საყოფაცხოვრებო პირობებზე, საცხოვრებელ ზონებზე;
3. პასუხიმგებელი საწარმოო ზონაზე;
4. პასუხიმგებელი იზოლატორზე, კარცერზე;
5. პასუხიმგებელი სამედიცინო ნაწილზე.

ე.წ. „მესაჭეების" ფუნქცია იყო არამარტო „ობშიაკისთვის" თანხების შეგროვება, არამედ წესრიგის უზრუნველყოფა იმ სექტორებზე, სადაც იყვნენ განაწილებულნი.

ეს სტრუქტურა ფაქტობრივად დღესაც არსებობს ცოტა შეცვლილი სახით. ამ ფუნქციას ასრულებს მთავარი „მაყურებელი" და სხვადასხვა სექტორზე განაწილებული „მაყურებლები". მათ დღესდღეობით უფრო კონტროლის და წესრიგის უზრუნველყოფის ფუნქცია აქვთ, ვიდრე კონკრეტულად „ობშიაკის" შეგროვების.

საერთო სალაროში გროვდებოდა თანხები, ბანქოში მოგებული თანხებიდან. ფაქტობრივად 2005 წლამდე საქართველოს პენიტენციურ დაწესებულებებში არსებობდა ბანქოს თამაშის, ე.წ. იძულებითი „კრუგები". მაგლითად:

„სხვადასხვა საკნებში განთავსებული პატიმრების უმეტესობა, ვალდებულნი იყვნენ, გარკვეული პერიოდულობით (მაგ. იყო თვეში ერთხელ) ეთამაშათ ბანქო, სადაც იყო განსაზღვრული სავალდებულო მინიმალური შენატანი. წაგებული თანხა მთლიანად მიდიდოდა „ობშიაკში".

2000-იანი წლების მერე განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, დაწესებულებაში ბანქოს ქონა ისჯება სისხლისსამართლებრივი წესით. ამ ცვლილებებმა შემდგომში ფაქტობრივად აღკვეთა დაწესებულებებში ბანქოს თამაშის ე.წ. იძულებითი „კრუგები". თუმცა კონტროლის სისტემის მოდუნების შემთხვევაში, მსგავსი ფაქტები შესაძლებელია კიდევ დაფიქსირედეს.

ბოლო პერიოდამდე დაწესებულებებში გროვდებოდა ორი სახის „ობშიაკი". ქურდული „ობშიაკი" და ადმინისტრაციის „ობშიაკი". ადმინისტრაციის „ობშიაკი" ხმარდებოდა ადმინისტრაციის მოსყიდვას და შეიძლება ითქვას ამ თანხის ამოღება ადმინისტრაციის ხელშეწყობითაც ხდებოდა.

როგორც აღვნიშნეთ საკნების მიხედვით „ობშიაკის" შეგროვებას ახორციელებენ საკნის და კორპუსის „მაყურებლები". „მაყურებლებს" როგორც წესი, აქვთ ე.წ. „ტყავი", სადაც აღირიცხება მონაცემები, თითოეული პატიმრის მიერ შენატანის ოდენობის და პიროვნების მითითებით. „ტყავის" დაცვა არის

[168] , გ.ლობჟანიძე, გ.ღლონტი, კანონიერი ქურდები საქართველოში, თბილისი, 2004წ. გვ. 136-140.
[169] გ.ლობჟანიძე, გ.ღლონტი, კანონიერი ქურდები საქართველოში, თბილისი, 2004წ. ,გვ. 139.

„მაყურებლის“ ერთ-ერთი მთავარი მოვალეობა. მისი დაკარგვის შემთხვევაში ან თუ „ტყავი“ ჩაუვარდება დაწესებულების ადმინისტრაციას, „მაყურებელი“ მკაცრად ისჯება. იგი ავტომატურად ქვეითდება იერარქიაში და გადადის ქვედა ფენაში (ძირითადად „ბოზებში“, „ნაბოზვრებში“). მის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნას სანქცია - „ხელების (ფეხების) დამტვრევა“ და უკიდურეს შემთხვევაში „სიკვდილიც“ კი. ფატობრივად „მაყურებელი“ ვალდებული არის დაიცვას „ტყავი“ სიცოცხლის ფასადაც კი.

„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ სახელმწიფოს მიერ გადადგმული ნაბიჯების გამო, მინიმუმამდე დავიდა დაწესებულებებში ფულადი სახით „ობშიაკის“ აკრეფის შემთხვევები. ამას ასევე შეუწყო ხელი იმ ფაქტმა, რომ ფულის კუპიურების ქონა დაწესებულებაში სისხლისსამართლებრივი წესით ისჯება. პატიმრები დაწესებულებებში არსებულ მაღაზიებში, პროდუქტების შეძენას უნაღდო ანგარიშსწორებით ახორციელებენ.

მიუხედავად განხორციელებული ცვლილებებისა, ფიქსირდება „ობშიაკის“ სხვადასხვა ფორმით შეგროვების ფაქტები. ფულის მიმოქცევის არქონის გამო, დაწესებულებებში დღესდღეობით ვალუტად იყენებენ, მაგალითად, ტელეფონის სასაუბრო ბარათებს, სიგარეტს, ჩაის, კვების პროდუქტებს, ჰიგიენურ საშუალებებს და ა.შ.

დღესდღეობით დაწესებულებების უმავლესობაში არის პრაქტიკა, რომ (განსაკუთრებით ნახევრად ღია ტიპის დაწესებულებებში), მაყურებლების მიერ გროვდება სიგარეტი, ჩაი, ჰიგენური საშუალებები და სხვა სახის პროდუქტები. ზოგადად ტაქტიკური თვალსაზრისით ამას თვითონაც აღარ უწოდებენ ხშირ შემთხვევაში „ობშიაკს“, თუმცა თავისი შინაარსით ფაქტობრივად არაფრით არ განსხვავდება „ობშიაკის“ პირვანდელი ფორმისაგან. მაგალითად:

„ძირითადად ნახევრად ღია ტიპის დაწესებულებებში „მაყურებლებს“ შემუშავებული აქვთ სხვადასხვა სახის პროდუქტების შეგროვების სისტემა. მაგალითად, კვირაში ერთხელ თითოეული საკანი ვალდებულია საერთოში (იგივე ობშიაკი) შეიტანოს 5 ბლოკი სიგარეტი, 10 კოლოფი ჩაი, 20 ცალი 5 ლარიანი სატელეფონო სასაუბრო ბარათები და ა.შ. ეს ნივთები, როგორც წესი, თავს იყრის მაყურებლის საკანში. ხდება საკნების და პიროვნებების მიხედვით შენატანების აღრიცხვა („ტყავი“). საკნებიდან ამ ნივთების ამოღებაზე პასუხიმგებლები არიან საკნის მაყურებლები, რომლებიც მთავარი მაყურებლის მიერ არიან დანიშნული“.

**ჟარგონი**

ჟარგონი შეიძლება მივიჩნიოთ როგორც კანონზომიერი მოვლენა, რომელიც ასახავს კრიმინალური სუბკულტურის სპეციფიკას. ჟარგონის შექმნის ძირითადი მიზეზი, შეტყობინების დაშიფვრა იყო. მის ერთ-ერთ ფუნქციას წარმოადგენდა, ასევე სამართალდამცავი ორგანოების მიერ მიგზავნილი პირების გამოვლენა[170].

ქურდულ ჟარგონებში უამრავი ცვლილება განხორციელდა და საკმაოდ ბევრი სიტყვა პირდაპირ შევიდა საზოგადოების მიმოქცევაში და ხშირ შემთხვევაში აღარ აღიქმება როგორც ქურდული ჟარგონი. მაგალითად:

„მენტი“, „ძაღლი“ (სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომელი), „ბოზი“ (დამბეზღებელი, ჩამშვები) და ა.შ.

ქურდულ ჟარგონებთან ბრძოლა, როგორც გამოცდილება აჩვენებს საკმაოდ ძნელია. ჟარგონები ხშირად იცვლება და ყალიბდება ახალი ტერმინები. საკმაოდ ხშირია შემთხვევები, როცა თვითონ, დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლები საუბრობენ აღნიშნული ჟარგონებით. მაგალითად:

„დღესდღეობით დაწესებულებაში შემოწმების ჩატარებისას თვითონ ადმინისტრაციის წარმომადგენლები ხშირად იყენებენ ტერმინს - „პრავერკა“, ჩხრეკისას - „შმონი“ და ა.შ“.

იგივე ჟარგონებს იყენებენ პატიმრებიც. აუცილებელია ამ კუთხით პენიტენციური სისტემის თანამშრომელთა მაღალი სამეტყველო კულტურის ჩამოყალიბება.

**ტატუირება, „ნაკოლკა“**

ტატუირება, „ნაკოლკის“ გაკეთება სხეულზე კრიმინალური სუბკულტურის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია. არსებობდა მრავალი სახის და ფორმის „ნაკოლკა“, რომლებიც სხვადასხვა პერიოდში იცვლებოდა და დღესაც იცვლება[171]. ტატუირებები სხვადასხვა სახის შინაარსის მატარებელი იყო: საინფორმაციო-იერარქიული, პიროვნების განწყობის გამომხატველი, სასიგნალო, სამახსოვრო და ა.შ[172].

---

170 გ.ლობჟანიძე, გ.ღლონტი, კანონიერი ქურდები საქართველოში, თბილისი, 2004წ. გვ. 154-156.

171 Ю. А. Вакутин, Словарь жаргонных слов и выражений. Татуировки, Омск , 1979.

172 გ.ლობჟანიძე, გ.ღლონტი, კანონიერი ქურდები საქართველოში, თბილისი, 2004წ. გვ. 156-158.

დღესდღეობით ყველაზე გავრცელებულია ტატუირების ისეთი ფორმა როგორიც არის „ქურდული ვარსკვლავი", ძირითადად რვა ქიმიანი. ასეთი ვარსკვლავები კეთდება ხშირ შემთხვევაში მხარზე და მუხლებზე. „ქურდულ ვარსკვლავებს" იკეთებენ „კანონიერი ქურდები", ასევე „კაი ბიჭები", „ბლატნოები", რომლებიც მომავალში „კანონიერ ქურდობას" აპირებენ.

**პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაციის დამოკიდებულება კრიმინალური სუბკულტურის მიმართ**

პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაციის დამოკიდებულება კრიმინალური სუბკულტურის მიმართ ცალკე განხილვის საკითხია. კრიმინალური სუბკულტურის ჩამოყალიბების პროცესში ხშირი იყო დაწესებულების ადმინისტრაციისა და კრიმინალური ავტორიტეტების თანამშრომლობის შემთხვევები. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჯერ კიდევ 30-იანი წლებიდან პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაციები აძლევდნენ ზოგიერთ კრიმინალურ ლიდერებს („ურკებს") დაწესებულებაში თავისუფალი გადაადგილების უფლებას იმ მიზნით, რომ პატიმრებს შორის კონტროლი და წესრიგი დაემყარებინათ. შეიძლება ითქვას, იმ დროისთვის დაწესებულებებში პატიმართა დიდი რაოდენობის და „გულაგების" სისტემის ჩამოყალიბების გამო, ადმინისტრაციის მხრიდან ეს იყო ერთგვარად იძულებითი ნაბიჯი, რომ დაწესებულებებში გარკვეული წესრიგი შეენარჩუნებინათ. პატიმართა დიდი რაოდენობა მოითხოვდა შიდა კონტროლის სისტემის არსებობას.

ადმინისტრაციის და კრიმინალური ავტორიტეტების ურთიერთობა შემდგომში გარკვეულწილად აისახა „ქურდულ კანონებზეც". „კანონიერი ქურდები" აცნობიერებდნენ, რომ დაწესებულებაში თავიანთი გავლენის მოპოვების გამო, აუცილებელი იყო დაწესებულების ხელმძღვანელობასთან შემხვედრი ნაბიჯების გადადგმა. ამ გარიგების საფუძველზე „კანონიერი ქურდები" (შემდგომში უკვე მაყურებლები) ხელს უწყობდნენ, პენიტენციურ დაწესებულებებში შემოწმების და ჩხრეკის ჩატარებას, წესრიგის შენარჩუნებას და ა.შ. თუმცა ამ ნაბიჯების საპასუხოდ გარკვეულ შეღავათებსაც ითხოვდნენ. პენიტენციურ დაწესებულებებში ჩამოყალიბული იყო ორხელისუფლებიანობა კრიმინალური ავტორიტეტებისა და ადმინისტრაციის მხრიდან. მოგვიანებით ეს თანამშრომლობა გადაიზარდა ფინანსური სარგებლის მიღებაში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დაწესებულებებში გროვდებოდა ორი სახის „ობშიაკი", ქურდული და ადმინისტრაციის. შეიძლება ითქვას, რომ ასეთი სახის თანამშრომლობის შედეგად, დაწესებულებების ხელმძღვანელობა კომფორტულად გრძნობდა თავს - იგი ინარჩუნებდა წესრიგს დაწესებულებაში და მოგვიანებით ჰქონდა უკვე ფინანსური სარგებელი. სწორედ ამ ტიპის ურთიერთობების საფუძვლზე ფაქტობრივად ჩამოყალიბდა ადმინისტრაციასა და პატიმრებს შორის ერთიანი სალაპარაკო ენა, ჟარგონები, რომლებიც „ქურდულ კანონებს" ეფუძნება.

ზემოაღნიშნული გარემოებების გამო, შეიძლება ითქვას, რომ ნებსით თუ უნებლიეთ, ადმინისტრაციები ფაქტობრივად დაწესებულების მმართველობაში კრიმინალური სუბკულტურის მიერ შემოთავაზებული თამაშის წესებით მოქმედებენ.

კრიმინალურ ელემენტებთან თანამშრომლობა დაწესებულებების გადატვირთვამ და ე.წ. „გულაგების" სისტემის ჩამოყალიბებამ გამოიწვია. ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით, პირველი შედეგები იყო 50-იანი წლების ბოლოს, როცა განახორციელეს პატიმართა გადანაწილება კატეგორიების მიხედვით და ჩამოყალიბდა სხვადასხვა რეჟიმის დაწესებულებები[173]. შეიძლება ითქვას, რომ კრიმინალური სუბკულტურის ჩამოყალიბების და გაძლიერების ძირითადი მიზეზი იყო პატიმართა და დაწესებულების თანამშრომელთა რაოდენობის სრული დისბალანსი, რასაც ხელს უწყობდა დაწესებულების არასაკმარისი/ არაადეკვატური/შეუსაბამო ინფრასტრუქტურაც.

მიუხედავად ბოლო პერიოდში გადადგმული ნაბიჯებისა (პატიმართა რაოდენობის შემცირება, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება), დღესდღეობით ჯერ კიდევ პრობლემად რჩება კოლონიის ტიპის დაწესებულებების არსებობა, სადაც 1000-დან 2000-მდე პატიმარი იხდის სასჯელს, ხოლო ამის საპირისპიროდ დაწესებულების თანამშრომელთა რაოდენობა 24 საათიან ცვლაში შეიძლება 50 კაცს არ აღემატებოდეს. აღნიშნული პრობლემების არსებობა ართულებს და ზოგ შემთხვევაში შეუძლებელს ხდის, კრიმინალური სუბკულტურის წინააღმდეგ ბრძოლას პენიტენციურ სისტემაში.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ პენიტენციურ სისტემაში, არსებული კრიმინალური სუბკულტურა რთულ ფენომენს წარმოადგენს. ჩამოყალიბების შემდეგ, არსებობის სხვადასხვა ეტაპზე იგი ახდენდა ადაპტაციას არსებული სიტუაციის შესაბამისად, განიცდიდა ევოლუციას. ეს სუბკულტურა საკმაოდ დიდ გავლენას ახდენდა და დღესაც ახდენს ახალგაზრდა თაობის ღირებულებათა სისტემის ჩამოყალიბებაზე არა მხოლოდ დაწესებულების შიგნით, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. ამიტომ ამ სუბკულტურის გასააზრებლად, საჭიროა ერთიანად გავაანალიზოთ, როგორც მისი წარმოშობის მიზეზები და განვითარების ეტაპები, ასევე მისგან წარმოშობილი ის ფსევდო-ღირებულებები, რამაც როგორც პენიტენციურ სისტემაში, ასევე მთლიანად საზოგადოების ცნობიერებაში შეაღწია.

173 საქართველოს უმაღლესი საბჭოს უწყებები. 1971. N12.

## თავი: 7

# პარტნიორებს შორის ძალადობა

*მეშვიდე თავი*

## პატიმრებს შორის ძალადობა

კრიმინალურ სუბკულტურასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული პატიმრებს შორის არსებული ძალადობის ფაქტები. პენიტენციური დაწესებულების სწორ მენეჯმენტსა და დაწესებულებაში უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე საუბრისას, ასევე მეტად მნიშვნელოვანია არა მხოლოდ პატიმრებსა და თანამშრომლებს შორის არსებული ურთიერთობების განხილვა, არამედ იმის შეფასებაც თუ რამდენად არის უზრუნველყოფილი დაწესებულებაში პატიმრების თანასწორობა, რამდენად ერთგვაროვანია მათ მიმართ მოპყრობა ადმინისტრაციის მხრიდან, შექმნილია თუ არა დაწესებულებაში გარემო, სადაც პატიმრები დაცულნი არიან, როგორც ადმინისტრაციის, ასევე სხვა პატიმართა მხრიდან ძალადობისგან.

### პატიმრებს შორის ძალადობას გამომწვევი მიზეზები

ზოგიერთ ქვეყანაში, პენიტენციურ დაწესებულებებში თანამდებობის პირებს დაკარგული აქვთ კონტროლი დაწესებულებაზე და ისინი პატიმართა გავლენიან ჯგუფებს აძლევენ შესაძლებლობას დაამყარონ კონტროლის არალეგალური სისტემა, როგორც სხვა პატიმრებზე, აგრეთვე თანამშრომლებზე. ამის გამომწვევი ერთ-ერთი ფაქტორია კრიმინალური სუბკულტურა, რაზეც უკვე გვქონდა საუბარი წინა თავში. აღნიშნული სიტუაცია იწვევს კარგად ორგანიზებული სისტემის გატეხვას, რასაც თავის მხრივ მივყავართ არეულობამდე და ძალადობრივ ქცევამდე პატიმრებისა და თანამშრომლების მხრიდან. ამ ფონზე რთული ხდება დაწესებულების ნორმალური ფუნქციონირება, რთულდება საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო პროგრამების ორგანიზება, იზრდება პატიმართა გაქცევის შესაძლებლობა.[174]

აღსანიშნავია ასევე, რომ მთელ რიგ დაწესებულებებში, პენიტენციური დაწესებულების ხელმძღვანელობა დაწესებულებაში კონტროლის დამყარებისა და წესრიგის უზრუნველყოფისთვის იყენებს პატიმრებთან ე.წ. ოპერატიულ მუშაობას, „აგენტურის" მეშვეობით (რომელიც ძირითადად დამახასიათებელია პოლიცისთვის ან/და უსაფრთხოების სხვა ტიპის სამსახურებისთვის) უსაფრთხოების დარღვევის დაგეგმილ ფაქტებთან დაკავშირებით ინფორმაციის მოსაპოვებლად. ამ დროს, ხდება პატიმრების ნაწილისგან სხვა პატიმრების შესახებ ანონიმური ინფორმაციის მიღება. აღნიშნული სისტემა დიდი საფრთხის მატარებელია. იმ შემთხვევაში, თუ ინფორმანტის ვინაობა გამჟღავნდება, სხვა პატიმრების მხრიდან მის მიმართ აგრესიის გამოხატვა შესაძლოა განხორციელდეს განსაკუთრებით ძალადობრივი ფორმით. გარდა ამისა, პატიმრის ასეთი სახის სტატუსი შესაძლოა დაწესებულების ადმინისტრაციის მხრიდან გამოყენებულ იქნას მასზე ზეწოლისა და შანტაჟის მიზნით.

ასეთი სახის რისკების გამო ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტი რეკომენდაციით მიმართავს წევრ სახელმწიფოებს შეცვალონ მსგავსი ტიპის მიდგომები პენიტენციურ დაწესებულებებში კერძოდ, ციხის ევროპულ წესებში აღნიშნულია, რომ - „ციხეებს უნდა გააჩნდეთ დამოუკიდებელი პასუხისმგებლობა და გამოყოფილი იყვნენ საჯარისო, საპოლიციო და სხვა სისხლის სამართლის საგამოძიებო სამსახურებიდან"[175]. თუმცა ეს რეკომენდაცია არ გამორიცხავს, საჭიროების შემთხვევაში, პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლობას სისტემის გარეთ არსებულ შესაბამის სამსახურებთან (პოლიცია, უსაფრთხოების სამსახური, დაზვერვის სამსახური და ა.შ.).

ბევრ ქვეყანაში (მათ შორის საქართველოში), პენიტენციური დაწესებულებების მართვის ისტორიული გამოცდილებისა და ამის ფონზე ჩამოყალიბებული ინსტიტუციური კულტურის გამო, საკმაოდ რთულია უსაფრთხოების სისტემის სწრაფი მოდიფიცირება, განსაკუთრებით დიდი ზომის დაწესებულებებში, სადაც არ არის ბალანსი თანამშრომლებისა და პატიმრების რაოდენობას შორის და პრობლემებია ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებით. თუმცა, აუცილებელია ეტაპობრივად მოხდეს პენიტენციური დაწესებულებების უსაფრთხოების სისტემის მოდიფიცირება და მოხდეს მისი გადაწყობა ევროსაბჭოს რეკომენდაციების შესაბამისად.
ბევრი ქვეყანა პენიტენციურ სისტემაში შესაბამის ინვესტირებას არ ახდენს და მათ როლს ხედავს მხოლოდ კედლების აგებაში, თანამშრომელთა ფუნქციას კი მხოლოდ გაქცევის პრევენციაში. სხვა მხრივ კი პატიმრები მეტ-ნაკლებად თვითდინებაზე არიან მიშვებულნი. ძალადობის მაღალი დონე და თვითმმართველობის სისტემა, რაც კონტროლის საშუალებას აძლევს პატიმრებს შორის უძლიერესს,

---

174 ციხის მენეჯმენტის განხილვა ადამიანის უფლებების კუთხით, ციხის თანამშრომელთა სახელმძღვანელო, მეორე გამოცემა, გვ 60, ენდიუ კოილი, 2009.

175 ციხის ევროპული წესები, წესი 71.

წარმოადგენს ამგვარი უგულვებელყოფის ლოგიკურ შედეგს. ეს ასევე შესაძლებლობას იძლევა პენიტენციურ სისტემაში კიდევ უფრო მყარი და ყოვლისმომცველი გახდეს კრიმინალური წესები და „კანონები“.

ზოგადად ძალადობრივი ინსტიტუციების არსებობა სრულიად არაეფექტურია. დაპირისპირებასა და შეურაცხყოფას მიაქვს ის დრო, რომელიც თანამშრომელს შეუძლია გამოიყენოს უფრო პოზიტიური მიზნის - პატიმრების რეაბილიტაციისთვის. გამუდმებული სტრესისა და ფიზიკური დაპირისპირების გამო, იზრდება თანამშრომელთა მხრიდან ავადმყოფობით გამოწვეული შვებულებები, იზრდება ჯანმრთელობის დაცვის მომსახურეობის ხარჯი და იქმნება მატერიალური და ადამიანური რესურსების არასწორად განაწილების საფრთხე. გაეროს წამების პრევენციის ქვეკომიტეტმა აღნიშნა, რომ გადატვირთულობის პრობლემა და თანამშრომელთა არასაკმარისი რაოდენობა ხელს უწყობს პატიმრებს შორის ძალადობას, მათ შორის სექსუალურ ძალადობას საპატიმრო დაწესებულებებში, განსაკუთრებით ღამის საათებში.

ხშირად პატიმრებს შორის ძალადობის მაღალი რისკის ქვეშ არიან LGBTI თემის, კრიმინალურ სუბკულტურაში იერარქიის დაბალ საფუხურზე მყოფი წევრები და გარკვეული ფსიქო-სოციალური პრობლემების მქონე პატიმრები, რის გამოც საჭიროებენ ადეკვატურ დაცვას. იქ, სადაც გამოვლინდება ძალადობის ფაქტები, ისინი სათანადოდ უნდა იქნას გამოძიებული და დამნაშავე პირებს უნდა შეეფარდოთ პროპორციული სანქციები. სწრაფი და ობიექტური გამოძიება შესაძლოა წარმოადგენდეს მსგავსი ქმედებების პრევენციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გზას.

მართალია, *გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები* კრძალავს პატიმრების გამოყენებას დისციპლინის უზრუნველყოფის მიზნებისთვის, თუმცა ბევრ ქვეყანაში წესრიგის შენარჩუნების უფლება დელეგირებულია პრივილეგირებულ პატიმრებზე არაფორმალური ან აღიარებული თვითმმართველობის სისტემების საშუალებით. პატიმრებს, რომლებსაც გარკვეულწილად „ეყრდნობა“ ადმინისტრაცია შეუძლიათ გააკონტროლონ სხვა პატიმრების ცხოვრების ყველა ასპექტი, სატელეფონო საუბრებისადმი ხელმისაწვდომობიდან, ოჯახის წევრებთან პაემნებითა და სხვა თანამდებობის პირებთან კონტაქტებით დამთავრებული. გასაკვირი არ იქნება თუ ვიტყვით, რომ აღნიშნული პატიმრები ხშირად არასათანადოდ იყენებენ ამ ძალაუფლებას, რაც გამოიხატება მუქარაში, დაშინებასა და ძალადობაში.

გაეროს წამების პრევენციის ქვეკომიტეტი აღნიშნავს: *„დაწესებულებაში შიდა თვითმმართველობას მივყავართ ძალაუფლების თვითნებურ გამოყენებასთან, ძალადობასთან, რითიც ზიანი ადგებათ მოწყვლად პატიმრებს. ამგვარი ქმედებები, თუ სწორად არ არის დარეგულირებული და მართული, გამოიხატება გამოძალვასა და იძულებაში. მონიტორინგის განმახორციელებლმა ორგანოებმა, ეროვნული პრევენციის მექანიზმის ჩათვლით, ყურადღება უნდა გაამახვილონ თანამშრომლებსა და პატიმრებს შორის არსებულ ურთიერთობაზე და შეაფასონ რამდენად ახდენს ამაზე გავლენას უსაფრთხოების ზომები. ეს შეიძლება მოიცავდეს სხვადასხვა პროცედურების მონიტორინგს, გადამზადებასა და ყოველდღიურ ურთიერთობებზე დაკვირვებს. მონიტორინგის განმახორციელებელმა ორგანოებმა ყურადღება უნდა მიაქციონ პატიმრებს შორის ძალადობის პრობლემას, რომელიც წარმოადგენს საფრთხეს როგორც პატიმრების, ასევე თანამშრომლების უსაფრთხოებისა და ღირსებისთვის.“*[176]

**პატიმართა შორის ძალადობისაგან თავისუფალი გარემოს უზრუნველყოფა**

კარგად მართულ დაწესებულებებში ყველა პატიმრის მიმართ მოპყრობა უნდა იყოს თანაბარი. შესაძლებელობის ფარგლებში, სასჯელის მოხდის პერიოდში უნდა მოხდეს მათი ჩართვა კონსტრუქციულ აქტივობებში, ასევე უნდა მიეცეთ მუშაობის შესაძლებლობა.

გამოწვევა, რომელიც დგას პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაციის წინაშე არის მის დაწესებულებაში მყოფი პატიმრების უსაფრთხოების უზრუნველყოფა, წესრიგის დამყარება, თუმცა მართვა არ უნდა იყოს დაფუძნებული ზეწოლასა და ბრუტალურ მეთოდებზე. მნიშვნელოვანია თანმიმდევრული მიდგომების არსებობა, რომელიც არც მეტისმეტად მკაცრი იქნება და არც მეტისმეტად ლიბერალური.

პატიმართა აბსოლუტური უმრავლესობა მიესალმება მკაცრ და სამართლიან მენეჯმენტს, რადგან <u>თუ თანამშრომ</u>ლები ვერ ახორციელებენ კონტროლს, შექმნილი ვაკუუმი ივსება გავლენის მქონე ან

[176] ღირსებისა და უსაფრთხოების ბალანსი ციხეში: პრევენციული მონიტორინგის ჩარჩო, ციხის საერთაშორისო რეფორმა და წამების პრევენციის ასოციაცია(APT), Andrea Huber, Barbara Bernath, Rob Allen and Edouard Delaplace.

სუბკულტურის თვალსაზრისით მაღალ იერარქიულ საფეხურზე მყოფი პატიმრებით. ამასთან, თუ ზედა ვერტიკალი ვერ ახორციელებს კონტროლს, ცალკეულ თანამშრომელს ეძლევა შესაძლებლობა დაამყაროს საკუთარი, ალტერნატიული, არაფორმალური ტიპის კონტროლი, რაც ხშირად სრულდება არასათანადო მოპყრობით, ზოგჯერ კი სასტიკი და არაადამიანური მოპყრობით, რიგ შემთხვევებში წამებითაც კი. ორივე შემთხვევაში, პატიმართა უმრავლესობისთვის დაწესებულებაში ცხოვრება საკმაოდ რთულია. ეს არის სიტუაცია, როდესაც დინამიური უსაფრთხოების საჭიროება და დადებითი მხარეები ცხადი ხდება. საცხოვრებელ ბლოკში ან სამუშაო ადგილას შესვლისას, სადაც დაძაბული სიტუაციაა, ფრთხილ თანამშრომელს შეუძლია მაშინვე მიხვდეს, რომ რაღაც რიგზე არ არის. *„ისინი ჰაერში გრძნობენ დაძაბულობას. რადგან კარგად იცნობენ ყველა პატიმარს, შეუძლიათ მოახდინონ იმ პატიმართა იდენტიფიცირება, რომლებიც ამოვარდნილნი არიან კალაპოტიდან ან ძალადობის საფრთხეს ქმნიან და იღებენ ზომებს, რათა თავიდან იქნას აცილებული ძალადობის გამოვლენა. არეულობის გამოწვევის მსურველი პატიმრებისთვის ასევე უფრო რთული იქნება სხვა პატიმრების აყოლიება, როდესაც თანამშრომელთა მხრიდან მიდგომა არის სამართლიანი და თანმიმდევრული. თუმცა, იქაც კი სადაც კარგი დინამიური უსაფრთხოებაა, შესაძლოა მოხდეს ინდივიდუალური და კოლექტიური ძალადობის აფეთქება.“*[177]

პენიტენციური დაწესებულების ჩვეულებრივი დღის მიმდინარეობისას, თანამშრომლებთან ურთიერთობა და მათი პატიმრებთან ყოფნა, მიზნად უნდა ისახავდეს უსაფრთხო და ჰუმანური გარემოს შექმნას. ამგვარ გარემოს უწოდებენ წესრიგს, სადაც დაწესებულების ყოველდღიური საქმიანობა იმართება წესებისა და რეგულაციების საფუძველზე, სადაც განსაზღვრულია დღის წესრიგი და სადაც პატიმრები არ ღელავენ საკუთარ უსაფრთხოებაზე. ეს წესები ხელს უწყობს იმ ატმოსფეროს შექმნას, როდესაც პატიმართა უმრავლესობა კონსტრუქციულია და თანამშრომლობს ადმინისტრაციასთან. თუმცა, არსებობს მომენტები, როდესაც ადმინისტრაციას უწევს ძალის გამოყენება პატიმართა გასაკონტროლებლად, ასევე ინციდენტების პრევენციისა და მართვისათვის. კონტროლი გულისხმობს:

- **სტატიკურ უსაფრთხოებას** (ინდივიდუალური საკნები, უსაფრთხოების ინფრასტრუქტურა, როგორიც არის განათება, წინაღობები, შეზღუდვის საშუალებები, კომუნიკაციები, სატრანსპორტო საშუალებები, საკეტები, გასაღებები, კოშკურები და ა.შ);
- **ინციდენტების მართვას** (სპეციალიზებული წვრთნა, ინციდენტებზე რეაგირების ჯგუფები და მათზე რეაგირების პროცედურები და ა.შ);
- **ძალის პროპორციულ გამოყენებას** (უფლებამოსილი პირები, გადაწყვეტილებების მიღების წესი, პროცედურები და გადამზადებული პერსონალი).

პრაქტიკა, როდესაც არსებობს მჭიდრო კონტაქტი თანამშრომლებსა და პატიმრებს შორის ხელს უწყობს ინტერაქციას და აუმჯობესებს დაკვირვებასა და ზედამხედველობას. იმ დაწესებულებებში, სადაც არ არის თანამშრომელთა საჭირო რაოდენობა, ან მათსა და პატიმრებს შორის კავშირი არის პასიური ან იშვიათი, ფაქტიურად შეუძლებელია სამართლიანობასა და პატივისცემაზე დაფუძნებული ურთიერთობების დამყარება. თანამშრომელთა აქტიური ჩარევის/დასწრების გარეშე, პატიმრები მარტო რჩებიან საკუთარი თავის სამართავად და როგორც უკვე აღვნიშნეთ, შესაძლოა გახდნენ დაშინების, მანიპულირებისა და მუქარის **ობიექტი. მნიშვნელოვანია დაწესებულების თანამშრომლებმა თვალსაჩინო გახადონ პატიმრებისთვის, რომ სწორედ ისინი არიან პენიტენციური დაწესებულების მმართველები და ამავდროულად აქტიურად არიან დაინტერესებულნი დაიცვან ყველა პატიმრის ძირითადი უფლებები და უსაფრთხოება.**

დინამიური უსაფრთხოების ფაქტორები ხაზს უსვამს თანამშრომელთა მხრიდან დაკვირვების, პატიმართა ქცევის ანალიზის მუდმივად განხორციელების კრიტიკულ მნიშვნელობას. „პატიმართა შორის ურთიერთობების, გაერთიანებების, საქციელის შეცვლა, შესაძლოა წარმოადგენდეს პატიმართა შორის ან პატიმრებსა და თანამშრომლებს შორის მოსალოდნელი კონფლიქტის სიმპტომს, რაც შესაძლოა დასრულდეს სერიოზული ინციდენტით. ისეთ დაწესებულებაში, სადაც ბევრი პატიმარი, ცოტა თანამშრომელი და არასაკმარისი დოკუმენტაციაა, რთული ხდება თითოეული პატიმრის, მათი ქცევის, იმის შეფასება თუ რამდენად უქმნის ის რისკს დაწესებულების უსაფრთხოებას.“[178]

არაფორმალურ მმართველობასთან და პატიმართა შორის ძალადობასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია **წამების პრევენციის კომიტეტის** მოსაზრებები, რაც ასახულია **2015 წლის ანგარიშში** საქართველოსთან დაკავშირებით:

[177] ციხის მენეჯმენტის განხილვა ადამიანის უფლებების კუთხით, ციხის თანამშრომელთა სახელმძღვანელო, მეორე გამოცემა, გვ. 60, ენდრიუ კოილი, 2009, გვ-64.
[178] "ციხის ინციდენტების მართვა" , UN 2013.

*„წპკ-ს მანდატი არ შემოიფარგლება პატიმრებზე მხოლოდ თანამშრომლების მხრიდან ძალადობის ფაქტების შეფასებით. კომიტეტი ასევე შეშფოთებულია პატიმრებს შორის ძალადობის ფენომენითა და ციხეში არსებული არაფორმალური ძალაუფლების მქონე სტრუქტურების არსებობით, რაც შესაძლოა ხანდახან იყოს დაშინებისა და გამოძალვის რისკის მატარებელი და ხელი შეუწყოს პატიმრებს შორის ძალადობას.“*

კომიტეტის ანგარიშში აღნიშნულია, რომ დელეგაციას არ მიუღია პირდაპირი განცხადებები მონახულებულ დაწესებულებებში აღნიშნული პრობლემის არსებობის შესახებ, თუმცა მისი აქტუალობა ხაზგასმული იქნა დელეგაციის რამდენიმე თანამოსაუბრის (მათ შორის სახალხო დამცველი და „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“) მხრიდან და აღიარებული იქნა სასჯელაღსრულების და პრობაციის სამინისტროს მაღალი თანამდებობის პირების მიერ. წპკ-ს განმარტებით:

„შესაძლო მინიშნებებს შეიძლება წარმოადგენდეს, აგრეთვე 2013 და 2014 წლებში რამდენიმე პატიმრის ძალადობრივი სიკვდილი. კომისიის პარტნიორმა ორგანიზაციებმა ეს პრობლემა დაუკავშირეს ტრადიციული არაფორმალური ციხის იერარქიის სავარაუდო აღორძინებას, რაც გულისხმობდა კრიმინალურ ავტორიტეტებს (‘კანონიერ ქურდებს“) და ე.წ. „მაყურებლებს“ , რაც მოყვა თანამდებობის პირთა სტრატეგიულ გადაწყვეტილებას გამიჯვნოდნენ წინა ხელისუფლების გადამეტებული კონტროლისა და უსაფრთხოების პოლიტიკას .... წპკ-ს სურს ხაზი გაუსვას, რომ პატიმრებზე ზრუნვის ვალდებულება, რომელიც აკისრია ციხის ადმინისტრაციას მოიცავს სხვა პატიმრებისგან დაცვის ვალდებულებას, რომლებმაც შესაძლოა მათ ზიანი მიაყენონ. ციხის თანამშრომლების ქმედება უნდა იყოს პროაქტიური, რათა მოხდეს პატიმრების ერთი ნაწილის მეორეზე ძალადობის აღკვეთა. ამ ფენომენზე საუბრისას, საჭიროა აღინიშნოს, რომ პატიმრებს შორის ძალადობა და დაშინება მოითხოვს თანამშრომლებისგან იყვნენ ყურადღებით ძალადობის შესაძლო ნიშნების მიმართ, ასევე გაბედულნი და შესაბამისად გადამზადებულნი იმისათვის, რომ ჩაერიონ სადაც აუცილებელია. პატიმრებსა და თანამშრომლებს შორის პოზიტიური დამოკიდებულების არსებობა, რაც ეფუძნება ზრუნვასა და დინამიურ უსაფრთხოებას, გადამწყვეტია აღნიშნულ კონტექსტში. დიდწილად ეს დამოკიდებულია თანამშრომლების კომუნიკაციის უნარებზე, ასევე ცხადია, რომ პატიმრებს შორის ძალადობის აღმოფხვრის ეფექტური სტრატეგია გულისხმობს თანამშრომელთა მხრიდან თავიანთი ძალაუფლების სწორად გამოყენებას.“

წამების პრევენციის კომიტეტის დასკვნაში აღნიშნულია, რომ მენეჯმენტი მზად უნდა იყოს სრულად დაუჭიროს მხარი თანამშრომლებს თავიანთი ძალაუფლების განხორციელების პროცესში. ეს უნდა შეიცავდეს ინდივიდუალურ პატიმართა განთავსების საკითხის გადახედვას. პატიმრებს შორის ძალადობის საკითხის ეფექტიანი მოგვარებისთვის მნიშვნელოვანია პატიმართა ინდივიდუალური საჭიროებებისა და რისკების შეფასების იმპლემენტაცია.

ზემოაღნიშნული კომენტარებიდან გამომდინარე, კომიტეტი გასცემს რეკომენდაციას საქართველოში ყველა პენიტენციური დაწესებულების დირექტორი და თანამშრომლები გადამზადდნენ, იმისათვის, რომ გამუდმებით იყვნენ ფხიზლად და გამოიყენონ მათ ხელთ არსებული ყველა შესაბამისი საშუალება, რათა თავიდან აიცილონ პატიმრებს შორის ძალადობა. ეს უნდა მოიცავდეს პატიმართა ქცევის მუდმივ მეთვალყურეობას (მათ შორის პოტენციური მოძალადისა და მსხვერპლის იდენტიფიცირება), პატიმართა შორის ძალადობის დადასტურებული და საეჭვო ფაქტების შესაბამის დოკუმენტირებას და ანგარიშში ასახვას, ყველა ინციდენტის დეტალურად შესწავლას. „საჭიროა ასევე გადაიდგას ნაბიჯები, რათა რეალური ან პოტენციური მსხვერპლი დაცულ იქნას რეალური ან პოტენციური მოძალადისგან.“[179]

როგორც უკვე აღინიშნა, ჰუმანური და უსაფრთხო პენიტენციური დაწესებულების გასაღებს წარმოადგენენ თანამშრომლები და მათი ურთიერთობის სახე პატიმრებთან. უსაფრთხოების შენარჩუნება საჭიროებს პენიტენციურ სისტემაში ინვესტირებას, განსაკუთრებით კი კვალიფიციური პერსონალის არსებობას. პროფესიონალი, ფრთხილად შერჩეული თანამშრომლები, რომლებსაც გავლილი აქვთ გადამზადება და რომელთა შესაბამისი ზედამხედველობაც ხორციელდება, შეძლებენ პატიმრებთან იქონიონ ჰუმანური ურთიერთობა და ამავდროულად ყურადღება მიაქციონ უსაფრთხოებისა და წესრიგის (რეჟიმის) დაცვის საკითხებს. ზიანის მომტანი ქცევის გამოვლენისას (რაც შესაძლოა კიდევ უფრო დაიძაბოს ან გადაიზარდოს კონფლიქტში) დროული ინტერვენცია უფრო ეფექტიანია პენიტენციური დაწესებულების მართვის რესურსის თვალსაზრისითაც, ვიდრე ძალადობრივ ინციდენტებზე თანამშრომელთა მხრიდან ძალის გამოყენებით post factum რეაგირება.

179 წამების, სასტიკი და არაადამიანური მოპყრობისა და სასჯელის პრევენციის ევროპული კომიტეტის (CPT) ანგარიში საქართველოს შესახებ, 2014 წლის 1 -დან 11 დეკემბრამდე ვიზიტზე.

ადამიანების/პატიმრების ძირითადი უფლებების დაცვით, შესაძლოა პენიტენციური დაწესებულება უფრო უსაფრთხო გახდეს.

რამდენადაც ეს შესაძლებელია, პენიტენციური სისტემის თანამდებობის პირებს უნდა ჰქონდეთ ხელმისაწვდომობა აღდგენითი ხასიათის მექანიზმებზე, რათა გადაჭრან პატიმართა შორის არსებული დავები. საერთაშორისო გამოცდილებამ აჩვენა, რომ ის დაწესებულებები, სადაც მოქმედებს დინამიური უსაფრთხოებისა და უშუალო ზედამხედველობის პრინციპები, უკეთ უმკლავდებიან პატიმრებს შორის ძალადობის პრობლემას, ვიდრე ის დაწესებულებები, რომლებიც იყენებენ ტრადიციულ არაპირდაპირი ზედამხედველობის მეთოდს. უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და კორუფციის რისკების შემცირების მიზნებიდან გამომდინარე, ზოგიერთ ქვეყანაში პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლებს კვლავ მოეთხოვებათ შეინარჩუნონ ფორმალური, დისტანციური ურთიერთობები პატიმრებთან. თანამშრომლებს შეუძლიათ პატიმრებს მიმართონ მხოლოდ ინსტრუქციების მიცემის მიზნით და სხვა საუბრები მათ შორის აკრძალულია. პატიმრებს შესაძლოა ეკისრებოდეთ ვალდებულება თანამშრომელთა თანდასწრებით იდგნენ სახით კედლისკენ ან ხელები დაიწყონ ზურგს უკან. წპკ-მ აღნიშნა, რომ „ამგვარი პრაქტიკა არ არის საჭირო უსაფრთხოების თვალსაზრისით და კონსტრუქციული, პოზიტიური ურთიერთობების განვითარება პატიმრებსა და თანამშრომლებს შორის არა მხოლოდ შეამცირებს არასათანადოდ მოპყრობის რისკებს, არამედ ასევე ხელს შეუწყობს კონტროლსა და უსაფრთხოებას.“

# თავი: 8

# ძალის მინიმალური გამოყენება

*მერვე თავი*
## ძალის მინიმალური გამოყენება
### საერთაშორისო სტანდარტები და პრაქტიკა

პენიტენციური დაწესებულებების მართვის პროცესში ხშირად წარმოიშვება კრიზისული სიტუაციები, რომელთა გადაჭრაც სხვადასხვა გზებით არის შესაძლებელი. თუმცა, საერთაშორისო სტანდარტები, როგორც უკიდურეს ზომას, ითვალისწინებს ძალის მინიმალური გამოყენების შესაძლებლობასაც, მათ შორის სპეციალური საშუალებების გამოყენების გზით.

**ძირითადი პრინციპები**

არსებობს რამდენიმე პრინციპი, რომელიც დაცული უნდა იყოს ძალის მინიმალური გამოყენებისას:
აუცილებლობის პრინციპის თანახმად, ძალის გამოყენებამდე განხილული უნდა იქნას ყველა არაძალისმიერი საშუალება. ძალისმიერი მეთოდის ან სასიკვდილო/ლეტალური ძალის გამოყენება ყოველთვის უნდა იყოს უკიდურესი ზომა და უნდა გამოიყენებოდეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც ამოწურული იქნება სხვა საშუალებები, როგორიცაა სიტყვიერი გაფრთხილება, თანამშრომლების დასწრება და სხვა. პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლებმა კეთილსინდისიერად და არგუმენტირებულად უნდა გამოიყენონ მხოლოდ იმ მოცულობის ძალა, რაც საჭიროა ინციდენტის მოსაგვარებლად.

პროპორციულობის/ძალის მინიმალური გამოყენების პრინციპის თანახმად, როდესაც ძალის გამოყენება აუცილებელია, პენიტენციური სისტემის თანამშრომლებმა უნდა გამოიყენონ მხოლოდ იმ მოცულობის ძალა, რაც აუცილებელია კონკრეტული ქმედების შესაჩერებლად.
კანონიერების პრინციპის თანახმად, პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლები ძალის გამოყენებისას არ უნდა გასცდნენ კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებს. აქედან გამომდინარე, მათ მიერ ძალის გამოყენება დარეგულირებული უნდა იყოს ეროვნული კანონმდებლობით. პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლებმა არასოდეს უნდა გამოიყენონ ძალა ეროვნული კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებს გარეთ და ძალის გამოყენება უნდა შეესაბამებოდეს ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტებს.

ანგარიშვალდებულების პრინციპის თანახმად, დაწესებულების პერსონალი ყოველთვის უნდა ასრულებდეს მასზე კანონმდებლობით დაკისრებულ მოვალეობებს, ემსახურებოდეს საზოგადოებას და იცავდეს ყველას არამართლზომიერი ქმედებებისგან, მათი პროფესიიდან გამომდინარე მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობის შესაბამისად. ძალის გამოყენებასას, ინციდენტის შესახებ ინფორმაცია უნდა მიეწოდოს ზედამხედველს და ნებისმიერი არამართლზომიერი ან თვითნებური ძალის გამოყენება დასჯადი უნდა იყოს კანონმდებლობით.

**რეაგირებაზე უკეთესი გზა, პრევენციაა**

თანამშრომლებმა უნდა იცოდნენ, რომ პრევენცია კრიზისული სიტუაციების განმუხტვის საუკეთესო საშუალებაა. ძალიან იშვიათია შემთხვევები, როდესაც ინციდენტი წინასწარი გამაფრთხილებელი ნიშნების გარეშე ხდება. შემთხვევების უმეტესობაში შესაძლებელია იმის განსაზღვრა, რომ გარკვეულ პირთან ან პირთა ჯგუფთან დაკავშირებით დაძაბულობაა. ეს ის შემთხვევაა, სადაც გამოყენებული უნდა იქნეს დინამიური უსაფრთხოების ელემენტები. საცხოვრებელ ბლოკში ან დაწესებულების ტერიტორიაზე შესვლისას, თანამშრომელი გრძნობს დაძაბულობას და ხვდება, რომ რაღაც ხდება.

**დიალოგი**

როგორც უკვე არაერთხელ აღინიშნა, თანამშრომელბსა და პატიმრებს შორის პოზიტიური ურთიერთობები არის დინამიური უსაფრთხოების მნიშვნელოვანი ელემენტი. კარგი ურთიერთობები და დიალოგი შესაძლებელია ეფექტურად იქნეს გამოყენებული პოტენციური ინციდენტის განმუხტვის ან წესრიგის აღდგენის მიზნებისთვის. წესრიგის აღდგენისთვის ფიზიკური მეთოდების გამოყენების განხილვა უნდა მოხდეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც სხვა მეთოდები ვერ გაამართლებს ან არამიზნობრივად ჩაითვლება.
ძალის გამოყენების ფორმები
როდესაც პერსონალი დგას ძალის გამოყენების საჭიროების წინაშე, მათ შესაძლოა განიხილონ მინიმალური ძალის გამოყენების სხვადასხვა ვარიანტები პატიმრის ქცევასთან მიმართებაში.

**ძალის გამოყენების ფორმა**

, უნდა შეესაბამებოდეს პატიმრის ქცევის ან წინააღმდეგობის დონეს. დაწესებულების თანამშრომლებმა შეიძლება დაასკვნან, რომ წინააღმდეგობის გამწევი პატიმარი სათანადოდ რეაგირებს ნაკლებ ძალაზე და სიტუაცია შეიძლება მოგვარდეს იმაზე ნაკლები ძალის გამოყენებით, ვიდრე მოსალოდნელი იყო.

მართალია, ძალის გამოყენების ფორმები განსხვავდება პატიმრის ქცევისა და არსებული რესურსების მიხედვით, თუმცა, როგორც წესი, ის შეგვიძლია შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ:

1. **თანამშრომელთა დასწრება.** ამ შემთხვევაში კონკრეტული ძალა არ გამოიყენება, თუმცა თანამშრომელთა გარკვეული ჯგუფი ადგილზე მიდის კრიზისული სიტუაციის განმუხტვის მიზნით. ეს ითვლება ძალის ერთგვარ დემონსტრირებად და დაწესებულების თანამშრომელთა დასწრება აფერხებს და განმუხტავს სიტუაციას. ეს არის სიტუაციის მოგვარების სასურველი გზა.

2. **ვერბალიზაცია** - ძალა არ არის ფიზიკური.
- დაწესებულების თანამშრომლები იყენებენ მშვიდ, არამუქარისეულ მიმართვებს, როგორიცაა „სად მიდიხარ?“ ან „აქ რა ხდება?“
- დამორჩილების უზრუნველსაყოფად თანამშრომლებმა შეიძლება ხმას აუწიონ და შეამოკლონ ბრძანება („სდექ“ ან „არ იმოძრაო“);
- პატიმრის მიერ ბრძანების შესრულების უზრუნველსაყოფად შეიძლება გამოიყენებოდეს გაფრთხილება და პირდაპირი ბრძანება („დაემორჩილე მიმართვას, თორემ გამოყენებული იქნება ძალისმიერი მეთოდები“).

3. **ფიზიკური ძალით კონტროლი (არ გამოიყენება სპეციალური საშუალებები)** - პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლების მიერ პატიმრის ფიზიკურად გაკონტროლება. მათ შეიძლება გამოიყენონ ფიზიკური დამორჩილების მეთოდები, გაკონტროლების მიზნით, დაიჭირონ ან ერთობლივად შებოჭონ პატიმარი.

4. **არასასიკვდილო/არალეტალური ძალა.** პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლების მიერ პატიმრის ქცევის შეჩერება და მასზე კონტროლის მოპოვება არასასიკვდილო/არალეტალური სპეციალური საშუალებების გამოყენების გზით.

ყველა დაწესებულებას/სისტემას უნდა ჰქონდეს ფიზიკური დამორჩილების ინსტრუმენტების გამოყენების ნათელი და გამჭვირვალე პროცედურა და ყველა საკვანძო თანამშრომელი გადამზადებული უნდა იყოს მათი გამოყენების მიმართულებით. ეს პროცედურები უნდა ითვალისწინებდეს:
- გარემოებებს, რომელთა შემთხვევაშიც შესაძლებელია ფიზიკური დამორჩილების ინსტრუმენტების გამოყენება;
- ვის აქვს მათ გამოყენებაზე ნებართვის გაცემის უფლება?
- როგორ უნდა მოხდეს მათი გამოყენება?
- ვინ უწევს მონიტორინგს გაწერილი პროცედურების დაცვას?

<u>ფიზიკური დამორჩილების ინსტრუმენტების, როგორც უკიდურესი საშუალების გამოყენება</u>
ფიზიკური დამორჩილების ინსტრუმენტები (ხელბორკილები, დამაწყნარებელი პერანგები, წიწაკის გაზი და ა.შ.) უნდა გამოიყენებოდეს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში. ისინი არ უნდა გამოიყენებოდეს სხვა უსაფრთხოების ზომების ალტერნატივად. მაგალითად, დაუშვებელია პატიმრების ტერფებით ან მაჯებით მიჯაჭვა კედელთან ან რკინის ბარიკადთან, როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად, მხოლოდ იმიტომ რომ შენობების ფიზიკური უსაფრთხოება ძალიან სუსტია.

ფიზიკური დამორჩილების ინსტრუმენტები არ უნდა გამოიყენებოდეს ავტომატურად პატიმრის ერთი ადგილიდან მეორე ადგილას გადაყვანისას, როგორც დაწესებულების გარეთ, ისე შიგნით გადაადგილების დროს. ყველა შემთხვევაში, მათი გამოყენება უნდა მოხდეს თითოეული პატიმრისგან მომდინარე საფრთხის ინდივიდუალური შეფასების საფუძველზე.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ფიზიკური დამორჩილების ინსტრუმენტები უნდა გამოიყენებოდეს როგორც უკიდურესი საშუალება მოძალადე პატიმრის შესაჩერებლად, რომელიც საფრთხეს უქმნის სხვების უსაფრთხოებას. დამორჩილების ინსტრუმენტები უნდა მოიხსნას პატიმრის მიერ ძალადობრივი

ქმედების შეწყვეტისთანავე. მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაშია შესაძლებელი ფიზიკური დამორჩილების ინსტრუმენტების გამოყენება პატიმრის მიერ საკუთარი თავისთვის ზიანის მიყენების არიდების მიზნით. საუკეთესო პრაქტიკის თანახმად, ეს ძალიან იშვიათად შეიძლება იყოს საჭირო, რადგან თვითდაზიანების თავიდან ასარიდებლად არსებობს უამრავი სხვა მეთოდი.

პატიმრებთან უშუალო კონტაქტში მყოფ თანამშრომლებს შეიძლება ჰქონდეთ ისეთი სახის სპეციალური საშუალება, როგორიცაა ხელკეტი, წიწაკის გაზი და ა.შ. კარგი პრაქტიკის თანახმად, ამ საშუალებების ტარება არ უნდა მოხდეს დემონსტრირების ან მუქარის მანერით. ზოგადი პრაქტიკაა, ხელკეტის შარვლის ჯიბეში ტარება: ამ ფორმით ის არ ჩანს, მაგრამ ადვილად ხელმისაწვდომია. დიდი ზომის ხელკეტის ტარება არ უნდა ხორციელდებოდეს მუდმივ რეჟიმში. ისინი უნდა ინახებოდეს სტრატეგიულ ადგილას და მარტივად ხელმისაწვდომი უნდა იყოს საგანგებო მდგომარეობის დროს.

მასობრივი არეულობისას, შესაძლოა გამოყენებულ იქნეს სხვა სახის საშუალებებიც, როგორიც არის მაგალითად წყლის ჭავლი. თუმცა მსგავსი ტიპის მასობრივი დამორჩილების საშუალებები, როგორც წესი, დაწესებულების ადმინისტრაციებს არ გააჩნიათ და მისი გამოყენება ხდება, გარე სამსახურების (სპეციალური დანიშნულების რაზმი, ადგილობრივი პოლიცია) ჩართულობით.

5. სასიკვდილო/ლეტალური ძალა - პენიტენციური დაწესებულების პერსონალმა, რომელიც შეიარაღებულია და რომლებიც გადამზადებულნი არიან ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებაში, შესაძლოა განიხილონ სასიკვდილო/ლეტალური ძალის (ცეცხლსასროლი იარაღის) გამოყენების შესაძლებლობა პატიმრის შესაჩერებლად. თუმცა, თუ ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება ჩაითვლება პატიმრის შეჩერებისთვის მისაღებ ძალად, გათვალისწინებული უნდა იქნეს შემდეგი გარემოებები:
   - ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება უნდა შეესაბამებოდეს ეროვნულ კანონმდებლობას;
   - სასიკვდილო ძალის გამოყენება შეიძლება მხოლოდ თავდაცვისთვის, ჯანმრთელობის სერიოზული დაზიანებისა და სიცოცხლისათვის საფრთხის შექმნის შემთხვევაში[180 181];
   - სასიკვდილო ძალის გამოყენება შეიძლება განხილულ იქნეს, თუ ყველა სხვა ნაკლები ძალის შემცველი საშუალება ამოწურულია;
   - შესაბამისი საშუალების არსებობისას, პირველ რიგში, უნდა მოხდეს პატიმრისთვის იარაღის დემონსტრირება და მისი სიტყვიერი გაფრთხილება;
   - თუ არსებობს რეაგირებისთვის საკმარისი დრო, უნდა გაკეთდეს გამაფრთხილებელი გასროლა.

ზოგიერთ პენიტენციურ სისტემაში პერიმეტრის დაცვაზე პასუხისმგებელი თანამშრომლები ატარებენ ცეცხლსასროლ იარაღს. ამ თანამშრომლებს უნდა ჰქონდეთ ნათელი ინსტრუქცია, თუ რა შემთხვევებში უნდა მოხდეს ამ იარაღის გამოყენება. ეს უნდა მოხდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც მყისიერი საფრთხე ექმნება ამ თანამშრომლის ან სხვის სიცოცხლეს. უნდა არსებობდეს სხვა დამატებითი გარემოება, რაც აფიქრებინებს თანამშრომელს, რომ ეს პატიმარი გაქცევით მყისიერ საფრთხეს უქმნის სხვის სიცოცხლეს და მის შესაჩერებლად არ არსებობს სხვა საშუალება.
აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არასწორი პრაქტიკაა პატიმრებთან უშუალო კონტაქტში მყოფი თანამშრომლების მიერ ცეცხლსასროლი ან მსგავსი იარაღის ტარება, რომელიც შეიძლება არამიზნობრივად იქნეს გამოყენებული ან პატიმრებს ჩაუვარდეთ ხელში.[182]
საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, „პერსონალს უნდა ეკრძალებოდეს ცეცხლსასროლი იარაღის ან სხვა სასიკვდილო იარაღის გამოყენება თავისუფლების აღკვეთის ადგილებში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს აუცილებელია ადამიანთა სიცოცხლის დასაცავად.“[183 184]

**პოლიტიკა და პროცედურები**

პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაციამ უნდა შეიმუშავოს ძალის გამოყენების შესახებ ნათელი პოლიტიკა და პროცედურები, რაც იქნება სახელმძღვანელო დაწესებულების თანამშრომლებისათვის ინციდენტებთან გამკლავების დროს. ეს უნდა ეხებოდეს:

---

180 ციხეში ინციდენტების მართვის სახელმძღვანელო, გაერო, 2013, გვ.59-61.

181 გაერო, სამართალმდაცავი ორგანოების მიერ ძალისა და ცეცლსასროლი იარაღის გამოყენების შესახებ საბაზისო პრინციპები, 1990, პრინციპი (9).

182 ადამიანის უფლებათა მიდგომა ციხის მართვისას, ციხის თანამშრომელთა სახელმძღვანელო, მე-2 გამოცემა, 2009, ენდრიუ კოილი, გვ. 69-70.

183 ადამიანის უფლებათა ინტერ-ამერიკული კომისია, თავისუფლებააღკვეთილ ადამიანთა დაცვის შესახებ პრინციპები და საუკეთესო პრაქტიკა, პრინციპი XXIII, 2008.

184 გაერო, პატიმართა მოპყრობის სტანდარტული მინიმალური წესები, წესი 82

- რა სახის და დონის ძალა უნდა იქნეს გამოყენებული;
- შემთხვევები, როდესაც შესაძლებელია ძალის გამოყენება;
- პერსონალი, რომელიც დატრენინგებული და უფლებამოსილია გამოიყენოს ძალა;
- ძალის გამოყენების დროს ნებადართული აღჭურვილობა;
- ანგარიშგებისა და ანგარიშვალდებულების მექანიზმები, მათ შორის არალეტალური და ლეტალური ძალის გამოყენების ინციდენტების განხილვის ჩათვლით;
- სამედიცინო ხასიათის ზომები იმ ინციდენტის შემდეგ, რომლიც დროსაც ძალის გამოყენებას ჰქონდა ადგილი.

პენიტენციური დაწესებულების რეგულაციები დეტალურად უნდა ადგენდენენ შესაბამის პროცედურებს. ასევე ნათლად უნდა იყოს განსაზღვრული, რომ დაუშვებელია დამორჩილების საშუალებების სასჯელის სახით გამოყენება. ჯაჭვები და ფეხის ბორკილები არ უნდა იქნეს გამოყენებული დამორჩილების ინსტრუმენტებად.[185]

პრობლემების გადაწყვეტის დაწესებულებაზე მორგებული კონცეფციის განვითარება და შემოღება არის პენიტენციური დაწესებულების ეფექტიანი მენეჯმენტის ქვაკუთხედი. ბევრ პენიტენციური დაწესებულებას აქვს შემუშავებული კონცეფცია, რომელიც მოიცავს უსაფრთხოებასთან დაკავშირებული სიტუაციის შეფასების საფეხურებს.

საერთაშორისო სტანდარტები, განსაკუთრებით კი ძალის გამოყენებასთან დაკავშირებული პრინციპები, ასახული უნდა იყოს პროცედურებში, გათვალისწინებული უნდა იყოს პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლების ტრენინგ პროგრამაში. ყველა ძალის გამოყენების პროცედურა და ტრენინგი კონკრეტულად უნდა ეხებოდეს შესაბამის სტანდარტებსა და პატიმრებთან მოპყრობის ადამიანის უფლებათა პრინციპებს.

კონკრეტულ მნიშვნელოვან ინციდენტთან გამკლავების მიზნით, შემუშავებული ინტერვენციის გეგმა უნდა ადგენდეს გადამზადებული თანამშრომლების მიერ გამოყენებადი ძალის ხარისხსა და სახეს და უნდა ანიჭებდეს მათ ძალის გამოყენების უფლებამოსილებას.

დამორჩილების ინსტრუმენტების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილება და პროცედურა უნდა ექვემდებარებოდეს ზედა რგოლის მხრიდან დეტალურ მონიტორინგსა და საუკეთესო პრაქტიკის თანახმად, უფლებამოსილი უწყების გარე მონიტორინგსაც.[186]

კიდევ ერთხელ უნდა გავუსვათ ხაზი, რომ პატიმრებთან პირდაპირ კონტაქტში მყოფი ყველა თანამშრომელი გადამზადებული უნდა იყოს მინიმალური ძალის გამოყენების მიმართულებით. ისინი არ უნდა ეყრდნობოდნენ მხოლოდ პატიმართან შედარებით უკეთეს ფიზიკურ მონაცემებსა და სიძლიერეს. ბევრ შემთხვევაში შესაძლოა ეს რთული იყოს, თუმცა, მაშინაც კი როდესაც ეს შესაძლებელია, შედეგი შეიძლება იყოს როგორც პატიმრის, ისე თანამშრომლის ჯანმრთელობის სეროზული დაზიანება. არსებობს კონტროლისა და შეკავების ბევრი ტექნიკა, რომლის ტრენინგის გავლის შედეგადაც თანამშრომლები შეძლებენ კონტროლის მოპოვებას, საკუთარი თავისა და პატიმრისათვის სერიოზული ზიანის მიყენების გარეშე. მენეჯმენტს უნდა ჰქონდეს ინფორმაცია ამის შესახებ. იგი უნდა უზრუნველყოფდეს ყველა თანამშრომლის კომპეტენტურობას საბაზისო უნარებში და საკმარისი რაოდენობის თანამშრომელთა ტრენინგს შესაბამის ტექნიკებში.

---

[185] ციხეში ინციდენტების მართვის სახელმძღვანელო, გაერო, 2013, გვ.62-63-61.

[186] ადამიანის უფლებათა მიდგომა ციხის მართვისას, ციხის თანამშრომელთა სახელმძღვანელო, მე-2 გამოცემა, 2009, ენდრიუ კოილი, გვ.65.

**მნიშვნელოვანია, გავეცნოთ წამებისა და არაადამიანური მოპყრობის პრევენციის ევროპული კომიტეტის (CPT) 2014 წლის 1-11 დეკემბერს საქართველოში ვიზიტის შესახებ**

**„ბ. "სპეციალური საშუალებები"**

110. პატიმრობის კოდექსის ცვლილებები, რომლებიც ძალაშია 2014 წლის მაისიდან, მნიშვნელოვნად აფართოებს ციხეებში ნებადართულ „სპეციალურ საშუალებებს". ადრე ნებადართულ ხელბორკილებთან, დამაწყნარებელ პერანგებთან და ცეცხლსასროლ იარაღთან ერთად, კოდექსის 57[1] ნაწილი დამატებს დამაწყნარებელ სკამებს, დამაწყნარებელ საწოლებს, ხელკეტებს, ცრემლსადენ გაზს, წიწაკის გაზს, არალეტალურ იარაღს, აკუსტიკურ საშუალებებს, ფსიქოლოგიური ზემოქმედების შუქბგერით მოწყობილობას, წყალსატყორცნს და ძაღლებს. სახალხო დამცველმა და არასამთავრობო ორგანიზაციებმა გამოხატეს შეშფოთება „სპეციალური საშუალებების" გაზრდილ ჩამონათვალთან (კერძოდ, წიწაკის გაზი, ცრემლსადენი გაზი და არალეტალური იარაღი) და მათი გამოყენების წესების ბუნდოვანებასთან დაკავშირებით.

უნდა აღინიშნოს, რომ ვიზიტის დროს, მონახულებულ ციხეებში ერთადერთი არსებული დამორჩილების ინსტრუმენტი იყო ხელბორკილები. მე-3 საპყრობილის დირექტორმა აცნობა დელეგაციას, რომ მის დაწესებულებაში ხელკეტები ეხლახანს მიიტანეს და თანამშრომლებისთვის დარიგებული არ ჰქონდათ, რადგან მათ ჯერ შესაბამისი ტრენინგი უნდა ჩატარებოდათ.

111. კომიტეტისთვის მიუღებელია პატიმრობის კოდექსის 57[1] ნაწილში მოცემული ბევრი „სპეციალურ საშუალება". კომიტეტის აზრით, დამაწყნარებელი პერანგები არ უნდა იქნეს გამოყენებული ციხეში, რადგან სხვა მიზეზებთან ერთად, ის იწვევს დამცირებას და სტიგმატიზაციას. **დამაწყნარებელი პერანგები ამოღებულ უნდა იქნას პატიმრობის კოდექსის 57[1] ნაწილში მოცემული „სპეციალური საშუალებების" სიიდან.**

რაც შეეხება, ცეცლსასროლ იარაღს, კომიტეტს არაერთხელ აღუნიშნავს, რომ მათი ტარება პატიმრებთან პირდაპირ კონტაქტში მყოფი პირების მიერ არასასურველი და სახიფათო პრაქტიკაა, რამაც შეიძლება გამოიწვიოს მაღალი რისკის შემცველი სიტუაციები როგორც პატიმრებისთვის, ისე თანამშრომლებისთვის. ამასთან, ციხის თანამშრომლის მიერ იარაღის ყოველი გამოყენება არამხოლოდ უნდა აღირიცხოს, არამედ მასზე სრული ანგარიშგება უნდა მოხდეს და საჭიროების შემთხვევაში უნდა ჩატარდეს დამოუკიდებელი გამოძიება.

ცრემლსადენი გაზი და წიწაკის გაზი პოტენციურად საშიშია და არ უნდა იქნეს გამოყენებული შეზღუდულ/ჩაკეტილ ადგილას. ამასთან, გამონაკლისის სახით ღია ადგილას მათი გამოყენებისას, შესაბამისი გარანტიები უნდა იყოს დადგენილი. მაგალითად, პირებს, რომლებიც მათ ზემოქმედებას დაექვემდებარებიან, უნდა ჰქონდეთ დაუყონებლივი წვდომა ექიმთან და მათ სწრაფად უნდა მიეწოდოთ ყველა საჭირო საშუალება. ისინი არ უნდა იქნეს გამოყენებული იმ პატიმრის მიმართ, რომელიც უკვე დამორჩილებულია. ასევე, ისინი არ უნდა იყოს ციხის ოფიცრის სტანდარტული აღჭურვილობის ნაწილი.

ელექტროშოკური იარაღის (Tasers) გამოყენება შეიძლება გამართლებულ იქნას მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში როდესაც რეალური და დაუყოვნებლივი საფრთხე ექმნება სიცოცხლეს. გარდა ამისა, მხოლოდ სპეციალურად შერჩეული და დატრენინგებული ციხის თანამშრომლები უნდა იყვნენ უფლებამოსილნი მათ გამოყენებაზე და მათი გამოყენებისას ყველა შესაძლო გამაფრთხილებელი ზომა უნდა იქნეს გათვალისწინებული.

**კომიტეტი რეკომენდაციას უწევს ციხეში ცეცხლსასროლი იარაღის, ცრემლსადენი გაზის, წიწაკის გაზის და ელექტროშოკური იარაღის გამოყენების შესახებ წესებისა და რეგულაციების შესაბამის ცვლილებას.**

112. რაც შეეხება სხვა „სპეციალურ საშუალებებს" (რომლებიც ფიზიკურ უმოძრაობას იწვევს, როგორიცაა დამაწყნარებელი სკამები და საწოლები), მათი გამოყენებისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული შემდეგი პრინციპები და მინიმალური სტანდარტები:

მის სათანადო გამოყენებასთან დაკავშირებით, ფიზიკური შებოჭვა გამოყენებულ უნდა იქნეს მხოლოდ უკანასკნელ საშუალებად ზიანის მიყენების პრევენციის მიზნით და მხოლოდ მაშინ, როდესაც ყველა სხვა საშუალება ამოწურულია. დაუშვებელია მათი სასჯელის სახით ან დატრენინგებულ თანამშრომელთა არასაკმარისი რაოდენობის კომპენსირების მიზნით

გამოყენება. არ უნდა მოხდეს მათი გამოყენება არასამედიცინო გარემოში, როდესაც ჰოსპიტალიზაცია უფრო შესაბამისი ინტერვენციის ზომაა.

ფიზიკური შებოჭვის მეთოდის ნებისმიერი გამოყენების შესახებ, ამ მეთოდის საჭიროების შეფასების მიზნით, დაუყონებლივ უნდა ეცნობოს ექიმს.

გამოყენებული აღჭურვილობა უნდა იძლეოდეს უმოძრაობასთან დაკავშირებული საზიანო ეფექტის, დისკომფორტის და ტკივილის შემცირების შესაძლებლობას და თანამშრომლები დატრენინგებული უნდა იყვნენ მის გამოყენებაში.

ფიზიკური შებოჭვის ხანგრძლივობა უნდა იყოს მაქსიმალურად მოკლე (უფრო წუთები, ვიდრე საათები). შებოჭვის გაგრძელების საკითხი უნდა შეესაბამებოდეს ექიმის მიერ გაცემულ დასკვნას. უმოძრაობა დღეების განმავლობაში ვერ იქნება გამართლებული და ჩაითვლება არასათანადო მოპყრობად.
რაც შეეხება ზედამხედველობას, როდესაც პატიმარი ექვემდებარება ფიზიკურ შებოჭვას, დატრენინგებული თანამშრომელი ყოველთვის უნდა იყოს მასთან დახმარების მიზნით. ასეთი დახმარება შეიძლება მოიცავდეს მის თანხლებას საპრიფარეშომდე მისასვლელად ან მის დახმარებას კვებაში.

პატიმრები, რომელიც ექვემდებარებიან ფიზიკურ შებოჭვას, უნდა იყვნენ სრულად ინფორმირებული აღნიშნული ზომის გამოყენების მიზეზების შესახებ.

ნებისმიერი დაწესებულების მენეჯმენტმა, რომელმაც შესაძლოა გამოიყენოს შებოჭვა, უნდა გამოსცეს შესაბამისი წერილობითი სახელმძღვანელო წესები, რომლებიც გაითვალისწინებს ზემოთ აღნიშნულ კრიტერიუმებს. უნდა არსებობდეს შებოჭვის გამოყენების შემთხვევების აღრიცხვის სპეციალური რეესტრი. ჩანაწერი უნდა მოიცავდეს საშუალების გამოყენების დაწყების და დასრულების დროს, იმ ადამიანის სახელს, რომელმაც გასცა გამოყენების ნებართვა და მითითებას პატიმრის ან თანამშრომლის ნებისმიერ დაზიანებაზე.

გარდა ამისა, პატიმარს უნდა მიეცეს საშუალება განიხილოს მისი გამოცდილება შებოჭვის დროს ან ნებისმიერ შემთხვევაში მისი დამთავრების შემდეგ. ამ განხილვას ყოველთვის უნდა დაესწროს ჯანდაცვის პერსონალის უფროსი თანამშრომელი ან სხვა სათანადოდ დატრენინგებული პირი.
**კომიტეტი რეკომენდაციას უწევს, დამაწყნარებელი სკამების და ლოგინების შესახებ არსებული შესაბამისი ნორმების შეცვლას და გამართვას ზემოთ აღნიშნული პრინციპებისა და სტანდარტების შესაბამისად.** უფრო ზოგადად, **კომიტეტს სურს აღნიშნოს, რომ დამაწყნარებელი სკამები და ლოგინები არ უნდა იქნეს გამოყენებული არასამედიცინო გარემოში.**

113. რაც შეეხება აკუსტიკურ საშუალებებს, ფსიქოლოგიური ზემოქმედების შუქბგერით მოწყობილობას და წყალსატყორცნს, ისინი, როგორც წესი, გამოიყენება მასობრივი არეულობის კონტროლის მიზნით და არ უნდა მოხდეს მათი გამოყენება შეზღუდულ/დახურულ სივრცეში, განსაკუთრებით კი საკნებსა და საცხოვრებელ ბლოკებში. მათი შეზღუდული გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ ღია სივრცეში (გარეთ) მასობრივი არეულობის შემთხვევაში. ნებისმიერ შემთხვევაში, **უნდა არსებობდეს თანამშრომელთა სათანადო გადამზადება, აღრიცხვა (სისტემატური ვიდეო-ჩაწერის ჩათვლით) და ანგარიშგების პროცედურა როგორც მათ გამოყენებასთან, ისე პატიმრობის კოდექსის 57[1] ნაწილში მოცემულ სხვა საშუალებებთან დაკავშირებითაც.**

და ბოლოს, კომიტეტს ესმის, რომ (სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის მოადგილისგან განმარტების მიღების შემდეგ) ძაღლები არ იქნება გამოყენებული ციხეში გარდა საკნებისა და ნარკოტიკების ძებნის მიზნებისათვის, პატიმრებთან პირდაპირი კონტაქტის გარეშე. **კომიტეტს სურს მიიღოს ინფორმაცია, რომ ეს არის არსებული წესების სწორი გაგება“**[187].

[187] წამებისა და არაადამიანური მოპყრობის პრევენციის ევროპული კომიტეტის (CPT) 2014 წლის 1-11 დეკემბერს საქართველოში ვიზიტის შესახებ ანგარიში, გვ. 59-62.

**რას გვეუბნება საერთაშორისო სტანდარტები**

**გაეროს პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები**

**შემაკავებელი საშუალებები**

**წესი 47**
1. უნდა აიკრძალოს ჯაჭვების, რკინების და დამორჩილების არსებითად მტკივნეული და დამამცირებელი სხვა საშუალებების გამოყენება.
2. სხვა შემაკავებელი საშუალებების გამოყენება ნებადართულია მხოლოდ კანონიერი ნებართვის საფუძველზე შემდეგი მდგომარეობის არსებობისას:
(ა) პატიმრის გადაყვანის დროს, როგორც გაქცევის აღმკვეთი ზომა და იმ პირობით, რომ მოხსნიან პატიმრის სასამართლო ან ადმინისტრაციულ ორგანოში წარდგენამდე;
(ბ) ციხის დირექტორის მიერ გაცემული ბრძანების საფუძველზე, იმ შემთხვევაში, როდესაც კონტროლის ყველა სხვა მექანიზმი უშედეგოა და შეუძლებელი პატიმრის მიერ თვითდაზიანების ან სხვების ან ქონების დაზიანების შეჩერება; აუცილებელია, დირექტორმა დაუყოვნებლივ აცნობოს ექიმს ან სხვა კვალიფიციურ სამედიცინო პროფესიონალს ასეთი შემთხვევების შესახებ და მიაწოდოს ინფორმაცია ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოს.

**წესი 48**
1. როდესაც შემაკავებელი საშუალებების გამოყენება ხდება 47-ე წესის მე-2 პარაგრაფით გათვალისწინებულ შემთხვევებში, უნდა მოქმედებდეს შემდეგი პრინციპები:
(ა) შემაკავებელი საშუალებების გამოყენება ნებადართულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც არცერთი მასზე მსუბუქი ზომა არ არის ეფექტური შეუზღუდავი გადაადგილებით გამოწვეული რისკების აღსაკვეთად;
(ბ) გამოყენებული შეკავების მეთოდი უნდა წარმოადგენდეს ყველაზე ნაკლებ ინტრუზიულ მეთოდს, რომლის გამოყენებაც აუცილებელი და გონივრულად ხელმისაწვდომია პატიმრის მოძრაობის კონტროლისთვის, წარმოქმნილი რისკის დონისა და ხასიათის გათვალისწინებით;
(გ) შეკავების საშუალებების გამოყენება დაშვებულია მხოლოდ საჭირო დროის მონაკვეთში და უნდა მოიხსნას პატიმრის უკონტროლო მოძრაობით გამოწვეული რისკის გაქრობისთანავე.
2. შემაკავებელი საშუალებების გამოყენება დაუშვებელია ფეხმძიმე, მშობიარე და ახლადნამშობიარები ქალების მიმართ.

**წესი 49**
ციხის ადმინისტრაციამ უნდა განახორციელოს დაშვება კონტროლის ისეთ ტექნიკაზე და ჩაატაროს ტრენინგი მისი გამოყენების შესახებ, რომელიც გამორიცხავს შემაკავებელი საშუალებების გამოყენებას ან შეამცირებს მათ ინტრუზიულ ბუნებას.

**ციხის ევროპული წესები**

**ძალის გამოყენება**

64.1 ციხის ადმინისტრაციამ არ შეიძლება ძალა გამოიყენოს პატიმრების წინააღმდეგ გარდა თავდაცვის ან გაქცევის მცდელობის შემთხვევისას, აგრეთვე აქტიური ან პასიური ფიზიკური წინააღმდეგობისას კანონის ფარგლებში და ყოველთვის როგორც უკანასკნელი ღონისძიება.
64.2 გამოყენებული ძალის ხარისხი უნდა იყოს საჭიროების მინიმუმი და გამოყენებულ იქნას დროის ძალზედ მცირე პერიოდში.
65. უნდა არსებობდეს დეტალური პროცედურები ძალის გამოყენების შესახებ შემდეგი პირობების ჩათვლით:
ა. სხვადასხვა ძალა, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას;
ბ. გარემოებები, რომელშიც შეიძლება გამოყენებულ იქნას კონკრეტული სახეობის ძალა;
გ. ციხის თანამშრომელები, რომლებიც უფლებამოსილნი არიან გამოიყენონ სხვადასხვა სახის ძალა;
დ. რომელი დონის თანამდებობის პირი გასცემს ნებართვას ძალის გამოყენების წინ ძალის

გამოყენებაზე; და
ე. ანგარიში ძალის გამოყენების შესახებ უნდა შედგეს მის დასრულებისთანავე.
66. ციხის თანამშრომელები, რომლებიც უშულოდ პატიმრებთან მუშაობენ, უნდა გადიოდნენ სპეციალურ წრთვნას იმ ტექნიკურ საჭიროებებში, რომელიც უზრუნველყოფს ძალის შემდგომ გამოყენებას გარკვეული შეზღუდვების მიზნით იმ პატიმრების მიმართ, რომლებიც არიან აგრესიულნი.
67.1 სხვა სამართალდამცავი სახელმწიფო ორგანოს წარმომადგენელი შეიძლება ჩაერიოს ციხის შიგნით პატიმრებთან ურთიერთობაში მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში.
67.2 ასეთი სახის ურთიერთობა უნდა იყოს რეგულირებული ციხის ადმინისტარციისა და სამართალდამცავი სახელმწიფო ორგანოს შორის დადებული შეთანხმებით, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც ასეთი ურთიერთობა უკვე აღარ რეგულირდება ეროვნული კანონმდებლობით.
67.3 ასეთი შეთანხმება უნდა მოიცავდეს:
ა. იმ გარემოებებს, რომლის არსებობის შემთხვევაშიც შეიძლება სამართლადამცავი სახელმწიფო ორგანოს წარმომადგენლები შევიდნენ ციხეში კონკრეტული კოფლიქტის გადასაწყვეტად; უფლებამოსილების ხარისხს, რომელიც უნდა გააჩნდეთ ასეთი სამართლადამცავი სახელმწიფო ორგანოს წარმომადგენლებს მათი ციხეში ყოფნისას;
გ. სხვასხვა სახის ძალას, რომელიც შეიძლება გამოიყენოს ასეთი ორგანოს წარმომადგენელმა;
დ. ის გარემოებები, რომლის არსებობისასაც შეიძლება იქნას გამოყენებული კონრეტული სახის ძალა;
ე. თანამდებობის პირი, რომელიც გასცემს ძალის გამოყენების ნებართვას; და
ვ. ანგარიში ძალის გამოყენების შესახებ უნდა შედგეს ძალის გამოყენების დასრულებისთანავე.

**შემზღუდავი ღონისძიებები**

68.1 ბორკილებისა და ლითონის გამოყენება უნდა აიკრძალოს;
68.2 ხელბორკილების, დამაწყნარებელი პერანგის და შეზღუდვის სხვა საშუალებები არ შეიძლება გამოყენებულ იქნას გარდა შემდეგი შემთხვევებისა: როდესაც აუცილებელია მისი გამოყენება როგორც უსაფრთხოების ზომა გაქცევის საწინააღმდეგოდ პატიმართა სასამართლოში ან სხვა ადმინისტრაციულ სტრუქტურაში გადაყვანისას გარდა იმ შემთხვევისა როდესაც ციხის ადმინისტარაცია მიიღებს სხვაგვარად გადაწყვეტილებას; ციხის დირექტორის ბრძანებით თუ კონტროლის სხვა ღონისძიებები ვერ უზრუნველყოფს პატიმარის დაცვას თვითდაზიანებისაგან ან პატიმრის მიერ გარშემომყოფთა დაზიანებას, აგრეთვე იმისათვის რომ აღკვეთილ იქნას საკუთრების დაზიანება. ასეთ შემთხვევებში ციხის დირექტორი დაუყოვნებლივ აცნობებს ექიმს და ციხის ადმინისტრაციას.
68.3 უშიშროების ღონისძიებები არ შეიძლება გამოყენებულ იქნას იმაზე უფრო მეტ ხანს ვიდრე ეს აუცილებელი.
68.4 უშიშროების ღონისძიების გამოყენების წესი უნდა იყოგანსაზღვრული ეროვნული კანომდებლობით.

**იარაღი**

69.1 გადაუდებელი საჭიროების შემთხვევების გარდა ციხის თანამშრომელმა არ უნდა ატაროს სასიკვდილო იარაღი ციხის შიდა პერიმეტრზე.
69.2 ციხის პერიმეტრზე უნდა აიკრძალოს იარაღის ღიად ტარება, ხელკეტის ჩათვლით იმ პირების მიერ რომლებიც კონტაქტში იმყოფებიან პატიმრებან, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს აუცილებელია უსაფრთხოებისა და უშიშროების მოსაზრებებით კონკრეტული ინციდენტის არსებობისას.
69.3 ციხის თანამშრომლები არ უნდა ატარებდნენ იარაღს გარდა იმ შემთხვევებისა როდესაც მათ გავლილი აქვთ სეპციალური მომზადება.

## ადგილობრივი კანონმდებლობა

***უსაფრთხოების ღონისძიებები***

მსჯავრდებულის მიერ საკუთარი თავის, სხვისი და ქონების დაზიანების თავიდან აცილების, პენიტენციურ დაწესებულებაში დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევის აღკვეთის, მსჯავრდებულის მიერ სპეციალური პენიტენციური სამსახურის მოსამსახურის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის, თავდასხმის მოგერიების, ჯგუფური დაუმორჩილებლობის ან/და მასობრივი არეულობის აღკვეთის მიზნით, დასაბუთებული გადაწყვეტილებით მსჯავრდებულის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს შემდეგი უსაფრთხოების ღონისძიებები:

- სპეციალური საშუალებების გამოყენება;
- სხვა მსჯავრდებულთაგან მისი განცალკევება;
- დროებით სხვა პენიტენციურ დაწესებულებაში გადაყვანა;
- არაუმეტეს 24 საათით სამარტოო საკანში მოთავსება;
- დროებითი საგუშაგოს ან დამატებითი საგუშაგოს შექმნა.

დაუშვებელია უსაფრთხოების ღონისძიების მსჯავრდებულის დასჯის მიზნით გამოყენება. უსაფრთხოების ღონისძიების განხორციელება უნდა შეწყდეს დაუყოვნებლივ, იმ საფრთხის აღმოფხვრისთანავე, რომლის აღსაკვეთადაც ეს ღონისძიება გამოიყენებოდა, ხოლო აღნიშნული ღონისძიების განხორციელების შემდეგ, პენიტენციური დაწესებულების ხელმძღვანელობა სამედიცინო პერსონალთან ერთად მსჯავრდებულს დაუყოვნებლივ უტარებს სამედიცინო შემოწმებას. სამედიცინო შემოწმების შესახებ დგება შესაბამისი აქტი.[188]

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საფუძვლის არსებობისას, შესაძლებელია მსჯავრდებულის სხვა მსჯავრდებულებისაგან განცალკევება, რა დროსაც, ხორციელდება მისი სხვა საკანში ან უსაფრთხო ოთახში მოთავსება.[189] მსჯავრდებულის სხვა მსჯავრდებულებისაგან არაუმეტეს 30 დღისა განცალკევებით მოთავსების თაობაზე, მსჯავრდებულის განცხადების საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით, გადაწყვეტილებას იღებს პენიტენციური დაწესებულების დირექტორი, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში, განცალკევებით მოთავსების ხანგრძლივობა მისივე გადაწყვეტილებით შეიძლება გაიზარდოს გონივრული ვადით, იმ საფრთხის აღმოფხვრამდე, რომლის საფუძველზეც განხორციელდა მსჯავრდებულის განცალკევება. ამასთან, აღსანიშნავია, რომ მსჯავრდებულისათვის საფრთხის წარმოშობისას, ეს უკანასკნელი, პირადი უსაფრთხოების დაცვის მიზნით, უფლებამოსილია მიმართოს პენიტენციური დაწესებულების ნებისმიერ მოსამსახურეს ზეპირი ან წერილობითი განცხადებით. პენიტენციური დაწესებულების დირექტორის არყოფნის შემთხვევაში, მსჯავრდებული სხვა მსჯავრდებულებისაგან განცალკევებით შეიძლება მოთავსდეს დაწესებულების დირექტორის მიერ საამისოდ უფლებამოსილი პირის გადაწყვეტილებით, მაგრამ არაუმეტეს 24 საათისა.

თუ უსაფრთხოების ღონისძიებებმა შესაბამისი შედეგები არ გამოიღო, პენიტენციური დაწესებულების დირექტორი პენიტენციური დეპარტამენტის დირექტორის წინაშე შუამდგომლობს მსჯავრდებულის ან მსჯავრდებულის უსაფრთხოებისათვის საშიში პირების სხვა პენიტენციურ დაწესებულებაში გადაყვანის თაობაზე. აქვე აღსანიშნავია, რომ შესაბამისი საფუძვლების არსებობისას, მითითებული შუამდგომლობის აღსაძრავად აუცილებელი არ არის განცალკევების კანონმდებლობით დადგენილი ვადის ამოწურვა.

უსაფრთხოების ღონისძიების ერთ-ერთ სახედ უნდა განვიხილოთ მსჯავრდებულის უსაფრთხო ოთახში გადაყვანაც, რომელიც პენიტენციურ დაწესებულებაში შესაბამისი ინფრასტრუქტურის არსებობის შემთხვევაში, პენიტენციური დაწესებულების დირექტორის გადაწყვეტილებით, შესაძლებელია განხორციელდეს იმ მსჯავრდებულის მიმართ, რომელიც აშკარად საფრთხეს უქმნის ან შეიძლება შეუქმნას საკუთარ ან სხვის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან/და ქონებას. უსაფრთხო ოთახი აღჭურვილი უნდა იყოს უსაფრთხო ლეიბით, სათვალთვალო კამერით, რომლის ხედვის არე არ მოიცავს ტუალეტის ნიჟარას, დისტანციურად მართვადი, დაზიანებისადმი მედეგი ღია ტიპის ტუალეტით, ონკანით, განათებით და სათანადო ვენტილაციით. უსაფრთხო ოთახში განთავსებული მსჯავრდებული უზრუნველყოფილი უნდა იყოს სამედიცინო პერსონალის უწყვეტი ხელმისაწვდომობით. ამასთან, მსჯავრდებულზე ხორციელდება 24 საათიანი ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით

---

[188] საქართველოს კანონი „პატიმრობის კოდექსი", 57-ე მუხლი, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს №108 ბრძანებით დამტკიცებული დებულება, 25-ე მუხლი.

[189] საქართველოს კანონი „პატიმრობის კოდექსი", 57-ე მუხლი, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს №108 ბრძანებით დამტკიცებული დებულება, 26-ე და 27-ე მუხლები.

მეთვალყურეობა და კონტროლი, კანონმდებლობით დადგენილი წესის[190] შესაბამისად. უსაფრთხო ოთახში განთავსებული პირის მიმართ, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სპეციალური საშუალებები.

რაც შეეხება მსჯავრდებულის მიმართ სპეციალური საშუალებების გამოყენებას, აღნიშნული უსაფრთხოების ღონისძიება მკაცრადაა რეგლამენტირებული[191] და მისი გამოყენება დასაშვებია მხოლოდ უკიდურესი ღონისძიების სახით, როცა სხვა საშუალებებით შეუძლებელია ლეგიტიმური მიზნის მიღწევა.

**სპეციალური საშუალებები**

სპეციალური საშუალებების გამოყენების უფლება აქვთ:

- პენიტენციური დაწესებულების მოსამსახურეს ან მოსამსახურეებისაგან შემდგარ ჯგუფს;
- პენიტენციური დეპარტამენტის გარე დაცვისა და ბადრაგირების მთავარი სამმართველოს მოსამსახურეებისაგან შემდგარ საბადრაგო ჯგუფს ან კოლონას;
- პენიტენციური დეპარტამენტის სპეციალური დანიშნულების მთავარი სამმართველოს მოსამსახურეებისაგან შემდგარ ჯგუფს.[192]

მსჯავრდებულის მიმართ დასაშვებია გამოყენებულ იქნეს შემდეგი სპეციალური საშუალებები:

- ხელბორკილი;
- დამაწყნარებელი პერანგი;
- დამაწყნარებელი სკამი;
- დამაწყნარებელი საწოლი;
- რეზინის ხელკეტი;
- ცრემლსადენი გაზი;
- წიწაკის გაზი;
- არალეტალური იარაღი (რეზინის ტყვია, საღებავის სასროლი, სასროლი ბადე, კვამლმდენი);
- აკუსტიკური საშუალება;
- ფსიქოლოგიური ზემოქმედების შუქბგერითი მოწყობილობა;
- წყალსატყორცნი;
- სასამსახურო ძაღლი.

სპეციალური საშუალებების გამოყენების უფლება აქვს სპეციალური პენიტენციური სამსახურის სპეციალურად უფლებამოსილ პირს, რომელსაც გავლილი აქვს შესაბამისი მომზადება.

სპეციალური საშუალება გამოიყენება უსაფრთხოების უკიდურესი ღონისძიების სახით, იმ შემთხვევაში, როდესაც სხვა საშუალება არაეფექტურია. სპეციალური საშუალების გამოყენება უნდა იყოს წარმოქმნილი საფრთხის პროპორციული, რომელიც ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად უფრო ნაკლებ ზიანს მიაყენებს აღნიშნული ღონისძიების ადრესატს. დაუშვებელია სპეციალურ საშუალებათა მსჯავრდებულის დასჯის მიზნით გამოყენება და აგრეთვე, ისეთი ფორმით გამოყენება, რომელიც იწვევს მსჯავრდებულის პატივისა და ღირსების შელახვას.[193]

უსაფრთხოების ღონისძიებების განხორციელების მიზნით სპეციალური საშუალებების გამოყენება დასაშვებია შემდეგ შემთხვევებში:[194]

- <u>ხელბორკილი</u> - პირის მიმართ, რომელიც თავისი ქმედებით წინააღმდეგობას უწევს სპეციალური პენიტენციური სამსახურის მოსამსახურეს ან/და არ ემორჩილება მის კანონიერ მოთხოვნას; საფრთხეს უქმნის საკუთარ ან/და სხვის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას; აზიანებს ან ცდილობს დააზიანოს სხვისი/სახელმწიფო ქონება; ცდილობს გაქცევას; აგრეთვე თუ არსებობს ამ ქვეპუნქტით

[190] საქართველოს კანონი „პატიმრობის კოდექსი", 54-ე მუხლი.

[191] საქართველოს კანონი „პატიმრობის კოდექსი", 571 მუხლი; „სპეციალური პენიტენციური სამსახურის შეიარაღებაში არსებულ სპეციალურ საშუალებათა სახეების, მათი შენახვის, ტარებისა და გამოყენების წესის და პირობების, აგრეთვე სპეციალური საშუალებების გამოყენების უფლების მქონე პირის განსაზღვრის წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2014 წლის 12 სექტემბრის №145 ბრძანებით დამტკიცებული წესი.

[192] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2014 წლის 12 სექტემბრის №145 ბრძანებით დამტკიცებული წესი, პირველი მუხლის მე-3 პუნქტი.

[193] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2014 წლის 12 სექტემბრის №145 ბრძანებით დამტკიცებული წესი, მე-2 მუხლი.

[194] საქართველოს კანონი „პატიმრობის კოდექსი", 571 მუხლის მე-2 ნაწილი, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2014 წლის 12 სექტემბრის №145 ბრძანებით დამტკიცებული წესი, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი.

გათვალისწინებული გარემოებების დადგომის გონივრული ეჭვი;

- დამაწყნარებელი პერანგი, დამაწყნარებელი სკამი და დამაწყნარებელი საწოლი - პირის მიმართ, რომელმაც სცადა ზიანი მიეყენებინა საკუთარი თავისთვის ან სხვისთვის ან/და ზიანი მიაყენა საკუთარ თავს ან სხვას; რომელიც აზიანებს ან ცდილობს დააზიანოს სხვისი/სახელმწიფო ქონება; აგრეთვე რომლის მოქმედება გამოხატულად აგრესიულია. აღნიშნული სპეციალური საშუალებები გამოყენებული უნდა იქნეს ექიმის მეთვალყურეობით. პენიტენციური დაწესებულების ექიმი უფლებამოსილია, დადგენილი წესით გასცეს რეკომენდაცია აღნიშნული სპეციალური საშუალებების გამოყენების მიზანშეუწონლობასთან ან შეწყვეტასთან დაკავშირებით;[195]
- რეზინის ხელკეტი - მსჯავრდებულის მიერ საკუთარი თავის, გარშემომყოფთა დაზიანების თავიდან აცილების, დაწესებულებაში ან მსჯავრდებულის გაყვანისას/გადაყვანისას დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევის აღკვეთის, თავდასხმის მოგერიების, დაუმორჩილებლობის ან/და მასობრივი არეულობის აღკვეთის მიზნით;
- ცრემლსადენი გაზი, არალეტალური იარაღი და აკუსტიკური საშუალება - გარშემომყოფებზე ან/და დაცულ ობიექტზე მსჯავრდებულის თავდასხმის მოსაგერიებლად, მასობრივი არეულობის ან/და საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების ჯგუფური დარღვევის აღსაკვეთად;
- წიწაკის გაზი - დანაშაულის, თავდასხმის, გაქცევის, მასობრივი დაუმორჩილებლობის ან/და მასობრივი არეულობის აღსაკვეთად, დაცულ ობიექტზე თავდასხმის მოსაგერიებლად, საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების ჯგუფური დარღვევის აღსაკვეთად, შეიარაღებული პირის დასაკავებლად;
- ფსიქოლოგიური ზემოქმედების შუქბგერითი მოწყობილობა - გარშემომყოფებზე ან/და დაცულ ობიექტზე მსჯავრდებულის თავდასხმის მოსაგერიებლად, შეიარაღებული პირის დასაკავებლად, იმ დაკავებული ობიექტის დატოვების მიზნით, რომელსაც პირი თავს აფარებს;
- წყალსატყორცნი - მასობრივი არეულობის ან/და წესრიგის დარღვევის აღსაკვეთად, დაცულ ობიექტზე ჯგუფური თავდასხმის მოსაგერიებლად, შეიარაღებული პირის დასაკავებლად;
- სასამსახურო ძაღლი - მსჯავრდებულის გაქცევისას ან გაქცევის მცდელობისას, აკრძალული ნივთების აღმოსაჩენად, თავდასხმის მოსაგერიებლად.

სპეციალური საშუალებების გამოყენების უფლების მქონე პირი ვალდებულია სპეციალური საშუალების გამოყენების შესახებ წინასწარ გააფრთხილოს შესაბამისი პირი, მისცეს გონივრული ვადა მისი კანონიერი მოთხოვნის შესასრულებლად, გარდა იმ შემთხვევისა, როცა დაყოვნებამ შეიძლება გამოიწვიოს ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ხელყოფა, ქონების დაზიანება ან სხვა მძიმე შედეგი, ან შექმნილ სიტუაციაში ასეთი გაფრთხილება გაუმართლებელია ან შეუძლებელია.[196]

იმ შემთხვევაში, როდესაც აშკარაა, რომ შეუძლებელია ლეგიტიმური მიზნის მიღწევა ერთი საშუალებით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი საფუძვლებითა და ფარგლებში დასაშვებია რამდენიმე სახის სპეციალური საშუალების ერთდროულად გამოყენება.[197]

პენიტენციურ დაწესებულებაში სპეციალური საშუალების გამოყენების შესახებ დაუყოვნებლივ ეცნობებათ შესაბამისი პენიტენციური დაწესებულების დირექტორს და ექიმს ან ექთანს, გარდა ხელბორკილის გამოყენების შემთხვევისა, ხოლო სპეციალური საშუალების გამოყენების შემდეგ, მსჯავრდებულს პირველი შესაძლებლობისთანავე უტარდება სამედიცინო შემოწმება. სპეციალური საშუალების გამოყენების შესახებ დგება ოქმი, სადაც აღინიშნება გამოყენებული სპეციალური საშუალება, მისი გამოყენების დასაბუთება და სხვა მონაცემები. ამასთან, სპეციალური საშუალების გამოყენების საფუძვლის აღმოფხვრის შემდეგ, შესაბამისი პენიტენციური დაწესებულების დირექტორი ადგენს ანგარიშს და მას დაუყოვნებლივ უგზავნის საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს და პენიტენციური დეპარტამენტის დირექტორს.

მსჯავრდებულის ბადრაგირებისას უსაფრთხოების უზრუნველყოფის ან/და მისი გაქცევის თავიდან აცილების მიზნით მსჯავრდებულის მიმართ სპეციალური საშუალების გამოყენების შესახებ ჯგუფის ან კოლონის უფროსი დაუყოვნებლივ აცნობებს სპეციალური პენიტენციური სამსახურის შესაბამის უფლებამოსილ პირს და ექიმს ან ექთანს, გარდა ხელბორკილის გამოყენების შემთხვევისა.[198]

---

[195] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2014 წლის 12 სექტემბრის №145 ბრძანებით დამტკიცებული წესი, მე-7 მუხლი, პირველი-მე-3 პუნქტები.

[196] საქართველოს კანონი „პატიმრობის კოდექსი“ $57^1$ მუხლის მე-5 ნაწილი, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2014 წლის 12 სექტემბრის №145 ბრძანებით დამტკიცებული წესი, მე-15 მუხლი.

[197] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2014 წლის 12 სექტემბრის №145 ბრძანებით დამტკიცებული წესი, მე-12 მუხლი.

[198] საქართველოს კანონი „პატიმრობის კოდექსი“ $57^1$ მუხლის მე-7-მე-10 ნაწილები, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2014 წლის 12 სექტემბრის №145 ბრძანებით დამტკიცებული წესი, მე-16-მე-18 მუხლები.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონმდებლობა, წიწაკის გაზის გამოყენებასთან დაკავშირებით, განსაკუთრებულ და გასათვალისწინებელ რეგულაციას შეიცავს, კერძოდ, წიწაკის გაზი გამოიყენება უკიდურეს შემთხვევაში, როდესაც არსებული საფრთხის აღმოსაფხვრელად სხვა სპეციალური საშუალებების გამოყენება არაეფექტიანია. დაუშვებელია წიწაკის გაზის დახურულ სივრცეში, ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში და იმ პირთა მიმართ გამოყენება, რომლებიც უკვე იმყოფებიან შესაბამისი უფლებამოსილი პირის კონტროლის ქვეშ.[199]

გარდა ზემოაღნიშნულისა, კანონმდებლობა ადგენს მთელ რიგ წესებსა თუ აკრძალვებს[200], რომელიც გათვალისწინებულ უნდა იქნეს სპეციალური საშუალებების გამოყენებისას. კერძოდ, დაუშვებელია მსჯავრდებულის ხელბორკილით მყარ ზედაპირზე მიმაგრება, გარდა იმ უკიდურესი შემთხვევისა, როდესაც სხვა საშუალებების გამოყენებით შეუძლებელია კანონიერი მიზნის მიღწევა. ხელბორკილების დადებისას ბრალდებულს/მსჯავრდებულს, როგორც წესი, ხელები უნდა ჰქონდეს უკან, გარდა იმ შემთხვევისა როცა შესაბამისი მდგომარეობა არ მოიცავს სხვაგვარი ფიქსაციის აუცილებლობას. ხელბორკილები მოიხსნება მხოლოდ ასეთი გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების მქონე პირის მიერ. ხელბორკილები აგრეთვე მოიხსნება:

- ბუნებრივი საჭიროებისას და კვების დროს (გარდა მასობრივი არეულობის ან ჯგუფური დაუმორჩილებლობის შემთხვევისა);
- სიცოცხლისთვის საშიში პირობების წარმოქმნისას (ხანძარი, წყალდიდობა და ა.შ.).

დაუშვებელია, აგრეთვე, პენიტენციურ დაწესებულებაში ან მსჯავრდებულის გაყვანისას/გადაყვანისას ისეთი სპეციალური საშუალების გამოყენება, რომელიც იწვევს მსჯავრდებულის ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებას, დაკავშირებულია გაუმართლებელ რისკთან ან აკრძალულია საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და საერთაშორისო აქტებით. ამასთან, სპეციალური საშუალებების გამოყენებისას შეძლებისდაგვარად უნდა იქნეს გათვალისწინებული პირის ჯანმრთელობის მდგომარეობა და შეზღუდული შესაძლებლობები.

დამაწყნარებელი პერანგის გამოყენების შემთხვევაში, მისი ჩაცმის შემდეგ, მსჯავრდებულის ხელები გადაიწევა უკან ზურგის მხარეს და მას უნდა ჰქონდეს დამოუკიდებლად გადაადგილების შესაძლებლობა. მსჯავრდებულის დაწოლა ლეიბზე უნდა მოხდეს სახით ზემოთ.

რეზინის ხელკეტის გამოყენებისას გათვალისწინებულ უნდა იქნას, რომ დაუშვებელია მისი მიზანმიმართულად გამოყენება სხეულის სხვა ადგილებში, გარდა სხეულის ზედა და ქვედა კიდურების მიდამოებისა.

არალეტალური იარაღის, ცრემლსადენის, აკუსტიკური საშუალების და ფსიქოლოგიური ზემოქმედების შუქბგერითი მოწყობილობის გამოყენება ხორციელდება მათი ტექნიკური მახასიათებლების/შეზღუდვების გათვალისწინებით, იმგვარად, რომ არ გამოიწვიოს ადამიანის მძიმე დასახიჩრება ან სიცოცხლის მოსპობა. დაუშვებელია არალეტალური იარაღის თავში დამიზნებით სროლა, გარდა სასროლი ბადისა.

წყალსატყორცნი გამოიყენებისას დაცული უნდა იყოს შემდეგი წესები:

- დაუშვებელია წყლის ჭავლში ცრემლსადენი გაზის (CS) ან წიწაკის გაზის კონცენტრაცია აღემატებოდეს 5 %-ს;
- წყალსატყორცნის გამოყენების თაობაზე გაფრთხილება უნდა განხორციელდეს ხმოვანი საშუალებით;
- აკრძალულია წყალსატყორცნის გამოყენება ელექტრომოწყობილობებისა და დანადგარების ახლოს არანაკლებ 5 მეტრის ფარგლებში, თუ ძაბვა არ აღემატება 1000 ვოლტს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აღნიშნული მოწყობილობები და დანადგარები გამორთულია;
- აკრძალულია წყალსატყორცნის გამოყენება ელექტრომოწყობილობებისა და დანადგარების ახლოს არანაკლებ 10 მეტრის ფარგლებში, თუ ძაბვა აღემატება 1000 ვოლტს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აღნიშნული მოწყობილობები და დანადგარები გამორთულია;
- აკრძალულია წყალსატყორცნის გამოყენება იმ ადგილთან ახლოს, სადაც მუშავდება ქიმიური ნივთიერებები, რომლებიც წყალთან რეაქციის დროს იწვევენ აფეთქებას.

---

[199] საქართველოს კანონი „პატიმრობის კოდექსი“ $57^1$ მუხლის მე-12 ნაწილი, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2014 წლის 12 სექტემბრის №145 ბრძანებით დამტკიცებული წესი, მე-4 მუხლის მე-5 პუნქტი.

[200] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2014 წლის 12 სექტემბრის №145 ბრძანებით დამტკიცებული წესი, მე-6-მე-11 მუხლები.

რაც შეეხება სასამსახურო ძაღლის გამოყენებას, აღსანიშნავია, რომ მისი გამოყენება დასაშვებია, თუ იგი არის შესაბამისად გაწვრთნილი და ემორჩილება სპეციალური საშუალების გამოყენების უფლების მქონე პირის ბრძანებას. ამასთან, დაუშვებელია სასამსახურო ძაღლის გამოყენება პირის მიმართ, მიზანმიმართულად, სხეულის მძიმე დაზიანების მისაყენებლად.

პენიტენციურ დაწესებულებაში სპეციალური საშუალებების შესანახად გამოიყოფა შესაბამისი დაცული ადგილი, რომელიც განისაზღვრება დეპარტამენტის დირექტორის მიერ, ხოლო სპეციალური საშუალებების შენახვაზე უფლებამოსილია სპეციალურად გადამზადებული პენიტენციური დაწესებულების სამართლებრივი რეჟიმის ან/და უსაფრთხოების განყოფილების შესაბამისი მოსამსახურეებისაგან შემდგარი ჯგუფი.[201]

პენიტენციურ დაწესებულებებში, გარდა დახურული ტიპისა და განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებისა, აკრძალულია რომელიმე სპეციალური საშუალებების ტარება. რაც შეეხება დახურული ტიპისა და განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებს, აღნიშნულ დაწესებულებებში შესაბამისი უფლებამოსილი პირის მიერ დასაშვებია მხოლოდ ხელბორკილის ტარება.[202]

საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში, სპეციალური პენიტენციური სამსახურის მოსამსახურეებს უფლება აქვთ გამოიყენონ ცეცხლსასროლი იარაღი.[203] კერძოდ, თუ ბრალდებული/მსჯავრდებული თავს ესხმის სპეციალური პენიტენციური სამსახურის მოსამსახურეს ან სხვა პირს, ან სჩადის სხვა განზრახ მოქმედებას, რომელიც პირდაპირ, უშუალო და იმწუთიერ საფრთხეს უქმნის სპეციალური პენიტენციური სამსახურის მოსამსახურის ან სხვა პირის ჯანმრთელობას ან/და სიცოცხლეს, დასაშვებია სპეციალური პენიტენციური სამსახურის მოსამსახურის მიერ ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება, თუ აღნიშნული მოქმედების სხვა საშუალებით აღკვეთა შეუძლებელია. გამოყენებული ძალა კანონიერი მიზნისა და იმ საფრთხის პროპორციული უნდა იყოს, რომელსაც ბრალდებული/მსჯავრდებული სპეციალური პენიტენციური სამსახურის მოსამსახურეს ან სხვა პირს უქმნის. ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება დასაშვებია, აგრეთვე, ბრალდებულის/მსჯავრდებულის პენიტენციური დაწესებულებიდან ან გაყვანისას/გადაყვანისას გაქცევის ან სპეციალურ სატრანსპორტო საშუალებაზე თავდასხმის შემთხვევაში, უკიდურესი აუცილებლობიდან გამომდინარე.

ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების უფლებამოსილების მქონე პირი ვალდებულია ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შესახებ წინასწარ გააფრთხილოს შესაბამისი პირი, მისცეს გონივრული ვადა მისი კანონიერი მოთხოვნის შესასრულებლად, აგრეთვე მოახდინოს გამაფრთხილებელი გასროლა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა დაყოვნებამ შეიძლება გამოიწვიოს ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ხელყოფა, ქონების დაზიანება ან სხვა მძიმე შედეგი, ან შექმნილ სიტუაციაში ასეთი გაფრთხილება გაუმართლებელია ან შეუძლებელია.

დაუშვებელია პენიტენციური დაწესებულების ტერიტორიაზე სპეციალური პენიტენციური სამსახურის იმ მოსამსახურის მიერ ცეცხლსასროლი იარაღის ტარება ან/და შენახვა, რომელსაც უშუალო შეხება აქვს პატიმართან, აგრეთვე დაუშვებელია პენიტენციური დაწესებულების ტერიტორიაზე ცეცხლსასროლი იარაღის შეტანა, გარდა ზემოხსენებული ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებისა და პენიტენციური დაწესებულების დაცვის განხორციელების შემთხვევებისა.

---

201 საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2014 წლის 12 სექტემბრის №145 ბრძანებით დამტკიცებული წესი, მე-19 მუხლი.

202 საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2014 წლის 12 სექტემბრის №145 ბრძანებით დამტკიცებული წესი, მე-20 მუხლი.

203 საქართველოს კანონი „პატიმრობის კოდექსი“ $57^2$ მუხლი.

თავი: 9

# დისციპლინური პასუხისმგებლობა

*მეცხრე თავი*

# დისციპლინური პასუხისმგებლობა

## საერთაშორისო სტანდარტები და პრაქტიკა

ყველა კარგად ორგანიზებულ საზოგადოებას პენიტენციური დაწესებულების ჩათვლით, ესაჭიროება გარკვეული წესები და რეგულაციები, რომლებიც აღნიშნული საზოგადოების მიერ აღიქმება, როგორც სამართლიანი. პენიტენციურ დაწესებულებაში, განსაკუთრებით მაღალი რისკის დაწესებულებებში, ამგვარი რეგულაციების მიზანს წარმოადგენს თითოეული ინდივიდის, როგორც პატიმრის, ასევე თანამშრომლის უსაფრთხოების დაცვა. თითოეულ ჯგუფს აქვს აღნიშნული რეგულაციების დაცვის ვალდებულება. „პენიტენციური დაწესებულებაში უნდა არსებობდეს ნათლად ჩამოყალიბებული ზეპირი მოსმენის, დისციპლინის მოთხოვნებისა და სანქციების სისტემა, რომელთა სამართლიანად და მიუკერძოებლად გამოყენებაც ხდება არსებული წესების დარღვევის შემთხვევაში“.[204]

დისციპლინა და წესრიგი (რეჟიმი) შენარჩუნებული უნდა იქნას მტკიცე მიდგომის შედეგად, თუმცა არ უნდა იქნას გამოყენებული უფრო მეტი შეზღუდვები, ვიდრე ეს საჭიროა. დისციპლინური ფუნქციები არ უნდა ჰქონდეს გადაცემული არცერთ პატიმარს. აღნიშნული ნორმა არ უნდა ზღუდავდეს თვითმმართველობაზე დაფუძნებულ ინიციატივებს, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება სპეციფიური სოციალური, საგანმანათლებლო, სპორტული აქტივობები, შესაბამისი ზედამხედველობის განხორციელებით. აღნიშნული პროცედურები ყოველთვის რეგულირებული უნდა იქნას კანონით, ან შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადგენილი წესებით. განსაზღვრული უნდა იყოს:

- ქმედება, რაც წარმოადგენს დისციპლინურ დარღვევას;
- პასუხისმგებლობის ტიპები და ხანგრძლივობა, რომელიც შესაძლოა შეფარდებულ იქნას;
- თანამდებობის პირი, რომელსაც შეუძლია დისციპლინური სახდელის შეფარდება.

დაუშვებელია პატიმრის დასჯა კანონით დადგენილი პროცედურის გარეშე, ასევე ერთი და იგივე დარღვევისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის ორჯერ დაკისრება. პატიმარს უნდა განემარტოს, რაში ედება მას ბრალი და უნდა მიეცეს დაცვის ორგანიზების საშუალება. შესაბამისმა თანამდებობის პირმა დეტალურად უნდა შეისწავლოს დიციპლინური დარღვევის საქმე. სადაც ამის აუცილებლობა არსებობს, პატიმარს უნდა მიეცეს თარჯიმნის გამოყენების უფლება.

დისციპლინური პასუხისმგებლობის სახით არ შეიძლება გამოყენებული იქნას დისციპლინური ზემოქმედების ისეთი ზომები, რომლებმაც შესაძლოა გავლენა მოახდინონ პატიმრის ფიზიკურ ან მენტალურ ჯანმრთელობაზე.

პენიტენციურმა დაწესებულებებმა ღიად და სამართლიანად უნდა განიხილონ პატიმართა დისციპლინის საკითხები. პატიმრებისთვის ცნობილი უნდა იყოს ნებისმიერი ქმედება, რაც მიიჩნევა დარღვევად და ნებისმიერი პასუხისმგებლობის ზომა. პატიმრებს პირველივე შესაძლებლობისთანავე, წერილობით უნდა ეცნობოთ დაწესებულების დისციპლინის ხელმყოფ ნებისმიერი ქმდებაში ბრალდების შესახებ. არც ერთი პატიმრის საქმე არ უნდა იქნას განხილული, სანამ არ ეცნობება ჩადენილი დარღვევის შესახებ და არ მიეცემა დაცვის მომზადების შესაძლებლობა. დისციპლინური დარღვევის განხილვის პროცესი უნდა იყოს სამართლიანი და უნდა ეფუძნებოდეს სამართლიანობის ზოგად პრინციპებსა და პროცედურული სამართლიანობის საფუძვლებს. დასჯისა და წახალისების უფლება შესაძლოა განვიხილოთ, როგორც დაწესებულების უსაფრთხოების უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი ბერკეტი. მართალია დისციპლინური ღონისძიებები ერთი შეხედვით წარმოადგენს რეაგირებას დაწესებულებაში არსებული წესრიგის (რეჟიმის) დარღვევაზე, თუმცა მეორეს მხრივ არის პრევენციული საშუალება დისციპლინის უზრუნველსაყოფად. ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია, რომ დაწესებულების ადმინისტრაცია იყოს თანმიმდევრული, ობიექტური და დაამკვიდროს მსგავს დარღვევებზე ერთგვაროვანი რეაგირების პრაქტიკა. ამით პატიმრებისთვის ცხადი გახდება, რომ დისციპლინის დარღვევის შემთხვევაში, რეაგირება ყველას მიმართ იქნება თანაბარი. აღნიშნულის საპირისპიროდ, შერჩევითმა მიდგომამ, ან უსაფუძვლო და უსამართლო პროცედურის შედეგად დისციპლინური ზომების გამოყენებამ შესაძლოა უფრო მეტად დაძაბოს არსებული სიტუაცია და რეალური საფრთხე შეუქმნას დაწესებულების უსაფრთხოებას. პატიმარს, რომელსაც შეეფარდა დისციპლინური სახდელი უნდა განემარტოს სასჯელის მოქმედების ხანგრძლივობა და გასაჩივრების უფლება.

სამარტოო საკანში ხანგრძლივად მოთავსება, კოლექტიური სასჯელები, ბნელ საკანში მოთავსება, კვების შეზღუდვა, სენსორული შეზღუდვა და ყველა სასტიკი, არაადამიანური და დამამცირებელი

[204] “ ციხის მენეჯმენტის განხილვა ადამიანის უფლებების კუთხით, ციხის თანამშრომელთა სახელმძღვანელო, მეორე გამოცემა,ენდრიუ კოილი, 2009.

სასჯელი აკრძალული უნდა იყოს. მნიშვნელოვანია თითოეული განცალკევებული პატიმარი ყოველდღიურად მოინახულოს პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაციის თანამშრომელმა , და მაქსიმალურად ხშირად (სასურველია ყოველდღიურად) სამედიცინო პერსონალის წარმომადგენელმა. ექიმმა უნდა აცნობოს უფლებამოსილ პირს, თუ მიიჩნევს, რომ სეგრეგაციის შეწყვეტა მიზანშეწონილია ფიზიკური და მენტალური მდგომარეობიდან გამომდინარე. [205] ეს ნორმა ხელს უწყობს, რომ პატიმარს არ შეეფარდოს სახდელი, რომლის გადატანაც მას არ შეუძლია. თუმცა ეს არ გულისხმობს სახდელის გამოყენებაზე სამედიცინო დასტურის მიღებას.

ეს წესი უნდა დაბალანსდეს სამედიცინო პერსონალის სამედიცინო ეთიკის პრინციპებით, პატიმრების წამების, სხვა სასტიკი, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობისაგან ან სასჯელისაგან დაცვის საკითხში სამედიცინო პერსონალის როლის შესაბამისად. სამედიცინო პერსონალის ნებისმიერი პროფესიული კავშირი პატიმრებთან, რომლის მიზანს არ წარმოადგენს მხოლოდ მათი ფიზიკური და მენტალური ჯანმრთელობის შეფასება, დაცვა და გაუმჯობესება, ეწინააღმდეგება სამედიცინო ეთიკას. დისციპლინური ზომის გამოყენება არ უნდა იყოს პასუხი პატიმართა მხრიდან შიმშილობაზე, თვითდაზიანების მიყენებასა და თვითმკვლელობის მცდელობაზე. მართალია სიტუაცია განსხვავდება სტრესის ან მენტალური პრობლემების გამო, ცალკეული პატიმრების მიერ თვითდაზიანების მიყენებას ან თვითმკვლელობის მცდელობასა და პატიმართა ჯგუფის მხრიდან თვითდაზიანების, როგორც პროტესტის ექსტრემალური ფორმის გამოყენებას შორის, მაგრამ დისციპლინური სანქციები ორივე შემთხვევაში უადგილოა. მსგავს ზომებზე პასუხს უნდა წარმოადგენდეს ინდივიდებზე უფრო მეტი ზრუნვა და მკურნალობა, ასევე იმ მიზეზების მიმართ მეტი ყურადღება, რამაც პატიმრები მიიყვანა პროტესტის ასეთ ექსტრემალურ ფორმამდე.

დისციპლინური პასუხისმგებლობა შესაძლოა მოიცავდეს ფორმალურად გაფრთხილებას, რეკრეაციულ აქტივობებში ჩართულობის შეზღუდვას, ცალკეული ნივთების სარგებლობით, დაწესებულებაში გადაადგილების შეზღუდვას. სახდელი, რომელიც მოიცავს ოჯახთან კონტაქტის შეზღუდვას, უნდა იქნეს გამოყენებული მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი დისციპლინური გადაცდომა უკავშირდება ამ უფლების რეალიზაციის პროცესს.

ფიზიკური შეზღუდვის/დამორჩილების საშუალებები (სპეციალური საშუალებები), არ შეიძლება გამოყენებული იქნას სახდელის (სასჯელის) სახით. ასევე არ უნდა ხდებოდეს სახდელის სახით საკვებისა და წყლის შეზღუდვის გამოყენება.

**დისციპლინისა და დასჯის საკითხებთან დაკავშირებით,** *ციხის ევროპული წესები აღნიშნავს: „დისციპლინური პროცედურები უნდა წარმოადგენდეს ზემოქმედების უკანასკნელ ზომას. სადაც შესაძლებელელია ციხის თანამშრომლებმა უნდა გამოიყენონ აღდგენითი მართლმსაჯულება და მედიაცია პატიმრებს შორის და პატიმრებსა და ადმინისტრაციას შორის დავების გადასაწყვეტად ... დისციპლინურს დარღვევას შეიძლება წარმოადგენდეს მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელიც საფრთხეს უქმნის არსებულ წესრიგსა და უსაფრთხოებას.“*

**დისციპლინური პროცედურების ძირითადი პრინციპები:**

*სამართლიანობა*

ადმინისტრაციული სამართალწარმოების ნებისმიერი სფეროს მსგავსად, მნიშვნელოვანია, რომ დაცული იყოს სამართლიანობის ზოგადი პრინციპი. პირველ რიგში, პატიმრებმა წინასწარ უნდა იცოდნენ დაწესებულებაში მოქმედი წესები და რეგულაციები. ეს ნიშნავს, რომ ყველა პენიტენციურ დაწესებულებას უნდა ჰქონდეს რეგულაციები, რომლებიც აღწერს ქმედებებს, გადაცდომებს, რომლებიც წარმოადგენს პენიტენციური დაწესებულების დისციპლინის დარღვევას და რომლებიც იწვევს ფორმალურ დისციპლინურ სანქციებს. წესები უნდა გამოქვეყნდეს დაწესებულებაში და თითოეულ პატიმარს უნდა გადაეცეს აღნიშნული რეგულაციების წერილობითი ასლი. მიღებული უნდა იქნას ზომები, რომ პატიმრებს, რომლებმაც არ იციან წერა-კითხვა, სრულად ესმოდეთ აღნიშნული რეგულაციების შინაარსი.

პენიტენციური დაწესებულების წესები და პროცედურები უნდა იყოს ნათელი და კარგად უნდა იცოდეს ყველა პატიმარმა და თანამშრომელმა. უნდა არსებობდეს შესაბამისი დისციპლინური პასუხისმგებლობის პროცედურა, გასაჩივრების პროცედურის ჩათვლით. [206]

[205] ავსტრალიაში პენიტენციური სისტემის სტანდარტული სახელმძღვანელო.

[206] ციხის ლიდერების სახელმძღვანელო, UN 2010, Vivienne Chin, სისხლის სამართლის რეფორმისა და სისხლის სამართლებრივი პოლიტიკის

### *შესაბამისი პროცედურების დაცვა*

ნებისმიერმა პატიმარმა, რომელსაც ბრალი ედება დისციპლინის დარღვევაში, უნდა იცოდეს ვინ და რაში სდებს მას ბრალს. ნებისმიერი ბრალდება განხილული უნდა იქნას გაუჭიანურებლად, შესაბამისი თანამდებობის პირის მიერ. პატიმარს უნდა მიეცეს საკმარისი დრო დაცვის მოსამზადებლად. მას შესაძლოა დასჭირდეს დრო მტკიცებულებების მოსაგროვებლადაც, თუმცა ეს არ უნდა იქნას გამოყენებული პროცედურის გაჭიანურების მიზნით, განსაკუთრებით, თუ პატიმარი მოსმენის გამართვამდე იზოლირებულია. ასეთ შემთხვევაში, ნებისმიერი უსაფუძვლო გაჭიანურება უთანაბრდება სასჯელის არაფორმალურ სახეს.

### საქმის განხილვა კომპეტენტური თანამდებობის პირის მიერ

საქმე უნდა განიხილოს კომპეტენტურმა თანამდებობის პირმა. ზოგან ამ მიზნით ინიშნება მაგისტრატი ან სპეციალური მოსამართლე, რომელიც განიხილავს პენიტენციურ დაწესებულებაში დისციპლინური დარღვევების საქმეებს. ამ ფორმის უპირატესობა გულისხმობს სასამართლოს თავისუფლებას და ქმნის პროცედურების სრულად დაცვის მეტ გარანტიას. თურქეთში არსებობს დისციპლინური დარღვევების განმხილველი დამოუკიდებელი საბჭო, ინგლისსა და უელსში მსგავსი საქმეები განიხილება პენიტენციური დაწესებულების დირექტორის, ან უფრო სერიოზული ხასიათის დარღვევის შემთხვევაში მოსამართლის მიერ. იმ ქვეყნებში, სადაც დისციპლინის დარღვევის საქმეები განიხილება დაწესებულების თანამდებობის პირების მიერ, მნიშვნელვანია, რომ მათ გავლილი ჰქონდეთ შესაბამისი გადამზადება.

### დაცვის მომზადება

ყველა შემთხვევაში, პატიმარი, რომელსაც ბრალი ედება დისციპლინური დარღვევის ჩადენაში, მიზანშეწონილია ესწრებოდეს მისი საქმის ზეპირ მოსმენას. მათ უნდა მოისმინონ რა მტკიცებულებები არსებობს და უნდა ჰქონდეთ უფლება კითხვები დაუსვან საქმის წარმდგენ თანამშრომელს. თუ გარკვეული მიზეზების გამო, პატიმარი არ არის ქმედუნარიანი დაიცვას თავი, მას დახმარებისთვის შეუძლია მოიწვიოს სხვა პირი. თუ საქმე რთულია, ან მოსალოდნელია მკაცრი დისციპლინური ღონისძიების გამოყენება, მიღებული უნდა იქნას ზომები პატიმრის დამცველით უზრუნველყოფის შესახებ.

### გასაჩივრების უფლება

თუ პატიმარი ბრალეულად იქნა ცნობილი დისციპლინური დარღვევის ჩადენაში, მას უნდა ჰქონდეს გადაწყვეტილების უფრო მაღალ თანამდებობის პირთან გასაჩივრების უფლება.

ციხის ევროპული წესების თანახმად, „პატიმარს, რომელიც ბრალეულად იქნა მიჩნეული დისციპლინური დარღვევის ჩადენაში უნდა შეეძლოს გადაწყვეტილების ზემდგომ დამოუკიდებელ და კომპეტენტურ პირთან გასაჩივრება“. მაგალითად ინგლისსა და უელსში, თუ პატიმარი, ან თანამშრომელი მიიჩნევს, რომ დისციპლინური სახდელი იყო უსამართლო, უკანონო ან არ იქნა შეფარდებული პროცედურების დაცვით, მათ შეუძლიათ აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია მიაწოდონ დირექტორს. თუ დირექტორი საჭიროდ მიიჩნევს და სახდელი თავდაპირველად მის მიერ იქნა შეფარდებული, შესაძლოა გაუქმდეს დისციპლინური პასუხისმგებლობა. თუ სასჯელი დამოუკიდებელი ორგანოს მიერ იქნა შეფარდებული, შესაძლოა მოხდეს მისი გასაჩივრება რაიონის მთავარ მოსამართლესთან.

### არაფორმალური გაფრთხილებები

ზოგიერთ პენიტენცურ დაწესებულებაში, ფორმალური დისციპლინური პროცედურების გამოყენებამდე, მცირე გადაცდომებისთვის მიღებულია არაფორმალური გაფრთხილებების გამოყენება. ეს შესაძლოა სასარგებლო იყოს, რათა მოხდეს პატიმრის გაფრთხილება, რომ მისი ქცევა არ შეესაბამება წესებს. თუმცა მიღებულ უნდა იქნას ზომები, რომ ამგვარი გაფრთხილების გამოყენება მოხდეს სამართლიანად. ასეთმა პრაქტიკამ არ უნდა მისცეს დასაბამი არაოფიციალური სანქციების სისტემის შემოღებას.

### სახდელი (სასჯელი) უნდა იყოს სამართლიანი და პროპორციული

დისციპლინური დარღვევების მკაფიოდ განსაზღვრულ ჩამონათვალს, თან უნდა ახლდეს იმ დისციპლინური სანქციების ჩამონათვალი, რომელთა გამოყენებაც შესაძლოა მოყვეს მათ ჩადენას. ეს ჩამონათვალი ასახული უნდა იყოს შესაბამისი წესით დამტკიცებულ სამართლებრივ აქტში.

---

საერთაშორისო ცენტრი, ვანკუვერი, კანადა, **Robert E. Brown**-ის**, Yvon Dandurand**-ისა და **Eric McAskill**-ის ხელშეწყობით**.**

### *დასჯა ინდივიდუალურ საფუძველზე*

პატიმრის მიმართ დისციპლინური ღონისძიებები შესაძლოა გამოყენებული იქნას, მხოლოდ დადგენილი პროცედურების შედეგად ბრალის დადასტურების შემთხვევაში. ამგვარი ზეპირი მოსმენები უნდა ჩატარდეს ინდივიდუალურად. მაგალითად, თუ ადგილი ჰქონდა წესების მასობრივ დაუმორჩილებლობას პატიმრათა მხრიდან, თითოეულის საქმე ინდივიდუალურად უნდა იქნას განხილული და დისციპლინური ზომების გამოყენება უნდა განხორციელდეს ინდივიდუალური მიდგომით.

### *ერთი და იმავე დარღვევისთვის ორჯერ დასჯის დაუშვებლობა*

არცერთ პატიმარს არ შეიძლება ორჯერ დაეკისროს დისციპლინური ზომა ერთი და იგივე ქმედებისთვის. ეს ნიშნავს, რომ თუ დისციპლინის დარღვევა, მაგ: შეურაცხყოფის ან გაქცევის მცდელობის საქმის განხილვა გადაეცა სასამართლოს დაწესებულების ფარგლებს გარეთ, ამას აღარ უნდა მოყვეს დისციპლინური სანქციის გამოყენება დაწესებულებაში.

### *სამარტოო საკანი, როგორც დისციპლინური ზომა*

სამარტოო საკანში მოთავსება არის ტერმინი, რომელიც ასახავს ინდივიდების ფიზიკურ იზოლაციას, დღეში 22-დან 24 საათის განმავლობაში. ამგვარი რეჟიმების უმრავლესობაში პატიმრებს ეძლევათ მხოლოდ ერთი საათით საკნის დატოვებისა და სხვებთან კონტაქტის გარეშე გასეირნების შესაძლებლობა. სხვა პირებთან კონტაქტი როგორც წესი მინიმუმამდეა შეზღუდული.

გასულ ათწლეულში სამარტოო საკანში მოთავსება აქტიურად გამოიყენებოდა განსაკუთრებული მაღალი რისკის მქონე პატიმრების მიმართ. ზოგიერთ დაწესებულებაში არსებობდა მცირე ჯგუფების იზოლირების პრაქტიკა, სადაც საშიშ და მაღალი რისკის მქონე პატიმრებად მიჩნეული პირები თავსდებოდნენ მცირე ზომის, მაღალი უსაფრთხოების განყოფილებებში, სადაც მათ გარდა განთავსებულ 1-დან 5-მდე პატიმართან ჰქონდათ შეზღუდული კომუნიკაცია, ძირითადად ერთსაათიანი გასეირნების დროს.

ბრაზილიაში, სამარტოო საკანში მოთავსება, რომელსაც უწოდებენ სპეციალურ დისციპლინურ რეჟიმს, გამოიყენება როგორც დისციპლინური ზომა, პატიმართა მიერ საშიში დარღვევების ჩადენის შემთხვევაში. იზოლაცია და სამარტოო საკანში მოთავსება შეიცავს მაღალ რისკებს ადამიანის უფლებების დარღვევის თვალსაზრისით. ხშირად მოწმეთა არარსებობის გამო, აღნიშნული მდგომარეობა ქმნის წამებისა და არასათანადო მოპყრობის სხვა ფორმების შეუმჩნევლად დარჩენის, მათი გამოვლენის გაძნელების რისკს. ხანგრძლივი დროით სამარტოო საკანში მოთავსება (ან სხვა ფორმით იზოლირება) თავისთავად შესაძლოა გაუთანაბრდეს წამებას ან სხვა სასტიკ, არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს პატიმრის ჯანმრთელობაზე. სამედიცინო კვლევამ აჩვენა, რომ ადამიანებთან კონტაქტის შეზღუდვამ შესაძლოა გამოიწვიოს „იზოლაციის სინდრომი", რომლის სიმპტომებსაც წარმოადგენს შფოთვა, დეპრესია, ბრაზი, კოგნიტური დარღვევები, აღქმითი დარღვევები, პარანოია, ფსიქოზი, თვითდაზიანება და სუიციდი, შეიძლება დაანგრიოს ადამიანის პიროვნულობა.

სამარტოო საკანში მოთავსების გამოყენებისა და შედეგების შესახებ ე.წ „სტამბულის პროტოკოლში" აღნიშნულია: „სამარტოო საკანში მოთავსება, შესაძლოა გამოიწვიოს სერიოზული ფიზიოლოგიური, ზოგჯერ კი ფსიქოლოგიური შედეგები. შედეგების გრძელი სია მოიცავს სიმპტომებს უძილობითა და დაბნეულობით დაწყებული, ჰალუცინაციებითა და ფსიქოზით დამთავრებული, რაც დოკუმენტურად არის დადასტურებული. ჯანმრთელობაზე უარყოფითი გავლენა შესაძლოა ცხადი გახდეს სამარტოო საკანში მხოლოდ რამდენიმე დღით მოთავსების შემდეგაც, ჯანმრთელობის რისკები იზრდება თითოეული შემდგომი დღის ასეთ პირობებში გატარების შედეგად. ... მთავარი ზიანის მომტანი ფაქტორი არის, სოციალური კონტაქტების ისეთ დონეზე შემცირება, რომ ბევრისთვის ეს არასაკმარისია ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის შესანარჩუნებლად."1

წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი (წპკ) განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სამარტოო საკანში მოთავსების საკითხს ან სხვა მსგავს პირობებს. „სამარტოო საკანში მოთავსება, ცალკეულ შემთხვევებში შესაძლოა უთანაბრდებოდეს არადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას; ნებისმიერ შემთხვევაში, სამარტოო საკანში მოთავსების ყველა ფორმა უნდა იყოს რაც შეიძლება ხანმოკლე".

### **აკრძალულია მგრძნობელობის შეზღუდვა და ბნელ საკანში მოთავსება**

არსებობს სამარტოო საკანში მოთავსების სხვადასხვა ფორმა. ყველაზე ექსტრემალურ ფორმას წარმოადგენს პატიმრის იზოლაცია მგრძნობიარობის/აღქმის უნარის შეზღუდვით, როდესაც მას

ეზღუდება დღის შუქის, სუფთა ჰაერის მიღება, ე.წ. „ბნელ საკანში" მოთავსებით. იზოლაციის ასეთი ფორმა არასოდეს უნდა იქნას გამოყენებული სახდელის (სასჯელის) სახით. იგივე ეხება მსგავს პირობებში პატიმართა მცირე ჯგუფების მოთავსებასაც.

**ყოველდღიური მონიტორინგი**

სამარტოო საკანში მოთავსების მეორე ფორმას განეკუთვნება პატიმრის განცალკევებით მოთავსება დღის სინათლისა და სუფთა ჰაერის შეუზღუდავად, როდესაც მას შესაძლებლობა არ აქვს გაიგოს სხვა პატიმართა გადადგილება ახლოს მდებარე ტერიტორიებზე. ასეთი ფორმა გამოყენებული უნდა იქნას მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, მოკლე დროით. მსგავს შემთხვევებში, პატიმრები რეგულარულად უნდა მოინახულოს ექიმმა, რათა შეამოწმოს ხომ არ აქვს ადგილი მისი ჯანმრთელობის გაუარესებას. ჯანმრთელობის გაუარესების შემთხვევაში, სახდელის აღსრულება უნდა შეწყდეს.

1982 წლის სასამართლო მსჯელობაში, ადამიანის უფლებათა ევროპულმა კომისიამ გარკვევით ისაუბრა, ასეთი სასჯელის (სახდელის) შედეგებზე - „.სრულ სენსორულ იზოლაციას, რომელსაც ახლავს სრული სოციალური იზოლაცია შეუძლია გაანადგუროს ადამიანი. *ეს წარმოადგენს მოპყრობას, რომელიც შეუძლებელია გამართლებულ იქნას უსაფრთხოების მოთხოვნებით ან ნებისმიერი სხვა მიზნით".*

**წამების პრევენციის კომიტეტის მოსაზრება დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ**

*„2012 წლის ვიზიტის შემდეგ, პატიმრობის კოდექსში შეტანილმა ცვლილებებმა დისციპლინური ღონისძიებების კატალოგს დაუმატა პაემნების, სატელეფონო საუბრების, ტელევიზორსა და მიმოწერაზე წვდომის უფლებების აკრძალვა. ამ კუთხით, წპკ-ს სურს აღნიშნოს, რომ ოჯახთან კავშირის აკრძალვა დისციპლინური ღონისძიების სახით უნდა გამოიყენებოდეს, მხოლოდ მაშინ, თუ დარღვევა უკავშირდება ამ ტიპის კონტაქტებს და გამოყენებული უნდა იქნას მხოლოდ უმოკლესი ვადით (რამდენიმე დღის და არა კვირის ან თვის განმავლობაში).*

*აღნიშნული ცვლილებები განსაკუთრებული შეშფოთების საფუძველს იძლევა, რადგან ხანგრძლივი დროის მანძილზე მათმა გამოყენებამ ზოგიერთ შემთხვევაში გამოიწვია სამარტოო საკნის რეჟიმის მსგავსი პირობების შექმნა. წპკ გასცემს რეკომენდაციას ამ მიმართულებით მოხდეს გარკვეული ცვლილებების შეტანა პატიმრობის კოდექსში.*

*ვიზიტის განხორციელების პერიოდში კვლავ ძალაში იყო დისციპლინური (ადმინისტრაციული) პატიმრობის სანქცია (რომელიც ემატებოდა სასჯელის ვადას), მაქსიმუმ 60 დღემდე ვადით. წპკ-ს ეცნობა, რომ იგეგმებოდა მოცემული სანქციის გამოყენების შეზღუდვა და მისი გამოყენება მხლოოდ დახურულ და მაღალი რისკის დაწესებულებებში.*
*მართალია ეს არის სწორი მიმართულებით გადადგმული ნაბიჯი, თუმცა წპკ-ს მიაჩნია, რომ შესაბამისმა თანამდებობის პირებმა უნდა იფიქრონ აღნიშნული სანქციის გაუქმებაზე. წპკ-ს ასევე ეცნობა, რომ იგეგმებოდა დისციპლინური ღონისძიების სახით სამარტოო საკანში მოთავსების ხანგრძლივობის შემცირება 20-დან 14 დღემდე. კომიტეტი მიესალმება ამგვარ ცვლილებას, რაც ხელს შეუწყობს საქართველოს კანონმდებლობის წპკ-ს სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანს. წპკ ელოდება დასტურს, აღნიშნული ცვლილების მიღებისა და ძალაში შესვლის შესახებ.*

*ფორმალური დისციპლინური სანქციების გამოყენების სიხშირე განსხვავებული იყო მონახულებულ პენიტენციურ დაწესებულებებში ... წპკ გაოცებული იყო დისციპლინური სანქციების ხშირი გამოყენებით #... დაწესებულებაში, მათ შორის პატიმართა დიდი ნაწილის მიმართ გამოყენებული იყო ხანგრძლივი დისციპლინური ღონისძიებები დაწესებულებაში მათი მოხვედრის დღიდან. წპკ გაოცებულია, ასავე იმ დარღვევების მცირე ნიშვნელობით, რის საფუძველზეც ხდებოდა დისციპლინური ხასიათის ექსტრემალური ზომების გამოყენება (ხმამაღალი საუბარი).*

*წპკ-ს დარჩა შთაბეჭდილება, რომ ეს კეთდებოდა პატიმრების დასჯისა და მათზე ფსიქოლოგიური ზეწოლის განხორცილების მიზნით. წპკ-ს მიაჩნია, რომ დისციპლინური სასჯელების მოცემული სისტემა, ხელს უწყობს პატიმრებსა და თანამშრომლებს შორის დაძაბულობას და არსებული პრობლემების დამძიმებას; აქედან გამომდინარე, მოულოდნელობას არ წარმოადგენს, რომ ზოგიერთი პატიმარი მიმართავს პროტესტის ისეთ ფორმას, როგორიცაა შიმშილობა და თვითდაზიანება.*

*დელეგაციის მიერ გამოკითხულ პატიმართა უმრავლესობა (რომელთა მიმართაც გამოყენებული იქნა დისციპლინური ღონისძიებები) აღნიშნავდნენ, რომ არ ხდებოდა ფორმალური დისციპლინური პროცედურების დაცვა. კერძოდ, არ იმართებოდა ზეპირი განხილვა, პატიმრებს არ ეძლეოდათ თავიანთი მოსაზრების გამოთქმის შესაძლებლობა, არ მიეწოდებოდათ ინფორმაცია გამოყენებული დისციპლინური ზომის საფუძვლისა და ხანგრძლივობის შესახებ, არ განემარტებოდათ დამცველის ყოლისა და გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება; არცერთ პატიმარს არ გადაცემია წრილობითი გადაწყვეტილების ასლი. წპკ გასცემს რეკომენდაციას, რომ გადაიდგას ნაბიჯები დისციპლინური ღონისძიებების გამოყენების დროს ფორმალური პროცედურების ეფექტურად დაცვის შესახებ.*

*ვიზიტის დღეს #... დაწესებულებაში 7 პატიმარი იყო მოთავსებული სამარტოო საკანში. ამ პირთა სამარტოო საკანში მოთავსების კრიტერიუმები არ იყო ნათელი, საფუძვლიანი და გამჭვირვალე, შესაბამისი პროცედურები არ იქნა დაცული. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, წპკ თავისი 21-ე ზოგადი ანგარიშის საფუძველზე გასცემს რეკომენდაციას, რომ საქართველოში მოქმედი კანონი და არსებული პრაქტიკა შეიცვალოს.* [207]

**რას გვეუბნება საერთაშორისო სტანდარტები**

**პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები**

**წესი 36**
დისციპლინა და წესრიგი უნდა შენარჩუნდეს უსაფრთხო პატიმრობის, ციხის უსაფრთხო ადმინისტრირებისა და გამართული საზოგადოებრივი ცხოვრების უზრუნველსაყოფად აუცილებელ შეზღუდვებზე დამატებითი შეზღუდვების გარეშე.

**წესი 37**
ჩამოთვლილი ქმედებები ყოველთვის უნდა ექვემდებარებოდეს კანონს ან კომპეტენტური ადმინისტრაციული ორგანოს რეგულაციას:
(ა) ქმედება, რომელიც წარმოადგენს დისციპლინურ გადაცდომას;
(ბ) სანქციის ტიპი და ხანგრძლივობა, რომელიც შეიძლება დაეკისროს პირს;
(გ) ასეთი სანქციების დაწესებაზე კომპეტენტური ორგანო;
(დ) ციხის ძირითადი კონტიგენტისაგან ნებისმიერი ფორმით არანებაყოფლობითი განცალკევება, როგორიცაა სამარტოო საკანში მოთავსება, იზოლაცია, სეგრეგაცია, სპეციალური განყოფილებები და შეზღუდული ბინადრობა, მიუხედავად იმისა, რა მიზეზით გამოიყენება ის - როგორც დისციპლინური სანქცია თუ წესრიგისა და უსაფრთხოების შენარჩუნების მექანიზმი, მათ შორის არსებული პოლიტიკისა და პროცედურების გამოქვეყნება, რომელიც არეგულირებს ნებისმიერი სახის არანებაყოფლობითი განცალკევების გამოყენებას და გადახედვას, მის დაწესებას და მისგან გათავისუფლებას.

**წესი 38**
1. დისციპლინური დანაშაულების პრევენციის ან კონფლიქტების გადაჭრის მიზნით, ციხეების ადმინისტრაციებმა შეძლებისდაგვარად უნდა გამოიყენონ კონფლიქტის პრევენცია, მედიაცია ან დავის გადაჭრის სხვა ალტერნატიული მექანიზმები.
2. იმ პატიმრების შემთხვევაში, რომელთა მიმართაც გამოყენებული იქნა განცალკევება, ციხის ადმინისტრაციამ უნდა მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა, გათავისუფლების შემდეგ, იზოლაციით გამოწვეული მავნე ზეგავლენის შესამცირებლად როგორც პატიმრებზე ასევე საზოგადოებაზე.

[207] წამების, სასტიკი და არაადამიანური მოპყრობისა და სასჯელის პრევენციის ევროპული კომიტეტის(CPT) 2015 წლის ანგარიში საქართველოში ვიზიტთან დაკავშირებით.

**წესი 39**

1. 37-ე წესში აღნიშნული რეგულაციებისა და სამართლიანობისა და სამართლიანი პროცესის პრინციპებით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, არ შეიძლება დაისაჯოს არცერთი პატიმარი. დაუშვებელია, პატიმრის ერთი და იმავე დანაშაულისთვის ორჯერ დასჯა.
2. ციხის ადმინისტრაციამ უნდა უზრუნველყოს პროპორციულობა დისციპლინურ სახდელსა და იმ გადაცდომას შორის, რომლისთვისაც ის დაეკისრა პატიმარს და აწარმოოს ჟურნალი ნებისმიერი დაკისრებული სასჯელის შესახებ.
3. დისციპლინური სასჯელის დაკისრებამდე, ციხის ადმინისტრაციამ უნდა გათვალოს, რამდენად შეიძლებოდა პატიმრის ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობას ან განვითარების დარღვევას ემოქმედა მის ქცევასა და დანაშაულებრივ ქმედებაზე ან ქმედებაზე, რომელიც საფუძვლად დაედო დისციპლინურ სახდელს. დაუშვებელია, ციხის ადმინისტრაციამ სასჯელი დაუწესოს პატიმარს რაიმე სახის ქმედებისთვის, თუ ეს ქმედება პირდაპირი შედეგია მისი ფსიქიკური დაავადების ან შეზღუდული გონებრივი შესაძლებლობების.

**წესი 40**

1. არ შეიძლება, რომ პატიმრებს დისციპლინური წესით სასჯელის ფორმად დაენიშნოს საპატიმრო დაწესებულების მომსახურება.
2. თუმცა ამ წესმა ხელი არ უნდა შეუშალოს თვითმმართველობის სისტემის სათანადო ფუნქციონირებას, რომლის დროსაც პასუხისმგებლობა გარკვეული სახით სოციალურ, აღმზრდელობით ან სპორტულ საქმიანობაზე ეკისრებათ თავად პატიმრებს, რომლებიც ზედამხედველობის ქვეშ მუშაობენ მათი გამოსწორების მიზნით შექმნილ ჯგუფებში.

**წესი 41**

1. პატიმრის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შესახებ ნებისმიერი ეჭვის არსებობის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს შესაბამის ორგანოს, რომელმაც გამოძიება უნდა დაიწყოს გაუმართლებელი გაჭიანურების გარეშე.
2. აუცილებელია, პატიმარს დაუყოვნებლივ და მისთვის გასაგებ ენაზე მიეწოდოს ინფორმაცია მისთვის წაყენებული ბრალის ბუნების შესახებ და მიეცეს ადეკვატური დრო, მოემზადოს დაცვისთვის.
3. პატიმარს უნდა ჰქონდეს უფლება თავად დაიცვას თავი, ან იურიდიული დახმარების საშუალებით, როდესაც ეს მართლმსაჯულების ინტერესებშია, განსაკუთრებით სერიოზული დისციპლინური სახდელის შემთხვევაში. იმ შემთხვევაში, თუ პატიმრებს არ ესმით ან ვერ ლაპარაკობენ დისციპლინური მოსმენის დროს გამოყენებულ ენაზე, მათ უნდა მიიღონ თარჯიმნის მომსახურება უფასოდ.
4. პატიმარს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, მოითხოვოს სასამართლოს მიერ მის მიმართ დაწესებული სანქციის გადახედვა.
5. იმ შემთხვევაში, თუ დისციპლინური დარღვევა მიჩნეულია დანაშაულად, პატიმარს უფლება აქვს ისარგებლოს ყველა პროცესუალური გარანტიით, რომელიც გამოიყენება სისხლის სამართლის საქმისწარმოების დროს, მათ შორის, შეუზღუდავი კავშირი დამცველთან.

**ციხის ევროპული წესები**

**დისციპლინა და დასჯა**

56.1 დისციპლინური სასჯელი გამოყენებულ უნდა იქნას როგორც უკიდურესი საშუალება;

56.2 ციხის ადმინისტრაციამ უნდა გამოიყენოს მედიაციის ყველა შესაძლებლობა, რათა გადაჭრას კამათი პატიმრებთან და პატიმრებს შორის.

57.1 მხოლოდ ქმედება რომელიც საფრთხეს უქმნის წესრიგს, უსაფრთხოებას და უშიშროებას, შეიძლება ჩაითვალოს როგორც დისციპლინური გადაცდომა.

57.2 ეროვნული კანონმდებლობა უნდა განსაზღვრავდეს რომ:

ა. პატიმარი დაუყოვნებლივ იყოს ინფორმირებული იმ ენაზე რომელიც გასაგებია მისთვის და დეტალურად ჰქონდეს მიწოდებული ინფორმაცია იმ დანაშაულის შესახებ, რომელშიც ედება ბრალი;

ბ. პატიმარს გააჩნდეს ადეკვატური დრო და შესაძლებლობა რათა მოემზადოს დასაცავად;

გ. პატიმარი იყოს უფლებამოსილი დაიცვას თავი თვითონ ან ადვოკატის მეშვეობით, როდესაც სამართლიანობის ინტერესები ამას მოითხოვს;
დ. პატიმარი იყოს უფლებამოსილი მოითხოვოს დამსწრეების დასწრება და მოითხოვოს მათი დაკითხვა და;
ე. პატიმარს გააჩნდეს თავისუფალი ხელმისაწვდომობა თარჯიმანზე თუ მას არ შეუძლია გაიგოს ან ისაუბროს იმ ენაზე, რომელიც გამოიყენება სასამართლო მოსმენისას.

60.1 ნებისმიერი სასჯელი, რომელიც შეფარდებული აქვს მსჯავრდებულს სასამართლოს გამატყუნებელი განაჩენის შემდეგ, შესაბამისობაში უნდა იყოს ეროვნულ კანონმდებლობასთან.
60.2 ნებისმიერი სასჯელის სიმკაცრე უნდა იყოს პროპორციული ჩადენილ დანაშაულთან.
60.3 დასჯის თვალსაზრისით აკრძალულია: კოლექტიური და სხეულებრივი სასჯელი, დასჯა, რომელიც ითვალისწინებს ბნელ საკანში პირის მოთავსებას, ან სხვა არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა დასჯის თვალსაზრისით აკრძალულია.
60.4 სასჯელი არ შეიძლება მოიცავდეს ოჯახთან კონტაქტის სრულად აკრძალვას.
60.5 სასჯელის სახით კარცერში მოთავსება პატიმარს შეიძლება შეეფარდოს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში და მხოლოდ დროის განსაზღვრული პერიოდისათვის, რომელიც უნდა იყოს რაც შეიძლება ხანმოკლე.
60.6 დაუშვებელია უშიშროების ღონისძიების გამოყენება სასჯელის სახით.
61.1 პატიმარს რომელსაც შეფარდებული აქვს დისციპლინური სასჯელი, უნდა გააჩნდეს შესაძლებლობა მიმართოს კომპეტენტურ და დამოუკიდებელ უმაღლეს ორგანოს.

61.2 ციხეში მყოფი პატიმარი არ შეიძლება იყოს დაწესებულების თანამშრომელი, ან გააჩნდეს სპეციალური უფლებამოსილება მიცემული დაწესებულების ადინისტრაციის მიერ რაიმე დისციპლინური დამსახურების საფუძველზე.

**ორმაგი საშიშროება/საფრთხე**

პატიმარი არ შეიძლება დაისაჯოს ორჯერ ერთი და იმავე ქმედებისათვის

## ადგილობრივი კანონმდებლობა

დისციპლინურ დარღვევად მიიჩნევა ქმედება, რომელიც არღვევს პენიტენციური დაწესებულების დებულებას, ზიანს აყენებს წესრიგსა და უსაფრთხოებას და არ შეიცავს დანაშაულის ნიშნებს, კერძოდ:

- სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დარღვევა;
- ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების წესების დარღვევა;
- დაწესებულების მოსამსახურისა და სხვა უფლებამოსილი პირისადმი მათ მიერ სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას დაუმორჩილებლობა ან მათთვის სხვაგვარი წინააღმდეგობის გაწევა;
- განზრახი ქმედების ჩადენა, რომელიც საფრთხეს უქმნის სხვა პირის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას, აგრეთვე სხვა პირის ღირსებისა და ხელშეუხებლობის შელახვა;
- დაწესებულების ან სხვა პირის ქონების დაზიანება/განადგურება, მათ შორის, მისი ვიზუალური მხარის ცვლილებით;
- დაწესებულების მიერ დადგენილი გადაადგილების შეზღუდვების/ საზღვრების უნებართვოდ გადაკვეთა;
- დაწესებულების ტერიტორიაზე სარგებლის მიღების მიზნით საქმიანობა ადმინისტრაციის ნებართვის გარეშე;
- დაწესებულების ტერიტორიაზე განთავსებულ მოწყობილობათა/სისტემების ფუნქციონირებაში ადმინისტრაციის ნებართვის გარეშე ჩარევა, შენობა-ნაგებობების დიზაინსა და ფუნქციებში ცვლილებების თვითნებურად შეტანა;
- დაწესებულების ტერიტორიაზე აკრძალული ნივთის დამზადება, ფლობა ან სარგებლობა;
- ხმაური ან სხვაგვარი ქმედება, რომელიც არღვევს წესრიგს და ხელს უშლის დაწესებულების ნორმალურ ფუნქციონირებას;
- ნებისმიერი სახის ინფორმაციის უკანონო ფორმით მიწოდება საკნიდან საკანში ან დაწესებულების გარეთ;
- დაწესებულების დებულების, დაწესებულებაში დადგენილი დღის განრიგისა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა ნორმების დარღვევა.[208]

პენიტენციური დაწესებულება უფლებამოსილია დისციპლინური დარღვევისათვის განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მყოფი მსჯავრდებულის მიმართ გამოიყენოს დისციპლინური სახდელის შემდეგი სახეები:

- გაფრთხილების მიცემა;
- კუთვნილი ხანმოკლე პაემნის აკრძალვა არაუმეტეს წელიწადში 6-ჯერ, მაგრამ არაუმეტეს ზედიზედ 2-ჯერ;
- სატელეფონო საუბრის უფლების შეზღუდვა არაუმეტეს 3 თვის ვადით;
- პირადი კორესპონდენციის მიღება-გაგზავნის უფლების შეზღუდვა არაუმეტეს 3 თვის ვადით.

სატელეფონო საუბრისა და პირადი კორესპონდენციის მიღება-გაგზავნის უფლების შეზღუდვის ვადა 1 წლის განმავლობაში არ უნდა აღემატებოდეს 6 თვეს. ამასთან, პირადი კორესპონდენციის მიღება-გაგზავნის უფლების შეზღუდვა არ ვრცელდება იმ კორესპონდენციაზე, რომლის ადრესატი ან ადრესანტი არის საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, საქართველოს პრემიერ-მინისტრი, საქართველოს პარლამენტის წევრი, სასამართლო, ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლო, საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც შექმნილია საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებული ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროს საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე, საქართველოს სამინისტრო, დეპარტამენტი, საქართველოს სახალხო დამცველი, დამცველი, პროკურორი.[209]

მსჯავრდებულს, რომელსაც ბრალად ედება დისციპლინური დარღვევის ჩადენა, უფლება აქვს:

- მისთვის გასაგებ ენაზე ეცნობოს დარღვევის არსი და საფუძველი;
- ჰქონდეს საკმარისი დრო და საშუალება დაცვის მოსამზადებლად საქმის ზეპირი მოსმენით განხილვის შემთხვევაში;
- ისარგებლოს იურიდიული დახმარებით, თუ ამას თავად მოითხოვს საქმის ზეპირი მოსმენით განხილვის შემთხვევაში;
- მოითხოვოს დისციპლინურ განხილვაზე მოწმეთა დასწრება და დაკითხოს მოწმეები საქმის ზეპირი მოსმენით განხილვის შემთხვევაში;

[208] საქართველოს კანონი „პატიმრობის კოდექსი", მე-80 მუხლი.
[209] საქართველოს კანონი „პატიმრობის კოდექსი" $66^5$ მუხლი, მე-16 მუხლის მე-6 ნაწილი.

- ისარგებლოს თარჯიმნის უფასო მომსახურებით, თუ მას არ ესმის სამართალწარმოების ენა.[210]

დისციპლინური დარღვევის საქმის განხილვა და შესაბამისი განკარგულების მიღება ხორციელდება კანონით დადგენილი წესით.[211] დისციპლინური დარღვევის საქმეს ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილავს პენიტენციური დაწესებულების დირექტორი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი, ხოლო თუ დაწესებულების დირექტორი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი მიიჩნევს, რომ საკითხის გადასაწყვეტად საჭიროა დამატებითი ინფორმაციის მიღება, მას უფლება აქვს, საქმე ზეპირი მოსმენით განიხილოს. ზეპირი მოსმენის დროს მსჯავრდებულს უნდა ჰქონდეს დაჯდომისა და ჩანაწერების გაკეთების საშუალება. ზეპირი სხდომა დისციპლინური სახდელის გამოყენების შესახებ შეიძლება გაგრძელდეს ზეპირი მოსმენის გარეშე და გადაწყვეტილება მიღებულ იქნეს, თუ მსჯავრდებული თავისი ქმედებით არღვევს წესრიგს, არ ცხადდება სხდომაზე ან სხვაგვარად უშლის ხელს სხდომის მიმდინარეობას.

მსჯავრდებულს განემარტება უფლება - მისცეს ახსნა-განმარტება, წარადგინოს მტკიცებულებები, განაცხადოს შუამდგომლობა, გამოვიდეს მშობლიურ ენაზე და ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით, გაასაჩივროს განკარგულება დისციპლინური ღონისძიების გამოყენების შესახებ. ამასთან, მსჯავრდებულს უნდა ჩამოერთვას ახსნა-განმარტება მის მიერ ჩადენილ დისციპლინურ დარღვევასთან დაკავშირებით, ხოლო უარის შემთხვევაში ადმინისტრაცია ადგენს ოქმს. დისციპლინური დარღვევის საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვისას მსჯავრდებულს უფლება აქვს, ჰყავდეს ადვოკატი.

დისციპლინური დარღვევის ჩამდენ პირს, მოწმეს ან დაზარალებულს უფლება აქვს, წერილობით წარადგინოს ახსნა-განმარტებები ან/და შენიშვნები, რომლებიც დაერთვის განკარგულებას დისციპლინური ღონისძიების გამოყენების შესახებ.

დისციპლინური ღონისძიების გამოყენების შესახებ განკარგულების გამოცემის უფლებამოსილება აქვს პენიტენციური დაწესებულების დირექტორს ან მის მიერ უფლებამოსილ პირს. განკარგულება დისციპლინური ღონისძიების გამოყენების შესახებ უნდა იყოს კანონიერი, დასაბუთებული, სამართლიანი და უნდა ემსახურებოდეს კანონიერ მიზანს. დაკისრებული დისციპლინური სახდელი უნდა შეესაბამებოდეს ჩადენილი დარღვევის სიმძიმესა და ხასიათს. მსჯავრდებულის მიმართ დისციპლინური ღონისძიების გამოყენებისას გაითვალისწინება მისი პიროვნება და ქცევა, აგრეთვე გარემოებები, რომლებშიც იქნა ჩადენილი დისციპლინური დარღვევა, მსჯავრდებულის განმარტება დარღვევასთან დაკავშირებით. განკარგულება უნდა იყოს წერილობითი ფორმის და მასში ასახული უნდა იყოს გასაჩივრების პროცედურა. დისციპლინური სახდელის დაკისრება უნდა მოხდეს დისციპლინური დარღვევის გამოვლენის დღიდან არა უგვიანეს 10 დღისა, ხოლო დისციპლინური სახდელის აღსრულება უნდა დაიწყოს მისი დაკისრებიდან 1 თვის ვადაში. დისციპლინური ღონისძიების გამოყენების შესახებ განკარგულების 1 ასლი გამოცემისთანავე გადაეცემა მსჯავრდებულს ან მის ადვოკატს. დისციპლინური პასუხისმგებლობის საქმის მასალები უნდა დაერთოს მსჯავრდებულის პირად საქმეს.

მსჯავრდებულს უფლება აქვს, დისციპლინური ღონისძიების გამოყენების შესახებ განკარგულების გადაცემიდან 10 სამუშაო დღის ვადაში ერთჯერადად გაასაჩივროს სასამართლოში მის მიმართ გამოყენებული დისციპლინური სახდელი. გასაჩივრება არ აჩერებს დისციპლინური ღონისძიების გამოყენების შესახებ განკარგულების აღსრულებას. იმ შემთხვევაში, თუ მსჯავრდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება, მისი სამედიცინო დაწესებულებაში გადაყვანა ან სხვა განსაკუთრებული გარემოება აფერხებს დისციპლინური სახდელის აღსრულებას, დისციპლინური სახდელის აღსრულება გადავადდება მსჯავრდებულის დაწესებულებაში დაბრუნებამდე. [212]

დაუშვებელია ერთი დისციპლინური დარღვევისათვის 2 ან მეტი დისციპლინური სახდელის დაკისრება, აგრეთვე, დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება, თუ დისციპლინური დარღვევის ჩადენიდან გასულია 1 წელი. დისციპლინური სახდელი არ უნდა იყოს მსჯავრდებულის დამამცირებელი და მისი პატივისა და ღირსების შემლახველი.[213]

თუ განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსებული მსჯავრდებული არ დაემორჩილა პენიტენციური დაწესებულების მოსამსახურისა და სხვა უფლებამოსილი პირის კანონიერ მოთხოვნებს ან გაუწია სხვაგვარი წინააღმდეგობა, ჩაიდინა განზრახი ქმედება, რომლითაც საფრთხეს შეუქმნა სხვა პირის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას, აგრეთვე შელახა სხვა პირის

[210] საქართველოს კანონი „პატიმრობის კოდექსი", 83-ე მუხლი.
[211] საქართველოს კანონი „პატიმრობის კოდექსი", 84-ე და 85-ე მუხლები.
[212] საქართველოს კანონი „პატიმრობის კოდექსი", 86-ე მუხლი.
[213] საქართველოს კანონი „პატიმრობის კოდექსი", 87-ე მუხლი.

ღირსება და ხელშეუხებლობა ან ნებისმიერი სახის ინფორმაცია უკანონო ფორმით მიაწოდა საკნიდან საკანში ან დაწესებულების გარეთ, მას შესაძლებელია შეეფარდოს ადმინისტრაციული პატიმრობა არაუმეტეს 90 დღე-ღამის ვადით, კანონით დადგენილი წესით[214].

ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდების შესახებ განკარგულების გამოცემის უფლებამოსილება აქვს დაწესებულების დირექტორს ან მის მიერ უფლებამოსილ პირს. ადმინისტრაციული პატიმრობის ვადა არ ჩაითვლება მსჯავრდებულის სასჯელის ვადაში.

ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდების შესახებ განკარგულების გამოცემისას მსჯავრდებულს განემარტება უფლება – გაეცნოს განკარგულებას, მისცეს ახსნა-განმარტება, წარადგინოს მტკიცებულებები, განაცხადოს შუამდგომლობა, გამოვიდეს მშობლიურ ენაზე და ისარგებლოს თარჯიმნის ან/და ადვოკატის (დამცველის) მომსახურებით, გაასაჩივროს განკარგულება ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდების შესახებ. აღნიშნული განმარტების თაობაზე, აგრეთვე, თარჯიმნის ან/და ადვოკატის (დამცველის) მოწვევის შესახებ აღინიშნება ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდების შესახებ განკარგულებაში.

დისციპლინური დარღვევის ჩამდენ პირს, მოწმეს ან დაზარალებულს უფლება აქვს, წერილობით წარადგინოს ახსნა-განმარტებები ან/და შენიშვნები, რომლებიც დაერთვის განკარგულებას ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდების შესახებ. ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდების შესახებ განკარგულების 1 ასლი გამოცემისთანავე გადაეცემა მსჯავრდებულს.

ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდების შესახებ განკარგულება გამოცემიდან 24 საათის განმავლობაში წარედგინება უფლებამოსილ სასამართლოს დაწესებულების ადგილმდებარეობის მიხედვით. მტკიცების ტვირთი ეკისრება განკარგულების გამომცემ თანამდებობის პირს.

მოსამართლე ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდების შესახებ განკარგულებას განიხილავს ერთპიროვნულად, ღია სასამართლო სხდომაზე, მისი წარდგენიდან 48 საათის განმავლობაში. საქმის განხილვის შემდეგ დასაბუთებული გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ უნდა იქნეს გამოტანილი. დაუშვებელია დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოტანის სხვა დროისათვის გადადება.

ადმინისტრაციული პატიმრობის აღსრულების ორგანიზება და კონტროლი ეკისრება პენიტენციურ დეპარტამენტს. მსჯავრდებული თავსდება ადმინისტრაციული პატიმრობის მოხდისათვის სპეციალურად გამოყოფილ სადღეღამისოდ ჩაკეტილ საკნის ტიპის სადგომში. ადმინისტრაციული პატიმრობის მოსახდელ სპეციალურ საკნებს განსაზღვრავს პენიტენციური დეპარტამენტის დირექტორი პენიტენციური დაწესებულების დირექტორის წარდგინებით.[215]

---

[214] საქართველოს კანონი „პატიმრობის კოდექსი“, XV თავი.

[215] „მსჯავრდებულის მიერ ადმინისტრაციული პატიმრობის მოხდის წესის, მსჯავრდებულისათვის ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდების შესახებ განკარგულების ტიპური ფორმისა და მსჯავრდებულის მოძრაობის ბარათის ფორმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2011 წლის 4 იანვრის №3 ბრძანებით დამტკიცებული წესი, მე-2 მუხლის პირველი პუნქტი.

# თავი: 10

## *შიშიღობა*

*მეათე თავი*
# შიმშილობა
## საერთაშორისო სტანდარტები და პრაქტიკა

პატიმართა შიმშილობის საკითხები ყოველთვის პრობლემატურია, რადგან პატიმრები იმყოფებიან სახელმწიფოს პასუხისმგებლობის ქვეშ. სახელმწიფოს ვალდებულებას წარმოადგენს მათ სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე ზრუნვა. აღნიშნული ვალდებულებიდან გამომდინარე, პატიმართა შიმშილობა წარმოადგენს მნიშვნელოვან გამოწვევას, რადგან ხშირ შემთხვევაში ხელს უშლის დაწესებულების ნორმალურ ფუნქციონირებას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ამას აქვს მასშტაბური ხასიათი.

აღნიშნული სიტუაცია წარმოქმნის მთელ რიგ კრიტიკულ კითხვებს, როგორც პრაქტიკულ-სამართლებრივი, ისე ეთიკური თვალსაზრისით:

- რა უფლებები აქვთ პატიმრებს, რომლებმაც გადაწყვიტეს შიმშილობა?
- რა მოვალეობები და ვალდებულებები წარმოექმნება პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაციას?
- შეუძლია თუ არა პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაციას პატიმრის ნების საწინააღმდეგოდ გაატაროს ზომები და ჩაერიოს პატიმრის გადაწვეტილებაში შიმშილობის გამოცხადების შესახებ?
- თუ ასეთი ჩარევა ხორციელდება, ეს მიზნად ისახავს შიმშილობის შეწყვეტას თუ სამედიცინო მომსახურეობის მიწოდებას?
- თუ ჩავთვლით, რომ პატიმრის ჯანმრთელობის დაცვის მიზნით დაშვებულია არანებაყოფლობითი სამედიცინო მკურნალობა, რა მომენტში უნდა მიეწოდოს პატიმარს აღნიშნული სერვისი?
- რა ხდება მაშინ, როდესაც პატიმარი გაცნობიერებულად და ნებაყოფლობით აცხადებს უარს სამედიცინო მომსახურეობაზე?
- შესაძლებელია თუ არა და რა შემთხვევებშია შესაძლებელი პატიმრის იძულებით კვება, ან არანებაყოფლობითი ხელოვნური გამოკვება და როგორ უნდა მოხდეს აღნიშნულის პრაქტიკულად განხორციელება?
- უნდა იქნას თუ არა გამოყენებული ერთი და იგივე მეთოდები ჯგუფური და ინდივიდუალური შიმშილობის შემთხვევაში?

ზოგადად, ეს არის მხოლოდ იმ კითხვათა ნაწილი, რომელსაც პასუხი უნდა გასცენ ამ პროცესის მართვაზე პასუხისმგებელმა მოხელეებმა.

საერთაშორისო სტანდარტები წარმოადგენს მხოლოდ ძირითად და ზოგად სახელმძღვანელო პრინციპებს აღნიშნულ შეკითხვებთან დაკავშირებით. მიუხედავად ამისა, საერთაშორისო სამართლებრივ წყაროებში შიმშილობის შესახებ არსებული ნორმების სამართლებრივი ჩარჩოს გააზრება შესაბამისი თანამდებობის პირებისათვის მეტად მნიშვნელოვანია.

### 1. *შიმშილობის განსაზღვრების საკვანძო ელემენტები*

<u>პირველ რიგში უნდა მოხდეს შიმშილობის განმარტება</u>. მსოფლიოს სამედიცინო ასოციაციის მალტის დეკლარაცია შიმშილობების შესახებ, შიმშილობას ახასიათებს, „როგორც იმ ადამიანების პროტესტის ფორმას, რომლებსაც არ აქვთ მათი მოთხოვნების გამოხატვის სხვა ფორმა." დეკლარაციის თანახმად, შიმშილობის პროცესში, ადამიანი უარს ამბობს კვებაზე გარკვეული პერიოდის განმავლობაში, იმ იმედით, რომ ცალკეული მოხელეების თაობაზე უარყოფითი გამოხმაურების შედეგად მიაღწევს საკუთარ მიზნებს. ამ შემთხვევაში პირი გამოხატავს შიმშილობის რეალურ განზრახვას. ამ პროტესტის ფორმის მიზანი განსაკუთრებით უნდა გაანალიზდეს კოლექტიური შიმშილობის, ან სხვა პატიმართაგან ზეწოლის შემთხვევებში. ასევე მნიშვნელოვანია მიექცეს ყურადღება კრიმინალური სუბკულტურის გავლენის შესაძლო მიზეზებს, რაზეც გვქონდა საუბარი წინა თავებში.

ნამდვილი შიმშილობის განსაზღვრა მნიშვნელოვნად დამოკიდებულია მის ხანგრძლივობაზე, იმაზე მოიცავს იგი <u>„სრულ შიმშილობას"</u> (საკვებზე მთლიანად უარის თქმით და მხოლოდ წყლის მიღებით) თუ <u>საკვებზე ნაწილობრივ უარის თქმას</u> (რაც გულისხმობს საკვების ნაწილობრივ მიღებას). შიმშილობათა უმრავლესობის შემთხვევები არ წარმოადგენს სრულ შიმშილობას. მართალია არსებობს არასრული შიმშილობის ნაკლებად სერიოზულად აღქმის პრაქტიკა, თუმცა ამგვარი შიმშილობის შედეგებიც შესაძლოა ისეთივე ფატალური იყოს.

ამგვარად, შესაძლოა დავასკვნათ, რომ შიმშილობა უნდა მოიცავდეს: 1) სრულ ან არასრულ უარს საკვების მიღებაზე; 2) იყოს ნებაყოფლობითი, 3) გამოცხადებული იყოს გარკვეული მიზეზით; 4)

გაგრძელდეს გარკვეული დროის მანძილზე.

### 2. *საკვებზე უარის თქმა და შიმშილობა*

მნიშვნელოვანია ერთმანეთისგან გავმიჯნოთ „საკვებზე უარის თქმის შემთხვევები", როდესაც პირის განზრახვას არ წარმოადგენს სასიკვდილო შიმშილობა და „რეალური შიმშილობა". ხშირ შემთხვევაში ზოგიერთი პირი უარს აცხადებენ საკვების მიღებაზე, რაიმე მოვლენის საპასუხოდ, თუმცა არ აქვთ კონკრეტული სტრატეგია ან განზრახვა უფრო ხანგრძლივი შიმშილობის შესახებ, მაშინ როდესაც „ნამდვილი მოშიმშილეები" მზად არიან გააგრძელონ საკვების უარყოფა კონკრეტული მიზნების მიღწევამდე.

### 3. *შიმშილობის ძირითადი დროითი ჩარჩო*

არ არსებობს შიმშილობის მინიმალური ხანგრძლივობის განმსაზღვრელი ნათელი კრიტერიუმები. თუმცა შეფასება უნდა ეფუძნებოდეს ფიზიოლოგიურ საკითხებს. შემთხვევათა უმრავლესობაში, სრული შიმშილობა (მხოლოდ წყლის მიღება) 72 საათზე მეტი დროის განმავლობაში, ჯანმრთელი ზრდასრული ადამიანისთვის კვალიფიცირდება როგორც შიმშილობა. აღნიშნული დროის შემდეგ, ადამიანის ჯანმრთელობა უარესდება და შიმშილობა ფატალურ სახეს იღებს დაახლოებით ექვსი კვირის პერიოდის შემდეგ. მართალია ფატალური შედეგი იშვიათია, მაგრამ ექვსი კვირის შემდეგ მოშიმშილეს აღარ აქვს ნათელი ცნობიერება.

მოცემული ნიშნულები, უფრო მეტად კი პასუხისმგებელი სამედიცინო პერსონალის მიერ განხორციელებული პატიმრის ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასებები შესაძლოა გამოგვადგეს შიმშილობის დროითი ჩარჩოსა და სხვადასხვა სტადიების შეფასებისთვის. ეს შესაძლოა წარმოადგენდეს საგანგაშო ნიშანს მოხელეებისთვის და დაეხმაროს მათ შიმშილობის მართვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაში.

### 4. *განზრახვები და მიზნები*

მნიშვნელოვანია იმის განსაზღვრა,მოშიმშილეებს ნამდვილად განზრახული აქვთ თუ არა და მზად არიან თუა არა ლეტალური შედეგისთვის, თუ სიკვდილი არ წარმოადგენს მათთვის სასურველ შედეგს. ჰერნან რეი, რომელიც წარმოადგენს წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტს, მათ ადარებს სხვა სიტუაციაში პროტესტის გამომხატველ პირებს, რომლებსაც სურთ საკუთარი სიცოცხლისთვის საფრთხის შექმნა, თუმცა არ სურთ სიკვდილი.

### 5. *ნებაყოფლობითი შიმშილობა*

პატიმრის ნამდვილი ნების განსაზღვრა მნიშვნელოვანია იმ ქმედებების განსაზღვრისთვის, რაც უნდა განახორციელონ ექიმებმა შიმშილობის პროცესში, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც შიმშილობა გრძელდება და სერიოზულ ზიანს აყენებს მოშიმშილის ჯანმრთელობას. წითელი ჯვრის საერთაშორისო ორგანიზაციის პრაქტიკის თანახმად, „ხშირად ჯგუფის ფარგლებში, პატიმრებს არ აქვთ დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღების თავისუფლება". ასეთი პატიმრები „შესაძლოა შერჩეულნი იქნენ მოხალისეებად ჯგუფის ლიდერების მიერ და შესაძლოა განიცდიდნენ მრავალი სახის ზეწოლას". სხვა ჯგუფის ზეწოლის პარალელურად შესაძლოა არსებობდეს გარე ზეწოლის ფაქტები, რომელიც გავლენას ახდენს პატიმრის გადაწყვეტილებაზე - მოთხოვნა/ზეწოლა პენიტენციური დაწესებულების თანამშრომელთა, ოჯახის წევრებისა და მედიის მხრიდან.

ყველა ეს ფაქტორი გათვალისწინებული უნდა იქნას არა მხოლოდ ექიმების, არამედ დაწესებულების მენეჯმენტის მიერაც, როდესაც ისინი ახდენენ დიფერენციაციას შიმშილობასა და პროტესტის სხვა ფორმებს შორის, რათა განისაზღვროს ქმედებათა სწორი მიმდინარეობა.

### რას გვეუბნება საერთაშორისო სტანდარტები

არაერთი ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტი მოიცავს პატიმართა უფლებებისა და ჯანმრთელობის დაცვის პრინციპებს. ზოგიერთი მათგანი ზოგადად ეხება შიმშილობის შემთხვევებს, თუმცა პირდაპირ აღნიშნულ საკითხებს მხოლოდ რამდენიმე მათგანი არეგულირებს. არსებული ნორმები, უმეტესად ეხება სამედიცინო პერსონალის როლს და სამედიცინო ეთიკის პრინციპებს და არა ფართოდ ყველა მხარესა და საკითხს. ადამიანის უფლებათა დაცვის მექანიზმები გვთავაზობენ უფრო ღრმა ხედვას, რომლებიც სასარგებლოა შიმშილობის შემთხვევების შესაფასებლად. ვინაიდან ბევრი ხელშეკრულება და დოკუმენტი ეხება პატიმართა უფლებებს და შესაძლოა გარკვეულწილად უკავშირდებოდეს მოცემულ საკითხებს, გვსურს მოკლედ შევეხოთ მათ და გავაანალიზოთ მათი

რელევანტურობა და კავშირი შიმშილობასთან. უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო პრაქტიკამ აღმოაჩინა თვალსაჩინო კავშირი მოშიმშილე პატიმრის იძულებით კვებასა და იძულებას ან წამებას შორის. არსებობს მოსაზრება, რომ გარკვეულ პირობებში, არანებაყოფლობითი სამედიცინო მკურნალობა, არანებაყოფლობითი კვება ან იძულებითი კვება, რასაც ახორციელებენ სახელმწიფო მოხელეები შესაძლოა შეესაბამებოდეს სასტიკ, არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას ან სასჯელს და წამებასაც კი. ამასთან დაკავშირებით, ასევე საინტერესოა ევროსასამართლოს გადაწყვეტილებები, რაზეც ქვემოთ გვექნება საუბარი.

**WMA (მსოფლიო სამედიცინო ასამბლეა) მალტის დეკლარაცია შიმშილობის შესახებ[216]**

1. „ეთიკური საქმიანობის მოვალეობა. მოწყვლად ადამიანებთან პროფესიული ურთიერთობის დროს ყველა ექიმი შებოჭილია სამედიცინო ეთიკით, მაშინაც კი როდესაც ისინი არ ახორციელებენ თერაპიულ საქმიანობას. მიუხედავად მათი როლისა, ექიმები უნდა შეეცადონ თავიდან აიცილონ პატიმრების იძულება ან მათ მიმართ არასათანადო მოპყრობა, ასეთის არსებობის პირობებში კი გამოთქვან პროტესტი.

2. ავტონომიურობიის პატივისცემა. ექიმმა პატივი უნდა სცეს ინდივიდის ავტონომიურობას. ეს შესაძლოა მოიცავდეს რთულ შეფასებებს, რადგან მოშიმშილის რეალური სურვილები შესაძლოა არ იყოს ისეთი ნათელი როგორც ეს ჩანს. ნებისმიერი გადაწყვეტილება მოკლებულია მორალურ ძალას, თუ ის მიღებულია პირის ნების საწინააღმდეგოდ, მუქარის გამოყენებით, ზეწოლით ან იძულებით. მოშიმშილეს იძულებით არ უნდა გაეწიოს მკურნალობა, რომელზეც ის უარს აცხადებს. გაუმართლებელია ნებაყოფლობითი და ინფორმირებული უარის საპირისპიროდ იძულებით კვების გამოყენება. ხელოვნური კვების გამოყენება, მოშიმშილის გამოხატული ან ნაგულისხმევი თანხმობით ეთიკურად მისაღებია.

3. სარგებელი და ზიანი.  ექიმებმა უნდა გამოიყენონ თავიანთი უნარები და ცოდნა, მათ სასარგებლოდ ვის მკურნალობასაც ახორციელებენ. ეს არის "სიკეთის" კონცეფცია, რომელიც ივსება „მავნებლობის უარყოფის" კონცეფციით. ეს ორი კონცეფცია უნდა იყოს დაბალანსებული. „სარგებელი" გულისხმობს ინდივიდების სურვილების პატივისცემას და მათი კეთილდღეობის ხელშეწყობას. „ზიანის" აცილება გულისხმობს არა მხოლოდ ჯანმრთელობის ზიანის შემცირებას, არამედ მკურნალობის დაძალებასა და შიმშილობის შეწყვეტის იძულებაზე უარის თქმას. აუცილებელი არ არის სიკეთე გულისხმობდეს სიცოცხლის ნებისმიერ ფასად გაგრძელებას, სხვა ღირებულებების გათვალისწინების მიუხედავად.

4. ორმაგი ერთგულების დაბალანსება. ექიმები, რომლებსაც შეხება აქვთ შიმშილობის შემთხვევებთან შესაძლოა განიცდიდნენ კონფლიქტს დამქირავებლის (პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაცია) ერთგულებასა და პაციენტის მიმართ ლოიალურობას შორის. ორმაგი პასუხისმგებლობის მქონე ექიმებს ეკისრებათ იგივე ეთიკური პრინციპების დაცვის ვალდებულება, რაც სხვა ექიმებს, რაც ნიშნავს, რომ მათ უპირველეს მოვალეობას წარმოადგენს ინდივიდუალური პაციენტი.

5. კლინიკური დამოუკიდებლობა. ექიმები უნდა იყვნენ ობიექტურნი შეფასების პროცესში და არ მისცენ უფლება მესამე მხარეებს გავლენა მოახდინონ მათ სამედიცინო შეფასებებზე. მათ საკუთარ თავს არ უნდა მისცენ უფლება, რომ დაექვემდებარონ  ზეწოლას რაც გამოიწვევს ეთიკური პრინციპების დარღვევას, და გულისხმობს სამედიცინო ჩარევას კლინიკური მიზნების გარეშე.

6. კონფიდენციალობა. კონფიდენციალობის უფლება მნიშვნელოვანია ნდობის დამყარების თვალსაზრისით, თუმცა არ წარმოადგენს აბსოლუტურ უფლებას. ის შესაძლოა დაირღვეს, თუ კონფდენციალობის დაცვა მნიშვნელოვან ზიანს აყენებს სხვებს. სხვა პაციენტების მსგავსად, მოშიმშილეთა კონფიდენციალობაც უნდა იქნას დაცული, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ისინი თანხმობას აცხადებენ ინფორმაციის გამჟღავნებაზე, ან ეს აუცილებელია მნიშვნელოვანი ზიანის თავიდან ასაცილებლად. პირის მხრიდან თანხმობის შემთხვევაში, შესაბამისი ინფორმაცია უნდა მიეწოდოთ პირის ოჯახის წევრებსა და ადვოკატებს.

7. ნდობის მოპოვება. ხშირად ექიმსა და მოშიმშილეს შორის ნდობის დამყარება აუცილებელია საკითხის იმგვარად გადაწყვეტისთვის, რაც ერთდროულად გულისხმობს მოშიმშილის უფლებების დაცვასა და მათთვის მიყენებული ზიანის მინიმიზაციას. ნდობის მოპოვებამ შესაძლოა შექმნას რთული სიტუაციების გადაჭრის შესაძლებლობა. ნდობის ჩამოყალიბება დამოკიდებულია ექიმის სწორ რჩევებსა და მათი შესაძლებლობების შესახებ გულწრფელ განმარტებაზე, იმ შემთხვევებზე ინფორმირების ჩათვლით, როდესაც მათ აღარ შეუძლიათ დაიცვან კონფიდენციალობა.

[216] მალტის დეკლარაცია შიმშილობის შესახებ, მსოფლიო ჯანდაცვის ასოციაცია 1991, 1992 , გადაისინჯა მსოფლიოს ჯანდაცვის ასოციაციის გენერალური ასამბლეის მიერ, სამხრეთ აფრიკა, ოქტომბერი 2006.

**სახელმძღვანელო პრინციპები შიმშილობის შემთხვევის მართვისათვის**

1. ექიმმა უნდა შეაფასოს ინდივიდის მენტალური მდგომარეობა. ეს გულისხმობს გადამოწმებას, ხომ არ აქვს პირს ისეთი მენტალური პრობლემა, რამაც მოგვიანებით შესაძლოა გავლენა მოახდინოს ჯანრთელობის დაცვის საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესზე. სერიოზული მენტალური დარღვევების მქონე პირები, არ შეიძლება მიჩნეულ იქნენ მოშიმშილეებად. ისინი საჭიროებენ დახმარების აღმოჩენას შესაბამისი მკურნალობის სახით, შიმშილობისა და მათი ჯანმრთელობისთვის რისკის შექმნის ნაცვლად.

2. ექიმებმა, რაც შეიძება ადრე უნდა მიიღონ მოშიმშილე პირის დეტალური სამედიცინო ისტორია. პირს უნდა აეხსნას ნებისმიერი სამედიცინო გართულება რაც შეიძლება გამოიწვიოს შიმშილობის პროცესმა. ექიმი უნდა დარწმუნდეს, რომ მოშიმშილეს ესმის ჯანმრთელობის გაუარესების კუთხით შიმშილობის შესაძლო შედეგები. ექიმმა ასევე უნდა აუხსნას მოშიმშილეს, როგორ შეიძლება ზიანის მინიმიზება, მაგ: სითხის დიდი რაოდენობით მიღებით. რადგან ადამიანის გადაწყვეტილება შიმშილობის გამოცხადების შესახებ შესაძლოა იყოს მეტად მნიშვნელოვანი, კრიტიკულია ასევე პაციენტის მიერ შიმშილობის შედეგების გააზრება. ჯანმრთელობის დაცვის სფეროში ინფორმირებული თანხმობის პრინციპის შესაბამისად, ექიმმა უნდა უზრუნველყოს რომ პაციენტმა გაიგოს გადაცემული ინფორმაცია, რისთვისაც შეუძლია სთხოვოს მას გაიმეოროს მიღებული ინფორმაცია.

3. შიმშილობის დასაწყისშივე უნდა მოხდეს მოშიმშილის დეტალური გასინჯვა. მოშიმშილესთან განხილული უნდა იქნას მომავალი სიმპტომების მართვის საკითხი, მათ შორის იმ სიმპტომებისა, რომლებიც არ უკავშირდება შიმშილობას. გათვალისწინებული უნდა იქნას პირის სურვილები და შეხედულებები შიმშილობის გაგრძელებისას სამედიცინო მკურნალობასთან დაკავშირებით.

4. ზოგჯერ მოშიმშილეები თანხმობას აცხადებენ ინტრავენური გადასხმის გაკეთებაზე ან მკურნალობის სხვა ფორმებზე. გადასხმაზე უარის თქმამ არ უნდა გამოიწვიოს სამედიცინო მკურნალობის სხვა ასპექტებზე უარის თქმა, როგორიც არის ინფექციების მკურნალობა, ტკივილის გაყუჩება.

5. ექიმი მოშიმშილეს უნდა გაესაუბროს პირისპირ, ისე, რომ მათი საუბრის შინაარსი არ ესმოდეთ სხვა პირებს, მათ შორის სხვა პატიმრებს. ნათელი კომუნიკაცია აუცილებელია, სადაც ამის საჭიროება არსებობს უზრუნველყოფილი უნდა იქნას მიუკერძოებელი თარჯიმანი, რომელსაც ასევე ეკისრება კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება.

6. ექიმი უნდა დარწმუნდეს, რომ მკურნალობასა და საკვების მიღებაზე უარის თქმა არის ნებაყოფლობითი არჩევანი. მოშიმშილე დაცული უნდა იქნას იძულებისგან. ხშირად ექიმებს შეუძლიათ ამაში დახმარება, მათ უნდა ესმოდეთ, რომ ზეწოლა შესაძლოა მომდინარეობდეს პატიმრების, მოხელეების, ან ოჯახისგან. ექიმს ან სხვა სამედიცინო პერსონალს უფლება არ აქვს შიმშილობის შეწყვეტის მიზნით, რაიმე სახის შეუსაბამო ზეწოლა განახორციელოს პირზე. მოშიმშილის მკურნალობა არ უნდა განხორციელდეს მხოლოდ შიმშილობის შეწყვეტის პირობით.

7. თუ ექიმს გარკვეული მიზეზების გამო, არ შეუძლია დაემორჩილოს მოშიმშილის უარს ხელოვნური კვების ან მკურნალობაზე უარის შესახებ, ის მოშიმშილის საქმეს გადასცემს სხვა ექიმს, რომელიც მზად არის მიყვეს პატიმრის გადაწყვეტილებას.

8. მოშიმშილესა და ექიმს შორის განგრძობადი კომუნიკაცია მეტად მნიშვნელოვანია. ექიმი არკვევს სურს თუ არა მოშიმშილეს შიმშილობის გაგრძელება და რა სურთ რომ გაუკეთდეთ თუ ვეღარ შეძლებენ ცნობიერ კომუნიკაციას. ეს ინფორმაციები შესაბამისად უნდა იქნას ჩაწერილი.

9. შესაძლოა, რომ როდესაც ექიმს გადაეცემა საქმე, მოშიმშილეს უკვე დაკარგული ჰქონდეს მენტალური უნარი და აღარ იყოს სიცოცხლის შესანარჩუნებლად სამედიცინო ინტერვენციის შესახებ მისი სურვილების განხილვის შესაძლებლობა. ამ დროს გათვალისწინებული უნდა იქნას მოშიმშილის მიერ ადრე გამოთქმული სურვილები. თუ ადრე მან უარი განაცხადა ჩარევაზე, პატივი უნდა სცენ მის გადაწყვეტილებას, როდესაც ეს ასახავს ინდივიდის ნებაყოფლობით სურვილს. პატიმრობის პირობებში უნდა შეფასდეს წინასწარი სურვილების ზეწოლის ქვეშ გაკეთების შესაძლებლობა. როდესაც ექიმს აქვს სერიოზული ეჭვი პირის რეალურ სურვილებთან დაკავშირებით, ყველა ინსტრუქცია უნდა შეფასდეს მეტისმეტი სიფრთხილით. იმ შემთხვევაში, თუ წინასწარი ქცევის ინსტრუქცია გაცემულია კარგად ინფორმირებისა და ნების გამოვლენის პრინციპების დაცვით, მათი გადახვევა შესაძლოა მხოლოდ თუ გადაწყვეტილების მიღებისას არსებული სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა მას შემდეგ რაც პირი გადაწყვეტილებაუუნარო გახდა.

10. თუ პირთან დისკუსია შეუძლებელია და არც წინასწარი ინსტრუქციები არსებობს, ექიმი მოქმედებს მისი შეხედულებით, პაციენტის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე. ეს ნიშნავს მოშიმშილის ადრე გამოხატული სურვილების პატივისცემას, მისი პიროვნული და კულტურული ღირებულებების აგრეთვე ფიზიკური ჯანმრთელობის დაცვას. თუ წინა სურვილებზე არანაირი ინფორმაცია არ არსებობს, ექიმმა გამოკვება-არ გამოკვების საკითხი უნდა გადაწყვიტოს მესამე პირების ჩაურევლად.

11. შესაძლოა ექიმმა სწორად მიიჩნიოს მკურნალობაზე უარის თქმის გადაწყვეტილების საპირისპიროდ მოქმედება, მაგალითად თუ არსებობს ეჭვი, რომ ასეთი გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ძალდატანებით. თუ, ცნობიერების დაბრუნების შემდეგ მოშიმშილე კვლავ გამოთქვამს შიმშილობის გაგრძელების სურვილს, მის გადაწყვეტილებას პატივი უნდა სცენ. ეთიკურია, მოშიმშილეს მიეცეს ღირსეულად სიკვდილის უფლება, ვიდრე მის მიმართ მისი ნების საწინააღმდეგოდ განხორციელდეს განმეორებადი ინტერვენციები.

12. ხელოვნური გზით გამოკვება შესაძლოა იყოს ეთიკური, თუ მოშიმშილე თანახმაა. ეს შესაძლოა ასევე მისაღები იყოს, თუ არაკომპეტენტურ ინდივიდებს არ აქვთ დატოვებული წინასწარი გადაწყვეტილება მასზე უარის თქმის შესახებ.

13. 13იძულებით გამოკვება არასოდეს არის ეთიკურად მისაღები. მაშინაც, როდესაც ეს სასიკეთო მიზნით კეთდება, თუ გამოყენებულია მუქარა, იძულება, ძალა ან ფიზიკური დამორჩილების საშუალებები, ეს წარმოადგენს არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას. ასევე მიუღებელია პატიმრების ძალით კვება მათი დაშინების ან სხვა პატიმრების იძულების მიზნით შეწყვიტონ შიმშილობა.

**ევროსასამართლოს გადაწყვეტილებები**
**მოშიმშილე პატიმრების იძულებითი კვება**
**ნევმერჟიცკი უკრაინის წინააღმდეგ**
**2005 წლის 5 აპრილი**

პატიმრობის პერიოდში რამდენჯერმე, შიმშილობის პერიოდში, ადგილი ჰქონდა აპლიკანტის იძულებით გამოკვებას, რომელიც მისი გამარტებით აყენებდა მას მენტალურ და ფიზიკურ ტანჯვას, განსაკუთრებითიმფორმისშედეგადროგორცესხდებოდა:მასბორკილებისსაშუალებითაბამდნენ სკამთან ან გათბობის მილებზე და აიძულებდნენ გადაეყლაპა მილი, რომელიც მიერთებული იყო სპეციალური საკვები ნარევის შემცველ ვედროსთან. აპლიკანტი ასევე აცხადებდა, რომ ის არ იყო უზრნველყოფილი ადეკვატური სამედიცინო მომსახურეობით სხვადასხვა დაავადებების მკურნალობისთვის და პატიმრობის პირობები (კერძოდ შიმშილობის პერიოდში 10 დღის მანძილზე სამარტოო საკანში მოთავსება), ასევე არღვევდა კონვენციის მე-3 მუხლს (წამების, სასტიკი და არაადამიანური მოპყრობის აღკვეთა). სასამართლო აღნიშნავს, რომ „მედიცინის აღიარებული პრინციპების ფარგლებში თერაპიული აუცილებლობით გამოწვეული ქმედება, არ შეიძლება მიჩნეულ იქნას არაადამიანურად და ღირსების შემლახავად. იგივე შეიძლება ითქვას იძულებით გამოკვებაზე, რაც მიმართულია კონკრეტული პატიმრის სიცოცხლის გადარჩენისკენ, რომელიც შეგნებულად უარს აცხადებს საკვების მიღებაზე. მიუხედავად ამისა, სასამართლომ უნდა დაადასტუროს, რომ სამედიცინო აუცილებლობა არსებობს (დაწესებულებებში შიმშილობას აქვს ადგილი), დაცულია პროცედურული გარანტიები, იძულებით კვების გადაწყვეტილების მისაღებად. უფრო მეტიც სასამართლო უნდა დარწმუნდეს, რომ მოშიმშილე პატიმრის იძულებით კვების ფორმა არ არღვევს სიმკაცრის იმ მინიმალურ ზღვარს, რასაც ადგენს სასამართლოს პრაქტიკა კონვენციის მე-3 მუხლთან მიმართებაში.

**ამ კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლომ მიიჩნია, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას პატიმრის იძულებით კვების გამო**. უკრაინის მთავრობამ ვერ დაადასტურა, რომ არსებობდა იძულებით კვების აუცილებლობა. ამიტომ შესაძლოა მხოლოდ ვარაუდი, რომ იძულებით კვება იყო დაუსაბუთებელი. პროცედურები არ იქნა დაცული, რადგან აპლიკანტი შეგნებულად აცხადებდა უარს საკვების მიღებაზე. თანამდებობის პირები არ მოქმედებდნენ აპლიკანტის საუკეთესო ინტერესიდან გამომდინარე. **მართალია იძულებით კვება ხორციელდებოდა შესაბამისი ბრძანებით დადგენილი ფორმით, მაგრამ შეზღუდვის საშუალებები (ხელბორკილები, პირის გამაფართოებელი, სპეციალური მილი, რომლის ჩადგმა ძალით ხორციელდებოდა) თავისი სისასტიკით შესაძლოა დაკვალიფიცირებულიყო წამებად.** სასამართლომ ასევე მიიჩნია, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-3 მუხლის (ღირსების შემლახავი ქმედება) დარღვევას პატიმრობის პირობებთან და არაადეკვატურ სამედიცინო მომსახურებასთან მიმართებაში.

**ფანჯიკიძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ**
**2006 წლის 20 ივნისი (გადაწყვეტილება დასაშვებობასთან დაკავშირებით)**

კონვენციის მე-3 მუხლზე დაყრდნობით (სასტიკი და არაადამიანური მოპყრობა), პირველი აპლიკანტი ასაჩივრებდა კომპეტენტური თანამდებობის პირების მხრიდან რეაქციის არქონას მის 115 დღიან შიმშილობაზე (2001 წლის თებერვლიდან მაისამდე) წინასწარ პატიმრობაში ყოფნის პერიოდში. შიმშილობის მიზეზს წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ აპლიკანტი არ ეთანხმებოდა მის მიმართ მიმდინარე სისხლის სამართლებრივ პროცედურებს. სასამართლომ დაადგინა, რომ მისი იძულებით კვება არ განხორციელებულა, განმცხადებელი არ აღნიშნავდა, რომ დაწესებულების თანამშრომლებს ასეთი ქმედების ვალდებულება ჰქონდათ. მართალია შიმშილობის შედეგად აპლიკანტის ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესდა, მაგრამ მის სიცოცხლეს არ ემუქრებოდა აშკარა საფრთხე თანამშრომელთა დამოკიდებულების გამო, საფრთხე არ იყო იმგვარი, რომ იძულებითი კვება ჩათვლილიყო „სამედიცინო იმპერატივად“, მისთვის ხელმისაწვდომი იყო სამედიცინო დახმარება, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა არ გამორიცხავდა მის დატოვებას პენიტენციურ დაწესებულებაში.
**აქედან გამომდინარე სასამართლომ კონვენციის 35-ე მუხლის საფუძველზე (დასაშვებობის კრიტერიუმები), განაცხადი მიიჩნია დაუშვებლად (დაუსაბუთებლობის გამო).**

**ოზგული თურქეთის წინააღმდეგ**
**2007 წლის 6 მარტი (გადაწყვეტილება დასაშვებად ცნობასთან დაკავშირებით)**

აპლიკანტმა შიმშილობა დაიწყო 2001 წლის ივნისში, პენიტენციურ დაწესებულებაში ყოფნის დროს. რამდენიმე თვის შემდეგ ის მოათავსეს ციხის სამედიცინო ნაწილში, თუმცა მან უარი განაცხადა მკურნალობაზე. სასამართლო ფსიქიატრიული მედიცინის ინსტიტუტის შემოწმების შედეგად აპლიკანტს დაუდგინდა ვერნიკ-კორსაკოვის სინდრომი და გაიცა რეკომენდაცია მისთვის სასჯელის მოხდის 6 თვით გადავადების შესახებ. 2002 წლის თებერვალში მისი თხოვნა გათავისუფლების თაობაზე უარყოფილი იქნა და აპლიკანტს მიესაჯა უვადო თავისუფლების აღკვეთა. ერთი თვის შემდეგ, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების შედეგად, ექიმებმა გადაწყვიტეს მისთვის დაეკისრებინათ იძულებითი მკურნალობა. აპლიკანტი ასაჩივრებდა თანამშრომელთა მხრიდან მისი ნების საწინააღმდეგოდ განხორციელებულ სამედიცინო ინტერვენციას 2002 წლის 15 მარტს.

სამედიცინო ინტერვენციასთან დაკავშირებით, სასამართლომ დაადგინა, რომ კონვენციის მე-3 მუხლი (სასტიკი და არაადამიანური მოპყრობა) ავალდებულებს სახელმწიფოს დაიცვას თავისუფლებააღკვეთილ პირთა კეთილდღეობა, მაგალითად სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფით. ამავდროულად აღნიშნული მუხლი იცავს ცალკეულ პირებს და მასზე არ შეიძლება გავრცელდეს არანაირი დათქმა. მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ აღნიშნა, რომ პატიმარი იმყოფებოდა მუდმივი სამედიცინო მეთვალყურეობის ქვეშ საავადმყოფოში 2001 წლის დეკემბრიდან. 2002 წლის 15 მარტამდე ექიმებს არ განუხორციელებიათ იძულებით მკურნალობა, თუმცა მოცემულ დღეს, მას შემდეგ რაც მათ შენიშნეს აპლიკანტის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება, ჩათვალეს, რომ სამედიცინო დახმარება და იძულებითი კვება იყო აუცილებელი. ამდენად, სანამ აპლიკანტის ჯანმრთელობის მდგომარეობა იყო დამაკამაყოფილებელი, ექიმები იცავდნენ პატიმრის ნებას და ჩაერიენ მხოლოდ მას შემდეგ, რაც ეს აუცილებლად მიიჩნიეს. ისინი მოქმედებდნენ აპლიკანტის ინტერესებიდან გამომდინარე, შეუქცევადი ზიანის თავიდან აცილების მიზნით. უფრო მეტიც, არ დადგინდა, რომ სამედიცინო ჩარევა მიზნად ისახავდა აპლიკანტის დასჯას ან დამცირებას. საქმიდან ცხადი იყო, რომ შეზღუდვის საშუალებების გამოყენების საკითხი არ დამდგარა.
**აქედან გამომდინარე, სასამართლომ განაცხადი სცნო დაუშვებლად (დაუსაბუთებლად) კონვენციის 35-ე მუხლის (დასაშვებობის კრიტერიუმები) შესაბამისად.**

## მასობრივი შიმშილობები და სახელმწიფოს მიერ ძალის გამოყენება

### კარაბე და სხვები უკრაინის წინააღმდეგ
### 2013 წლის 17 იანვარი

2007 წლის იანვარში, აპლიკანტებმა, რომლებიც იხდიდნენ სასჯელს სხვა პატიმრებთან ერთად დაიწყეს შიმშილობა პატიმრობის პირობების გაპროტესტების მიზნით. ერთი კვირის შემდეგ დაწესებულების თანამდებობის პირებმა ჩაატარეს უსაფრთხოების ღონისძიება ოფიცრებისა და სპეციალური ძალების გამოყენებით. შემოწმების ჩატარების შემდეგ, პატიმრები, რომლებიც მიჩნეულ იქნენ შიმშილობის ორგანიზატორებად, მათ შორის აპლიკანტები დაუყოვნებლივ იქნენ გადაყვანილნი სხვა დაწესებულებაში. აპლიკანტები აცხადებდნენ, რომ უსაფრთხოების ღონისძიების დროს და მის შემდეგ მათ მიმართ ადგილი ჰქონდა არასათანადოდ მოპყრობას და აღნიშნული საქმეები არ იქნა სათანადოდ გამოძიებული. მათ ასევე განაცხადეს, რომ სხვა დაწესებულებებში გადაყვანის შემდეგ სრულად არ გადაეცათ პირადი ნივთები.

სასამართლომ მიიჩნია, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-3 მუხლის (წამების აკრძალვა) დარღვევას იმ ძალადობის გამო, რომელსაც დაექვემდებარნენ განმცხადებლები. აღიარებული იქნა ფაქტი, რომ პროტესტი გულისხმობდა საკვების მიღებაზე მშვიდობიან უარის თქმას და არანაირი ძალადობრივი ინციდიენტი არ დაფიქსირებულა. მოგვიანებით მოშიმშილეებმა გამოხატეს ადმინისტრაციასთან თანამშრომლობის სურვილი. მართალია სასამართლოსთვის შეუძლებელი იყო ყველა სხეულის დაზიანების, შოკის ხარისხისა და დამცირების დონის განსაზღვრა რაც განიცადა თითოეულმა აპლიკანტმა, თუმცა ცხადი იყო, რომ თანამშრომელთა მოულოდნელი და ბრუტალური ქმედება იყო აშკარად არაპროპორციული და უსაფუძვლო და მის მიზანს წარმოადგენდა საპროტესტო მოძრაობის ჩახშობა, პატიმრების დასჯა მშვიდობიანი შიმშილობისთვის და წარმოშობილი მოთხოვნების საფუძველში ჩახშობის მცდელობა.
**სასამართლომ მიიჩნია, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-3 მუხლის (წამების აკრძალვა) დარღვევას, რადგან თანამდებობის პირთა ქმედებებმა გამოიწვია ძლიერი ტკივილი და წამება, და მიუხედავად იმისა, რომ მას არ მოჰყოლია აპლიკანტების ჯანმრთელობის ხანგრძლივი მოშლა, აღნიშნული ქმედებები შესაძლოა მიჩნეული იქნას წამებად.**
**სასამართლომ ასევე მიიჩნია, რომ კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას ადგილი ჰქონდა პროცედურულ ნაწილშიც, რადგან პატიმრებზე ძალადობის შემთხვევების გამოძიება არ ყოფილა საფუძვლიანი და დამოუკიდებელი, არ აკმაყოფილებდა სწრაფი გამოძიების მოთხოვნებს და შედეგები არ იყო ხელმისაწვდომი საზოგადოებისთვის. სასამართლომ ასევე დაადგინა კონვენციის #1 ოქმის პირველი მუხლის დარღვევა (ქონების დაცვა), რადგან ციხის ადმინისტრაციამ ვერ მოახერხა პატიმრებისთვის მათი საკუთრების დაბრუნება.**

### ლეილა ალპი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ
### 2013 წლიუს 10 დეკემბერი

აპლიკანტები, რომელთაგან ყველა იყი მდედრობითი სქესის, 2000 წლის ოქტომბერში იმყოფებოდნენ კანაკალეს ციხეში, როდესაც შიმშილობის ფორმით “F ტიპის“ დაწესებულებების მიმართ გამოხატული პროტესტი მოედო პენიტენციურ დაწესებულებებს. 2000 წლის 19 დეკემბერს სპეციალური ძალები შევიდნენ ოცამდე დაწესებულებაში. ოპერაციის დროს ადგილი ჰქონდა ძალადობრივ შეტაკებებს, რომლებსაც ეწოდათ „ დაბრუნება სიცოცხლეში“. კანაკალეს ციხეში გარდაიცვალა ერთი ჟანდარმი და ოთხი პატიმარი. აპლიკანტები აღნიშნავდნენ, რომ ოპერაციის დროს მიიღეს სხეულის დაზიანება და რომ გამოყენებეული ძალა იყო გადამეტებული და არაპროპორციული.

ისინი ასევე აღნიშნავდნენ, რომ გამოძიება და პროცედურები, რომლებიც განხორციელდა ეროვნული ხელისუფლების მიერ იყო არაეფექტური.

სასამართლომ დაადგინა, რომ ძალის გამოყენება არ იყო მიზნის არაპროპორციული, რაც გულისხმობდა ბუნტის ჩახშობას და ცალკეულ პირთა ძალადობისაგან დაცვას, მათ შორის ადგილი არ ჰქონია იმ აპლიკანტთა უფლებების არსებით დარღვევას, რომლებმაც მიიღეს დაზიანებები.

თუმცა სასამართლომ ჩათვალა, რომ პროცედურულად დაირღვა კონვენციის მე-2 მუხლი (სიცოცხლის უფლება) ერთ-ერთი აპლიკანტის მიმართ და ადგილი ჰქონდა მე-3 მუხლის (სასტიკი და არაადამიანური მოპყრობა) პროცედურულ დარღვევას 5 სხვა აპლიკანტის მიმართ, ვინაიდან გამოძიებამ, რომელიც განხორციელდა ვერ დააკმაყოფილა სისწრაფისა და სხვა პოზიტიური ვალდებულებების შესრულების მოთხოვნა.

## ადგილობრივი კანონმდებლობა

შიმშილობის[217] დაწყების შემთხვევაში, მოშიმშილე მსჯავრდებულის, პენიტენციური დაწესებულების მოსამსახურის ან სხვა პირის წერილობითი ან ზეპირი ინფორმაციის საფუძველზე, დაწესებულების შესაბამისი უფლებამოსილი პირის მიერ, სამედიცინო პერსონალის და მოშიმშილის თანდასწრებით დგება ოქმი, სადაც მიეთითება შიმშილობის დაწყების თარიღი და მოშიმშილის მოთხოვნები. ოქმის შედგენამდე, მსჯავრდებულს განემარტება მოშიმშილის მიმართ მოპყრობის წესი და უფლება-მოვალეობები.

დაუშვებელია მოშიმშილისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლებების შეზღუდვა. ამასთან, შიმშილობა არ ათავისუფლებს მოშიმშილეს კანონმდებლობით განსაზღვრული მოვალეობებისაგან, გარდა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების შემთხვევისა, რაც დასტურდება ექიმის შესაბამისი დასკვნით.

ოქმის შედგენის შემდგომ, პენიტენციური დაწესებულების დირექტორი, აღნიშნულის თაობაზე დაუყოვნებლივ აცნობებს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციური დეპარტამენტის დირექტორს, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტის უფროსს და შიმშილობის მიზეზის გათვალისწინებით, შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს ან/და ორგანიზაციას (ასეთის არსებობის შემთხვევაში). შიმშილობის შესახებ ინფორმაცია მიეწოდება მოშიმშილის ოჯახს ან მის კანონიერ წარმომადგენელს, მოშიმშილის წერილობითი თანხმობით. პენიტენციურ დაწესებულების დირექტორი ან საამისოდ უფლებამოსილი პირი ვალდებულია გამოარკვიოს მოშიმშილის მიერ შიმშილობის დაწყების მიზეზები.

თუ მოშიმშილის კანონიერი მოთხოვნების დაკმაყოფილება შედის პენიტენციური დაწესებულების კომპეტენციაში, დაწესებულება დაუყოვნებლივ რეაგირებს და შეძლებისდაგვარად აკმაყოფილებს მოშიმშილის კანონიერ მოთხოვნებს და ამის თაობაზე აცნობებს მოშიმშილეს, მკურნალ ექიმს, პენიტენციურ დეპარტამენტსა და სამედიცინო დეპარტამენტს, ხოლო თუ მოშიმშილის მოთხოვნების დაკმაყოფილება სცილდება დაწესებულების კომპეტენციას, გატარებული ღონისძიებების თაობაზე დაწესებულება აცნობებს მოშიმშილეს, პენიტენციურ დეპარტამენტსა და იმ ორგანოს, რომლის უფლებამოსილების სფეროსაც განეკუთვნება მოშიმშილის მოთხოვნების დაკმაყოფილება.

შიმშილობის შედეგად მოშიმშილის ჯანმრთელობის მდგომარეობის დამძიმების შემთხვევაში, რაც დასტურდება მკურნალი ექიმის დასკვნით, დაუყოვნებლივ ეცნობება მოშიმშილის ოჯახს ან მის კანონიერ წარმომადგენელს. ამასთან, მოშიმშილის მიერ შიმშილობის შეწყვეტის შემთხვევაში, აღნიშნულის შესახებ აგრეთვე ეცნობება მოშიმშილის ოჯახს, მის კანონიერ წარმომადგენელს და ყველა იმ ორგანოს, ვინც ინფორმირებული იყო შიმშილობის დაწყების თაობაზე.

პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფი მოშიმშილის იძულებითი მკურნალობა დაუშვებელია. შიმშილობის დროს სამედიცინო დახმარების გაწევა, მათ შორის, ხელოვნური კვება, დასაშვებია მხოლოდ მოშიმშილის ინფორმირებული თანხმობით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სამედიცინო დახმარების განხორციელების გარეშე გარდაუვალია მოშიმშილის სიკვდილი, რის თაობაზეც გადაწყვეტილება უნდა იქნეს დადასტურებული მინიმუმ ერთი სხვა დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტის მიერ მაინც.

შიმშილობის დაწყებისას და შემდგომში რეგულარულად, სამედიცინო პერსონალი მოშიმშილეს განუმარტავს იმ საფრთხეებისა და რისკების შესახებ, რაც შეიძლება მის ჯანმრთელობის მდგომარეობას მიაყენოს შიმშილობამ და განსაკუთრებით, ხანგრძლივმა შიმშილობამ. ექიმი ადგენს შესაბამის ოქმს, რათა დარწმუნდეს, რომ მოშიმშილემ გაათვითცნობიერა მიღებული ინფორმაცია.

შიმშილობის დაწყებიდან არაუგვიანეს 6 საათისა მოშიმშილეს უტარდება ჯანმრთელობის მდგომარეობის ზოგადი სამედიცინო შემოწმება, ამასთანავე, ექიმი აფასებს მოშიმშილის ფსიქიკურ მდგომარეობას, რომლის მიზანია განსაზღვროს მოშიმშილეს აქვს თუ არა ფსიქიკური აშლილობის ისეთი ნიშნები, რომელმაც შეიძლება ხელი შეუშალოს საკუთარ ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარს. ფსიქიკური აშლილობის ნიშნების გამოვლენის შემთხვევაში, მოშიმშილე არაუგვიანეს 6 საათისა ექვემდებარება ექიმ-ფსიქიატრის შემოწმებას.

[217] „პენიტენციურ დაწესებულებებში მოშიმშილე ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ყოფნის პირობების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2013 წლის 4 ივლისის №169 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია.

ექიმ-ფსიქიატრის მიერ მოშიმშილის ფსიქიკური აშლილობის გამოვლენის შემთხვევაში, შესაბამისი დასკვნის საფუძველზე, იგი არ განიხილება მოშიმშილედ და მას გაეწევა იძულებითი ფსიქიატრიული დახმარება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

შიმშილობის დაწყებიდან ორი დღე-ღამის განმავლობაში მოშიმშილე ექვემდებარება ექიმ-ფსიქიატრის შემოწმებას ფსიქიკური მდგომარეობის დადგენის მიზნით, რის შესახებაც აღინიშნება მოშიმშილის სამედიცინო (ამბულატორიულ/სტაციონარულ) ფურცელში და რომლის განმეორებითი ჩატარება განხორციელდება მოშიმშილის მდგომარეობიდან გამომდინარე.

მოშიმშილე იმყოფება დაწესებულების ექიმის მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ და თანხმობის შემთხვევაში, გადის ყოველდღიურ სამედიცინო შემოწმებას, მინიმუმ დღეში ორჯერ, რის შესახებაც კეთდება შესაბამისი ჩანაწერი მოშიმშილის სამედიცინო (ამბულატორიულ/სტაციონარულ) ფურცელში. ამასთან, ექიმი ვალდებულია ყოველდღიურად გაესაუბროს მოშიმშილეს განცალკევებით და დაადგინოს უნდა თუ არა მას შიმშილობის გაგრძელება და რა ღონისძიებები შეიძლება გატარდეს, როდესაც მას აღარ ექნება გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარი. აღნიშნულთან დაკავშირებით ექიმი აკეთებს სათანადო ჩანაწერს სამედიცინო (ამბულატორიულ/სტაციონარულ) ბარათში.

ექიმი, მოშიმშილის მიმართ დაწესებულების მოსამსახურის მიერ არასათანადო მოპყრობის, ასევე მოშიმშილის უფლებების დარღვევის ფაქტების აღმოჩენის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ აცნობებს სამედიცინო დეპარტამენტის უფროსს ან/და საქართველოს სახალხო დამცველსა და მასთან არსებულ სპეციალურ პრევენციულ ჯგუფს.

მოშიმშილე, მისი სურვილის შემთხვევაში, უნდა განთავსდეს განცალკევებით, აგრეთვე, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით, დაწესებულების ექიმის დასკვნის საფუძველზე, დაწესებულების დირექტორის ბრძანებით შეიძლება მოთავსდეს დაწესებულების საექიმო-სამედიცინო პუნქტში, ხოლო თუ მოშიმშილის ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, შეუძლებელია მისი დატოვება დაწესებულებაში, ექიმის დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე, დადგენილი წესის შესაბამისად, ხდება მისი გადაყვანა ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში ან საერთო პროფილის საავადმყოფოში, რის თაობაზეც დაუყოვნებლივ ეცნობება მოშიმშილის ახლო ნათესავს ან კანონიერ წარმომადგენელს.

მოშიმშილეს მიეწოდება საუზმე, სადილი და ვახშამი დადგენილი ნორმების მიხედვით, დაწესებულების ექიმის რეკომენდაციების გათვალისწინებით. საკვების ყოველი მიწოდებისას მოშიმშილეს სამედიცინო პერსონალის მიერ განემარტება საკვების მიღების აუცილებლობის შესახებ, ხოლო საკვების მიღებაზე უარის თქმის შემთხვევაში, სამედიცინო პერსონალის მიერ კეთდება შესაბამისი აღნიშვნა მოშიმშილე ბრალდებულისათვის/მსჯავრდებულისათვის საკვების მიწოდების აღრიცხვის ბარათში.

შიმშილობის შეწყვეტის შემთხვევაში, ექიმისა და მოშიმშილის თანდასწრებით, უფლებამოსილი პირის მიერ დგება ოქმი, რის შესახებაც დაუყოვნებლივ ეცნობება პენიტენციური დაწესებულების დირექტორს, პენიტენციური დეპარტამენტის დირექტორს, სამედიცინო დეპარტამენტის უფროსს და შიმშილობის მიზეზის გათვალისწინებით, შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს ან/და ორგანიზაციას.

თავი: 11

# თვითდაზიანების და სუიციდის პრევენცია

*მეთერთმეტე თავი*

## თვითდაზიანებების და სუიციდის პრევენცია

### საერთაშორისო სტანდარტები და პრაქტიკა

პატიმართა მხრიდან განხორციელებული თვითდაზიანებები და სუიციდი (თვითმკვლელობა) ბევრი ქვეყნის პენიტენციური სისტემის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად რჩება. მსგავსი ტიპის ქმედებები უმეტეს შემთხვევაში დაკავშირებულია პატიმრების ფსიქიკურ მდგომარეობასთან, თუმცა არის შემთხვევები, როდესაც მაგალითად თვითდაზიანებების მიყენება დაწესებულების ადმინისტრაციაზე ზეწოლის განხორციელების მიზნით ხდება. თუმცა, მიუხედავად იმ ისა, თუ რატომ დგამს პატიმარი მსგავსი ტიპის ნაბიჯს, მიდგომები და პრევენციული ღონისძიებები უნდა იყოს მოქცეული ერთიან სტანდარტში, რათა დაცული იყოს ყველა პირის სიცოცხლე და ჯანმრთელობა.

პატიმრები განსაკუთრებით მოწყვლადები არიან პენიტენციურ დაწესებულებაში თავდაპირველად შესვლის პერიოდში. საერთაშორისო სტანდარტები აღიარებს, რომ სიცოცხლის დაცვის უფლება ამ ეტაპზე საჭიროებს დამცავი ღონისძიებების სპეციფიური ჩარჩოს არსებობას. რიგი საერთაშორისო ინსტრუმენტები აღწერს პატიმრობაში მყოფი პირის უფლებებს და პენიტენციური დაწესებულების თანამშრომელთა ვალდებულებას პატიმრის მიღების შემდეგ უზრუნველყონ თვითდაზიანებებისა და სუიციდისგან დაცვა სპეციალური პროგრამების და მიდგომების შემშვეობით[218].

ზოგადად პატიმრობის პირობები სერიოზულ გავლენას ახდენს პატიმრის მენტალურ ჯანმრთელობაზე. პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაცია უნდა ეცადოს შეამციროს ამგვარი გავლენის ფარგლები და შექმნას პროცედურები იმისათვის, რომ მონიტორინგი გაუწიონ ამ ზემოქმედების ეფექტებს ინდივიდუალურ პატიმარზე. საჭიროა გადაიდგას ნაბიჯები იმ პატიმართა იდენტიფიცირებისთვის, რომლებიც მიდრეკილნი არიან თვითმკვლელობისა და თვითდაზიანებისკენ. თანამშრომლები, ვისაც კი შეიძლება უშუალო შეხება ჰქონდეთ პატიმართან, უნდა იყვნენ გადამზადებულნი, რათა მოახდინონ პოტენციური თვითდაზიანების ინდიკატორების იდენტიფიცირება. თუ მოხდება პატიმრებისთვის ფსიქიკური ავადმყოფობის დიაგნოსტირება, ისინი არ უნდა დარჩნენ პენიტენციურ დაწესებულებაში და უნდა მოხდეს მათი გადაყვანა შესაბამის სამედიცინო დაწესებულებაში[219].

ზოგიერთ შემთხვევაში უვადო ან ხანგრძლივ ვადიანი პატიმრობა შეფარდებული პირები შესაძლოა იყვნენ თვითმკვლელობისა და თვითდაზიანების მაღალი რისკის მატარებელნი, რადგან მათ აწუხებთ უიმედობა, ან ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე უჭირთ პატიმრობის გაძლება. დაწესებულების პერსონალს გავლილი უნდა ჰქონდეს ტრენინგი, რათა მოახდინონ სუიციდალური ფიქრების ამოცნობა. სადაც შესაძლებელია, საჭიროა გარკვეული ზომების მიღება პატიმრებისთვის, კერძოდ კონსულტაციების გავლის, აგრეთვე ვიზიტორთა პროგრამებში, მათ შორის ჯგუფურ შეხვედრებში მონაწილეობის შესაძლებლობის უზრუნველყოფა. პერსონალი უნდა გადამზადდეს და ისწავლოს როგორ მოექცეს ამგვარ პატიმრებს, რადგან ხანგრძლივი სასჯელის ქონის ფსიქოლოგიური გავლენა მნიშვნელოვნად განსხვავდება მათი მდგომარეობისგან, ვინც იხდის ხანმოკლე სასჯელს[220].

ბევრი პატიმრის მენტალური და ფსიქიკური მდგომარეობა იცვლება პატიმრობის, ოჯახთან და სოციალურ წრესთან განშორების შედეგად. მენტალური პრობლემები წარმოიქმნება და შესაძლოა მიიღოს ქრონიკული ხასიათი, განსაკუთრებით, გადატვირთულ დაწესებულებებში, იქ სადაც არასაკმარისი საკვები ან არასაკმარისი პირობებია. გარდა ამისა, თუ არ არსებობს რისკის დონის მიხედვით პატიმართა კლასიფიკაცია, კრიმინალური სუბკულტურის გავლენით იქმნებიან დომინანტური იერარქიულად ორგანიზებული ჯგუფები. მენტალური პრობლემების მქონე პატიმრები ხშირად ხდებიან დომინანტური ჯგუფების სამიზნე და ხდება მათი გამოყენება პროტესტის ამ ფორმაში ჩართვის იძულების კუთხით. აქედან გამომდინარე, უნდა მოხდეს მათი განცალკევება დაწესებულების სხვა პოპულაციისგან და უნდა განხორციელდეს მათი უშუალო მეთვალყურეობა.

საერთაშორისო სტანდარტები ხაზს უსვამს ფსიქიატრიული კონსულტაციებისა და რჩევებისადმი პატიმართა ხემლისაწვდომობის მნიშვნელობას. თანამშრომლებმა უნდა იცოდნენ და უნდა შეეძლოთ მენტალური ავადმყოფობის სიმპტომების ამოცნობა, რის შემდეგაც გააფრთხილებენ დაწესებულების ადმინისტრაციას და სამედიცინო პერსონალს, როდესაც ფსიქიკურად ავადმყოფი პატიმრები

[218] ციხის მენეჯმენტის განხილვა ადამიანის უფლებების კუთხით, ციხის თანამშრომელთა სახელმძღვანელო, მეორე გამოცემა,გვ. 37, ენდიუ კოილი, 2009.
[219] ციხის მენეჯმენტის განხილვა ადამიანის უფლებების კუთხით, ციხის თანამშრომელთა სახელმძღვანელო, მეორე გამოცემა, გვ 52, ენდიუ კოილი, 2009.
[220] სახელმძღვანელო ციხის ლიდერებისთვის, საერთაშორისო ნორმებსა და სტანდარტებზე დაფუძნებული გადამზადების ძირითადი სახელმძღვანელო, გვ.80, UNODC, 2010.

საფრთხეს უქმნიან სხვას, ან საკუთარ თავს. ზოგიერთ შემთხვევაში, ამ პატიმრებთან ურთიერთობამ შესაძლოა გამოიწვიოს შფოთვა. პერსონალმა სულ მცირე უნდა გაიაროს ტრენინგი, თუ როგორ უნდა მოეპყრას მსგავსი პრობლემების მქონე პატიმრებს. ზოგადად უნდა არსებობდეს სუიციდის პრევენციის სტრატეგია[221].

აუცილებელია ხაზი გაესვას შემდეგ ფაქტორს, რომ - "სასჯელი არ უნდა იყოს პასუხი იმ პატიმრების ქმედებაზე, რომლებიც განზრახ ისახიჩრებენ თავს, იყენებენ თვითდაზიანებებს ან აქვთ სუიციდის მცდელობა. შესაძლოა სიტუაცია განსხვავდებოდეს, როგორც სტრესის ან მენტალური დაავადების მქონე ცალკეული პატიმრების მიერ თვითდაზიანების მიყენების, ან მკვლელობის მცდელობის, აგრეთვე პატიმართა ჯგუფის მიერ პროტესტის ექსტრემალური ფორმის სახით თვითდაზიანების მიყენების შემთხვევაში, დისციპლინური ღონისძიებების გამოყენება მიზანშეუწონელია. პასუხი უნდა იყოს პატიმარზე ზრუნვა, მისი მკურნალობა ინდივიდის შეთხვევაში და პროტესტის მიზეზების მიმართ ყურადღების გამოვლენა პროტესტის ნიშნად თვითდაზიანების ჯგუფურად მიყენების შეთხვევაში"[222]

**წამების ევროპული კომიტეტის ანგარიში დანიაში განხორიცელებულ ვიზიტზე**

*„წპკ-მ წარსულში არაერთხელ გაუსვა ხაზი პატიმართა მიღების დროს მათი სამედიცინო სკრინინგის მნიშვნელობას, განსაკუთრებით იმ დაწესებულებებში, სადაც პატიმრები პირველად ხვდებიან პენიტენციურ სისტემაში. ამგვარი სკრინინგი შეუცვლელია, როგორც სუიციდის პრევენციის კუთხით, აგრეთვე გადამდები დაავადებების გავრცელებისა და დაზიანებების დროული დოკუმენტირების კუთხით. პირველადი სკრინინგი შეიძლება ჩატარდეს ექიმის, ან შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ექთნის მიერ, რომელიც ანგარიშს წარუდგენს ექიმს"*[223].

**ევროსასამართლოს გადაწყვეტილება**

2000 წლის 20 ივლისს, საფრანგეთის ერთ-ერთ ციხეში, პატიმარმა ჯოსელიტო რენოლდმა, რომელიც იმყოფებოდა წინასწარ პატიმრობაში, საკუთარ საკანში თავი ჩამოიხრჩო. ვინაიდან სახელმწიფოს აქვს ვალდებულება მიიღოს პრევენციული ზომები დაიცვას ადამიანი, ვის სიცოცხლესაც საფრთხე ემუქრება,არსებობდა მოლოდინი, რომ თანამდებობის პირები, რომლებმაც იცოდნენ, რომ პატიმარი იტანჯებოდა სერიოზული მენტალური პრობლემებისგან და იყო სუიციდის რისკის მატარებელი, მიიღებდნენ სპეციალურ ზომებს, რომლებიც შესაბამისობაში იქნებოდა მის მდგომარეობასთან და უზრუნველყოფდა მის შეგუებას პატიმრობასთან.

<u>სასამართლოს მსჯელობა</u>

სასამართლო განმეორებით აღნიშნავს, რომ არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე, იმისათვის რომ მოხდეს მე-3 მუხლის შესაბამისად არასათანადო მოპყრობის კვალიფიცირება, საჭიროა მან მიაღწიოს სიმკაცრის გარკვეულ ზღვარს. ბუნებრივია, ასეთი მინიმალური დონის შეფასება პირობითია. ეს დამოკიდებულია საქმის ყველა გარემოებაზე, მოპყრობის ხანგრძლივობაზე, მის ფიზიკურ და მენტალურ შედეგებზე, ზოგიერთ შემთხვევაში მსხვერპლის სქესზე, ასაკსა და ჯანმრთელობის მდგომარეობაზე.

სასამართლომ აგრეთვე ხაზი გაუსვა ყველა პატიმრის უფლებას იმყოფებოდეს ადამიანის ღირსების შესაბამის პირობებში, სასჯელის აღსრულებამ არ უნდა გამოიწვიოს მათთვის ისეთი ინტენსივობის სტრესი და სირთულეები, რაც აღემატება პატიმრობით გამოწვეული ტანჯვის გარდაუვალ დონეს. პატიმრების ჯანმრთელობასთან ერთად, ადეკვატურად უნდა იქნას უზრუნველყოფილი მათი კეთილდღეობა, პრაქტიკული საჭიროებები. (განსაკუთრებით, ფსიქიკური პრობლემების მქონე პირთან მიმართებაში იმის შეფასებისას, თუ რამდენად არის მე-3 მუხლის მოთხოვნებთან შესაბამისობაში ქმედება ან სასჯელი, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული მათი მოწყვლადობა და მათ მიმართ განხორციელებული მოპყრობის გასაჩივრების შეუძლებლობა).

[221] სახელმძღვანელო ციხის ლიდერებისთვის, საერთაშორისო ნორმებსა და სტანდარტებზე დაფუძნებული გადამზადების ძირითადი სახელმძღვანელო, გვ.81, UNODC, 2010.

[222] ციხის მენეჯმენტის განხილვა ადამიანის უფლებების კუთხით, ციხის თანამშრომელთა სახელმძღვანელო, მეორე გამოცემა, გვ. 54, ენდიუ კოილი, 2009.

[223] წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის ანგარიში დანიის შესახებ, 2008.

მენტალურად დაავადებული პირის მკურნალობა შესაძლოა არ იყოს შესაბამისობაში მე-3 მუხლით განსაზღვრულ ადამიანის ღირსების დაცვის სტანდარტებთან, თუმცა შესაძლოა აღნიშნულმა პირმა ვერ შეძლოს კონკრეტულ არასათანადო შედეგზე მითითება.

ამ კონკრეტულ შემთხვევაში, სასამართლო მიიჩნევს, რომ ჯოსელიტო რენოლდი დაავადებული იყო მწვავე ფსიქიკური აშლილობით, რაც გამოიხატა სუიციდის მცდელობაში 2000 წლის 2 ივლისს. მართალია მომდევნო დღეებში მკურნალობის შედეგად მისი მდგომარეობა გაუმჯობესდა, მაგრამ მისი ქცევა კვლავ აგრესიული იყო (მაგ: ის თავს დაესხა მცველს). ციხის ოფიცერი, რომელიც იკვლევდა აღნიშნულ საქმეს, ამტკიცებდა, რომ ჯოსელიტო რენოლდი შეუსაბამო განცხადებებს აკეთებდა და თავის ანგარიშში აღწერდა მას, როგორც პრობლემების გამომწვევ პატიმარს.

სასამართლო ასევე გაეცნო მცველი R - ის ანგარიშს, სადაც ის აღნიშნავდა, რომ ჯოსელიტო რენოლდს ღამე ესმოდა მისი ვაჟის ხმა, ინციდენტის წინა ღამეს კი ის ეჭიდებოდა მისი საკნის გისოსებს და ითხოვდა გარეთ გაშვებას.

მტკიცებულებებიდან ირკვევა, რომ ჯოსელიტო რენოლდი იტანჯებოდა ტკივილისა და დარდისაგან, ამას ადასტურებს წერილი, რომელიც მან 2000 წლის 6 ივლისს მიწერა თავის დას. ის აღნიშნავდა, რომ იმყოფებოდა თავისი შესაძლებლობების ზღვარზე და საკუთარ საკანს ადარებდა სამარეს, თავის თავს კი ჯვარცმულს. მისი მეგობარი პატიმრის განმარტებით, რენოლდმა მას განუცხადა, რომ აწუხებდა შფოთვა და უიმედობა, რადგან არ იყო მიჩვეული მარტოობას, პატიმარი აღნიშნავდა, რომ ესმოდა როგორ ტიროდა რენოლდი.

სასამართლო აცხადებს, რომ პატიმრები, რომლებიც იტანჯებიან სერიოზული მენტალური პრობლემებით და განეკუთვნებიან თვითმკვლელობის რისკის კატეგორიას, საჭიროებენ სპეციალური ზომების გამოყენებას, რაც შესაბამისობაში იქნება ჰუმანურ მოპყრობასთან.

**აღნიშნული მიზეზებიდან გამომდინარე, სასამართლომ ერთხმად დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევას (სიცოცხლის უფლება), რადგან მოხელეებმა დაარღვიეს მათი პოზიტიური ვალდებულება დაეცვათ ჯოსელიტო რენოლდის სიცოცხლის უფლება, სასამართლო მიიჩნევს, რომ ადგილი ჰქონდა აგრეთვე მე-3 მუხლის დარღვევას**[224].

### რას გვეუბნება საერთაშორისო სტანდარტები

**ციხის ევროპული წესები**
**ფსიქიკური ჯანმრთელობა**

47.1 სამედიცინო კონტროლს დაქვემდებარებული სპეციალიზებული სასჯელაღსრულების დაწესებულებები ან განყოფილებები ხელმისაწვდომი უნდა იყოს ფსიქიკური დაავადების ან გადახრების მქონე იმ პატიმართა გამოსაკვლევად და სამკურნალოდ, რომლებიც მე-12 წესის დებულებებს არ ექვემდებარება.
47.2 ციხის სამედიცინო სამსახურმა უნდა უზრუნველყოს ფსიქიატრიული მკურნალობა ასეთი საჭიროების მქონე ყველა პატიმართათვის და განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს თვითმკვლელობების (სუიციდი) თავიდან აცილებას.

[224] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე Renolde საფრანგეთის წინააღმდეგ, 2008.

## ადგილობრივი კანონმდებლობა

პენიტენციურ დაწესებულებებში სუიციდისკენ მიდრეკილი პატიმრების გამოვლენის, მათთვის შესაბამისი დახმარების გაწევისა და სუიციდით გამოწვეული სიკვდილიანობის შემცირების მიზნით, საქართველოს პენიტენციურ სისტემაში მოქმედებს „ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სუიციდის პრევენციის პროგრამა“.[225]

აღნიშნული პროგრამა ითვალისწინებს შემდეგ აქტივობებს:

- პატიმართა, სამედიცინო პერსონალის, ფსიქოლოგების, პენიტენციური დაწესებულების უსაფრთხოებისა და სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების თანამშრომლებისა და სოციალური მუშაკების ინფორმირებას, აგრეთვე, მოსამსახურეთა გადამზადებას სუიციდის პრევენციის საკითხებთან დაკავშირებით;
- ინფორმაციის შეგროვებას განსაკუთრებით სარისკო გარემოებათა და სარისკო ქცევების შესახებ, სუიციდის რისკის მქონე პატიმართა გამოვლენას;
- მულტიდისციპლინური გუნდის საქმიანობას, გუნდის მიერ პატიმრის სუიციდის რისკის შეფასებას, ინდივიდუალური დახმარების გეგმის შემუშავებას და განხორციელებას;
- პროგრამის განმახორციელებელ მოსამსახურეთა პროფესიული და პიროვნული სტრესის პრევენციასა და შემცირებას.

სუიციდის პრევენციის პროგრამის ხელმძღვანელობას, მისი შესრულებისა და მუშაობის მიმდინარეობის მონიტორინგს ახორციელებს პროგრამის საბჭო, რომელიც შედგება მინისტრის მიერ დამტკიცებული სამი წევრისაგან.

პროგრამას ჰყავს ადგილობრივი კოორდინატორი, რომელსაც პენიტენციური დაწესებულების დირექტორთან და მთავარ ექიმთან შეთანხმებით, საქართველოს სასჯელაღსრულების და პრობაციის მინისტრს დასანიშნად წარუდგენს პროგრამის საბჭო, რომელიც შემდგომ კოორდინაციას უწევს მის საქმიანობას.

ადგილობრივი კოორდინატორი კოორდინაციას უწევს სუიციდის რისკის შემფასებელი მულტიდისციპლინური გუნდების მუშაობას, განსაზღვრავს გუნდის შემადგენლობას, უზრუნველყოფს გუნდის საქმიანობის ორგანიზებას, შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოებასა და სარისკო გარემოებების შესახებ ინფორმაციის სისტემატიურ რეჟიმში მოპოვებას. ამასთან, კოორდინატორი, ყოველთვიურად, საბჭოს აწვდის ინფორმაციას პროგრამის მიმდინარეობის შესახებ. პროგრამის ფარგლებში წარმოებული დოკუმენტაცია ითვლება ამბულატორიული/სტაციონარული სამედიცინო დოკუმენტაციის ნაწილად.

პატიმართა მულტიდისციპლინური დახმარების საჭიროების განსაზღვრასა და მისი პროგრამაში ჩართვის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს პენიტენციური დაწესებულების ფსიქოლოგი ან ექიმი-ფსიქიატრი.

მულტიდისციპლინური გუნდის მომსახურება მოიცავს კონკრეტული პატიმრის სუიციდის რისკის შეფასებას, ინდივიდუალური დახმარების გეგმის შემუშავებასა და აღნიშნული გეგმის განხორციელებას. პენიტენციურ დაწესებულებაში, შეიძლება შეიქმნას რამდენიმე მულტიდისციპლინური გუნდი, რომლის შემადგენლობაში შედიან: ფსიქოლოგი, ექიმი-ფსიქიატრი, ექიმი, სოციალური მუშაკი, დაწესებულების დირექტორი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი/პირები (დირექტორის მოადგილე, სამართლებრივი რეჟიმის, უსაფრთხოების უფროსი), საჭიროების შემთხვევაში, მოწვეული სპეციალისტი/პირი. გუნდის თითოეული წევრი საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობს სუიციდის რისკის მქონე პატიმართა იდენტიფიცირებაში, სუიციდის რისკის შეფასებაში, ინდივიდუალური დახმარების გეგმის შემუშავებასა და განხორციელებაში.

მულტიდისციპლინური გუნდის მიერ დგინდება სუიციდის დაბალი, საშუალო ან მაღალი რისკის დონე. სუიციდის საშუალო ან მაღალი რისკის შემთხვევაში, გუნდი ახორციელებს ინდივიდუალური დახმარების გეგმას, რომლის თაობაზეც დგება ოქმი, სადაც აისახება რეკომენდაცია პატიმრის განთავსებისა და მეთვალყურეობის შესახებ, გასატარებელი ღონისძიებები, გეგმიური განმეორებითი მულტიშეფასების დრო, გუნდის შეხვედრების განრიგი და სხვა დამატებითი ინფორმაცია.

[225] „ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სუიციდის პრევენციის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2016 წლის 11 თებერვლის N13 ბრძანება.

სუიციდის მცდელობის ან/და გუნდის ერთ-ერთი წევრის დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე, სავალდებულოა განხორციელდეს რიგგარეშე მულტიშეფასება, რომლის შემდეგ დგება ოქმი დაბალი, საშუალო ან მაღალი სუიციდის რისკის შესახებ.

პატიმრის მიმართ მულტიდისციპლინური დახმარების განხორციელება შეჩერდება გუნდის მიერ სუიციდის დაბალი რისკის დადგენის შემთხვევაში, ხოლო მულტიდისციპლინური დახმარების განხორციელება შეწყდება პატიმრის პენიტენციური დაწესებულებიდან გათავისუფლების შემთხვევაში.

თვითმკვლელობის/თვითდაზიანების ან თვითმკვლელობის/თვითდაზიანების მცდელობის შემთხვევაში, სამორიგეო ცვლის ინსპექტორ-კონტროლიორი დაუყოვნებლივ ატყობინებს დანაყოფის ინსპექტორსა (ოფიცერს) და სამორიგეო ცვლის ხელმძღვანელს (ოპერატიული მორიგე). აღნიშნული მდგომარეობისას, სამორიგეო ცვლის ინსპექტორ-კონტროლიორი საკნის კარების სარკმლიდან მოუწოდებს და აძლევს ინსტრუქციას საკანში მყოფ მსჯავრდებულებს არ დაუშვან თვითმკვლელობა/თვითდაზიანება ან თვითმკვლელობის/თვითდაზიანების მცდელობა ან დახმარება აღმოუჩინონ დაზარალებულს. სამორიგეო ცვლის ინსპექტორ-კონტროლიორი დანაყოფში მყოფ დაწესებულების სხვა მოსამსახურეებთან ერთად იღებს ზომებს დაზარალებულის გადასარჩენად.[226]

[226] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2013 წლის 1 აგვისტოს №200 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია, 44-ე მუხლი.

## თავი: 12

# დაწესებულების ფუნქციონირების ნაწილობრივი ან სრული მოშლა (საგანგებო მდგომარეობები)

*მეთორმეტე თავი*

## დაწესებულების ფუნქციონირების ნაწილობრივი ან სრული მოშლა (საგანგებო მდგომარეობები)

### საერთაშორისო სტანდარტები და პრაქტიკა

### შესავალი

პენიტენციური დაწესებულების მართვისას ხშირად დგება მისი ფუნქციონირების სრული ან ნაწილობრივი მოშლის რისკი. ყველაზე კარგად ორგანიზებულ პენიტენციურ დაწესებულებებსაც კი შესაძლოა მოუწიოს სხვადასხვა კრიზისულ სიტუაციებთან გამკლავება. ყოველთვის შესაძლებელია, რომ რომელიმე პატიმარი თავს დაესხას თანამშრომლებს ან სხვა პატიმრებს წინასწარ დაგეგმილად ან დაუგეგმავად; შესაძლოა, პატიმართა ჯგუფმა გადაწყვიტოს, რომ არ დაემორჩილოს ადმინისტრაციას და შეეცადოს მასობრივი არეულობის მოწყობას, ბუნტის ან მძევლების ხელში ჩაგდების გზით; შესაძლოა დაწესებულების ფუნქციონირებას საფრთხე შეექმას სტიქიური უბედურებების გამო, რომელთა წინასწარ განჭვრეტაც შეუძლებელია.

პენიტენციური დაწესებულების ყველა მენეჯერს უნდა ესმოდეს უსაფრთხოებას, კონტროლსა და ადამიანის უფლებების დაცვას შორის ბალანსის მიღწევისა და შენარჩუნების მნიშვნელობა. მცდარია მოსაზრება, რომ პატიმრების მიმართ ადამიანური და სამართლიანი მოპყრობა გამოიწვევს უსაფრთხოებისა და კონტროლის შემცირებას. პირიქით, გაქცევის თავიდან არიდება და დაწესებულებაში კონტროლის უზრუნველყოფა საუკეთესოდ მიიღწევა კარგად მოწესრიგებულ გარემოში, რომელიც უსაფრთხოა პატიმრებისა და თანამშრომლებისთვის, დაწესებულებაში, სადაც თითოეულ პატიმარსა და თანამშრომელს აქვს იმის განცდა, რომ მათ ეპყრობიან სამართლიანად; სადაც პატიმრებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ კონსტრუქციულ აქტივობებში და მოემზადონ გათავისუფლებისთვის. პენიტენციური დაწესებულების პროფესიონალი მენეჯერი ყოველთვის უნდა იბრძოდეს ამ ბალანსის შენარჩუნების უზრუნველსაყოფად.[227]

„ციხის სტაბილურობისთვის დაცული უნდა იყოს სამი მოთხოვნა: უსაფრთხოება, კონტროლი და სამართლიანობა. ამ მიზნებისთვის, „უსაფრთხოება" ნიშნავს პენიტენციური დაწესებულების ვალდებულებას თავიდან აირიდოს პატიმართა გაქცევა. „კონტროლი" ნიშნავს დაწესებულების ვალდებულებას უზრუნველყოს პატიმართა დესტრუქციული ქცევის პრევენცია. „სამართლიანობა" კი ნიშნავს პენიტენციური დაწესებულების ვალდებულებას მოეპყრას პატიმრების ადამიანურად და სამართლიანად და მოამზადოს ისინი საზოგადოებაში დასაბრუნებლად..."[228]

ასევე მნიშვნელოვანია საგანგებო მდგომარეობებისთვის წინასწარ მომზადება და დაგეგმვა. სწორედ ეს არის მათზე რეაგირების საუკეთესო საშუალება. ყველა პენიტენციურ დაწესებულებას უნდა ჰქონდეს საგანგებო მდგომარეობების მარეგულირებელი ნათელი პროცედურები, მათ შორის, გაქცევის, ბუნტის, მძევლად ხელში ჩაგდების, მასობრივი დაუმორჩილებლობის, ხანძრის შესახებ და ა.შ."[229]. დაწესებულების ადმინისტრაცია მუდმივად უნდა ამუშავებდეს და პროცედურულად არეგულირებდეს პოტენციურ რისკებთან გამკლავების სცენარებს.

სცენარი არის მოსალოდნელი მოვლენების ჯაჭვის მონახაზი ან მოდელი. ამ სცენარებზე რეაგირების საშუალებით დაწესებულებას შეუძლია, განავითაროს და დახვეწოს მისი საპასუხო ქმედებების შესაძლებლობები. ისინი ასევე ხელს უწყობს თანამშრომელთა კომპეტენციების მორგებას ინციდენტების მართვაზე და უზრუნველყოფს შესაძლებლობების და მოლოდინების სიცხადესა და შესაბამისობას. სხვადასხვა სცენარის და მათზე საპასუხო ქმედებების შეფასებისას ქციები ან პრობლემებია მოსალოდნელი?

- რა რესურსები შეიძლება გახდეს საჭირო თუ ინციდენტი გაგრძელდება რამოდენიმე საათის ან დღის განმავლობაში?
- ვინ უნდა იყოს ჩართული თითოეულ სცენარში?
- ვის უნდა შეატყობინონ ინციდენტის შემთხვევაში - ადგილობრივ, რეგიონალურ, თუ ცენტრალურ უწყებებს?

---

[227] ადამიანის უფლებათა მიდგომა ციხის მართვისას, ციხის თანამშრომელთა სახელმძღვანელო, მე-2 გამოცემა, 2009, ენდრიუ კოილი, გვ. 59.

[228] ლორდი ჯასტის ვულფი, ციხის არეულობები, 1991.

[229] ადამიანის უფლებათა მიდგომა ციხის მართვისას, ციხის თანამშრომელთა სახელმძღვანელო, მე-2 გამოცემა, 2009, ენდრიუ კოილი, გვ. 69.

ინციდენტებზე რეაგირების კონკრეტული პროცედურები უნდა იყოს ქმედითი, ფუნქციური და უნდა ხდებოდეს მათი რეგულარული გადახედვა. ინციდენტებთან დაკავშირებული პროცედურები არ უნდა გულისხმობდეს მხოლოდ პენიტენციური დაწესებულების შიდა ინციდენტებს (არეულობა, გაქცევა, ხანძარი, მძევლად ხელში ჩაგდება, ა.შ.). ასევე მნიშვნელოვანია, რომ პროცედურები, კონკრეტული მოქმედების გეგმები, ეხებოდეს გარე საფრთხეებსაც, მათ შორის სტიქიურ უბედურებებს, ტერორისტულ საფრთხეებსა და ორგანიზებული ჯგუფების ქმედებებს.

საზოგადოების უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვის მიზნით, დაწესებულების მართვისთვის ასევე მნიშვნელოვანია ადგილობრივ პოლიციასთან რეგულარული შეხვედრების ჩატარება. მნიშვნელოვანია, აგრეთვე პენიტენციური დაწესებულების დინამიურ უსაფრთხოებაზე დაყრდნობით ინფორმაციის შეგროვება. ამ პროცესში გადამწყვეტია სხვა სამართალდამცავ ორგანოებთა კოორდინირებული საქმიანობა ინფორმაციის გაცვლისა და კრიზისულ სიტუაციებში ერთობლივი მოქმედებების გეგმის შემუშავების კუთხით.

**შესაძლებელია თუ არა პენიტენციური დაწესებულების საგანგებო მდგომარეობის პრევენცია?**

ეს კითხვა ბევრად უფრო კომპლექსურია ვიდრე ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს. პასუხი ერთდროულად დადებითიც არის და უარყოფითიც.

ზოგიერთი საგანგებო მდგომარეობის პრევენცია რა თქმა უნდა შეუძლებელია. შეუძლებელია მაგალითად მიწისძვრის პრევენცია. სტიქიურ უბედურებათა უმრავლესობა ხვდება ისეთ კატეგორიაში, რომლის თავიდან არიდებაც შეუძლებელია. ამ შემთხვევაში მთავარია იყოს შემუშავებული მსგავს სიტუაციებში მოქმედების ინსტრუქციები.

პოტენციურად შესაძლებელია სხვა სახის ფართომასშტაბიანი კრიზისისა და საგანგებო მდგომარეობის თავიდან არიდება. ასეთ კრიზისებს განეკუთვნება პატიმრების ძალადობით გამოწვეული სიტუაციები - ბუნტი, არეულობა, მძევლად ხელში ჩაგდება და ა.შ. ასევე საკმაოდ ხშირია ხანძარი, რომელიც შესაძლოა განვიხილოთ როგორც პოტენციურად თავიდან არიდებადი საგანგებო მდგომარეობა.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია ინციდენტებით გამოწვეული ზიანის შემცირება. საგანგებო მდგომარეობისადმი კარგ მზაობას შეიძლება მოჰყვეს მნიშვნელოვანი შედეგი პრევენციისა და შემსუბუქების კუთხით. მაგალითად, დაწესებულების ადმინისტრაციამ შეიძლება ვერ გათვალოს მოკლე ჩართვა, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ხანძარი. ამ შემთხვევაში კარგი მომზადება დაწესებულებას სრულად აარიდებს თავიდან საგანგებო მდგომარეობას. თუ ხანძარი გაჩნდება დაუცველ ადგილას და დაიწყებს გავრცელებას, მაგრამ დაწესებულებას მინიმუმამდე აქვს დაყვანილი ხანძრის გავრცელების ხელის შემწყობი საშუალებები, გამართულად მუშაობს დაწესებულების განგაშის სისტემა, განსაზღვრულია ხანძარსაწინააღმდეგო ქმედებები და ევაკუაციის გეგმა, ამ შემთხვევაში შესაძლებელი იქნება ამ კრიზისული სიტუაციიდან გამოწვეული ზიანის შემცირება.

პენიტენციურ დაწესებულებაში საგანგებო მდგომარეობების პრევენციისას მომზადების მნიშვნელობა ძალიან დიდია. მზაობა არ უნდა იყოს განხილული მხოლოდ როგორც უკვე მომხდარი საგანგებო მდგომარეობის დროს საპასუხო ქმედებების გატარება - როდესაც უკვე გვიანია პრევენციაზე საუბარი. მაგალითად, ბუნტის შემდეგ, რომელსაც ადამიანთა სიკვდილი და დიდი ზარალი მოჰყვა, შეიძლება ცხადი გახდეს, რომ კრიზისი დაიწყო რამდენიმე პატიმარს შორის დაუგეგმავი ჩხუბით, რომელიც გადაიზარდა ფართომასშტაბიან ბუნტში მთელი დაწესებულების მასშტაბით. კარგი მომზადების შემთხვევაში, შესაძლოა უკეთესი საპასუხო ქმედებები გატარებულიყო საწყის ეტაპზევე. შესაძლებელია, პატიმრებს შორის ძალადობის პირველივე გამოვლინება შეჩერებულიყო, არეულობა იზოლირებული ყოფილიყო მხოლოდ ერთ ბლოკში ან მხოლოდ ერთ შენობაში. **თუკი პენიტენციური დაწესებულება თავის შეცდომებს გააანალიზებს და ასახავს საგანგებო მდგომარეობისადმი მომზადების ღონისძიებებში, მან შესაძლოა მომავალში კრიზისული სიტუაციების პრევენცია შეძლოს.**

**პენიტენციური დაწესებულებაში საგანგებო მდგომარეობის პრევენციის კონკრეტული ზომები**

პენიტენციური დაწესებულებაში საგანგებო მდგომარეობის პრევენციის კონკრეტული ზომები მოიცავს თანამშრომელთა ტრენინგს, რათა მათ შეძლონ ადრეული გამაფრთხილებელი ნიშნების ამოცნობა, თავიდან აირიდონ დაწესებულების მიერ ინიცირებული კრიზისები, შექმნან პრევენციაზე ორიენტირებული კონკრეტული პროცედურები, იყვნენ ყურადღებით „ცხელი“ საკითხებისადმი,

რომლებიც იწვევს დაძაბულობას პატიმრებს შორის და დანერგონ ადრეული გაფრთხილების ავტომატური სისტემები.

**ტრადიციული გამაფრთხილებელი ნიშნები**

ეს არის პრევენციული ინიციატივა, რომელსაც პენიტენციური დაწესებულების უმეტესობა იყენებს და ძირითადად გულისხმობს თანამშრომელთა ტრენინგს სხვადასხვა საკითხებში. პენიტენციური სისტემის თანამშრომლები, როგორც წესი, ცნობენ გამაფრთხილებელ ნიშნებს დაწესებულებაში ძალადობის მატების შესახებ. ტრადიციული გამაფრთხილებელი ნიშნების სია შეიძლება განსხვავდებოდეს დაწესებულებების მიხედვით, თუმცა დაწესებულებათა უმეტესობას უნდა ჰქონდეს ასეთი სია და იგი უნდა ისწავლებოდეს საწყისი ტრენინგის ფარგლებში.

გამაფრთხილებელი ნიშნები არის გამოცდილი თანამშრომლის მიერ დაწესებულების „შეგრძნების" ნაწილი. როდესაც გამოცდილი თანამშრომელი მიდის მისთვის ნაცნობ დაწესებულებაში და ხედავს მომეტებულ ხმაურს, პატიმართა დაჯგუფებებს და უჩვეულო კონტაქტს თანამშრომლებსა და პატიმრებს შორის, იგი უცბად აფიქსირებს რომ რაღაც ხდება და შეიძლება ვერც კი მიუთითოს კონკრეტულად რამ მიიყვანა ამ დასკვნამდე.

თანამშრომლების, განსაკუთრებით კი ახალი თანამშრომლების, ტრენინგი მოახლოებული ძალადობის ამოსაცნობი ტრადიციული გამაფრთხილებელი ნიშნების თაობაზე არის მნიშვნელოვანი პრევენციული ზომა.

**მოახლოებული ძალადობის ამოსაცნობი ტრადიციული გამაფრთხილებელი ნიშნები:**

- პატიმრების მიერ საჭმლის შენახვა;
- პატიმრების უარი ეზოში გასვლაზე;
- პატიმრების გაზრდილი მოთხოვნები;
- პატიმართა საჩივრების რაოდენობის მკვეთრი გაზრდა ან შემცირება;
- პატიმართა გარკვეული დაჯგუფებების ზრდა;
- სამედიცინო მომსახურეობის შესახებ გაზრდილი მოთხოვნები და საავადმყოფოში მოხვედრის მცდელობები;
- დაწესებულებაში ხმაურის დონის მნიშნელოვანი ცვლილება;
- პატიმართა მნახველების რაოდენობის შემცირება;
- პატიმრებს/თანამშრომლებს შორის ურთიერთობის შემცირება;
- სხვა მარვალი ფაქტორი, რომლებიც ინდივიდუალურია სხვადასხვა დაწესებულებების სპეციფიკის გათვალისწინებით.

## მასობრივი არეულობის, ბუნტის, გაქცევისა და სხვა სახის გართულებების ძირითადი გამომწვევი მიზეზები

უსაფრთხოების პერსპექტივიდან პატიმრების ყოველდღიური ეფექტური მენეჯმენტი/მართვა ეფუძნება ორ ძირითად მიმართულებას: კარგი წესრიგი და კონტროლი. ეს კომპონენტები სრულად არ ასახავს საპატიმრო დაწესებულებებში ინციდენტების გამომწვევ მიზეზებს, თუმცა წარმოადგენენ მყარ საფუძველს, რომელსაც უნდა ეფუძნებოდეს პენიტენციური დაწესებულება. ცნობილია, რომ პენიტენციურ დაწესებულებაში არეულობის ან/და გაქცევის მიზეზები მოიცავს შემდეგ ფაქტორებს:

### ა. სისტემური ფაქტორები

**სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის ხარვეზები**

სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემასთან დაკავშირებული სხვა ფაქტორები მოიცავს უკანონო დაკავებას, არაპროპორციულ სასჯელებს და ა.შ.

**პენიტენციური დაწესებულების გადატვირთულობა**

აღნიშნული მიზეზი შესაძლებელია გახდეს ინციდენტის გამომწვევი ძირითადი ფაქტორი, თუმცა იგი არ წარმოადგენს სერიოზული ინციდენტების გამომწვევ ერთადერთ მიზეზს. ის არის დამხმარე ფაქტორი, რომელიც იწვევს დაძაბულობას დაწესებულებაში და თამაშობს კატალიზატორის როლს ინციდენტების დროს. გადატვირთულობამ ასევე შესაძლებელია ვერ უპასუხოს პატიმრების კატეგორიების მიხედვით დაყოფის მოთხოვნას. გადატვირთულობის ეფექტმა შეიძლება შექმნას სიტუაცია, როდესაც პატიმარი თავს გრძნობს უიმედოდ და შეუძლია მიმართოს ექსტრემალურ საშუალებებს. ის ასევე გავლენას ახდენს ადამიანის ღირსებაზე და პატიმრების შესაძლებლობაზე იქონიონ ყოველდღიური ცხოვრებისთვის დამახასიათებელი აქტივობები (ძილი, ჰიგიენა, ა.შ.) მცირე პრივატულობის პირობებში.

### ბ. მართვასთან დაკავშირებული ფაქტორები

**ორგანიზაციულ სტრუქტურაში არსებული ხარვეზები**

პენიტენციური დაწესებულების ორგანიზაციულ სტრუქტურას, რომელსაც არ აქვს სათანადო უსაფრთხოების პროცედურები ან უსაფრთხოებაზე ორიენტირებული ანგარიშგებისა და მონიტორინგის მოთხოვნები, აქვს ინციდენტების პრევენციის, განჭვრეტისა და ეფექტიანი რეაგირების ნაკლები შესაძლებლობა. ზოგიერთ ქვეყანაში, ყველა საჭირო პოლიტიკის დოკუმენტი შექმნილია მაგრამ ვერ ხერხდება მათი პრაქტიკაში დანერგვა.

**პენიტენციური დაწესებულების უსაფრთხოების პროცედურების არარსებობა**

საბაზისო უსაფრთხოების პროცედურები მოიცავს სათანადო შემოწმების ტექნიკას, მთლიანი დაწესებულების შემოწმების გეგმას, პატიმრების ქცევის მუდმივ მონიტორინგსა და ანალიზს, და შესაძლებლობას დადგინდეს ადეკვატური კონტროლი პატიმრების მოძრაობასა და აქტივობებზე. პენიტენციური დაწესებულების მენეჯმენტი ორიენტირებული უნდა იყოს პროაქტიულ ქმედებებზე. ეს არის ძირითადი სახის ინციდენტების პრევენციისა და მასობრივი გაქცევის თავიდან არიდების კუთხით. პასიური და მხოლოდ რეაგირებაზე დაფუძნებული ურთიერთობა, რომელიც შეიძლება არსებობდეს პენიტენციური დაწესებულების პერსონალსა და პატიმრებს შორის, იწვევს პატიმრების მიერ დაწესებულების შიგნით მიმდინარე მოვლენებზე გავლენისა და კონტროლის მოპოვებას.

ზოგიერთ პენიტენციურ დაწესებულებას აქვს საბაზისო უსაფრთხოების პროცედურები, თუმცა, ხშირად არ ხდება ამ პროცედურების თანმიმდევრული გამოყენება და პერსონალის მხრიდან აქტიური ყურადღების გამახვილება. დაწესებულების მოსამსახურეები ყოველთვის არ არიან საკვანძო უსაფრთხოების პოსტზე და აქტიურად არ ზედამხედველობენ და არ აფასებენ პატიმართა მოძრაობასა და ქცევას. მსგავს სიტუაციებში არსებობს უსაფრთხოების რისკების, სახიფათო სიტუაციებისა და გაქცევის გეგმის იდენტიფიცირების მცირე შესაძლებლობა. ეს განსაკუთრებით რთულია ისეთ დაწესებულებებში, სადაც ინფრასტუქტურის დაგეგმარების/კონფიგურაციის შექმნის დროს არ იყო გათვალისწინებული სტატიკური უსაფრთხოების ელემენტები, ასევე იმ დაწესებულებებში, სადაც აქტუალურია გადატვირთულობის პრობლემა.

**პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაციის მოუმზადებლობა სერიოზულ ინციდენტებზე რეაგირების კუთხით**

პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაცია შესაძლებელია მოუმზადებელი იყოს მასობრივ დესტაბლიზიაციაზე ან/და სიცოხლისთვის საშიშ ინციდენტებზე რეაგირების კუთხით რამდენიმე მიზეზის გამო. მიზეზები შეიძლება მოიცავდეს ტრენინგების ნაკლებობას, არაკვალიფიციურ თანამშრომლებს, სათანადო აღჭურვილობის ნაკლებობას და ცუდად კოორდინირებულ ან არასრულ საპასუხო შესაძლებლობებს. ეფექტიანი ინტერვენციისთვის აუცილებელია როლებისა და პასუხისმგებლობების კარგად გაგება.
არაერთ პენიტენციურ სისტემაში არსებობს მთელი რიგი პროცედურები/პროტოკოლები მსხვილი ინციდენტის შემთხვევაში პენიტენციური დაწესებულებისთვის დამატებითი დახმარების საჭიროების შესახებ. სამწუხაროდ, ბევრი მათგანი საკმაოდ ზოგადია და არ ფარავს ყველა შესაძლო სცენარს და ხშირად პრაქტიკულ დონეზე თანამშრომელები მათ შესახებ არ არიან ინფორმირებულნი.

**ზედამხედველობის, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების მექანიზმების ნაკლებობა ან სისუსტე**

ბევრ პენიტენციურ სისტემაში ჯერ კიდევ საჭიროა დაწესებულების თანამშრომლების ანგარიშვალდებულების სისტემის განვითარება. სწორი ანგარიშგება და პენიტენციური დაწესებულების ოპერაციებზე ზედამხედველობა არის მნიშვნელოვანი გამოწვევა და საჭიროა მისი განვითარება ყველა მხარის ჩართულობით.

**გ. რესურსებთან დაკავშირებული ფაქტორები**
**არასათანადოდ გადამზადებული პენიტენციური დაწესებულების პერსონალი**

თანამშრომლების საკმარისი რაოდენობის გარეშე, პატიმრებმა შეიძლება, მოიპოვონ კონტროლი დაწესებულებაზე. ბევრ ქვეყანაში, პენიტენციური დაწესებულების მოსამსახურეები არიან ყოფილი პოლიციელები. დაწესებულების პერსონალისთვის საჭირო კვალიფიკაცია და კომპეტენციები განსხვავდება პოლიციის ან შეიარაღებული ძალების ოფიცრებისგან. საჭიროა ამ განსხვავების კარგად აღქმა თანამშრომელთა შერჩევისა და ტრენინგის დაგეგმვის დროს.

**პენიტენციური დაწესებულების პერსონალის ცუდი სამუშაო პირობები**

ზოგიერთ ქვეყანაში, პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლების შრომის ანაზღაურება არ ხდება რეგულარულად. მათ ასევე ხშირად არ აქვთ შესაბამისი უნიფორმები და აღჭურვილობა უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მოვალეობების შესასრულებლად. ეს კი იწვევს კორუფციას, რომელმაც თავის მხრივ შეიძლება გამოიწვიოს თანამშრომლების გავლით ან საშუალებით დაწესებულებაში აკრძალული ნივთების (ნარკოტიკები, იარაღი, მობილური ტელეფონები, ა.შ.) შემოდინება.
დაწესებულების თანამშრომლები ხშირად ექვემდებარებიან ისეთივე ცხოვრების პირობებს როგორსაც პატიმრები, რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს მათ მიერ შესრულებული სამუშაოს ხარისხზე და პატიმრებთან ურთიერთობაზე. ასეთი პირობები უარყოფითად აისახება თანამშრომლების მორალსა და მოტივაციაზე.

**არაადეკვატური ლოჯისტიკა პენიტენციური დაწესებულების მართვისთვის**

პენიტენციურ დაწესებულებებს აუცილებლად უნდა ჰქონდეთ საჭირო ლოჯისტიკური მხარდაჭერა, ტექნოლოგია და აღჭურვილობა, რაც მათ საშუალებას მისცემს ეფექტურად შეასრულონ თავიანთი ფუნქციები და გაუმკლავდნენ კრიზისულ სიტუაციებთან დაკავშირებულ ინციდენტებს.

**ანტისანიტარია და დაავადებების სიხშირე**

პენიტენციურ დაწესებულებაში პატიმართა რაოდენობიდან გამომდინარე, ასევე, შეზღუდული ფინანსური რესურსებიდან გამომდინარე, დაწესებულებათა ნაწილში არის არასახარბიელო პირობები პატიმრების ჯანმრთელობისთვის, რაც ქმნის ხელსაყრელ გარემოს დავადებების გავრცელებისთვის.

პატიმრები ხშირად იმყოფებიან გადამდები ავადმყოფობებით დაავადების რისკის ქვეშ და ზოგადად უჭირთ სუფთა, ჰიგიენური გარემოს შენარჩუნება. საპირფარეშოები და სამედიცინო ნარჩენები განსაკუთრებულად საშიშია. პატიმრებს ხშირად ან საერთოდ არ მიეწოდებათ პირადი ჰიგიენის პროდუქტები ან ისინი არ არის ადვილად ხელმისაწვდომი გამოსაყენებლად.

**პატიმრების არასაკმარისი საკვებით უზრუნველყოფა**

ბევრ ქვეყანაში პენიტენციური დაწესებულებებისთვის ძირითადი პრობლემური საკითხია ყოველდღიურად ყველა პატიმრის საკმარისი საკვებით უზრუნველყოფაა. ხშირად პატიმრებისთვის დამატებითი საკვების მიწოდება ხდება ოჯახებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ. მართალია, ეს მიზანშეწონილი არ არის, თუმცა მსგავსი სახის ურთიერთობა ფასდაუდებელია და ხელს უწყობს საზოგადოებასა და პატიმრებს შორის კავშირის შენარჩუნებას.

**არასათანადო ჯანდაცვა**

სათანადო ჯანდაცვის სისტემის გარეშე, მართვა და დაავადებების იდენტიფიცირება არაფექტიანია. პენიტენციურ დაწესებულებებში სერიოზული გამოწვევაა ტუბერკულიოზის, იმუნოდეფიციტის ვირუსის/შიდსის (HIV/AIDS) და სხვა ინფექციური დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლა. მნიშვნელოვანია, რომ თუ ადგილზე მკურნალობა შეუძლებელია, არსებობდეს ორგანიზებული კავშირი პენიტენციურ დაწესებულებასა და სამოქალაქო ჯანდაცვის დაწესებულებებს შორის.
ბევრი პენიტენციური დაწესებულებისთვის გამოწვევაა დაავადებებისაგან თავისუფალი გარემოს შენარჩუნება. თუ კი საბაზისო ჯანდაცვის მომსახურების მიწოდება არ არის უზრუნველყოფილი, დაავადებები შეიძლება ადვილად გავრცელდეს.

**პენიტენციური დაწესებულების სუსტი ინფრასტრუქტურა**

კარგად ორგანიზებული/დაგეგმილი ინფრასტრუქტურა სტატიკური უსაფრთხოების სისტემის მთავარი კომპონენტია. ბევრ შემთხვევაში, დაწესებულების ინფრასტრუქტურა სუსტი და არაადეკვატურია. აუცილებელია პენიტენციური დაწესებულების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების კოორდინირება თანამშრომლების ტრენინგთან და დაწესებულების უსაფრთხოების პოლიტიკის განვითარებასთან ერთად. ინფრასტრუქტურული ხარვეზების ერთობლიობა ზრდის უსაფრთხოების რისკებს პენიტენციურ დაწესებულებებში.

ბევრ პენიტენციური დაწესებულებაში, არ არსებობს რისკების მიხედვით პატიმართა იზოლაციისა და განცალკევების შესაძლებლობა. ანალოგიურად, მცირეა სხვადასხვა კატეგორიის პატიმართა ეფექტიანად დანაწილებისა და დაცვის შესაძლებლობა, განსაკუთრებით ეს ეხებათ მოწყვლად პატიმრებს, როგორებიც არიან ფსიქიკური დაავადების მქონე ან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პატიმრები და ა.შ.

**დ. ძირითადი ხელისშემწყობი ფაქტორები**

მასობრივი არეულობები, მძევლად აყვანის შემთხვევები და მასობრივი გაქცევები კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს პენიტენციური სისტემის შესაძლებლობას ეფექტიანად მართოს პატიმრები. სხვადასხვა სახის კვლევებმა გამოავლინა რამდენიმე ძირითადი ფაქტორი, რომელიც ზეგავლენას ახდენს პატიმრის ქცევასა და მის უნარზე/შესაძლებლობაზე მიიღოს დაკავების პირობები.

ეს ფაქტორებია:

- თანამშრომლებსა და პატიმრებს შორის კონტაქტის ნაკლებობა;
- პრეფერენციული (შეღავათიანი) ურთიერთობები თანამშრომლებსა და პატიმრებს შორის;
- პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლებსა და მენეჯმენტს შორის შიდა კონფლიქტები;
- ახალი პატიმრების ნაკადის სწრაფად შემოდინება;
- დღის განრიგში, პროცედურებში ან წესებში საფუძვლიანი ცვლილებები წინასწარი გაფრთხილების გარეშე.

**საინტერესოა განვიხილოთ რეალური მაგალითები, დეტალური ქრონოლოგიით, რომლებიც მოგვცემს ანალიზის შესაძლებლობას, როგორ მოქმედებდა ესა თუ ის პენიტენციური დაწესებულება კრიზისულ სიტუაციებთან გამკვლავების დროს და რა სახის შეცდომები იქნა დაშვებული. ეს მაგალითები მოგვცემს შესაძლებლობას ვიმსჯელოთ, თუ როგორ უნდა მოხდეს ბუნტის, მასობრივი არეულობის, გაქცევის, მძევლად აყვანის ან სხვა სახის გართულებების პრევენცია და თუ ასეთი**

შემთხვევები მაინც მოხდა, რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას მათი აღკვეთის მიზნით. ჩვენი სურვილი იყო, რომ მაგალითის სახით მოგვეყვანა საქართველოს პენიტენციურ სისტემაში მომხდარი მსგავსი ინციდენტები, თუმცა სამწუხაროდ, არცერთი ასეთი შემთხვევის დეტალური ანალიზი სისტემის მხრიდან არ განხორციელებულა (ზოგადი შეფასებების გარდა), ამიტომ საჭიროდ ჩავთვალეთ სხვა ქვეყნების მაგალითების გაცნობა, სადაც პროცესები დეტალურად არის გაანალიზებული.

ქვემოთ მოყვანილ ორივე მაგალითში გვაქვს მძევლად აყვანის შემთხვევა, სხვა სახის გართულებებთან ერთად, ამიტომ სანამ ამ მაგალითებს მიმოვიხილავთ, გვსურს წინასწარვე წარმოვადგინოთ რეკომენდაციები მძევლად აყვანისა და გაქცევის მცდელობის შემთხვევასთან დაკავშირებით. ეს შესაძლებლობას მოგვცემს კრიტიკული თვალით განვიხილოთ ყველა მოყვანილი მაგალითი (კაზუსი). თუმცა, კიდევ ერთხელ ხაზს ვუსვამთ, რომ ეს მაგალითები მარტო მძევლად აყვანის შემთხვევის საკითხს არ ეხება.

## მძევლად აყვანა – რეკომენდაციები

პირველი შემთხვევის ადგილზე

ინციდენტის აღმომჩენმა თანამშრომელმა უმჯობესია პირადად არ განახორციელოს არანაირი ინტერვენცია და არ ჰქონდეს კომუნიკაცია მძევლად ამყვანებთან. მან დაუყოვნებლივ უნდა მოახსენოს ინციდენტის შესახებ დაწესებულების ადმინისტრაციას. როგორც წესი, პენიტენციური დაწესებულების დირექტორი სრულად არის პასუხისმგებელი ინციდენტის მართვაზე, მათ შორის გარე მხარდამჭერი უწყებების (პოლიცია, ა.შ) ჩართულობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე.

პენიტენციური დაწესებულების დირექტორმა უნდა მიიღოს შემდეგი ზომები:

**1. ინფორმაციის შეგროვება**

განსაზღვროს თანამშრომელი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება ინფორმაციის შეგროვებაზე, მძევლად ამყვანებთან კომუნიკაციის გარეშე, შეგროვებული ინფორმაცია უნდა მოიცავდეს:

- მძევალთა სახელებს;
- მძევლების ფიზიკურ მდგომარეობას;
- მძევლად ამყვანთა ვინაობას, თუ ცნობილია;
- ინციდენტის ზუსტ ადგილმდებარეობას;
- გამოყენებული ან არსებული იარაღის სახეობას (თუ ცნობილია);
- ბარიკადების ან შეზღუდვების არსებობას მძევლად აყვანის ადგილამდე, არის თუ არა ვიზუალური კონტაქტი მძევლებთან ან მძევლად ამყვანებთან;
- სხვა რელევანტურ ინფორმაციას.

**2. ინციდენტის ადგილის იზოლირება**

სადაც შესაძლებელია, უნდა მოხდეს პენიტენციური დაწესებულების თანამშრომელთა განლაგება ისე, რომ მოხდეს იმ პატიმართა უსაფრთხოების დაცვა, რომლებიც არ არიან ჩართულნი ინციდენტში და აიკრძალოს პატიმართა და თანამშრომელთა მოძრაობა შემთხვევის ადგილისკენ. უნდა მოხდეს თანამშრომელთა ნაწილის (რომლებიც არ არიან საჭირო), პატიმრებისა და პაემანზე მოსული პირების დაწესებულებიდან გაყვანა.

**3.ინციდენტის შესახებ ინფორმაციის მიწოდება და დამატებითი ძალის მოძიება**

დირექტორი ატყობინებს ცენტრალურ აპარატსა[230] და ადგილობრივ პოლიციას ინციდენტის შესახებ, განსაზღვრავს ხელმძღვანელ პირს, რომელიც პასუხისმგებელი იქნება პოლიციასთან ან სხვა გარე დამხმარე უწყებებთან კონტაქტზე.

**4. მძევლად ამყვანებთან მოლაპარაკების გამართვა**

დირექტორი განსაზღვრავს თანამშრომელს მოლაპარაკების წარმოებისთვის და აწვდის მას ნებისმიერ მოგროვილ ინფორმაციას. მომლაპარაკებელმა კომუნიკაცია უნდა აწარმოოს მძევლად ამყვანებთან უსაფრთხო დისტანციიდან. მან უნდა:

- ჩაინიშნოს მძევლად ამყვანთა მოთხოვნები და პირობები და აცნობოს დაწესებულების დირექტორს;
- არ გააკეთოს დაპირებები, არ წავიდეს დათმობებზე და არ აიღოს გარკვეული ქმედებების ვალდებულება;
- მოლაპარაკების დროს არ უნდა იქონიოს გასაღებები, იარაღი და დამორჩილების საშუალებები;
- რეგულარულად მიაწოდოს ინფორმაცია დაწესებულების დირექტორს მოლაპარაკებების მიმდინარეობის შესახებ.

**5. ინციდენტების აქტივობების ჩაწერა/დოკუმენტირება**

დირექტორმა უნდა შეარჩიოს თანამშრომელი, რომელმაც უნდა განახორციელოს ინციდენტთან და მის მართვასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაციის ჩაწერა, ქრონოლოგიურად. ეს ინფორმაცია უნდა მიეწოდოს მხოლოდ პენიტენციური დაწესებულების დირექტორს ან მის მიერ უფლებამოსილ პირს.

**6. დაწესებულების სხვა თანამშრომლები**

დაწესებულების სხვა თანამშრომლებმა უნდა უზრუნველყონ იმ პატიმართა უსაფრთხოება, რომლებიც არ არიან ჩართულნი ინციდენტში. უნდა უზრუნველყონ დაწესებულებაში შესვლის შეზღუდვა და ინციდენტის ადგილზე მხოლოდ შესაბამის თანამშრომელთა შესვლა, შეინარჩუნონ ჩვეული სიტუაცია დაწესებულების იმ ადგილებში, რომელსაც არ ეხება ინციდენტი, შეცვალონ დღის განრიგი იმ ადგილებში საიდანაც არ უნდა მოხდეს ინციდენტის ადგილზე წვდომა ან მომლაპარაკებელსა და მძევლად ამყვანს შორის მიმდინარე მოლაპარაკებებში ჩარევა. ასეთ შემხვევებში დაწესებულების სამედიცინო პერსონალი ქმნის სამედიცინო პუნქტს ინციდენტის ადგილის ახლოს, იმყოფება კავშირზე დახმარების აღმომჩენ გარე უწყებებთან სამედიცინო დახმარების გაწევასთან დაკავშირებით.

[230] საქართველოში ეს შეიძლება იყო პენიტენციური დეპარტამენტი ან/და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო.

## გაქცევა – რეკომენდაციები

როგორც წესი, პატიმრებს არ მოსწონთ დაწესებულებაში ყოფნა, მაგრამ უმეტესობა მათგანი შეგუებულია რეალობას. უმეტესი მათგანი არ შეეცდება გაქცევას ან დაწესებულების ყოველდღიური რეჟიმის დარღვევას თუ დაექვემდებარებიან სათანადო უსაფრთხოების ზომებს და სამართლიან მოპყრობას. მეორე მხრივ, პატიმართა გარკვეული (მცირე) რაოდენობა ყველაფერს გააკეთებს გაქცევისთვის. მათი გარკვეული ნაწილი საფრთხის შემცველია საზოგადოებისთვის. ეს ყველაფერი ნიშნავს, რომ პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაციას უნდა შეეძლოს ყოველი კონკრეტული პატიმრისგან მომდინარე საფრთხის შეფასება იმისთვის, რომ თითოეული მათგანი დაექვემდებაროს შესაბამის უსაფრთხოების ზომას, არც მეტისმეტად მკაცრს და არც მეტისმეტად ლმობიერს.[231]

დაწესებულების ადმინისტრაცია ვალდებულია, შემოიღოს ისეთი უსაფრთხოების ზომები, რომლებიც აუცილებელია იმისთვის, რომ პატიმარი არ გაიქცეს და რომლებიც უზრუნველყოფენ უსაფრთხო გარემოს, სადაც ყველას შეუძლია თავისი საქმით დაკავდეს ისე, რომ არ იფიქროს ფიზიკურ უსაფრთხოებაზე.[232]

პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფი ზოგიერთი პატიმარი შეიცავს რისკს გაქცევის შემთხვევაში პირთა კონკრეტული ჯგუფის ან გარკვეული პირის მიმართ. ამიტომ, ყველა შესაძლო ზომა უნდა იქნეს გატარებული, რომ არ მოხდეს ასეთი პატიმრის გაქცევა. ასეთი პატიმრების შემთხვევაში უნდა არსებობდეს მათი შესაძლო გაქცევისას არსებული საფრთხის სპეციფიური შეფასება. უნდა გაანალიზდეს რამდენად აქვთ მათ წვდომა რესურსებზე, როგორც დაწესებულების გარეთ, ისე მის შიგნით, რაც მათ დაეხმარება გაქცევაში.

### რისკების შეფასება

რისკების შეფასებასთან დაკავშირებით მსჯელობა გვქონდა წინა თავებში. ზოგადად პრინციპი შეფასებისას ერთია, თუმცა ამ შემთხვევაში რისკების შეფასება კონკრეტულად უნდა იძლეოდეს იმ პატიმრების იდენტიფიცირების საშუალებას, რომლებიც საფრთხეს წარმოადგენენ საკუთარი თავისთვის, თანამშრომლებისთვის, სხვა პატიმრებისა და ფართო საზოგადოებისთვის. რისკის შეფასებისასმხედველობაში მისაღები კრიტერიუმები მოიცავს - პატიმრის გაქცევის შემთხვევაში საზოგადოებისთვის საფრთხის არსებობას; ისტორიას გაქცევების შესახებ.[233]

პროცედურული უსაფრთხოება

პროცედურული უსაფრთხოება არის მთავარი კომპონენტი, რომელიც საჭიროა პატიმართა გაქცევის აღკვეთის მიზნით. ეს პროცედურები, უსაფრთხოების დაცვის ზოგად სტანდარტებთან ერთად უნდა განვიხილოთ. პროცედურული უსაფრთხოება უკავშირდება სტატიკური და დინამიური უსაფრთხოების ყველა სახის ელემენტის გამოყენებას (რაზეც წინა თავებშიც გვქონდა საუბარი). იგი მოიცავს:

- პატიმართა კლასიფიკაციას;
- პატიმართა, მნახველების და ტერიტორიის შემოწმებას;
- პერიმეტრის უსაფრთხოებას;
- გარე დაცვის სამსახურის გამართულ მუშაობას;
- ძალის მინიმალურ გამოყენებას, სპეციალური საშუალებების გამოყენების წესს;
- დაწესებულებაში ზოგადად უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფას;
- საჭიროების შემთხვევაში, კანონით დადგენილი წესით, პატიმართა კორესპოდენციისა და სატელეფონო საუბრების კონტროლს;
- დაწესებულებაში ეფექტური მონიტორინგის სისტემას;
- უწყებათაშორისი კოორდინაციის ეფექტიანი სისტემის არსებობას;
- და ა.შ

სტატიკური და დინამიური უსაფრთხოების რომელიმე ელემენტში არსებული ხარვეზი, შესაძლოა იყოს პატიმრის/პატიმრების გაქცევის მცდელობის მაპროვოცირებელი. ამიტომ მნიშვნელოვანია მუდმივად კონტროლდებოდეს ამ კომპონენტების მდგრადობა.

### როგორ უნდა შეფასდეს, თუ რამდენად არის დაცული შესაბამისი სტანდარტები და არსებობს თუ არა ნათელი პროცედურები კრიზისული სიტუაციის (არა მარტო მძევლად აყვანის ან გაქცევის შემთხვევაში)

231 ადამიანის უფლებათა მიდგომა ციხის მართვისას, ციხის თანამშრომელთა სახელმძღვანელო, მე-2 გამოცემა, 2009, ენდრიუ კოილი, გვ.61.

232 ადამიანის უფლებათა მიდგომა ციხის მართვისას, ციხის თანამშრომელთა სახელმძღვანელო, მე-2 გამოცემა, 2009, ენდრიუ კოილი, გვ.68.

233 ადამიანის უფლებათა მიდგომა ციხის მართვისას, ციხის თანამშრომელთა სახელმძღვანელო, მე-2 გამოცემა, 2009, ენდრიუ კოილი, გვ.62.

**მართვის კუთხით? ზოგადი შეფასების მიზნით, რამდენიმე ძირითად კითხვებს უნდა გაეცეს პასუხი (თუმცა ეს კითხვები არ არის ამომწურავი):**

- არსებობს თუ არა ნორმები, რომლებიც არეგულირებს ძირითად ინციდენტებს?
- ვინ მართავს პენიტენციური დაწესებულებას?
- ვინ მართავს ინციდენტს?
- როგორია ინციდენტის მართვის ჯაჭვი?
- არსებობს თუ არა რაიმე შეზღუდვა მართვაზე პასუხისმგებელი პირის უფლებამოსილების მიმართ?
- ვის და როდის უნდა ეცნობოს ინციდენტის შესახებ?
- ადგენსს თუ არა ძირითადი ინციდენტების მარეგულირებელი ნორმები ძალის გამოყენების შესაძლებლობას?
- ვინ გასცემს ძალის გამოყენების შესახებ ბრძანებას და ვის შეუძლია მისი გამოყენება?
- ვინ არის პასუხისმგებელი მედიასთან ურთიერთობაზე?
- ვის აქვს ინფორმაციის გავრცელების უფლებამოსილება?
- არიან თუ არა თანამშრომლები მზად ინციდენტის მართვისათვის?
- არსებობს თუ არა ევაკუაციის/დაწესებულების შიგნით და მის ფარგლებს გარეთ პატიმართა გადაყვანის გეგმა?
- რამდენად ხშირად ხორციელდება ინციდენტების მართვის შესახებ ტრენინგები და რამდენი ინციდენტი მოხდა ბოლო 12 თვეში?
- გაიარა თუ არა მსგავსი ტრენინგი ყველა ცვლამ?
- არიან თუ არა გადამზადებულნი ინციდენტის მართვაზე პასუხისმგებელი/ხელმძღვანელი პირები?
- განიხილება თუ არა ხელმძღვანელი პირების შეხვედრებზე ძირითადი ინციდენტების პრევენციის საკითხები?
- ხაზგასმულია თუ არა ინციდენტების მართვის დროს ადრეული ინტერვენციის მნიშვნელობა ადმინისტრაციის მხრიდან?
- არის თუ არა ხშირი, ღია კომუნიკაცია თანამშრომლებსა და პატიმრებს შორის?
- გადიან თუ არა თანამშრომლები გადამზადებას პოტენციური რისკების იდენტიფიცირებაში?
- რამდენად ეფექტიანია პატიმართა კლასიფიკაციის სისტემა?
- რამდენი შემთხვევითი შემოწმება ჩატარდა ბოლო 12 თვის განმავლობაში?
- რამდენჯერ ჩატარდა დაწესებულებაში უსაფრთხოების სისტემის ინსპექცია ბოლო 12 თვის განმავლობაში?
- რა უსაფრთხოების აღჭურვილობა არსებობს და რამდენად ხშირად ხდება მისი ვარგისიანობის შემოწმება?
- რა სიხშირით ხდება პერიმეტრის უსაფრთხოების, ავტომობილების, კარების, პაემნის ოთახების და ა.შ. ინსპექტირება?
- რამდენი დარღვევა დაფიქსირდა ბოლო 12 თვის განმავლობაში პატიმართა მხრიდან და რა იყო ძირითადი მიზეზები? მოხდა თუ არა ამ შემთხვევების ანალიზი?
- არსებობს თუ არა ინციდენტებზე რეაგირების გეგმები და იცნობენ თუ არა მას პატიმრები?
- რა პროცედურები არსებობს სპეციფიური ინციდენტებისთვის და ინციდენტების შედეგებისთვის?
- რა უწყებათაშორისი თანამშრომლობის პროცედურებია ჩადებული გეგმებში?
- რა გეგმები და სქემებია ხელმისაწვდომი დაწესებულებაში?
- სად ინახება აღნიშნული დოკუმენტები?
- სად არის ინციდენტის მართვის პირველადი პოსტი?
- როგორია პატიმართა სასწრაფო გადაკეტვისა და დათვლის პროცედურები?
- რა დრო სჭირდება სწრაფი რეაგირების ჯგუფს (სპეციალური დანიშნულების რაზმს) ან სხვა ტიპის ტაქტიკურ ჯგუფს მობილიზებისთვის?
- რომელ გარე ორგანიზაციებს შეუძლიათ აღნიშნული ფუნქციების შესრულება?
- ვის შეუძლია მოლაპარაკებების წარმოება მძევლად აყვანილ პირებთან დაკავშირებით?
- როდის ჩატარდა ბოლო ტრენინგი ინციდენტებზე რეაგირების გეგმებთან და პროცედურებთან დაკავშირებით?
- როდის იყო ბოლო ტრენინგი საგანგებო სიტუაციების ინსტრუქციებსა და სავარჯიშოებთან დაკავშირებით?
- სად ინახება გასაღებები საგანგებო შემთხვევებისთვის და ვის მიუწვდება მათზე ხელი?
- და ა.შ. [234]

[234] „ციხის ინციდენტების მართვა", გვ-41-46, UN, 2013.

## მაგალითი N1

**ლუკასვილის ციხის ბუნტი: ოჰაიოს სასჯელაღსრულების დეპარტამენტი**

„1993 წლის 11 აპრილს, აღდგომის კვირას, ლუკასვილში, ოჰაიოს შტატში, სამხრეთ ოჰაიოს პენიტენციურ დაწესებულებაში (SOCF) დაიწყო ყველაზე ხანგრძლივი ციხის ბუნტი ბოლო ოთხი ათწლეულის განმავლობაში და სიკვდიალიანობის მაჩვენებლით მესამე არეულობა ბოლო პერიოდის სასჯელაღსრულების ისტორიაში. როდესაც 11 დღის შემდეგ ბუნტი დასრულდა, პენიტენციური დაწესებულების ოფიცერი და 9 პატიმარი იყო მოკლული. სამართალდამცავი ორგანოების დაახლოებით 2,000 წარმომადგენელი და ეროვნული დაცვის ძალები ჩართულნი იყვნენ ბუნტის ჩახშობაში 11 დღის განმავლობაში. ბუნტის დასრულებისას, მომლაპარაკებლებმა მიიღეს 21 პუნქტიანი საჩივრების სია ლუკასვილის ციხეში მათი განხილვის და გაუმჯობესების დაპირებით.

ბუნტის დაწყებისას SOCF-ს ჰყავდა 1,822 პატიმარი, რომელთა 44% მოთავსებული იყო ორკაციან საკნებში. როგორც შტატის ერთადერთი მაქსიმალური უსაფრთხოების ციხეში, SOCF-ში ჯამურად იმყოფებოდნენ 40,000 კაციანი სისტემის ყველაზე ძალადობრივი და დესტრუქციული წარმომადგენლები.

ბუნტამდე თვეებით ადრე, ოჰაიოს ციხის სისტემაში აღმოჩნდა ტუბერკულიოზის რამდენიმე აქტიური შემთხვევა და გადაწყდა ტუბერკულიოზზე კანის ანალიზის ჩატარება ყველა პატიმრისათვის. ოჰაიოს ყველა ციხემ, SOCF-ის გარდა, პრობლემების გარეშე ჩაატარა ტუბერკულიოზის ტესტები. SOCF-ში, მუსლიმმა პატიმრებმა აცნობეს ციხის დირექტორს, რომ მათი რელიგია კრძალავდა კანის ტესტირებას და რომ ისინი მონაწილეობას არ მიიღებდნენ გამოკვლევაში. დირექტორი შეხვდა პატიმრების ლიდერს და მუსულმანთა იმამს და უთხრა, რომ მათ არჩევანი არ ჰქონდათ, მან გამოიყენა გამონათქვამი, რომელიც მუქარის და ულტიმატუმის შემცველი იყო და ნიშნავდა, რომ იგი მართალი იყო და მას უნდა დამორჩილებოდნენ (“my way or the highway”). (ციხის დირექტორმა შემდგომში აღიარა, რომ მისი მიდგომა არასაჭიროდ კონფრონტაციული იყო და შეცდომას წარმოადგენდა.)

ხუთშაბათს SOCF-ის ხელმძღვანელობა შეთანხმდა, რომ მომავალ ორშაბათს ჩაკეტავდნენ ციხეს და საჭიროების შემთხვევაში ჩაატარებდნენ იძულებით კანის ტესტირებას. მომდევნო დღეს, შაბათს, შემუშავდა პატიმართა იზოლირების ინსტრუქციები, რომელთა უმეტესობაც დაიბეჭდა პატიმარი მუშახელის მიერ. პატიმრებმა იცოდნენ, რომ მათი ჩაკეტვა დაიწყებოდა ორშაბათს დილით და მათ გამოიყენეს შაბათი არეულობის დასაგეგმად, რომელიც კვირას უნდა დაწყებულიყო.

1993 წლის 11 აპრილს, კვირას, შუადღის შემდეგ, ორი უსაფრთხოების ოფიცერი და რეკრეაციის ოფიცერი იმყოფებოდნენ „L“ ბლოკის კორიდორში როდესაც 100-ზე მეტი პატიმარი L-6-იდან დაბრუნდა რეკრეაციის ველიდან. ამავე დროს, L-2 და L-7 ნაწილის 180 პატიმარი, რომლებიც სასეირნოდ იყვნენ გაშვებული, ასევე ემზადებოდნენ, რომ შემოსულიყვნენ „L“ ბლოკის კორიდორში.

დაახლოებით 15:00 საათზე, როდესაც L–6 ნაწილის პატიმრები შემოვიდნენ სასეირნო ეზოდან კორიდორში, მათი ჯგუფის ნაწილმა მოაწყო თავდასხმა ოფიცერზე, რომლის განეიტრალებაც რაოდენობრივი სიმრავლის გამო მალევე შეძლეს. ეზოდან შემოვიდნენ რა სხვა პატიმრებიც, ისინიც შეუერთდნენ არეულობას და თავს დაესხნენ იქვე მყოფ სხვა თანამშრომლებს. პატიმრები რიცხობრივად იმდენად აღემატებოდნენ თანამშრომლებს, რომ თანამშრომელთა თავდაპირველი უსაფრთხოებისა და კონტროლის მიზნები მალევე ჩანაცვლდა გადარჩენისა და არეულობის სხვა ნაწილებში გავრცელების თავიდან არიდების მიზნებით.

ბუნტი უკვე დაწყებული იყო. თავდაპირველი თავდასხმიდან 15 წუთში, პატიმრებმა მოიპოვეს კონტროლი L-კორიდორზე და გასაღებებზე, რომლებიც აღებდა ყველა ბლოკისკენ მიმავალ კარს L-კორიდორში. მათ ასევე აიყვანეს მძევლები და დარჩენილი თანამშრომლები გაანეიტრალეს დაჭერისა და არეალის გარეთ მოთავსების გზით.

**მოვლენების ქრონოლოგია**
**დღე 1: კვირა, 1993 წლის 11 აპრილი**

**12 საათი, შუადღე**. იწყება დასვენების/რეკრეაციის პერიოდი. L–2, L–6, L–7, და K–6 ნაწილის პატიმრები, დაახლოებით 400 პატიმარი, გადის ეზოში. დაახლოებით 60 დამატებით პატიმარს ასევე უშვებენ ეზოში.
**14:50 საათი**. ცხადდება ეზოს „დაკეტვა" საჯარო მიმართვის არხით.
**14:55 საათი**. საჯარო მიმართვა ეზოს დატოვების შესახებ მეორდება.
**15:00 საათი**. L–6 ნაწილის პატიმრები (მაქსიმალური უსაფრთხოება, დონე 4) იწყებენ L-კორიდორში შემოსვლას.
**15:03 საათი**. რამოდენიმე პატიმარი თავს ესხმის კორიდორის ოფიცერს და ხელში იგდებს გასაღებებს რომლებიც აღებს ყველა ბლოკისკენ მიმავალ კარს L-კორიდორში.

/სამხრეთ ოჰაიოს პენიტენციური დაწესებულება გახსნისთანავე პრობლემური დაწესებულება იყო. ლუკასვილი მდებარეობს ყველაზე იზოლირებულ, უკაცრიელ და უღარიბეს ნაწილში, რეგიონში, რომელსაც უფრო მეტი აქვს საერთო კენტუკის აპალაჩების ზონასთან ოჰაიოს მდინარის გასწვრივ ვიდრე მის ჩრდილოეთის ნაწილთან - ოჰაიოს ინდუსტრიულ ქალაქებთან როგორიცაა კლივლენდი, აკრონი, ტოლედო და კანტონი. დაუხვეწავი, გარეუბნის მაცხოვრებელი თეთრკანიანი თანამშრომლებისა და ურბანული, შავკანიანი პატიმრების მიქსი თავიდანვე პრობლემური იყო. რასობრივი საკითხები ცუდად იყო და ციხეს გამოცდილი ჰქონდა 20-ზე მეტი მკვლელობა მისი ფუნქციონირების საკმაოდ მოკლე პერიოდში სანამ აღდგომის აჯანყება დაიწყებოდა. უმეტეს შემთხვევაში, პატიმრები, რომლებიც ყველაზე დიდ სასჯელს იხდიდნენ ოჰაიოს ციხის სისტემაში, გეოგრაფიულად ყველაზე მეტად იყვნენ დაშორებული თავიანთ ოჯახებს, რაც ვიზიტებს რთულსა და იშვიათს ხდიდა. ძველი, ანტიკვარული ტელეფონის ჩამრთველის გამო, პატიმრებს ჰქონდათ ძალიან შეზღუდული წვდომა წინასწარი გადახდის სატელეფონო აპარატებთან. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ ციხეში განთავსებული იყვნენ შტატის 40,000 პატიმრებიდან ყველაზე სერიოზულები, ის იმართებოდა არა როგორც მაქსიმალური უსაფრთხოების, არამედ როგორც საშუალო უსაფრთხოების დაწესებულება/.

**15:04 საათი**. პატიმრები თითქმის ერთდროულად ესხმიან თავს ოთხ ოფიცერს. ერთი ოფიცერი რეკავს კონტროლის ცენტრ 1-ში და ატყობინებს „ჩხუბი L-კორიდორში."
**15:05 საათი**. კონტროლის ცენტრი 1 ყველა დანაყოფს ატყობინებს: „ჩხუბი გვაქვს L-კორიდორში."
**15:06 საათი**. ცვლის უფროსი პასუხობს გამოძახებას და მას L-კორიდორში შესვლისთანავე ესხმიან თავს. მეორე ლეიტენანტიც პასუხობს გამოძახებას და მასაც თავს ესხმიან. J-ბლოკის სერჟანტი, აპირებს რა გამოძახებაზე პასუხს, ხედავს რომ პატიმრები ცემენ ოფიცერს ხელკეტით და ცოცხის ტარით L–6-თან ახლოს. კონტროლის ცენტრი 1 ავრცელებს შეტყობინებას, რომ ორი ოფიცერი მიემართება L-ბლოკში.

**15:07 საათი**. ორივე ოფიცერი და სერჟანტი ბრძოლით იკვალავენ გზას L-კორიდორში. კონტროლის ცენტრი 1 იღებს ზარს, რომ ოფიცერს ესაჭიროება დახმარება L-ბლოკში. K-ბლოკის რეკრეაციის ოფიცერი L-ბლოკიდან K-ბლოკში ეზოს გადაკვეთისას დაჭრილი ოფიცრების დანახვისას ითხოვს საკაცეებს.

**15:08 საათი**. კონტროლის ცენტრი 1 ურეკავს ოჰაიოს შტატის პატრულს დახმარებისთვის.
**15:12 საათი**. ორი ლეიტენანტი და სერჟანტი წარმატებით იკვალავენ გზას L-კორიდორში ქვედა შესასვლელისკენ. ისინი ბრძანებას აძლევენ კონტროლის ცენტრ 3-ს დაკეტოს შესასვლელი.

**15:15 საათი**. ლეიტენანტი ატყობინებს კონტროლის ცენტრ 1-ს, რომ „პატიმრებმა ხელში ჩაიგდეს L-მხარე". პატიმრები სკანდირებენ „ჩვენ გვაქვს გასაღებები".

**15:05-15:15 საათი**. საკვანძო თანამშრომლებთან დაკავშირება რაციების მეშვეობით ვერ ხერხდება, რადგან თანამშრომელი, რომელიც დაკავშირებას ცდილობს ვერ აცნობიერებს, რომ ის ამისთვის არასწორ ხაზს იყენებს. ზოგიერთი L-ბლოკის ოფიცერი მირბის L–5-ის კიბის უჯრედისკენ, რადგან სწორედ ამგვარად აქვს გავლილი გადამზადება. ერთ ოფიცერზე ხორციელდება თავდასხმა L–6 ნაწილში, მაგრამ ის ახერხებს გზის გაკვალვას გასასვლელისკენ სანამ დაიკეტება. მეორე ოფიცერი აყავთ მძევლად L-კორიდორში შესვლისას.

**15:15-16:15 საათი**. კოშკის გუშაგებს ებრძანათ თავიანთ იარაღზე ბეჭდის მოხსნა. უსაფრთხოების ოფიცრები, იარაღით ხელში იკავებენ პოზიციებს კონტროლის ცენტრ 3-ში, რათა ხელი შეუშალონ L-ბლოკის პატიმრებს წინ წაწევაში.

ერთი ოფიცერი ითხოვს დახმარებას L–5-ის კიბის უჯრედიდან, სადაც მან და კიდევ ერთმა ოფიცერმა თავი შეაფარეს. იგი ეკონტაქტება კონტროლის ცენტრ 1-ს 4 შემთხვევაზე. არავინ არის გაშვებული ოფიცრების დასახმარებლად. კაპელანი მოდის კონტროლის ცენტრ 1-ში და სთავაზობს დახმარებას. ოფიცერი L–5-ის კიბის უჯრედიდან მეხუთედ ურეკავს კონტროლის ცენტრ 1-ს. სხვა თანამშრომელი პასუხობს ზარს და დაუყონებლივ მიყავს შეიარაღებული ჯგუფი მათ გადასარჩენად L–5-ის გარე კარიდან.

პატიმარი სავარჯიშო დარბაზის მოწყობილობით ტეხავს გაუმაგრებელ ბეტონის ბლოკს L–5 კიბის უჯრედში და იჭერს ორ ოფიცერს ზუსტად იმ დროს, როდესაც გადამრჩენი ჯგუფი მოდის გარე კართან - პირველი დახმარების ზარიდან 1 საათში.

პატიმრები ასევე შეიჭრებიან L–2 კიბის უჯრედში და იჭერენ კიდევ ერთ ოფიცერს და პატიმარს. პატიმარს ესხმიან თავს და ოფიცრის თვალწინ კლავენ. (პატიმრის გვამს ეზოში მარხავენ მეორე დღეს. აუტოფსიამ გამოავლინა დანით მიყენებული 163 ჭრილობა და  თავის ქალის სერიოზული დაზიანებები.)

კიდევ ერთმა ოფიცერმა დარეკა კონტროლის ცენტრ 1-ში L–4 ბლოკის უკანა კიბის უჯრედიდან მისთვის და მეორე ოფიცრისთვის დახმარების თხოვნით. ტელეფონს არავინ უპასუხა. ის ცდილობს მეორედ დაკავშირებას. ვიღაც პასუხობს და თიშავს. ამ დროისთვის, პატიმრებმა ჩაამსხვრიეს კიბის უჯრედში შემომავალი ფანჯარა და თავს დაესხნენ ოფიცრებს ცეცხლჩამქრობით. პატიმრება შეანგრიეს ბეტონის ბლოკი და მძევლად აიყვანეს ოფიცრები. ამ პროცესში ოფიცრები ძლიერად სცემეს.

პატიმრებმა ბარიკადი აღმართეს L-კორიდორის ქვედა ჭიშკართან კონტროლის ცენტრი 3-ის ზონიდან თავდასხმის თავიდან არიდების ან შენელების მიზნით.

ოფიცრებმა K-ბლოკის ყველა პატიმარი ჩაკეტეს, სადაც იყვნენ - საკნებში, საშხაპეებში და მოსასვენებელ ოთახებში - კრიზისზე საპასუხოდ უფრო მეტი თანამშრომლის გამოყოფის და ბუნტის გავრცელების მინიმიზაციის მიზნით. მოგვიანებით ტაქტიკური და არეულობის კონტროლის ჯგუფები შევიდნენ K-ბლოკში ყველა პატიმრის საკნებში დასაბრუნებლად.

*/SOCF-ის საცხოვრებელი ნაწილი არის ორსართულიანი, ორ სართულს შუა მყარი ჭერით. თითოეული საკნის ბლოკის წინა ნაწილი გამოდის ძირითად საცხოვრებელ კორიდორში. თითოეულ საცხოვრებელ ბლოკს აქვს ორსართულიანი კიბის უჯრედი, თითოეულ სართულზე მეტალის უსაფრთხოების კარებით. ოფიცრები თან ატარებენ ამ კარების გასაღებებს და დატრენინგებული არიან საცხოვრებელ ბლოკში საფრთხის შემთხვევაში დაიხიონ კიბისკენ თუ ვერ ახერხებენ მთავარ კორიდორში მოხვედრას. კიბის უჯრედში მოხვედრისას ოფიცერს შეუძლია გამოიყენოს ტელეფონი და დაუკავშირდეს კონტროლის ცენტრს, რომელმაც, თეორიულად უნდა გამოუშვას ოფიცრის გადამრჩენი ჯგუფი. ეს ჯგუფი უნდა შევიდეს კიბის უჯრედში ეზოს მხრიდან პირველ სართულზე არსებული დამატებითი უსაფრთხოების კარიდან. ბლოკის ოფიცრებს ამ კარის გასაღები თან არ აქვთ, რადგან ეს უსაფრთხოების პროტოკოლის დარღვევა იქნება.*

*ოფიცრების ნაწილმა ზუსტად ისე გამოიყენა კიბის უჯრედი, როგორც დატრენინგებულნი იყვნენ. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ მათი ნაწილი საათზე მეტ ხანს ურეკავდა კონტროლის ცენტრს, მათ გადასარჩენად თანამშრომლები არ გამოუშვიათ. საბოლოოდ, კიბის უჯრედში არსებული ყველა ოფიცერი იყო ნაცემი ან/და მძევლად აყვანილი პატიმრების მიერ, მას შემდეგ რაც მათ შეაღწიეს უჯრედში უსაფრთხოების კარების გარშემო არსებული გაუმაგრებელი კერამიკული ბეტონის ბლოკის კონსტრუქციის კედლის გარღვევით/.*

**16:00 საათი**. ციხის მორიგე ოფიცერი, განყოფილების მენეჯერი, მოდის დაწესებულებაში. L-ბლოკის პატიმრები კვეთენ ეზოს და ღობის საშუალებით აღწევენ K-ბლოკის გარე ნაწილში. ეზოში არსებული პატიმრები ამსხვრევენ K-ბლოკის ფანჯარას და იღებენ საჭმელს და ადიალებს K-ბლოკის პატიმრებისგან.

იმ დროს, როდესაც პატიმრები წინ იწევენ K-ბლოკის ეზოში, შეიარაღებულ ოფიცრებს კოშკებში და K-ბლოკში, კონტროლის ცენტრი აძლევს ინსტრუქციას არ გახსნან ცეცხლი.

*/ბუნტის შემდეგ, ყველაზე სერიოზული კამათი გამოიწვია დაურეკეს თუ არა დირექტორს და როდის. კონტროლის ცენტრის თანამშრომლებმა აღნიშნეს, რომ მათ რამდენჯერმე სცადეს დაკავშირება სახლის ტელეფონსა და პეიჯერზე. დირექტორმა აღნიშნა, რომ ის ხელმისაწვდომი იყო როგორც სახლის ტელეფონზე, ისე პეიჯერზე და მასთან კონტაქტის მცდელობა არ ყოფილა ბუნტის დაწყებიდან რამდენიმე საათის შემდეგ დრომდე. საბოლოო ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ დირექტორი SOCF-ში მივიდა ბუნტის დაწყებიდან დაახლოებით 4 საათის შემდეგ./*

**16:15-17:15 საათი**. პატიმრებმა მძევლად აიყვანეს 11 ოფიცერი. ისინი აფასებენ ოფიცრების ჭრილობებს, ადგენენ რომ ერთი სერიოზულად დაჭრილია და ეშინიათ რა მისი გარდაცვალების, თანხმდებიან ციხის თანამშრომლებთან რომ მას მოათავსებენ L–8 ნაწილის კიბის უჯრედში, რომ შეიარაღებულმა ჯგუფმა გადაარჩინოს. გადარჩენა განხორციელდება.

პატიმრები იღებენ ციხის მოლაპარაკებებისა და არეულობის კონტროლის მითითებას განყოფილების მენეჯერის ოფისიდან.

SOCF-ის მოლაპარაკებების მწარმოებელი ჯგუფი შეკრებილია პატიმრებთან მოლაპარაკების საწარმოებლად, რომლებიც ამ მომენტისთვის მყარად აკონტროლებენ L-კომპლექსს.

**17:00 საათი**. SOCF-ის არეულობის კონტროლის ჯგუფი შეკრებილია (ერთი წევრი მძევლად არის ჩავარდნილი).

**17:15 საათი**. მომლაპარაკებელი რეკავს ყველაგან L-ბლოკსა და მის კიბის უჯრედებში, მაგრამ ვერ იღებს პასუხს.

**17:45 საათი**. SOCF-ის ტაქტიკური ჯგუფი შეკრებილია.

**19:30 საათი**. K-ბლოკის ოფიცრები იყენებენ ჯაჭვებს M–1 ნაწილის სავარჯიშო ოთახის კარების გასამაგრებლად იმიტომ, რომ პატიმრებს უკვე აქვთ M–2 ნაწილის გასაღებები, რომლებიც ასევე აღებს M–1 ნაწილის კარებებს.

**21:15 საათი**. ჭრილობების სიმძიმის გამო პატიმრები ათავისუფლებენ ერთ უსაფრთხოების ოფიცერს. ოფიცერი გადაყავთ კოლომბოსის საავადმყოფოში, ოჰაიოში.

**22:36 საათი**. პატიმრები ათავისუფლებენ კიდევ ერთ უსაფრთხოების ოფიცერს, რომელსაც სერიოზული თავის ტრამვა აქვს მიღებული. ეს ოფიცერიც გადაყავთ საავადმყოფოში.

**23:02 საათი**. 5 მოკლული პატიმრის ცხედარს ათავსებენ ეზოში, რომლებიც გარკვეული პერიოდის შემდეგ გააქვთ ციხის თანამშრომლებს.

**23:22 საათი**. პატიმრები ათავისუფლებენ კიდევ ერთ უსაფრთხოების ოფიცერს, რომელიც ასევე გადაყავთ საავადმყოფოში.

**დღე 2: ორშაბათი, 12 აპრილი, 1993 წელი**
**01:45 საათი**. ეზოში დარჩენილი პატიმრების ნაწილი გადაყავთ K-ბლოკში, სადაც უკვე ერთ საკანში 10 პატიმარია განთავსებული.

**10:15 საათი**. ოჰაიოს ბეჭდვითი მედიის/გაზეთის (Cleveland Plain Dealer) რეპორტიორს არჩევენ მოლაპარაკებების შუამავლად. ციხის თანამშრომლები აწყვეტინებენ მას საუბარს პატიმრების სპიკერთან, როდესაც ისინი ვერ ადასტურებენ ყველა მძევლის უსაფრთხოდ ყოფნას.
**10:35 საათი**. კიდევ ერთი პატიმრის ცხედარი თავსდება ეზოში და თანამშრომლებს გამოაქვთ ის.

**დღე 3: სამშაბათი, 13 აპრილი, 1993 წელი**
**10:00 საათი**. ციხის თანამშრომლები აღმოაჩენენ პატიმრის გვამს K-ბლოკის საკანში. (მოგვიანებითი ჩანაწერებით ცხადიხდება, რომ , ეს პატიმარი მოკლეს სხვა პატიმრებმა იმის გამო, რომ მისი ბიძაშვილი ოფიცრებს ეხმარებოდა ბუნტის დროს.)

**16:00 საათი**. არეულობა იწყება K–8 ნაწილში, K–ბლოკის L-კომპლექსთან ყველაზე ახლოს მდებარე ნაწილში. L–1 ნაწილის პატიმრები მოუწოდებენ K–8 ნაწილის პატიმრებს შეუერთდნენ ბუნტს. ციხის თანამშრომლები იყენებენ ცრემლსადენ გაზს, რომ ჩაახშონ არეულობა და იწყებენ K–ბლოკის პატიმრების სხვა დაწესებულებებში გადაყვანას.

**დღე 4: ოთხშაბათი, 14 აპრილი, 1993 წელი**
**03:50 საათი**. პოლიციის ვერტმფრენი ვარდება ციხის კომპლექსის პატრულირების დროს. 3 ადამიანი უმნიშვნელოდ ზიანდება.
**09:00 საათი**. L-ბლოკის პატიმრები ფანჯრიდან კიდებენ ზეწარს, რომელზეც აღნიშნულია, რომ მოკლავენ მძევალს თუ მათი მოთხოვნები არ შესრულდება. მათი მოთხოვნები მოიცავს ერთადგილიან საკნებს, განათლების მიღების მეტ შესაძლებლობებს და დამატებით ვიზიტებს.
**12:00 საათი**. შუადღე. ოჰაიოს გუბერნატორი რეკავს ოჰაიოს ეროვნულ გვარდიასთან SOCF-ის უსაფრთხოების პერიმეტრის უზრუნველყოფისთვის.
**17:00** საათი. ციხის თანამშრომლები L-ბლოკის პატიმრებს აძლევენ საჭმელს, რის სანაცვლოდაც პატიმრები მძევლებს აწვდიან წამლებს.

**დღე 5: ხუთშაბათი, 15 აპრილი, 1993 წელი**
**12:20 საათი**. პატიმრები L-ბლოკიდან ისვრიან უსაფრთხოების ოფიცრის რობერტ ვალანდინგამის ცხედარს, რომელსაც გაიტანენ ციხის ტერიტორიიდან.

*/მედიის წარმომადგენლებს ფოტოაპარატის ლინზებისა და ბინოკლების გამოყენებით შეეძლოთ პატიმრების მოთხოვნების და მუქარის წაკითხვა. ციხის თანამშრომლები იშვიათად აწვდიდნენ ინფორმაციას მედიის წარმომადგენლებს. როდესაც მედიამ საჯარო ინფორმაციის ოფიცრის მოადგილეს დაუსვა კითხვა დროის ულტიმატუმისა და მძევლის მოკვლის მუქარის შესახებ, მან უპასუხა, რომ პატიმრები ბუნტის დასაწყისიდანვე იმუქრებოდნენ და აყენებდნენ ულტიმატუმს და არ არსებობდა მიზეზი, რის გამოც ეს მუქარა იმაზე სერიოზულად უნდა მიეღოთ, ვიდრე წინა მუქარები. მისი განცხადება გავრცელდა მედიაში და მოისმინეს საკნებშიც, სადაც პატიმრები თვალყურს ადევნებდნენ ტელევიზიებისა და რადიოს მიერ ინციდენტის გაშუქებას. სწრაფადვე, პატიმრებმა გამოიყვანეს ოფიცერი ვალანდინგამი, ახალგაზრდა ოფიცერი, რომელიც პოპულარული იყო პატიმრებშიც და თანამშრომლებშიც და მოკლეს. შემდეგ კი მისი ცხედარი გადაუგდეს ციხის თანამშრომლებს. არაერთი თანამშრომელი და დამკვირვებელი მიიჩნევდა,* ***რომ ეს სიკვდილი იყო მედიასთან ურთიერთობისას დაშვებული უხეში შეცდომის პირდაპირი შედეგი.*** *უნდა აღინიშნოს, რომ საჯარო ინფორმაციაზე პასუხისმგებელი ოფიცრის მოადგილეს არ ჰქონდა გავლილი კრიზისის დროს მედიასთან ურთიერთობის ტრენინგი და დეპარტამენტს არ ჰქონდა არც პოლიტიკა და არც პროცედურა მსგავსი სიტუაციებისთვის.*

*SOCF-ის ციხის მოსახლეობის ნახევარზე მეტი იყო ჩაკეტილი და არ მონაწილეობდა ბუნტში. თუმცა, ციხის თანამშრომლები ძალიან ემოციურად განწყობილები და გაბრაზებული იყვნენ და ძალიან ცუდად ეპყრობოდნენ პატიმრებს, რომლებიც საერთოდ არ იყვნენ ბუნტში ჩართული. ამან სულ მცირე ორჯერ წარმოქმნა ახალი ბუნტის განვითარების საშიშროება. სასჯელაღსრულების ეროვნულმა ინსტიტუტმა, ოჰაიოს შტატის თხოვნით, SOCF-ში კონსულტანტად გამოგზავნა ადმინისტრატორი სხვა შტატიდან. ეს კონსულტანტი, რომელსაც ციხეში არეულობებთან და ბუნტებთან გამკლავების სერიოზული გამოცდილება ჰქონდა, დაეხმარა ციხეს გაეკონტროლებინა დარჩენილი ზონები. ცდილობდა რა, რომ თავიდან აერიდებინა იმ პატიმრებზე შურისძიება, რომლებიც საერთოდ არ მონაწილეობდნენ ბუნტში, კონსულტანტს ინტენსიური დაპირისპირება ჰქონდა ციხის ერთ-ერთი ზედა რგოლის მენეჯერთან. ციხის თანამშრომლებმა გააგრძელეს პატიმრების მიმართ ცუდად მოპყრობა მე-11 დღეს ბუნტის დამთავრების შემდეგაც. ციხე რამდენიმე კვირის განმავლობაში იყო ახალი ძალადობის საფრთხის ზღვარზე. ეს საფრთხე მოდიოდა იმ პატიმრებისგან, რომლებიც ბუნტში არ იყვნენ ჩართულები.*
**20:20 საათი**. რადიოში პირდაპირ ეთერში გამოსვლის სანაცვლოდ პატიმრები უშვებენ მძევალს.

**დღე 6: პარასკევი, 16 აპრილი, 1993 წელი**
**14:15 საათი**. ტელევიზიაში პირდაპირ ეთერში გამოსვლის სანაცვლოდ პატიმრები უშვებენ კიდევ ერთ მძევალს. გამოსვლისას მუსულმანი პატიმარი იმეორებს პატიმრების მოთხოვნას გააუქმონ SOCF-ის საკნებში იძულებითი რასობრივი ინტეგრაცია.

**დღე 7: შაბათი, 17 აპრილი, 1993 წელი**
**10:40 საათი**. პატიმრების მოთხოვნის საპასუხოდ, ციხის თანამშრომლები იწვევენ კიდევ ერთ სატელევიზიო ჯგუფს პირდაპირი ეთერისთვის, მაგრამ მოლაპარაკებები ჩავარდება. ციხის თანამშრომლები პატიმრებს აწვდიან საჭმელს, წყალს და წამლებს მძევლებისთვის.

15:40 საათი. ციხის პერიმეტრზე მოიყვანეს ბულდოზერები, სავარაუდოდ პატიმრების მიერ გათხრილი გვირაბის დასანგრევად.

**დღე 8: კვირა, 18 აპრილი, 1993 წელი**
მოლაპარაკებებში დახმარების მიზნით ციხის თანამშრომლებმა SOCF-ში მოიწვიეს კლევლანდის ადვოკატი ნიკი ზ. შვარცი, რომელიც მანამდე წარმოადგენდა პატიმრებს ციხის სისტემის წინააღმდეგ. ციხის თანამშრომლები რთავენ აუდიო ჩანაწერს, რომელზეც დარჩენილი ხუთი მძევლის ოჯახებისთვის მიმართვაა ჩაწერილი.

**დღე 9: ორშაბათი, 19 აპრილი, 1993 წელი**
**15:50 საათი**. პატიმრები გადმოკიდებენ კიდევ ერთ ზეწარს L-ბლოკის ფანჯრიდან, რომელზეც წარწერაა: „სახელმწიფო გატყუებთ. ჩვენ გვინდა ამ ყველაფრის დასრულება და პირდაპირ შეხვედრა ჩვენს ადვოკატთან“. ადვოკატი შვარცი აგრძელებს პატიმრების კონსულტირებას ციხის მოლაპარაკებების პროცესში.

**21:00 საათი**. ღამის განმავლობაში, ციხის თანამშრომლები აკეთებენ აუდიო მიმართვის ტრანსლირებას L-კომპლექსის პატიმრებისთვის და ეუბნებიან, რომ დირექტორი ეთანხმება მათ მოთხოვნებს.

**დღე 10: სამშაბათი, 20 აპრილი, 1993 წელი**
**12:00-15:00** საათი. სამი პატიმარი და ადვოკატი შვარცი ხვდებიან ციხის მოლაპარაკებების წარმოების ჯგუფის წევრებს ციხის ეზოში .

19:45 საათი. ადვოკატი ეუბნება რეპორტიორებს, რომ შეთანხმება დასრულებულია.

**დღე 11: ოთხშაბათი, 21 აპრილი, 1993 წელი**
**14:50 საათი**. დირექტორი თეითი და ადვოკატი შვარცი აცხადებენ, რომ შეთანხმება შედგა.

**15:30-22:40 საათი**. პატიმრები ტოვებენ L-კომპლექსს M–2 ნაწილის სავარჯიშო ოთახის კარის გავლით. ისინი მიყავთ K-ბლოკში ოჰაიოს შტატის პატრულის წევრებს. სხვა პატიმრები კიდევ ორ პატიმარს კლავენ L-კომპლექსში.

**22:40 საათი**. დარჩენილი პატიმრების მიერ L-ბლოკის დატოვებისას, გათავისუფლებული მძევლები გამოდიან.

**დასკვნები და რეკომენდაციები**

1. საგანგებო მდგომარეობების გეგმები და პროცედურები უნდა იყოს რეალური, პრაქტიკული და თანამშრომლებისთვის ცნობილი. SOCF-ის საგანგებო მდგომარეობების გეგმები არც ერთ ამ კრიტერიუმს არ პასუხობდა. ისინი იყო მოძველებული, წინააღმდეგობრივი და ზოგადად არაადეკვატური სერიოზულ საგანგებო მდგომარეობასთან გამკლავებისთვის. თუმცა, საგანგებო მდგომარეობების გეგმები არარელევანტური აღმოჩნდა იმის გამო, რომ თანამშრომლები შესაბამისად არ იყვნენ გადამზადებულნი. თანამშრომლები აღმოჩნდნენ მდგომარეობაში, როდესაც თვითონ იგონებდნენ საპასუხო პროცედურებს და სტრატეგიებს კრიზის მიმდინარეობის პროცესში.

2. ეფექტიანი მართვის გარეშე, საგანგებო მდგომარეობისათვის მზაობის სხვა ასპექტები შეიძლება საერთოდ არ იყოს მნიშვნელოვანი. ამ ბუნტში, ზოგიერთი თანამშრომელი მძევლად აიყვანეს ან/და ცემეს მხოლოდ იმიტომ, რომ არავინ აიღო ხელმძღვანელობა ხელში და გადაჭრით არ იმოქმედა . საათების შემდეგ, როდესაც დირექტორი მოვიდა და ხელში აიღო მართვის სადავეები,

სიტუაციანამშრომლების სასარგებლოდ შეიცვალა, თუმცა მომხდარის დიდი ნაწილის შეცვლა უკვე შეუძლებელი იყო.

3. პროფესიული მიდგომა უნდა ჩამოყალიბდეს ყოველდღიურად, მანამ სანამ კრიზისი მოხდება. პროფესიონალიზმი ვერ განვითარდება შუა კრიზისის დროს. SOCF-ში, პატიმრებზე შურისძიებამ ტრაგიკული სიტუაცია კიდევ უფრო დაამძიმა და რეალურად გაზარდა საგანგებო მდგომარეობის რისკები.

4. მართვა/ლიდერობა შეიძლება ძალიან მტკივნეული და ემოციური იყოს. ოფიცერი ვალანდინგჰამის გვამი გამომძიებელს დახვდაადერეფანში, როდესაც შემომავალი ცვლის ოფიცრები მოვიდნენ და სწორედ ამ კორიდორიდან შემოვიდნენ დაწესებულებაში. ისინი შემდეგ შეხვდნენ დირექტორს და სთხოვეს, დაერთო ნება გამოეყენებინათ ძალა და ნებისმიერ ფასად დაესრულებინათ ეს სიტუაცია. დირექტორმა იცოდა, რომ ეს გადაწყვეტილება პოპულარული იქნებოდა შედეგის მიუხედავად. მან ასევე იცოდა, რომ დარჩენილი მძევლები სამ ჯგუფად იყვნენ დანაწილებულნი დაიმყოფებოდნენ სამ განსხვავებულ პატიმართა დაჯგუფებასთან ერთად. მძევალთა ორი ჯგუფი პერიოდულად გადაადგილდებოდა მათი ლოკაციის გამჟღავნების თავიდან არიდების გამო. თავდასხმის ბრძანების გაცემა იქნებოდა ამ მძევლების მკვლელობა, რის გამოც დირექტორმა ეს არ გააკეთა. რამდენიმე დღის შემდეგ, დარჩენილი მძევლები გამოუშვეს ყოველგვარი დამატებითი ფიზიკური დაზიანების გარეშე. არ შეიძლება არ დაფასდეს რამხელა სიძლიერე იყო საჭირო ასეთი გადაწყვეტილების მისაღებად.

5. მართალია მოლაპარაკებების შედეგად პატიმრები ძალის გამოყენების გარეშე დანებდნენ და გაათავისუფლეს დარჩენილი მძევლები, მაგრამ მოლაპარაკებები თავის მხრივ არ იყო პოპულარული თანამშრომლებში. რეალურად, მომლაპარაკებლები დაცვის თანდასწრებით გაიყვანესდაწესებულებიდანთანამშრომლებისრეაქციისგამო.დაწესებულებისთანამშრომლებს უნდა ესმოდეთ მომლაპარაკებლების მისია და როლი ინციდენტის დადგომამდე.

6. თუ თანამშრომლები დროულად ვერ აღიქვამენ საგანგებო მდგომარეობის სერიოზულობას და არ დაიწყებენ მის იზოლირებას, მდგომარეობამ შეიძლება სწრაფად განიცადოს ესკალაცია. თანამშრომლებთან ინტერვიუებში აღნიშნულია, რომ ისინი არ მოელოდნენ, რომ ბუნტი „წარმატებული" იქნებოდა ან რომ ამდენ ხანს გაგრძელდებოდა. პატიმრებს არ უფიქრიათ, რომ პატიმრები სრული ბლოკის ხელში ჩაგდებას შეძლებდნენ.

7. საცხოვრებელი ბლოკის ოფიცრებს თან ჰქონდათ სხვადასხვა კარის გასაღებები. ეს პრაქტიკა არღვევდა უსაფრთხოების კონცეფციას და წარმოადგენდა უსაფრთხოების რისკს.

8. იმ დროს მოქმედი პროცედურის მიხედვით, ხელმძღვანელს არ ჰქონდა შეიარაღებული ძალის გამოყენების ბრძანების გაცემის უფლება. ასეთი ბრძანება საჭიროებდა ცვლის ოფიცრის ნებართვას, რომელიც იმ დროს იყო დანაყოფის მენეჯერი. ცვლის ოფიცერი არ იმყოფებოდა ციხეში, როდესაც ბუნტი დაიწყო. ნებისმიერი სიღრმისეული შესწავლა გამოავლენდა, რომ არსებულ პროცედურაში სერიოზულ ხარვეზებს ჰქონდა ადგილი.

9. საგანგებო დმგომარეობისადმი მზაობაში ყველა თანამშრომლის ტრენინგი აუცილებელია. ბუნტის დროს, SOCF-ის თანამშრომელთა წინასწარი ტრენინგი მოიცავდა ინციდენტებთან გამკლავების 1 საათიან კურსს, რომლის დროსაც თანამშრომლებს აცნობდნენ სასურველ ტექნიკას ჩხუბთან, სამედიცინო მდგომარეობასთან, პატიმართა არეულობასთან დაკავშირებით და მძევლების აყვანასთან დაკავშირებულ 1 საათიან ტრენინგს, რომელიც ეხებოდა რჩევას „როგორი უნდა იყოს კარგი მძევალი". ტაქტიკურ გუნდს გავლილი ჰქონდა მხოლოდ 24 საათიანი ტრენინგი უფროსი თანამშრომლებისგან და შემდეგ ყველა ტრენინგს თავად ატარებდნენ.

10. ძალის გამოყენების პოლიტიკა უნდა იყოს კარგად გათვლილი, დაწერილი და გავრცელებული, თანამშრომლებმა უნდა იცოდნენ მის შესახებ და გავლილი უნდა ჰქონდეთ შესაბამისი წვრთნა. მართალია, კოშკის ოფიცრებს ბუნტის დასაწყისშივე გაუწიეს ინსტრუქცია მოეხსნათ ბეჭდები იარაღიდან, მაგრამ SOCF-ს არ ჰქონდა ძალის გამოყენების ნათელი პროცედურა. ერთ-ერთმა კოშკის ოფიცერმა აღნიშნა, რომ მან შეაჩერა K-ბლოკისკენ მიმავალი L-ბლოკის პატიმარი დაემუქრა რა იარაღის გამოყენებით, მაგრამ არ იყო ნათელი, რომ კოშკის ოფიცრებმა იცოდნენ როდის ან რა გარემოებებში უნდა ესროლათ, გარდა პირდაპირი ბრძანებისა.

11. პენიტენციურ დაწესებულებებში გავრცელებული შეხედულების საწინააღმდეგოდ, ბუნტის დროს დაპირისპირებული ჯგუფები მუშაობდნენ ერთად მოლაპარაკებების, მძევლების და L-ბლოკის სამართავად. 11 დღიანი კრიზისის დროს, სუნიტი მუსულმანები, არიული საძმო და შავკანიანთა განგსტერული დაჯგუფება მართავდა L-ბლოკს ციხის ყოველდღიური მენეჯმენტის მსგავსად. მათ დაიყვეს ზონები, ჰყავდათ შუამავლები, ცვლის გუშაგები, ჩაკეტეს საშიში დამნაშავეები და მძევლები გადაჰყავდათ ერთი ჯგუფიდან მეორეში წყვეტდნენ რა, რომელი ჯგუფი დაიცავდა მათ უკეთესად. ისინი მუშაობდნენ სამედიცინო ოთახში და საკმაოდ კარგად უმკურნალეს რამდენიმე დაჭრილს.

12. უნდა გადაიხედოს სამუშაოები პატიმართა კონფიდენციალურ ინფორმაციასთან წვდომასთან მიმართებაში. SOCF-ის პატიმრებს ჰქონდათ ისეთი სამუშაო, რამაც შესაძლებლობა მისცათწაეკითხათ სენსიტიური ინფორმაცია ციხის ოპერაციებისა და პროცედურების შესახებ. მათ ჰქონდათ წვდომა თანამშრომელთა ჩანაწერებზე, ტელეფონებზე, სხვა პატიმართა შესახებ ინფორმაციასა და ინსტიტუციურ დოკუმენტებზე, როგორიცაა მაგალითად არეულობების კონტროლის სახელმძღვანელო.

13. ზოგადად ცნობილია, რომ თანამშრომლები, რომლებიც ცუდად ეპყრობიან პატიმრებს, ბუნტის დროს შეიძლება გახდნენ სამიზნე. ვალანდინგჰამი, ბუნტის დროს მოკული ოფიცერი, ასეთ თანამშრომლებს შორის არ იყო. პირიქით, იგი პატიმრებს შორის დადებითი დამოკიდებულებით ხასიათდებოდა. ოჰაიოს სახელმწიფო პატრულმა ვერ მოახდინა რაიმე პირადი შურისძიების ფაქტის იდენტიფიცირება, რაც საფუძვლად დაედებოდა მის სამიზნედ ამოღებას.

14. მედიასთან ურთიერთობა გადამწყვეტი ნაწილია საგანგებო მდგომარეობის დროს, ასეთ დროს მედიასთან ურთიერთობის მიმართულებით მომზადება სერიოზული და ამომწურავი უნდა იყოს, პროცედურები უნდა განვითარდეს და აუცილებლად უნდა გაიმიჯნოს ყოველდღიური მედია ურთიერთობებისგან. SOCF-ის ინციდენტის დროს, მედიასთან ურთიერთობის თვალსაზრისით ბევრი პრობლემა დაფიქსირდა, ტრაგიკულ შეცდომასთან ერთად, რასაც ოფიცერი ვალანდინგჰამის მკვლელობა მოჰყვა. ბუნტის დაწყების დროს, ტელევიზიის ვერტმფრენი ისე ახლოს დაფრინავდა ციხესთან, რომ მომლაპარაკებლემა ვერ გაარჩიეს პატიმართა მოთხოვნები. სხვა ტელევიზიის ვერტმფრენმა პირდაპირ ეთერში გადასცა როგორ იკავებდა ტაქტიკური ჯგუფი უკანა სახურავზე პოზიციებს და ემზადებოდა თავდასხმის ბრძანების გაცემის შემთხვევისთვის.

15. საგანგებო მდგომარეობის დასრულების შემდგომი ფაზა შეიძლება იყოს საგანგებო მდგომარეობასთან გამკლავების ყველაზე გრძელი და რთული ნაწილი. პატიმართა სისხლის სამართლებრივი დევნა იყო ძალიან დამღლელი. გამომძიებლებმა შეაგროვეს 4,000-ზე მეტი მტკიცებულება, 7,000 ფოტო, 120-ზე მეტი ვიდეო და საათობით აუდიოჩანაწერები, ჩაატარეს 1,200 ინტერვიუ. საბოლოოდ, გამამტყუნებელი განაჩენით დასრულდა სასამართლოში წარდგენილი 50 საქმიდან 48.

16. ნორმალური მდგომარეობა შეიძლება წლების განმავლობაში არ აღსდგეს. გამოძიება ბუნტის დასრულების 3 წლის შემდეგაც გრძელდებოდა.“[235]

[235] ციხეში საგანგებო მდგომარეობასთან გამკლავების და მომზადების სახელმძღვანელო, აშშ იუსტიციის დეპარტამენტი, სასჯელაღსრულების ეროვნული ინსტიტუტი, გვ.261-271.

## მაგალითი N2

**მორეის განყოფილებაში მომხდარი ინციდენტი მძევლად აყვანასთან დაკავშირებით (არიზონას ციხის დირექტორის მაღალი დონის ანგარიში წინასწარ შედეგებსა და რეკომენდაციებზე). 4 მაისი, 2005**

„2004 წლის 18 იანვარს, კვირას დილით, პატიმრებმა რიკი ვასენერმა, რომელიც იხდიდა 26 წლიან სასჯელს და სტივენ კოიმ, რომელსაც შეფარდებული ჰქონდა უვადო თავისუფლების აღკვეთა, სცადეს ფენიქსიდან 50 მილის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე მორეის განყოფილებიდან (არიზონა) გაქცევა.

მორეი გაიხსნა 1999 წელს და წარმოადგენდა საკნის ტიპის დაწესებულებას, სადაც განთავსებული იყო 840 პატიმარი (აგებული იყო 800 პატიმრისთვის). დაწესებულებაში მოთავსებულნი იყვნენ მე-2, მე-3 და მე-4 კატეგორიის პატიმრები, „დამცავ სეგრეგაციის სექტორში“ მყოფი პირების ჩათვლით, მაგ: ისინი ვინც საფრთხეს წარმოადგენდა სხვისთვის ან თავად ემუქრებოდათ საფრთხე ციხის პოპულაციისგან. მორეიში მოთავსებული იყო დაცვის მიზნით განცალკევებული და უვადო თავისუფლება აღკვეთილი პატიმრების ყველაზე დიდი რაოდენობა არიზონას პენიტენციური სისტემის მასშტაბით.

ორმა პატიმარმა მძევლად აიყვანა ორი უსაფრთხოების ოფიცერი, რომლებიც ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას და ხელში ჩაიგდო დაწესებულების კოშკურა, რითაც დაიწყო ერის ისტორიაში ყველაზე ხანგრძლივი, 15 დღიანი მძლევების აყვანის ინციდენტი. მძევლების აყვანისა და წარმოებული მოლაპარაკებების აღწერაში, რაც დასრულდა უმსხვერპლოდ, პატიმართა დანებებითა და ორივე მძევლის გათავისუფლებით, რეკომენდაციებთან და აღმოჩენებთან ერთად მიმოხილულია გარემოებები, რომლებიც მიზნად ისახავს მომავალში კრიზისების პრევენციას და ეხება არიზონას პენიტენციური დეპარტამენტის მნიშვნელოვან სამოქმედო, ადმინისტრაციულ და ფისკალურ საკითხებს.

***მძევლების აყვანა***

18 იანვარს, დღის 2:30-ზე, მორეის დაწესებულებაში დასაქმებული 19 პატიმარი გამოშვებული იქნა საცხოვრებელი ნაწილიდან, რათა გამოცხადებულიყვნენ სამუშაო ადგილზე - დაწესებულების სამზარეულოში.

დაახლოებით 3:15-ზე სამზარეულოში იმყოფებოდა ოფიცერი კენეტ მარტინი და სამზარეულოს სამოქალაქო თანამშრომელი ქალბატონი. სამზარეულოში დასაქმებული ერთ-ერთი პატიმარი რიკი ვასენერი ერთადერთი კარის მეშვეობით შევიდა სამზარეულოში. მეორე პატიმარი სტივენ კოი შეყვა მას და დადგა კარებში ისე, რომ მოახდინა სამზარეულოში არსებული ერთადერთი შესასვლელის ბლოკირება.

***ვასენერმა და კოიმ დაიკავეს სამზარეულო***

ვასენერი შეიარაღებული იყო თვითნაკეთი დანისმაგვარი იარაღით. ის მიუახლოვდა მარტინს, დაემუქრა იარაღით და განუცხადა, რომ აპირებდა გაქცევას და დასაკარგი არაფერი ჰქონდა. მან უბრძანა მარტინს გაეხადა ფორმის პერანგი (რომელზეც დამაგრებული იყო სასჯელაღსრულების დეპარტამენტის საიდენტიფიკაციო ბარათი) და ფეხსაცმელები. მას შემდეგ, რაც მარტინი დაემორჩილა მოთხოვნას, ვასენერმა ხელბორკილით მიაბა იგი სამზარეულო განყოფილებაში მდებარე გისოსებზე, სამზარეულო ხელსაწყოების შესანახ ოთახში. მეორე პატიმარმა, კოიმ, რომელიც ისეთივე თვითნაკეთი იარაღით იყო აღჭურვილი, სამზარეულოს ქალი თანამშრომელი შეიყვანა ხელსაწყოების შესანახ ოთახში, უბრძანა მას დაწოლილიყო მუცელზე და ხელები და ფეხები შეუკრა ელექტროსადენით.

აღუკვეთეს რა გადაადგილების შესაძლებლობა მარტინსა და სამზარეულოს თანამშრომელს, ვასენერმა და კოიმ მცირე ხნით დატოვეს ოთახი და შემდეგ ისევ დაბრუნდნენ. კოიმ გახადა მარტინს შარვალი და მიაწოდა ვასენერს, რომელმაც ჩაიცვა მარტინის ტანსაცმელი, შემდეგ კი გაიპარსა წვერი ელექტროსაპარსით. ვასენერმა მარტინისგან გაიგო სამზარეულოს ტელეფონის ნომერი.

ვასენერი გავიდა სამზარეულოს სამუშაო ნაწილში, სადაც მომუშავე სხვა პატიმრებს შეატყობინა მისი მხრიდან გაქცევის მცდელობის შესახებ და მოუწოდა მათ შეერთებოდნენ მის განზრახვას. როდესაც არცერთმა პატიმარმა, მათ შორის არც მათ, რომლებიც გარეთ დასატვირთ ბაქანზე მუშაობდნენ, არ მიიღო მისი წინადადება, მან ჩაკეტა პატიმრები სამზარეულოს საწყობში.

დაახლოებით 4:15-ზე, ერთი საათის შემდეგ სამზარეულოში პირველად შესვლიდან, ვასენერმა დატოვა სამზარეულო და თან წაიღო 30 დუიმიანი უჟანგავი ფოლადის მოსარევი კოვზი (ნიჩაბი). კოი რჩებოდა სამზარეულოში. ვასენერმა გაიარა სასადილო ტერიტორია და გავიდა დაწესებულების წითელ ეზოში, რომლის კარიც მარტინის გასაღებით გააღო. ვასენერის მიერ სამზარეულოს დატოვებიდან ცოტა ხნის შემდეგ, კოიმ სამზარეულოს თანამშრომელ ქალზე განახორციელა სექსუალური ძალადობა.

### *ვასენერმა ხელში ჩაიგდო კოშკურა*

დაახლოებით 4:20-ზე, ვასენერი მიუახლოვდა ეზოს ჭიშკარს, რომელიც გარს ერტყმოდა 20 დუიმიან კოშკურას და ჭიშკრის ინტერკომის ყუთზე დააჭირა დაშვების ზარს (ზუმერს). კოშკურაზე იმყოფებოდნენ ოფიცრები ჯეისონ ენ აუქი და ჯეინ დოუ. აუქმა შეხედა მონიტორს და ჩათვალა, რომ ვასენერი იყო ოფიცერი, ამიტომ გააღო ჭიშკარი და ნება დართო ვასენერს შესულიყო კოშკურის ტერიტორიაზე. ვასენერი მიუახლოვდა ყველაზე ქვემოთ მდებარე კოშკურის კარს, რომელიც როგორც შესასვლელი კარი ასევე დაკეტილი იყო და აუქის მიერ კონტროლდებოდა. აუქმა გააღო აღნიშნული კარიც და გამოვიდა კიბეზე მისი მოსაზრებით კოლეგის შესახვედრად. კიბეზე ასვლისას ვასენერს თავი დაბლა ეჭირა, როდესაც ის მიუახლოვდა კიბის დასაწყისს, თავი ასწია და აუქი მიხვდა, რომ არ იცნობდა მიახლოებულ პიროვნებას. აუქის მხრიდან რეაგირების მოხდენამდე, ვასენერმა მას ჩაარტყა მოსარევი კოვზი, გაუტეხა ორბიტარული (თვალის გარშემო მდებარე) ძვალი და დროებით გაანეიტრალა.

შეუიარაღებელი ოფიცერი დოუ ეცადა ვასენერის დამორჩილებას, თუმცა პატიმარი მოერია მას და ხელები ზურგსუკან დაუბა. ვასენერმა აიძულა აუქი და დოუ ეთქვათ მისთვის იარაღის ადგილმდებარეობა, როგორ აემუშავებინა ისინი და როგორ მოქმედებდა საკონტროლო დაფა. შემდეგ ვასენერმა უბრძანა აუქს ჩასულიყო კოშკურის ქვედა ნაწილში.

### *კოი დარჩა სამზარეულოში*

დაახლოებით 4:45-ზე, მაშინ , როდესაც მორეის თანამშრომლებისთვის ჯერ კიდევ უცნობი იყო გაქცევის მცდელობის შესახებ, ოფიცერი რობერ კორნეტი გამოცხადდა სამზარეულოში მარტინის შესაცვლელად, მისი ცვლის დაწყებამდე (5:30) 45 წუთით ადრე. მას უცნაურად მოეჩვენა, რომ საჭმელი იყო დახლებზე, თუმცა სამზარეულოში მომუშავე პატიმრები არ ჩანდნენ. მან დაინახა კოი, რომელიც იდგა „საჭმლის მილთან", ადგილთან, რომელიც გამოიყენება ლანგრების სამზარეულოდან სასადილო ოთახში გასაცურებლად. კოის თავი გაყოფილი ჰქონდა სარკმელში და თითქოს ვიღაცას ესაუბრებოდა. კორნეტსა და კოის შორის გაიმართა ხანმოკლე საუბარი და კორნეტმა გზა გაარძელა სამზარეულოსკენ. როდესაც კორნეტი მიემართებოდა სამზარეულოსკენ, კოი მას უკნიდან მიუახლოვდა, წელზე თვითნაკეთი იარაღი მიადო და უბრძანა სიარული გაეგრძელებინა, რასაც კორნეტი დაემორჩილა.

სამზარელოს ხელსაწყოების ოთახთან მიახლოებისას, კორნეტმა დაინახა  ხელ-ფეხ შეკრული სამზარეულოს თანამშრომელი ქალი, რომელიც იატაკზე იწვა და ხელბორკილით ხელსაწყოების საკიდ გისოსთან მიბმული მარტინი. კოიმ კორნეტს ჩამოართვა ხელბორკილები და რადიოგადამცემი, მიაბა კორნეტი გისოსის მარჯვენა მხარეს და გავიდა სასადილოს ტერიტორიაზე. რამდენიმე წუთის შემდეგ, დარეკა სამზარეულოს ტელეფონმა. კოი დაბრუნდა, უპასუხა ტელეფონს , თქვა "CO II მარტინი," და დაკიდა.

რამდენიმე წუთის შემდეგ, მარტინის რადიოგადამცემზე შემოვიდა ოფიცერ კელის ზარი, რომელიც ინტერესდებოდა მარტინის მდგომარეობით. კოიმ მიუტანა რადიოგადამცემი მარტინს პირთან და კოის ინსტრუქციის თანახმად, მარტინმა უპასუხა „კოდი 4",  (რაც ნიშნავდა „სიტუაცია ნორმალურია").

კელი ასევე შეეხმიანა კოშკურას, რათა მიეცათ პატიმრების ეზოში გადაადგილების ნებართვა. დოუმ ვასნერის მოთხოვნით განუცხადა კელის, რომ ეზო არ იყო თავისუფალი, რაც ნიშნავდა, რომ პატიმრების გამოყვანა მიზანშეწონილი არ იყო.

***ოფიცერმა აღმოაჩინა „ხმაურიანი კინკლაობა“***

დაახლოებით 4:50-ზე, ოფიცერმა კელიმ და ელიზაბეთ დებაუფმა გააცილეს პატიმრები ჰადსონი და სიფორდი მეორე შენობიდან რეკრეაციულ და საკვებ ზონაში. გზად მათ ჩაუარეს კოშკურას, სადაც ვასენერს მოთავსებული ჰყავდა თავისი მძევლები.

როდესაც ოფიცრებმა და პატიმრებმა ჩაუარეს კოშკურას დაცული ბილიკის „ლურჯი ეზოს“ მხრიდან, რომელიც ერთმანეთისგან მიჯნავდა ორ ეზოს, კელიმ შეიხედა კოშკურის ქვედა სართულის ფანჯარაში. შუქი არ ენთო, კელიმ დაინახა ორი ოფიცერი, რომლებიც ორთაბრძოლაში, ან ხმაურიან კინკლაობაში იყვნენ ჩართულნი. სინამდვილეში, ის რაც მან დაინახა იყო ოფიცერი აუქი, რომელიც ხელებშეკრული იწვა იატაკზე.

მოგვიანებით კელიმ გამომძიებლებს განუცხადა, რომ მან სცადა ლურჯი ბაღის კოშკურის ჭიშკარში შეღწევა, თუმცა კარი არ მუშაობდა და ის შეეცადა კოშკურაზე მყოფ ოფიცრებს დაკავშირებოდა სასაუბრო მოწყობილობის (ყუთის) საშუალებით. კელი და დებაუფი წავიდნენ სამზარეულოს მიმართულებით (პატიმარი ჰადსონი უკვე სასადილო ტერიტორიაზე იყო, სიფორდი კი, რომელსაც არ სურდა ჭამა წავიდა პირდაპირ თავის სამუშაო ადგილზე სასეირნო/სარეკრეაციო ტერიტორიაზე).

კელი და დებაუფი შევიდნენ სასადილოს ტერიტორიაზე 4:53-ზე, ჰადსონმა თავისი პირადი ნივთები დააწყო ერთ-ერთ მაგიდაზე და გაემართა საჭმლის მისაღები პუნქტისკენ. დააკაკუნა საჭმლის მილის კარებზე, როდესაც საჭმელი არ გამოჩნდა, კელიმ და დებაუფმაც დააკაკუნეს. შემდეგ ოფიცერი შეეცადა რადიომიმღების საშუალებით დაკავშირებოდა მარტინს და სთხოვდა სამზარეულოს კარის გაღებას. პასუხი არ იყო.

დაახლოებით 4:54-ზე კელიმ კვლავ დააკაკუნა კარზე, დებაუფი კი დაჯდა პირველ მაგიდასთან სასადილო დარბაზში. მას შემდეგ, რაც პასუხი კვლავ არ იყო, კელი დებაუფთან ერთად ჩამოჯდა მაგიდასთან. პატიმარმა კოიმ გამოაღო საჭმლის მილის კარი, კელიმ განუცხადა მას, რომ სურდა მარტინთან დალაპარაკება. კოი დაეთანხმა და კარი დახურა. კელიმ განუცხადა დებაუფს, რომ მან რაღაც უცნაური დაინახა კოშკურის ფანჯარაში და ეს მოსვენებას არ აძლევდა. დებაუფმა სცადა კოშკურასთან დაკავშირება რადიოგადამცემის საშუალებით, თუმცა პასუხი ვერ მიიღო. რამდენიმე წუთის ლოდინის შემდეგ, კელიმ კვლავ სცადა რადიომიმღებით მარტინთან დაკავშირება, თუმცა პასუხი არ იყო.

***დევნა სასადილოს ტერიტორიიდან***

სასადილოს ტერიტორიაზე მისვლიდან 5 წუთის შემდეგ, კელიმ და დებაუფმა, რომლებიც იდგნენ სამზარეულოს კარის უკან, გაიგონეს გასაღებების ხმა. დაახლოებით 4:59-ზე კორნეტმა გააღო სამზარეულოს კარი, პატიმარი კოი მის უკან იდგა. კორნეტს ეგონა, რომ კარს აღებდა პატიმარ თანდერჰორსისთვის, თუმცა აღმოაჩინა კელი და დებაუფი. მოგვიანებით ოფიცერი კორნეტი აღნიშნავდა, რომ ის შეეცადა თავი დაეღწია პატიმარი კოისგან და დახმარებოდა დანარჩენ თანამშრომლებს სამზარეულოში.

კორნეტი გაიქცა სასადილოს ტერიტორიაზე, ჩაუარა კელისა და დებაუფს, ყვირილით „დაურეკეთ აიემესს“ (ინციდენტის მენეჯმენტის სისტემის განგაშის თანამშრომლებს). კოი გამოედევნა კელის და კედელზე მიაჯაჭვა. როდესაც კელი შეეცადა თვითნაკეთი იარაღის კელისთის წართმევას, კელიმ თვითნაკეთი დანით კელის სახე გაუსერა და იატაკზე დააგდო.

შემდეგ კოი კორნეტს გაედევნა, რომელიც კარიდან გავიდა ლურჯ ეზოში. დებაუფმა განგაშის ინფორმაცია გაავრცელა რადიომიმღების საშუალებით, კოლეგებს აცნობა, რომ ერთ-ერთი ოფიცერი დაშავებული იყო, მეორეს კი ეზოში პატიმარი მისდევდა. მისმა შეტყობინებამ გააქტიურა ინციდენტის მენეჯმენტის სისტემა. კელი და დებაუფი გაყვნენ კოის.

დევნის დროს ისინი მიუახლოვდნენ კოშკურას, ლურჯი ეზოს მხრიდან კოშკურის ახლოს მდებარე ტერიტორიასთან, სადაც კოი გააჩერა რამდენიმე ოფიცერმა, რომლებსაც შესაბამისი ინფორმაცია მიღებული ჰქონდათ დებაუფის განგაშის სიგნალით. კოი ოფიცრებს დაემუქრა დანით. ოფიცრებმა მოუწოდეს კოის დაეგდო დანა და დაწოლილიყო მიწაზე. თავდაპირველად კოიმ უარყო მოთხოვნები, თუმცა მოგვიანებით ხელებგაშლილი დაწვა ძირს, თუმცა დანა არ დაუგდია. როდესაც ოფიცრები მიუახლოვდნენ მას, კოი ფეხზე წამოდგა და კვლავ მოუქნია დანა

ოფიცრებს. ოფიცრების ნაწილმა სცადა წიწაკის გაზით კოის დამორჩილება, თუმცა მცდელობა არაეფექტიანიი აღმოჩნდა.

***ვასენერმა ჩაშალა კოის დაკავება***

სანამ ოფიცრები შემდგომ ნაბიჯებს გადადგამდნენ, ვასენერმა, რომელიც ლურჯი ჭიშკრის მახლობლად იდგა, ცეცხლი გახსნა და რამდენიმე გასროლა განახორციელა (დაახლოებით ცხრიდან ათამდე) AR–15 -დან ჯოუნსისა და სხვა ოფიცრების მიმართულებით. ჯოუნსმა მოუწოდა ყველა ოფიცერს გაეწმინდათ ეზო. მარტო მდგომი კოი გაემართა ლურჯი ჭიშკრისკენ, საიდანაც ვასენერმა ის კოშკურაში შეუშვა. ვასენერმა და კოიმ ხელში ჩაიგდეს კოშკურა და კვლავ მძევლად ჰყავდათ აუქი და დოუ. კოშკურაში შესვლის შემდეგ, კოიმ სექსუალური ძალადობა განახორციელა ოფიცერ დოუზე.

ვასენერმა მოახდინა დაახლოებით შაშხანის 14 ტყვიის გასროლა ინციდენტის დასაწყისში, დაახლოებით ცხრა გასროლა განახორციელა კოშკურის ქვედა ნაწილში და სულ მცირე ხუთი კოშკურის ზედა ნაწილში. მნიშვნელოვანია ვასენერის გასროლებთან დაკავშირებით აღინიშნოს, რომ საკმაოდ ახლო მანძილიდან მან ვერ შეძლო ადამიანური სამიზნის ხელყოფა, როგორც ჩანს ჭიშკრის იქიდან სროლის განხორციელება ხელს უშლიდა მას იარაღის ეფექტურად დამიზნებაში.

მას შემდეგ რაც სხვა ოფიცრები გამოვიდნენ ადმინსიტრაციული შენობიდან, კელი, დებაუფი, ჯოუნსი და ენდრიუ ნეიდელი გაიქცნენ სასადილოს ტერიტორიისკენ, ჩაკეტეს გარეთა კარი და შევიდნენ სამზარეულოში. ნეიდელმა იპოვა მარტინი და სამზარეულოს თანამშრომელი ქალი. ოფიცრებმა ასევე აღმოაჩინეს და გადათვალეს საწყობში ჩაკეტილი პატიმრები. ყველა ოფიცერმა, ტაქტიკური მხარდჭერის გაანყოფილების გადაწყვეტილებით დატოვა სასადილოს ტერიტორია.

ადმინისტრაციულ შენობაში, დირექტორის მოადგილის საკონფერენციო ოთახში ჯოუნსმა გადათვლა თავისი თანამშრომლები: აუქი და დოუ ადგილზე არ აღმოჩნდნენ.

***სასჯელაღსრულების დეპარტამენტის პასუხი***

კაპიტანი მაიკელ ფორბეკი აწარმოებდა პერიმეტრის შემოწმებას ლუის კომპლექსში, როდესაც მან გაიგო ვასენერის მიერ განხორციელებული გასროლა. სიტუაციის შესახებ ინფორმაციის მიწოდების შემდეგ, ფორბეკმა ჩათვალა, რომ არსებობდა ადმინისტრაციულ შენობაში, გაქცევის მზინით, ორი პატიმრის შევარდნის რისკი, რომლებიც შესაძლოა შეიარაღებულნი ყოფილიყვნენ კოშკურაში არსებული იარაღით. მან მოახდინა ადმინისტრაციული ტერიტორიის შეიარაღებული დაცვის ორგანიზება. ის ასევე დაუკავშირდა სხვა განყოფილებებს და მოუწოდა გადასულიყვნენ საგანგებო მდგომარეობაზე; მან უბრძანა ტაქტიკური მხარდაჭერის განყოფილებას დახმარებოდნენ მორეის განყოფილებას; ასევე შეატყობინა ბუკეის პოლიციის განყოფილებას, მარიკოფას შერიფის ოფისს და ადგილობრივ სახანძრო დეპარტამენტს.

18 იანვარს, 5:25-ზე, დაახლოებით 25 წუთში რაც დებაუფმა განახორციელა შეტყობინება მორეის სასადილო ოთახიდან, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სამხრეთ რეგიონის ოპერაციების დირექტორმა მეგ სავაჟმა ლუის კომპლექსიდან მიიღო დოკუმენტი, რომელიც მას ატყობინებდა პატიმართა მხრიდან დაწესებულების ფუნქციონირების დაუზუსტებელი შინაარსის, თუმცა სერიოზული მოშლის შესახებ. ერთი საათის შემდეგ:

- ლუის კომპლექსის ოპერატიულ მორიგეს მიწოდებული ჰქონდა ინფორმაცია მძევლად აყვანის ფაქტის შესახებ, ისევე როგორც სასჯელაღრულების დეპარტამენტის განყოფილების დირექტორს - ჯეფ ჰუდსს, რომელმაც თავის მხრივ აცნობა ლუის კომპლექსის დირექტორს ვილიამ გასპარს.
- სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ტაქტიკური მხარდაჭერის განყოფილება (TSU), რომელიც მდებარეობდა პერივილში მზადყოფნაში იქნა მოყვანილი;
- სასჯელაღსრულების დეპარტამენტი დაუკავშირდა საზოგადოებრივი უსაფრთხოების არიზონას განყოფილებას რათა ეთხოვა მძევლად აყვანასთან დაკავშირებული მოლაპარაკების საკუთარ თავზე აღება.

6:30-დან მალევე, ინციდენტის შესახებ ინფორმაცია მიეწოდა შტატის გუბერნატორს - ჯანეტ ნაპოლიტანოს, ადმინისტრაციის უფროსს დენის ბურკეს. მან თავის მხრივ აცნობა დირექტორს და სხვა თანამშრომლებს. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის დირექტორი დორა სკრირო,

რომელიც ინციდენტის დროს არ იმყოფებოდა შტატში, დაბრუნდა არიზონაში და მართვის შტაბში გამოცხადდა 11:30-ზე. შტაბი ჩამოყალიბდა დილით ადრე, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ცენტრალურ აპარატში, ფენიქსში.

სად-ის პატიმართა მენეჯმენტის სისტემა ადგენს ქვემდებარეობის სტრუქტურას კრიტიკულ სიტუაციებზე რეაგირების განსახორციელებლად. ადგილზე ინციდენტი იმართება ინციდენტის მეთაურის მიერ, სიტუაციის სერიოზულობის შემთხვევაში, ასევე ცენტრალური ოფისიდან სააგენტოს ინციდენტის მმართველის მიერ. მორეის მძევლების სიტუაციის დროს, შეიქმნა სამი სამეთაურო ცენტრი: ორი ადგილზე - ერთი კოშკურაზე მიმდინარე პროცესების, მეორე კი ყოველდღიური რთული სიტუაციის მართვისა და პერიმეტრის უსაფრთხოების საკითხების მართვისათვის, ასევე ლუის კომპლექსში წარმოქმნილი ტაქტიკური სვლების კოორდინირებისათვის, ამასთან არსებობდა ასევე სააგენტოს სამეთაურო ცენტრი.

7:45სთ-ზე ლუის კომპლექსში კოშკურის გარშემო მდებარე შენობებზე განთავსდნენ ტაქტიკური მხარდაჭერის განყოფილების სნაიპერები, ადგილზე იყვნენ სად-ის უფლებამოსილებით მოქმედი საზოგადოებრივი უსაფრთხოების არიზონას განყოფილების თანამშრომლები, რომლებსაც უნდა ეწარმოებინათ მოლაპარაკებები მძევლად ამყვანებთან, იქვე იყვნენ SWAT ჯგუფის წევრები. სამეთაურო შტაბი შეიქმნა დირექტორის საკონფერენციო ოთახში. (ინციდენტისთვის გამოყოფილი იქნა 30 მომლაპარაკებელი, აქედან 10 უშუალოდ აწარმოებდა მოლაპარაკებებს სხვადასხვა სტრუქტურის სახელით.)

ინციდენტის მიმდინარეობისას დახმარების აღმოჩენის მიზნით, დაახლოებით 16 სამართალდამცავი უწყება იყო ჩართული:

- საზოგადოებრივი უსაფრთხოების არიზონას განყოფილებამ გამოყო დაახლოებით 230 ოფიცერი, 75 დეტექტივი და მეთვალყურეობის სპეციალისტი;
- მარიკოპას საგრაფოს შერიფის ოფისმა გამოყო 100 თანამშრომელი;
- ამერიკის გამოძიების ფედერალურმა ბიურომ გამოყო დახლოებით 100 თანამშრომელი.

**ქრონოლოგია**
დროის მოცემული ქრონოლოგია და 15 დღის დროის ჩარჩო მოიცავს მიახლოებით დროებს.

**<u>18 იანვარი, კვირა</u>**
**7 სთ**. ვასენერმა დაურეკა კაპიტან ბარბარა სავაჟს, მორეის განყოფილების უსაფრთხოების უფროსს, რათა ეცნობებინა, რომ აუქს დაზიანებული ჰქონდა თავი და საჭიროებდა ექიმის კონსულტაციას. ვასენერს სურდა გაეცვალა აუქი ლეიტენანტში ან სერჟანტში. სავაჟმა მას უარი განუცხადა. ვასენერმა მოითხოვა ვერტმფრენი და პიცა. მან ასევე გააფრთხილა თანამშრომლები, რომ თუ ერთ-ერთ მათგანს მოკლავდნენ, მეორე მძევლად აყვანილ ოფიცრებს დახოცავდა.
**8:20 სთ**. ვასენერმა მოითხოვა ხელბორკილების გასაღები და მოითხოვა დირექტორ გასპართან და გუბერნატორ ნაპოლიტანოსთან გასაუბრება. მან კვლავ მოითხოვა ვერტმფრენი.
**8:20–11:20 სთ**. მომლაპარაკებლები რამდენჯერმე ესაუბრნენ ვასენერს, რა დროსაც ვასენერმა უარი თქვა ვერტმფრენზე და მოითხოვა მისთვის რადიომიმღების გადაცემა, აღწერა დაზიანებები, რომლებიც მიყენებული ჰქონდათ მძევლებს და ნება მისცა ოფიცრებს გასაუბრებოდნენ ერთ-ერთ მძევალს.
**11:19 სთ**. მომპლაპარაკებლებმა ვასენერს ტელეფონზე მოასმენინეს მისი დის ჩანაწერი, რომელიც მას სთხოვდა სიტუაცია მშვიდობიანად დაესრულებინა.
**11:38სთ**. მოლაპარაკებაში ჩართულმა პირებმა ვასენერს გააცნეს გადაწყვეტილება ხელბორკილის გასაღების გადაცემის შესახებ ტყვიების სანაცვლოდ.
**12:36 სთ**. ვასენერმა მოითხოვა ტელევიზიის ახალი ამბების ჟურნალისტებთან შეხვედრა.
**12:30–5:30 სთ.** ადგილი ჰქონდა სხვადასხვა სატელეფონო საუბრებს მოლაპარაკებების მწარმოებლებსა და ვასენერს შორის.
5:25 სთ. რობოტმა რადიომიმღები მიაწოდა ვასენერს.

დღის მანძილზე, არიზონას საზოგადოების უსაფრთხოების დეპარტამენტის სპეციალური ოპერაციების დეპარტამენტმა შეიმუშავა მძევლების სიტუაციის განმუხტვის რამდენიმე დეტალური, ყოველმხრივი ტაქტიკური სცენარი.

**19 იანვარი, ორშაბათი**

დღის მანძილზე გრძელდებოდა მოლაპარაკებები ტელეფონისა და რადიოგადამცემის საშუალებით.

**6:52 სთ**. რობოტმა კოშკურაში მიიტანა რადიომიმღების ელემენტები, ერთი ხელბორკილის გასაღები, რადიოს დამტენი და ნამცხვრები.

**7:52 სთ**. პატიმრებმა დააბრუნეს ხელბორკილის გასაღები, იარაღის სამი მასრა და არალეტალური რეზინის ტყვიები.

**1:08 სთ**. რობოტმა მიიტანა სიგარეტი, ჰიგიენური ნივთები, ბოთლებით წყალი და პლასტიკატის ჭიქები.

**1:18 სთ** პატიმრებმა დააბრუნეს ხის, არალეტალური ყუმბარები (ტყვიები).

**3 სთ**. სამეთაურო ცენტრში გუბერნატორმა ნაპოლიტანომ და მისმა თანამშრომლებმა მიიღეს ყოველდღიური ანგარიში სასჯელაღსრულების დეპარტამენტის დირექტორის სკრიროს, სხვა თანამშრომლებისგან, და სხვადახვა სააგენტოებისგან.

**20 იანვარი, სამშაბათი**

ტელეფონისა და რადიომიმღების საშუალებით გამართული მოლაპარაკებები გრძელდებოდა დღის მანძილზე.

**12:30 სთ**. ჩატარდა გუბერნატორის ყოველდღიური ბრიფინგი.

**1:22–1:38 სთ**. რობოტმა პატიმრებს მიაწოდა ერთი ხელბორკილის გასაღები, ბოთლით წყალი, საპონი, ყავა და სიგარეტი. საპასუხოდ, პატიმრებმა ნება დართეს მომლაპარაკებლებს ვიზუალურად დაენახათ მძევლად აყვანილი თანამშრომლები.

**9:51 სთ**. რობოტმა პატიმრებთან მიიტანა საკვები. საპასუხოდ პატიმრებმა დააბრუნეს დიდი რაოდენობით მედიკამენტი, ორი ხელნაკეთი დანა, ავზის კანისტრა, 37 მმ-იანი ცეცხლსასროლი იარაღის ვაზნა.

**11 სთ**. ორმხრივი რადიოსაუბრით შემოწმებული იქნა მძევლების ჯანმრთელობის მდგომარეობა.

**21 იანვარი, ოთხშაბათი**

დღის განმავლობაში გრძელდებოდა მოლაპარაკებები ტელეფონისა და რადიომიმღების საშუალებით.

**8 სთ**. გუბერნატორის ყოველდღიური ბრიფინგი.

**12:20 სთ**. რობოტმა დანიშნულების ადგილზე მიიტანა ტაილენოლი (მედიკამენტი) და სამი ჭიქა. პატიმრებმა დააბრუნეს ორი წიწაკის გაზის კანისტრა.

**12:22 სთ**. პატიმრებმა ეზოში გაუშვეს წიწაკის გაზი, მას მერე რაც გაიგეს, რომ ახლოს მდებარე ღობე გაჭრილი იყო.

**7:29 სთ**. მოლაპარაკებაში ჩართულმა პირებმა მიიღეს სიტყვიერი დასტური იმისა, რომ ორივე მძევალი ცოცხალი იყო.

**22 იანვარი, ხუთშაბათი**

დღის მანძილზე გრძელდებოდა მოლაპარაკებები ტელეფონისა და რადიოგადამცემის საშუალებით.

**9:30 სთ**. გუბერნატორის ყოველდღიური ბრიფინგი.

**10:29 სთ** ვასენერმა მოითხოვა ტელევიზიის რეპორტიორთან გასაუბრება, რეპორტიორს კითხვებზე პასუხის გაცემისას ფაქსით უნდა გაეგზავნა ინფორმაცი

**3:20 სთ**. ორივე თანამშრომელი ხანმოკლე დროის მანძილზე გამოჩდა სახურავზე, ვიზუალური დასტურისთვის, რომ კარგად იყვნენ.

**23 იანვარი, პარასკევი**

დღის მანძილზე გრძელდებოდა მოლაპარაკებები ტელეფონისა და რადიოგადამცემის საშუალებით.

**9 სთ**. გუბერნატორის ყოველდღიური ბრიფინგი.

**4:50 სთ**. ვასენერმა მოითხოვა რადიოს პირდაპირ ეთერში ჩართვა.

**8:45 სთ**. მომლაპარაკებლებმა ვასენერთან განიხილეს ერთ-ერთი მძევლის გათავისუფლების პირობები.

<u>24 იანვარი, შაბათი</u>

დღის მანძილზე გრძელდებოდა მოლაპარაკებები ტელეფონისა და რადიოგადამცემის საშუალებით.

**10 სთ**. გუბერნატორის ყოველდღიური ბრიფინგი

**3:15 სთ**. რობოტმა პატიმრებს მიუტანა , საკვების ნახევარი, რომელიც პატიმრებმა მოითხოვეს. მეორე ნახევარს ისინი მიიღებდნენ მძევლის უსაფრთხოდ გათავისუფლების შემდეგ.

**3:20 სთ**. <u>პირველი მძევლის გათავისუფლება.</u> პატიმრებმა კოშკურიდან გაათავისუფლეს ოფიცერი აუქი (მომლაპარაკებლებს ჰქონდათ რამდენიმე მცდელობა დაერწმუნებინათ პატიმრები ჯერ გაეთავისუფლებინათ ოფიცერი დოუ). აუქი შეამოწმა ექიმმა და გამოკითხეს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ტაქტიკური მხარდაჭერის განყოფილების წარმომადგენლებმა. შემდეგ მოხდა სასწრაფოსა და ვერტმფრენის საშუალებით მისი ფენიქსის საავადმყოფოში გადაყვანა. აუქს აღმოუჩინეს სამედიცინო დახმარება, მათ შორის საჭირო გახდა ოპერაციული ჩარევა. ის საავადმყოფოში გამოკითხა ასევე სასჯელაღსრულების დეპარტამენტის საგამოძიებო ნაწილმა, რომლებიც აგროვებდნენ ინფორმაციას ბოლო მოვლენებთან დაკავშირებით ორი პატიმრის მიმართ დაწყებული სისხლის სამართალწარმოების შესახებ.

**3:38 სთ**. SWAT ჯგუფის წევრებმა მიიტანეს საკვების მეორე პარტია.

**7:15 სთ**. მომლაპარაკებლებმა გაიგონეს ოფიცერ დოუს საუბარი კოისთან, რაც ადასტურებდა მის კარგად ყოფნას.

<u>25 იანვარი, კვირა</u>

მოლაპარაკებები გრძელდებოდა დღის მანძილზე. არიზონაში ჩამოვიდა ერთ-ერთი პატიმრის ოჯახი, რათა მოლაპარაკებებში ჩართულიყო როგორც მესამე მხარე.

10 სთ. სამეთაურო შტაბში, გუბერნატორმა ნაპოლიტანომ და მისმა თანამშრომლებმა ჩაიბარეს ანგარიში, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის დირექტორის სკრიჰოსა და სხვა თანამშრომლებისგან, აგრეთვე სხვადასხვა სააგენტოების წარმომადგენლებისგან.

<u>26 იანვარი, ორშაბათი</u>

დღის მანძილზე მოლაპარაკებები გრძელდებოდა ტელეფონისა და რადიოგადამცემის საშუალებით.

**10 სთ** გუბერნატორის ყოველდღიური ბრიფინგი.

<u>27 იანვარი, სამშაბათი</u>

დღის მანძილზე მოლაპარაკებები გრძელდებოდა ტელეფონისა და რადიოგადამცემის საშუალებით.

**10 სთ** გუბერნატორის ყოველდღიური ბრიფინგი.

**5:05–5:10 სთ**. SWAT ჯგუფის წევრებმა პატიმრებს მიაწოდეს პირსახოცები, ზეწრები და სუფთა ტანსაცმელი. საპასუხოდ პატიმრებმა ოფიცერი დოუ მდგომარეობის შემოწმების მიზნით მოათავსეს ისეთ ადგილას, სადაც შესაძლებელი იყო მისი დანახვა.

**5:32 სთ**. ვასენერმა მოითხოვა მისგან ინტერვიუ აეღოთ მისი გათავისუფლების საკითხთან დაკავშირებით, იმის დასტურად რომ შტატი დათანხმდებოდა მის პირობებს.

<u>28 იანვარი, ოთხშაბათი</u>

დღის მანძილზე გრძელდებოდა მოლაპარაკებები. მოლაპარაკებებში დახმარების აღმოჩენის მიზნით, ჩამოვიდა მეორე პატიმრის ოჯახი.

**9 სთ**. გუბერნატორის ყოველდღიური ბრიფინგი

**12:28 სთ**. SWAT გუნდმა პატიმრებს მიუტანა ჰიგიენური საშუალებები, დოუს მდგომარეობის შემოწმების საპასუხოდ.

**2:21 სთ**. მომლპარაკებლებმა ვასენერთან საუბრის დროს გაიგონეს დოუს ხმა.

<u>29 იანვარი, ხუთშაბათი</u>

დღის მანძილზე გრძელდებოდა მოლაპარაკებები.

**9 სთ** გუბერნატორის ყოველდღიური ბრიფინგი

**3:40 სთ**. SWATჯგუფის წევრებმა პატიმრებს მიაწოდეს საკვები პროდუქტები მედიკოსის მიერ დოუს ჯანმრთელობის შემოწმების სანაცვლოდ.

**10 სთ**. გუბერნატორი და მისი თანამშრომლები შეხვდნენ სკრიჰოს და მის თანამშრომლებს

მოლაპარაკებების თაობაზე ინფორმაციის მიღების მიზნით, მათ შორის შეეხნენ ვასენერის მოთხოვნას რადიოში გამოსვლის თაობაზე. გუბერნატორმა წამოაყენა წინადადება პირდაპირ ეთერში ვასენერის გამოსვლაზე დათანხმება არ მომხდარიყო დანებებისა და დოუს უსაფრთხო გათავისუფლებაზე შეთანხმების გარეშე.

**30 იანვარი, პარასკევი**

დღის მანძილზე მოლაპარაკებები ტელეფონისა და რადიოგადამცემის საშუალებით გრძელდებოდა.

**10 სთ**. გუბერნატორის ყოველდღიური ბრიფინგი.

**3:36 სთ**. SWAT ჯგუფმა პატიმრებს მიაწოდა საკვები პროდუქტები, უალკოჰოლო სასმელი, სიგარეტი, დოუს მდგომარეობის შემოწმების სანაცვლოდ.

**7:16 სთ**. დოუ გაესაუბრა ექიმს მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ.

**31 იანვარი, შაბათი**

დღის მანძილზე მოლაპარაკებები ტელეფონისა და რადიოგადამცემის საშუალებით გრძელდებოდა.

**10 სთ**. გუბერნატორი და მისი თანამშრომლები ინფორმაციის მიღების მიზნით, შეხვდნენ სკრიჰოს და მის თანამშრომლებს, ასევე სხვადასხვა სააგენტოს წარმომადგენლებს.

**3:56 სთ**. SWAT ჯგუფმა პატიმრებს მიაწოდა საკვები და უალკოჰოლო სასმელი.

**5:22 სთ**. ვასენერი გამოჩნდა სამეთვალყურეო პუნქტთან, მარჯვენა ხელში იარაღით.

**7:17 სთ**. დოუს მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ტელეფონით გაესაუბრა ექიმი.

**8:08 სთ**. SWAT ჯგუფის წევრებმა პატიმრებს მიაწოდეს საკვები და სიგარეტი.

**1 თებერვალი, კვირა**

**9:20 სთ**. პატიმრების გასაუბრება მესამე მხარესთან, კოის ბიძასთან.

**10:04სთ**. ვასენერი ასახელებს მომლაპარაკებელს, რომელთანაც მას სურს განიხილოს დანებების მოთხოვნები. მომლაპარაკებლის ადგილზე გამოცხადებასთან ერთად კეთდება დამატებითი მოთხოვნები.

**10:14 სთ**. ისმის დოუს ხმა, რომელიც ამბობს რომ კარგად არის.

**11:04 სთ**. პატიმრებს მიუტანეს სიგარეტი.

**11:29 სთ**. პატიმრები აყენებენ შემდეგ მოთხოვნებს:

- ხელმისაწვდომი გახდეს აბაზანა;
- ვასენერს სურს თავის დასთან გასაუბრება;
- კოის სურს ყოფილი ცოლის ჩანაწერის მოსმენა;
- ავტომობილი;
- დოკუმეტური დასტური, რომ მომავალში მათ მიმართ არ იქნება სასამართლო განხილვა და დამატებითი სასჯელი;
- ტანსაცმელი;
- სტეიკი, ლუდი და პიცა.

**11:52 სთ** გუბერნატორი ნაპოლიტანო გამოცხადდა ცენტრალურ სამეთაურო პუნქტში.

**12:35 სთ** მომლაპარაკებლებმა კოის მოასმენინეს მისი ყოფილი ცოლის ჩანაწერი.

**12:51 სთ**. დოუ ვასენერთან ერთად გამოჩნდა კოშკურის სახურავზე.

**1:26 სთ**. განხორციელდა ზარი ვასენერის დასთან

**2:04 სთ**. ვასენერმა დარეკა იმისათვის, რომ განეცხადებინა, რომ აბაზანა არ იყო ხელმისაწვდომი, დოუსთან კონტაქტი აღარ იქნებოდა და 24 საათში მას ექნებოდა ახალი მოთხოვნები. თუ ამ ვადაში ცხელი წყლის უზრნველყოფა არ მოხდებოდა და დამატებითი მოთხოვნები არ შესრულდებოდა, 48 საათის განმავლობაში კონტაქტი არ განხორციელდებოდა და მას კიდევ ექნებოდა დამატებითი მოთხოვნები.

**2:39 სთ**. ცხელი წყალი ჩაირთო

**2:46 სთ**. ვასენერმა გაისროლა არალეტალური რეზინის ტყვიები 37 მმ-იანი იარაღიდან.

**2:57 სთ**. ვასენერი აღნიშნავს, რომ ცხელი წყალი არ არის.

**3:13 სთ** პატიმრებს მიაწოდეს ორი სუფთა უნიფორმა, წინდების, საცვლებისა და ფეხსაცმელების ჩათვლით, კოშკურასთან მიიტანეს საკვები პროდუქტები.

**3:41 სთ**. პატიმრებს მიაწოდეს გასაღები, რათა მათ მოეხერხებინათ პირველ სართულზე მდებარე აბაზანით სარგებლობა და გაესუფთავებინათ გზა მათი და მძევლების გამოსვლისთვის.
**4:25 სთ**. კოი გამოჩნდა პატარა კარებში.
**5:16 სთ**. ინიცირებული იქნა კონტაქტი დანებების სპეციფიური პროცესების განსახილველად.
**5:19 სთ**. გუბერნატორი დაუბრუნდა მთავარ სამეთაურო პუნქტს.
**5:31 სთ**. ინიცირებული იქნა კონტაქტი დანებების სპეციფიური პროცესების განსახილველად. კოიმ მოითხოვა მოგვიანებით ესაუბრათ.
**5:45 სთ**. ინიცირებული იქნა კონტაქტი დანებების სპეციფიური პროცესების განსახილველად. კოიმ კვლავ მოითხოვა მოგვიანებით დარეკვა.
**5:52 სთ**. ვასენერმა დარეკა. საუბარი გაიმართა კოშკურიდან გამოსვლის საკითხებზე.
17 სთ. ვასენერი გამოჩნდა სახურავზე ნარინჯისფერ უნიფორმაში, ამით მიანიშნა, რომ კარი სუფთა იყო და ტაქტიკურ ჯგუფს შეეძლო მისი გაღება.
**6:20 სთ**. ტაქტიკური ჯგუფი მიუახლოვდა კოშკურას, გააღო კარი და დატოვა ღია. შემდეგ ჯგუფმა დაახლოებით 10 იარდით უკან დაიხია.
**6:25 სთ**. მძევლად აყვანის ინციდენტი დასრულდა. ვასენერი ხელებაწეული გამოვიდა კოშკურიდან. ის დაემორჩილა მოწოდებას შემობრუნებისა და მიწაზე დაწოლის შესახებ, მოხდა მისი შეზღუდვა. შემდეგ კოშკურა დატოვა დოუმ, ის ტაქტიკური ჯგუფის მიერ გადაყვანილი იქნა ადმინისტრაციულ დაწესებულებაში, ასევე იქვე მყოფ სასწრაფო დახმარების მანქანასთან. კოიმაც დატოვა კოშკურა, მოხდა მისი შეზღუდვა და დაკავება.
**6:32–7:08 სთ**. დოუ გასინჯა სასწრაფო დახმარების ბრიგადამ. შემდეგ ის ვერტმფრენის საშუალებით გადაიყვანეს ფენიქსის საავადმყოფოში, სადაც მას ჩაუტარდა მკურნალობა, ახსნა-განმარტება ჩამოერთვა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის საგამოძიებო სამსახურის მიერ და შემდეგ დაუბრუნდა ოჯახს.
**6:51 სთ**. გუბერნატორი ნაპოლიტანო და დირექტორი სკრიპო დაწესებულებიდან საავადმყოფოში გაემართნენ.
**7:34 სთ**. ვასენერი და კოი გადაიყვანეს უკონტაქტო ვიზიტებისთვის განკუთვნილ ტერიტორიაზე, სადაც მათ დეპარტამენტის გამომძიებლებმა გადაუღეს ფოტოები, ბიუროს თანამშრომლებმა ისინი შეამოწმეს გაშიშვლებით, უზრუნველყვეს ტანსაცმლით. მათი ტანსაცმელი და სხვა მტკიცებულებები დაილუქა კონტეინერებში და შენახული იქნა გამომძიებლების მიერ.

პატიმრებს ფენიქსის სასჯელაღსრულების ფედერალურ დაწესებულებაში გადაყვანამდე ჩაუტარდათ სამედიცინო შემოწმება, სადაც ისინი ერთმანეთისგან განცალკევებით განათავსეს.

ვასნერზე და კოიზე, მათი პერსონებიდან გამომდინარე გაიცა შემოწმების სანქცია, შემოწმების აღსრულდა შესაბამისი სამედიცინო პერსონალის მიერ, რომელმაც შეადგინა ოქმი სექსუალური ძალადობის შესახებ, როგორც ეს მითითებული იყო სანქციაში. ვასენერს და კოის განემარტათ მათი უფლებები. ვასენერმა მოითხოვა ადვოკატთან კონსულტაცია, კოიმ კი უარი განაცხადა ჩვენების მიცემაზე.

**დასკვნები და რეკომენდაციები**

გუბერნატორმა ნაპოლიტანომ 2004 წლის 10 თებერვალს მიიღო გადაწყვეტილება სამართალდამცავი ორგანოებისა და სასჯელაღსრულების პროფესიონალებისგან შეექმნა ადმინისტრაციული გადასინჯვის საბჭო, რომელიც გამოიძიებდა მორეის ნაწილში მომხდარ ინციდენტს: აღადგენდა მოვლენათა ჯაჭვს პატიმრების მიერ კოშკურის დაკავებამდე; მოახდენდა იმ საკითხების იდენტიფიცირებას, რომლებმაც პირდაპირ ან ირიბად ხელი შეუწყვეს ინციდენტს, ან შესაძლოა ხელი შეეწყოთ მსგავსი ინციდენტებისთვის; წარმოადგენდნენ პრაქტიკულ რჩევებს უსაფრთხოებისა და თანამშრომელთა დაცულობის საკითხებთან დაკავშირებით.

ადმინისტრაციული საბჭო შედგებოდა შემდეგი პირებისგან:
- რობერტო ვილასენორი - ხელმძღვანელის ასისტენტი, ტუსონის პოლიციის დეპარტამენტი;
- ჯონ ფელფსი - დირექტორის მოადგილე, არიზონას უსაფრთხოების სამსახური;
- მაიკლ სმარიკი - განყოფილების დირექტორი, არიზონას სასჯელაღსრულების დეპარტამენტი.

**შინაარსი**: ანალიზი და 69 რეკომენდაცია წარმოდგენილია გაქცევის მცდელობისა და მძევლად აყვანის ქრონოლოგიურად. განხილული იქნა შემდეგი საკითხები:

- პატიმართა უსაფრთხოება;
- ეზოს უსაფრთხოება;
- სამზარეულოს უსაფრთხოება და პროცედურები;
- კოშკურების უსაფრთხოება, პროცედურები და მათი გამოყენება;
- თავდაცვითი ტაქტიკა, ტექნიკა და პროცედურები;
- კომუნიკაციები;
- ინდივიდუალური და განყოფილების საპასუხო რეაგირება;
- ტაქტიკური, ოპერატიული ინფორმაციის მოპოვებისა და მოლაპარაკების წარმოების უწყებათაშორისი განხორციელება;
- მძევლად აყვანის სიტუაციის განმუხტვა;
- ადმინისტრაციული, პოლიტიკისა და ფინანსური საკითხები.

**ა. პატიმართა უსაფრთხოება**

პატიმრების ხელში ლეტალური იარაღის არსებობა წარმოადგენდა მძევლად ხელში აყვანის სიტუაციის წამყვან მიზეზობრივ ფაქტორს.

**ანალიზი**: პატიმრები შემოწმდნენ საცხოვრებელი ტერიტორიიდან გამოსვლისას, თუმცა სამზარეულოს უსაფრთხოების პოსტზე სამზარეულოში მომუშავე პატიმრების ხელით შემოწმებას ადგილი არ ჰქონია. ამან პატიმრებს საშუალება მისცა აეღოთ ეზოში დამალული იარაღი და შეუმჩნევლად შეეტანათ სამზარეულოში.

**ანალიზი**: ოფიცრებმა განახორციელეს ვასენერის, კოისა და სხვა პატიმრების არაადეკვატური შემოწმება. სხვა ოფიცრების განცხადებებიდან და ზოგადი შეფასებებიდან საბჭომ დაასკვნა, რომ შემოწმების ამგვარად ჩატარება საკმაოდ ჩვეულებრივი მოვლენა იყო.

**დასკვნა**: იმავე სქესის თანამშრომელთა მხრიდან ხელის შეხებით შემოწმება არ არის სავალდებულო, თუმცა სასურველია.
დასკვნა: მართალია საბჭომ ვერ დააზუსტა როგორ იქნა დამზადებული ხელნაკეთი იარაღი და როგორ მოხდა მათი შეტანა სასადილოს ტერიტორიაზე, მაგრამ ცხადი იყო, რომ მათ გარეშე ვასენერის და კოის ჩანაფიქრის განხორციელების ეფექტურობა ბევრად უფრო შემცირებული იქნებოდა.

**რეკომენდაციები**

1.სამზარეულოში შემსვლელთა შემოწმების პროცედურების გადახედვა და შესრულება. სხვაგან არსებული ხარვეზების გამოვლენა, რამაც შესაძლოა პატიმრებს მისცეს აკრძალული ნივთებისა და იარაღის შენახვის შესაძლებლობა დაწესებულებაში მოძრაობის დროს;

2. სასჯელაღსრულების დეპარტამენტმა უნდა განაგრძოს ხელის შეხებით გარედან შემოწმების ჩატარება, როდესაც ეს აუცილებელია;

3. შეიქმნას სპეციალური ჯგუფი, შტატის მასშტაბით ან ორი რეგიონისთვის, რომელიც დაკავებული იქნება მხოლოდ პატიმრების მფლობელობაში არსებული აკრძალული ნივთების აღმოჩენით, მოულოდნელი, შემთხვევითი შემოწმებების ჩატარების შედეგად. აღნიშნული შემოწმების ჩატარებისას ჯგუფი აღჭურვილი უნდა იყოს თანამედროვე დეტექტორებითა და სპეციალურად გაწვრთნილი ძაღლებით. ჯგუფის შემადგენლობა უნდა მომზადდეს დეტექტორებისა და სხვა აღჭურვილობის გამოყენებაში, ასევე ინფორმირებული უნდა იყოს პატიმრების მიერ აკრძალული ნივთების დამალვის მეთოდების შესახებ. შემმოწმებელი ჯგუფის დაწესებულებაში მისვლისთანავე, თანამშრომელთა ნაწილმა უნდა მოახდინოს პატიმრების მკაცრი იზოლაცია და შემოწმებას უნდა დაესწრონ დაწესებულების შუა და დაბალი რგოლის ხელმძღვანელი პირები. შემოწმებული უნდა იქნას შერჩეული ტერიტორიის ყველა ადგილი. შემოწმებისას აკრძალულია პატიმრების გადაადგილება ან ცვლის გამოცვლა. შემოწმების შესახებ ინფორმირებული უნდა იყოს ადამიანების მხოლოდ ის მინიმალური რაოდენობა, რომელთა ინფორმირებაც აუცილებელია შემოწმების ჩატარების თაობაზე და ინფორმაციის მიწოდება უნდა განხორციელდეს მხოლოდ უშუალოდ შემოწმების ჩატარების წინ;

4. დაწესებულებაში შემსვლელი თანამშრომლები, ხელშეკრულებით დაქირავებული პირები, მნახველები და მათ საკუთრებაში არსებული ნივთები უნდა შემოწმდეს სკანერით ან მის გარეშე. იმ შემთხვევაში, თუ მოხდება აკრძალული ნივთების აღმოჩენა, დისკრეციული უფლებამოსილების საფუძველზე, უნდა მოხდეს დისციპლინური ზომების გამოყენება გაფრთხილებიდან დაწყებული, სამსახურიდან დათხოვნის ან სისხლის სამართლებრივი დევნის ჩათვლით;

5. უნდა მოხდეს ყველა პოსტზე არსებული ბრძანების გადახედვა, რათა უზრუნველყოფილი იქნას რომ სრულდება პატიმრების შემოწმების ვალდებულება პატიმართა განყოფილების შიგნით, ასევე როდესაც პატიმარი ბრუნდება განყოფილებაში. შემოწმების მიზანს უნდა წარმოადგენდეს პატიმრების შემოწმება იმისათვის, რომ მათ თან არ ჰქონდეთ აკრძალული ნივთები ნაკლებად დაცულ ადგილებში გადაადგილებისას. შემოწმების მეთოდები უნდა იცვლებოდეს, შემთხვევითი, როტაციული მეთოდებიდან, წინასწარი ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებულ შემოწმებამდე. შემოწმების მეთოდები მკაცრად უნდა გაკონტროლდეს ზედამხედველი თანამშრომლების მიერ;

6. სასჯელაღსრულების სისტემაში თვითნაკეთი დანის მსგავსი იარაღები წარმოადგენს მუდმივ პრობლემას. რეგულარულად უნდა შემოწმდეს არსებული პროცედურები, რომლებიც მიზნად ისახავს იარაღის დამზადებისა და დამალვის პრევენციას. მასთან სასჯელაღსრულების დეპარტამენტმა უნდა იფიქროს საჭიროა თუ არა ნივთების აღმოჩენის ახალი სისტემების დანერგვა. მიუხედავად ტექნოლოგიებისა, თვითნაკეთი იარაღის აღმოჩენის უკანასკნელ გზას წარმოადგენს დაწესებულების თანამშრომლების და მათი ხელმძღვანელების კომპეტენცია და სიფხიზლე;

7. სასჯელაღსრულების დეპარტამენტმა უნდა მოახდინოს არსებული ნორმების გადასინჯვა აკრძალული ნივთების ძებნასთან დაკავშირებით და ხაზი გაუსვას საფუძვლიანობის, მოულოდნელობისა და მუდმივობის პრინციპებს.

**ბ. ეზოს უსაფრთხოება**

დასკვნა/ანალიზი: შესაძლოა პატიმრები იარაღს მალავდნენ ხრეშის ქვეშ.

**რეკომენდაცია**

8. განხილული იქნას დაწესებულების ხრეშისა და სხვა რბილი მასალისგან გაწმენდა და მისი ჩანაცვლება უფრო სტაბილური საფარით, რომლის ქვეშაც ნაკლებად იქნება შესაძლებელი იარაღისა და აკრძალებლი ნივთების დამალვა.

**გ. სამზარეულოს პროცედურები და უსაფრთხოება**

შემდეგი ფაქტორების გამო, სამზარეულოს უსაფრთხოების სისტემა მნიშვნელოვნად იყო შემცირებული, შესაბამისად მათ ხელი შეუწყეს ინციდენტის წარმოშობას.

**დასკვნა**: პატიმრები მეტისმეტად კარგად იცნობდნენ ოფიცრების ყოველდღიურ საქმიანობას.

**დასკვნა**: სამზარეულოში დასაქმება არ იყო ორი მაღალი რისკის პატიმრისთვის შესაბამისი სამუშაო.

**დასკვნა**: სამზარეულოს კარი იყო დაუცველი. სამზარეულოში თავისუფლად შესვლით, პატიმრებს ეძლეოდათ შესაძლებლობა კონტროლის ქვეშ მოექციათ განყოფილების თანამშრომლები, კომუნიკაციის სისტემა და იარაღი.

**დასკვნა**: სამზარეულოს მოწყობილობების გადაცემა ხორციელდებოდა ხელიდან ხელში, სამზარეულოს ღია კარის მეშვეობით. სამზარეულოს მოწყობილობების ოთახიდან სამზარეულოში გამავალი კარი უნდა ყოფილიყო ღია და ასე მომხდარიყო პატიმრებისთვის მოწყობილობების გადაცემა. სამზარეულოს მუშაობის პირობებში არ იყო პრაქტიკული და მოსახერხებელი აღნიშნული კარის მუდმივი გაღება და დაკეტვა.

**დასკვნა**: სამზარეულოს პოსტზე საჭირო იყო მხოლოდ ერთი ოფიცრის ყოფნა. პატიმრებს შეეძლოთ ადვილად მორეოდნენ მარტო მყოფ ოფიცერს, ისე, რომ სხვებს ეს არ შეემჩნიათ. როდესაც ინციდენტი დაიწყო, ოფიცერი მარტინი მარტო იყო პასუხისმგებელი 19 პატიმარზე.

**დასკვნა**: სამზარეულოს ტერიტორიაზე არ ხორციელდებოდა მეთვალყურეობა. თუმცა სამზარეულოს გარეთ არსებულ სასადილო დარბაზებში ხორციელდებოდა ვიდეოკამერით დაკვირვება, სამზარეულოში არ იყო აუდიო და ვიდეო მეთვალყურეობა.

**დასკვნა**: ხელშეკრულებით აყვანილი ერთ-ერთი სამზარეულოს თანამშრომელი იმ დილით სამსახურში არ იმყოფებოდა მიზეზის ყოველგვარი განმარტების გარეშე, მან უარი განაცხადა გამოძიებასთან თანამშრომლობაზე.

**რეკომენდაციები**

9. პატიმართა სამუშაო ცვლების იმგვარად გადანაწილება, რომ პატიმრებს ნაკლებად ჰქონდეთ ოფიცრების ყოველდღიური საქმიანობისა და ჩვევების დეტალურად შესწავლის შესაძლებლობა;

10. საფრთხის შემცველი პატიმრების მუშაობის შესაძლებლობა უნდა შეიზღუდოს, ხანგრძლივ ვადიანი ან უვადო თავისუფლებააღკვეთილ პატიმრებისთვის სამუშაოს არჩევა უნდა იყოს მკაცრად შეზღუდული;

11. სასჯელაღსრულების დეპარტამენტმა უნდა გამოკითხოს ყველა სამზარეულოს თანამშრომელი, რომლებიც დასაქმებულნი იყვნენ მორეის ნაწილში მძევლად აყვანის ინციდენტამდე ბოლო 6 თვის განმავლობაში. ძირეულად უნდა იქნას შესწავლილი თანამონაწილეობის ყველა შესაძლო შემთხვევა;

12. სამზარეულოს კარი ყოველთვის დახურული უნდა იყოს და უნდა იღებოდეს მხოლოდ თანამშრომლის შესვლის ან გასვლის დროს. სამზარეულოში უნდა დადგინდეს დისტანცია, რომლის გადაკვეთის უფლებაც პატიმრებს არ ექნებათ. თუ ეს ტერიტორია დაკავებული იქნება, კარი უნდა იყოს ჩაკეტილი და არ უნდა გაიღოს აღნიშნული ტერიტორიის გაწმენდამდე (მაგ: წითლად შეღებილი ხაზი, ოთახის შესასვლელთან);

13. სასჯელაღსრულების დეპარტამენტმა უნდა იფიქროს მეთოდებზე, რომელიც აღმოფხვრის სამზარეულოს მოწყობილობის ხელიდან ხელში გადაცემის საჭიროებას. მაგ: შესაძლოა დამონტაჟდეს უსაფრთხო უჯრა, რომლის საშუალებით მოხდება სამზარეულოში მყოფი ოფიცრის მიერ აღჭურვილობის გადაწოდება;

14. მოწყობილობები და სამზარეულოს იარაღები უნდა იყოს უსაფრთხო. შესაძლოა დაბალი რისკის განყოფილებებში ეს ნაკლებად აუცილებელი იყოს, თუმცა ასეთი განყოფილებების ადმინისტრაციამ სიფრთხილე უნდა გამოიჩინოს ასეთი პოლიტიკის გატარების დროს;

15. სამზარეულოში გამუდმებით უნდა იმყოფებოდეს ორი უსაფრთხოების ოფიცერი;

16. სამზარეულოს ტერიტორიაზე უნდა არსებობდეს ვიდეოკამერა, საიდანაც გამოჩნდება პატიმართა საქმიანობა პატიმართა საკონტროლო პუნქტში. კამერის ჩანაწერს პირდაპირი მიმდინარეობისას უნდა ადევნებდნენ თვალს და არ უნდა ხდებოდეს მისი ჩაწერა და გადახვევა მხოლოდ ფაქტების აღდგენის მიზნით.

**დ. კოშკურის უსაფრთხოება, პროცედურები და მათი გამოყენება**

ქვემოთ ჩამოთვლილმა ფაქტორებმა შექმნა ცენტრალური კოშკურის ხელში ჩაგდების შესაძლებლობა, რამაც მნიშვნელოვნად ხელყო დაწესებულების უსაფრთხოება.

**დასკვნა**: არსებობდა კოშკურაში შეღწევის ზედმეტად ბევრი პუნქტი. მრავალი შესასვლელის არსებობა პატიმრებს აძლევდა კოშკურაში შეღწევის შესაძლებლობას. (ვასენერი კოშკურაში შევიდა წითელი ეზოდან, კოი ლურჯიდან).

**დასკვნა**: არ არსებობდა კოშკურაში შემსვლელის იდენტიფიცირების ნათელი ნორმები.

**დასკვნა**: კოშკურას ჰქონდა მრავალფუნქციური გამოყენება, რაც რეალურად მის მიზანს არ წარმოადგენდა. კოშკურა გამოყენებული იყო სხვადასხვა ნივთების, მათ შორის პატიმრებისთვის გადასაცემი მედიკამენტების შენასახად. საბჭოს მიაჩნია, რომ აღნიშნულმა ფაქტმა შესაძლებლობა მისცა პატიმრებს შეეგროვებინათ მათთვის საჭირო ონფორმაცია კოშკურის შესახებ, რომელიც შეეხებოდა კოშკურის დიზაინს, გეგმას, კარებს და ა.შ.

**დასკვნა**: კოშკურიდან არ ხდებოდა პატიმართა გადაადგილებაზე დაკვირვება. არ არსებობს მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა, რომ ვასენერზე, კოისა და სამზარეულოში მომუშავე სხვა პატიმრებზე ხორციელდებოდა მეთვალყურეობა, როდესაც ისინი საცხოვრებელი

განყოფილებიდან სამზარეულოში გადაადგილდებოდნენ. ასევე ყურადღების მიღმა დარჩა ვასენერის გადაადგილება სამზარეულოდან კოშკურისკენ. აღნიშნული ხარვეზი პატიმრებს აძლევდა უსაფრთხოების საკითხების გვერდის ავლის შესაძლებლობას და ართულებდა განყოფილებაში არსებულ ზოგად ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობას.

**დასკვნა**: კოშკურის საგუშაგოები არაადეკვატურად იყო განსაზღვრული. საგუშაგოების მოვალეობათა აღწერა არ იყო საკმარისად სპეციფიური და ნათლად არ ითხოვდა ეზოს გამუდმებულ მეთვალყურეობას, განსაკუთრებით ეზოში პატიმრების ყოფნის პერიოდში.

**დასკვნა**: დაცული არ იყო ინსტრუქციები საგუშაგოზე იარაღის განთავსების შესახებ. ოფიცერმა დოუმ განაცხადა, რომ მან ვერ მოახერხა წვდომა AR–15 ტიპის იარაღზე, ვასენერისაგან თავის დაცვის მიზნით. იარაღის მოპოვების შემთხვევაშიც კი, განყოფილების ხელმძღვანელის ინსტრუქციის შესაბამისად ის დატენილი არ იქნებოდა.

**რეკომენდაციები:**
17. სად-მა უნდა განიხილოს ლუისის და სხვა მსგავსი არქიტექტურის მქონე ციხეებში კოშკურებზე თანამშრომელთა განთავსების საკითხი. ცენტრალური კოშკურის თანამშრომლებით აღჭურვის მიმართულებით გათვალისწინებული უნდა იქნას 17–26 რეკომენდაციები;
18. კოშკურაში განთავსებული უნდა იყოს უძრავი მოსასმენი აპარატურა;
19. სად-მა უნდა გააუმჯობესოს ვიდეოკამერების ხარისხი, მათი ლოკაციები და განათება კოშკურის ყველა შესასვლელ პუნქტთან, რაც შესაძლებელს გახდის კოშკურაში შემსვლელთა იდენტიფიცირებას;
20. კოშკურაში უნდა არსებობდეს მხოლოდ ერთი შესასვლელი. საბჭო გასცემს რეკომენდაციას ადმინისტრაციული ნაწილიდან არსებული შესასვლელის გაუქმების შესახებ. უნდა გადაიხედოს საგუშაგოს მართვის ბრძანება და უნდა მოიცვას სპეციფიური ინსტრუქციები კოშკურაში შესვლისა და მისი დატოვების შესახებ. ზედა სართულიდან ადამიანების შეშვებისა და პირდაპირი იდენტიფიცირების გარეშე კოშკურაში შეშვების პრაქტიკა უნდა ჩაითვალოს საქმიანობის სტანდარტების სერიოზულ დარღვევად;
21. უფრო ხანგრძლივ პერსპექტივაში, სად-მა უნდა განიხილოს ლეტალური და არალეტალური იარაღის ცენტრალურ კოშკურაში (დაცული პერიმეტრის შიგნით) შენახვის პრაქტიკული და ტაქტიკური უპირატესობები;
22. კოშკურის საგუშაგო პოსტებზე მომუშავე პერსონალისთვის სად-მა უნდა მოითხოვოს სპეციფიური ტრენინგი;
23. ცვლის უფროსის პირდაპირი დასტურის გარეშე, მხოლოდ კოშკურის თანამშრომლებს, დამხმარე თანამშრომლებსა და ცვლის ხელმძღვანელებს უნდა გააჩნდეთ კოშკურის ტერიტორიაზე დაშვება;
24. სად-მა უნდა გადახედოს კოშკურის დიზაინს და შეიტანოს აუცილებელი ცვლილებები მეორე დონიდან მისი ფუნქციონირების სრულად უზრუნველყოფისთვის;
25. სად-მა უნდა გადასინჯოს, შესაბამისად შეცვალოს და მკაცრად აღასრულოს კოშკურის რეგულაციები, რა დროსაც აქცენტი გაკეთდება უსაფრთხოებაზე;
26. კოშკურაზე ყოველთვის უნდა იმყოფებოდეს ორი კვალიფიციური ოფიცერი, რომლებიც შეიარაღებულნი იქნებიან. კოშკურაში დაშვების პროცედურის განხორციელებისას, ერთი მათგანი უნდა დარჩეს მეთვალყურეობის პოსტზე, როდესაც მეორე ახორციელებს იდენტიფიცირებას;
27. კოშკურა და იარაღი უნდა ინახებოდეს მუდმივ მზადყოფნაში, მაშინ როდესაც კოშკურაზე იმყოფებიან თანამშრომლები. სავარაუდოდ იარაღის ხელმისაწვდომობის და მზადყოფნის კუთხით, საუკეთესო გადაწყვეტილება არის იარაღის დახლის/ სტენდის არსებობა.

**ე. თავდაცვითი ტაქტიკა, ტექნიკა და პროცედურები**
**დასკვნა**: სასჯელაღსრულების ოფიცრებმა ვერ მოახერხეს საკუთარი თავის ან სხვათა დაცვა, ინდივიდუალური ან მცირე განყოფილებების თავდაცვითი ტაქტიკის გამოყენების საშუალებით. ეს წარმოადგენდა პატიმრების მხრიდან ოფიცერთა დამორჩილების, დაკავებისაგან თავის არიდებისა და კოშკურის დაკავების უმთავრეს ფაქტორს.

**დასკვნა**: წიწაკის გაზის გამოყენება არაეფექტიანი აღმოჩნდა. კვლევებმა აჩვენა, რომ შეუძლებელია წიწაკის გაზის გამოყენება შეიარაღებული პირის თავდასხმის მოსაგერიებლად,

როდესაც თავდასხმელი მსხვერპლისგან 21 ვერსზე ახლოს იმყოფება. ამასთან წიწაკის გაზის ბოთლი დანის წინააღმდეგ არაეფექტური იარაღია, რადგან შეუძლებელია სასურველი შედეგის მიღწევის დისტანციაზე თავდასხმელთან მიახლოება.

**დასკვნა**: 051 ბრძანება არ შეესაბამება დეპარტამენტის 804 ბრძანებას პატიმართა ქცევის კონტროლის შესახებ. 6 პუნქტი განმარტავს შემთხვევებს, როდესაც ოფიცერს შეუძლია ლეტალური ძალის გამოყენება. 1.2.6 არის ერთადერთი პუნქტი, რომელიც განმარტავს სერიოზულ სხეულის დაზიანებას; ყველა სხვა პუნქტი ლეტალური ძალის გამოყენებას უკავშირებს რწმენას, რომ პატიმარი აპირებს ლეტალური ძალის გამოყენებას ან გაქცევას. სამწუხაროდ, „სერიოზული სხეულის დაზიანება" არ არის ნახსენები PO 051-ში. 051.06.8.1 ნორმაში მითითებულია, "სასიკვდილო ძალის გამოყენება გამართლებულია, როდესაც აუცილებელია სხვა პირთა სიცოცხლის დაცვა და გაქცევის პრევენციისას", „უკიდურესი ზომის" სახით.

**რეკომენდაციები**

28. PO 051.06.8.1-ს შეცვლა, რათა მოიცვას დეპარტამენტის 804.07.1.2.6. ბრძანების ნორმები, მოხდეს ბრძანების განმარტება, ტრენინგების გავლა და შესაბამისი სავარჯიშოების გაკეთება;
29. სხვა, ლეტალურ იარაღებზე უფრო მეტად ეფექტიანი იარაღების შემოღების საკითხის განხილვა სასჯელაღსრულების სისტემის ყოველდღიურ საქმიანობაში. ეს განხილვა გულისხმობს ასეთი სისტემების ინტეგრირებას სტანდარტულ ოპერაციებში და არა მათ ლიმიტირებას მხოლოდ სპეციალური სიტუაციებით;
30. ყველა თანამშრომელს, რომელსაც შეხება აქვს პატიმართან გავლილი უნდა ჰქონდეს ტრენინგი თავდაცვის ტაქტიკაში. აღნიშნული გადამზადება უნდა ჩაიდოს პერიოდულად მიმდინარე ტრენინგ პროგრამებში;
31. ოფიცრებმა უნდა გაიარონ ტრენინგი ხელჩართული ბრძოლების გამართვაში, იარაღით ან მცირე ჯგუფების თავდაცვით ტაქტიკებში. განხილული იქნას მინიმალური მოთხოვნები და სერთიფიცირებული პროგრამები პროფესიულ დონეზე გადამზადების გავლისთვის, რომლებიც გათვალისწინებული იქნება პერსონალის დანიშვნის გადაწყვეტილებების მიღებისას და მოქმედების დაგეგმვისას.

**გ. კომუნიკაციები**

**დასკვნა**: პატიმრებს აქვთ ფარულად დახმარების თხოვნის მხოლოდ მცირედი შესაძლებლობა. მძევლად აყვანის შემდეგ, ოფიცრები მარტინი და დოუ აიძულეს ეპასუხათ თანამშრომლებისთვის კომუნიკაციის საშუალებების გამოყენებით. მათი იძულებითი პასუხები მოიცავდა ინფორმაციას, რომ ისინი უსაფრთხოდ იყვნენ.

**რეკომენდაციები**

32. სად-მა უნდა გადახედოს არსებულ კომუნიკაციის სისტემას, მისი გაუმჯობესების მიზნით. გაუმჯობესების მიზანს უნდა წარმოადგენდეს მკვდარი ზონების შემცირება, დაშიფვრების გამოყენება;
33. სად-მა უნდა გადახედოს განყოფილებების აუდიო და ვიზუალური მეთვალყურეობის შესაძლებლობებს და განიხილოს გასაღებების (კარების) ტერიტორიის მოდიფიცირება სენსორებისა და კამერების რეგულარული მონიტორინგის საშუალებით;
34. განგაშის მარტივი სიგნალის არსებობა. მტკიცებულებები აჩვენებს, რომ პატიმრებმა მოაგროვეს ინფორმაცია კომუნიკაციის პროცედურებისა და რადიო კოდების შესახებ. აქედან გამომდინარე, განგაშის სიგნალი უნდა ყოფილიყო ბუნებრივი, რუტინული პასუხის ნაწილი;
35. სად-მა უნდა განიხილოს პერსონალის მონიტორინგის სისტემაში შესაძლო ინვესტირების საკითხი, პერსონალური განგაშის სისტემის განვითარების კუთხით.

**ზ. ინდივიდუალური და ჯგუფური რეაგირება**

დასკვნა: ოფიცრებს არ ჰქონდათ საკმარისი ინფორმაცია სიტუაციის შესახებ. ინციდენტის შესახებ ინფორმაციის არასაკმარისობამ გავლენა მოახდინა არა მხოლოდ დაწესებულების უსაფრთხოებაზე, არამედ საფრთხე შეუქმნა ოფიცრებსა და დაწესებულების თანამშრომლებს.

**დასკვნა**: სასადილოს ტერიტორიაზე მყოფ შეიარაღებული პატიმრის მიმართ განხორციელდა არაეფექტიანი პასუხი. როდესაც კოი გამოვიდა სამზარეულოდან, სასადილოს ტერიტორიაზე

იყო სამი ოფიცერი. ოფიცრებს არ ჰქონდათ შესაბამისი აღჭურვილობა და გადამზადება, რათა გუნდურად, ეფექტიანად ემოქმედათ შეიარაღებული პატიმრის წინააღმდეგ.

**დასკვნა**: ბევრმა ოფიცერმა ვერ შეძლო IMS ზარებისთვის შესაბამისი პასუხის გაცემა. არ არსებობდა პრაქტიკა, კოდები, რომლებიც მოახდენდა სიმულაციისა და რეალური სიტუაციის განსხვავების შესაძლებლობას.

**დასკვნა**: მორეის ბევრი თანამშრომელი წელიწადზე ნაკლები ვადით მუშაობდა ინციდენტის წარმოქმნამდე.

**რეკომენდაციები**

36. ტრენინგები (სიმულაციები) არ უნდა ჩატარდეს სამუშაო საათებში. თუ ზედამხედველს სურს შეამოწმოს თანამშრომლები ხანძრის უსაფრთხოების ან პატიმართა იზოლაციის საკითხებზე, რეკომენდირებულია განყოფილებების მიხედვით გადამზადება. ტრენინგები, რომლის მიზანს წარმოადგენს ტაქტიკური რეაგირების, პატიმრის დაკავების, ლეტალური და არალეტალური ძალის გამოყენების, სამედიცინო რეაგირების შეფასება და შემოწმება, არასოდეს უნდა ჩატარდეს ისე, რომ ხელყოს დაწესებულების უსაფრთხოება ან დანახული იქნას პატიმრების მიერ. ტრენინგი უნდა იყოს მაქსიმალურად რეალისტური, თუმცა თანამშრომლებმა ზუსტად უნდა იცოდნენ ეს რეალური ინციდენტია თუ სიმულაცია;

37. სად-ის სერჟანტები განხილულ უნდა იქნან როგორც სააგენტოს ფოკუს ჯგუფი და უნდა მიეცეთ საკითხებზე დაუყოვნებლივ რეაგირების შესაძლებლობა. პირველი ხაზის ზედამხედველი არის განყოფილების თვალი და ყური და შეუძლია განსაზღვროს ტრეინინგის საჭიროებები და საქმიანობაში არსებული პრობლემები. სერჟანტი შესამჩნევი უნდა იყოს, როდესაც ის გადაადგილდება განყოფილებაში და ახორციელებს სხვადასხვა პოსტის შემთხვევით ინსპექტირებას. ეს ხელს შეუწყობს არაუფლებამოსილ პირთა ვიზიტების აღმოფხვრას კოშკურაზე და პოსტის დატოვების შემთხვევებს. ეს ასევე ხელს შეუწყობს თანამშრომელთა გაფრთხილებას საკვების დაწესებულებაში შეტანის შესახებ, კარის ღია დატოვებისა და შემოწმების არაეფექტურად ჩატარების თაობაზე;

38. გამოკვლეული უნდა იქნას სამუშაო ადგილებზე ტრენინგის შესაძლებლობები, როგორიცაა ყოველდღიურად ტრენინგის საკითხების წარმოდგენა და დისკუსია, ზედამხედველის მიერ ინსპექციის ჩატარება. ტრენინგის ნაწილს შეიძლება წარმოადგენდეს ინციდენტის სცენარი, რომლის წაკითხვაც ხდება და ოფიცრებს ევალებათ პასუხების განხილვა მათ უშუალო ხელმძღვანელებთან ერთად.

**თ. სხვადასხვა სააგენტოს მიერ ტაქტიკის, ინფორმაციის შეგროვებისა და მოლაპარაკებების წარმოების ერთობლივად განსაზღვრა.**

დასკვნა: შტატისა და ადგილობრივი სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები რეგულარულად არ ვარჯიშობენ მოლაპარაკებების წარმოებაში. როდესაც ამგვარი წვრთნა მიმდინარეობს, სად-ი მასში ჩართული არ არის, ეს სავარჯიშოები არ ეხება ციხის ინციდენტებს.

**დასკვნა**: სად-ი და შტატისა და სხვა ადგილობრივი სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლები არ ფლობენ საკმარის ინფორმაციას შტატის სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ინფორმაციის შეგროვების ტექნოლოგიებისა და ტაქტიკური მანევრების შესახებ.

**რეკომენდაციები**

39. სასჯელაღსრულების, ასევე შტატისა და ადგილობრივი სამართალდამცავი ორგანოები გამუდმებით უნდა ახორციელებდნენ პრაქტიკულ მეცადინეობას ტაქტიკურ მანევრირებაში. ზოგიერთი სცენარი უნდა ეხებოდეს ციხის ინციდენტებს;

40. სასჯელაღსრულების, შტატისა და ადგილობრივი სამართალდამცავი სტრუქტურების წარმომადგენლები უნდა გადიოდნენ მეცადინეობებს მოლაპარაკებების წარმოებაში;

41. სასჯელაღსრულების დეპარტამენტმა, ფედერალური, შტატისა და ადგილობრივი უწყებების დახმარებით უნდა შეაფასოს მათი ფუნქციონირება, რათა წინასწარ მოხდეს ხელის შემშლელი ფაქტორების იდენტიფიცირება, ინფორმაციის მოგროვებისა და ტაქტიკური მანევრების ხარისხის შეფასება.

**ი. მძევლად აყვანის სიტუაციის განმუხტვა**
დასკვნა: სად-ის დამოკიდებულება გულისხმობს, რომ მძევლად ამყვანებთან არ უნდა გაიმართოს მოლაპარაკებები. მიუხედავად ამგვარი პოლიტიკისა, მორეის ინციდენტის შემთხვევაში მოლაპარაკებები მიმდინარეობდა 15 დღის განმავლობაში.

**დასკვნა:** ტაქტიკურ პასუხთან დაკავშირებით, საბჭომ თანამშრომლებისგან მიიღო ჩვენებები (რომლებიც არ იყვნენ ჩართულნი ტაქტიკური ჯგუფის საქმიანობაში), რომ მათ ჰქონდათ ინფორმაცია ინციდენტის დროს ორი პატიმრის მიმართ ლეტალური იარაღის გამოყენების შესაძლებლობის შესახებ, თუმცა ისინი უარყოფილი იქნა ზედამხედველთა საწინააღმდეგო შინაარსის ინსტრუქციებით. ეს ჩვენებები მოგვიანებით უარყოფილი იქნა ტაქტიკური ჯგუფის უამრავი წევრის მიერ, მათ შორის ტაქტიკური ოპერაციის ორივე მეთაურის, ნორმ ბეისლისა და მარიკოპას საგრაფოს შერიფის მთავარი ასისტენტის ჯეს ლოკსას მიერ. ბეისლიმ კატეგორიულად განუცხადა საბჭოს, “აღნიშნული სიტუაციის მიმდინარეობისას არასოდეს შექმნილა სიტუაციის სნაიპერის ცეცხლით განმუხტვის შესაძლებლობა“.

**რეკომენდაციები**
42. სად-მა უნდა გადახედოს იმ კომუნიკაციას, რაც განხორციელდა მომლაპარაკებლებსა და ტაქტიკურ ჯგუფს შორის, კოშკურის დაბლა ღობის გაჭრასთან დაკავშირებით;
43. სიტუაციის უნიკალურობამ და კოშკურის მიუწვდომლობამ, მისაღები ტაქტიკური გადაწყვეტის არარსებობამ, მოლაპარაკებები აქცია პრაქტიკულ აუცილებლობად. იმისათვის, რომ შეესაბამებოდეს სხვა სამართალდამცავი დაწესებულებების პრაქტიკას, სად-მა უარი უნდა თქვას მოლაპარაკებების უარყოფის პრაქტიკაზე;
44. ძალის გამოყენების წესები შესაბამისი იყო და გამოყენებული უნდა იქნას მომავალში, როდესაც მათი გამოყენების აუცილებლობა იქნება. მორეის ინციდენტის დროს, სიტუაცია არ იძლეოდა ამ ნორმების გამოყენების შესაძლებლობას.

**კ. ადმინისტრირების, პოლიტიკისა და ბიუჯეტის საკითხები**

***პატიმრების კლასიფიკაცია***
დასკვნა: სად-ის კლასიფიკაციის სისტემა რთული და არასანდოა, მისი შეფასება არ მომხდარა 1980 წლიდან. სხვა სასჯელაღსრულების სისტემებმა შეიმუშავეს უფრო ეფექტიანი სისტემები.

**რეკომენდაცია**
45. სად-მა უნდა გადახედოს პატიმართა კლასიფიკაციის არსებულ სისტემას და მიიღოს ზომები მის შესაცვლელად;
46. საზოგადოებრივი და ინსტიტუციური ქულები უფრო მჭიდრო ურთიერთკავშირით უნდა განიხილებოდეს და პატიმრებთან მომუშავე თანამშრომლებს მნიშვნელოვანი წვლილი უნდა ჰქონდეთ პატიმრის ქულების განსაზღვრაში;
47. ნაკლებად უნდა იყოს შესაძლებელი კლასიფიკაციის ქულების უარყოფა;
48. უნდა შეიქმნას სისტემა, რომელიც უკეთ უზრუნველყოფს, რომ საშიშმა პატიმრებმა არ იმუშაონ სენსიტიურ ტერიტორიაზე.

***პატიმართა შეფასება, პროგრამები, რესოციალიზაცია***
დასკვნა: კარგი უსაფრთხოების სისტემა საჭიროებს არა მხოლოდ კარგ თანამშრომლებს, არამედ გუნდურ მიდგომას.

**რეკომენდაცია**
49. სად-მა უნდა შეიმუშაოს მეთოდი, რომლითაც მოახდენს დაწესებულებაში შესვლისას პატიმრის კრიმინოგენური და პროგრამული საჭიროებების შეფასებას. მან უნდა უზრუნველყოს შესაბამისი პროგრამების ხელმისაწვდომობა ისეთ სფეროებში როგორიცაა ფსიქიკური ჯანმრთელობის უზრუნველყოფა, განათლება და ნარკოდამოკიდებულების მკურნალობა. აგრეთვე უნდა არსებობდეს პროგრამები, რომლებიც დაეხმარება პატიმრებს გათავისუფლების შემდგომ რესოციალიზაციაში.

*<u>ტრეინინგი</u>*
დასკვნა: სად-იდან მიღებული მტკიცებულებები მოწმობს, რომ როგორც სამოქალაქო, ასევე სამხედრო შტატის წარმომადგენლებს აკლიათ ან საერთოდ არ აქვთ გავლილი გადამზადება რიგ, მათ შორის უმნიშვნელოვანეს საკითხებთან დაკავშირებით.

**რეკომენდაცია**
50. თავიანთი პასუხისმგებლობის განხორციელების, საკუთარი პირადი უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის, ოფიცრებს, ზედამხედველებსა და სამოქალაქო შტატის თანამშრომლებს სხვა საკითხებთან ერთად, გავლილი უნდა ჰქონდეთ ხანგრძლივი გადამზადება შემდეგ საკითხებში: თავდაცვა, იარაღის გამოყენება, უკანონო ნივთების ძებნა, მძევლად აყვანის საკითხები, სპეციფიური ტრენინგები, ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება, სტრუქტურირებული ტრენინგი სამუშაო ადგილას და მენტორობის გამოყენება;
51. სასჯელაღსრულების თანამშრომელთა ტრენინგ აკადემიაში, კადეტებმა უნდა გაიარონ ერთკვირიანი დამატებითი ტრენინგი თავის დაცვის, მძევლად აყვანის და იარაღის გამოყენების საკითხებში;
52. აკადემიაში მიღების ან დამთავრების დროს არ უნდა იყოს გაწეული კომპრომისები, ვაკანსიების რაოდენობის ან სხვა დროებითი სიტუაციების გამო;
53. ახლად კურსდამთვრებულებმა მუშაობა უნდა დაიწყონ CO I წოდებით, შემდეგ ისინი შესაძლოა დაწინაურდნენ. გამოსაცდელი ვადისა და სამუშაო ადგილას ტრენინგის შემდეგ ისინი შესაძლოა დაწინაურდნენ CO II დონემდე;
54. სად-მა უნდა შეიმუშაოს ყოვლისმომცველი და სისტემური პროგრამა, რათა უსაფრთხოების ძირითადი ელემენტები დაცული იყოს. ეს პროგრამა შესაძლებლობას უნდა აძლევდეს ყველა დაწესებულებას შეაფასოს უსაფრთხოების სიტუაცია: დაგეგმარებასთან, პერსონალთან, ჩვევებთან, ტრადიციებთან, ტრენინგებთან და სხვა საკითხებთან მიმართებაში. პროგრამა უნდა გულისხმობდეს თანამშრომელთა გამოკითხვას, როგორ აკეთებენ ისინი პრაქტიკულად თავიანთ საქმეს და როგორ უნდა აკეთებდნენ.
55. სამოქალაქო შტატზე მყოფი თანამშრომლები უნდა გადამზადდნენ, რომ უკეთ გაიგონ ციხის გარემო და უსაფრთხოდ განახორციელონ თავიანთი საქმიანობა.

**ლ.გამოცდილება და თანამშრომლები**
**დასკვნა**: გამოუცდელი თანამშრომლების ერთად დაყენებით მაღალი რისკის გარემოში, მათთვის უფრო ძნელია საკუთარი მოვალეობების შესრულება, ვიდრე მათი უფრო გამოცდილ თანამშრომლებთან დაჯგუფების შემთხვევაში.

დასკვნა: სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არის თანამშრომელთა ნაკლებობა. პატიმრების რაოდენობის ზრდის პარალელურად არსებული ვაკანსიები შეუვსებელი რჩება. ლუის ციხის კომპლექსში, რომლის ნაწილსაც წარმოადგენს მორეი, 1029 ოფიცრის პოზიციიდან დაახლოებით 200 (19%) ვაკანტურია, რაც ზოგიერთ დღეებში იძულებულს ხდის მენეჯმენტს მინიმალურად დაფაროს ციხე.

**რეკომენდაციები**
56. სად-მა უნდა შეიმუშაოს გამოცდილი და გამოუცდელი თანამშრომლების შერევის პრაქტიკა, მენტორ-სტუდენტის სისტემის გამოყენებით, რასაც მივყავართ ხანგრძლივ, წარმატებულ საქმიანობამდე. მენტორობა უნდა იქნას ფორმალიზებული, როგორც პროგრამა, რომელიც გულისხმობს ფორმალურ წვრთნას და მენტორებად გამოყენებული გამოცდილი ოფიცრების წახალისებას;
57. საჭიროა დამატებითი თანამშრომლების აყვანა, რათა არ მოხდეს თანამშრომლების გადაღლა და გადაწვა, ასევე თანამშრომლებმა უნდა მიიღონ საჭირო მომზადება სამუშაო ადგილზე.

*<u>ანაზღაურება, თანამშრომელთა აყვანა და შენარჩუნება</u>*
**დასკვნა**: სად-ის თანამშრომლების ანაზღაურება დაბალია, როგორც ზოგადად, ასევე სხვა უწყებებთან შედარებით. ეს იწვევს პრობლემებს ოჯახში, დაბალ მორალურ ღირებულებებსა და ადვილად გამოფიტვას. ერთ-ერთი სერჟანტის განცხადებით, 10 წლიანი გამოცდილების შემდეგ ის მიიღებდა საკვებ ტალონებს და სხვა სარგებელს, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი ხელფასი იქნებოდა $933-ზე ნაკლები. მას დაწინაურებასთან ერთად ხელფასი შეუმცირდა.

**დასკვნა**: ნევადის შტატის სასჯელაღსრულების დეპარტამენტმა ოფიცრებს შესთავაზა მაღალი ანაზღაურება. მას შემდეგ, რაც აკადემიის სტუდენტებმა მიიღეს განათლება არიზონას შტატის გადასახადების გადამხდელების ხარჯზე, კურსდამთავრებულთა ნახევარზე მეტი წავიდა ნევადას შტატში სამუშაოდ.

**დასკვნა**: არსებობს ანაზღაურების უთანასწორობა ახლად აყვანილ და ძველ თანამშრომლებს შორის. ცალკეული წოდებების გაუქმებამ გამოიწვია, რომ პირი, რომელიც ამთავრებს აკადემიას, მუშაობას იწყებს CO II დონით და შესაძლოა ისეთივე ხელფასი ჰქონდეს როგორც იმავე დონეზე მყოფ ვეტერან ოფიცერს.

**დასკვნა**: სტანდარტები შემცირდა. სერჟანტის საკვალიფიკაციო მოთხოვნები გამარტივდა, რათა მომხდარიყო ვაკანსიების შევსება.

**რეკომენდაცია**

58. სად-მა უნდა გააკეთოს არსებული ანაზღაურების სისტემის ძირეული ანალიზი, მათ შორის ფედერალურ, მუნიციპალურ სასჯელაღსრულების უწყებებთან მიმართებით არიზონასა და ახლო მდებარე სხვა შტატებში;
59. სად-მა უნდა განიხილოს დამსახურების დანამატებისა და დასაქმების ხანგრძლივობის მიხედვით კომპენსაციების საკითხი;
60. უნდა აღდგეს CO I პოზიცია, გადაისინჯოს სერჟანტების კვალიფიკაცია, გადაიხედოს დაწინაურების სისტემა, რომ ეს იყოს დამოკიდებული საქმიანობის ხარისხზე და დამსახურებაზე და არა ნაცნობობაზე;
61. ანაზღაურება უნდა შეესაბამებოდეს გამოცდილებასა და დამსახურებას, დაწინაურებისას უნდა ხდებოდეს ხელფასის გაზრდა;
62. სად-მა საზოგადოებას უნდა გააცნოს სასჯელაღსრულების სისტემაში მუშაობასთან დაკავშირებული სირთულეები და საფრთხეები;
63. სამსახურეობრივი მოვალეობების შესრულების დროს მოკლული თანამშრომლების ოჯახები უნდა იღებდნენ შესაბამის შეღავათებს.

***<u>პროფესიონალიზმი</u>***

დასკვნა: მძევლად აყვანის სიტუაციასთან ერთად, მორეის განყოფილებაში არსებობდა პროფესიონალიზმის ნაკლებობის პრობლემა. მართალია თანამშრომელთა უმრავლესობა ინციდენტის დროს სწორად მოიქცა, თუმცა წინა თვეებსა და წლებში ადგილი ჰქონდა ბევრ ადმინისტრაციულ შეცდომას. საბჭოს მიერ წარმოებული გამოძიების პროცესში ცხადი გახდა, რომ ზედამხედველობისა და საქმიანობის განხორციელების დროს არსებულმა მრავალმა დარღვევამ ხელი შეუწყო მძევლად აყვანის სიტუაციის წარმოქმნას.

**რეკომენდაციები**

64. სად ხელმძღვანელმა უნდა გამოიყენოს არსებული ინფორმაცია იმის გადასაწყვეტად გამოიყენოს თუ არა და დადებით შემთხვევაში რა დისციპლინური ზომა გამოიყენოს ინციდენტში მონაწილე თანამშრომლების მიმართ, ასევე განახორციელოს თუ არა თანამშრომელთა შეცვლა;
65. უნდა მოხდეს მთელი სისტემის შესწავლა, რათა გაირკვეს არის თუ არა არსებული პრობლემები სისტემური ხასიათის მატარებელი და განისაზღვროს პრობლემის გადაჭრის გზები.

***<u>საქმიანობის ანალიზი</u>***

დასკვნა: 2000 წელს სად-მა შეწყვიტა ციხეებში საქმიანობის აუდიტის ჩატარების პრაქტიკა.

**რეკომენდაცია**

66. პენიტენციურ დაწესებულების ეფექტიანი მართვის უზრუნველსაყოფად საჭიროა საქმიანობის აუდიტის პრაქტიკის აღდგენა.

**კომუნიკაცია თანამშრომლებსა და პატიმრებს შორის**

დასკვნა: პატიმრებსა და თაამშრომლებს შორის კარგი კომუნიკაცია აუცილებელია ციხის ნორმალური ფუნქციონირებისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის.

**რეკომენდაცია**
67. სად-მა უნდა გადადგას ნაბიჯი იმ არსებული პოლიტიკის, პრაქტიკის გადასინჯვისკენ, რომელიც უპირატესობას ანიჭებს პატიმართა არაპირდაპირ (პირდაპირის საპირისპიროდ) ზედამხედველობას და აფერხებს თანამშრომლებსა და პატიმრებს შორის კარგ კომუნიკაციას;
68. სად-მა უნდა განიხილოს ციხის მართვის ისეთი სისტემის პილოტირება, როგორიცაა „განყოფილებათა მენეჯმენტი“, რაც არქიტექტურულად და პრაქტიკულად პასუხობს ამგვარ კონცეფციას.

***სასჯელის განსაზღვრა***
დასკვნა: სად-ის სისტემაში არსებობს გადატვირთულობის პრობლემა. ბოლო წელი იყო რეკორდული ამ მიმართულებით და ლუის დაწესებულებაში განთავსებული იყო პატიმართა უფრო მეტი რაოდენობა, ვიდრე დაწესებულება იყო გათვლილი.

**რეკომენდაცია**
69. არიზონას შტატმა უნდა გადახედოს თავისუფლების აღკვეთის შესახებ არსებულ ნორმებს.

## დასკვნა

მორეის განყოფილებაში მომხდარი მძევლად აყვანის შემთხვევა იყო ტრაგიკული მოვლენა, რასაც მოყვა თანამშრომლებისთვის მნიშვნელოვანი ფიზიკური და ემოციური ზიანის მიყენება. არიზონასა და სხვა ადგილებში კრიზისული სიტუაციების მსგავსად, აღნიშნულმა მოვლენამ წარმოაჩინა ის გამოწვევები და საფრთხეები, რაც ყოველდღე დგას სასჯელაღსრულების თანამშრომელთა წინაშე.

ორმა პატიმარმა გამოიყენა პატარა, მაგრამ კრიტიკული შეცდომების სერია, რასაც მოგვიანებით დაემატა გადამეტებული ინსტიტუციური თავდაჯერებულობა და სიტუაციის შეფასების კოლექტიური შეუძლებლობა. კოშკურაში შექმნილ საფრთხეს (რომელიც უნდა იყოს დაცული და შეუღწევადი ტერიტორია) სასჯელაღსრულების ოფიცრებმა უპასუხეს სწრაფად და ეფექტიანად, შექმნეს პირობები მძევლების წარმატებით გათავისუფლებისა და პატიმართა ცოცხლად დაკავებისთვის.

აღნიშნული ინციდენტი ადასტურებს სასჯელაღსრულების ოპერაციებზე რესურსების ადეკვატური და სწორი განაწილების აუცილებლობას. ასეთივე მნიშვნელობის მქონეა შესაბამისი ხარისხის მიღწევა. ეს შესაძლებელია მხოლოდ იმ ადამიანებში ინვესტირებით, რომლებიც საკუთარ საქმიანობას სასჯელის აღსრულების მისიას უძღვნიან. ისინი კარგად უნდა იქნენ გადამზადებულნი და მართულნი; უნდა იყვნენ აღიარებულნი და ჰქონდეთ სამართლიანი ანაზღაურება. მართალია იმის გარანტირება, რომ მსგავსი ინციდენტები არ მოხდება შეუძლებელია, მაგრამ საბჭოს აზრით ბევრი რამის გაკეთებაა შესაძლებელი, რათა მსგავსი რისკები შემცირდეს“.[236]

236 ციხეში საგანგებო სიტუაციებისთვის მზადებისა და მათზე რეაგირების სახელმძღვანელო, აშშ-ს იუსტიციის დეპარტამენტი, ეროვნული პენიტენციური ინსტიტუტი, გვ. 293-319.

## კრიზისულ სიტუაციებზე რეაგირების (უსაფრთხოების) ჯგუფები

პენიტენციური სისტემის უსაფრთხოების ჯგუფები კრიტიკულად მნიშვნელოვანია საგანგებო მდგომარეობებზე რეაგირების კუთხით. განვიხილავთ სამი სახის ჯგუფს - ტაქტიკური (მაგ. სპეციალური დანიშნულების რაზმი), მძევლად ხელში აყვანისას მოლაპარაკების წარმოების და პოსტ-კრიზისული ინტერვენციის ჯგუფი.

**წევრობა და შერჩევა**

კრიზისულ სიტუაციებზე რეაგირების (უსაფრთხოების) ჯგუფების კვალიფიკაცია ძალიან მნიშვნელოვანია. სისტემას უნდა ჰქონდეს მკაცრი პოლიტიკა ჯგუფის წევრობის კრიტერიუმების თაობაზე. მიზანი უნდა იყოს საუკეთესოების მოზიდვა - ვისაც უნდა სიცოცხლის გადარჩენა და ვისაც ესმის რამდენს ნიშნავს საგანგებო მდგომარეობის საპასუხო ქმედებების გატარება.

ასეთი ტიპის ჯგუფების წევრობის მსურველს უნდა ჰქონდეთ პენიტენციურ სისტემაში სულ მცირე ერთწლიანი სამუშაო გამოცდილება. ეს მოთხოვნა ეხმარება განმცხადებელს გათვითცნობიერდეს არსებულ გარემოში და გაეცნოს სისტემის მისიას და ხედვას. კანდიდატები უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ მოთხოვნებს:

- ემოციური მზაობა, სტრესულ სიტუაციებში მუშაობის უნარი;
- სრული ორიენტაცია სისტემის პოლიტიკაზე;
- კარგი სამუშაო ისტორია, დისციპლინური პასუხისმგებლობის არარსებობა (განსაკუთრებით, ძალის გადამეტებული გამოყენებისთვის).

უსაფრთხოების ჯგუფის წევრობის კარგი კანდიდატის შერჩევისთვის უნდა ჩატარდეს ფსიქოლოგიური შეფასება.

**ტაქტიკური გუნდები**
**ძლიერი მენეჯმენტის მნიშვნელობა**

საუკეთესო ტაქტიკურ ჯგუფებს ტექნიკურ უნარებთან უნდა ახასიათებდეს პროფესიონალიზმი. ისეთ ტაქტიკურ ჯგუფებსაც კი, რომლებსაც არ აქვთ სათანადო აღჭურვილობა და ტრენინგი, არაერთხელ მოუხერხებიათ სასიცოცხლო მნიშვნელობის სიტუაციასთან გამკლავება სიმამაცისა და თავდადების შედეგად. ტაქტიკურ ჯგუფს სჭირდება ძლიერი, აქტიური მენეჯმენტი ძლიერ ხელმძღვანელობასთან ერთად. ჯგუფის უფროსის როლი არის გადამწყვეტი.

**გუნდური კულტურა**

ნებისმიერი ტაქტიკური გუნდისთვის ფუნდამენტური მნიშვნელობისაა მისიისა და ფილოსოფიის ნათელი გაგება, რაც გაზიარებულია ჯგუფის წევრების და მენეჯერების მიერ.

მენეჯერები უპირატებოსას უნდა ანიჭებდნენ ტაქტიკურ გუნდს, რომელიც ასახავს დაწესებულებების ღირებულებებს და არა, მას რომელიც იქცევა როგორც ორგანიზაცია ორგანიზაციაში.

მენეჯმენტს ბევრი გზა აქვს თავის ტაქტიკურ ჯგუფებში კულტურისა და პროფესიონალიზმის განსაზღვრისათვის. გუნდის მისიის პოზიტიური და პროფესიონალურ განცხადებასთან, ღირებულებებსა და ფილოსოფიასთან ერთად, მენეჯმენტმა ყურადღება უნდა გაამახვილოს ლიდერობაზე, შერჩევასა და ტრენინგზე.

**ლიდერობა**

პენიტენციური სისტემის მენეჯერები ფიქრობენ ხოლმე, რომ ტაქტიკური ჯგუფის ლიდერი უნდა იყოს ყველაზე მკაცრი ოფიცერი სისტემის ფარგლებში. თუმცა, ხშირად სიმკაცრით გამორჩეული ოფიცერი შეიძლება არ იყოს ამ პოზიციისთვის საუკეთესო კანდიდატურა. ერთიანობა, ხასიათი, შეფასება, ინტელექტი არის ტაქტიკური ჯგუფის ლიდერის ბევრად უფრო მნიშვნელოვანი მახასიათებლები ვიდრე ფიზიკური სიძლიერე, იარაღებში გარკვევა და საბრძოლო ხელოვნებაში გაწვრთნა.

ტრენინგი

ტაქტიკური ჯგუფის ტრენინგი საკმაოდ რთულია. ტრენინგმა წევრებს უნდა ჩამოუყალიბოს შესაბამისი

ღირებულებები, მოამზადოს ისინი, სახიფათო სიტუაციებისთვის (ამავდროულად არ გახადოს პარანოიდები) და განუვითაროს მრავალმხრივი უნარები.

ტაქტიკური ჯგუფის ტრენინგი უნდა იყოს პრაქტიკული და განსხვავებული. ფოკუსირება უნდა მოხდეს უნარების განვითარებაზე, დისკრეციული გადაწყვეტილებების მიღებასა და პროფესიონალიზმზე. სავარჯიშოები და სიმულაციები უნდა ასახავდეს სხვადასხვა სახის კრიზისს, საგანგებო მდგომარეობას და სტიქიურ უბედურებას, რის წინაშეც შეიძლება აღმოჩნდეს პენიტენციური დაწესებულება.

ტაქტიკური ჯგუფის წევრებს საკმაოდ ბევრ უნართან მიმართებაში სჭირდებათ მაღალი დონის კომპეტენცია. ფიზიკურ სიძლიერესთან უნდა იცოდნენ როგორ გამოიყენონ სპეციალური საშუალებები. ტაქტიკური ჯგუფის წევრებს, როგორც წესი, სჭირდებათ სამედიცინო პირველადი დახმარების აღმოჩენის ტრენინგი. მათი ტრენინგი ასევე ხშირად მოიცავს მასობრივი დაკავებების ტექნიკასა და არეულობების კონტროლის პროცედურებს. ტაქტიკური ჯგუფის წევრებს ასევე ესაჭიროებათ კრიზისულ სიტუაციაში ტაქტიკისა და სტრატეგიების სიღრმისეული ცოდნა.

**<u>მძევლად აყვანისას მოლაპარაკების მწარმოებელი ჯგუფები</u>**

**გუნდის ზომა და სტრუქტურა**

ტაქტიკური ჯგუფების მსგავსად, მძევლად ხელში აყვანისას მოლაპარაკების ჯგუფების სხვადასხვა სახე არსებობს. ყველაზე მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი ფუნქციები ძირითადად ყოველთვის აკისრია ორ ადამიანს: აქტიური მომლაპარაკებელი (ან „მომლაპარაკებელი ერთი") და კოორდინატორი (რომელსაც ასევე უწოდებენ: „პასიურ მომლაპარაკებელი" ან „მომლაპარაკებელი ორი"). ჯგუფს ასევე შეიძლება ჰყავდეს „დაზვერვის ოფიცერი", „კომუნიკაციების ოფიცერი", „ჩამწერი" და სხვა პოზიციები. ცხადი უნდა იყოს, რომ ეს სხვა პოზიციები არსებობს იმ ორი წევრის დახმარების მიზნით, რომლებიც რეალურად აწარმოებენ მოლაპარაკებებს. ჯგუფის ყველა წევრი უნდა იყოს გადამზადებული ისე, რომ პირველი ორი, რომელიც მივა შემთხვევის ადგილზე და მიიღებს ინფორმაციას, დაუყონებლივ შეუდგეს მოლაპარაკებების წარმოებას, ჯგუფის დანარჩენი წევრების მოსვლამდე.

**ანგარიშგება**

მოლაპარაკებებისას ანგარიშგება გადამწყვეტი მნიშნელობისაა. ჯგუფი ანგარიშგებას უნდა ახდენდეს პირდაპირ სიტუაციის მართვაზე პასუხისმგებელ მენეჯერთან. გადაწყვეტილების მიღებისა და ყველა ვარიანტის შეფასებისათვის, სიტუაციის მართვის მენეჯერს ესაჭიროება პირველადი ინფორმაციის მიღება როგორც ტაქტიკური, ისე მოლაპარაკების გუნდის მხრიდან.

დიდი ყურადღება ეთმობა მომლაპარაკებლებსა და მძევლების ამყვანებს შორის განვითარებულ ურთიერთობასაც. თუმცა, მომლაპარაკებლებსა და ხელმძღვანელს შორის ურთიერთობაც მნიშვნელოვანია, რაც ხშირად იგნორირებულია.

**ტრენინგი**

პენიტენციური სისტემა/პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაცია ხშირად იღებს გადაწყვეტილებას, რომ ჰყავდეს მომლაპარაკებელი ჯგუფი, არჩევს ჯგუფის წევრებს და აორგანიზებს მათთვის საბაზისო ტრენინგს, მაგრამ შემდეგ ავიწყდება ამ ჯგუფის არსებობა. თუ მძევლად ხელში აყვანის შემთხვევა დადგება საბაზისო ტრენინგიდან 3 წლის შემდეგ, მოლაპარაკების ჯგუფი თავისი ფუნქციის შესრულებას იმ ტრენინგის შესაბამისად ალბათ ვერც შეძლებს. მოლაპარაკების ჯგუფის წევრებს არ ჭირდებათ იმდენი განმაახლებელი ტრენინგი, რაც ტაქტიკურ ჯგუფს, თუმცა მსგავსი სახის ტრენინგი რეგულარულად მაინც საჭიროა.

სავარჯიშოებისა და ფართომასშტაბიანი სიმულაციების ჩატარება ტაქტიკური და მოლაპარაკების ჯგუფებისათვის ერთობლივად კარგი აზრია. თუმცა, რადგან ამ ჯგუფების საჭიროებები სხვადასხვაა, მათი ტრენინგები ყოველთვის ერთად არ უნდა იყოს.

მომლაპარაკებლებისთვის მნიშვნელოვანია გამოცდილება და რადგან მძევლად ხელში აყვანის ინციდენტები საბედნიეროდ ბევრი არ არის, ეს გამოცდილება ტრენინგების საშუალებით უნდა მიიღონ. მომლაპარაკებლებმა შეიძლება განივითარონ ანგარიშგების, ხელმძღვანელის მიერ დაწესებულ ლიმიტებში კომუნიკაციის და დამოუკიდებლად გადაწყვეტილებების მიღებისთვის თავის არიდების უნარები და პენიტენციურმა დაწესებულებამ შეიძლება მათი გამოცდილებით ისარგებლოს ინციდენტებთან გამკლავებისას. ზოგიერთი მენეჯერი მომლაპარაკებლების ტრენინგს უყურებს

როგორც უბრალოო გამოცდილებას. თუმცა, მომლაპარაკებლებს ხშირად სჭირდებათ სპეციფიური უნარები და მათ ტრენინგებზე უნდა მოხდეს სწორი და არასწორი პრაქტიკის იდენტიფიცირება.

**საკომუნიკაციო აღჭურვილობა**

მოლაპარაკებების წარმოების ჯგუფის მთავარი აღჭურვილობა მძევლებთან სასაუბრო სპეციალური ტელეფონია. ბევრი სახის ტელეფონი არსებობს, მათ შორის, ჩამწერი ფუნქციის, აუდიო-ვიდეო მონიტორინგის ფუნქციის მქონე ტელეფონები.
ასეთი სახის ტელეფონის სისტემის შერჩევისას, პენიტენციურმა სისტემამ/დაწესებულებამ უნდა გადაწყვიტოს რა შესაძლებლობები სჭირდება მას და რა ფინანსური რესურსი აქვს. იდეალურ შემთხვევაში, ტელეფონის სისტემა მარტივია, იწერს საუბარს და შეიძლება მისი როგორც ცალკე, ისე დაწესებულების სატელეფონო სისტემის შიგნით გამოყენება. სხვა შესაძლებლობები, როგორიცაა მოსასმენი და ვიდეო კამერები შეიძლება დამხმარე იყოს, მაგრამ მათი ქონა მოლაპარაკებებისთვის აუცილებელი არა არის.

<u>**პოსტ-კრიზისული ინტერვენციის ჯგუფი**</u>

პოსტ-კრიზისული ინტერვენციის ჯგუფის გამოყენება არ არის ისეთივე ხშირი, როგორც ტაქტიკური და მოლაპარაკების ჯგუფების, თუმცა ისინიც ფართოდ გამოიყენება. ეს ჯგუფი საკმაოდ განსხვავდება სტრუქტურის, მისიის და პროცედურების მიხედვით.

პოსტ-კრიზისული ინტერევენციის ჯგუფის შექმნის საწყისი წერტილია მისი მისიის განსაზღვრა. ეს მოიაზრებს პასუხს შემდეგ კითხვებზე:

- ჩაატარებს თუ არა ჯგუფი პოსტ-ტრამვულ სტრესულ აშლილობაზე თანამშრომლების შესწავლას?
- უმკურნალებს თუ არა ჯგუფი ამ აშლილობას?
- ჩაატარებს თუ არა ჯგუფი ჩართულ თანამშრომლებთან ინტერვიუს?
- მოიზიდავენ თუ არა ჯგუფის წევრები გარე პროფესიულ რესურსს?
- იქნებიან თუ არა პატიმრებთან მომუშავე ფსიქოლოგოები და ფსიქიატრები ჯგუფის მუშაობაში ჩართული?
- შეუძლია თუ არა ჯგუფს ანონიმურობის გარანტირება?
- როდის იკრიბება ჯგუფი - კრიზისის დასაწყისის, მიმდინარეობის თუ დასრულების შემდეგ?

ფართომასშტაბიანი პენიტენციური დაწესებულების კრიზისის ან სხვა პოტენციურად ტრამვული ინციდენტის შემდეგ, თანამშრომელთა ფსიქოლოგიური შემოწმება სავალდებულოა. თუმცა, ფსიქოლოგიური დახმარება ნებაყოფლობითი უნდა იყოს. ეს საჭიროა იმისთვის, რომ დაწესებულებამ განსაზღვროს შეუძლიათ თუ არა თანამშრომლებს თავიანთი ფუნქციების შესრულება და ესაჭიროებათ თუ არა პროფესიული დახმარება. თუმცა, რა თქმა უნდა თანამშრომლების უფლებაა უარი განაცხადონ ფსიქოლოგიური დახმარების მიღებაზე.

როცა სისტემის თანამშრომლებს ესაჭიროებათ სხვა უწყებების თანამშრომლეთა დახმარების პროგრამებში ჩართვა, მნიშვნელოვანია, რომ დაცული იყოს მათი ანონიმურობის საკითხი.
აღნიშნული ჯგუფის გამოყენება საკმაოდ ეფექტურია. ამიტომ, კარგია მისი გამოყენება ტრამვული ინციდენტების დროს ყოველდღიურ საქმიანობაში (მაგ. დაავადებული თანამშრომელი). რა თქმა უნდა, ამ ჯგუფის მნიშვნელობა ძალიან დიდია კრიტიკული ინციდენტის დროს და მის შემდეგ, როგორც თანამშრომლებისთვის, ისე მათი ოჯახის წევრებისათვის.[237]

---

[237] ციხეში საგანგებო მდგომარეობასთან გამკლავების და მომზადების სახელმძღვანელო, აშშ იუსტიციის დეპარტამენტი, სასჯელაღსრულების ეროვნული ინსტიტუტი, გვ. 215-239.

**პატიმრებთან მოპყრობის ძირითადი სტანდარტული წესები, წესი 82:**

1) პატიმრებთან ურთიერთობაში პერსონალს უფლება აქვს მიმართოს ძალისმიერ მეთოდებს მხოლოდ თავდაცვის მიზნით ან გაქცევის მცდელობის შემთხვევებში, აგრეთვე, არსებულ წესებსა და კანონებზე დაფუძნებული ბრძანებების აქტიური ან პასიური წინააღმდეგობის გაწევისას. თანამშრომლების მხრიდან ძალის გამოყენება უნდა მოხდეს მხოლოდ აუცილებლობის ფარგლებში. მათ აუცილებლად უნდა აცნობონ ასეთი ინციდენტების შესახებ დაწესებულების დირექტორს.
2) ციხის თანამშრომლებს გავლილი უნდა ჰქონდეთ სპეციალური ფიზიკური მომზადება, რაც მისცემს მათ აგრესიული ზრახვების მქონე პატიმრების დაშოშმინების საშუალებას.
3) ის თანამშრომლები, რომლებიც თავისი ფუნქციების შესრულებისას პატიმრებთან უშუალო კონტაქტში იმყოფებიან, მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში შეიძლება ატარებდნენ იარაღს. აუცილებელია იმის აღნიშვნაც, რომ საერთოდ, იარაღის ტარების უფლება უნდა ჰქონდეთ მხოლოდ იმ თანამშრომლებს, რომლებსაც გავლილი აქვთ შესაბამისი მომზადება.

**სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა მხრიდან ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების პრინციპები**

**პრინციპი 9**:
სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები არ არიან უფლებამოსილნი გამოიყენონ ცეცხლსასროლი იარაღი, გარდა შემდეგი შემთხვევებისა: თუ არსებობს მათი ან სხვა პირის სიკვდილის ან სხეულის მნიშვნელოვანი დაზიანების მყისიერი საფრთხე, ასევე განსაკუთრებით სერიოზული დანაშაულის თავიდან აცილების მიზნით, რაც საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს, იმისათვის, რომ მოხდეს დამნაშავის დაკავება, მისი გაქცევის თავიდან აცილება და როდესაც სხვა ნაკლებად ექსტრემალური ზომები არ არის საკმარისი აღნიშნული მიზნების მისაღწევად.ნებისმიერ შემთხვევაში განზრახ ლეტალური მიზნით იარაღის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ სიცოცხლის დაცვის მიზნით, როდესაც სიცოცხლისათვის საფრთხის თავიდან აცილება სხვა საშუალებებით აშკარად შეუძლებელია.

**პრინციპი 15:**
სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებმა პატიმრობაში მყოფი პირების მიმართ არ უნდა გამოიყენონ ძალა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს აუცილებელია დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და წესრიგის შესანარჩუნებლად, ან როდესაც საფრთხე ექმნება პერსონალურ უსაფრთხოებას.

**პრინციპი 16:**
სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებმა პატიმრობაში მყოფი პირების მიმართ არ უნდა გამოიყენონ ცეცხლსასროლი იარაღი, გარდა საკუთარი ან სხვათა სიცოცხლის ან ჯანმრთელობის მიმართ მყისიერი საფრთხის არსებობისა,ან როდესაც ეს აუცილებელია გაქცევის პრევენციისთვის ან მე-9 პრინციპში არსებული საფრთხის დროს.

**პრინციპი 17:**
აღნიშნული პრინციპები სრულ შესაბამისობაშია პატიმრებთან მოპყრობის მინიმალურ სტანდარტულ წესებში ასახულ ციხის თანამშრომელთა უფლებებთან, მოვალეობებთან და პასუხისმგებლობებთან, განსაკუთრებით 33,34 და 54 წესებთან.

## სტიქიური უბედურებებისგან გამოწვეული ზიანის შემცირება

ყველა პენიტენციურ დაწესებულებას უნდა გააჩნდეს, ზოგადი ხარისხის შესაფასების სისტემა, იმ მიზნით, რომ სტიქიურ უბედურებებთან გამკლავება მინიმალური ზიანის მიყენებით დასრულდეს. ხარისხის კონტროლის სისტემა შესაძლოა განსხვავებული იყოს დაწესებულების სპეციფიკის, ამ რეგიონისთვის დამახასიათებელი სტიქიური უბედურებების და სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით. სტიქიური უბედურების და მასთან დაკავშირებული ხარისხის კონტროლის საკითხების ცალკე წარმოდგენას რამოდენიმე მიზეზი აქვს:

- ეს ფორმატი ხაზს უსვამს სტიქიური უბედურებებისას დაგეგმვის მნიშვნელობას. ბევრ პენიტენციური დაწესებულებას სერიოზული შრომა აქვს ჩადებული პატიმრების ძალადობასთან (არეულობა, მძევლებთან დაკავშირებული ინციდენტები) გამკლავების მიზნით დაგეგმვასა და მომზადებაში, მაგრამ სერიოზული ყურადღება არ მიუქცევია სტიქიური უბედურებისათვის;
- ხარისხის კონტროლის ცალკე სისტემის არსებობის შემთხვევაში, სტიქიურ უბედურებასთან დაკავშირებული პროცედურები არ დაიკარგება სხვა დრამატულ და დაწესებულებისთვის ტრადიციული მნიშვნელობის მქონე პატიმართა ძალადობასთან დაკავშირებულ პროცედურებში;
- სტიქიურ უბედურებასთნ გამკლავების მზაობის დონე უნდა იყოს ყოვლისმომცველი. ხარისხის კონტროლის ცალკე არსებული სისტემა ამას ცალსახას ხდის და იწვევს ყურადღების კონცენტრაციას ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიცაა შენობის გარეთ ევაკუაცია, რაც ნაკლებად მოხდება პატიმრების ძალადობასთან დაკავშირებული იცნიდენტის დროს.

**ხარისხის კონტროლი სტიქიური უბედურების პრევენციის მიზნით**
**არსებობს ზოგადი საკითხები, რომლის შეფასებაც უნდა მოხდეს ყველა დაწესებულება, იმ მიზნით, რომ შესაძლებელი გახდეს სტიქიური უბედურებებზე სწრაფი და ადეკვატური რეაგირება და ზიანი იყოს მინიმალური:**

1. აქვს თუ არა დაწესებულებას სტიქიურ უბედურებაზე ორიენტირებული დაგეგმვის და საპასუხო ქმედების პროცედურები?
2. განახორციელა თუ არა დაწესებულებამ სტიქიურ უბედურებაზე საპასუხო რეაგირებაზე ტრენინგი?
3. ატარებს თუ არა დაწესებულება ყოველწლიური რისკების შეფასებას სტიქიურ უბედურებებთან დაკავშირებით?
4. რისკების შეფასების საფუძველზე, ამცირებს თუ არა დაწესებულება სტიქიური უბედურების საფრთხეს?
5. იდენტიფიცირებულია თუ არა სტიქიური უბედურებისას თავშესაფრის ზონები, რომლებიც უზრუნველყოფს პატიმრების, თანამშრომლებისა და ვიზიტორების მაქსიმალურ უსაფრთხოებას?
6. აქვს თუ არა დაწესებულებას ერთობლივი მოქმედების გეგმა გარე უწყებებთან (სახანძრო სამსახური, სამაშველო სამსახური და ა.შ.) სტიქიური უბედურებისას კოორდინირებული მოქმედების მიზნით?
7. აქვს თუ არა დაწესებულებას სტიქიური უბედურებისთვის ცალკე საგანგებო მდგომარეობის საპასუხო გეგმა?
8. მოიცავს თუ არა ეს კონკრეტული გეგმას და სტრატეგიას იმ სიტუაციებისთვის, როდესაც ევაკუაცია მოსახერხებელი არაა?
9. იდენტიფიცირებული აქვს თუ არა დაწესებულებას ის მარაგი და აღჭურვილობა, რაც შეიძლება დასჭირდეთ სტიქიური უბედურების დროს (წყალი, კარვები, მოძრავი საპირფარეშო, განათება, ადიალები, სხვ.)?
10. აქვს თუ არა დაწესებულებას ევაკუაციისა და რელოკაციის გეგმა, შერჩეული აქვს თუ არა ალტერნატიული შენობა?
11. აქვს თუ არა დაწესებულებას სტიქიური უბედურებების ადრეული გამაფრთხილებელი სისტემა და ამოწმებს თუ არა მას რეგულარულად?
12. აქვს თუ არა დაწესებულებას ნაკლები თანამშრომლით მუშაობის გეგმა, თუ ეს საჭიროება დადგება სტიქიური უბედურების დროს?
13. აქვს თუ არა დაწესებულებას სტიქიური უბედურების შემთხვევაში საზოგადოებისათვის ინფორმაციის მიწოდების სტრატეგია?
14. აქვს თუ არა დაწესებულებას სტიქიური უბედურების შემთხვევაში ე.წ „უკაცრიელი კუნძულის“ გეგმა (დიდი ხნის განმავლობაში იმუშაობს კონტაქტისა და გარე დახმარების გარეშე)?
    - არის თუ არა დაწესებულება მზად შეინარჩუნოს უსაფრთხოება და ძირითადი მომსახურება, ელექტროენერგიის დაკარგვის შემთხვევაში, 72 საათის განმავლობაში?
    - აქვს თუ არა დაწესებულებას წყლის 3-დღიანი მარაგი ან ალტერნატიული წყლის მიწოდების

წყარო?

- აქვს თუ არა დაწესებულებას საკვები პროდუქტების 3-დღიანი მარაგი, რომელსაც მომზადება არ სჭირდება?
- აქვს თუ არა დაწესებულებას არსებული პატიმრებისთვის მედიკამენტების 3-დღიანი მარაგი?
- არიან თუ არა თანამშრომლები ინფორმირებულნი, რომ უმჯობესია თან ჰქონდეთ მათთვის საჭირო მედიკამენტების 3-დღიანი მარაგი?

15. არიან თუ არა თანამშრომლები გადამზადებულნი სტიქიური უბედურების საპასუხო საბაზისო ქმედებებში?
16. აქვს თუ არა დაწესებულებას რეგიონოს/რაიონის საგანგებო მდგომარეობის მართვის სააგენტოს საგანგებო მდგომარეობების გეგმის მოქმედი ვერსიის ასლები და ინახება თუ არა ისინი დაწესებულების საგანგებო მდგომარეობების გეგმებთან ერთად?

**მოწყვლადობის/რისკების ანალიზი**

1. არის თუ არა დაწესებულების მოწყვლადობის ანალიზი გავრცელებული რაიონის/ქალაქის ან/და რეგიონის საგანგებო მდგომარეობების მართვის ცენტრებში?
2. მოიცავს თუ არა ანალიზი დაწესებულებაზე ზემოქმედების მოხდენის შესაძლო გარემოებებს?
3. მოიცავს თუ არა ანალიზი ყველა სტიქიურ უბედურებას, რომლის წინაშეც შეიძლება აღმოჩნდეს დაწესებულება და რისკების დონეებს კონკრეტულ უბედურებასთან დაკავშირებით?
4. მოიცავს თუ არა ანალიზი სტიქიური უბედურებების ისტორიულ მიმოხილვას?
5. განიხილეს თუ არა სტიქიური უბედურებების ანალიზი და მათზე დაწესებულების საგანგებო მდგომარეობის საპასუხო გეგმა რაიონის/ქალაქის ან/და რეგიონის საგანგებო მდგომარეობების მართვის სამსახურება?
6. განიხილეს თუ არა სტიქიური უბედურებების ანალიზი და მათზე დაწესებულების საგანგებო მდგომარეობის საპასუხო გეგმა საგანგებო მდგომარეობების სხვა გარე სააგენტოებმა?

**დაწესებულების გარეთ ევაკუაციის გეგმა**

1. მოიცავს თუ არა დაწესებულების ევაკუაციის გეგმა ევაკუაციის შემდეგ დაწესებულების უსაფრთხოების შენარჩუნების პროცედურებს?
2. მოიცავს თუ არა დაწესებულების ევაკუაციის გეგმა დაწესებულების შენობაში შესვლის პროცედურებს სტიქიური უბედურების გასვლის შემდეგ?
3. დადებით შემთხვევაში, მოიცავს თუ არა პროცედურები შემდეგს:

- უსაფრთხოების სისტემების ტესტირება?
- საციცოხლო ქსელების და ხაზების შემოწმება (ტელეფონი, ელექტროენერგია, წყალი, ა.შ.)?
- პენიტენციური დაწესებულების პოპულაციის შენობაში შესვლის გარდამავალი ფაზა?
- დაწესებულების სამედიცინო და საკვები შესაძლებლობების შეფასება?

4. მოიცავს თუ არა დაწესებულების შენობის გარეთ ევაკუაციის გეგმა რეგულაციებს, უსაფრთხოების თვალსაზრისით, მაღალი/განსაკურებული რისკის პატიმრების შესახებ ჩანაწერების თან წაღების თაობაზე?
5. აქვს თუ არა დაწესებულებას შენობის გარეთ ევაკუაციის სხვადასხვა გეგმა სხვადასხვა სტიქიური უბედურებების მიხედვით (მაგ. განსხვავეული გეგმა წყალდიდობისა და ხანძრისთვის)?

**აღდგენითი სამუშაოები**

1. აქვს თუ არა დაწესებულებას სტიქიური უბედურების შემდეგ ზიანის შეფასების პროცედურა?
2. აქვს თუ არა დაწესებულებას სტიქიური უბედურების შემდეგ ძებნისა და გადარჩენის წარმოების გეგმა?
3. აქვს თუ არა დაწესებულებას სტიქიური უბედურების შემდეგ მასობრივ მსხვერპლთან და დანაკარგებთან დაკავშირებული გეგმა?
4. იდენტიფიცირებული აქვს თუ არა დაწესებულებას ის რესურსები (გარე და შიდა), რომლებიც საჭირო სტიქიური უბედურების შემდეგ ბარიერებისა და უსაფრთხოების სისტემების მყისიერი შესაკეთებელი სამუშაებისთვის?

**ზოგადი შეფასებები შემდეგ, ცალკე შეგვიძლია განვიხილოთ, სტიქიური უბედურებების კონკრეტული**

**სახეებთან გამკლავების მიზნით (რომლებიც შესაძლოა დამახასიათებელი იყოს რეგიონისთვის), თუ როგორი სახის ხარისხის კონტროლის სისტემა უნდა არსებობდეს.**

**მიწისძვრა**

1. აქვს თუ არა დაწესებულებას სპეციალური საპასუხო გეგმა მიწისძვრის შემთხვევაში?
2. შეაფასა თუ არა დაწესებულებამ მიწისძვრის რისკი არეალის სეისმურ ისტორიაზე დაყრდნობით?
3. შეაფასა თუ არა დაწესებულებამ მიწისძვრის შემთხვევაში შენობების მდგრადობა?
4. შეაფასა თუ არა დაწესებულებამ მიწისძვრის შემთხვევაში შემდეგი ტექნიკური აღჭურვილობის დაზიანების შესაძლებლობის დონე:?
   - საგანგებო მდგომარეობის გენერატორები და საწვავის საცავი?
   - წყლის საცავი და საბაზისო ენერგიის წყარო?
   - ბუნებრივი გაზის მილები ან/და პროპანის მარაგი?
   - კომუნიკაციის სისტემები, პერიმეტრის უსაფრთხოება, იარაღის საცავი, სამედიცინო ოთახი, ა.შ.?
5. არის თუ არა დაწესებულების მიწისძვრის გეგმა დაფუძნებული დაწესებულების შესაძლებლობაზე იფუნქციონიროს დამოუკიდებლად 72 საათის განმავლობაში?
6. არის თუ არა დაწესებულების გეგმები, დიაგრამები და არქიტექტურული ჩანაწერები ხელმისაწვდომი?
7. ჩაატარა თუ არა დაწესებულებამ საინჟინრო გადახედვა შენობების დაზიანების რისკის შეფასებისთვის?
8. ჩაუტარდათ თუ არა თანამშრომლებს მიწისძვრის საპასუხო აქტივობების მიმართულებით ტრენინგი?
9. ჩაუტარდათ თუ არა პატიმრებს მიწისძვრის საპასუხო აქტივობების მიმართულებით ტრენინგი?

**წყალდიდობა**

1. აქვს თუ არა დაწესებულებას განთავსებული საგანგებო საკონტაქტო ტელეფონის ნომრები კონტროლის ოთახებსა და სხვა შესაბამის ადგილებში?
2. აქვს თუ არა დაწესებულებას ჩატარებული რისკების შეფასება იმ არეალში, რომელიც შეიძლება საფრთხეს დაექვემდებაროს წყლის დონის მომატების შემთხვევაში?
3. აქვს თუ არა დაწესებულებას წყალდიდობის შემთხვევაში შენობის გარეთ სრული ევაკუაციის გეგმა?
4. გადაიხედა თუ არა შენობის გარეთ სრული ევაკუაციის გეგმა ბოლო 12 თვის განმავლობაში?
5. ჰქონდა თუ არა დაწესებულებას წყალდიდობისას შენობის გარეთ სრული ევაკუაციის სიმულაცია/ტრენინგი/წვრთნა ბოლო 24 თვის განმავლობაში?
6. აქვს თუ არა დაწესებულებას წყლის დონის მომატების შემთხვევაში ძვირადღირებული ან საკვანძო მნიშვნელობის მქონე აღჭურვილობის გატანის გეგმა?
7. არის თუ არა დაწესებულების შენობის გარეთ ევაკუაციის გეგმა საფეხურებად დაყოფილი, ისე, რომ საფრთხის ადეკვატურად მოხდეს მისი ამოქმედება?
8. მოიცავს თუ არა დაწესებულების წყალდიდობის გეგმა იმ ადგილების შეფასებას, რომლებიც გამოყენებული იქნება წყალდიდობის სხვადასხვა დონის დროს და მიუთითებს თუ არა ის ალტერნატიულ ადგილებს?
9. განასხვავებს თუ არა დაწესებულების წყალდიდობის გეგმა წყალდიდობისთვის ხელსაყრელ პირობებსა და წყალდიდობის გამაფრთხილებელ ნიშნებს და არიან თუ არა თანამშრომლები ამ მიმართულებით დატრენინგებული?

**ხანძარი**

**განსაკუთრებული ყურადღება გვინდა დავუთმოთ ხანძრის გავრცელების პრევენციის მიზნით დაწესებულებაში ხარიხის კონტროლის სისტემის არსებობას.**

**ა. ხანძრის გავრცელება**

1. აქვს თუ არა დაწესებულებას შემუშავებული საცხოვრებელ საკნებში პატიმრების ნივთების დაშვებული რაოდენობის შესახებ სტანდარტები?
2. ტარდება თუ არა პატიმრების საკნების სულ მცირე თვეში ერთხელ შემოწმება ამ სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით?

3. მკაცრად იცავენ თუ არა ამ სტანდარტს?
4. ტარდება თუ არა დაწესებულების ყველა ზონის სულ მცირე თვეში ერთხელ შემოწმება?
5. თუ ხანძრის გავრცელებისთვის ნებადართული ნივთების რაოდენობის გადაჭარბება დაფიქსირდება, არსებობს თუ არა მენეჯმენტისთვის ამის შეტყობინების პროცედურა?
6. ინახავს თუ არა დაწესებულება შემოწმების წერილობით დასკვნებს?
7. მოქმედებს თუ არა დაწესებულებაში არსებული ყველა მარაგისა და მასალის სავალდებულო ხანძარსაწინააღმდეგო შემოწმება?

**ბ. აფეთქების კონტროლი**

1. აქვთ თუ არა პატიმრებს საკნებში ან საცხოვრებელ ადგილას ასანთისა და სანთებელების ქონის უფლება?
2. აქვთ თუ არა პატიმრებს ღია წვდომა ასანთსა და სანთებელასთან საერთო ადგილებში?
3. საკნებში და საერთო ადგილებში ხორციელდება თუ არა სულ მცირე თვეში ერთხელ „შტეფსელებისა“ და მსგავსი მოწყობილობების შემოწმება?
4. საკნებში და საერთო ადგილებში ხორციელდება თუ არა სულ მცირე თვეში ერთხელ აალებადი ნივთების გათბობის საშუალებებთან მდებარეობის შემოწმება, როგორიცაა მაგალითად ელექტრონათურები?

**გ. სახანძრო უსაფრთხოება**

1. ჰყავს თუ არა დაწესებულებას სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი თანამშრომელი?
2. სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი თანამშრომელი არის თუ არა პირდაპირ უშუალო ხელმძღვანელთან ანგარიშვალდებული?
3. დაწესებულების ყველა ზონაში ხორციელდება თუ არა კარებისა და სახანძრო გასასვლელების სულ მცირე თვეში ერთხელ შემოწმება?
4. მოითხოვება თუ არა ასეთი შემოწმებების წერილობითი დასკვნები?
5. სახანძრო შემოწმებისას პრობლემის აღმოჩენის შემთხვევაში, არსებობს თუ არა პროცედურა, რომლითაც სავალდებულოა ამ პრობლემის მენეჯმენტისთვის დაუყონებლივ შეტყობინება?
6. ახდენს თუ არა დაწესებულება სულ მცირე წელიწადში ერთხელ ყველა საცხოვრებელი და სხვა ადგილების შემოწმებას, რომ უზრუნველყოს სულ მცირე ორი სახანძრო გასასვლელის არსებობა?
7. ჩატარდა თუ არა დაწესებულების შემოწმება ადგილობრივი სახანძრო სამსახურის მიერ ბოლო წლის განმავლობაში დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით?
8. ჩატარდა თუ არა დაწესებულების შემოწმება ადგილობრივი სახანძრო სამსახურის მიერ ბოლო წლის განმავლობაში პოტენციური პრობლემების გამოვლენის მიზნით?

**დ. სახანძრო წვრთნები და ევაკუაცია**

1. არსებობს თუ არა დაწესებულების ყველა ზონის ევაკუაციის გეგმა?
2. აქვს თუ არა დაწესებულების ყველა ზონას მეორადი ევაკუაციის გზა?
3. არის თუ არა ევაკუაციის გზები დაწესებულების ყველა ზონაში განთავსებული?
4. არის თუ არა გასასვლელის განათებული ნიშნები ყველა საცხოვრებელ ზონაში?
5. არიან თუ არა თანამშრომლები დატრენინგებული ევაკუაციის პროცედურებში?
6. არიან თუ არა პატიმრები ინფორმირებული ევაკუაციის პროცედურების შესახებ?
7. არის თუ არა სახანძრო წვრთნები მოულოდნელი?
8. ტარდება თუ არა სახანძრო წვრთნები ყველა ცვლაში?
9. არსებობს თუ არა მინიმალური სტანდარტები თუ სულ მცირე რამდენჯერ უნდა ჩატარდეს სახანძრო წვრთნა დაწესებულების თითოეულ ნაწილში?
10. დაიცვა თუ არა აღნიშნული სტანდარტი დაწესებულების ადმინისტრაციამ ბოლო 12 თვის განმავლობაში?
11. განიხილავს თუ არა სახანძრო წვრთნების ანგარიშებს, შეფასებებს და გაუმჯობესების გეგმებს მენეჯმენტი?
12. ინახება თუ არა სახანძრო წვრთნების ანგარიშები და შეფასებები ერთ ცენტრალურ ადგილას?

**ე. სახანძრო აღჭურვილობა**

1. დაწესებულების ფარგლებში ცეცხლმაქრების რაოდენობა, სახე და ადგილმდებარეობა დამტკიცებულია/მოწონებულია თუ არა ადგილობრივი (მუნიციპალური) სახანძრო სამსახურის მიერ?

2. არის თუ არა ყველა ცეცხლმაქრი შემოწმებული და დატენილი სულ მცირე კვარტალში ერთხელ?
3. არის თუ არა ყველა სახანძრო შლანგი შემოწმებული სულ მცირე კვარტალში ერთხელ?
4. სუნთქვის აპარატურის (აირწინაღები) დანაყოფები:
   - ხელმისაწვდომია საცხოვრებელ ბლოკებში?
   - შენახულია თუ კედელზეა მიმაგრებული?
   - მოწმდება თუ არა ისინი ფუნქციონირებაზე ყოველწლიურად?
   - მოწმდება თუ არა ისინი სულ მცირე კვარტალში ერთხელ?
   - გადამზადებულია თუ არა მათ გამოყენებაში ყველა თანამშრომელი?
   - ჰქონდა თუ არა ყველა თანამშრომელს მოწყობილობის გამოყენების შესახებ განახლების ტრენინგი ბოლო 24 თვის განმავლობაში?
5. არის თუ არა სახანძრო კარები და მათი გასაღებები შესაბამის ფერად მონიშნული?
6. არის თუ არა სახანძრო კარები და საგანგებო მდგომარეობის გასაღებები სპეციალურად მონიშნული, რომ სიბნელეში ან კვამლის დროს ხილვადი იყოს?
7. ხელმისაწვდომია თუ არა გამხსნელი მოწყობილობა და სათადარიგო გასაღებები, რომლებიც ყველა საცხოვრებელ კომპლექსს ხსნის დღეში 24 საათის განმავლობაში?
8. აქვს თუ არა დაწესებულებას ორი ან მეტი წყვილი მეხანძრის უნიფორმა?

**ც. ხანძარზე პასუხი**

1. იცის თუ არა დაწესებულებამ ადგილობრივი სახანძრო სამსახურის გამოძახებაზე მოსვლისთვის საჭირო დრო?
2. ჰყავს თუ არა დაწესებულებას საკუთახი სახანძრო ბრიგადა (დატრენინგებული თანამშრომლები)?
3. განიხილა თუ არა დაწესებულებამ სახანძრო ბრიგადის ტრენინგის შესაძლებლობა, რომელიც სახანძრო დეპარტამენტის მოსვლამდე შეძლებდა ხანძარზე რეგაირებას?“[238]

ჩვენ განვიხილეთ სტიქიური უბედურებებთან გამკლავების მიზნით რა სახის ხარისხის კონტროლის სისტემა უნდა არსებობდეს. საინტერესოა განვიხილოთ, კონკრეტული მაგალითი (ხანძართან დაკავშირებით), რომელიც მოხდა ერთ-ერთი ქვეყნის პენიტენციურ დაწესებულებაში. ზემოთ წარმოდგენილი ხარისხის კონტროლის სისტემაზე დაყრდნობით, შესაძლებლობა გვექნება გავაანალიზოთ პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაციის ის ძლიერი და სუსტი მხარეები ამ კრიზისულ სიტაციასთან გამკლავების დროს.

[238] ციხეში საგანგებო მდგომარეობასთან გამკლავების და მომზადების სახელმძღვანელო, აშშ იუსტიციის დეპარტამენტი, სასჯელაღსრულების ეროვნული ინსტიტუტი, გვ. ND1 – ND28.

## მაგალითი N3
### ხანძარი ახალ დაწესებულებაში: ტენეის საოლქო, მისური

„ტენეის საოლქო მდებარეობს შედარებით იზოლირებულ ადგილას ოზარკის მთებში. ფორსიტი, საოლქოს ცენტრი, არის დაახლოებით 1,200 კაციანი ქალაქი. ტენეის საოლქო ციხის მშენებლობა ფორსიტში დასრულდა 1982 წელს. იგი შექმნილი იყო დაახლოებით 32 პატიმრის განსათავსებლად, უმეტესად ორადგილიან საკნებში. ციხის შენობაში ასევე განთავსებული იყო საოლქოს შერიფის ცენტრი და შერიფის ყველა დეპარტამენტის ოფისი.

ციხე აგებული იყო რკინა-ბეტონის მასალით და აღჭურვილი იყო მრავალი ხანძარსაწინააღმდეგო, მაგრამ არა საჰაერო აპარატურით, სახანძრო შლანგებითა და ავტომატური წყლის გამომშვები სისტემით. ადმინისტრაციული ზონის უკან მდებარე საცხოვრებელ ადგილებში შესასვლელი მცოცავი რკინის კარი შედიოდა  სამ ქვე-საცხოვრებელ ადგილას: ქალების ნაწილი, კაცების ნაწილი და მაღალი რისკის კაცების ნაწილი. თითოეულ ამ არეალში შესვლა შეიძლებოდაა კიდევ ერთი მცოცავი, ელექტრო რკინის კარის საშუალებით. საკნები წარმოადგენდა წინიდან გახსნილ კონსტრუქციას, მცოცავი ბარიერული კარებით. ელექტროენერგიის არარსებობის შემთხვევაში, ყველა კარის გახსნა შესაძლებელ იყო გასაღებების გამოყენებით, თუმცა ყველა კარი ინდივიდუალურად უნდა გახსნილიყო.

1991 წლის 14 სექტემბერს, დაახლოებით 03:45 საათზე, მინიმალური უსაფრთხოების -პატიმრობაში მყოფი პატიმრებისთვის საკნებში ცნობილი გახდა, რომ ციხის გარეთ იყო ხანძარი, რაც მოჩანდა საცხოვრებელ ბლოკში საკნების ფანჯრიდან.  მათ დაიწყეს ყვირილი და გააღვიძეს პატიმრები, რომლებიც ყველაზე ახლოს იყვნენ განთავსებული ადმინისტრაციულ ფლანგთან, სადაც ღამის მორიგეები იყვნენ განლაგებულნი. ტენეის საოლქო ციხეში ღამით მორიგეობდა 1 თანამშრომელი, პასუხსმგებელი მორიგე (დისპეჩერი). პატიმრებმა ამ თანამშრომელთან დაკავშირება საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე ვერ შეძლეს. კონტაქტის დამყარების დროისთვის, ციხეში სახურავიდან უკვე კვამლი შედიოდა.

ხის ფარდულის მსგავსი სტრუქტურა აშენებული იყო ზუსტად ციხის აღმოსავლეთ კედელთან, რომელშიც განთავსებული იყო დიდი საგანგებო გენერატორი. გენერატორი იკვებებოდა პროპანით და ხის ფარდულის გარეთ დამონტაჟებული იყო დიდი პროპანის საცავი, დაახლოებით 1 ან 2 ფუტის მანძილზე. შტატის კოდექსის თანამხმად, პროპანის საცავი მინიმუმ 10 ფუტით უნდა ყოფილიყო დაშორებული ნებისმიერი აალებადი სტრუქტურისგან. ფარდულში გენერატორთან ერთად ასევე განთავსებული იყო ორი დიდი ბატარეა და ბატარეის დამტენი, რომელიც იკვებებოდა ციხიდან წამოსული ელექტროხაზებით.

მიუხედავად იმისა, რომ ამ ხანძრის გამომწვევი მიზეზების გარშემო მთელი რიგი საკითხები გაურკვეველი ან სადაოა, როგორც ჩანს ბატარეის დამტენის ან მისი ხაზების მოკლე ჩართვამ გამოიწვია ცეცხლი, რომელიც განვითარდა ხის ფარდულში.  ციხის სახურავი აგებული იყო ბეტონისგან, მაგრამ მის ზემოდან გამოყენებული იყო ხის მასალა  და როგორც ჩანს ეს კონსტრუქცია ეწინააღმდეგებოდა შტატის წესებს.

ფარდულიდან ცეცხლი გავრცელდა ციხის კედლის ხის სტრუქტურაზე და აქედან წარმოიქმნა ციხეში შესული კვამლი. დასაწყისში, ფარდულის ცეცხლმა დაწვა გენერატორისა და ორივე ძირითადი ხაზის მავთული და ციხეს შეუწყდა ელექტროენერგიის მიწოდება.

როდესაც პასუხსიმგებელმა მორიგემ უპასუხა ციხის საცხოვრებელ კომპლექსს, იგი მაშინვე პრობლემის წინაშე აღმოჩნდა. პატიმრების ევაკუაციის მიზნით საკნის და დანარჩენი კარების გაღების შემთხვევაში, პატიმრები აღმოჩნდებოდნენ დაუცველ ადგილას და შეძლებდნენ გაქცევს. რაღაც მომენტში, მან სცადა ხელით ძირითადი კარის გაღება, მაგრამ ვერ შეძლო მისი ამუშავება.

საკანში მდგომარეობა დამძიმდა. დიდი ოდენობის კვამლი აღწევდა საკნების ზონაში. კვამლის საწინააღმდეგო სისტემა არ ჩაირთო, რადგან ელექტროობაზე იყო დამოკიდებული. ზუსტი დრო დადგენილი არ არის, მაგრამ როგორც იკვეთება, დისპეჩერის მიერ დარეკვიდან 30 წუთში მოვიდა დახმარება. ციხის 2-3 თანამშრომელი და სახანძრო დეპარატმენტის ასისტენტი მოვიდნენ თითქმის ერთდროულად. საცხოვრებელი კომპლექსის ძირითადი კარის გახსნა საკმაოდ რთულად მოხერხდა. ისევე, როგორც, კონკრეტული ნაწილების კარების. საკნის

კარების გახსნა ინდივიდუალურად უნდა მომხდარიყო. ციხის თანამშრომლებმა და მეხანძრეებმა შეძლეს ქალების ნაწილში და მინიმალური უსაფრთხოების კაცების ნაწილში შესვლა და გააღეს საკნის კარები. მაქსიმალური უსაფრთხოების ნაწილის კარის ხელით გაღება ვერ ხერხდებოდა და საკმაოდ გვიან მოხდა შეღწევა. 3 კაცი და 1 ქალი პატიმარი გარდაიცვალა კვამლისგან. ერთმა ქალმა პატიმარმა განიცადა სერიოზული ფილტვების დაზიანება და დასჭირდა ჟანგბადით დახმარება მთელი დარჩენილი ცხოვრების განმავლობაში. 21 პატიმარმა განიცადა საშუალო დაზიანებები. თანამშრომლებსა და მეხანძრეებს სერიოზული დაზიანება არ მიუღიათ.

ზუსტად რა დროს გაითიშა ელექტროენერგია ვერ დადგინდა. იყო ვარაუდი, რომ დისპეჩერს ჰქონდა დროის მოკლე მონაკვეთი ხანძრის შეტყობასა და დენის გათიშვას შორის, რომლის დროსაც მას კარების გახსნა და პატიმრების ევაკუაცია შეეძლო, თუმცა მან ეს არ გააკეთა პატიმრების გაქცევის საფრთხის არსებობისა და ევაკუაციის პროცედურის არცდონის გამო. ასევე გამოითქვა ვარაუდი, რომ ელექტროენერგია გაითიშა ხანძრის დაწყებისთანავე და იმაზე ადრე ვიდრე დისპეჩერი ხანძრის შესახებ შეიტყობდა.

ციხეს ჩატარებული არ ჰქონდა წვრთნები და არ გააჩნდა ევაკუაციის პრაქტიკა. შტატის კოდექსი ყოველწლიურად მოითხოვდა ციხის  უსაფრთხოების შემოწმებას. თუმცა ასეთი შემოწმება ჩატარებული არ ყოფილა და ხანძრის მარშალს ციხეზე იურისდიქცია არ ჰქონდა. კვამლის დეტექტორებს არ ჰქონდათ ბატარეა და არაფექტიანები აღმოჩნდნენ.

სრულყოფილი შესწავლა იმისა, თუ რა მოხდა არ ჩატარებულა. მხოლოდ მოკლე საგამოძიებო დასკვნა არსებობს (რომელშიც ძირითადად ჩამოთვლილია რა დაიწვა), ასევე, მტკიცებულებების უმეტესობა მოცემულია გადარჩენილი პატიმრებისა და გარდაცვლილი პატიმრების სარჩელებში.

ციხის შეკეთებისას, სრულად შეცვალეს სახურავი და ჩაანაცვლეს არაალებადი მასალით. დისპეჩერს, რომელიც იმ დღეს მსახურობდა პოსტ-ტრამვული სტრესი განუვითარდა და საბოლოოდ დატოვა სამსახური.

**მიღებული გამოცდილებების საფუძველზე, ხანძრის პრევენციის მიზნით, აუცილებლად უნდა მოხდეს შემდეგი საკითხების გათვალისწინება  და გააზრება:**

1. არ არსებობს ცეცხლგამძლე შენობა;
2. თანამედროვე შენობაშიც კი, რომელიც რკინისა და ბეტონისგანაა აშენებული, ბევრ ნივთს შეუძლია სიცოხლისთვის საშიში კვამლის წარმოქმნა, მატრასების, პატიმრების პირადი ნივთების, ხალიჩების, საღებავის, გამწმენდი საშუალებების ჩათვლით;
3. სანამ ხანძრის სიმულაცია და წვრთნა არ ჩატარდება რეალური ევაკუაციით, ზოგიერთი პრობლემის იდენტიფიცირება ვერ მოხდება, რასაც შეიძლება ტრაგიკული შედეგი მოჰყვეს;
4. ადგილობრივი სახანძრო დეპარტამენტები უნდა მონაწილეობდნენ სიმულაციებში;
5. ყველა პენიტენციურ დაწესებულებას უნდა ჰქონდეს საკუთარი სასუნთქი აპარატურა და თანამშრომლები გადამზადებულნი უნდა იყვნენ მათ სწორ გამოყენებაში;
6. ევაკუაციის ნიშნებსა და კვამლისა და ცეცხლის დეტექტორებს ყოველთვის უნდა ჰქონდეთ ალტერნატიული კვების წყარო;
7. პატიმრის საცხოვრებელ ადგილებს, რომლებიც იზოლირებულია თანამშრომლებისგან, უნდა ჰქონდეს განგაშის შეტყობინების საშუალება;
8. სადაც ეს შესაძლებელია, საგანგებო გენერატორი არ უნდა იყოს ძირითადი ენერგიის წყაროსთან ერთად განთავსებული;
9. ყველა დაწესებულებამ უნდა გაიაროს შემოწმება სულ მცირე წელიწადში ერთხელ, რომელიც არ უნდა ჩატარდეს ამ დაწესებულების თანამშრომლების მიერ;
10. ყველა სერიოზული ინციდენტის შემდეგ უნდა ჩატარდეს ყოვლისმომცველი კრიტიკული შეფასება იმისთვის, რომ დაფიქსირებული პრობლემები აღარ განმეორდეს.“[239]

[239] ციხეში საგანგებო მდგომარეობასთან გამკლავების და მომზადების სახელმძღვანელო, აშშ იუსტიციის დეპარტამენტი, სასჯელაღსრულების ეროვნული ინსტიტუტი, გვ. 257-259.

## ადგილობრივი კანონმდებლობა

**განსაკუთრებული პირობები პენიტენციურ დაწესებულებაში, კრიზისული სიტუაციები**

სტიქიური უბედურებისას, ქვეყანაში საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გამოცხადებისას, სიცოცხლისათვის საშიშ დაავადებათა ეპიდემიისას და მასობრივი არეულობისას, აგრეთვე, თუ პენიტენციური დაწესებულება დაზიანდა ან აღარ გამოდგება კანონით გათვალისწინებული მიზნებისათვის, პენიტენციურ დაწესებულებაში შეიძლება შემოღებულ იქნეს განსაკუთრებული პირობები[240].

განსაკუთრებული პირობების შემოღება ხდება პენიტენციური დეპარტამენტის დირექტორის მიერ, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრთან წერილობითი შეთანხმებით, არაუმეტეს 15 დღის ვადით, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, მინისტრის თანხმობით, აღნიშნული ვადა შესაძლებელია გაგრძელდეს გონივრული ვადით, ზემოთ მითითებული გარემოებების აღმოფხვრამდე.

აღსანიშნავია, რომ მსჯავრდებულის, პენიტენციური დაწესებულების მოსამსახურის ან სხვა პირის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის აშკარა საფრთხის შექმნის შემთხვევაში, დაწესებულების დირექტორს შეუძლია დამოუკიდებლად შემოიღოს განსაკუთრებული პირობები, რომლის შესახებ იგი დაუყოვნებლივ ატყობინებს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციური დეპარტამენტის დირექტორს. პენიტენციური დეპარტამენტის დირექტორი, შეტყობინებიდან 24 საათის განმავლობაში, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის წერილობითი თანხმობით, იღებს გადაწყვეტილებას განსაკუთრებული პირობების ძალაში დატოვების ან გაუქმების შესახებ.

თუ პენიტენციურ დაწესებულებაში, განსაკუთრებული პირობების რეჟიმის დროს, სხვა საშუალებებით ვერ ხერხდება შექმნილი ვითარების ლოკალიზება ან დაწესებულების უსაფრთხოების სამსახურის მიერ ამ დაწესებულებაში აკრძალული საგნების, ნივთიერებებისა და კვების პროდუქტების ამოღების მიზნით ფართო მასშტაბის ოპერატიულ-პროფილაქტიკური ღონისძიებების განხორციელება, მაშინ, როდესაც არსებობს ჯგუფური დაუმორჩილებლობის, მასობრივი არეულობის წარმოშობის დიდი საშიშროება ან საფრთხე ექმნება სახელმწიფო უსაფრთხოებას, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის სათანადო მიმართვით და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ან/და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის გადაწყვეტილებებით დაწესებულების დაცვა შეიძლება გაძლიერდეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ან/და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სპეციალური ქვედანაყოფებით.

საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულია აგრეთვე პენიტენციურ დაწესებულებაში კრიზისული ვითარების მართვის წესი.[241] პენიტენციურ დაწესებულებაში კრიზისულ ვითარებად შეიძლება შეფასდეს მდგომარეობა, როდესაც ხდება პენიტენციურ დაწესებულებაში სამართლებრივი რეჟიმის ან/და უსაფრთხოების ისეთი დარღვევა, რომელიც აშკარა საშიშროებას უქმნის პენიტენციური დაწესებულების ნორმალურ ფუნქციონირებას და რომლის პენიტენციური დაწესებულების ძალებით აღმოფხვრა შეუძლებელია.

მდგომარეობას კრიზისულ ვითარებად აფასებს პენიტენციური დაწესებულების დირექტორი, რომელიც აღნიშნული ვითარების შესახებ დაუყოვნებლივ აცნობებს პენიტენციური დეპარტამენტის დირექტორს, ხოლო თუ პენიტენციური დეპარტამენტის დირექტორი ინფორმაციის სათანადო დამუშავებისა და ანალიზის შემდეგ ვითარებას კრიზისულად მიიჩნევს, თავის მხრივ, ატყობინებს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს.

კრიზისული ვითარების სამართავად დასაშვებია პენიტენციური დაწესებულების ტერიტორიაზე პენიტენციური დეპარტამენტის სპეციალური ინტერვენციების რაზმების მოქმედება, რომელთა ჩართვის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს პენიტენციური დეპარტამენტის დირექტორი საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის თანხმობით. სპეციალური ინტერვენციის რაზმების შესაბამის მოსამსახურეებს უფლება აქვთ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოიყენონ სპეციალური საშუალებები და ცეცხლსასროლი იარაღი.

კრიზისული ვითარების მართვისას საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

240 საქართველოს კანონი „პატიმრობის კოდექსი“, 58-ე მუხლი.
241 საქართველოს კანონი „პატიმრობის კოდექსი“, $58^1$ მუხლი; საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს №108 ბრძანებით დამტკიცებული დებულება, 29-ე მუხლი.

უზრუნველყოფს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან მჭიდრო კოორდინაციას. ამასთან, კრიზისული ვითარების მართვისას, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო ვალდებულია, უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვით, სათანადო ინფორმაცია მიაწოდოს საზოგადოებას.

აქვე აღსანიშნავია, რომ მასობრივი არეულობისას, აგრეთვე ქვეყანაში გამოცხადებული საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს თავდასხმის, პენიტენციური დაწესებულებიდან გაქცევის, სხვა დანაშაულისა და სამართალდარღვევის აღკვეთის მიზნით, თუ კრიზისული ვითარების საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ძალებით მართვა შეუძლებელია, ხორციელდება უსაფრთხოების დამატებითი ღონისძიებები წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით, რომელიც მტკიცდება საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ერთობლივი ბრძანებით, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურთან წინასწარი შეთანხმებით. აღნიშნული გეგმით შეიძლება განისაზღვროს აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებები.[242]

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, პენიტენციურ დაწესებულებაში შემუშავებული უნდა იქნეს შიდა დაცვის ოპერატიული გეგმა,[243] რომელიც შეიცავს:

- დაწესებულების ტერიტორიის გენერალურ გეგმას, სადაც აღინიშნება საგუშაგოების განლაგება, გამაფრთხილებელი სამეთვალყურეო ტექნიკის სექტორები და საზღვრები;
- დანაყოფების განლაგების გეგმა საგუშაგოების აღნიშვნით;
- დაწესებულების მოსამსახურეთა სია, რომლებიც დაწესებულებაში განსაკუთრებული პირობების შემოღების შემთხვევაში ექვემდებარებიან სასწრაფოდ გამოცხადებას, მათ საკონტაქტო ინფორმაციას;
- სამინისტროსა და პენიტენციური დეპარტამენტის მოსამსახურეთა სია, რომლებიც დაწესებულებაში ვითარების გართულების შემთხვევაში, დაუყოვნებლივ უნდა იქნენ ინფორმირებული.

პენიტენციურ დაწესებულებიდან მსჯავრდებულთა გაქცევის, მსჯავრდებულთა მხრიდან ჯგუფური დაუმორჩილებლობისა თუ სხვა განსაკუთრებულ შემთხვევაში, სამორიგეო ცვლის ხელმძღვანელი, აღნიშნულის შესახებ სასწრაფოდ აცნობებს პენიტენციური დაწესებულების დირექტორს და მოქმედებს მისი მითითების შესაბამისად.[244]

შესაბამის საგუშაგოზე (დანაყოფზე) ვითარების უკიდურესად გართულების შემთხვევაში, შესაძლებელია გამოცხადდეს განგაში[245], რომელსაც აცხადებს სამორიგეო ცვლის ხელმძღვანელი დანაყოფის ინსპექტორის პატაკის საფუძველზე, ხოლო განგაშის შეწყვეტის განკარგულებას საგუშაგოზე იძლევა სამორიგეო ცვლის ხელმძღვანელი ან მისი თანაშემწე. განგაშის გამოცხადების და შეწყვეტის თაობაზე სამორიგეო ცვლის ხელმძღვანელი აცნობებს დაწესებულების დირექტორს.

საგუშაგოზე განგაშის გამოცხადების დროს ხდება საგუშაგოზე არსებული და სარეზერვო ჯგუფის მობილიზაცია და მათი განგაშის ადგილას გამოცხადება. ადგილზე გამოცხადების შემდეგ, სამორიგეო ცვლის მოსამსახურეები მოქმედებენ სამორიგეო ცვლის ხელმძღვანელის და დანაყოფის ინსპექტორის მითითების შესაბამისად.

საგუშაგოებზე განგაში ცხადდება შემდეგ შემთხვევებში:
- საგუშაგოზე მდგომ მოსამსახურეზე ან სხვა პირებზე თავდასხმისას;
- მსჯავრდებულთა ინდივიდუალური ან ჯგუფური დაუმორჩილებლობისას;
- მსჯავრდებულთა გაქცევისას ან გაქცევის მცდელობისას;
- დაწესებულებაში ხანძრის გაჩენისას;
- საკანში მსჯავრდებულთა სხეულის დაზიანებისას;
- სტიქიური უბედურების დროს;
- ქვეყანაში საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გამოცხადების შემთხვევაში;
- სხვა განსაკუთრებულ შემთხვევაში.

თუ განგაშის შედეგად მიღებული ზომებით ვერ მოხდა მდგომარეობის დარეგულირება, პენიტენციური

---

[242] საქართველოს კანონი „პატიმრობის კოდექსი“, 59-ე მუხლი.
[243] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2013 წლის 1 აგვისტოს №200 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია, მე-14 მუხლი.
[244] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2013 წლის 1 აგვისტოს №200 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია, 146-ე და 147-ე მუხლები.
[245] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2013 წლის 1 აგვისტოს №200 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია, 148-ე-153-ე მუხლები.

დაწესებულების დირექტორი იღებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა ზომებს.

განგაშის გამოცხადებისას დანაყოფზე და დაწესებულების ტერიტორიაზე უნდა შეწყდეს მსჯავრდებულთა მოძრაობა, ისინი რჩებიან იმ ადგილებში სადაც მათ მოუსწრო განგაშის სიგნალმა. მათი გადაადგილება განახლდება მხოლოდ მაშინ, როდესაც დაწესებულების დირექტორი გასცემს შესაბამის ბრძანებას. განგაშის გამოცხადებისას დანაყოფზე მიმაგრებული სამორიგეო ცვლის ინსპექტორები აძლიერებენ მეთვალყურეობას და მოქმედებენ სამორიგეო ცვლის ხელმძღვანელის და დაწესებულების დირექტორის მითითების შესაბამისად.

მდგომარეობის გართულებისას, მსჯავრდებულების ევაკუაცია ხორციელდება პენიტენციური დაწესებულების პირადი შემადგენლობის მიერ. პენიტენციური დაწესებულების ტერიტორიაზე მსჯავრდებულთა უსაფრთხო ევაკუაციის შეუძლებლობის შემთხვევაში, მათი გადაყვანა ხორციელდება სხვა უსაფრთხო ადგილას კანონმდებლობით განსაზღვრული წესით. ყველა პენიტენციურ დაწესებულებაში შემუშავებულ უნდა იქნეს რთულ სიტუაციებში მოქმედების ინსტრუქცია, დაწესებულების თავისებურების და ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით.[246]

პენიტენციურ დაწესებულებაში ან სისტემაში ვითარების გართულების, მსჯავრდებულთა მიერ მასიური უწესრიგობის, მოსამსახურეებზე თავდასხმის მზადების ან სხვა განსაკუთრებული საფრთხეების შესახებ ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში, შესაძლებელია დაწესებულების მოსამსახურეების განსაკუთრებულ სამუშაო პირობებზე[247] გადაყვანა.

განსაკუთრებულ სამუშაო პირობებზე გადაყვანის გეგმით განისაზღვრება:
- დამატებითი საგუშაგოების გამოყოფა;
- სამორიგეო ცვლის რიცხობრივი გაზრდა;
- პირადი შემადგენლობის ან მისი ნაწილის საგანგებო მდგომარეობაში გადაყვანა;
- კავშირგაბმულობის, ავტოსატრანსპორტო და ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებების საბრძოლო მდგომარეობაში მოყვანა;
- დანაყოფებზე, საგუშაგოებზე შემოწმების ჯერადობა;
- გაქცევების და სხვა დანაშაულის თავიდან აცილების ოპერატიულ-პროფილაქტიკური მუშაობის გააქტიურება;
- საკონტროლო-გამშვებ პუნქტზე რეჟიმის გაძლიერება, გახშირებული გრაფიკით დათვალიერების ჩატარება, მჭრელ ხელსაწყოებზე გაძლიერებულ კონტროლი და სამეურნეო სამუშაოების შესასრულებლად მსჯავრდებულთა შემცირება ან შეწყვეტა;
- საკვებ ბლოკებში, საქვაბეებში, წყალმომარაგებათა წყაროებში სანიტარიულ მდგომარეობაზე კონტროლის გაძლიერება;
- დაწესებულების ინსპექტორთა შემადგენლობის ოპერატიულად მორიგეობის ორგანიზება;
- საჭიროების შემთხვევაში, პაემნების ჩატარების, ამანათების მიღების, მსჯავრდებულთა გადაყვანისა და დაწესებულებაში მსჯავრდებულთა და გზავნილების მიღების დროებით შეწყვეტა.

[246] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2013 წლის 1 აგვისტოს №200 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია, 154-ე-156-ე მუხლები.
[247] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2013 წლის 1 აგვისტოს №200 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია, 157-ე-159-ე მუხლები.

## თავი: 13

# კრიტიკული სიტუაციების პრევენცია/ანალიზი

*მეცამეტე თავი*
## კრიზისული სიტუაციების პრევენცია/ანალიზი

პენიტენციური სისტემის მართვის სპეციფიკიდან გამომდინარე, ხშირია კრიზისული სიტუაციები (მცირე თუ დიდი მასშტაბით). ეს შეგვიძლია მივიჩნიოთ როგორც ნორმა! მართვის პროცესში ხშირია შეცდომებიც, თუმცა სამწუხაროდ ნაკლებად ხდება იმ შეცდომების გაანალიზება რაც შეიძლება ამა თუ იმ შემთხვევაში ყოფილიყო დაშვებული.

ნებისმიერი სახის შეცდომა, რა ზიანის მომტანიც არ უნდა ყოფილიყო სისტემისთვის, არის ერთგვარი გზამკვლევი ანალიზისთვის და დასკვნების გამოსატანად, იმის გასააზრებლად თუ რა არის შესაცვლელი სისტემის სრულყოფისთვის.

გარდა ამისა, ნებისმიერი სახის მონიტორინგი/სუპერვიზია (კვალიფიციური და ობიექტური), ეს იქნება შიდა უწყებრივი, თუ გარედან, უნდა იქნეს ყოველთვის განხილული როგორც დამხმარე ფაქტორი პრობლემების იდენტიფიცირებისთვის სისტემის შემდგომი გაუმჯობესების გზაზე.

ინციდენტების ეფექტური მენეჯმენტი მოითხოვს ინციდენტის და მასთან დაკავშირებული რისკების მოცულობისა და ბუნების ადეკვატურად შეფასების უნარს, შესაბამისი ზონის (სექტორის, კორპუსის) სწრაფად კონტროლზე აყვანის, დანარჩენ პენიტენციურ დაწესებულებაში მუშაობის გაგრძელების, ინტერვენციის სტრატეგიის/ვარიანტების განვითარების (პროპორციულობის პრინციპზე დაყრდნობით), ინციდენტის მოსაგვარებლად ეფექტიანი ჩარევისა და დაწესებულების ყოველდღიური რუტინის აღდგენის შესაძლებლობას.

ინციდენტის ფაზების მსვლელობისას, ფოკუსი უნდა გაკეთდეს თანამშრომლების, პატიმრებისა და ვიზიტორების სიცოცხლისა და უსაფრთხოების დაცვაზე.

ნებისმიერ პენიტენციურ დაწესებულებაში როგორც სერიოზული, ისე ნაკლებად სერიოზული ინციდენტების დროს შეიძლება შემდეგი უნივერსალური ნაბიჯების გამოყენება:

- მყისიერი პასუხი;
- იზოლირება და შეკავება;
- ანგარიშგება და ინფორმაციის აღრიცხვა;
- საპასუხო რესურსების იდენტიფიცირება;
- ინციდენტის მართვა;
- პენიტენციური დაწესებულების ყოველდღიური რუტინის აღდგენა;
- ანალიზი.

### 1. საპასუხო ქმედება

პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლების შესაძლებლობა უპასუხონ ინციდენტს და გადაჭრან იგი წარმოქმნამდე დამოკიდებულია შემდეგზე:

- დროული რეაგირება - დაწესებულების თანამშრომლების შესაძლებლობა სწრაფად შეაღწიონ ინციდენტის ადგილას დამოკიდებულია ინციდენტის ლოკაციაზე, ბარიერების და კარების გაღების სწრაფ შესაძლებლობაზე. გადამწყვეტი ფაქტორია ასევე უსაფრთხოების გასაღებებზე წვდომა.

საპასუხო ქმედების განხორციელების შესაძლებლობა დამოკიდებულია შემდეგზე:

- ინციდენტთან გამკლავებისათვის საჭირო აღჭურვილობის ხელმისაწვდომობა (გასაღებები, დამორჩილების საშუალებები, კომუნიკაცია, ხანძარსაწინააღმდეგო აღჭურვილობა, ა.შ.);
- ხელმისაწვდომი თანამშრომლების რაოდენობა;
- თანამშრომლეთა ცოდნა და უნარები.

### 2. იზოლირება და შეკავება

თუ ეს შესაძლებელია, ინციდენტი უნდა მოაგვარონ მასზე პირველი საპასუხო ქმედების განმახორციელებელმა თანამშრომლებმა. თუ ეს შესაძლებელი არ არის, პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლებმა, ინციდენტის თავიდან არიდების მიზნით, უნდა მოახდინონ ინციდენტის არეალის იზოლირება და შეკავება პატიმრების უსაფრთხოების, გადაადგილების აკრძალვის, დამატებითი დახმარების მოზიდვისა და სხვა გზებით.

როდესაც ინციდენტის მოგვარება დასაწყისში შეუძლებელია, დაწესებულების მენეჯმენტმა უნდა დახუროს ინციდენტის ზონა და გაზარდოს დაწესებულების უსაფრთხოება საკვანძო პოზიციებზე დამატებითი თანამშრომლების განთავსების, პატიმრების გადაადგილების შეზღუდვისა და ვიზიტორების აკრძალვის გზით. ასეთი ქმედებები უზრუნველყოფს პენიტენციური დაწესებულების დანარჩენი ნაწილების უსაფრთხოებას. დაწესებულების დაგეგმარებიდან გამომდინარე, ეს შეიძლება ადვილად მიღწევადი არ იყოს. თუმცა, რაც უფრო მეტი ინფორმაცია ექნებათ თანამშრომლებს

ინციდენტის ხასიათთან დაკავშირებით, მით უფრო მეტ ფაქტორზე რეაგირება იქნება შესაძლებელი.
მოწყვლადი პატიმრები, როგორიცაა, მაგალითად, მენტალურად ან ფიზიკურად დაავადებული პატიმრები, უნდა იყვნენ დაცული და შესაძლებელია საჭირო გახდეს მათი ალტრენატიულ ადგილას გადაყვანა.

**3. ანგარიშგება და აღრიცხვა**

ინციდენტის სახიდან გამომდინარე, პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაციამ/მენეჯმენტმა უნდა მოახდინოს ინციდენტის დეტალური აღრიცხვა.
ინციდენტის აღრიცხვა უნდა მოიცავდეს: ინციდენტის შესახებ დეტალებს; პირველად საპასუხო ქმედებებს; ყველა მონაწილის ქმედებასა და რეაგირების დროს; ინციდენტის გავლენას პენიტენციური დაწესებულების ფუნქციონირებაზე.

**4. საპასუხო რესურსების იდენტიფიცირება**

თუ ინციდენტის გადაწყვეტა შეუძლებელია შიდა რესურსით, პენიტენციური დაწესებულების მენეჯმენტმა უნდა ჩართოს პროცესში სხვა უწყებები (პოლიცია, სახანძრო სამსახური და ა.შ). გარე ორგანიზაციები შეიძლება არ იცნობდნენ დაწესებულების ფუნქციონირებისა და დაგეგმარების დეტალებს. ამიტომ, ნებისმიერი ინტერვენციის განხორციელებამდე, მათ უნდა მიეწოდოთ დეტალური ინფორმაცია.

**5. ინციდენტის მართვა**

ინციდენტის ტიპიდან გამომდინარე, არსებობს მისი მოგვარების ორი გზა:

- კომუნიკაციის გზით (ეს უნდა იყოს ძირითადი მიზანი);
- ტაქტიკური ინტერევენციის გზით (ძალის გამოყენება).

პენიტენციური დაწესებულების მენეჯმენტს მარტივად უნდა მიუწვდებოდეს ხელი საკვანძო ინფორმაციასთან, მათ შორის:

- გარე უწყებების საკონტაქტო სია (პოლიცია, სახანძრო, სამედიცინო სამსახური და სხვა);
- დაწესებულების გეგმა, საკვანძო უსაფრთხოების ელემენტების ჩათვლით;
- ინციდენტთან დაკავშირებული ძირითადი პროცედურები;
- ძირითადი მონაწილეების როლი და პასუხისმგებლობები.

ეს ინფორმაცია უნდა მომზადდეს წინასწარ და ინციდენტის შემთხვევაში უნდა იყოს ადვილად ხელმისაწვდომი.

სერიოზული ინციდენტებისთვის და როდესაც დრო ამის საშუალებას იძლევა, პენიტენციური დაწესებულების მენეჯმენტმა უნდა შეიმუშავოს ინტერვენციის გეგმა, რომელშიც მითითებული იქნება ინციდენტის მოსაგვარებლად დასაშვები ძალის გამოყენების მოცულობა და რა სახის უსაფრთხოების ჯგუფების გამოყენების საჭიროებაა.

ინტერვენციის გეგმის ძირითადი მიზანი უნდა იყოს მოლაპარაკება/კომუნიკაცია, რომელიც მიმართულია ინციდენტის სწრაფად და მინიმალური ზიანით დასრულებაზე. პენიტენციური დაწესებულების/სისტემის მენეჯმენტმა სასურველია განსაზღვროს კონკრეტული პირები შემდეგი სამი ძირითადი ფუნქციის განსახორციელებლად:

- ინციდენტის მენეჯერი - დაწესებულების მენეჯმენტის მიერ განსაზღვრული პირი, რომელიც პასუხისმგებელია ინტერვენციისა და საგანგებო მდგომარეობის გეგმის იმპლემენტაციაზე;
- ინტერვენციის ჯგუფის უფროსი - პენიტენციური დაწესებულების ან/და გარე უწყების (პოლიცია, სახანძრო, მომლაპარაკებლები, ა.შ.) თანამშრომელი;
- დაწესებულების უსაფრთხოების თანამშრომელი - პენიტენციური დაწესებულების მენეჯმენტის მიერ განსაზღვრული პირი, რომელიც პასუხისმგებელია დაწესებულების დარჩენილი ტერიტორიის უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე.

როდესაც ეს შესაძლებელია, უნდა შეიქმნას ინციდენტის მართვის ცენტრი უსაფრთხო და ინციდენტის არეალთან ახლოს მდებარე ადგილას. ამ არეალში მოხვედრა და იქიდან გამოსვლა მკაცრად უნდა კონტროლდებოდეს. მასზე წვდომა უნდა ჰქონდეთ მხოლოდ დაწესებულების თანამშრომლებსა და უფლებამოსილ პირებს.

**6. პენიტენციური დაწესებულების ყოველდღიური რუტინის აღდგენა**

ინციდენტის მოგვარების შემდეგ, მომდევნო ნაბიჯია ნორმალური რუტინის აღდგენა. ეს ნაბიჯი მოიცავს

მყისიერ და თანმიმდევრულ ქმედებებს, რომლებიც ნათლად უნდა იყოს განსაზღვრული, მათ შორის: პატიმართა ყოველდღიური რეჟიმის აღდგენა (კვება, ჰიგიენა, ვიზიტები, სამედიცინო მომსახურეობა ა.შ.); თანამშრომელთა ჩვეულებრივი ყოველდღიური საქმიანობის აღდგენა.

**7. ანალიზი**

პენიტენციური სისტემის მენეჯმენტმა უნდა უზრუნველყოს, რომ ძირითადმა მონაწილეებმა განიხილონ ყველა სერიოზული ინციდენტი მისი დასრულების შემდეგ. განხილვა ორიენტირებული უნდა იყოს წარმატებულ და წარუმატებელ აქტივობებზე, შეძენილ გამოცდილებასა და მონაწილეების შესაძლებლობებში გამოკვეთილ ხარვეზებზე (პროცედურები, ტრენინგი, ა.შ.). გარდა ამისა, განხილვამ უნდა გამოავლინოს და გამოიძიოს გადამეტებული ძალის გამოყენების ან თანამშრომელთა მიერ სხვა დარღვევების ჩადენის შესაძლო შემთხვევები და მათზე პასუხისმგებელი პირები.

ინციდენტის განხილვისას გადამწყვეტია ინციდენტის მსვლელობისას აღრიცხული ინფორმაციის ხარისხი და სისწორე. მართალია, შეიძლება საწყის ეტაპზე ინფორმაციის გადაცემა ზეპირად ხდებოდეს, თუმცა შემდეგ წერილობითი ჩანაწერები უნდა გაკეთდეს.[248]

[248] ციხეში ინციდენტების მართვის სახელმძღვანელო, გაერო, 2013, გვ. 55-59.

## ბოლოსიტყვაობა

აღნიშნული სახელმძღვანელო მიზნად ისახავს მაღალი რისკის დაწესებულებების მართვასთან დაკავშირებული საერთაშორისო ნორმების, პრინციპებისა და ეროვნული კანონმდებლობის გაცნობას, რათა მკითხველს მიეცეს შესაძლებლობა გაანალიზოს არსებული პრაქტიკა, იმსჯელოს უსაფრთხოების ცალკეული საკითხების საუკეთესოდ გადაჭრის გზებსა და შესაძლებლობებზე. თუმცა, როგორც შესავალ ნაწილში აღინიშნა, სახელმძღვანელოში მოცემული სტანდარტების დიდი ნაწილი, შესაძლოა გამოყენებულ იქნეს სხვა ტიპის პენიტენციურ დაწესებულებებთან მიმართებაშიც, ვინაიდან ხშირ შემთხვევაში ზოგადი სტანდარტები საერთოა. ამავდროულად ხაზი უნდა გაესვას გარკვეულ მიმართულებებს, რომელთა გათვალისწინებაც საერთაშორისო ნორმებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია ადგილობრივ სტანდარტებში, კერძოდ:

- აღსანიშნავია დაწესებულებაში განთავსების დროს პატიმართა კლასიფიცირების მნიშვნელობა უსაფრთხოების სისტემის გამართულად ფუნქციონირებისთვის. ზუსტად ამ პრაქტიკას მიმართავენ განვითარებული ქვეყნების პენიტენციური სისტემები. ადმინისტრაციის პასუხისმგებლობას წარმოადგენს ყველა პატიმრისთვის ღირსეული და ჰუმანური პირობების შექმნა, მიუხედავად მათ მიერ ჩადენილი დანაშაულისა, ან იმ დანაშაულისა რომლის ჩადენაშიც ედებათ ბრალი. ეს ვალდებულება აქტუალურია მაღალი უსაფრთხოების პირობებში მყოფი პატიმრების შემთხვევაშიც. შესაბამისად, მნიშვნელოვანია დარეგულირდეს სამართლებრივ დონეზე არსებული არაერთგვაროვანი მიდგომები.

- განსაკუთრებული/მაღალი რისკის დაწესებულებაში პატიმრის განთავსების დრო არ უნდა იყოს იმაზე მეტი, ვიდრე ეს საჭიროა უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე. არ არის მიზანშეწონილი პირი აღნიშნულ პირობებში იხდიდეს მთლიან სასჯელს ან მის მნიშვნელოვან ნაწილს. პატიმრების უსაფრთხოების დონე უნდა გადაიხედოს რეგულარული ინტერვალებით სასჯელის მოხდის პერიოდში. მნიშვნელოვანია, რომ ასეთი პრაქტიკა დაინერგოს პენიტენციურ სისტემაში და არსებული საკანონმდებლო რეგულაციები სწორი ფორმით იქნეს გამოყენებული. მაღალი რისკის დაწესებულებიდან უფრო ნაკლებად მკაცრ პირობებში გადასვლის პერსპექტივის არსებობამ შესაძლოა მნიშვნელოვნად იმოქმედოს ცალკეული პატიმრების ქცევაზე და იქცეს წესრიგის (რეჟიმის) დაცვისა და კონსტრუქციული ქცევის განმაპირობებელ მოტივატორად.

- რაც შეეხება დაწესებულებაში შემსვლელ პირთა შემომწმებას, ამჟამად ადგილი აქვს დაწესებულებაში შემსვლელ პირთა არა მხოლოდ მეტალო-დეტექტორით შემოწმებას, არამედ მათი ჯიბეების შემოწმებას ხელის ჩაყოფით, რაც ფაქტიურად არ ჯდება შემოწმების სამართლებრივ დეფინიციაში და თავისი შინაარსით წარმოადგენს ჩხრეკას, რის განხორციელებაც შეუძლიათ მხოლოდ კანომდებლობით გათვალისწინებულ პირებს, კანონით დადგენილი პროცედურის შესაბამისად.

- მნიშვნელოვანია, ასევე აღინიშნოს, რომ პატიმრების სრული შემოწმების (გაშიშვლებით შემოწმების) ჩატარებისას, პროცედურა არ უნდა ხელყოფდეს მათ ღირსებას. მიზანშეწონილია არ მოხდეს მთელი სხეულის ერთდროულად გაშიშვლება. კანონი არ ითვალისწინებს, აგრეთვე დაწესებულებებში მიღების დროს, სრული შემოწმებისას ე.წ.“ ჩამუხვლებს“ სხეულის ღრუებში აკრძალული ნივთების აღმოჩენის მიზნით. სხეულის ღრუების შემოწმება (აგრესიული/ინვაზიური შემოწმება), საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად წარმოადგენს სხვა პროცედურას და მისი ჩატარების უფლება აქვს მხოლოდ შესაბამის სამედიცინო პერსონალს.
- დინამიური უსაფრთხოების პრინციპებთან მიმართებაში აღსანიშნავია, რომ ამჟამად არსებული პრაქტიკა ცვლის გადაბარებისას საკანში შესვლისა და პატიმრისთვის ბორკილების დადებამდე სახით კედლისკენ მიბრუნების თაობაზე, ცალკეული სპეციალისტებისა და ავტორების მიერ მიჩნეულია მიზანშეუწონელ ღონისძიებად უსაფრთხოების თვალსაზისით, მით უფრო თუ გავითვალისწინებთ პატიმრისა და თანამშრომელთა რაოდენობის თანაფარდობას. მათი აზრით, ამგვარი დამოკიდებულება ხშირად უარყოფით გავლენას ახდენს დინამიურ უსაფრთხოებაზე და შესაძლოა გამოიწვიოს სიტუაციის ზედმეტად დაძაბვა. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ ხელბორკილის დადება და პატიმრის ზურგით შებრუნება არ წარმოადგენდეს რუტინას, და რაც უფრო მნიშვნელოვანია არ იყოს დადგენილი ნორმატიულად, არამედ ხორციელდებოდეს მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში, პატიმრისგან მომდინარე ინდივიდუალური რისკის შეფასების საფუძველზე. როგორც პატიმრის, ასევე დაწესებულებაში შემსვლელი პირის შემოწმებისას, მაქსიმალურად უნდა იქნას დაცული ბალანსი შესამოწმებელი პირის პატივისა და ღირსების, პრივატულობის უფლების დაცვასა და დაწესებულების უსაფრთხო ფუნქციონირების ლეგიტიმურ ინტერესს შორის.

- დაწესებულების ტერიტორიაზე გადაადგილების წესთან დაკავშირებით, პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ განსაკუთრებული რისკის დაწესებულების დებულებით დადგენილი პრაქტიკა, საკნის გარეთ ნებისმიერი გადაადგილების დროს ხელბორკილის გამოყენების შესახებ, არ წარმოადგენს საუკეთესო პრაქტიკას საერთაშორისო სტანდარტის გათვალისწინებით. მართალია ამერიკის შეერთებულ შტატებში და რიგ ქვეყნებში ხდება შეზღუდვის აღნიშნული ფორმის გამოყენება, თუმცა თითოეულ შემთხვევაში შეფასებული უნდა იქნას პატიმრისგან მომდინარე რისკი, გაქცევის საფრთხე და განისაზღვროს აღნიშნულ საფრთხესა და პატიმრის უფლებებს შორის თანაზომიერება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შეფასდეს რამდენად რეალურია პატიმრის მხრიდან საფრთხის შექმნის რისკი. მაღალი/განსაკუთრებული რისკის დაწესებულებაში მოთავსება ავტომატურად არ უნდა იწვევდეს პატიმრის დაწესებულებაში გადაადგილებისას შეზღუდვის საშუალებების სავალდებულო გამოყენებას. ხაზი უნდა გაესვას, რომ მაღალი რისკის დაწესებულების ფარგლებშიც თითოეული პატიმარი უნდა შეფასდეს (შესწავლილ უნდა იქნეს) ინდივიდუალურად და მხოლოდ მათ მიმართ და მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა იქნას გამოყენებული შეზღუდვის საშუალებები, როდესაც ამის აუცილებლობა არსებობს. მნიშვნელოვანია, ასევე იმის გათვალისწინებაც, რომ ხელბორკილის გამოყენება არ უნდა იწვევდეს ფიზიკური ტკივილის მიყენებას, დასჯას, ან დამცირებას. ამ ფორმით შეზღუდვის საშუალებების გამოყენება პირდაპირ უშლის ხელს დინამიური უსაფრთხოების პრინციპების განხორციელებას.

  - განსაკუთრებული რისკის დაწესებულებაში თითოეულ საკანში მოთავსებულია ერთი ან ორი მსჯავრდებული, რომლებსაც უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე არ უნდა ჰქონდეთ კომუნიკაცია სხვა პატიმრებთან. სასურველია გასეირნების ადგილამდე ისეთი გზის (სავარაუდოდ შენობის გავლით) არსებობა, რომელიც საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელს გახდის პატიმრის გასასეირნებელ ტერიტორიაზე გაყვანას სხვა პატიმრების მხედველობის არის მიღმა. მნიშვნელოვანია სასეირნო ზონა შეესაბამებოდეს სხვადასხვა ტიპის ამინდის საჭიროებებს და შესაძლებელს ხდიდეს გასეირნებას წვიმისა და თოვლის პირობებშიც.
- რაც შეეხება პატიმართა ტრანსპორტირებას, მნიშვნელოვანია, სატრანსპორტო საშუალებების შერჩევა მოხდეს პატიმართა რისკების შესაბამისად, ასევე აღნიშნულის შესაბამისად განისაზღვროს დამორჩილების საშუალებების გამოყენების საჭიროება. უსაფრთხო ტრანსპორტირებისთვის ასევე მნიშვნელოვანია, რომ გადაადგილების მარშრუტი ცნობილი იყოს მხოლოდ პირთა მცირე წრისთვის, რომლებსაც სამსახურეობრივი მოვალეობიდან გამომდინარე ესაჭიროებათ აღნიშნული ინფორმაცია.

- სპეციალური საშუალებების გამოყენებასთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კანონმდებლობაში ძალის მინიმალური გამოყენებისა და სპეციალური საშუალებების გამოყენების პროცედურები ხშირ შემთხვევაში ბუნდოვანია. პირველ რიგში, სრულიად გაუგებარია სპეციალური საშუალებების ის მრავალი სახეობა, რომელიც განსაზღვრულია კანონმდებლობით (თან იმის გათვალისიწნებით, რომ პრაქტიკაში ფაქტობრივად მხოლოდ ხელბორკილის გამოყენება ხდება). კრიზისული სიტუაციების განმუხტვის მიზნით, კანონმდებლობა შეიძლება ითვალისწინებდეს სპეციალური საშუალებების გარკვეულ სახეობებს, მაგრამ არა თითქმის ყველა სახეობას. სპეციალური საშუალებების გამოყენება, ყოველთვის სერიოზულ რისკებთან არის დაკავშირებული და აუცილებელია არსებობდეს თითოეული საშუალების გამოყენების დეტალური და ნათელი პროცედურა. სამწუხაროდ დღეს არსებული რეგულაციები არის ძალიან ზოგადი და ბუნდოვანი. დეტალურად უნდა იყოს რეგულირებული - როგორ ხდება საფრთხის შეფასება? ვის უნდა ჰქონდეს ამ საშუალებების გამოყენების უფლებამოსილება და რა აუცილებელი მოთხოვნები უნდა არსებობდეს მისი გადამზადებისას და მისთვის ამ უფლებამოსილების მინიჭებისთვის? თითოეული სპეციალური საშუალების გამოყენების თაობაზე ცალ-ცალკე უნდა არსებობდეს დეტალური სახელმძღვანელო პრინციპები და პროცედურები. გარდა ამისა, საყურადღებოა წამების წინააღმდეგ ბრძოლის ევროპული კომიტეტის რეკომენდაციები სპეციალური საშუალებების გამოყენებასთან დაკავშირებით. ასევე მნიშვნელოვანია, რომ პენიტენციური სისტემის ყველა მოსამსახურეს გათვითცნობიერებული ჰქონდეს, რომ ძალის გამოყენება უნდა მოხდეს მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში და უპირატესობა უნდა მიენიჭოს კრიზისული სიტუაციების განმუხტვის სხვა მეთოდებს, რაზეც ზემოთ გვქონდა საუბარი.

- დისციპლინური ზომების გამოყენების კუთხით ეროვნულ კანონმდებლობაში, უფრო მეტად კი პრაქტიკაში არსებობს საკმაოდ ბევრი ხარვეზი. როგორც საერთაშორისო გამოცდილების განხილვისას აღვნიშნეთ, დისციპლინური პასუხისმგებლობის ერთ-ერთ უმთავრეს პრინციპს წარმოადგენს სამართლიანობა, რაც გულისხმობს, რომ პატიმარს უნდა განემარტოს მისი უფლებები, ასევე უნდა განემარტოს რომელი ქმედება ჩაითვლება დისციპლინის დარღვევად

და რა სანქცია/სახდელი შეიძლება შეეფარდოს პირს კონკრეტული დარღვევის ჩადენისას, თუმცა აღნიშნული პრინციპი ყველა დაწესებულებაში თანაბრად დაცული არ არის. ამასთან მნიშვნელოვანია დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმალური პროცედურის დაცვა, რასაც რიგ შემთხვევებში ადგილი არ აქვს. ამას ადასტურებს წამების პრევენციის კომიტეტი მის ანგარიშში. იქვე საუბარია, რომ თითქმის არასოდეს ხდება პატიმრებისთვის დისციპლინური ზომის შეფარდების შესახებ წერილობითი გადაწყვეტილების ჩაბარება. გარდა იმისა, რომ ეს არის თავად განხილვის პროცედურის დარღვევა, ამან შესაძლოა შეაფერხოს გადაწყვეტილების გასაჩივრების პროცესი. წპკ-ს ამავე ანგარიშის თანახმად, ირღვევა დისციპლინური ზომების ჩადენილ ქმედებასთან პროპორციულობის პრინციპიც, რადგან საკმაოდ უმნიშვნელო დარღვევებზე ხდება საკმაოდ მკაცრი დისციპლინური სანქციების გამოყენება. ეს პირდაპირ ეწინააღმდეგება საერთაშორისო სტანდარტებით გათვალისწინებულ პრინციპს, დისციპლინური სახდელის, როგორც უკიდურესი ფორმის გამოყენების შესახებ. კიდევ ერთ პრობლემას წარმოადგენს სხვადასხვა დაწესებულებაში დისციპლინური სანქციების არაერთგვაროვანი გამოყენების პრაქტიკა, რაც მიუღებელია ერთი სისტემის ფარგლებში და შეიძლება გამოიწვიოს პატიმართა პროტესტი, აგრესია და საბოლოო ჯამში საფრთხე შეუქმნას დაწესებულების უსაფრთხოებას. რაც შეეხება დისციპლინური სახდელის სახით პაემნის უფლების აკრძალვას, წამების პრევენციის კომიტეტის განმარტებით, ამგვარ სანქციას ადგილი უნდა ჰქონდეს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, მაშინ, როდესაც დარღვევა უშუალოდ ამ უფლების რეალიზაციას უკავშირდება და საჭიროა ამ მიმართულებით არსებული რეგულაციების შეცვლა. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ დისციპლინური ზომის არასწორი ფორმით გამოყენება არა მხოლოდ არაეფექტიანს ხდის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, დისციპლინური ზემოქმედების ზომების პრევენციული ხასიათით გამოყენებას, არამედ პირიქით შესაძლოა საფუძველი დაუდოს პატიმართა აგრესიას და წარმოქმნას ადმინისტრაციის ქმედებით წახალისებული საგანგებო სიტუაციის საფრთხე.

- რაც შეეხება შიმშილობის საკითხს, ქართული კანონმდებლობა ძირითადად შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს და საუკეთესო გამოცდილებას. ადგილობრივი სტანდარტები არ ითვალისწინებს იძულებითი კვების საკითხებს, თუმცა არ არის ცხადად რეგულირებული არანებაყოფლობითი მკურნალობის საკითხები შიმშილობის შედეგად ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების შემთხვევაში. აღნიშნული საკითხი რეგულირდება ადგილობრივ დონეზე არსებული ჯანდაცვის ზოგადი სტანდარტებით, მაგრამ მნიშვნელოვანია არსებული პრაქტიკის ანალიზის შედეგად, შესაბამისი პროცედურების უფრო ნათლად ჩამოყალიბება შიმშილობის პროცესიდან გამომდინარე რისკებთან მიმართებით. გარდა ამისა, არსებობს პრაქტიკული სახის გამოწვევები, რომლებთან გამკლავებაც უწევთ ქართულ პენიტენციურ სისტემაში. კერძოდ, შიმშილობის, როგორც პროტესტის ფორმის გამოყენება საკმაოდ ხშირი პრაქტიკაა და ამას ხშირ შემთხვევაში აქვს ინდივიდუალური ხასიათი. თუმცა, არის მსგავსი ტიპის პროტესტის მასობრივად გამოხატვის შემთხვევებიც, როგორც წესი, ეს კრიმინალური ავტორიტეტების მიერ იმართება და აღნიშნული ხელს უშლის დაწესებულების ნორმალურ ფუნქციონირებას. ამ შემთხვევაში, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უსაფრთხოების სისტემის როლი და ფუნქცია, რომ პატიმრებზე გავლენის მოხდენის რისკები მინიმუმამდე იქნას დაყვანილი.

- საერთაშორისო სტანდარტები საკმაოდ დეტალურად განმარტავს, თუ როგორი სახის სტანდარტები უნდა არსებობდეს პენიტენციურ დაწესებულებებში სუიციდისა და თვითდაზიანების პრევენციის მიზნით. შეიძლება ითქვას, რომ ქართული კანონმდებლობა ძირითადად შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს და საუკეთესო გამოცდილებას. საკმაოდ დეტალურად არის ჩამოყალიბებული სუიციდს პრევენციის პროცესში სხვადასხვა პროფესიონალების ფუნქციები. თუმცა არსებობს პრაქტიკული სახის გამოწვევები, რომლებთან გამკლავებაც უწევთ ქართულ პენიტენციურ სისტემაში. განსაკუთრებით ეს ეხება, თვითდაზიანებებს. ასეთი სახის პროტესტის ფორმის გამოყენება საკმაოდ ხშირი პრაქტიკაა და ამას ხშირ შემთხვევაში აქვს ინდივიდუალური ხასიათი. თუმცა, არის მსგავსი ტიპის პროტესტის მასობრივად გამოხატვის შემთხვევებიც და, როგორც წესი, ეს კრიმინალური ავტორიტეტების მიერ იმართება და აღნიშნული ხელს უშლის დაწესებულების ნორმალურ ფუნქციონირებას. ამ შემთხვევაში, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უსაფრთხოების სისტემის როლი და ფუნქცია, რომ პატიმრებზე გავლენის მოხდენის რისკები მინიმუმამდე იქნას დაყვანილი.

- ბოლო პერიოდში პენიტენციურ დაწესებულებებში სისტემურად განხორციელებულმა არასათანადო მოპყრობის ფაქტებმა, გარკვეულწილად გამოიწვია კონტროლის შესუსტება. პატიმართა ნაწილი შეეცადა აღნიშნული პერიოდი გამოეყენებინა საკუთარი არაფორმალური ძალაუფლების დამყარებისა და კრიმინალური სუბკულტურის ცალკეული ელემენტების გაძლიერებისთვის. ადგილი ჰქონდა მასობრივი შიმშილობის, კოლექტიური საჩივრებისა და

მედიის საკუთარი მიზნებისთვის გამოყენების მცდელობებს, პენიტენციურ დაწესებულებებში პატიმართა შორის ძალადობის (მათ შორის ძალადობრივი გარდაცვალების) რამდენიმე ფაქტს. კიდევ ერთხელ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფოს, უფრო კონკრეტულად კი პენიტენციური სისტემის მენეჯერებს ევალებათ პატიმართა დაცვა არა მხოლოდ თანამშრომელთა მხრიდან არასათანადო მოპყრობისაგან, არამედ სხვა პატიმრების მხრიდან ძალადობისგანაც. პატიმართა შორის ძალადობის ფაქტების აღკვეთა პირველ რიგში წარმოადგენს პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაციის პასუხისმგებლობას. პატიმართა მხრიდან ძალადობის ფაქტების არსებობა, როდესაც ადმინისტრაცია უძლურია დაიცვას პატიმარი სხვა პატიმართა მხრიდან ფიზიკური ძალადობისა და დამცირებისაგან, პირდაპირ კავშირშია სუბკულტურის არსებობასთან, რაზეც ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი. ასეთ სიტუაციაში, პატიმარი ფაქტიურად იძულებულია (მიუხედავად მისი სურვილებისა და შეხედულებებისა) აღიაროს, გაიზიაროს და დაემორჩილოს დაწესებულებაში არსებულ ინსტიტუციურ კულტურას. ვინაიდან, ადმინისტრაცია სუბკულტურის წესებში ჩაბმის საპირწონედ, ხშირად ვერ სთავაზობს მას ლეგიტიმურ ალტერნატივას, თვითგადარჩენის ერთადერთ გზად რჩება მხოლოდ სუბკულტურის იერარქიის აღიარება, მისი „წესებით“ ცხოვრება და გარკვეული როლის მორგება. ცალკეული „როლის“ მორგება კი, თავის მხრივ, იწვევს პირის სტიგმატიზაციას და დაწესებულებიდან გასვლის შემდეგ ქმნის მთელ რიგ რისკებს (მაგ: საზოგადოების მხრიდან გარიყვა, სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან მომეტებული, რიგ შემთხვევებში გადაჭარბებული ინტერესი) კანონმორჩილი ცხოვრების გაგრძელების შემთხვევაშიც.

ხშირად დაწესებულების თანამშრომლები (არამარტო ქართულ რეალობაში) მართვის ალტერნატივად განიხილავენ მხოლოდ ორ რადიკალურად განსხვავებულ მეთოდს: მეტისმეტ სიმკაცრესა და არასათანადო მოპყრობაზე დაფუძნებულ დისციპლინას ან მართვაში მინიმალური ჩარევითა და ფაქტიურად უმოქმედობით პატიმართა არაფორმალური ჯგუფების საშუალებით კონტროლის უზრუნველყოფას. ცხადია, რომ ამ მიდგომებიდან არც ერთი არ წარმოადგენს ოპტიმალურ გამოსავალს და დაწესებულების უსაფრთხოების კუთხით მნიშვნელოვანი რისკების მატარებელია. სამწუხაროდ დაწესებულების მართვაზე პასუხისმგებელი პირები, ხშირად ნაკლებად ფლობენ პენიტენციური დაწესებულები გამართული მენეჯმენტის ტექნიკებს და სწორად არ ესმით დინამიური უსაფრთხოების პრინციპები. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია დაწესებულების თანამშრომელთა აქტიური გადამზადება, რათა ისინი აღიჭურვონ შესაბამისი უნარებით და მოახერხონ პატიმართა უფლებების დაცვასა და დაწესებულებაში საჭირო წესრიგს (რეჟიმს) შორის ოპტიმალური ბალანსის მოძებნა. მნიშვნელოვანია, რომ მსგავსი მიდგომა წარმოადგენდეს მთელი სისტემის პოლიტიკას და ცალკეული დაწესებულების ხელმძღვანელები მარტო არ აღმოჩნდენ კრიმინალური სუბკულტურის წინააღმდეგ. ისინი დარწმუნებულნი უნდა იყვნენ, რომ დაწესებულებაში კონტროლის დამყარების, მათ შორის თანაზომიერი, ლეგიტიმური ძალის გამოყენებისას მათი პასუხისმგებლობის საკითხი არ დადგება.  ავტომტაურად, საკითხის სიღრმისეული შესწავლისა და ანალიზის გარეშე. კოლექტიური საჩივრებით, მასობრივი შიმშილობის მუქარით წარმატებული მანიპულირება შესაძლოა პატიმრებისთვის გახდეს ერთგვარი გზავნილი, რომ „შანტაჟის“, „სისტემის მსხვერპლის“ როლის მორგებით (მიუხედავად იმისა, რომ მათი ნაწილის მიმართ მართლაც ჰქონდა ადგილი არალეგიტიმურ ძალადობას) ისინი შეძლებენ სხვა უკანონო მოთხოვნების დაკმაყოფილებას, მათ შორის ხელმძღვანელობიდან მათთვის არასასურველი პირების ჩამოშორებას.

მნიშვნელოვანია ძალის გადამეტების, სასტიკი, არაადამიანური მოპყრობისა და წამების შესაძლო ყველა ფაქტი გამოძიებული იქნას დროულად და სამართლიანად, მსხვერპლისა და დამნაშავის მიმართ გატარდეს კანონით გათვალისწინებული ზომები, რაც გამორიცხავს პატიმართა „ჯგუფურ მსხვერპლად“ და „რომანტიზებულად“ წარმოდგენის პრობლემას და მოსპობს აღნიშნული თემით სპეკულირებისა და ხანგრძლივი პერიოდით მანიპულირების შესაძლებლობას. **ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექნა, რომელიც დაფუძნებული იქნება დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობის და სამართლიანობის პრინციპზე**. მნიშვნელოვანია დაწესებულების ხელმძღვანელებსა და თანამშრომლებს მიეცეთ გარკვეული დისკრეცია გადაწყვეტილებების მიღებაზე და აღიჭურვონ მეტი ბერკეტით, რათა ეფექტიანად უპასუხონ დაწესებულებაში წარმოქმნილ გამოწვევებს. ოპტიმალურ შემთხვევაში მიზანშეწონილი არ არის, რომ პენიტენციური დაწესებულების მმართველობა  დამოკიდებული იყოს მეტისმეტად მკაცრ ვერტიკალზე, როდესაც მხოლოდ დაწესებულების მაღალი დონის მენეჯმენტი, რიგ შემთხვევაში კი უფრო მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირები არიან გადაწყვეტილების მიმღებნი ნებისმიერ მარტივ რუტინულ საკითხებზეც კი და წახალისებული არ არის პატიმართან უშუალო კავშირში მყოფი თანამშრომლების ინიციატივები და წინადადებები.  პოლიტიკური მიზანშეუწონლობის გარდა, ერთ ადამიანზე დამოკიდებული მმართველობა არაეფექტიანია, ქმნის ხელმძღვანელის

გამუდმებით დაწესებულებაში ყოფნის საჭიროებას, რაც იწვევს პირის გადაღლას, ფრუსტრირებას, ზიანს აყენებს მის ჯანმრთელობასა და ფსიქიკას, აღნიშნული მდგომარეობა კი ხშირად შესაძლოა ციხის ცალკეული ინციდენტის მიზეზიც კი გახდეს.

უფლებამოსილების დელეგირება ფაქტობრივად გამორიცხულია ნდობის გარეშე, შესაბამისად სასურველია მაღალი იყოს თანამშრომელთა მიმართ ნდობის საკითხი, რაც უნდა ეფუძნებოდეს თითოეული მათგანის მაღალ კომპეტენციას, მორალურ თვისებებსა და გამოცდილებას. მნიშვნელოვანია, ასევე თანამშრომელთა სოციალური დაცვის, წახალისებისა და სამსახურებრივი წინსვლის ლოგიკური, გამჭვირვალე და სამართლიანი სისტემის არსებობა.

## გამოყენებული ლიტერატურა:


- ციხის ლიდერების სახელმძღვანელო, საერთაშორისო ნორმებსა და სტანდარტებზე დაფუძნებული ძირითადი გადამზადების საშუალება, სისხლის სამართლის სახელმძღვანელოების სერია, გვ.99, UNODC, 2010;
- პენიტენციური დაწესებულების დაგეგმვის ტექნიკური სახელმძღვანელო, გვ. 37, UNOPS, 2016;
- ავსტრალიის პენიტენციური დაწესებულებების სტანდარტული სახელმძღვანელო, 2012;
- Clemmer 1940/1968; McCorkle, Korn 1954; Sykes 1958;
- ციხეში საგანგებო მდგომარეობასთან გამკლავების და მომზადების სახელმძღვანელო, აშშ იუსტიციის დეპარტამენი, სასჯელაღსრულების ეროვნული ინსტიტუტი;
- ციხეში ინციდენტების მართვის სახელმძღვანელო, გაერო, 2013;
- გაეროს, სამართალმდაცავი ორგანოების მიერ ძალისა და ცეცლსასროლი იარაღის გამოყენების შესახებ საბაზისო პრინციპები, 1990;

- ადამიანის უფლებათა მიდგომა ციხის მართვისას, ციხის თანამშრომელთა სახელმძღვანელო, მე-2 გამოცემა, 2009, ენდრიუ კოილი;
- ლორდი ჯასტის ვულფი, ციხის არეულობები, 1991;
- ადამიანის უფლებათა ინტერ-ამერიკული კომისია, თავისუფლებააღკვეთილ ადამიანთა დაცვის შესახებ პრინციპები და საუკეთესო პრაქტიკა, პრინციპი XXIII, 2008;
- ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec(2006)2 წევრი სახელმწიფოებისადმი ევროპული ციხის წესებთან დაკავშირებით;
- წამების წინააღმდეგ ბრძოლის ევროპული კომიტეტის ანგარიში საქართველოში ვიზიტის შესახებ, 1-11 დეკემბერი
- გაეროს პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარული წესები (მანდელას წესები).
- ციხის ლიდერების სახელმძღვანელო, UN 2010, Vivienne Chin, სისიხლის სამართლის რეფორმისა და სისხლის სამართლის პოლიტიკის საერთაშორისო ცენტრი, ვანკუვერი, კანადა, Robert E. Brown-ის, Yvon Dandurand-ისა და Eric McAskill-ის ხელშეწყობით;
- ღირსებისა და უსაფრთხოების ბალანსი, ციხის საერთაშორისო რეფორმა;
- Sparks და სხვები, 1996 წ;
- McDermott და King 1988;
- გენერალური ასამბლეა, პილანესბერგი, სამხრეთ აფრიკა, ოქტომბერი 2006;
- მალტის დეკლარაცია შიმშილობის შესახებ, მსოფლიო ჯანდაცვის ასოციაცია, 1991, 1992, გადაისინჯა 2006 წელს;
- წამების წინააღმდეგ ბრძოლის ევროპული კომიტეტის ანგარიში დანიაში ვიზიტის შესახებ, 2008წ;
- საქართველოს პატიმრობის კოდექსი;
- სისხლის სამართლის კოდექსი;
- სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი;
- საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2013 წლის 1 აგვისტოს №200 ბრძანება;
- საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს №108 ბრძანება;
- საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების მინისტრის 2010 წლის 30 დეკემბრის №187 ბრძანება;
- საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2014 წლის 22 დეკემბრის №157 ბრძანება;
- საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 19 ოქტომბრის №149 ბრძანება;
- საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2013 წლის 4 ივლისის №169 ბრძანება;
- საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2016 წლის 11 თებერვლის N13 ბრძანება;
- გ.ლობჟანიძე, გ.ღლონტი, კანონიერი ქურდები საქართველოში, თბილისი, 2004წ;
- ბ.ვოდალაზკი, ი.ბაკუტინი, დანაშაულებრივი დაჯგუფებები, მათი წესები, ტრადიციები და „კანონები“, ომსკი, 1979;
- გ.ლობჟანიძე, ორგანიზებული დანაშაულობა და ხელისუფლება, ქუთაისი, 2010;

- გ.პოდლესკიხი, ა.ტერეშენოკოვი, კანონიერი ქურდები: ნახტომი ხელისუფლებისკენ, ქუთაისი, 1995წ;
- მ.შალიკაშვილი, კრიმინოლოგია, მეორე გამოცემა, თბილისი, 2011;
- გ.ნაჭყებია, გ.გორაშვილი, გ.მამულაშვილი, ნ.თოდუა, რ.გოგშელიძე, დ.სულაქველიძე, ი.დვალიძე, ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაცისა და სამართალშეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში, თბილისი, 2012წ;
- საქართველოს უმაღლესი საბჭოს უწყებები. 1971. N12;
- ვ.რაზინკინი, ა.ტატბარინი, კრიმინალური სამყაროს ელიტა, მოსკოვი, 1997წ;
- ი.კოსტიუკოვსკი, რუსული ორგანიზებული დანაშაულის ისტორია;
- საერთაშორისო გამჭირვალობა: 2012 წლის კორუფციის აღქმის ინდექსი საქართველოში;
- საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში 2011 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ;
- ჟურნალ „რეიტინგის“ სტატია, თბილისი, 10.03. 2003წ. http://www.reitingi.ge/aqtualuri-sakhe/1511-ratom-gakhda-jaba-ioseliani-qurdi-disertacia-thurme-chemma-dam-damitsera.html?lang=ka-GE;
- Ю. К. александров, очерки криминальной субкултури;
- Ю. А. Вакутин, Словарь жаргонных слов и выражений. Татуировки, Омск , 1979.

- **ევროსასამართლოს გადაწყვეტილებები**

- ნევმერჟიცკი უკრაინის წინააღმდეგ, 2005წ;
- ფანჯიკიძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ 2006წ;
- ვაინრაიტი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, 2006წ;
- ოზგული თურქეთის წინააღმდეგ, 2007წ;
- კარაბე და სხვები უკრაინის წინააღმდეგ, 2013წ;
- ლეილა ალპი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ 2013წ;
- რეინოლდი საფრანგეთის წინააღმდეგ, 2008 წ.